

# XVIII საუკუნის ოთხი ტრაქტატი კათოლიციზმის შესახებ ქართულ სამწერლო ტრადიციაში ენო მაგანეივილი

ქვასა და მარცხისა და ვერ-ძაბს შირიოს და გულოით; და ან  
 უქმსა და უღრხადა წარსსა და ძილოსა; <sup>მეფითა</sup> აქამ  
 ციქლიისა და მისსა უფლისათს წყრილსს ვითარმედ მიმ  
 დემა და ლეკვის და <sup>მეფე</sup> და <sup>მეფე</sup> ღუგლ დრევისგან მუკვონ მისნი იანთა მუკვონ  
 და შაქლით <sup>სიდასხრეა</sup> <sup>ადვირისა</sup> <sup>უფსე</sup> <sup>სიდასხრეა</sup> და მარცხი აქმადის; <sup>ქა</sup> <sup>რღ</sup> <sup>ქა</sup> <sup>და</sup> <sup>ფრ</sup> <sup>და</sup>  
 ანა იქსათა; და ასევე და მუკვონგანთა მისნი იანთა და შიოსს  
 მისსა; უკითხუა ანა ჟგინიან ესე ვითარი ფიცხელი  
 ცხვრისა და შიოსისა წმიდასა და ანსათს იღრვდეს  
 და მე და ღუგლ და აქედნა ქმსა; და ანა სწოთა ესე ანამედ  
 სხუანთა წმიდასა შიოსისა და აქედნა წმიდასა  
 სმასადასა იღრვდეს და მათი ცხვრისა და შიოსისა  
 და მარცხისა და ლეკვისა იან და სხუა ესე ვითარი ვე  
 შიოსისა და სხუანთა და წილისა და ვერდეს; ვითარა  
 ჰეჭრისთს; წყრილსს; ვითარმედ ჰეჭრე ცუდი იან საძირ  
 ჰიოსისა შინს სწორა ცურ გულისა მარცხინედ იანთა და  
 ვეჭრისათა ვიგარათისა მიმართ მისთს; და უკითხუა ანა  
 ან ვანწესესა უდი ლეკა ვეჭრისათა შინს ვითარმედ  
 თს თვისა მის შიოსისა; ვეჭრისა იღრვდეს; და  
 და უკითხუა მუკვონს ჰეჭრისა და შიოსისა

*Handwritten notes in smaller script:*  
 და ანა იანთა მუკვონს...  
 და ანა იანთა მუკვონს...  
 და ანა იანთა მუკვონს...  
 და ანა იანთა მუკვონს...

**XVIII საუკუნის ოთხი ტრაქტატი  
კათოლიციზმის შესახებ ქართულ  
სამწერლო ტრადიციაში**

**ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ნინო მეგენეიშვილმა**

**FOUR TREATISES ON CATHOLICISM OF THE  
18<sup>TH</sup> CENTURY ABOUT IN THE GEORGIAN  
LITERARY TRADITION**

**TEXTS PREPARED BY NINO MEGENEISHVILI**

**თბილისი  
2024  
Tbilisi**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

მონოგრაფია განხორციელდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის ფარგლებში (SP-22-251, 2022–2023) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

Monograph was implemented under the project (SP-22-251, 2022–2023) of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The views and ideas expressed in the present publication belongs to the authors and may not represent the views of the Shota Rustaveli National Science Foundation.

მონოგრაფიაში გამოქვეყნებული ფოტომასალისა და თითოეული მონაკვეთის რაიმე ფორმით (ელექტრონული, ბეჭდური) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

The photos published in the monograph and each section in any form (electronic, printed) may be used only with the written permission of the copyright holder.

პროექტის მონაწილეები: ნინო მეგენეიშვილი (ხელმძღვანელი), შორენა თავაძე (კოორდინატორი)

Project participants: Nino Megeneishvili (head of the project), Shorena Tavadze (coordinator)

რედაქტორები:

Editors:

ნანა ჩიკვატია, ფილოლოგიის დოქტორი

Nana Chikvatia, Doctor of Philology

შორენა თავაძე

Shorena Tavadze

კონსულტანტი:

Consultant:

თამაზ კოჭლამაზიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

Tamaz Kochlamazishvili, Doctor of Philology

© კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

© ნინო მეგენეიშვილი, 2024

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-401-5

**ექვნება ჩემი პედაგოგისა და უფროსი მეგობრის  
მისეილ ქავთარისა სსოვნას**

## სარჩევი

შესავალი .....	5
ტექსტები .....	31
I. ბესარიონ ორბელიშვილი – „გრდემლი“ .....	31
ვრცელი რედაქცია .....	31
მოკლე რედაქცია.....	209
II. „განდგომილებსათვის რომისა“ .....	328
III. „ფერარა-ფლორენციის კრება“ .....	353
IV. ბესარიონ აფზახთა კათალიკოზი – „აღსარება სარწმუნოებისა“ .....	380
გამოყენებული ლიტერატურა.....	393
ბიბლიოგრაფია .....	394
საძიებლები .....	402

## შესავალი

საქართველოს ისტორიაში XVII-XVIII საუკუნეები პოლიტიკური სიჭრელითა და დრამატიზმით გამორჩეული ხანაა. სამეფოებად დაყოფილი პატარა ქვეყანა სტრატეგიულ პარტნიორს ეძებდა ყველგან – დასავლეთში, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში. ყველა პოლიტიკურ მიმართულებას ჰქონდა გარკვეული სახის დადებითი, უარყოფითი, სარისკო მომენტებიც. აღმოსავლეთი ძველი, გამოცდილი მეტოქე იყო, ნაცნობი პოლიტიკური გემოვნებით, იდეოლოგიით, სტრატეგიითა და სამხედრო შესაძლებლობებით. რუსეთისა და ევროპის ფაქტორი გასათვალისწინებელი გახდა სარწმუნოებრივი (იგულისხმება ქრისტიანული აღმსარებლობა) ერთობის კონტექსტში. ევროპული მისიონერული მოძრაობის გაძლიერებით ნელ-ნელა დაიწყო ქართველებში სარწმუნოებრივი რყევა მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის, განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთ რეგიონებში – ე.წ. სამუსლიმანო საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოში, შემდგომ კი კათოლიკე მრევლი მომრავლდა საქართველოს მსხვილ და სტრატეგიულ ინდუსტრიულ ცენტრებში: გორში, ქუთაისში და ა.შ. ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი, უფრო კი ტენდენციის სახე მიიღო XVII საუკუნეში, რასაც არც უარყოფდნენ დასავლური იდეოლოგიის მიმდევრები. მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავდა: „ჩვენი აზრით, ეს საუკუნე (იგულისხმება XVII ს.) უნდა შეირაცხოს კათოლიკობისათვის ერთ საუკეთესო ხანად, რადგან, როგორც ვნახეთ, პაპის ყურადღების მიქცევა და მისიონერების შრომა უნაყოფოდ არ დარჩა“. ამგვარი პოლიტიკური ორომტრიალისას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეკავა კულტურულ-საგანმანათლებლო კერას, მათ შორის დავით-გარეჯის ლიტერატურულ სკოლას. იგი სამი მიმართულებით მუშაობდა: 1. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა (ხელნაწერების შექმნა-გამრავლება, ბიბლიოთეკების დაარსება, ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებაზე ზრუნვა). 2. ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულების დამუშავება; 3. დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის შექმნა.

XV ს-ის ისტორიულმა მოვლენებმა, ფერარა-ფლორენციის კრებამ (1438-1439 წ.წ.) და კოსტანტინოპოლის დაცემამ (1453 წ.) სრულიად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი. ეპოქამ მოიტანა იმის აუცილებლობაც, რომ სწორად შეფასებულიყო მოძალადე მეტოქეც და იდეოლოგიური ოპონენტიც. ეს უკანასკნელი მისია, სწორედ პოლემიკური ლიტერატურული მიმდინარეობის ფუნქცია იყო. პოლემიკური მიმართულება მწერლობის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია, რამდენადაც ქრისტიანობას (ისევე როგორც სხვა კონფესიებს) ადრიდანვე გაუჩნდა მონინააღმდეგეები, რომელთა განეიტრალება პოლემიკური მწერლობის ამოცანა გახდა. პოლემიკურ მწერლობას პასუხი უნდა გაეცა არა მარტო არაქრისტიანული რელიგიური მიმდი-

ნარეობებისთვის, არამედ განსხვავებული ქრისტიანული კონფესიების, მათ შორის კათოლიკეთა შემოტევებისთვისაც,

პოლემიკური მწერლობის მიზანი არის მყარი არგუმენტაციის საფუძველზე პრობლემის არსის ახსნა და წარმოდგენილი პოზიციის დასაბუთება. არგუმენტაცია უნდა ყოფილიყო დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევი, ამიტომაც ამგვარ თხზულებებში მკაცრი აკადემიური ხარისხის დაცვით იზომებოდა ფრაზები და ემყარებოდა მდიდარ ინტელექტუალურ რესურსს. პოლემიკური თხზულებების ოპონენტად აღიქმებოდა არა მარტო ლიტერატორ-პოლემიკოსი, თეოლოგი ან სასულიერო პირი, არამედ სახელმწიფო ინსტიტუციები, სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები და სრულიად საზოგადოება.

შემოქმედებითი პროცესები დამოკიდებულია ეპოქალურ მოვლენებზე, ასე შეიქმნა ლიტერატურული ჟანრები სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, ეს გახდა პოლემიკური მწერლობის გაჩენის საფუძველი. პოლემიკურ მწერლობას, რომელიც ქრისტიანობის, როგორც რელიგიის წარმოშობასა და სასულიერო მწერლობის დასაწყისს უკავშირდება, პასუხი უნდა გაეცა ერეტიკოსებისა და ერეტიკული მიმდინარეობის, ასევე, სხვა რელიგიებისა და კონფესიების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც არღვევდნენ შვიდი საეკლესიო კრებით მიღებულ განჩინებებს. ანტიკათოლიკური თხზულებების მომრავლებასაც XVIII ს-ის ქართულ მწერლობაში თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა.

XV საუკუნეში, 1453 წელს, ბიზანტიის იმპერია დასრულდა, შესაბამისად, დასრულდა მისი კულტურული და იდეოლოგიური გავლენა დანარჩენ მარლთმადიდებელ სამყაროზე. როგორც ცნობილია, ფლორენციის კრება ჩატარდა ეტაპობრივად, 1438-1445 წლებში. როგორც არაერთი მკვლევარი (ი. უშიკიშვილი, ე. მამისთვალისშვილი, ა. პოგოდინი და სხვა) აღნიშნავენ: „ფლორენციის კრების შესახებ წყაროები, რომლებიც ლათინურ და ბერძნულ ენაზე არსებობდა – დაკარგულია“. დაკარგული თუ მიუგნებელი (დამალული) წყაროები სხვადასხვაგვარი მსჯელობისა და ვარაუდის საფუძველს იძლევა. ფაქტია, საეკლესიო კრებაზე მსჯელობის ძირითადი თემა – თეოლოგიურ-დოგმატური საკითხები – არსებული პოლიტიკური მოცემულობის სარჩული იყო.

ქართულ ხელნაწერ ფონდში დაცულია ხელნაწერები, რომლებშიც აღწერილი, ან ასახულია ფლორენცია-ფერარას კრება. ძირითადად ეს ხელნაწერები ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსისაა და ყველა მათგანი XVIII საუკუნით თარიღდება. ადრინდელი პერიოდიდან ქართულ მწერლობაში ანტიპაპისტური შინაარსის ერთადერთი ნათარგმნი თხზულებაა შემორჩენილი – ევსტათი ნიკიელის „მოსაწყენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესია მათი, და რაჟსთჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“. თხზულება დაცულია არსენ ვაჩეს ძის მიერ შედგენილ კრებულში – „დოგმატიკონში“. არსენ ვაჩეს ძეს, რომელსაც ფუნდამენტური განათლება ჰქონდა მიღებული

კოსტანტინოპოლში, ცხადია, კარგად ესმოდა ორ ეკლესიას შორის დოგმატურ-თეოლოგიური სხვაობის მულტიკომპლექსური შინაარსი, საფუძველი და პერსპექტიული საფრთხე ქრისტიანული სამყაროსთვის. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც შეიტანა კრებულში ევსტათი ნიკიელის თხზულებაც.

დასავლეთის კათოლიკური სამყაროს დაინტერესება საქართველოთი და ამიერკავკასიით გაცილებით ადრე, XIII საუკუნიდან იწყება, ცხოველდება და მისი მასშტაბები ფართოვდება შემდგომ საუკუნეებში. არსებული პოლიტიკური კრიზისი მისი პროგრესირების ნაყოფიერ საფუძველს ქმნიდა. ამას ემატებოდა ევროპული კაპიტალის შემოდინება მისიონერული მოღვაწეობის გასაძლიერებლად. დაიწყო და მომრავლდა კათოლიკური შინაარსის ლიტერატურა ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების სახით. ქართულ ხელნაწერ ფონდებში ინახება პაპისტური შინაარსის ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, თეოლოგიური და სხვა მრავალრიცხოვანი ლიტერატურა. მისიონერთა მოღვაწეობამ ქართულ მწერლობაზე გავლენა ვერ მოახდინა, თუ არ ჩავთვლით სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარს“. აღსანიშნავია ერთი დეტალიც, ხელნაწერი საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. მწერლის საუბრის ადრესატი იყო არა მარტო მისი ლიტერატურული ოპონენტი, არამედ საზოგადოება, ამიტომაც ავტორები ითვალისწინებდნენ საზოგადოების განსხვავებულ გემოვნებასა და პრეტენზიებს, ცდილობდნენ, თხზულებაში ყველა სიტყვა, ფრაზა, მოსაზრება, არგუმენტი ყოფილიყო რაფინირებული, კორექტული, აკადემიური.

საომარ ვითარებას ახასიათებს ერთი სირთულე: მოსახლეობას ზუსტად უნდა აუხსნა გარდაუვალი მსხვერპლის, მოსალოდნელი გარდაცვალების, მიზეზი, მიზანი და ისტორიული მნიშვნელობა. უფრო რთული ასახსნელია საზოგადოებისთვის ის საფრთხე და მისი მოსალოდნელი შედეგი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში შემოდის ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე. სწორედ ეს გახდა ქართულ მწერლობაში ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების მომრავლების მიზეზი.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ XVIII საუკუნის ოთხი თხზულების პუბლიკაციას, რომლებიც კათოლიციზმის შესახებაა. ისინი არ გამოირჩევა სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით. დარღვეულია ა/ი, ლ/ე, ჯ/ვი, ჴ/ხ – გრაფემათა მართლწერის წესები, ასევე შეინიშნება უ-სა და ვ-ს მონაცვლეობა, ჰ-ს ჩართვა, ნ-ს გაორმაგება და სხვაგვარი სინტაქსურ-მორფოლოგიურ-ფონეტიკური ნორმები. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, რომელიც განსაკუთრებით გამოკვეთილია ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლში“, კერძოდ, ხშირ შემთხვევაში ბიბლიური ციტატები ან არასწორად ან საერთოდ არ არის დამონმებული.



\*\*\*

## „ფლორენციის კრება“

ეს თხზულება არ არის პოლემიკური შინაარსის, ის კრების დეტალურ აღწერას წარმოადგენს და ოსმალეთის სულთან მურად II-ის, ბიზანტიის იმპერატორ იოანე პალეოლოლოსისა და რომის პაპ ეგგენი IV-ის პერიოდს ასახავს. თხზულებაში არაფერია ნათქვამი მიღებულ გადაწყვეტილებაზეც, მხოლოდ აღნიშნულია ბიზანტიის დელეგაციის განწყობა და ხაზგასმულია, რომ კრებაზე მიღებული შედეგის გამო ბერძნები იმედგაცრუებულნი დაბრუნდნენ კონსტანტინოპოლში.

შემორჩენილია ამ თხზულების ორი ნუსხა: ხეც. A-1443 და ხეც. Q-1391. ორივე ხელნაწერი თარიღდება XVIII საუკუნით. ორივე ხელნაწერი შედგება მხოლოდ დასახელებული თხზულებისგან და შესრულებულია მხედრული დამწერლობით. თხზულების ავტორი ან ჩამწერი შესაძლოა იყოს ვინმე ევგენიოსი. არ არის დადგენილი, ეს ევგენიოსი ესწრებოდა კრებას, თუ შემდეგ მონათხრობის ან წყაროების საფუძველზე აღწერა კრების მიმდინარეობა. ტექსტი მოგვიანებით უნდა იყოს თარგმნილი ბერძნულიდან, რადგან ორივე ხელნაწერში კონსტანტინოპოლი მოხსენიებულია სტამბოლად. ცნობილია, რომ ოფიციალურად სახელი ქალაქისთვის კონსტანტინოპოლის დაცემისთანავე არ შეუცვლიათ, სახელწოდება „ისლამპოლი“, პირველად 1703 წელს სულთან აჰმედ III-ის დროს მონეტაზე გვხვდება. ამდენად თხზულება შესაძლოა XVIII საუკუნის ბოლოს თარგმნილიყო ქართულად.

ხეც. A-1443 ხელნაწერი სრულყოფილია. მინაწერის მიხედვით ხელნაწერი ეკუთვნოდა იერონიმე ალექსიევს. ხელნაწერს აქვს წინასწარმეტყველური შინაარსის მინაწერიც. ტექსტი შეიცავს იმ შედეგების შეხსენებას ან ერთგვარ გაფრთხილებას, რომელიც მოჰყვებოდა თურქთა მოსალოდნელ ექსპანსიას. ხელნაწერის 1r-ზე არის შვიდი საეკლესიო კრების ცხრილი. ცხრილში არის გარკვეული უზუსტობები მსოფლიო კრებების თარიღებთან დაკავშირებით.

ხეც. Q-1391, თავ-ბოლო ნაკლულია. შემორჩენილი ნაწილი თითქმის უცვლელად ემთხვევა ხეც. A-1443-ში დაცულ ტექსტს.

## „რომის განდგომილებისათვის მართლმადიდებლობისგან“

ამავე პერიოდს განეკუთვნება ანტიკათოლიკური შინაარსის კიდევ ერთი ნაწარმოები „რომის განდგომილებისათვის მართლმადიდებლობისგან“. თხზულება შედგება სამი თავისგან: 1. რომის განდგომისათვის, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკკლესიისა; 2. მეფობასა კონსტანტინესსა და დედის მისისა ირინესსა; 3. კუალად მათთსვე ლათინთა წუალებათათვის. ხელნაწერ ფონდში შემორჩენილია ხელნაწერის

ოთხი ნუსხა: ხეც. Q-52 (XVIII ს.), ხეც. S-1596 (XVIII ს.), ხეც. A-1132 (XVIII ს.), ხეც. H-1000 (XVIII ს.). არც ერთ ხელნაწერში არ არის მითითებული თხზულების ავტორი. არც ის არის ცნობილი, ორიგინალურია თუ ნათარგმნი, სავარაუდოდ მიიჩნევა, რომ ის რუსულიდან უნდა თარგმნილიყო.

### **ბესარიონ აფხაზთა კათოლიკოსის „აღსარება სარწმუნებისა“**

XVIII საუკუნით თარიღდება მიხეილ თამარაშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული კიდეც ერთი თხზულება „აღსარება სარწმუნებისა“ (№101), რომელიც აფხაზთა კათოლიკოსს ბესარიონს მიეწერება. ის იყო დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის, კათოლიკოს-პატრიარქი 1742-1769 წლებში. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსობის პერიოდში ბესარიონი დაუახლოვდა და მფარველობდა კაპუცინელ მისიონერებს. 1750 წლისთვის კი მას უკვე კათოლიკობა უნდა მიეღო. სწორედ ამ პერიოდში უნდა დაენერა მას დასახელებული „აღსარება“, რომელიც მხოლოდ ამ ჩანაწერთაა მოღწეული.

### **ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“**

ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილის „გრდემლი“ ვრცელი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება, ტრაქტატია. ის XVIII საუკუნის პოლიტიკური და სოციალური შინაარსის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო პროდუქტია. საზოგადოდ, სახელმწიფოს საფუძველი არის ქვეყნის იდეოლოგია. იდეოლოგიას ქმნის კულტურა, განათლება, მეცნიერება, ამიტომაც თუკი ქართული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ სახელმწიფოს გაერთიანებასა და პოლიტიკურ სტაბილიზაციას, მაქსიმალურად ცდილობდნენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერების განვითარებას. ამას მონაწილეობდა სტამბის გახსნა თბილისში 1709 წელს, დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლის არსებობა. იმ დროისთვის ეს იყო მსხვილი სამეცნიერო კერა, თავისი ინფრასტრუქტურითა და მოღვაწეებით: კალიგრაფებით, მთარგმნელებით, მხატვრებითა და მკვლევრებით. ამგვარი სამეცნიერო სტრუქტურის არსებობა დაუძღურებული ქვეყნისთვის ფუფუნება იყო. ხელნაწერის შექმნა დიდ ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსს მოითხოვდა. განსაკუთრებული როლი ამ უდიდეს საქმეში შეასრულა ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილმა, რომელიც მოღვაწეობდა გარეჯში, რასაც ადასტურებს A-624 ხელნაწერის მინაწერი და მიხ. ხელაშვილის 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№208) გამოქვეყნებული სტატია. სწორედ დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში შემუშავდა სპეციალური ნაშრომის შექმნის აზრი,

რომელიც ფუნდამენტური ანალიზის საშუალებით აუხსნიდა საზოგადოებას იდეურ და ტრადიციულ ნორმათა სხვაობას, კერძოდ, ეს იყო სხვაობის განსაზღვრა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ რელიგიებს შორის. მისი დაწერა დაევალა იმ დროისათვის ცნობილ საეკლესიო მწერალს, ბესარიონ ორბელიშვილს.

წყაროებში ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის ბიოგრაფიაზე მწირია. მის მიერ გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერის (A-105) ანდერძიდან ვგებულობთ, რომ ბესარიონის მშობლებს ერქვათ ბეჟანი და მარიაში. ხელნაწერი გადაწერილია 1697 წელს, ე.ი. ამ დროისთვის ბესარიონი უკვე გარეჯში იმყოფება. რაც შეეხება ბესარიონის გარეჯში მოღვაწეობას, პოლიევქტოს კარბელაშვილის აზრით, ის გარეჯში 1680 წელს უნდა დამკვიდრებულიყო. გარეჯში მასთან ერთად მოღვაწეობდა მისი ძმა სიმონი.

სხვადასხვაგვარი ცნობებია შემონახული ბესარიონ ორბელიშვილის აღმოსავლეთ საქართველოს მწყემსმთავრად კურთხევისა და გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ცნობილია, ის კათალიკოსად ეკურთხა დომენტი კათალიკოსის ოსმალეთში წასვლის შემდეგ. მისი აღსაყდრების თარიღი მერყეობს 1724-1738 წლებს შორის. აზრთა სხვადასხვაობაა ბესარიონ ორბელიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებითაც. ის გარდაიცვალა მცხეთაში და დაკრძალულია სვეტიცხოველში, საფლავის ქვაზე გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1735 წ.

საინტერესოა, რა ინფორმაციაა დაცული წყაროებში ბესარიონ ორბელიშვილის მსოფლმხედველობაზე. საყურადღებოა მამია გურიელისა და კათალიკოს ბესარიონის მიმოწერა ტყვეთა გაუსყიდველობაზე. როგორც ირკვევა, ის ჯერ კიდევ გარეჯში ბერად ყოფნისას თავად ხლებია მამია გურიელს ამ მიძიმე პრობლემის გადასაჭრელად. როგორც ირკვევა შემდგომაც გაგრძელებულა მათი ერთობლივი მცდელობა ამასთან დაკავშირებით, თუმცა ამ მასშტაბური პრობლემის მოგვარება იმ დროისთვის ძალიან რთული იყო.

ბესარიონის პოლიტიკური შეხედულებების შესაფასებლად საინტერესოა წერილი, რომელიც მან მისწერა ვახტანგ VI-ს 1733 წ-ს (ხეც, Sd-2939), როცა გარდაიცვალა კოსტანტინე კახთ ბატონი. ცნობილია, რომ ბესარიონ ორბელიშვილსა და ვახტანგ VI-ს განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ჰქონდათ. ეს წერილი კი იმის დასტურია, რომ მისთვის პირად ურთიერთობას ხელი არ შეუშლია სახელმწიფოებრივად აზროვნებაში, მეფის ფუნქციის აღქმაში. სწორედ ამის დამსახურებაა იოანე ბატონიშვილისა („კალმასობაში“) და ანტონ ბაგრატიონის („წყობილსიტყვაობაში“) მიერ ბესარიონ ორბელიშვილის ღვაწლის შეფასება და დაფასება.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი ბესარიონ ორბელიშვილი, რაც მთავარია, იყო დიდი მწიგნობარი:

1. ორიგინალური თხზულებების ავტორი. მან დაწერა აგიოგრაფიული თხ-

ზულებები: „ნამება და ლუანლი წმიდისა დიდისა მამისა რაჟდენისი“, „მარტვილობა არჩილ მეფისა“, „დაძინება წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა საკრველთ-მოქმედისა“, „ლუანლი წმიდისა და სანატრელისა მონამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი ინამა შაჰ-აბაზ უსჯულოსა მიერ სპარსთა მეფისა“, „შესხმა წმიდათა მონამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება ნამებისა მათისა“, მას ეკუთვნის ლიტურგიკული თხზულებები: „კანონი სავედრებელი საუფლოესა კუართისა“, „კანონი საგალობელი პირველმონამისა რაჟდენისა“, „კანონი ქმნილი კუართისა“.

2. ბესარიონი იყო გადამწერი, რასაც ადასტურებს ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები. მას 10-მდე ხელნაწერის გადწერაში მიუღია მონაწილეობა. მაგალითად, ხეც, A-59, (XVII-XVIII სს), კრებული, რასაც მონაწილეობს ხელნაწერის მინაწერი; ხეც, A-105 კრებული, 1697 წ, გადწერილია ბესარიონ ორბელიშვილის მიერ გარეჯის უდაბნოში; ხეც, A-121, გრიგოლ რომთა პაპი, დიალოლონი (1715 წ.) გადამწერებად მიიჩნევიან ბესარიონი და ვინმე იობი; 4. ხეც, A-178 (XVIII ს.), სასულიერო შინაარსის კრებული და სხვ.

3. ბესარიონ ორბელიშვილი იყო დამკვეთი. მისი დაკვეთით გადწერილი ხელნაწერებია: ხეც, A-100, ბასილი დიდი, ითიკა. 1713 წ.; ხეც, A-103, სასულიერო შინაარსის კრებული, XVIII ს.; ხეც, A-130, სასულიერო შინაარსის კრებული, 1713 წ.; ხეც, H-1557, ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, 1713 წ.; ხეც, Q-85, ოთხთავი, 1719 წ. მომგებელი: მამა ხარიტონი და ბესარიონ ორბელის ძე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბესარიონის ლიტერატურული მოღვაწეობის მთავარი თხზულებაა დიდი მოცულობის ტრაქტატი „გრდემლი“, რომელიც ყველაზე სრული ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებაა ქართულ ენაზე. ნიგნში განხილულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიებს შორის არსებული დოგმატურ-თეოლოგიური საკითხები.

ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“ დაინერა ფლორენციის კრებაზე მიღებული თეოლოგიურ-დოგმატური გადაწყვეტილებების საპასუხოდ, იქ მიღებული შედეგების ასახვად, მასში პუნქტობრივად და თანმიმდევრულად არის პასუხი გაცემული დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების სხვაობაზე, მართლმადიდებლური საქართველოს ყოველდღიურ ეკლესიურ და ყოფით ცხოვრებაში ასახულ ტრადიციულ ნორმებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით კათოლიკე მისიონერებს რეალურად სომხური სავაჭრო კაპიტალი უპირისპირდებოდა და მათი დავაც ძირითადად გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლებთან ჩანს. შესაბამისად, ანტიკათოლიკური თხზულება „გრდემლის“ დაწერის მიზეზად შესაძლებელია განვიხილოთ პოლიტიკური შემადგენელი. კერძოდ, 1712 წლიდან, მას შემდეგ, რაც ვახტანგ VI ირანში გაემგზავრა, მისი და დომენტი კათოლიკოსის მთავარ მოწინააღმდეგედ წარმოჩნდა იასე ბაგრატიონი. მოგვიანებით კი სწორედ იასეს აშკარა

ხელშეწყობით ბესარიონ ორბელიშვილი კათოლიკოსი გახდა. თავის მხრივ, ბესარიონ ორბელიშვილმა ნაშრომი „გრდემლი“ აშკარად ვახტანგ VI-ის ირანში გამგზავრების შემდეგ დაწერა. შესაბამისად, ვფიქრობთ განსახილველია შემდეგი საკითხი: ანტიკათოლიკური ტრაქტატი „გრდემლი“ ხომ არ წარმოადგენდა ვახტანგ-იასეს დაპირისპირების ანარეკლს? უფრო კონკრეტულად, მისი დაწერა ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ნაბიჯების, კერძოდ სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში გამგზავრების, საპასუხო ქმედებას ხომ არ წარმოადგენდა?

საქართველოში შესაძლოა, საკამათო ან მისაღები ყოფილიყო დასავლური პოლიტიკური ღირებულებები, მაგრამ ის, რაც საფრთხეს უქმნიდა ქართულ კულტურულ ფასეულობებსა და ერის თვითმყოფადობას, უყურადღებოდ ვერ დარჩებოდა ქართველი მოღვაწეების მხრიდან. კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ბესარიონ ორბელიშვილს „გრდემლი“ დაუწერია იმ დროს თბილისში მყოფი ლათინთა მოძღვრის, ფრანცისკო ბოლონიელის კაფუცინის დახმარებით. მსგავსი მოსაზრება ჰქონდა პოლიევექტოს კარბელაშვილსაც. ეს კი ადასტურებს განსხვავებული შეხედულებების ოპონენტთა ჯანსაღ პოლემიკას და ერთმანეთის კულტურული ღირებულებების პატივისცემას. მიხეილ ქავთარია აღნიშნავს: „იგი (იგულისხმება ანტიკათოლიკური თხზულება „გრდემლი“ ნ.მ.) უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის თხზულებაა, რომელმაც შეასრულა თვალსაჩინო როლი ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.“ [ქავთარია, 1965].

ჩვენამდე მოღწეულ ფონდებში „გრდემლი“ შემორჩენილია თორმეტ ხელნაწერ ნიგში. „განირჩევა ორი რედაქცია: პირველი მოიცავს თერთმეტ ხელნაწერს - ხეც. A-119, 156, 298, 1395, 1591, 1791; S-1596, 3269, Q-92, გიესმ-№114, K-№130 და ერთი განსხვავებული ნუსხა S-286“ 3269, Q-92, გიესმ-№114, K-№130 და ერთი – მოკლე რედაქციისა (S-286). ამ თერთმეტი ნუსხიდან ექვსი – ხეც. A-119, 156, 298, S-1596, 3269, ქსემ. K-№130 – შედგება 38 თავისაგან, ოთხი – ხეც. A-1395, 1791, Q-92, გიესმ-№114-37 თავისაგან, დასახელებულ ხელნაწერებს აკლია ბოლო თავი „**აღმწერელი ამის ნიგნისა სიტყვსა უგებს პაპის მოსავთა**“. ერთი – ხეც. A-1591 – შედგება 26 თავისაგან. დასახელებული ნუსხა არ არის მოკლე რედაქცია, მისმა გადამწერმა ქრისტესია სამადაშვილმა გადაწყვიტა, თხზულებაში შეეტანა ყველა ის მნიშვნელოვანი დოგმატური საკითხი, რომლებზედაც მიმდინარეობდა ცხარე კამათი ფლორენციის კრებაზე და ვერ მოხდა შეთანხმება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების წარმომადგენლებს შორის, შემოკლებული ვარიანტის მიუხედავად, ეს ნუსხა არ არის მოკლე რედაქცია, ტექსტი უცვლელად მისდევს ვრცელი რედაქციის ავტოგრაფისეულ ნუსხას.<sup>1</sup>

სხვა რედაქციით ტექსტშიც და სქოლიოშიც – S-286 – ხელნაწერით. ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია, არ არის გამოყოფილი თავები და სათაურები,

<sup>1</sup> გრდემლი გამოცემულია S-3269 ხელნაწერის მიხედვით. იხ. მამულაშვილი (2014).

რამდენიმეს გარდა. მე-8 თავი („მათდა მიმართ, რომელნი უფროსად და უალრესად პაპასა ხადიან სხუათა პატრიაქთა ზედა, და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ, და თავად ყოველთა ეკლესიათა და პატრიაქთა პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა და ერთპატიობითა სწორადვე მისსა და უმეტესცა სწამთ, კეთილისმოქმედი იყოს იგი, ანუ თუ სხუისა წინა აღდგომისა საქმისა“, 25v-37v), ამ ხელნაწერში აღნიშნულია როგორც მე-2 თავი. სხვაგან თავი ცალკე გამოყოფილი არ არის. ორი სათაური (1. „ცილებსათვის, რომელთა იცილებიან ბერძენნი და ლათინნი, რამეთუ ლათინნი იტყვან: „სულნი კაცნი რა-გან-ვიდენ ჯორცთაგან, მოვლენ მათთვის განჩინებულთა ადგილთა და არღარა ალოდინებენ მეორედ მოსლვისა, არცა ჯორცთა შემოსასა, არამედ მართალნი სასუფეველად მიინევიან, ხოლო სულნი ცოდვილთანი ჯოჯოხეთს აწვე დაემკვიდრებიან და იქმნების მათი გამოყვანაო“, 67r-71r) და 2. „ნათლისღებისათვის თქმული, თუ ვითარ ჩუენ, მართლმადიდებელნი, მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ ჴელითა მღდელთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღდლისაგან, არამედ ერისკაცთა და დედათა მიერ, ვითარცა ვინ დახვდეს“, 45v-50v) აღნიშნულ ხელნაწერში წარმოადგენს ტექსტის ნაწილს და არა თავის სათაურებს. ხელნაწერში სხვაგან არსად გვხვდება თავის დასახელება არც როგორც ტექსტის ნაწილი და არც ცალკე სათაურად გამოყოფილი.

მოკლე რედაქციაში ტექსტის სტრუქტურაც განსხვავებულია. ის არ მისდევს ვრცელ რედაქციაში თავების რიგს. მე-13 თავს (44v-45v) მოსდევს მე-20 თავი (45v-50v), ასევე 23-ე თავს (79v-91r) მოსდევს 25-ე თავი. 25-ე თავში (91r-v, 93r-94v) ჩართულია 27-ე თავი (92r-93r). მას მოსდევს თავები: 26 (94v-97r), 28 (97r-99r); 29 (99r-103r); 30 (103r-107r); 31 (107r-113r). ამის შემდეგ არის 24-ე თავი (113r-117v).

გვხვდება მონაკვეთები, რომელებიც „გრდემლის“ არც ერთ სხვა ხელნაწერში არ არის, მაგალითად, 25-ე თავის პირველივე აბზაცი: „არამედ თვით თავით თვისით შემოიღებენ და დაანესებენ ყოველსავე მათ მიერ შემოღებულსა და დაწნიან ყოველსა საზღუარსა მამათასა, რათა ძუელითგანნი წმიდანი არღარა იწსენებოდენ, არცარა მათგან დადებულნი საზღუარნი იყოს ეკლესიასა შინა, არამედ ყოველსა ქუეყანასა პაპა იწსენებოდეს და მისისა კარდინალებისა განწესებული იყოს ყოველსავე ეკლესიას შინა, რამეთუ სხუათა მათ უწესოებათა თანა ესეც დაწსენეს და სხუებრ შემოიღეს, რათა წმიდათა მოციქულთაგან განწესებული წირვა და თვით მეუფისა ქრისტესგან არღარა იყოს და მისთა ღმრთის მეტყუელთგან, არამედ მათგან და მათ მიერ განწესოს ყოველი“ (91v-92r).

S-286-ში ზოგიერთი თავი და ეპიზოდი გამოტოვებულია, მაგალითად: 27-ე თავი, ხოლო 37-ე და 38-ე თავები შესაძლოა დაკარგული იყოს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია.

ბესარიონმა თხზულებას უწოდა „გრდემლი“. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ გრდემლი შემდეგნაირადაა განმარტებული: „გრდემლი – ილეკროს<sup>2</sup> გასაჭედი, ძირს სადები“ [სულხან-საბა ორბელიანი, 1991:168], ანუ ლითონის საჭედი დანადგარი. აქედან გამომდინარე, ბესარიონ ორბელიშვილის პოლემიკური თხზულების მეტაფორული სათაური შინაარსის ლაკონიური გადმოცემაა, ე.ი. მან ხაზი გაუსვა აღმოსავლეთის ეკლესიას, მართლმადიდებლობას, როგორც ქვეყნარტი სარწმუნოების სამჭედლოს. გრდემლი, როგორც სარწმუნოების სიმტკიცის აღმნიშვნელი ალეგორიული ფორმა, ქრისტიანული მწერლობისათვის ნაცნობი მხატვრული სახეა. მაგალითად, ის დასტურდება „ირინა ქალწულის წამებაში“: „მე ვარ გურდემლი, რომლისა ზედა იცემებიან ყოვლისა სიბოროტისა საქმენი“ [S-1560:6r].

ყველა ხელნაწერში, რომლებიც სრული სახითაა მოღწეული, გადამწერი თხზულებას უწოდებს „გრდემლს“, უფრო ზუსტად „სიტყვის-გება ლათინთა მიმართ ჩუწნ, მართლმადიდებელთა მიერ, თუ რა არს მათი ჩუწნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონისა მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯელ მრავალმთისით, მონასტერსა წმიდასა ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი“. მხოლოდ ერთ ხელნაწერში, კერძოდ, ხეც. A-1395 გადამწერი თხზულებას უწოდებს „სამოთხეს“, ანუ „მრავალმდინარეს“: „სიტყვისგება ლათინთა მიმართ ჩვენ, მართლმადიდებელთა მიერ, თუ რა არს მათი ჩუწნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელ იყო მონასტრით ნათლისმცემლისად უდაბნოთ გარესჯისათ მრავალმთით, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების მრავალ-თუალ მდინარე, გვაკურთხენ“. თხზულებას გადამწერის ხელით აწერია „სამოთხე მრავალმდინარე“.

XVII-XVIII საუკუნეებში თხზულებების ალეგორიულ-მეტაფორული დასათაურება მიღებული ტრადიცია იყო. ამის მაგალითია ტიმოთე გაბაშვილის თხზულება „მარწუხი“. ავტორი დასათაურებას შემდეგნაირად განმარტავს: „ვინჲე შეკრებად საღმრთოთა წერილთაგან, რომელნი თვთ მაშინჲე კრებასა ნათქუამნი და ზოგი შემდგომად კრებისა აღწერილნი წმიდათა მამათაგან, არათუ ჩემით შემინჲყვეს რაჲმე წმიდასა ამას კრებასა, არამედ თვთ ღირსთა პირისათა ნაბიჭვენი აღმომივსიეს. და ვუწოდეთ წიგნსა ამას მარწუხი, მტკვრთველი შვდთა ნაკურცხალთა ნამდვილი ესაიასებრ ბაგე“ [A-120:9r].

„გრდემლის“ დაწერის ზუსტი თარიღი უცნობია. არცერთ ხელნაწერში,

<sup>2</sup> „ილეკრო – ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა, რვალსა, თითბერსა და ყოველთა მისთანათა ერთბამად“ [სულხან-საბა ორბელიანი, 1991:327]

ბესარიონ ორბელიშვილის დაწერილ, გადწერილ თუ დაკვეთილ ხელნაწერში არ არის მითითებული მისი დაწერის კონკრეტული თარიღი და ადგილი. კორნელი კეკელიძე ვარაუდობდა: „ეს თხზულება მას დაუწერია ჯერ კიდევ ბერ-მონაზვნობისას, როდესაც ის დავით-გარეჯში მოღვაწეობდა, მაშასადამე, 1729 წლამდე, იმ დროს თბილისში მყოფ ლათინთა მოძღვრის, ფრანცისკო ბოლონიელის კაფუციანის დახმარებით“ [კეკელიძე, 1960:350]. მაგრამ კორნელი კეკელიძის ვარაუდი ნაკლებ სარწმუნოა ბესარიონის კათალიკოსად კურთხევის არაზუსტი დათარიღების გამო. ასევე, ქართულ წერილობით ძეგლებსა და მიხეილ თამარაშვილთანაც კი თითქმის არ იძებნება მონაცემები ფრანჩესკო ბოლონიელის საქართველოში მოღვაწეობის თარიღზე.

ის, რომ „გრდემლი“ ბესარიონის ბერობისას უნდა დაწერილიყო, თანაც დავით-გარეჯის უდაბნოში, დასტურდება სათურითაც: „სიტყვის-გება ლათინთა მიმართ ჩუზნ, მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს მათი ჩუზნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონისა მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯელ მრავალმთისით, მონასტერსა წმიდაჲსა ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი“. აღსანიშნავია ერთი დეტალიც: არცერთ დოკუმენტში – ონოფრე მაჭუტაძის დიდ გუჯარში, Ad-1028, დათარიღებული 1712 წლით, ასევე ხეც. Ad-307, 311, 317, 367, 404, 416, 454, 456, 862, შდ-2009 – „გრდემლი“ ნახსენებიც კი არ არის. მიხეილ ქავთარია „გრდემლის“ დათარიღებისას სხვა კრიტერიუმს იყენებს, კერძოდ, თხზულებაში ავტორი თავისი პოზიციის, ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მრავლად იყენებს ამონარიდებს ბიბლიური წიგნებიდან, ძველი და ახალი აღთქმიდან, ფსალმუნებიდან, თავისა და მუხლის მითითებით. ბიბლიური წყაროების მითითებების ამგვარი მეთოდის ავტორად ილია აბულაძე [აბულაძე, 1936:254] სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევს. მიხეილ ქავთარია თვლის, რომ სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონის“ ადრეულ რედაქციებში, რომლებშიც ერთ-ერთ წყაროდ გამოყენებულია ბიბლიური წიგნები, ციტატების მუხლობრივი მითითება კანტი-კუნტადაა, არაა სისტემად ქცეული, სამაგიეროდ ბოლო რედაქციებში კი საქმე პირიქითაა“ [ქავთარია, 1959:108]. ამდენად, მკვლევრის აზრით, ეს მეთოდი XVIII საუკუნის პირველი ათეულის შუა პერიოდში უნდა დამკვიდრებულიყო.<sup>3</sup> ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, „გრდემლი“ უნდა დაწერილიყო 1723 წლამდე, მას შემდეგ, რაც მითითებათა ეს მეთოდი დაამკვიდრა აულხან-საბამ, ეს კი მანამდე მოხდა, სანამ ბესარიონი საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი გახდებოდა. რაც შეეხება დაწერის ადგილს – დავით-გარეჯას, ეს კამათს არ იწვევს.

ნაშრომის პირველ თავში ზოგადად არის მიმოხილული დასახელებული პრობლემა და საუბარია იმ მწვალეულობებსა და მწვალეულებზე, რომლებიც ქრისტიანობის, როგორც რელიგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბების დღიდან

<sup>3</sup> ცნობილია, „სიტყვის კონა“ 1685-1716 წლებში უნდა დაწერილიყო.



შეიქმნა. ერესების წარმოშობა, გაძლიერება და მათ მიერ ახალი დოგმატური ნორმების გავრცელება შვიდი მსოფლიო კრების მოწვევის მიზეზი გახდა. ბესარიონ ორბელიშვილი ფლორენციის კრებას მერვე საეკლესიო კრებად მიიჩნევს, ხოლო კრებაზე განხილული თეოლოგიური საკითხებისა და მასშტაბების გამო მერვე კრებას შვიდი საეკლესიო კრებას უტოლებს, ამდენად, მისთვის დასავლეთის ეკლესია მისი რელიგიურ-დოგმატური ღირებულებებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ერეტიკოსთაგანია.

თხზულების ძირითადი ნაწილის თხრობას ბესარიონ ორბელიშვილი იწყებს სული წმინდის გამომავლობის, იგივე ფილიოქუე-ს საკითხის განხილვით. აღმოსავლეთის ეკლესია აღიარებს სული წმინდის მამისაგან გამომავლობას, ხოლო დასავლეთმა დაუმატა – და ძისაგანაც. ეს საკითხი გახდა ფლორენციის კრებაზე ერთ-ერთი უმწვავესი პოლემიკის მიზეზი. ბესარიონ ორბელიშვილი ამ საკითხზე მსჯელობისას არ იყენებს ისტორიულ ფაქტებს, ის მსჯელობას იმონებს ბიბლიურ წიგნებს. უპირველესად იწყებს მრწამსის შესხენებით: „მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, ხოლო სული წმიდა მამისაგან გამოვალს“. მრწამსის ნებისმიერი ცვლილება კატეგორიულად იკრძალება საეკლესიო კრებების განჩინებით. ამიტომაც უმთავრესი დოგმატური ნორმის უგულებელყოფა ბესარიონ ორბელიშვილისთვის იმ ერეტიკულ განწყობებს უტოლდება, რომლებიც საეკლესიო კრებებმა განჩინებით განკვეთეს ეკლესიის წიაღიდან. მთავარი არგუმენტი, რომელსაც ეყრდნობა დასავლეთის ეკლესია, არის იოანეს სახარება 15.26 „ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის და თქუენცა მონამე ხართ“ [იოანე 15,26]. ავტორი დასავლეთი ეკლესიის თეოლოგებს ბიბლიური წიგნების არასწორ აღქმასა და მიკერძოებულ ინტერპრეტაციაში ადანაშაულებს და დასძენს, რომ დასავლეთის ეკლესია უფრო მეტ მკრეხელობას იჩენს და მიიჩნევს, რომ „სულსა წმიდასა სიყვარულად უწმობენ“, სიყვარული კი არის შვიდიდან ერთი სათნოება, ის არ არის „გვამი“, ვნება, მით უფრო ვნება არ არის სული წმინდა.

ფლორენციის კრებაზე ვერ შეძლეს შეთანხმება პაპის უფლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. ვატიკანის კარს სრულიად ქრისტიანულ სამყაროსთან ჰქონდა პრეტენზია და მოთხოვნა, ელიარებინათ ვატიკანის თავის უფლებრივი სწორუპოვრობა, პაპის პრიმატობა, მინიერ სამყაროში პაპის უცოდველობა და მისი აღიარება ქრისტეს მოადგილედ. ეს მოთხოვნა იყო გაჟღერებული საქართველოს სამეფო კარსა და დიდებულებთან გამოგზავნილ წერილებში, ეს

მოთხოვნა დააყენეს ფერარა-ფლორენციის კრებაზეც. ამას ემატებოდა მოციქულ პეტრეს აღმატებული მდგომარეობა თორმეტ მოციქულთა შორის, ამიტომაც ბესარიონი საკმაოდ ვრცლად საუბრობს და განმარტავს მოციქულთა იერარქიულ თანაფარდობას. მსჯელობისას იმონუმებს საეკლესიო კრებების კანონებს, წმინდა მამების ბიოგრაფიებსა და სწავლებებს, აგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს. ესენია: „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება“, „გრიგოლ აკრაკანტიელის ცხოვრება“, „გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმა“. ბესარიონი იხსენებს გიორგი მთაწმინდელისა და ანტიოქიის პატრიარქის დისკუსიას, ცდილობს, ხაზი გაუსვას ქართველთა ურყევ ხასიათს ნებისმიერი განსაცდელისას. ბესარიონ ორბელიშვილის რიტორიკაში იგრძნობა გალიზიანება, როცა ის საუბრობს მოციქულ პეტრეს უპირატესობაზე. პაპისტა არგუმენტი სახარებიდან „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია“ [მათე 12,15], ავტორისთვის არასწორადაა გააზრებული და ერთი მოციქულის გამორჩევა რელიგიური ესთეტიკის, ღირებულებებისა და ზოგადად, დანარჩენ მოციქულთა შეურაცხყოფაა, ამიტომ ბესარიონს უხვად მოჰყავს მაგალითები სახარებიდან, სადაც იგრძნობა მოციქულ პეტრეს მერყევი ხასიათი.

თხზულებაში საუბარია განსაწმენდელსა და „საუკუნო ჯოჯოხეთზე“, რომელსაც აღიარებენ პაპის მოსავენი და თვლიან, რომ საუკუნო ჯოჯოხეთში „შევლენ უნათლავნი და ურწმუნონი, და აგრეთვე ქრისტიანენი უაღსარებონი და ყოველთაგან მოუქცეველნი“, თუმცა, მათი მოსაზრებით საუკუნო ჯოჯოხეთში არის ადგილი, სადაც აღსარებულნი, მაგრამ არა მონანიენი შევლენ და „ჟამ რავმდენმე შევლენ და სრულიად განმენდნი გამოვლენ“. ამგვარი მოსაზრება, ავტორის აზრით, ორიგენიზმის გაგრძელებაა და ის „დიდი სქიზმის“ შემდეგ წარმოიშვა. პაპისტები არ აღიარებენ არც ქრისტეს ჯოჯოხეთში მიმოსვლას და ცოდვილი სულებს დახსნას. ამ საკითხზე ფლორენციის კრებაზე მწვავე კამათი გამართულა, ბესარიონ ორბელიშვილი აღნიშნულ საკითხს რამდენიმე თავს უთმობს. ძირითადი არგუმენტები მას მოჰყავს გრიგოლ რომის პაპის „დიალოლონიდან“.

ფლორენციის კრებაზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა განიხილეს ორ ეკლესიას შორის ლიტურგიკული – ნათლისღების, ზიარების, მარხვის, ლოცვის, ჟამისწირვის – სხვაობაც. ორი ეკლესიის სხვაობა გამოხატულია ჩვილთა და დედათა ნათვლაში, მირონცხებაში, მარხვის აღსრულებაში, ღვთისმსახურებაში, „უცომოსა და საფუვრით“ ზიარებასა და ჩვილთა უზიარებლობის წესში, საკურთხევის განლაგებაში. ეს ის საკითხები იყო, რომლებზეც რომის ეკლესია ფიქრობდა კომპრომისზე წასულიყო, თუ წინამორბედ საკითხებზე უნია შედგებოდა. შესაბამისად, ბესარიონ ორბელიშვილი დეტალურად განხილავს ორი ეკლესიის დოგმატურ-ლიტურგიკულ სხვაობას, მაგრამ შედარებით მოკლედ მსჯელობს, ვიდრე ზემოთ დასახელებულ საკითხებზე.

„გრდემლი“ ასევე საუბარია დასავლეთის ეკლესიის მიმდევართა კვების კულტურაზე – „რომელნი ყოველსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ“ და „პირუტყთა შეყვანისათჳს ეკლესიათა შინა“.

## დასკვნა

შევისწავლეთ რა XVII-XVIII საუკუნეების ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებები, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. XVIII საუკუნემდე ქართული მწერლობა ღარიბი იყო ორიგინალური და ნათარგმნი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებებით. წერილობით ძეგლებში დასტურდება მხოლოდ ერთი ნაშრომი – ევსტათი ნიკიელის თხზულება „მოსაჯსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“, რომელიც წარმოადგენს XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული – „დოგმატიკონის“ ნაწილს.

ფერარა-ფლორენციის კრებამ (1438-1445) მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართველთა დაინტერესება კათოლიციზმით ფლორენციის კრება და მისი შედეგები უნდა ყოფილიყო მიზეზი საქართველოში ისეთი თხზულებების შექმნისა, როგორებიცაა:

- „განდგომილებისათვის რომისა, ოდეს ისინი განდგნენ მართლმადიდებლობისაგან“. შემორჩენილია თხზულების ოთხი ნუსხა, ყველა ერთი რედაქციისაა. უცნობია ავტორი და მთარგმნელი. თხზულება შედგება სამი თავისაგან. ავტორი განიხილავს პრობლემის ისტორიული საფუძვლებსა და მიზეზებს.
- „ფლორენციის კრება“, შემორჩენილია ერთი რედაქციის ორი ნუსხით, ერთი თავ-ბოლონაკლულია და მეორე სრულყოფილი. თხზულება არ არის პოლემიკური შინაარსის. აქ დეტალურადაა განხილული კრების მიმდინარეობა და მინაწერის სახით საუბარია მოსალოდნელ ტრაგიკულ შედეგებზე.
- ქართულ მწერლობაში კათოლიციზმის ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა ბესარიონ აფხაზთა კათალიკოსის „აღსარება სარწმუნოებისა“.
- ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“, რომელიც ავტორს XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე, აღსაყრდებამდე, უნდა დაენერა.

XVII-XVIII საუკუნეებში ქართველ მწიგნობართა სურვილი დასავლური კულტურის უგულუბელებოფა ან დაკნინება არ ყოფილა. მათი მიზანი იდეოლოგიური, თეოლოგიური სხვაობის აღნიშვნა იყო, რომელმაც ავტონომიური ეთნოკულტურული სახეც მიიღო. „გრდემლიც“ სწორედ ტრადიციად ქცეული თეოლოგიური, ყოფითი, კულტურული, პოლიტიკური ღირებულებების დასაცავად და ხაზგასამელად დაინერა.

## INTRODUCTION

17th-18th centuries are a time of political turmoil and drama in the history of Georgia. The small country divided into kingdoms was looking for a strategic partner everywhere – in the West, in the East, in the North. Every political direction had some kind of positive and negative, risky moments as well. The East was an old, experienced rival, with familiar political tastes, ideology, strategy and military capabilities, the Russian and European factor became to be taken into account from the point of view of religious unity. Of European the missionary movement, the religious suspicions between Orthodoxy and Catholicism gradually began among Georgians, especially in the southern regions of Georgia, the so-called Muslim Georgia and Eastern Georgia, and later the Catholic parish multiplied in the large and strategic industrial centers of Georgia in Gori, Kutaisi, etc. This process became irreversible, even more in the 17th century, which was not denied by the followers of Western ideology. M. Tamarashvili noted: „In our opinion, this century (meaning the 17th century) should be considered one of the best times for Catholicism, because, as we have seen, the Pope’s attention and missionary work have not been fruitless.“ Cultural and educational centers, including the largest academic corporation, Gareja Literary School, had a particularly large place in the formation of public opinion during this kind of political upheaval. It worked in several directions, three of them are noteworthy: 1. Cultural-educational activities (creation-reproduction of manuscripts, establishment of libraries, upbringing of the young generation). 2. Development of hagiographic and hymnographic-liturgical collections; 3. Creation of dogmatic-polemical literature.

The historical events of the 15th century, the Council of Florence and the fall of Constantinople completely changed the world political order. The epoch also brought with it the need to properly assess both the violent opponent and the ideological opponent. This last mission was the function of the polemical literary direction. The polemical direction is one of the oldest and most important fields of writing, as Christianity (as well as other denominations) had opponents from the very beginning, whose neutralization became the task of polemical writing. Polemical writing had to respond not only to non-Christian religious currents, but also to the attacks of different Christian denominations, including Catholicism. The purpose of polemical writing is to explain the essence of the problem and justify the presented position on the basis of solid argumentation. The argumentation had to be persuasive and reportable, that’s why in such writings the phrases were measured with strict academic quality and based on a rich intellectual resource. Opponents of polemical writings were perceived not only by polemicists, theologians or clerics, but also by the entire state institutions, representatives of various states and society as a whole.

Creative processes depend on epoch-making events, so literary genres were created at different times and in different circumstances, this became the basis for cre-

ation of polemical writing. Polemical writing is connected with the origins of Christianity as a religion and the beginning of religious writing. It had to answer heretics and heretic directions, as well as to representatives of other religions and denominations, for violating the rulings of the seven ecclesiastical councils. The proliferation of anti-Catholic writings in Georgian literature of the XVIII century also had its ideological and political basis.

In XV century, in 1453-year, Byzantine Empire had come to an end, thus ending its cultural and ideological influence on the rest of the Orthodox world. As it is known, this council was held in stages – in 1438-1445. As many researchers (I. Ushikishvili, E. Mamistvalishvili, A. Pogodin and others) note: “The sources about the Council of Florence written in Latin and Greek, are missing.” Missing or unseen (hidden) sources give rise to various arguments and assumptions. The fact is that main topic of discussion at the ecclesiastical council – theological-dogmatic issues – was the context of the existing political situation.

Manuscripts, reflecting and describing Council of Florence-Ferrara, are preserved at Georgian Center of Manuscripts. Basically, these manuscripts have anti-Catholic polemical content and all of them date back to the XVIII century, before that there are no signs of translated works of anti-pope content in Georgian literature except the work of Eustatius Nikieli “A Short Story of the Romans and Their Church Separating from the Eastern Church”. The work is preserved only in “Dogmaticon” by Arsen son of Vache, dated by XII-XIII centuries. Arsen son of Vache, the same Arsen Ikaltoeli, understood the multifaceted content of dogmatic-theological difference between the two churches, basis and perspective threat for the Christian world, including Georgia, so he included works of Eustatius Nikieli in his collection.

The interest of the Western Catholic world in Georgia and the Transcaucasia begins much earlier, in the XIII century, comes to life and expands in the following centuries. The current political crisis provided a fertile ground for its progress, in addition to the influx of European capital to strengthen its missionary work. Catholic literature in the form of manuscripts and printed books started to appear. Georgian manuscript funds preserve liturgical, bibliological, theological and other literature. The work of the missionaries did not influence Georgian literature, except for Sulkhan-Saba’s “Paradise Gate”. One detail is worth mentioning – the manuscript was one of the means of communication with the public in the period when there were no media outlets. The addressee of the writer’s speech was not only his literary opponent, but also the society, so the author took into account the different tastes and claims of the society, tried to make every word, phrase, opinion, argument in the work refined, correct, academic.

The war situation is characterized by one difficulty: the population must be accurately explained the cause, purpose and historical significance of the imminent death of the victim; it is more difficult to explain to the society the danger and its expected

result, which enters the Georgian political and public space with full humanity, liberal ideology, without any violence. This became the reason for the proliferation of anti-Catholic polemical writings in Georgian literature.

In the preceding work, we present the publication of four works of the 18th century, which are about Catholicism. They are not distinguished by the observance of the norms of the literary language. „Grdemli“ was written in the 1st quarter of the 18th century, its lists do not follow the norms of the literary language. Often the same word has different graphemes – ა/ო, ჳ/უ, ჳ/ვო, ჳ/ბ – substitution of უ (u) and ვ (v), inclusion of ჰ (h), doubling of ნ (n) and other syntactic-morphological-phonetic norms. It is worth noting one fact, which is particularly highlighted in Besarion Orbelishvili's „Grdemli“, namely, in many cases, biblical quotations are either incorrectly or not verified at all.

\*\*\*

### “Council of Florence”

This work is not polemical, it is a detailed description of the congregation and depicts the period of the Ottoman Sultan Murad II, the Byzantine Emperor John Paleologos and Pope Eugene IV. The decision does not say anything about the decision, only mentions the mood of the Byzantine delegation and emphasizes that the Greeks returned to Constantinople disappointed with the result of the meeting. Despite of the content of the manuscript, it is essentially, thematically and ideologically close to the literature of anti-Catholic sentiment. Two lists of the manuscript are preserved: 1. A-1443 and 2. Q-1391. Both manuscripts date back to the 18th century. Both manuscripts consist of only above-mentioned works and are performed in Mkhedruli script. The author or recorder of the work may be someone called Eugenius. It's unknown whether Eugenius attended the council or not and on the basis of which sources he wrote the manuscript. It seems the text was lately translated from Greek, as Constantinople is mentioned as Istanbul, that was impossible until 1453 year. The city wasn't renamed immediately after its fall. So the story was translated later.

Manuscript A-1443 is perfect. According to postscript the manuscript was written by Ieronim Aleksiev. There is a postscript on the cover of the manuscript that says that the manuscript was owned by the grandfather of Archimandrite Taras. Taras was from a famous family of writers, including Aleksi Meskhishvili and the rector of the Telavi Academy, David.

The manuscript also has an inscription of prophetic content. The text contains a reminder of the consequences or a kind of warning that would follow the expected expansion of the Turks.

The beginning and the last chapter are missing in the manuscript Q-1391. The part of manuscript, that tells about beginning and finishing of the council, is lost.

### **“For the Apostasy of Rome from Orthodoxy”**

Another work of anti-Catholic content “For the Apostasy of Rome from Orthodoxy” belongs to the same period. The essay consists of three chapters: 1. For the apostasy of Rome, why they stepped aside from the Orthodox faith and the Holy Church; 2. The reign of Constantine and his mother Irine; 3. Also, for the torment of Latins. There are four lists of manuscripts in the manuscript fund: Q-52, S-1596, A-1132, H-1000. None of the manuscripts indicate the author of the works, nor is he known, whether original or translated, it is believed that it should have been translated from Russian.

### **Besarion Abkhaz Catholic – “Confession of Faith”**

Another work “Confession of Confession” (#101) preserved in the personal archival fund of Mikheil Tamarashvili dates back to the 18th century, which is attributed to Abkhazian Catholicos Bessarion. He was the Catholicos-Patriarch of Western Georgia, Abkhazia in 1742-1769. It is known that during the period of Catholicism of Western Georgia, Bessarion got close to and patronized the Capuchin missionaries. By 1750, he should have already accepted Catholicism. It was during this period that he had to write the so-called “Confession”, which is only available with this record.

### **Besarion Orbelishvili’s “Grdemli”**

Besarion Orbelishvili’s “Grdemli” is an extensive anti-Catholic polemical work, a treatise. It is a literary-theological product of the political and social content of the XVIII century. The basis of the state is the ideology of the country. Ideology is created by culture, education, science, so if the representatives of the Georgian political or intellectual elite could not unite the state and stabilize it politically, they tried their best to develop scientific and educational centers. This is proved by the opening of a printing house in Tbilisi in 1709, the existence of the David-Gareji Literary School. At the time, it was a major scientific hub, with its own infrastructure and figures: calligraphers, translators, artists, and researchers. The existence of such a scientific structure was a luxury for a weakened country. Creating a manuscript required a great deal of financial and intellectual resources. A special role in this great case was played by Besarion Orbelishvili-Baratashvili, who worked in Gareji, which is confirmed by the inscription A-624 manuscript and by Mikh. Khelashvili’s article published in the newspaper “Iveria” (# 208); in 1886. The idea of creating a special work was developed exactly at the David Gareji Literary School, which, through fundamental analysis, explained to the public the difference between ideological and traditional norms, namely, it was the definition of the difference between the Catholic and Orthodox religions. Famous ecclesiastical writer of that time, Besarion Orbelishvili was asked to write it.

References to Besarion Orbelishvili's biography are scarce. From the will of one of his manuscripts (A-105) we learn that Besarion's parents were named Bezhan and Mariam. The manuscript was copied in 1697, i.e. by this time, he is already in Gareji. We do not find any other information about his parents, and as for his work Gareji, according to P. Karbelashvili, he settled in Gareji in 1680 year. His brother Simon worked with him in Gareji.

Various records have been preserved regarding the date of Besarion Orbelishvili's blessing as the pastor of Georgia and his death. It is known that he became Catholicos by after the Catholicos Domenti left for the Ottoman Empire. The date of his coronation varies between 1724-1738 years. There are also differences of opinion regarding the death of Besarion Orbelishvili. He died in Mtskheta and is buried in Svetitskhoveli, the date of death on the tombstone is 1735.

It is interesting what information the sources provide about Besarion Orbelishvili's worldview. The correspondence between Mamia Gurieli and the Catholicos Besarion on the non-purchase of captives is noteworthy. As it turns out, while he was still a monk in Gareji, he thanked Mamia Gurieli for solving this difficult problem, as it turns out that their joint efforts in this regard continued, although it was very difficult to solve this large-scale problem at that time.

To evaluate Besarion's political views, the letter of Besarion Orbelishvili, which he wrote to Vakhtang VI in 1733 year (Sd-2939), when Konstantine, owner of Kakheti died, is also interesting. It is known that Besarion Orbelishvili and Vakhtang VI had different political views. This letter is a proof that his personal relationship did not prevent him from thinking in a state way, from perceiving the function of the king. That is why Ioane Batonishvili ("Kalmasoba") and Anton Bagrationi ("Tskobilskvaoba") access Besarion Orbelashvili's merit in such a high manner.

Besarion Orbelishvili, the chief pastor of the Church of Georgia, was, most importantly, a great scribe:

1. The author of the original works (he wrote the anti-Catholic polemical work "Grdemli", hagiographic works: „Hymn to the Robe of Jesus“, “The Hymn to the First Martyr Rajden“, “The Hymn Written for the Robe“.

2. Besarion was also a copyist, as evidenced by the manuscript wills. From the manuscripts that have come down to us, he copied: 1. A-59, a collection attested by a manuscript inscription. 2. A-105. The collection, 1697, was copied by Besarion Orbelishvili in the Gareji Desert; 3. A-121, Pope Gregory of Rome, Dialogon. 1715-year, Besarion and Iobi are considered as copywriters; 4. A-178, Collection of Sacred Contents; 5. A-196, Collection of Sacred Contents; 6. A-198, Euchologion (prayer), 1696 year, copywriter Besarion Orbelishvili, place of copying Davit-Gareji Monastery of John the Baptist. 7. S-3269, The collection of sacred contents, which has several scribes, including the ones named Iobi, Philip, copied in the Gareji Church, the exact date is



unknown; 8. Q-814, XVIII century. A collection of sacred content, written in mixed script with Nuskhuri and Mkhedruli. Someone called Besarion is considered to be a copwriter, maybe this is Besarion Orbelishvili, because the handwriting is very similar to Besarion's writing.

3. Besarion Orbelishvili also ordered manuscripts: according to the descriptions, the manuscripts copied by his order are: 1. A-100, Basil the Great, Itika. 1713 2. A-103, Collection of Sacred Contents; 3. A-130, A collection of religious content; 4. H-1557, Life of John the Baptist, 1713-year. 5. Q-85, Tetraevangelion. 1719-year, Father Khariton and Besarion Son of Orbeli.

As already mentioned, the main work of Besarion's literary work is the large-volume treatise „Grdemli“, which is the most complete anti-Catholic essay in Georgian. The book discusses the dogmatic-theological issues between the East-West churches.

Besarion Orbelishvili's „Grdemli“ was written in response to the theological-dogmatic decisions made at the Council of Florence, to explain the results obtained there, where a point and consistent answer is given to the differences between the Western and Eastern Churches, on the traditional norms reflected in the daily ecclesiastical and everyday life of Georgian Orthodox life.

It should be noted that, in general, in the eighteenth century, the Catholic missionaries throughout Eastern Georgia were confronted by the Armenian trading capital, and their disputes are mainly seen with the representatives of the Gregorian Church. Accordingly, it is possible to consider the political component as the reason for writing the anti-Catholic works – „Grdemli“. In particular, since 1712, after Vakhtang went to Iran, Iase Bagrationi appeared as the main opponent of him and Catholicos Domenti. Later, it was with Iase's clear support that Besarion became a Catholicos. It is known that Besarion Orbelishvili wrote the work before he was enthroned as a Catholicos, maybe he wrote it after Vakhtang's departure to Iran. Therefore, it is worth considering whether the anti-Catholic treatise was a reflection of the Vakhtang-Iase conflict? More specifically, his writing was a response to Vakhtang's political moves, namely Sulkhan-Saba Orbelian's departure to Europe?

Western political values may have been controversial or acceptable in Georgia ages and beyond, but what threatened Georgian cultural values and the nation's identity could not be ignored by Georgian figures. K. Kekelidze noted, that B. Orbelishvili wrote “Grdemli” with the help of Francisco Bolognese Capuchin, a Latin teacher in Tbilisi at the time. P. Karbelashvili had the same opinion, that confirms the healthy controversy of opponents of different views and respect for each other's cultural values. M. Kavtaria notes: “It (meaning the anti-Catholic work” Grdemli “and the literature created in Gareji) is also a work of great practical importance, which played a prominent role in shaping Georgian public opinion.” [Kavtaria, David Gareji Literary School, 1965].

„Grdemli“ is preserved in twelve manuscript books in the funds that have reached us. Extensive and short editions are distinguished. There are ten lists of extensive editions and one of short editions. Six of the eleven lists<sup>4</sup> – A-119, 156, 298, 1395, 1591, 1791; S-1596, 3269, Q-92, Giesm-1114, K-1130 and one – short edition (S-286). Six of the eleven lists – A-119, 156, 298, S-1596, 3269, K-1130 – consist of 38 chapters, four – A-1395, 1791, Q-92, Giesm -1114 – from 37 chapters, The named manuscripts lack the last chapter – „The author of this book answers the people of Pope“. One – A-1591 consists of 26 chapters. The named list is not a short edition. His copyist Kristesia Samdashvili decided to include in her writings all the issues that were hotly debated at the Council of Florence and no agreement could be reached between the representatives of the Western and Eastern Churches. Despite the abbreviated version, this list is not a short edition, as the existing text invariably follows the autograph list of the extended edition.

A short edition has survived in one manuscript – S-286 – the manuscript is chapter-endless, there are no separated chapters and titles, except for a few. Chapter 8 of the extensive edition is referred to as Chapter 2 in this manuscript: (25v-37v). Elsewhere, chapter numbering is nowhere to be found, only the names of the chapters are mentioned: (67r-71r), also (45v-50v). – In the mentioned manuscript, it is part of the text and not the title of the chapter. Nowhere else in the manuscript does the title of the chapter appear either as part of the text or as a separate heading.

The order of the text in the short edition is also different, it does not follow the order of the long edition. The 13th chapter (44v-45v) is followed by the 20th chapter (45v-50v), and the 23rd chapter (79v-91r) is followed by the 25th (91r-v, 93r-94v), in the middle of which the 27- Chapter E (92r-93r). They are followed by chapter 26 (94v-97r); Chapter 28 (97r-99r); Chapter 29 (99r-103r); Chapter 30 (103r-107r); After chapter 31 (107r-113r) chapter 24 (113r-117v).

There are passages that are not found in any other manuscript of “Grdemli”, for example, of chapter 25, there is a passage that is not in any other manuscript of “Grdemli”(91v-92r).

In S-286, some chapters and episodes are omitted, for example: chapter 27, and chapters 37 and 38 may be missing because, as mentioned above, the manuscript is incomplete. Besarion called the work “Grdemli”. In Sul Khan-Saba’s “Sitkvis Kona” (Georgian Dictionary) Grdemli is explained as follows: “Grdemli – to press ilecro<sup>5</sup>, to put it down” [Sul Khan-Saba Orbeliani, 1991:168], that is, a metal pressing device.

Therefore, the metaphorical title of Besarion Orbelishvili’s polemical works is a

---

<sup>4</sup> The extensive edition of “Grdemli” was published according to manuscript S-3269, see Mamulashvili

<sup>5</sup> «Ilekro – is called a combination of gold, silver, copper, iron, lead, tin, copper, brass and everything else» [Sul Khan-Saba Orbeliani, 1991:327]

concise rendering of the content, i.e. he emphasized the Eastern Church, Orthodoxy, as the forge of the true faith. Grdemli, as an allegorical form denoting the strength of faith, is cited in "The Torture of Irina the Virgin": „I am the weapon on which all evil deeds fail." [S-1560:6r].

In all Grdemli manuscripts that have survived in their entirety, the scribe calls the work "Grdemli", more precisely – „An answer to the Latins from us orthodox, what is the cause of their separation from us. It was told by the elder-monk Bessarion, who was in the monastery of the Holy Baptizer in the desert of Garej of the Many Mountains, and this book is called Anvil (Gurdemli)". Only in one manuscript, namely, A-1395, the copyist calls the work "paradise": „An answer to the Latins from us orthodox, what is the cause of their separation from us. It was told by the elder-monk Bessarion, who was in the monastery of the Holy Baptizer in the desert of Garej of the Mravalmtly Mountains, and this book is called Multi-tributary river, They bless us". The text is written by the scribe's hand as "Paradise, Mravalmdinare". The manuscript is not a collection, it contains only the writings of Besarion Orbelishvili, copied in the 18th century by someone Romanozi. In the 18th century, monk Romanozi, who was also a scribe, worked in the Gareja monastery. The manuscript of "Davitni" transcribed by him is also preserved – A-914.

In the Middle Ages, the allegorical-metaphorical title of works was an accepted tradition. An example of this is "Martsukhi" by Timothe Gabashvili. The author explains the title as follows: „I began to collect the divine letters, which were said at the councils and some were described by the holy fathers at the following councils, nothing was said by me at the holy councils, but the work of the worthy persons themselves, and I called this book Pincers(Marwukhi)" [A-120:9r].

The exact date of writing "Grdemli" is unknown. In none of the manuscripts written, copied or ordered by Besarion Orbelishvili, the specific date and place of its writing is not indicated. Korneli Kekelidze assumed: "He wrote this work while he was still a monk, when he worked in Davit-Gareja, therefore, before 1729, with the help of the Latin teacher Francisco Bologna of Capuchin, who was in Tbilisi at that time" [Kekelidze, 1960:350]. But Korneli Kekelidze's assumption is less reliable, due to the inaccurate dating of the consecration of Besarion as a Catholic, as well as in Georgian written monuments and even with Mikheil Tamarashvili, almost no data can be found on the date of Francesco Bolognali's work in Georgia.

The fact that "Grdemli" should have been written during Besarion's monkhood, and in the desert of Davit-Gareja, is also confirmed by the title: „An answer to the Latins from us orthodox, what is the cause of their separation from us. It was told by the elder-monk Bessarion, who was in the monastery of the Holy Baptizer in the desert of Garej of the Mravalmtly Mountains, and this book is called Anvil (Gurdemli)". One detail is worth noting, not in any document – Onofre Machutadze's Big Gujari, Ad-

1028, dated 1712, as well as Ad-307, 311, 317, 367, 404, 416, 454, 456, 862, Sd-2009 – “Grdemli” is not mentioned. M. Kavtaria uses a different method when dating “Grdemli”, in particular, in the work, the author uses excerpts from biblical books, Old and New Testaments, Psalms to prove his position and truth. As the author of this method, I. Abuladze [Abuladze, 1936:254] considers Sul Khan-Saba Orbeliani. M. Kavtaria believes that in the early editions of Sul Khan-Saba Orbeliani’s “Sitkvis Kona”, in which biblical books are used as one of the sources, the verse reference of the quotations is little, not turned into a system, but in the latest editions, the opposite is the case” [Kavtaria, 1959:108]. Thus, according to the researcher, this method should have been established in the middle of the first decade of the 18th century <sup>6</sup>. Based on these considerations, “Grdemli” should have been written before 1723, before Besarion became the head of Georgian Church. As for the place of writing, this is not controversial.

The first chapter gives a general overview of the named problem and deals with the heresies and heretics that have arisen since the establishment of Christianity as a religious direction. The rise of heresies and the spread of new dogmatic norms by them led to the convening of seven ecclesiastical councils. Besarion Orbelishvili considers the Council of Florence to be the eighth ecclesiastical council, and the theological issues discussed at the congregation are equal to seven ecclesiastical councils due to their scale, so for him the Western church is one of the heretics because of its religious-dogmatic values.

Besarion Orbelishvili begins the narration of the main part of the works by discussing the issue of the descent of the Holy Spirit, the same filioque. The Eastern Church recognizes the descent of the Holy Spirit from the Father, while the Western adds – and from the Son as well. This issue became the cause of one of the most heated controversies at the Council of Florence. The Church of Rome managed to convince the vast majority of the congregation of the truth with a reminder of the coming tragedy or with theological evidence, but there was one disobedient, Mark of Ephesus and the exiled Iberian representatives of the church who neither shared nor confirmed the revelation of „and the Son“. Besarion Orbelishvili does not use historical facts when discussing this issue, he uses biblical books when discussing. It begins with a reminder of Apostles’ Creed: „I believe in one God, the Father almighty, maker of heaven and earth and of all things visible and invisible. And in one Lord Jesus Christ, the only-begotten Son of God, begotten of the Father before all ages, God of God, Light of Light, very God of very God, begotten not made, being of one substance with the Father, through Whom all things were made“. Any change in Apostles’ Creed is strictly forbidden by the decision of the ecclesiastical congregations. That is why the neglect of the main dogmatic norm is equal to the heretical attitudes for Besarion Orbelishvili, which were cut off from the church by the decision of the church congregations. The main

<sup>6</sup> It is known that «Sitkvis Kona» should have been written in 1685-1716 years.

argument on which the Western Church relies is the Gospel of John 15.26: „When the Advocate comes, whom I will send to you from the Father—the Spirit of truth who goes out from the Father—he will testify about me“.The author accuses Western theologians of misunderstanding and biased interpretation of the Bible, adding that the Western Church is more blasphemous and believes that “the Holy Spirit is loved by love,” but love is one of the seven virtues. It is not a “corpse”, a passion, the Holy Spirit isn’t the passion.

The Council of Florence failed to agree on the legal status of the Pope. Vatican had a claim and demand to the whole of Christian world to recognize the Vatican’s own righteousness, the primacy of the pope, the recognition of the pope’s innocence in the earthly world, and the vicegerent of Christ. This “wish” was expressed in the letters sent to the royal court of Georgia and the nobles, this request was also made at Ferrara-Florence Council. Added to this requirement was the exalted position of the apostle Peter among the twelve apostles, which is why Besarion speaks in great detail and explains the hierarchical relationship of the apostles. During the discussion he mentions the scriptures as a proof, the ecclesiastical congregations, the prayers, the biographies and teachings of the Holy Fathers, the hagiographic and hymnographic works – the life of Maximus the Confessor, the life of Gregory of Acracant, the life of Gregory the Theologian. Mentioning the discussion between Giorgi Mtatsmindeli and the Patriarch of Antioch, Besarion tries to emphasize the steadfast character of the Georgians in any ordeal. Besarion Orbelishvili’s rhetoric feels irritated when he talks about the superiority of the Apostle Peter. The pope’s argument from the Gospel [Matthew 12:15] “You are a rock and I will build this church on the rock” is misunderstood by the author and the distinction of one apostle is an insult to religious aesthetics, values and the other apostles in general, so Besarion Peter’s hesitant character. Besarion therefore gives abundant examples from the Gospels where the hesitant character of the Apostle Peter is felt.

The work speaks of a purifier and an “Eternal Hell,” which is acknowledged by the Pope’s followers who believed that “unbaptized and unbelieving, as well as unbelieving Christians and unbelievers will go to hell.” However, in their opinion, there is a place in eternal hell where the confessors, but not the repentant ones, will enter and “will enter for a while and will be completely cleansed.” According to the author, such an opinion is a continuation of Origenism and it arose after the “Great Schism”. The papists do not acknowledge either Christ’s going to hell and the release of sinful souls. There was a heated debate on this issue at the Florence meeting, Besarion Orbelishvili devotes several chapters to this issue. The main arguments are taken from the “Dialoghon” by Grigol of Rome Pope .

Representatives of the Church of the West and the East also discussed the liturgical difference between the two churches – the Epiphany, the sacrament, fasting, prayer,

and sacrifice at the Council of Florence. The difference between the two churches is expressed in the baptism of infants and mothers, in fasting, in the liturgy, in the communion of the unleavened and the leaven, and in the communion of infants, in the layout of the altar. These were the issues on which the Church of Rome thought it would compromise if the uniqueness of the preceding issues consisted. Accordingly, Besarion Orbelishvili discusses the dogmatic-liturgical differences between the two churches in detail, but to a lesser extent than on the above-mentioned issues.

“Grdemli” speaks of the food culture of the followers of the Western Church – “who eat not holy and prohibited food” and “bringing the cattle in the churches”.

## CONCLUSIONS

After studying the medieval anti-Catholic polemical works and Besarion Orbelishvili’s “Grdemli” we can conclude:

1. Until the 18th century, Georgian literature was poor in original and translated anti-Catholic polemical works. Only one of the works of Eustatius Nikieli is confirmed in the written monuments „A Short Story of the Romans and Their Church, Why They Steeped Aside the Eastern Church“. The work is part of a dogmaticon dating back to the XII-XIII century.

The Ferrara-Florence Council (1438-1445) significantly determined the interest of Georgians in Catholicism:

- For the apostasy of Rome when they renounced the Orthodox faith. There are four lists of works, all of them in one edition. Author and translator is unknown. The essay consists of three chapters. The author discusses the historical basis and causes of the problem.
- The „Council of Florence“ is preserved with two lists of one edition, one missed the beginning and the last part and the other is complete. The essay is not of a polemical content. The essay discusses in detail the course of the meeting and in the form of an inscription talks about the expected tragic consequences.
- „Confession of Faith“ by the Abkhazian Catholicos Besarion is interesting from the point of view of Catholicism in Georgian writing.
- B. Orbelashvili’s „Grdemli“ written by the author before 20s of the XVIII century, before coronation.

In the 17th-18th centuries, Georgian scribes did not want to neglect or diminish Western culture, his goal was to mark the ideological, theological difference, which also took autonomous, ethnocultural form. “Grdemli” was written to protect and emphasize the theological, everyday, cultural and political values that have become a tradition.

## ტექსტებისათვის

ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტები ქართული ენის განვითარების გარდამავალ, ე. წ. საშუალო ქართულის მეორე ეტაპს (XVII-XVIII სს.) მიეკუთვნება. ეს ის პერიოდია, როდესაც უკვე სრულიად დარღვეულია ძველი ქართული ენის ნორმები და ტექსტებში უკვე თავს იჩენს თანამედროვე ქართულის ფორმები. ასეთ ვითარებაში მოვერიდეთ ტექსტებში ხელოვნურ ჩარევას და წარმოვადგინეთ ოთხივე ტექსტის დიპლომატიური გამოცემა, ანუ ცალკეული ტექსტს საფუძვლად დავუდეთ მხოლოდ ერთი, ჩვენ მიერ ჩატარებული კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად შერჩეული ხელნაწერი. ამ გადანყვეტილების მიღებაში დაგვეხმარა ის, რომ (ა) ტექსტების შემცველი ხელნაწერები ფაქტობრივად მათი შეთხზვის თანადროულია, (ბ) ვარიანტული კითხვა-სხვაობები ძირითადად მინიმალურია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ცალკეული ხელნაწერის ორთოგრაფიას.

ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“ ეფუძნება A-119 და S-286.

„განდგომილებისათვის რომისა“- ხეც, Q-52.

„ფერერა-ფლორენციის კრება“ – ხეც, A-1443.

ბესარიონ აფხაზთა კათალიკოსის „აღსარება სარწმუნოებისა“ – ხეც. მიხეილ თამარაშვილი N101.

## ტიქსტავი

### პასარიონ ორბელიძის „გრდამლი“

(ხეც. A-119)

**I თავი. სიტყვსება ლათინთა მიმართ ჩუან მართლადიდახელთა მიერ, თუ რა არს ჩუანგან მათი განყოფილება. თქმული უნდო ს და გლახაკისა ხუცას-მონაზონისა პასარიონისა მიერ, რომელი იყო უდაგნო თ ბარასჯით მრავალმთისა თ, მონასტარსა წმიდისა იონან ნათლისმცემლისასა, ხოლო ნიგნსა ამას ენოდების გურდამლი.**

მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზთათჳს და არა აღებად პირისა, რამეთუ უღირსებაჲ სულისაჲ და შიში შეუკადრებელთა შეკადრებად მიზეზ მექმნა დუმილისა, რამეთუ არა ადვილ არს, არცა უზღვოჲ უფლისა პირველ განწმედისა შეხებაჲ სინმიდეთა და უღირსთა მიახლებაჲ მიუახლებელთა.

გარნა აწინდელმა ამან ჟამმან და ახალთა ამათ ფილოსოფოსთა, რომელნი ენამჭევრობენ და მზა არიან მრავლისმეტყველებად და თვით თავით თჳსით გამოიკულებენ გამოუკულებელთა და გამოეძიებენ გამოუძიებელთა და გამოთქმად მეცადინეობენ გამოუთქუმელთა, რომელთა „პირნი მათნი დაუცჳათა შინა და ენაჲ მათი ეთრევის ქუეყანასა ზედა“. სიტყჳსა მისებრ მეფსალმუნისა, სამარე(1v)ზე აღებულ არს ჯორჯი მათი, ენითა მათითა ზაკვიდეს.

არა ისმენენ საღმრთოთა წერილთა, არცა ბრძანებათა სამეუფოთა გულსჳმა-ჰყოფენ, არამედ ახალთა და ახალთა ძიებათა შემოიღებენ და კუალად უახლესთა მიმართ მზა არიან, ვისდა რომელი და ვითარიცა სიბრძნე აქუნდეს, ეგრეთ გამოეძიებენ არსებასა და ბუნებასა ღმრთისასა, გულისჳმისყოფითა თჳსითა ჰნებაჳს გონებასა შინა თჳსსა დატევენად დაუტევენელისა და ახალი რაჲმე სჯულისდებაჲ და ახალი სარწმუნოებაჲ, რომელი არა მოცემულ არს ჩუენდა წმიდათა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა მიერ და ჭეშმარიტთა მოძღუართა, მას ქადაგებენ და მას ასწავებენ და თავნი თჳსნი უბრძნეს ბრძნეთა მათ საკრველთა და უწმიდეს წმიდათა მათ პირველთა და უღმრთისმეტყუჳლეს დიდთა მათ ღმრთისმეტყუელთა შეურაცხიეს. და მათთა მათ სჯულისდებათა ყოველთა დაწინიან და თანაწარჰვდებიან, ათთ თავით თჳსით მოძღურიან და ასწავებენ და გარდააქცევენ გონებასა მარტივთა და წრფელთასა და შეიტყუენ(1ra)ებენ უმანკოთა და უსწავლელთა.

ამისთჳს დავიკრძალე პირი ჩემი და დავიდეჳ საცოჲ ბაგეთა ჩემთა სიტყჳსაებრ დავითისა: „დავყრუედი და დავმდაბლდი და დავიდუმენ მე კეთილთაგან და საღმობაჲ ჩემი განმიახლდა, განჯარდა გული ჩემი შორის ჩემსა და ზრახვასა ჩემსა აღატყდეს ცეცხლი“ (ფსალმუნი 38,2), რამეთუ სიტყუანი



მათნი, ვითარცა ისარნი განეწონნეს გულსა ჩემსა და არა მცირედ შესწვიდა სულსა ჩემსა. ამისთვის სულთ-ვითქუჴმდ მარადის და ვიტყოდე: „ მე, რამეთუ წარწყმდა ღმრთისმოშიში ქუეყანით და განკრძალული კაცთა შორის არღარა არს, ყოველთავე მიაქციეს, ერთბამად უჴმარ იქმნეს, არავინ არს, რომელნიცა ქმნა სიტკობებაჲ, არავინ არს მიერთამდე. არა გულისჴმა-ყონ ყოველთა, რომელნი იქმან უსჯულოებასა“ (ფსალმუნი 13,3).

ან ძნიად სამე და უკანაჲსკნელ აღვაღე პირი და მოვიღე სული სიტყუსაებრ წერილისა და ვინყე კნინოდენ მეტყუელებად არა სიბრძნითა კაცობრივითა, არცა ფილოსოფოსებრ (I კორინთელთა 3,9), რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღმრთისა და სიბრძნესა ღმრთიჲსასა არა უჴმს სიბრძნე კაცობრივი, „რამეთუ ძალი მისი უსაზღვრო სრულ იქმნების უძღურებასა შინა კაც(1va)თასა“ (II კორინთელთა 12,9), ვითარცა ეტყოდა პავლეს, და სიბრძნე იგი მიუწდომელი სულელთა შორის ცხადად საცნაურ იქმნების, ვითარცა წერილ არს: „წარსწყმიდო სიბრძნეჲ იგი ბრძენთა და მეცნიერებაჲ იგი მეცნიერთაჲ შეურაცხ-ყო. სადა არს ბრძენი, სადა არს მწიგნობარი, სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისა“ (I კორინთელთა 3,4), ანუ არა განაცოფაა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ, რამეთუ ვინაჲთგან სიბრძნითა მით ღმერთი სულთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჴსითა ღმერთი, ჯერ იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისათა ცხოვრებაჲ მორწმუნეთა მით. ან მეცა, შედგომილი სწავლასა მას სულელთასა, ვიტყვ მცირედსა რასამე „და-კნინოდენსა სულელისაგან და უსწავლელისა გონებისა ჩემისა „სიბრძნესა მას ღმრთისასა საიდუმლოდ დაფარულსა“ (I კორინთელთა 3,3).

ხოლო არარასა ვიტყვ თავით თჴსით და გულისჴმისყოფითა თჴსითა, არცა გარეშეთა რათმე შემოღებითა, არამედ მათვე წმიდათა მოციქულთა და ყოვლადბრძენთა წინაჲსწარმეტყუელთა და ღმერთშემოსილთა მამათა მიერ თქუმულსა შემოვიღებ, რაჲთა არავინ ჰგონოს ჩემ მიერ უცბისა და უსწავლელისა მიერ თქმუ(2r)ლად ადრევე მათვე, წმიდათა და ნეტართა, პირთაგან დაცვივნებულსა ნაბიჭევსა შემოვკრებ და თვთ თავადისა ქრისტეს მიერ უხუჴბით დამოდინებულსა ცუარსა მოძღურებისასა სახედ ღრუბლისა ზრქელისა გონებისა ჩუენისა მიერ აღმოვინრედ და ნაბიჭევსა მას მათსა ცხოველის-ყოფელსა შევჴკრებ მძიმედ სატვრთავსა ამას გუამსა ჩემსა შინა, ვითარცა იგი წმიდანი მოციქულნი გოდრითა მტვრთველ იქმნეს ნამუსრევსა მას, რამეთუ ძალ-უც მას, რომელმან იგი მაშინ ხუთთა პურთა მიერ ხუთი ათასნი განაძღნა და შემდომად განძღომისა ესეოდენისა ერისა ნამუსართა აღვსებაჲ მრავალთა გოდორთა, ეგრეთვე ძალუც უჴმართა საჴმარ-ყოფა და უსწავლელთა განბრძნობად, ვითარცა ძუჴლთა ოდესმე პირუტყვცა მამხილებელ-ყო უგუნურებასა მას მისანთასა.

ხოლო ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, რამეთუ საღმრთოთა წერილთა მიერ ძუჴლისა და ახლისა სჯულისა მოძღურებითა სავსე არს ყოვ-

ლისა სოფლისა ეკლესიანი, ვითარცა მზისა ბრწყინვალეებისაგან და ვითარცა ჰაერისა ამის განფენილისა, რომლისა მიერ იქმს ყოველთა ცხოველობა და ვითარცა მდინარეთაგან ცხოველსმყოფელ(2v)თა, ვითარცა წერილ არს წყალთა მრავალთა დაფუძნეს პირი ყოვლისა სოფლისა, ეგრეთ სავსე არს, ვითარცა ვთქუ, ყოველი ეკლესია საღმრთოთა მოძღურებათა მიერ და არღარა საწმარ არს ახალთა რათმე აღწერად, გინა გამოთქმად უკუეთუ ოდენ კეთილად და გულისწმისყოფით და სარგებელად ვინმე იკითხვიდენ, გინა ისმენდენ.

არამედ არიან კაცნი, რომელნი არა მიხედვენ საღმრთოთა წერილთა, არცა გულისწმისყოფით და შიშით გამოეძიებენ, არამედ სრულიად დაბრმობილ არიან, ვითარცა თუალტკივნეულნი ბრწყინვალეებისა მიმართ მზისა. ამისთჳს იტყჳს წინასწარმეტყუელი: „უგუნური და უცნობოჲ ერთბამად წარწყმდენ და ვითარცა ცხოვარნი ჯოჯოხეთსა მიეცნენ და სიკუდილი მწყსიდეს მათ და ხოლო არიან სხუანი, რომელნი იკითხვენ და არა გულისწმისყოფით გამოეძიებენ, არცა ზედამინევნით გამოიკულევენ და პირუტყუთაებრ არანმიდათა მათდა მიცემულსა საზრდელსა მსგავსად აღმოცონით არა დააწულილებენ, არამედ განურჩეველად შთანთქმენ“. მათჳს იტყჳს წერილი საღმრთო: „წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან უდებებით ყოს საქმე ღმრთისაჲ“, და კუალად წერილ არს: „ვიხილენ უგულისწმონი (3r) და დავდნებოდე“.

კუალად არიან კაცნი, რომელნი სურვილით იკითხვენ და გულსმოდგინედ ისმენენ, არამედ არა სარწმუნოებით, არცა კრძალულებით გამოეძიებენ, არამედ თავით თჳსით გარდაიქცევენ და სხუად სახედ გარდაგულარძნიან და მსგავსად გონებაცთომილებისა მათისა, ვითარცა ენებოს, ეგრეთ სთარგმნიან. ესევეითართათჳს იტყჳს წინასწარმეტყუელი: „წყეულ არიან, რომელთა გარდაიქციეს მცნებათაგან შენტა“. და კუალად ესაიას მიერ იტყჳს წინასწარმეტყუელისა, ვითარცაჲ მათდა, რომელთა მდინარე წმიდაჲ ყოვლად სუმისა მათისა ფერჯთა მათითა აღამრღვიან და ნათრგუნევესა ფერჯთა მათთასა ცხოვართა ჩემთა ასუმიდიან.

ხოლო არიან სხუანი, რომელნიმე კაცნი, უკუეთუ ან არიან სადამე, რომელნი გულისწმისყოფით გამოეძიებენ და მრავლითა სურვილითა გამოიკულევენ და ზედამინევნით ისმენენ და და გულისწმა-ყოფენ საღმრთოთა წერილთა და აღმოცონნიან და დააწულილებენ მსგავსად საცხოვართა წმიდათა და განიძლებენ სურვილსა თვისსა. ამათ ჰნატრის სული წმიდაჲ და იტყჳს: „ნეტარ არიან, რომელნი გამოიკულევენ წამებათა მისთა ყოვლითა გულითა გამოიძინ(3v)ენ იგი“. და თჳთ თავადი ქრისტე ბრძანებს: „არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ და ყონ იგი“, არამედ მტერი ბოროტი მარადის უმზირის თითოეულად კაცად-კაცადსა და ზოგად ყოველთა დაბადებულთა, თუ ვითარმე სადამე პოოს თესლთა კეთილთაგანი და თესლი მუშაკისა მიერ კეთილისა და შეუთესოს ღუარძლი იფქლსა შორის, იგავისა მისებრ სამეფოსა: „მსგავს არს სასუფეველი ღმრთისაჲ კაცისა,

რომელმან დათესა თესლი კეთილი აგარაკსა თესსა და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დათესა თესლი ლუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა. ხოლო ოდეს აღმოსცენდა ჯეჯილი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ლუარძლი იგი. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: „უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესე აგარაკსა შენსა, ვითარ აღმოსცენდა ლუარძლი?“

ხოლო მან ჰრქუა: „მტერმან კაცმან ყო იგი“, ხოლო მონათა მათ ჰრქუეს: „გნებავს, რაათა მოვიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?“ ხოლო მან ჰრქუა მათ: „არა, ნუუკუჭ შეკრებასა ლუარძლისასა აღმოჰრფხურათ იფქლიცა, აცადეთ იგი თანააღორძინებად ურთიერთარს ვიდრე ჟამადმდე მკისა და ჟამსა მკი(4r) სასა უბრძანო მომკალთა მათ, შეკრიბეთ პირველად ლუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაათა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩუჭნსა“. ხოლო თავად მანვე გამოგვცხადა იგავისა ამის განმარტება და თქუა: „რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისა არს, ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს, ხოლო თესლნი იგი კეთილნი – ესენი არიან ძენი სასუფეველისანი, და ლუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურებისანი“.

„ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს, და მკა იგი არს აღსასრული ამის სოფლისა და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი, ვითარცა იგი შეკრიბინ ლუარძლი და ცეცხლითა დაწვან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა, რამეთუ მოავლინნეს ძენი კაცისამან ანგელოზნი თესნი და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა. ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი და შესთხინეს იგინი საჭმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“ (40 იგავი 37).

მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე სასუფეველსა მამისა მათისასა. ხოლო ესე ქრისტეს იგავი ვითარცა გესმა, მწვალებელთა ზედა თქმულ არს, რამეთუ დასაბამითგან მტერი იგი ბოროტი ეშმაკი არს. და დაცხრების ჟამად-ჟამად თესვად თესლისა ბოროტსა მორჩილთა მისთა შორის, რამეთუ არა(4v)ოდეს ყოფილ არს არცა ჟამი, არცა დრო დასაბამითგან, ვიდრე აქამომდე, არცა ძულთა შჯულთა, არცა ახალთა, არცა პირველ ქრისტეს მოსლვისა, არცა შობად ქრისტესა, რომელთამცა შორის არა დასთესნა საცთურისა თესისა და ნვალებისა გესლნი.

რამეთუ ჴვინათგან ერთგვის დაემწუა მთავრობისაგან თესისა და პატივისა და მიეღო პირველი იგი ბრწყინვალეება, გარდამოითხია, რაათა ქუეყანად დასამკვდრებლად მიეცა ქუესკნელსა ცეცხლი ჯოჯოხეთისა.

მერმე მოიგონა სიბრძნით დამბადებელმან და განმგებელმან ყოვლისამან მრავლითა მონყალებითა და მიუნდომელითა სახიერებითა თესითა კაცი მინისაგან და შთაჰბერა სული ცხოველი და შეაერთა უხილავი და ხილული, და ესე დაამკვდრა სამოთხესა მას საშუშბელისასა და მისცა სჯული და მცნება, რაათა იმარხვიდეს ბრძანებათა დამბადებლისა მისისათა და მიზეზითა

ამით მცირითა მცნებათა დამარხვითა ენება მეუფესა კაცისა მის უხრწნელად და უკუდავად ალყვანებაჲ ზეცისა დიდებასა, ადგილსა მას, ვინაჲ იგი გარ-დამოითხია პირველი მთიები.

ესე შეშურდა მტერსა ბოროტსა და შეუჭდა გულსა ევაჲსა და ეზრახა გუჭლისა მიერ და (5r) რომლითცა თვთ დაცემულ იყო, ჩამპარტავნებითა, იგი-ცა განღმრთობისა ქადაგებითა აცთუნა და გამოჭადა სამოთხისა მისგან სა-შუჭბელისა და დაემკვდრა ადამ ჭირმრავალსა და საშრომელსა ამას სოფელსა და უკუდავებისა ნილ მოკუდავ იქმნა, და ზეცას აღსვლისა ნილ მიწად მიიქცა.

მიერთგან დაიპყრა ნათესავი ადამისი მტერმან ბოროტმან და თითო სახეთა საცთურთა და საბრვეთა შთაყარნა ნათესავი მისი, მერმე ალადგინა კაენ აბელის ზედა და ძმა ძმისა მიერ მოაკუდინა და ასწავა კაცთა შური და მტერობაჲ, ზაკუვაჲ და ორგულებაჲ, კაცისკლვა და მრუშება და მერმე ბილ-ნებით შეაგინა ყოველი ადამიანი, თვნიერ მართლისა ნოესა და ძეთა მისთა, რომელნიცა დაიცვნა ღმერთმან კიდობნისა მის მიერ და სხუათა ყოველთა ზედა მოანია წყლით რღუნა და წარღურღვნა ყოველი აღმდგომი, მერმე აღ-ძრა ძე მისი ქამ სიცილად მამასა თვსა ზედა, რაათა უჭმრად გამოაჩინოს სი-მართლე ნოესი, რაათამცა წყევასა ქუჭშე დაისაჯა ნათესავი ქამისი.

მერმე დიდი აბრაჰამი, ისაკ და იაკობ მრავალფერთა(5v) და თითო სახე-თა ჭირთა განსცადნა და იობმა რაითელი ცხადად გამოითხოვა და მრავალი ბოროტი მის ზედა, რაათამცა ღმრთისმსახურებაჲ მათი შეანანა და უჭმარ ყო.

ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად ყოველნი წმიდანი წინააღმართმეტყუელ-ნი მრავალფერთა ჭირთა და ლუანლთა გამოსცადნა მიშუებითა ღმრთისაჲთა, რაათა ჩნდეს წმიდანი მისნი ვითარცა ოქრო რჩეულნი განსაცდელთა ბრძ-მედითა გამოდნობილნი და ცრუნი იგი დაისაჯნენ, ხოლო ცრუ წინააღმართ-მეტყუელნი უმრავლესნი ალადგინა მათ შორის, რაათამცა მათი იგი ჭეშმარიტი წინააღმართმეტყუელებაჲ მტყუარად გამოაჩინა, ვითარცა მოსესთვს წერილ არს, რამეთუ რაჟამს ჰყოფდა ნიშებსა და სასწაულებსა საკურველსა ეგვპტეს შინა, მაშინ მისანნი და ქურუმნი ეგვპტისანი უმრავლესსა ჰყოფდეს მსგავსადვე მო-სესსა დადუმებად მოსეს მიერ ქმნილთა მათ საკურველებათა და სხუათა მათ შემდგომთა წინააღმართმეტყუელთა და მართალთა აღუდგინა შური და მტერო-ბაჲ მტერთა მიმართ ჭეშმარიტებისთა.

ხოლო ვინაჲთგან არა იქმნა კურნებაჲ სენისა ამის ბოროტისა, არცა ჴსნა კაცთა ნათესავისა, თვთ თავადი იგი სიბრძნე ღმრთისაჲ ხატი და ძლიერე-ბაჲ, (6r) მამისა თანადაუსაბამო და თანაგანმგებელი, ბუნებით თანასწორი ძე და სიტყუა ღმრთისა, თვთ ღმერთი ჭეშმარიტი მოვიდა ზეცით ქუეყანად მიღებად ბუნებისა ჩუენისა და ჴორცთა ამათ მტერისა მიერ მოუძღურებ-ულთა და დათრგუნვილთა შემოსად. რაათა უძღურთა ამათ ჴორცთა დასცეს ძლიერი იგი მოქადული, რამეთუ ყოვლითურთ გუჭმსგავსა, რაათა ადამიანად გამოჩინებულთა განდგომილნი იგი მტერი შეიტყუოს და დამცემელი ადამისი

დასცეს და შემუსროს და ჩუენ მოგუცეს ძლევა და ვითარცა იგი იქადოდა ჩუენ ზედა, ეგრეთვე ჩუენ ვიქადოდით მას ზედა, ხოლო მოგუცნა სჯული და მცნება, რაათა არლარა ვიმონებდეთ მტერსა ბოროტსა, არამედ დამარხვითა მით სჯულისათა ვიმონებდეთ ღმერთსა, ხოლო იგი დაღაცათუ მოუძღურდა, დაეცა და შეიმუსრა, არამედ მცირედ ჟამად კუალად ცხოველ არს გამო-საცდელად მონათა ღმრთისათა, რაათა ბრძოლითა და მტერობითა მისითა გვრგვინოსან იქმნენ წმიდანი და რჩეულნი მისნი და დაისაჯუნენ უღირსნი და თანაშემწენი უღმრთოებისანი და ამით გამოჩნდენ მორჩილნი ღმრთისანი და ურჩნი და გარდამავალნი სჯულის(6v)ანი სირცხვილეულ იქმნენ.

ამისთვის არა დასცხრების მტერი იგი, ვითარცა ვთქუ თესვად ლუარძლისა იფქლსა მას შინა სარწმუნოებისასა პირველ ქრისტეს მოსლვისა, შემდგომ ქრისტეს განკაცებისა.

ხოლო ოდეს მოვიდა ძე ღმრთისა, მოლოდებამ იგი წარმართთა, მაშინ უმრავლესნი ღონენი აღძრნა და ეკუჭთა კლდესა მას ცხოვრებისასა და შურად აღუდგინნა ჰურიანი და ეგრეთვე მტყუარნი ქრისტეანენი აღადგინა, ვითარცა ჰეროდე, რომელი გუჭმობდა თავსა თვსსა ქრისტედ. მერმე სიმონ მოგვ და იგიცა ძედ ღმრთისად იტყოდა თავსა თვსსა და მრავალსა სასნაულსა ჰყოფ-და შეწევითა ეშმაკისა და განაკვრვებდა მრავალთა, რომელიცა დაიჭსნა და განქარდა წმიდისა პეტრე მოციქულისა მიერ. და მერმე კვნობ გრძნეული მო-ციქულისა და მახარებლისა იოანეს მიერ დაინთქა და წმიდისა პავლეს მიერ მრავალნი წინააღმდგომნი, ვითარცა ალექსანდრე მჭედელი და ელვმას მოგვი, და სხუათა მათ მოციქულთა თვთეულად ცრუ მოციქულნი და წინააღმდგომ-ნი, რომელნიცა აღუდგეს და აბრკოლებდეს. და რაღა სხუა, თვთ ათორმე(6v) თავანი მოციქული ერთი განმცემელყო და სამეოცდაათნი, რომელნი გამოი-ჩინა ქრისტემან, ორი მათგანი კერპთმსახურებად მიაქცინა და შვდთა დია-კონთაგან მოქცეულთაგან გამორჩეულნი ერთი, რომელსა ეწოდა ნიკოლოზ, წვალეპასი ბოროტსა შთაადო, ამისთვის იტყვს წმიდა მახარებელი იოანე: „ჩუენგან განვიდეს, არამედ არა იყოს ჩუენგანი, რამეთუ უკეთუმცა ჩუენგანი იყვნეს, და-მცა-დგრომილ იყვნეს ჩუენ თანა“, არამედ რაათა ცხად იყვნენ, რამეთუ არა არიან ყოველნი ჩუენგანი. და წმიდა მოციქული პავლე იტყვს: „რამეთუ წვალეპაცა ყოფად არიან თქუენ შორის, რაათა რჩეულნი იგი თქვენ შორის გამოჩნდნენ“. და კუალად ოდეს წამებად ეგულეობდა ნერონის მიერ, შემოკრიბნა ხუცესნი ეკლესისანი და შემდგომად მრავლისა სწავლისა ეტყოდა: „აჰა, მე უწყი ესე, რამეთუ შემოვიდენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩუენი-სა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდინ სამწყსოსა და თვთ თქუენგანი აღდგენ კაცნი, რომელნი იტყოდინ გულარძნილსა, რაათა განადგინენ მონა-ფენი შემდგომად მათდა და ესრეთ ყოველსა ჟამსა არა დასცხრა მთესველი ლუარძლისა იგი შერყევად ეკლესისა და განრყუნად სამწყსოთა ქრისტესთა.

(7v) და კუალად აღადგინნა ეშმაკმან მრავალნი მწვალეებლნი, ვითარცა

კირინთიოს ვინმე და ნიკოლოზ მარკიონ, მიმსგავსებულნი სიმონ მოგვსნი, და იგინცა განაქარვა ძალმან ქრისტესმან და არა დაადუმა ვეშაპმან მან ბოროტმან, არამედ კუალადცა აღადგინა მეფენი მეკერპენი და დევნულები. დიდი ქმნა ქრისტიანეთა ზედა და იგიცა დევნულება ძალმან ქრისტესმან განაქარვნა და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან ეკლესიათა, სიტყვისაებრ უფლისაჲ.

მაშინ კუალად სხუანი მწვალებელნი აღადგინნა ეშმაკმან მანის და მუნტანიოს, რომელნი იტყოდეს თავთა თვისთა, ვითარმედ ჩუენ ვართო ნუგეშინისმცემელნი იგი, რომელი თქუა ქრისტემან მოვლინებად თვისთა მონაფეთა და სხუანი მრავალნი იქმნეს, რომელი დაიწსნა და განქარდა იგიცა ძალითა ქრისტესაჲთა და წარვიდა სპარსეთს და მრავალნი გმობანი დასთესნა მათ შორის.

და მიერთგან ოდეს სრულიად განქარვებაჲ ვერ უძლო ქრისტეანობისა ბოროტმან ეშმაკმან, ესე მოიპოვა ღონე და თესვად ღუარძლსა თვითო სახისა წვალებისასა, რაჲთა ბრძოლანი იგი, რომელნი იყვნეს კერპთმსახუებაჲსა შინა, შემიღოს ღვთისმსახურებაჲსაცა შინა, რამეთუ მარადის (8r) მთესველი არს ღუარძლისა უკეთური იგი.

ამისთვისცა განქარდა რაჲ წვალებაჲ იგი მანისა და მუნტანიოსი და ნავატი-სი, გამოაჩინა წვალებაჲ იგი არიანობთა ბოროტი და სულთა წარმწყმედელი, რომლისა წინამძღუარი იყო არიოზ, ევნომიოზ და აეტი, ევსევი, ევსდუქსი და სხუანი მრავალნი გმობარნი ძისა ღმრთისანი, რომელნი განყოფდეს არსებასა და ბუნებასა ღთაებისასა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა და სხუად და სხუად არსებად იტყოდეს, რამეთუ ამან ბოროტმან არიოზ წიგნისაგან ოროგინესა მიიღო წვალებაჲ ესე, რამეთუ ოროგინე დაწერა, მამა უფროს არსო ძისაო, ძე სულისა წმიდისაჲ, ვითარცა სული წმიდა ანგელოზთა და ანგელოზნი ჩუენ, კაცთაო. ესრეთ აღმართა კიბე გმობისა არა თუ ცად აღმყვანებელი, არამედ ჯოჯოხეთად შთამყვანებელი. ამის ბოროტისა გმობისაგან შეშინებულმან საბელიოს შერევნით თქუაჲ გუამოვნებაჲ წმიდისა სამებისა და შერწყმით და შერევნით აღიარა.

და მათ თანა გამოჩნდა აპოლინარიცა, რომელი ჰგმობდა და იტყოდა, ვითარმედ არა მიიღო ქრისტემან სრულებით ბუნებაჲ კაცთაო, არამედ უსულოდ და უგუნებოდ იტყოდა ჯორცთა ქრისტესითა.

(8v) ამას ზედა აღადგინა მაკედონიოსცა, მგმობარი სულისა წმიდისა, და თანასწორად მამისა არა აღიარებდა სულსა წმიდასა, არამედ უძღვევლმან მან ძალმან ქრისტესმან ყოველნი იგი მგმობარნი უჩინო ყვნა და არა სადა იპოვების დღეს სასწენებელი მათი არიანობთა და მაკედონიანობთა მბრძოლთა მათ ღმრთაებისათა მათ თანა განქარვებული არს საბელიოზცა, შერევნისა მეტყველი და ყოველნი მსგავსნი მათი.

ესრეთ რაჲ მოუძღურდა უძღური და მყრალი ვეშაპი, კუალად მოიპოვა სხ-

უაფთა წვალეებათა ლუარძლი, რაფთა განკაცება ქრისტესი არა მართლმადიდებელ იქადაგებოდის და ჴელ-ყო განყოფად ჴორცთა ქრისტესთა ღმრთაებისაგან და ერთსა მას ქრისტესა ორად განჴკუჭთოდა. ამის განჴკუჭთელებისა და განყოფისა მიზეზ და წინამძღუარ იქმნეს თევდორე, ვინმე ანტიოქელი და დიოდოროს ტარსუსელი, რომელთაგან, ვითარცა ძირი სიმწარისა და ნერგი საეშმაკო, აღმოსცენდა ნისტორ და იქმნა ეპისკოპოზ კოსტანტილეპოლისა და განიდევნა რაჲ კრებისა მიერ თვისსა საყდრისაგან ბოროტისა მისთვის წვალეებისა, შუამდინარისა კერძოთა წარვიდა და მუნ დასთესნა გესლნი თვისისა წვალეებისნი და ქ(9r)რისტევე აღმოსავლეთისა კერძო შეაგინა.

ამას ბოროტსა წვალეებაჲსა ზედა სხუაცა აღადგინა ეშმაკმან მსგავსი მისი სიბოროტისა დაღაცათუ სიტყვით წინააღმდგომად ჩანს, რამეთუ ვითარცა პირველთაჲმწვალეებელთა ზე არიოზ და და საბელიოზ წინააღდგომ იყვნეს ურთიერთარს, რამეთუჲ არიოზ ერთსა მას ბუნებასა და არსებაჲსა ღმრთაებისასა განჴყოფდა და განჴკუჭთოდა, ხოლო საბელიოზ სამთა მათ გუამთა წმიდისა სამებისთა ერთად შეჴრევედა და შერწყმიდა და ორნივე შეიჩუჴნნეს და საუკუნოდ დაისაჯნეს.

ეგრეთვე უკუჴ აქაცა იქმნა, რამეთუ უღმრთომან ნისტორ ორად განყო ქადაგებაჲ ქრისტეს განკაცებისა და ორად გუამად იკადრა თქმად განყოფილად ღმრთაებაჲ და განყოფილად კაცებაჲ ქრისტესი. ამისთვისცა ღვთისმშობელსა უარყოფდა და ქრისტეს მშობლად იტყოდა წმიდა მას ქალწულსა, ვითარმცა განყოფილად იყო ღმერთ და განყოფილად ქრისტე, ხოლო ვინათგან მადლითა ღმრთისათა ნეტარისა კვირილეს მიერ და სხვათა წმიდათა მამათა შეიჩუჴნა და განვარდა ბილწ იგი.

შემდგომად რავედენტამე ჟამთა გამოჩნდა კონსტანტილეპოლის მონოზანი ვინმე უღმრთოჲ არქიმანდრიტი მონასტრისა, სახელით ევტიქი. ამან უკეთურმან, (9v) აღმოიკითხნა წიგნნი მანიქეველთანი უვალენტიანეთანი და მარკიანელთანი და არიანოზთანი და მათგან ისწავა ყოველი ბოროტი. ამისთვისცა აღმოსთხია მწვირისა მისგან გულისა მისგან სიმყრალე ბოროტი და იტყოდა, ვითარმედ საოცრად იყო განკაცებაჲ ქრისტესი. ამისთვისცა არა აღიარებდა, არცა შეინყნარებდა ორთა ბუნებათა ქრისტესთა, არამედ ერთსა ბუნებაჲსა და ერთსა საქმესა და ნებაჲსა იტყოდა ღმრთაებისასა და კაცებისა მისისასა და წმიდასა მას ქალწულსა არცა იგი აღიარებდა ღმრთისმშობელად, არამედ საოცრად იტყოდა მისგან შობაჲსა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა. ესმა მისი დიოსკოროს, აღექსანდრიის პატრიარქსა და ისწავა მისგან წვალეებაჲ იგი მისი ბოროტი და მანცა უარყო ორი ბუნებაჲ ქრისტესი.

ამას ზედა შეკრბეს ქალკოდონს ექსასოცდაათნი მამანი და შეაჩუენეს ევტუქი და დიოსკორე და განდევნეს იგინი წმიდისა კათოლიკე ეკლესიასაგან.

რამეთუ ვითარცა ვთქუ, ბოროტნი იგი მწვალეებელნი არიოზ და საბელიოზ წმიდისა და ერთარსისა სამებისა მგმობელნი ურთიერთარს წინა აღ-

მდგომისა იტყოდეს, არამედ ორნივე მთხრებელსა წარწყმედისასა შთაჴდენ. რამეთუ არიოზ ბილწმან ბუნებათა და არსებათა (10r) განყოფილება თქუა წმიდისა სამებისა, ხოლო საბელიოზ გუამთა და თვთებათა შერევნა და შერწყმა თქუა. ეგრეთვე ნისტორ და მიმდგომთა მისთა, და დიოსკორე, და ევტიქი, და მიმდგომთა მისთა ურთიერთარს წინაამდგომნი თქუნეს, არამედ ორნივე წარწყმედეს და შეიჩუჴნენს, რამეთუ ნისტორ უსჯულომან განჯორციელებული ძე ღმრთისაჲ გმო და ორ ძედ და ორგუამად აღიარა. განყო და განაშორა ბუნება ღმრთაებისა და კაცებისა გუამითა და პირებითა, ხოლო დიოსკორე ერთად შერივა და შეარწყუა ბუნება ღმრთაებისა და კაცებისა და ერთბუნებათ ქრისტესა. ესრეთ ორნივე მწვალებელნი მიმდგომთა მათთანა შეიჩუჴნენს და განიჴადნეს წმიდისა კათოლიკე ეკლესისგან და განიწმინდა ეკლესია ქრისტესი ღუარძლისაგან და მთესველი ღუარძლისა ყოვლად ბოროტი ეშმაკი სირცხვილეულ იქმნა და იყო დიდსა მშვიდობაჲსა და ერთობაჲსა შინა ეკლესია ქრისტესი მრავალჴამ.

არამედ არა დასცხრა მთესველი იგი ღუარძლისა, დასაბამი ბოროტთა – ეშმაკი. ვერცა თავს იდგა ესოდენი მშვიდობა და ერთობა.

(10v) კუალად აღადგინნა სხუანი მწვალებელნი მღელთმოძღუარნი და მეუფჴნი ურწმუნონი და შემოიღეს გმოზ პატიოსანთა ხატთა და კერპთმსახურებდ შერაცხეს თაყუანისცემა და პატივი ხატისა და მრავალნი ძვირნი შეამთხვნეს თაყვანისმცემელთა წმიდათა ხატთასა და დიდი დევნულება აღდგა ეკლესიათა ზედა და მრავალნი წმიდანი მოისრნეს და დიდი ბოროტი გარდაეფინა ყოველსა სოფელსა და მრავალჴამად იღელვებოდა ეკლესია ქრისტესი.

კუალად შეკრბეს წმიდანი მღელთმთავარნი და ქმნეს კრებე მეშვიდე ბრძანებითა ღმრთისმსახურთა მეუფჴთა მიხაილ და თეოდორაჲსთა და დაამტკიცეს კუალად თაყვანისცემა პატიოსანთა და წმიდათა ხატთა და ყოველნი მწვალებელნი შეაჩუჴნენს და განწმედეს ეკლესია ქრისტესი ყოველისა ღუარძლისაგან და იქმნა მშვიდობა და ერთობე ეკლესიათა მრავალჴამად.

რამეთუ ვიდრემდის მეუფჴნი ბერძენთანი სიმტკიცესა ზედა იყვნეს და მშვიდობასა, ვერცაღა უსჯულონი მტერნი ერეოდეს, არცაღა ეკლესიანი და საპატრიაქონი მოუძღურებულ იყვნეს, მამინ იყო დიდი მშვიდობა და ერთობა ხუთთავე საპატრიაქოთა (11r) და ყოველთავე ეკლესიათა აღმოსავლისა და დასავლისათა და ყოვლითურთ ბრწყინავდა მართმადიდებლობა და თუ სადამე აღმოცენის ცილობა რამე ანუ წვალება, კუალად ქნიან ადგილადგილ კრება და პირველსავე ერთობაჲსა და მოციქულთა და მამათა მიერ მოცემულსა წესსა და კანონსა ზედა დაამტკიციან ეკლესია ქრისტესი და მცილობელნი და წინააღმდგომნი შეაჩუჴნნიან და განწდიან.

ხოლო ოდეს მიშუჴბითა ღმრთისათა აღდგეს ყოვლით კერძო მტერნი უსჯულონი და ცოდვათათჴს კაცთასა დაიპყრნეს მრავალნი სოფელნი და ქა-



ლაქნი და მცირედ-მცირედ განირყვნეს ეკლესიანი და დამდაბლდეს სამწყსონი ქრისტესნი და საპატრიაქონი, ეკლესიანი მოუძღურდეს. მერმე მოადგეს სამეფოსა ქალაქსა კოსტანტინეპოლის, ახალსა ჰრომსა, შეაინრეს ყოვლით კერძო მეფე ბერძენთა, ხოლო დასავლეთისა იგი კერძონი პაპა ჰრომისა და მეფეზნი დასავლეთისნი მშვიდობაჲსა შინა იყვნეს და თავის უფლებაჲსა მტერთაგან.

მაშინ იხილნეს რა მეფე ბერძენთა მტერთა მიერ ძლიერად მბრძოლილი და საპატრიაქონი და ყოველნი (11v) ეკლესიანი აღმოსავლეთისანი დამდაბლებულნი, აღიმაღლნეს წარბნი და აღიღეს თავი სამწყსოთა ზედა ქრისტესთა პაპამან და მეფეზთა დასავლეთისათა და არა თანაშემწე ექმნეს, არცა თანამზრუნველ და ჴელისა ამპყრობელ, ვითარცა ფსალმუნი იტყვის: „რომელი ღმერთმან დაამდაბლა და დასცეს, მათ დევნეს იგინი და საღმრთაჲსა წყლულთასა მათთსა შესძინეს უსჯულებაჲ“ (ფსალმუნი 18,24), რამეთუ მოიჭსენეს ძუჭლი მტერობაჲ და განაახლეს შური, რომელი აქუნდა.

რამეთუ დასაბამსა ქრისტიანეთა მეფეზობისასა, ოდეს მოხედნა ღმერთმან და აღიმაღლა რქა ქრისტიანეთა, დიდი კოსტანტინე მორწმუნე იქმნა. წარმოემართა აღმოსავლეთს და მოსცვალა ძუელი ჰრომი ახლად ჰრომად და აღაშენა და განავრცელა ბიზინტია და უწოდა აღმოსავლისა და დასავლისასა, რომელ არს ახალი ჰრომი და აღიმაღლა პატრიაქ ახლისა ჰრომისა, ვინცა ძუჭლისცა ჰრომისა ეპისკოპოზი მისვე კოსტანტინეს განედიდა და ჴელთ ედვა მი(12r)სთვის ბუნებაჲ და მწყემსობაჲ დასავლეთისა, ეგრეთვე სხვანიცა ეკლესიანი და საპატრიაქონი მასვე განედიდა და აღამაღლა, რამეთუ ვიდრე დიდისა კოსტანტინესამდე ფრიად დაგლახაკებულ და დამდაბლებულ იყვნეს კერპთმსახურთა მეფეთა მიერ და სამარადისოსა ჭირსა და დევნულობასა შინა იყვნეს ყოველნი ეკლესიანი და მეფემან კოსტანტინე, ვითარცა ვთქუ, აღიდნა და აღამაღლნა და უმეტეს ეპისკოპოზი კოსტანტინეპოლისა და ეკლესია მისი განადიდა, ვინაჲთგან სამეფო ყო ქალაქიცა მისი.

ესე ძუჭლი შური და მტერობაჲ მოიჭსენეს პაპამან ჰრომისამან და მიმდგომთა მისთა დასავლეთისა კერძოთა და განადიდეს და აღიმაღლნეს თავნი და თქუეს გულითა მათითა და ნათესავთა მათთა ერთად: „მოვედით და დავიდუმნეთ დღესასწაულნი ღმრთისანი ქუეყნით, რამეთუ სასწაულნი მათნი ჩუენ არა ვიხილოთ, რამეთუ არღარა ვინ არს წინასწარმეტყუელ და ჩუენ არავინ გვიცნეს მერმეცა“ (ფსალმუნი 73,8) და შემდგომი. და სხუა რაოდენი წერილ არს მოსაჭსენებელთა შინა მაშინდელისა მის საქმისა, ოდეს მეფეზ იგი ბრძენთა და პატრიაქი კოსტანტინეპოლისა წარვიდეს იტალიას დასავლეთისა მყოფთა და პაპასა, რაჲთა თანაშემ(12v)წე იყვნეს მტერთა ზედა, ხოლო მათ ჰრქვეს, რაჲთა სარწმუნოებაჲ პირველი უარყონ და აღიარონ სარწმუნოებჲ მათი და მაშინლა შენივნენ მტერთა ზედა.

ხოლო ბერძენთა არა თავს იდევს ესე, არამედ აღირჩიეს სიკუდილი, ვიდრე იოტა ერთი არა, გინა რქა ერთი სარწმუნოებისაგან მამათა მიერ მო-

ცემულსა შეცვალებად და დაკლებად, ანუ შემატებად და ესრეთ განიყარნეს და განეშორნეს ურთიერთ არს ბერძენნი და ჰრომნი, ვითარცა წერილ არს მაშინდელთა მოსაჯსენებელთა შინა ვრცელად და უნაკლულიოდ, ხოლო ჩუენ ნებსით არა აღესწერეთ, რაჟთა არა სიმრავლე წერილისა იქმნას.

მაშინ შეკრიბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი და ქმნეს კრებაჲ ფლორენტიას და უწოდეს მერვედ კრებაჲდ და დაჯსნეს წესნი და კანონი მოციქულთანი და მამათა მიერ მოცემულნი საზღუარნი და ყოველივე წინააღმდეგომი თქვეს და ქმნეს და ვითარცა ენებათ, ეგრეთ დაამტკიცეს:

ა. რამეთუ პაპა ჰრომისა ნებითა მათითა თვნიერ კანონისა აღამაღლნეს უმეტეს ყოველთა პატრიაქთა და ღმრთის მაგიერად და მეორედ ქრისტედ აღიარეს ქუეყანასა ზედა.

ბ. მერმე წმიდისა და თაყუანისაცემელისა სამებისა შორის თქუჴ(13r)ს შერევნა და სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოსვლით აღიარეს, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა, რამეთუ არა ოდეს თქმულ არს ესე სარწმუნოებჲ არცა ერთსა კრებათა შინა, არცა ვის ერთსა წარმართთაგანსა უკადრებიეს ესრეთ თქმად, ვითარცა იგინი აღიარებენ.

გ. მერმე წმიდაჲ ნათლისღებაჲ, რომელი წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებაჲთა განგვიწესეს სამგზის წყალთა შინა დაფლვითა და მიერ აღმოსობილთა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, ესე აღიღეს და მცირედისა წყლისა შეხებითა განანწესეს ნათლისცება მღდელთა მიერ, გინა ერისკაცთა ანუ დედაკაცთა მიერ.

დ. მერმე წმიდისაჲ ჟამისწირვისა საიდუმლო უფოვრითა სეფითა შეწირვა დღესა შინა ერთსა ერთისა მღდლისა მიერ მრავალგზის წირვა და საეროთა სახლთა შინა უეკლესიოდ განანწესეს.

ე. მერმე ზიარებაჲ ერისკაცთა სხვითა სეფისკურითა, რომლითა მღდელნი ყოვლად არა ეზიარებიან და სხვითა ლიტონითა ღვინითა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, მით ზიარებაჲ განუწესნეს და ჩვილთა ყრმათა ვიდრე ათხუთმეტ წლამდე ყოვლად არა აზიარებენ.

(13v) ვ. მერმე განყუჴს ჯოჯოხეთი და სხუად სხუად რიგად თქვეს: ერთსა მას საუკუნო უწოდეს, რომელსა შინა შთასრულნი ვერა რომელთა ღონითა, ვერცა ხუაიშნითა წმიდათაჟთა, ვერცა აქეთგან მოჭმარებითა ვერცა რაჟსა ლხინებასა ჰპოებენ, და ერთი სხუაჲ არსო ცეცხლისა სატანჯველიო, რომლისა შინა მოსავნი პაპისანი შევლენ მცირედ ჟამად და ადრე განწმედილნი გამოვლენო.

ზ. ხოლო ლოცვა და საეკლესიო განწესებული ფსალმუნებჲ სრულიად აღხოცეს ეკლესიით და წმიდათა მამათა მიერ განწესებული აღიღეს და თვნიერ წირვისა არღარა არს ეკლესიათა მათთა შინა, არცა ფსალმუნებაჲ, არცა საგალობელი, არცა ღამისთევა.

ვ. და ვითარცა ენებოს და ვითარცა დახუდეს, ეგრეთ აღმართებენ საკურთხეველთა არა აღმოსავალით, განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა-სა, არამედ გინათუ დასავლეთით კერძო, ანუ სამხრეთით, ანუ ჩრდილოეთით.

თ. ხოლო მარხვა სრულიად დაწსნეს და მოსპეს და არღარა არს მათ შორის მარხვა ერისკაცთა, არცალა სამღვდლოთა კაცთა შორის, თვინიერ მცირედთა მო(14r)ნაზონთა გარეშე და მათცა უკეთუ იმარხოვნ, თვინიერ ჯორცისა არა რაჲსა სხუასა იმარხუვენ, არამედ უკრძალველად ყოველსავე იჯუმევენ და ურიდად ჭამენ.

ი. ხოლო ოთხშაბათსა ჟამადვე არა იმარხუვენ. რომელი განგვინესეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და მისდა ნაცვლად შაბათსა იმარხვენ, რომელი არა ოდეს მოცემულ არს ესე ჩუენდა, თვინიერ ერთისა მის დღისა.

ია. ხოლო დედათა მათთა ჟამსა წიდოვანებისასა და ოდესცა სანოლითა ქმართა მათთა შეყოფილ იყვნენ, საკურთხეველთა აღიყვანენ და ზიარებხცა მისცემენ.

იბ. და ყოველი ერი ოდეს შევიდეს ეკლესიად, დიდი, გინათუ მცირე მამანი, გინათუ დედანი, თანა შეიყვანენ, ძალითა და ეკლესიათა არა ჰრიდებენ.

იგ. და ყოველი ცოდვა მომაკვდინებელი ადვილად შეჰრაცხეს და მას ღამესა, რომელთაცა ვინ ბოროტითა ცოდვითა დაეცეს და შეიგინოს, მას დღესა აზიარებან. ესე და ესევეთარნი წესნი და კანონნი დასცნეს ეკლესიასა შინა და ყოველი საზღუარნი და განწესებაჲ წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებთა დაჰწსნეს და გარდასცვალნეს.

რამეთუ შვიდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ შვიდგზის (14v) გამოდნობილი სიტყვანი უფლისანი, ვითარცა ფსალმუნთა შინა წერილ არს: „სიტყუანი უფლისანი არნ, სიტყვა უფლისა წმიდა, ვეცხლ გამოჭურვებულ და გამოცდილ მიწით და განწმედილ შვიდ წილად“ (ფსალმუნი 11,7), რამეთუ სიტყუანი უფლისანი წმიდაჲ შვიდგზის მიწიერთა კაცთაგან გამოიცადა და გამოიჭურვა და უბრწყინვალეს იქმნა. ესე ყოველი, ვითარცა ვთქუ, დაჰწსნეს და გარდასცვალეს და სხუა რაიმე წესი შემოიღეს გარეშე საზღვართა, რომელთა მამათასა და ვიდრე დღეინდელად დღემდე უახლესთა და უახლესთა წესთა შემოიღებენ წინააღმდეგომთა შვიდთა კრებთასა.

ხოლო აღმოსავლეთისა ეკლესიანი და ოთხნივე საპატრიარქონი, დიდი რუსეთი და ჩუენ ქართველნი მასვე და ერთსა სარწმუნოებჲსა ზედა ვჰგვიეთ შეურყეველსა და შეუცვალებელსა მოციქულთა მიერ მოცემულსა და შვიდთა მსოფლიოთა კრებთა მიერ დამტკიცებულსა.

და უმეტეს ჩუენ, ქართველთა, ოდეს მოგუწცნეს სარწმუნოებჲჲ ქუმარიტი და ნათელი ღმრთის მეცნიერებისა შევიწყნარეთ წმიდისა მოციქულისა ანდრიას მიერ, მერმე შემდგომად წმიდისა ნინოს მიერ. დღითგან არღარა ოდეს მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი ურწმუნოებჲად, არცა შეუწყნარებიეს ოდ-

ესცა წვალეზა იგი ბოროტი მთე(15r)სველისა მის ღუარძლისა, ვითარცა იგი სხუანიცა მოსაწსენებლნი გუაუნყებენ, რამეთუ დასაბამითგან ვიცანით რაჲ ჭემმარიტებაჲ, მტკიცედ ვჰგიეთ მასვე საფუძველსა ზედა, რომელი გუასწავეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა, არა რაჲ დაგვიკლიეს, არცარა შეგვიმატიეს, ესრეთ გურნამს, ესრეთ აღვიარებთ და ესრეთ ექადაგებთ, ვითარცა ესერა წერილ არს.

## II თავი. სარწმუნოებისათჳს ერთარსისა სამეხისა.

გურნამს ერთი ღმერთი, ყოვლისა შემპყრობელი, შემოქმედი ცისა და ქუეყანისა ხილულთა და არახილულთა, მიუნდომელი, გამოუთქმელი, უხილავი, გარეშეუნერელი, უსაზღვრო, მარტივი, შეურევნელი, დაუსაბამო, დაუსრულებელი, ერთი ღმერთი, სამებით სამთვითებით, სამგვამოვნებით და სამპირებით ცნობილი, ერთარსებით, ერთბუნებით და ერთჯელმნიფედ აღსაარებული, მამა და ძე და სული წმიდაჲ, არა განყოფილნი ნათელნი, არამედ ერთი ნათელნი, არა განკუჭთილნი ბუნებაჲ, არამედ ერთი ბუნებაჲ, არა განთვისებული არსებაჲ, არამედ ერთი არსებაჲ, ერთი ჯელმნიფებაჲ, ერთი მეუფებაჲ, ერთი უფლებაჲ.

(15v)ხოლო ესენი, რაჲ ვთქუ, ნუ ჰგონებთ, თუმცა არსებაჲ, ანუ ბუნებაჲ რაჲმე ღვთისა ვთქუ, რამეთუ არსებაჲ და ბუნებაჲ მისი მიუნდომელ არს, გამოუთქმელ უცნაურ და მოუგონებელ, მარტივ და შეუზავებელ, ვითარცა მოსეს ერვენა და გამოეცხადა მთასა ზედა სინას უხილავი იგი, რაოდენ დაიტევდა ხილვასა მისსა და ჰკითხა რაჲ სახელი მისი, ჰრქუა მას ღმერთმან, „მე ვარ, რომელი ვარო“. ესე აუნყა და სხუა არა რა. ამით უწყით, ვითარმედ არს ღმერთი, ვინაცა არს ჭემმარიტი, ყოვლისა არსებისა უზეშთაესი, რომელსა ყოველი არსებაჲ თავსა შორის თვისსა შემოუკრებიეს და გარემემცველი არს ყოვლისა არსებისა, არამედ რა არს არსებაჲ და ბუნებაჲ მისი, მან მხოლომან უწყის. და სხვამან არავინ, რამეთუ ღმრთაებაჲ სახელი არს ერთი რაჲმე კაცთაგან მოპოვნებული სახელად ღმერთი, თითოეულთა ენათა მიერ სხუად და სხუად სახელად, რაჲ იცნობებოდის სახელით მხოლო ღმერთი.

ხოლო დაუსაბამოდ ამისთჳს სახელ-ვსდებ, რამეთუ გონებაჲმან რომელძალ მიხედნის აღმართ წულილადითა რაჲთმე მოგონებითა და ვერ პოვის ადგილი დასაბამობისა და ვერცა იოცნის მცირედ(16r)ცა რაჲმე, არამედ ივლტოდის ყოვლითურთ მოგონებისაგან რაჲდენ გზისცა დაშვრისა გონებაჲ, ამას დაუსაბამოდ სახელედების.

ეგრეთვე დაუსრულებლად ამისთჳს, რამეთუ ქუჭმო რაჲ დახედნის გონებაჲმან და ვერცა მით იქმნის კინოდენცა ოცნებით მიმნდომ, მას დაუსრულებლად სახელ სდვის.

კუალად მიმოავლის რაჲ მოგონებაჲმან სახედველნი თვისნი, რაჲდენცა დაშურის, ვერცა მით იქმნის მიმნდომ. ამას გარეშეუნერელად და უსაზღვ-

როდ სახელ ედვის.

რამეთუ რომლისა არცა ჟამი, არცა წელი, არცა რიცხვი, არცაღა თუ ნაწილი ჟამისა შუამდგომელ ექმნა, ვითარ-მე დაიტიოს გონებაჲმან, ანუ იოცნოს მოგონებაჲმან, ანუ თუ გამოთქვას ენამან, ამას უჟამოდ და მიუნდომელად სახელ ედვის.

რამეთუ საშინელისა და დიდებულისა ერთ ღმრთაებისა არსებაჲ და ბუნებაჲ მარტივ არს და შეუზავებელ, მიუნდომელ და უცნაურ.

ხოლო არცა დაუსაბამოებაჲ არს მისი ბუნებაჲ, არცა დაუსრულებლობაჲ, არცა გარეშემოუნერელობაჲ, არცა უსაზღვროებაჲ, რამეთუ არცა მამისა არს ბუნებაჲ მამობაჲ, არცა ძისა არს ბუნებაჲ ძეობაჲ, (16v) არცა სულისა არს ბუნებაჲ სულობაჲ, რამეთუ ესე თვითებაჲთა და გუამოვნებაჲთა სახელნი არიან და არა ბუნებაჲთა და არსებაჲთა, რამეთუ არცა ღმრთაებაჲ არს ბუნებაჲ ღმრთაებაჲ, რამეთუ ესენი ყოველნი სახელნი არიან საქმეთანი და არა ბუნებაჲთა და არსებაჲთა საცნაურ-მყოფელნი.

არამედ ესენი რაჲ ვთქუ ჩუენ, არათუ სრულიად მიუნდომელ არს ღმერთი და უცნაურ, რაიმცა არარა იყო, რამეთუ არს ჭეშმარიტად, ვითარცა ჭეშმარიტად არს, ვითარცა იგი მოსეს ეტყოდა: „მე ვარო, რომელი ვარო“, არამედ მიუნდომელ ამის არს, რაჲთა ვერ მისნდომელობითა უზეშთაეს იყოს ყოვლისა ბუნებისა და არსებისა საშინელ და ძრწოლვით თაყვანისცემით ყოველთა დაბადებულთა მიერ, რამეთუ ყოველი გონებით მისანთომელი და სიტყვით გამოთქმად შესაძლებელი არცაღა საკვირველ არს, არცა დაბადებულთა უზეშთაეს, დაღაცათუ მცირედ რაჲმე უზეშთაეს იყოს.

ხოლო არცა სრულიად მოუნდომელ და უცნაურ, რაჲთა არა სრულიად უცნაურობითა, სრულიადცა უღმრთო ექმნეთ, ამისთვისცა მცირედ რაჲმე ელვის სახედ გამოუბრწყინდის გონებაჲსა ჩუენსა, რაჲთა გამობრწყინვებითა მით განგვინათლეს და მისა მიგვიზიდნეს და (17r) მერმე მყის მიგუჭფარის, რაჲთა სურვილით ეძიებდეთ და მისდევდეთ გონებითა ხედვითა და მისა მიმართ გუსუროდა ღმრთის და მას ვჰმონებდეთ და შიშით და ძრწოლვით თაყვანის ვცემდეთ ერთსა ღმერთსა სამეებით და ერთ მეფჴობით და ერთ უფლებითა თაყვანისცემულსა.

მამასა უშობელსა, უმიზეზოსა, დაუსაბამოსა, უხილავსა, უსაზღუროსა, ძესა თანადაუსაბამოსა, თანასწორსა მეფჴობითა და ჴელმწიფებითა, ძლიერებითა და უფლებითა, და სულსა წმიდისა მისვე არსებისა და მისვე ბუნებისაგან გამოსრულსა, თანასწორსა მეფჴობითა, ჴელმწიფებითა დაუსაბამოებითა და გარეშემოუნერელობითა. ერთსა ძალსა, ერთსა ჴელმწიფებასა და მჴფობასა, ერთსა უფლებასა სამთა თვითებითა და გუამოვნებითა და ერთითა არსებითა და ბუნებითა, რამეთუ არა რაჲ არს განყოფილ მათ შორის, არცა განთვისებულ, არცა განკერძოებულ, არცა ადგილითა, არცა ჟამთა, არცა ნებითა, არცა საქმითა, არცა უმეტესობითა, არცა უდარესობითა თვნიერ

უშობელობითა შობითა და გამოსვლითა, რამეთუ მამა უშობელ ა(17v)რს და უმიზეზო, ხოლო ძე შობული მამისაგან და არა უმიზეზო, რამეთუ მამისაგან აქვს მიზეზობა და შობა, ეგრეთვე სული წმიდა გამოსრული მამისაგან და არა უმიზეზო, რამეთუ მასცა მამისაგან აქვს მიზეზი გამოსვლისა და თვნიერ ამისა არა არს მათ შორის განყოფილ, არცა განთვისებულ, არცა განკერძოებულ, არცა რომელიმე პირველ და რომელიმე უკანასკნელ, არცა უდარეს, არცა უაღრეს, არცა ჟამითა, არცა წამითა, არცა მოგონებითა, არცა ნებითა, არცა განზრახვითა, არცა საქმითა, არამედ ყოვლითურთ სწორი ერთობითა, არსებითა და ბუნებითა. განყოფილნი და შეურევნელნი, ვითარცა მზისაგან შარავანდედი და ნათელი და ცეცხლისაგან სიტფო და ნათელი, ეგრეთვე მამისაგან ძე და სული წმიდა.

რამეთუ ვითარცა არ განიყოფებიან არსებითა და ბუნებითა, ეგრეთვე არცა შეირწყმიან და შეირევიან პირებითა და გუამოვნებითა, არამედ ერთ არიან და განუყოფელ, თვნიერ უშობელობისა, შობისა და გამოსვლისა, ხოლო უშობელობა მამისა, შობა ძისა და გამოსვლა სულისა არავინ უწყის, გარნა მან მხოლოდმან საშინელმან და მიუნდომელმან უწყის და გამოუთქმელან ღმერთმან სამებამან ერთარსებამან და სხუამან არავინ, არამედ ესეოდენ უწყე(18r)ბულ არს ჩუენდა, რაოდენნი ვთქუ ჩუენით წინასწარმეტყველთაგან მოსწავებით და მოციქულთაგან ქადაგებით და თვით ქრისტესგან ჭემმარიტისა ღმთისა ჩუენისა გამოცხადებით და სხუა არარაჲ უწყებულ არს ჩუენდა და ვერცა რას და ვერცა რაჲს შემძლებელ ვართ ცნობაჲდ და ნუმცა ვინ იკადრებს უმეტეს ამისა გამოძიებად.

ხოლო არა იხილვების მამა ძედ, არცა სულად, არცა ძე მამად გინა სულად, არცა სული წმიდაჲ მამად ანუ ძედ, არამედ თვთებაჲ ესე სამგუამოვნისა ერთღმრთაებისა შეუცვალებელ არს და უქცეველ, შეურევნელ და განუყოფელ, არა განიყოფიან არსებითა და ბუნებითა მეფჴბითა და ჴელმწიფებითა, არცა შეირევიან და შეირწყმიან თვითებითა და გუამოვნებითა, პირებითა და სახელის დებითა. ესრეთ წმიდაჲ და დიდებული სამება ერთი ღმრთაებით იცნობების – მეუფჴ და დამბადებელი ყოველთა მამა, ძე და სული ყოვლად წმიდაჲ, ერთი ღთაებაჲ და ერთი მეფჴბაჲ, რომლისა შვენის ყოველი დიდებაჲ და პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის.

### **III. წმიდისა და თაყუანისაცემლისა ცხოველსყოფლისა სულისა წმიდისათჳს**

ხოლო წმიდისა და განუყოფლისა ერთღმრთაებისა სამე(18v)ბისა საიდუმლო რაჲ აღვწერეთ, კუალად ცხოველსყოფელისა სულისა წმიდისათვის ვიტყოდით, თუ რაჲ არს მიზეზი მათისა ესრეთ უწესოდ აღსარებისა. ვითარმედ

სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოვალსო, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთა და ღმერთმემოსილთა კაცთასა, ხოლო ჩუენ არა ვიტყვიტ სულსა წმიდასა ძისაგან გამოსლვით. ქადაგად მამისაგან მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთმემოსილთა მამათასა, რამეთუ ვითარცა ძე იშვა მამისაგან პირველ ყოველთა საუკუნეთა და უწინარეს ჟამთა, ეგრეთვე სული წმიდა გამოვიდა მისგანვე მამისაგან უწინარეს ჟამთა და პირველ ყოველთა საუკუნეთა, რამეთუ ესრეთ არს არსებაჲ და ბუნებაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდასა სიტყვსაებრ სამლთოთა წერილთასა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა და მოძღვრებისაებრ წმიდათა ღვთისმეტყუელთაჲსა, რამეთუ არცა ერთისა ღვთის წიგნსა უთქვამს სული წმიდაჲ ძისაგან გამოსვლით, ვითარცა ძე არა თქმულ არს სულისაგან შობილად, არამედ მხოლოდ მამისაგან. ეგრეთვე არცა ითქმის სული წმიდა ძისაგან გამოსვლით, არამედ მამისაგან, რამეთუ რავდენი ღვთისმეტყუელთაგანი არიან წმიდათა მამათა მიერ აღწერილნი და (19r) უმეტეს დიდისა ღვთისმეტყუელისა გრიგოლისანი, რომელმან ერგასისნი თავნი ღვთისმეტყუელებანი აღწერნა ვრცელად და უნაკულად, რამეთუ შემდგომად ღვთისმეტყუელისა და მახარობლისა იოანესა ამას მიხუდა სახელი ღმრთისმეტყუელისა და ყოველივე თქმული მისი ღვთისმეტყუელებითა აღსავსე არს და არცა ერთისა თქმულთა მისთა შორის იპოვების, თუმცა ეთქუა ძისაგან გასვლით, არამედ მხოლოდ მამისაგან. არცლა დიდსა და ზეცით გამობრწყინებულსა ბასილის, არცა წმინდასა და ყოვლისა სოფლისა მნათობსა ოქროპირსა, არცა დიდსა ათანასისს, არცა გლიგოლი საკვირველთმოქმედსა, რომლისა ცხადად წმიდა ღვთისმშობელი წარმოუდგა და ღვთისმეტყუელი იოანე და გამოუცხადეს წმიდისა სამებისა საიდუმლო და მყის აღწერა მათსავე მუნ ყოფაჲსა შინა მათითავე გრძნებითა მოკლითა სიტყვითა და დიდითა სიბრძნითა და აღწერილი იგი ჰგიეს, ვიდრე დღეინდელად დღედმდე, ხოლო მე განვრცელებისათვის არა აღვსწერე აქჲ და ვისცა ენებოს, იგი წარიკითხოს და ყოველივე ცხადად ეუწყოს და არცა სხუესა სადა ვის ღვთისმეტყუელთაგანსა უთქვამს ესე, არცა უკადრებიეს, თუ მამისგან და ძისა გამოვალს, და თუმცა ყოფილიყო ესე ცილობაი და ამისი თქმა, მრავალნიცა აღეწირენეს ამის პირისთვის (19v) ნეტართა და წინა აღსადგომილი უთქმელისა ამის სიტყვისა, არამედ ნეტარსა იოანე დამასკელსა, რომელსა ეწოდა ოქრონეკტარი თვით დედოფალისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მიერ. ამის წინათვე ეუწყა სულისაგან წმიდისა ნვალებაჲ ესე და მან აღწერა ცხადად და ჭეშმარიტად თქმულთა შინა თვისთა ღვთისმეტყუელებათა და იტყვს ესრეთ: არა ვიტყვითო სულსა წმიდასა ძისაგან გამოსლვით, რომელი არა სადა გვპოვნეს საღთოთა წერილთა შინა, არამედ მამისაგან და სულად ძისა და სულად ქრისტესაო, ვითარცა წერილ არს: „გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვისისა გულთა შინა ჩუენთა“ და კუალად იტყვს: „რომელსა სული ქრისტესი არა აქუნდეს, იგი არა არს ქრისტეო“.

ხოლო ძისაგან გამოსვლით არა თქმულ არს არცა ვის აღწერილ დაუტყვევებებს, არამედ მამისაგან ვითარცა შობა ძისა, ეგრეთვე გამოსვლა სულისა მისგანვე მამისა, რამეთუ მამა არს მიზეზი შობისა და გამოსვლისა, ვითარცა თვთავადი ქვემარტივება და ცხოვრება ჩუენი ქრისტე ბრძანებს: „სული იგი ქვემარტივებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩუემთვის და თქვენცა მონამე ხართ“ (იოანე 15,26). რახთვის არა თქუა სული (20r) იგი ქვემარტივისა, რომელი მამისაგან და ჩემგან გამოვალს, ანუ ვერ დაიდუმეს დიდი ესე საიდუმლო წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა ღვთისმეტყუელთა.

ხოლო იტყვიან ლათინნი, კაცებრივ იტყვისო და არა ღმრთაებრო. ქრისტემან მეფჴმან ჩუენმან ვიდრელა ჳორციელთა ქუეყანასა ზედა იქცეოდა, თავისა თვისისა ღთაებჴ ცხადად და გამოქვემარტივებით არასადა გამოაცხადა, არამედ იგავით და მიფარულადრე და ოდეს ამალღდა მამისა, მერმე უკანასკნელ მონაფემან მისმან და მოციქულმან იოანე ღვთისმეტყუელმან ცხადად და მზისა უბრწინვალესად და ყოვლისა საყვირისა უმაღლესად ღალადყო ღმრთაება მისი და იტყვის:

„პირველთაგან იყო სიტყუა და სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი. ესე იყო პირველთაგან ღვთისა თანა“, ესრეთ გამოაცხადა ღთაებჴ მისი და თანასწორად მამისა. ეგრეთვე სხუანი მოციქულნი ღთაებჴსა მისსა იტყვიან, ვითარცა პავლე მიუნერს ტიმოთეს:

„ღმერთი გამოჩნდა ჳორცთა და გამონათღდა სულითა, (20v) ერჴჴნა ანგელოზთა. იქადაგა წარმართთა შორის, ჳრწმენა სოფელსა და ამალღდა დიდებოთა“ (I ტიმოთე 3,16) და კუალად ტიტეს მიუნერს:

„და რახთა მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელმან-იგი მისცა თავი თვისი ჩუენტვის, ვინათგან ესრეთ ღმრთაება ქრისტესი ცხადად თქვეს და არღარა დაჴფარნეს, ვითარ დიდი ესე საიდუმლო – სულისა წმიდისა ძისაგან გამოსვლა- რახსათვისღა დაიდუმეს? და უკეთუ ქრისტემან ესე არა დაჴფარა, რაჴამს ეტყოდა მონაფეთა: „რაჴამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ და კუალად: ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ“ (იოანე 16,14). ესენი არა დაფარნა და არცა დაერიდა კაცობრიობასა, ვითარმედ „მე მოვავლინო და ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ. ამისა უმეტესი სიტყვა რახღა იყო და საიდუმლოსა გამოცხადებჴ. უკეთუ ესე არა დაჴფარა, მას რადღა დაუტყვევებღა, მამისაგან და ჩემგან გამოვალსო? ანუ წმიდანი მისნი მოციქულნი, ვითარ არღარა გამოაცხადებდეს? ანუ წმიდანი ღვთისმეტყველნი ვითარღა დაჴფარვიდენ? ესრეთ არა(21r)სადა თქმულ არს მათისაებრ სიცბილისა, არამედ ყოველივე ესრეთ აღიარებდეს, ვითარცა ჩუენ გურწამს და აღვიარებთ, ვითარცა მხსნელისა ჩუენისა ქრისტესაგან გვისწავიეს და ესერა გუესმის.

რამეთუ პირველად თქუა: „მე ვჴკითხო მამასა ჩემსა და სხუა ნუგე-



შინისმცემელი მოგივლინო“. აჰა, თანასწორება და ერთპატივობა მამისა და ძისა და წმიდისა სულით აღდგომა ძისაგან მამისა, მერმე იტყვის: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“, და „მე მოვავლინო იგი თქვენდა“ და „ჩემგან მილოს და გითხრას თქვენ“. აჰა, ხელმწიფება ძისა და თანასწორება სულისა და ერთპატივობა. და მერმე იტყვის: „ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძლოდეს თქვენ ჭეშმარიტებისა ყოველსა“. აჰა, ჯელმწიფება და უფლებად სულისა და არა უდარესობად მამისაგან, არცა ძისა.

რამეთუ პირველად იტყვის: „მე ვჰკითხო მამასა ჩუენსა და სხუა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქუენ“, მერმე იტყვის: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“ და „ჩემგან მიილოს და გითხრას თქუენ“ და მერმე თქუა: „ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტების, გიძლოდის თქვენ ჭეშმარიტებასა (21v) ყოველსა“.

აჰა, ერთობა და ერთი პატივი და ერთი ჯელმწიფება და ერთი ღმრთაება და სწორი მეუფება და სწორი უფლება და სწორი განზრახვა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, განუყოფელობა და შეურევნელი ერთობა.

ხოლო უკეთუ ვთქვათ მამისა და ძისაგან გამოსლვა სულისა, ორნივე იქმნებიან მიზეზნი სულისა წმიდისა გამოსვლისანი ვითარცა მამა, ეგრეთვე ძეცა და სული წმიდა დაკლებულ იქმნეს ერთპატიობისაგან, რამეთუ მამა და ძე გამოავლენს სულსა, ხოლო სული წმიდა ვერლარას მოქმედებს. უმჯობეს არს, რათა ესეცა თქვან, ვითარმედ: მამისაგან და სულისა იშუა ძე და იქმნეს თვითებათა და გუამთა შერეულება მსგავსად საბელიოზის გამობისა, ანუ განყონ არიოზისებრ უსჯულოსა, ანუ შერევნა და შერწყმა თქუან, ვითარცა ვთქუ გუამთა და თვითებათა, რაჟამს ითქვას მამისა და ძისაგან გამოსლვა სულისა, ანუ განყოფა ითქუას არსებათა და ბუნებათა, რაჟამს ძესა მისცენ მიზეზობა სულისა წმიდისა გამოსლვასა და სულსა წმიდასა არარა მიზეზობად და დაკლებულ ყონ (22r) მისივე არსებისა და ბუნებისაგან. იხილვეთ, სადა მიწვევის გამობა ესე: ანუ არიოზ იქმნენ, ანუ საბელიოზ, ანუ შეარწყუან და შერიონ, ანუ განყონ და განაშორონ ურთიერთას და დაკლებულ ყონ სულიწმიდა სწორ პატივისაგან მამისა და ძისა. გულისჯმა ყავთ, ძმანო, თუ ვითარ საკრძალველ არს სარწმუნოება ჩუენი, რომელი მოციქულთა დაჰბეჭდეს და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს და ვერვის ჯელენიფების იოტა ერთი, გინა რქა ერთი შემატებად, გინა დაკლებად. და უკეთუ იქმნეს მცირედი რაიმე, ანუ დაკლება, ანუ შემატება, მერმე კუალად სხუა იქმნების, კუალად სხუა და ესრეთ მცირედ-მცირედ დაიწსნას და განირყვნას ყოველივე, ვითარცა ქმნულ არს მათ შორის და არლარა არს საზღუარი დადებული მოციქულთა და ღმერთმემოსილთა მამათა მათ შორის, არამედ ყოველივე განრყუნილ არს და შეცვალებულ, ხოლო ჩუენ დაგვიცნეს უფალმან ყოვლისაგან ნვალებისაგან და საცთურისა, მთესველისა მისგან ლუარძლისა და ღირს მყვენს სასუფეველისა ყოველთა წმიდათა მისთათანა, ამინ.

#### **IV თავი. სიყვარულისათვის, თუ ვითარ მოსაპენი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უყმოვნ.**

ხოლო ან სიყვარულისათვის ვიტყოდით, თუ ვითარ სულსა წმიდასა სიყვარულად უყმობენ იგინი, ვითარმედ მამა და ძეო, და მათგან სიყვარული გამოვალსო. ესე არს სული წმიდაო. რაჲ არს ესოდენი წინააღდგომა და ცილება სჯულისა, ვჰკითხოთ მათ. სიყვარული არსება არს ანუ გუამი, უკეთუ სიყვარული გუამ არს ოთხება იქმნების გუამთა და არა სამგუამოვნება, რამეთუ სულისა გუამოვნება და თვითება, ვითარცა მამისა უმობელობა ითქმის და ძისა შობა, ეგრეთვე სულისა გამოსვლა, ხოლო სიყვარული არცა უმობელი არს, არცა შობილი, არცა გამოსრული. ხოლო უკეთუ არსებაჲ თქუან სიყვარულისა, ესე ორი არსება იქმნების ღმრთაებისა და სიყვარულისა, რამეთუ სიყვარული ერთი სათნოებათაგანი არს და არა ითქმის არსებად, ანუ გუამად, ვითარცა იგი სხუანი სათნოებანიცა: მონყალება, სახარება, სიმართლე და ჭეშმარიტება, სინმიდე, სიმდაბლე, სიმშვიდე და სიხარული, და არა აქუს სიყვარულსა, ვითარცა ვთქუ, არცა სხუასა სათნოებასა არსება, არცა გუამი, რამეთუ მო(23r)წყალებასა წინა აღუდგების უწყალობა, სახიერებასა – სიბოროტე, სიმართლესა – სიცრუე და ჭეშმარიტებასა – ტყუილი, სიმდაბლესა – სილაღე და სიმშვიდესა – გულისწყრომა და სიყვარულისა – მტერობა და შური, და ესრეთ თვითოცული სათნოებაჲ თვისისა წინააღმდგომისაგან დაიწყნების.

ესრეთ არა აქუს სათნოებასა არსება და ბუნება, არცა გუამი დაღაცათუ არსებათა უზეშთაესა მას და გამოუთქმელსა ღმრთაებასა ესე ყოველი ბუნებითად აქუს და არა მოპოვნებით, რამეთუ მარტივ არს და შეუზავებელ ბუნება ღმრთაებისა და არცა ერთი ამათგანი ითქმის არსებად და ბუნებად მისა და, უკეთუ ითქუას, მრავალნი ვიდრემე ბუნება და არსება ითქუას არსებათა უზეშთაესისა ღმრთისათვის და გუამად თუ ითქვას, ეგრეთვე მრავალნი გუამნი იქმნენ.

არცა მხოლოდ სიყვარული ითქმის მარტოდ სულისათვის, რამეთუ რავდენიცა სახელიდების სათნოებანი, ყოველივე ზოგადად აქუს და სწორებით მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ერთლთაება(23v)სა განუყოფელსა, ვითარცა წერილ არს: „ღმერთი სიყვარული არს და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, იგი ღმრთისათა ჰგიეს და ღმერთი მის თანა“. ესე ზოგად ერთღმრთაებისა სახელი არს, ვითარცა ვთქუ, და არა მხოლოდ სულისათვის, ეგრეთვე სხუანიცა სათნოებანი, ვითარცა მოსეს ეტყოდა: „წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ“.

და მეუფე ქრისტე ბრძანებს: „იყვენით მონყალე, ვითარცა მამა თქვენი მონყალე არს“. და კუალად იტყვის: „არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი“. და კუალად ბრძანებს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ

გულითა“, და კუალად წერილ არს: „ღმერთი ჭეშმარიტი არს და არა არს სიცრუე მის თანა“. ესე ყოველნი სახელნი არიან ღმრთისანი და არა ბუნება და არსება, არცა გუამოვნებასა შემასრულებელი, არცა ბუნებისა თანა შეზავებული“.

არამედ ბუნებით კეთილთა სრულებისათვის ბუნებითა უზეშთაესისა ღმრთაება, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა სახელიდებინ ესე სახელნი და არა მარტოდ სულისთვის, რამეთუ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთ არს პატივი და დიდება და სათნოებანი, გინათუ მოწყალება, გინათუ სახიერება, გინათუ სიმ(24r)შვიდე და სიმართლე და ჭეშმარიტება, გინათუ სინმიდე და სიყვარული. ესე ყოველნი ზოგადნი სახელნი არიან ერთ ღთაებისანი, ვითარცა შემოქმედება და დამბადებელობა, უფლება და მეუფეობა, და არა ითქმის ერთსა ოდენ გუამოვნებასა ზედა, არამედ ზოგად ერთობასა ზედა და არა რაჲ არს მათ შორის განყოფილი, თვნიერ გვამოვნებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ერთღთაებისა და ერთუფლებისა. ხოლო უკეთუ მარტოდ სულსა წმიდასა განუკუთნოთ სახელი ესე სიყვარულისა, მერმე სხუჲ სათნოებაჲ სხუასა, და ესრეთ უმსგავსო იქმნას და უპირულ ესევეითარნი სახელნი და არღარა ერთობა იყოს, არამედ განწვალება და განყოფა.

კუალად მოციქულისა სიტყვაჲ მოვიხსენოთ, ვითარ იტყვს: „რამეთუ სიყვარული ღმრთისა განფენილ არს გულთა შინა ჩუცნთა სულითა წმიდითა“ (ჰრომაელთა 5,5). ან იხილენით, ვითარ ეგების სული წმიდა სიყვარულად თქმად, რამეთუ სიტყვთა ამით ორი იქმნების სულიწმიდა და არა ერთი: „სიყვარული ღმრთისა განფენილ არს ჩუელთა შინა ჩუენთა სულითა წმიდათა“, აჰა, უპირული სიტყვა და გმობა, რამეთუ სიყვარული ერთი სათნოებათაგანი არ(24v)ს და არა სულიწმიდა, არცა ღთაებისა ბუნება, არცა არსება, არცა გუამოვნება.

## **V. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათჳს, რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა**

ერთად ესე აქვსთ ჩუენდა მიმართ სიტყვისგებად პაპის მოსავთა, ვითარმედ ქრისტემ რაჲ შეჰბერა მოწაფეთა და ჰრქუჲ: „მიიღეთ სული წმიდა“, „ესე არს მიზეზი ძისაგან სულისა წმიდისა გამოსვლისაო. ამის სიტყვისა განმარტებაჲ ჩუენგან არღარა საჭირო არს, რამეთუ უდიდთა მათ ღვთისმეტყუელთაგან არს განმარტებული ვრელად და უნაკლულოდ წმიდისა გრიგოლ ღვთისმეტყველთაგან და იოანე ოქროპირისა მიერ, რამეთუ იგინი ესრეთ იტყვიან, ვითარმედ: „მომზადება იყო შეჰბერვა იგი და არა მიცემაო“, უკეთუ მაშინ მიეცა, რადღა ეტყოდა მოწაფეთა: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს, მე წარვიდე და სხუა ნუგეშინსმცემელი მოგივლინო, რაჲთა თქუენთანა დადგრეს უკუ-

ნისამდე“, რამეთუ ჯერეთ არა ამაღლებულ იყო ჴორცთა ბუნებითა, არცა წარსრულ ჴორცითა კაცობრივითა უხილავისა და დაუსაბამოისა მამისა წიაღ, დაღაცათუ ღმრთაებით განუშორებელ იყო მამისა და სული(25r)საგან. ამისთვის იქმნა შესლვა კართა ჴშულთა ქრისტესი და ჴორცთა წყლულებისა ჩუჴნება და საზრდელისცა მიღება, რომელი არღარა ეჴმარებოდა, არამედ განგებულებით ქმნა ეგრეთვე შეჴბერვა ესე, რაჲთა დაარწმუნოს მოწაფჴთა, ვითარმედ სრული ღმერთი არს და სრული კაცი და შემდგომად აღდგომისა იგივე სრულნი კაცებრივნი ბუნებანი მოსიან – სულნი და ჴორცნი. რამეთუ კართა ჴშულთა შესლვა და კლიტეთა და ბეჴედთა არა შეძრვა ღმრთეებისა საქმე იყო, ვითარცა იგი ქალწულებისა კლიტეთაცა და საფლავისა ბეჴედთა არა შეძრვა და ეგრეთ გამოსლვაჲ. ხოლო ჴორცთა წყალულებისა ჩუჴნება და საზრდელისა მიღება ჴორცთა ბუნებისა საქმე იყო, რამეთუ გამოჩინებად იყვნეს უკანასკნელ მწვალებელნი, რომელნი იტყოდეს, ქრისტესა შემდგომად აღდგომისა ჴორცნი კაცებრივნი არღარა ჴმოსიანო. და კუალად იყუნეს მწვალებელნი მანის და მუნტანი, რომელნი იტყოდეს, რაჴამს ქრისტე ამაღლდებოდა, ჴორცნი კაცებრივნი მზესა თანა დაუტევნაო. ამისთვის იქმნა, ვითარცა ვთქუ, ჴორცთა წყალულებისა ჩუჴნება და საზრდელისა მიღება დაყოფად პირთა მათ ურცხვნოთა და მგმობართა, რომელნი ამას იტყოდეს და ანგელოზნიცა ამასვე დაუმტკიცებდეს მოციქულთა, რაჴამს ამაღლდებოდა ზეცას, ვითარმედ ჴო(25v)ცნი იგი, რომელ მიიხუნა ჩუენგან ქრისტემან შემდგომად ვნებისა და აღდგომისა, იგინივე მოსიან და მით ამაღლდა ზეცად და მითვე მოსლვად არს განსჯად დაბადებულთა, ამისთვის იტყოდეს: „კაცნო გალილეველნო, რაჲსა სდგათ და ხედავთ ზეცად? ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეს აღმავალი ზეცად“. (საქმე მოციქულთა 1,11).

ეგრეთვე სხუანი მწვალებელნი გამოჩინებად იყუნეს უკანასკნელ, რომელთა თქუჴს, ვითარმედ ქრისტემან ჴორცნი შეიმოსნა კაცებრივნი და სული და გონებაჲ არა მიიღო, არამედ სულისა და გონებისა წილ სიტყუა ღმრთისა ექმნა სულ და გონებაჲ ხორცთა მისთაო. ამის გამობისა თავი იყო აპოლინარიოს მწვალებელი და შემდგომნი და მსგავსნი მისნი ბოროტნი, რამეთუ ვითარცა ვთქუ, პირველთა მათ მწვალებელთა, რომელნი ჴორცთა ქონებაჲსა არღარა იტყოდეს ქრისტეს შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, მათდა პირის დასაყოფლად იქმნა საზრდელისა მიღება და ჴორცთა წყლულებისა ჩუჴნება, ეგრეთვე შებერვა ესე იქმნა, რომელნი უსულოდ და უბუნებოდ იტყოდეს ქრისტესა მათდა პირის დასაყოფლად.

რამეთუ ვინათგან სიტყუამან ღვთისამან ბუნება კაცთა სრულე(26r) თ მიიღო – სული, ჴორცნი და ბუნებაჲ, თვინიერ ცოდვისა. ამისდა დასამტკიცებლად შეჴბერა კაცობრივითა სულითა და სამშვინელითა, ხოლო ვთქუ, რაჲ კაცობრივი სული და სამშვინელი, ნურღარა კაცებრივად ჴგონებ, რამეთუ

ან ყოველივე ღმრთისად ითქმის – ჯორცნი, სული და გონება, რამეთუ უკაცებრივი, რაჲცა მიიღო, არსებასა თვისსა შეიერთა შეურევნელად და ერთგუამ იქმნა, ვითარცა ცეცხლმან რკინა რაჲ შეიწყნარის მის შორის და ყოვლითურთ ცეცხლ იქმნის, ეგრეთვე ღმრთისა სიტყუამან ღმერთ ყო ჩუენი ყოველივე, ვითარცა სისხლი მისი ითქმის ღმრთისა სისხლად, ეგრეთვე ღმრთისა ჯორცი, ღმრთისა სული და ღმრთისა სამშვინელი და ღმრთისა გონება, რომელმან, თვინიერ ცოდვისა, ჩუენი ყოველივე მიიღო და განღმერთო, და მით შეჰბერა. და უკეთუ კაცობრივი რაჲმე დაშთა მიუღებელად და იგი ყოველივე ეგო უკურნებელად, ღვთისმეტყველთა სიტყვისაებრ, იგი სული შეჰბერაჲ ქრისტემან, რომელი ჯვარსა ზედა შეჰვედრა ღმერთსა და მამასა, იგი სული მიიღო კუალად განღობილი, შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა, ვითარცა ბრძანებს: „ველმწიფების სულისა ჩემისა და დიდებად და კუალად ველმწიფების მოღებად“. იგი სული შეჰბერა მოციქულთა და ვითარცა კაცებრივთა ჯორცთა ქონება შემდგომად აღდგომისა წყლულებისა ჩუენებითა და საზრდელისა მიღებითა დაამტკიცა, ეგრეთ(26v)ვე სარწმუნო ყო კაცებრისა სულისა ქონება, რაჲჲმს იგი შეჰბერა მოციქულთა და მოჰმზადა შეწყნარებად სულისა წმიდისა და ჰრქუა: მიგვიღებებს, არამედ მიიღეთ სული წმიდაჲ. უკანასკნელ მიღებისთვის ეტყოდა, რომელსა შინა აღუთქუა მოვლინებაჲ, არათუ მაშინვე მიცემისთვის.

ამით დაიჰქსნა მწვალებელთა გესლოვანი სიტყუა, ვითარმედ ქრისტე არცა უსულო არს, არცა უბუნებო, არამედ სრულებით მიიღო ქრისტემან ბუნება კაცობრივნი, ჯორცნი სულიერნი და სული სიტყვიერი და გონიერი და შეიერთა თავსა შორის თვისსა, და შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, ეგრეთვე ჰმოსიან და არს სრული ღმერთი და სრული კაცი ორთა ბუნებითა და ერთითა გუამითა შეურევნელად და განუყოფელად. ამისთვის იქმნა განგებულება იგი კართა ჴშულთა შესლვა, წყლულებისცა ჩუწნებაჲ და საზრდელისცა მიღება, მაშინლა რაჲდლა ევმარებოდა საზრდელისა მიღება, ეგრეთვე შეჰბერვა. ესე იქმნა შეჰბერვა და მომზადა მოვლინებად სულისა წმიდისა.

ვითარცა ეტყოდა პირველვე: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს, და ოდეს წარვიდეს სხუა (27r) ნუგეშინისმცემელი მოგვივლინო, რაჲ თქვენ თანა დადგრეს უკუნისამდე“. და უკეთუ მაშინ მისცა შეჰბერვითა მით, რაჲსთვისლა ეტყოდა სიტყუათა ამათ – „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“?

არამედ, ვითარცა ვთქუ, ამის მიზეზისთვის იქმნა შეჰბერვა იგი, რაჲთა დაემტკიცოს შემდგომად ვნებისა და აღდგომისა კაცებრივისა ბუნებისა ჯორცთა და სულისა სრულებით ქონება. ამისთვის შებერა კაცებრივისა სულითა და სამშვინელისა ყოვლითურთ განღმერთობილითა და დაამტკიცა ჭემმარიტად ქონება, ვითარცა ჯორცთა, ეგრეთცა სულისა სამშვინელითურთ და მოჰმზადა შეწყნარებად სულისა წმიდისა.

ნუ ჰგონებ, თუმცა სული წმიდა ორთქლი რაჲმე იყოს და შეჰბერვით მიე-

დინებოდის, ანუ ქართაებრ გამოვიდოდის, ანუ კაცებრივი რამე გულისწმაცო, რამეთუ ვითარცა მეუფე ჩუენი ქრისტე მამისა სიტყვაჲდ ითქმის და არა არს მსგავსად ჩუენდა სიტყუათა, რამეთუ პირით ჩუენით რაჲ გამოვიდის, სიტყუა ჰაერად განიბნევის და განილევის, არამედ ძე ღმრთისა უვნებელად შობისა მისისათვის ითქმის სიტყვაჲდ, ვითარცა ჩუენისა გონებისაგან უვნებელად იშუჭბის სიტყუა და ვნება არა იქმნების, ეგრეთვე დიდისა მის განგების(27v) გან მამისა იშვა ძე და სიტყუა ღვთისა, უვნებელად და არს სრული გუამოვნება.

ეგრეთვე სული წმიდა გამოვალს მისივე მამისაგან და ძისა თანა განისუჭნებს და არს სრული გუამოვნება, ვითარცა მამისა და ძისა, ეგრეთვე სულისა წმიდისა განუყოფელისა და შეურევენელისა, ერთღმრთაებისა და ერთუფლებისა.

არამედ სული წმიდაჲ, ვითარცა ვთქუ, არცა ორთქლი არს პირისა, არცა ქარისა არს ჰაერისა მიმართ განბნევაჲდ, არცა გუამი გუამსა შორის შერწყმული და შერეული, რაჲთამცა მით რაჲმე იქმნებოდა შებერვა, არამედ გუამოვნება მტკიცე, ვითარმედ მამისა, ეგრეთცა ძისა და სულისა წმიდისა, განუყოფელნი და შეურევენელი. და არათუ შერწყმული და შერეული, არცა განბნევაჲდი და განქარვებაჲდი, არამედ სრული ღმერთი არს მამისა და ძისა თანასწორი, მისივე მამისაგან გამოსრული და მამისა და ძისაგან განუშორებელი.

და ვითარცა შობა ძისა მამისაგან პირველ ყოველთა საუკუნეთა, ეგრეთვე გამოსლვა სულისა მამისაგანვე, რაჲთა არა ორნი მიზეზნი ითქუნენ და დაკლებული ქმნეს სული წმიდა თანასწორისა პატივისაგან.

არამედ შეჰბერვა ესე სულითა კაცობრივითა მომზადება იყო მოსალოდებელისა და არა სრულები(28r)თ მინიჭება სულისა წმიდისა.

და უკეთუმცა არა პირველივე მოემზადნეს, ვითარ უძლებდეს მოსლვასა სულისა წმიდისასა.

რამეთუ წინათვე მოასწავებდეს წინასაწარმეტყუელნი მოსლვასა სიტყვისა ღმრთისასა და ჯუარცმასა და სიკუდილსა მისსა ცხადად და ჭეშმარიტად იტყოდეს და მერმე მოციქულთა თვალითა იხილეს და ჯილვითა ჰმსახურეს, ეგრეთვე ქრისტე მცირედ-მცირედ ეტყოდა და მოიყვანებდა გულისწმისყოფად ვნებისა და აღდგომისა თვისისა. და კუალად დაბრკოლდებოდეს და აცილებდეს ქრისტესა, ვითარცა პეტრე ეტყოდა უფალსა: „ჯვარცმისთვის შენდობა იყოს შენდა, არა იყოს ეგრეთ“. და უკეთუმცა წინათვე არა დაჩუჭულ იყნეს, ვითარ თავს იდებდეს ხილვად განგებასა მისსა. რავდენ უმეტეს უხილავისა და უსაზღროისა და გარეშეუწერელისა სულისა წმიდისა გარდამოსლვასა შეშინებულ და შეძრწუნებულ ქმნულ იყვნეს და ვერ თავსმდებულ ძალისა მისსა უსაზღროჲსა, უკეთუ წინათვე არა განემზადნეს, ვითარცა ვთქუ, შებერვითა მით.

და უკეთუ მაშინვე სრულებით მიენიჭა, რადლა ელოდეს პაემანსა და აღ-

სრულებასა მეერგასისა (28v) დღისასა, რომელსა შინა ცხადად მოიღეს მაღლი სულისა წმიდისა ცეცხლისა ენათა განყოფითა.

ანუ რად ეტყოდა ქრისტე მონაფეთა: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“? და კუალად ეტყოდა: „მე წარვიდე და სხუა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო“ და კუალად შემდგომად შებერვისა მის მეორემოცესა დღესა ეგულებოდა რაჲ ამალლება, აიყვანნა მთასა ზეთისხილთასა და ეტყოდა: „ხოლო თქვენ დასდებთ ქალაქსა ამას იწრუსალიმსა, ვიდრემდის შეიმოსოთ ძალი მაღლით და მე მოგივლინო აღთქმა იგი მამისა ჩემისა“.

უკეთუ მაშინ მიენიჭა სული წმიდა ამას, რასათვისღა ეტყოდა? ანუ იგი სული წმიდა რომელი იყო და ესე დაპირებული ნუგეშინისმცემელი რომელი?

რამეთუ ვინათგან სრულმან ბუნებამან ღმრთისამან ბუნება კაცთა სრულებით მიიღო, ჯორცნი და ბუნება, სული სიტყვიერი სამშვნველითურთ და შეიერთა თავსა შორის თვისსა და ყოვლითურთ განაღმრთო და ყოველივე ღმრთისათ გამოაჩინა: ჯორცი და სისხლი, გონება და სიტყუა, სული და სამშვნველი და ერთ გუამ იქმნა ორი ბუნება, ამისთვის კაცობრივითა ს(29r) ულითა და სამშვინელითა შეჰბერა, რათა გუარნმუნეს შემდგომად აღდგომისცა სრულისა კაცობრივისა ბუნებისა ქონებაჲ ქრისტესი და მომზადებაცა იყო მოღებად სულისა წმიდისა, ვითარცა ანცა სახედ მღდელნი ქრისტემან, რაჟამს ნათლისცემდენ ყრმათა, შეჰბერვიან და მასვე სიტყასა იტყვიან, რომელი მაშინ ჰრქუაჲ უფალმან მონაფეთა, ვითარმედ: „მიიღეთ სული წმიდა“ და მოჰმზადებენ მიღებად სულისა წმიდისა, ესრეთ მომზადება იყო და არა სრულად მინიჭება.

ხოლო ღმრთაების ბუნებისა მეერგასესა დღესა, დროსა მას და პაემანსა, რომელსა მოელოდეს მოციქულნი სათნო ყოფითა მამისათა მოვლინებითა ძის თანა და თვთველმნიფებითა სულისათა თავით თვისით მოვიდა სული წმიდა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მე ვკითხი მამასა ჩემსა და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინო“ და მერმე იტყვს, უკეთუ: „მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს და მე მოვავლინო იგი თქუნდა“ და კუალად იტყვს: „ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძლოდეს თქვენ ჭეშმარიტებასა შინა“. სიტყუანი თვითებათა და გუამოვნებათა შეურევნელებისანი არიან.

ხოლო სიტყუა იგი, ვითარმედ: „სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის“, ესე არსებათა (29v) და ბუნებათა ერთობისა საქმე არს, ვითარმედ მამისაგან გამოვალს და მამა არს მიზეზი ძისა შობისა და სულისა გამოსლვისა და ერთი პატივი და სწორი ჯელმნიფებაჲ და უფლებაჲ აქვს და არა არს მათ შორის განწვალება, არცა შერწყმა და შერეულებაჲ, არამედ ერთობაჲ აქუს უცვალელებელი და მეუფეჴბაჲ აქუსთ დაუსრულებელი და მისი არს დიდებაჲ და პატივი და თავყვანისცემა ან და მარადის და უკუნისამდე.

## **VI თავი. სიტყვა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“.**

კუალად იტყვან, ქრისტე ბრძანებსო: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება,“ მერმე იტყვასო: „სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს“, იგი ჭეშმარიტება ძე არსო და მისგან გამოვა სული წმიდაო. უკეთუ გამოსვლასა ზედა მოიღებენ ამას სიტყუასა, მაშა „გზისგანცა გამოვალს და კრავისაგან“ და რაოდენნი ჯორციელისა განგებულების სახელნი ეწოდებიან ქრისტესა, რამეთუ თქუა: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“ და კუალად „მე ვარ კარი, თუ ვინმე შევიდეს ჩემდა მიერ, ცხონდეს“. და ესე არს უმზგავსო სიტყვა მათი, ხოლო არა იტყვის ჭეშმარიტებისგან გამოსლვასა, არამედ სული ჭეშმარიტებისაო, და მეცა ეგრეთვე მრწამს და აღვიარებ სულად ძისა და სულად ქრისტესა და სულად ჭეშმარიტებისა, და რაოდენნი სახ(30r)ელნი იწოდებიან ქრისტესთვის, ყოველთა ზედა ითქმის სულად ძისა და სულად ქრისტესა და სულად ჭეშმარიტებისა მოძღვრებისაებრ საღმრთოთა წერილთასა, ვითარმედ „გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვისისა გულთა შინა ჩუენთა“. და კუალად იტყვის: „რომელსა სული ქრისტესი არა აქუნდეს, იგი არა არს ქრისტესი“ და კუალად: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“.

ხოლო გამოსლვით ძისაგან არავის უთქუამს, არც თვთ ჭეშმარიტ ძესა ღვთისასა, არცა მოციქულთა, არცა ღმრთისმეტყუელთაგანსა ვისმე, არამედ ესრეთ ყოველთავე საღმრთოთა წერილთა შინა და თვით წმიდა სახარებასა შინა წერილ არს, ვითარმედ: „მამისაგან გამოვალს და ძისა მიერ მოველინების და მოგუწცემის და მოგუწნიჭების და მამა არს მიზეზი ძისა შობისა და სულისა გამოსლვისა და ერთობა აქვს უცვალებელი და ჯელმწიფება და მეუფეობა მოუკლებელი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## **VII თავი. სიტყვა მისთვის: „ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა“.**

ხოლო ერთი სატყუა ესე აქუსთ პაპის მოსავთა მიზეზად მეტყველებისა მათისა, რომელი წერილ არს გამოცხადებასა შინა ოიანე ღვთისმეტყველისა, ვითარმედ: „მიჩუწნა მდინარე წმიდა და წყლისა ცხოველისა ბრწყინვალე, ვითარცა ბროლი, გამომავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა (30v), შორის სივრცესა მის ქალაქისა“ (გამოცხადება 21,1). ესე არს თავი და პირველი სიტყვისგება მათი ჩუენდა მომართ და სიტყვითა ამით აცთუნებენ მრავალთა წრფელთა და და მარტივთა სულთა და ჩანს, ვითარმედ: ძნელ არს სიტყვისგება მათი, არამედ მცირედ მელოდეთ და ადვილად დაიქსნას სიტყვამრავლობა მათი და ცუდის მეტყუელება მადლითავე და შეწევნითა სულისა წმიდისათა.



რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღვთისაჲ და კარვისა შორის სივრცესა მის ქალაქისასა“, ვინათგან საყდარი ჰრქუა და სივრცე ქალაქისა, ჩუენ მიერ არღარა საჭირო არს ამისი განმარტება, რამეთუ რომელთა შორის არს მეცნიერება საღმრთოთა წერილთა, მათ მიერცა ადვილ არს ამის უწყება და ძალი, ვითარმედ საყდარნი ღმრთისანი ზეცისა წესთაგანი არიან, ერთი დასი ცხრათა მათ დასთაგანი უმახლობელესნი ღმრთისანი და უპირველესნი სხუათა მათ ზეცისა განწყობილთაგანი სერაბინთა და ქერაბინთა თანა გარემოს ღმრთისა მყოფნი, რომელთა ზედა განისუჭნებს მეუფჳ მეუფჳთა, ვითარცა დასწერს ბრძენთმთავარი დიდი დიონოსი ზეცისა განწესებათათვის და იტყვს: „სერაბინნი და ქერაბინნი და საყდარნი უფლებანი, ძალნი და ჴელმწიფებანი, მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგე(31r)ლოზნი, ვითარცა ვთქუ, უპირველესნი და უმახლობესნი ზეცისა განწესებულთა შორის სერაბინნი და ქერაბინნი და საყდარნი არიან, რომელთა ზედა განისუჭნებს ნეტარი იგი და მოუწდომელი ბუნებაჲ წმიდისა სამებისა მიუწდომელად და გამოუთქმელად ზემთა ბუნებისა და ზემთა სიტყუვისა და მოგონებისა და უკეთუ საყდრისგანცა გამოვალს სული წმიდაჲ, ვერღა ითქუას ძისაგანცა გამოსლვა, ანუ რაჲღა იყოს უმეტესი პატივი მამისა ანუ ძისა. და კუალად ესაისიცა იგი ხილვა მოივსენე, ვითარ იხილა მეუფჳ საყდართა ზედა მჯდომარე ჟამსა მას, რომელსა მოკუდა ოზია მეუფე და იტყვის, ვითარმედ: „ვიხილე უფალი მჯდომარე საყდართა ზედა მალათა და აღმატებულთა და სავსე იყო დიდებითა ტაძარი იგი მისითა და სერაბინნი დგეს გარემოს მისა“, და შემდგომი. და კუალად წინანი სამნი ყრმანი იყუნეს რა შეთხეულ საწმილსა მას ცეცხლისასა, ილოცვიდეს და იტყოდეს: „კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა შენისათა“, და დავით იტყვს: „უფალმან ზეცას განმზადა საყდარი თვისი და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლების“, და კუალად გამოცხადებასა შინა წერილ არს: „მეყსეულად ვიქმენ სულითა და აჰა, დგა საყდარი ცათა შინა და საყდართა ზედა მჯდომარე მსგავსი იყო ქვასა მას იასპსა და სარდიონ(31v)სა და ირისე იყო გარემო საყდრისა მის“ (გამოცხადება 4,2). ესე არს საყდარი იგი, რომლისაგან გამოვალს მდინარე იგი წყლისა ცხოველისა და საყდრად ღმრთისა, რომელსა ზედა განსუჭნებს უფალი. პირველი ბრწყინვალეებანი არიან ზეცისა განწყობილთა შორის, ვითარცა პირველივე ვთქუ, და მერმე შორის სივრცესა მის ქალაქისა, რამეთუ ესენი წმიდანი ანგელოზნი არიან და სულნი წმიდათა კაცთანი, რომელნი იმუჭბენ ზეცისა იჭრუსალიმსა შინა, ვითარცა სხუანიცა ღმრთისმეტყველნი ესრეთვე იტყვან და ამათ შორისცა გამოვალს, ვითარცა წერილ არს: „მდინარე ერთი გამოვალს წმიდა, ბრწყინვალე წყლისა ცხოველისა საყდრისაგან ღვთისაჲ და კრავისა შორის სივრცესა მის ქალაქისასა“. და ვითარ ეგების ესე, ანუ ვითარ მოეზავების ესრეთ, რაჲთამცა სული წმიდა საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა გამოვიდა სიტყვისაებრ მათისა შორის სივრცესა მის ქალაქისა.

ხოლო მდინარე იგი წმიდა, რომელი იხილა ღვთისმეტყველმან წყლისა ცხოველისა, ჭეშმარიტად მადლი სულისა წმიდაჲსა არს და გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა, რომელ არიან საყდარნი ღვთისანი წმიდანი ანგელოზნი, ნებითა კრავისა მის ჩუენთვის დაკლულისათა და გარდაეცემის უხუად შორის სივრცესა მის ქალაქისასა (32r) ანგელოზთა და წმიდათა სულთა ზედა და არა ბუნებით და პირველითგანით და მიზეზობისათვის არს ხილვა ესე გამოსლვისა, არამედ მადლითა მათ მრავალსახითა სულისა წმიდისა გამოსლვათათვის იტყვს, ვითარცა ბრძანებს ქრისტე, ვითარმედ: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი“, ვითარცა თქუა წიგნმან: „მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდთან წყლისა ცხოველისანი“. ესე თქუა სულისა მისთვის, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ.

ესე მდინარე იხილა იოანე ღვთისმეტყველმან გამომავალი საყდრისაგან ღვთისაჲ კრავისა, რამეთუ მადლი იყო სულისა წმიდისაჲ უხუჭბით მომდინარე სახედ მდინარისა შორის ანგელოზთა და წმიდათა სულთა ზედა კაცთასა გარდაცემული და ჭეშმარიტად, რომელსა ჰრწმენეს ქრისტე ძედ ღმრთისა და თანასწორად მამისა და სულისა წმიდისა, უკანასნელ ჩუენთვის განკაცებლი ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითა, ღმერთი სრული და კაცი სრული, და მცნებაჲთა და ბრძანებაჲთა მისთა იმარხვიდეს, მისგანცა გარდმოეცემის მდინარე იგი ცხოველსამყოფელი წყლისა ცხოველისა, უხუჭბით მომდინარე, რომელ არს მადლი სულისა წმიდისა ბრძანებისაებრ უფლისა, ვითარმედ: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მდინარე მუცლ(32v)ისა მისისაგან დიოდთან წყლისა ცხოველისანი“ და შემდგომი. და თუცა სულისა წმიდისა გამოსლვისათვის იტყოდეს მდინარესა მას ღმრთისმეტყუელისა მიერ ხილულსა და მის მიერვე სახარებათა შინა წერილსა, მაშა ესეცა იქმნების, რომელ ყოვლისა მორწმუნისა და წმიდისა კაცისგანცა გამოვალს სული წმიდა და ვითარ იყოს ესე, ანუ ვითარ ეგების, რამეთუ სული წმიდა ბუნებით არცა მდინარე არს, არცა ქარი, არცა დის, არცა ქრის, არცა ორთქლი რაჲმე არს განქარვებადი და ვითარცა იგი ძე და სიტყვა ღმრთისა, არა თუ სიტყვუთაებრ ჩუენთა ჰაერად განბნევადი არს, არამედ სრული გუამოვნება არს, ვითარცა მამისა და ძისა, ეგრეთვე სულისა წმიდისა უცვალებელნი და მოუკლებელნი, შეურევნელნი და განუყოფელნი და არა რაჲ არს მათ შორის განყოფილნი, თვნიერ უშობელობისა, შობისა და გამოსლვისა, და არცა ვინ ესე უწყის და ვერცა ვინ შემძლებელ არს ცნობად, თუ რა არს უშობელობა მამისა, შობა ძისა და გამოსლვა სულისა, ვერცა კაცი და ვერცა თვთ უჭორცონი ბუნებანი, არამედ ესეოდენ უწყალობელ არს ჩუენდა და მოცემულ საღმრთოთა წერილთა (33r) მიერ და მეტი არარა, და ნუცა ვინ გამოეძიებს ამის უმეტესსა, რაჲთა არა დაინთქას და მიეცეს წარსანყმედელსა სიტკსაებრ დიდისა ღმრთისმეტყველისა გრიგოლისა.

რად ვიტყვი სხუასა, თვით ჭეშმარიტი სიბრძნე და ძალი ღმრთისაჲ, ძე და სიტყუაჲ მამისა ბრძანებს: „სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან

გამოვალს“ და წმიდანი მისნი მოციქულნი მართლისა სარწმუნოებისა აღსარებაჲსა ესრეთ დასწერენ, ვითარმედ: „სული წმიდაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს“. და სამას ათვრამეტთა ღმრთისმეტყუელთა მამათა ნიკიას ესრეთვე თქვეს და დაამტკიცეს სული წმიდაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, ეგრეთვე შემდგომთა დიდთა კრებათა და სხუათა ყოველთა ღმრთისმეტყუელთა ესრეთ დაწერეს და დაამტკიცეს, ვითარმედ: „მამისაგან გამოვალს“ და არასადა თქმულ არს, თუ სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოვალს და ვერცა ვის უკადრებიეს, არამედ მხოლოდ მამისაგან გამოვალს და ძისა მიერ მოივლინების და მოგუჭცემის და მოგუჭნიჭების, და ერთი არს პატივი, დიდება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.

ხოლო იგინი გმობენ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და თვთ თავადისა ქრისტეს ბრძანებაჲსა და მოძღურებაჲსა გარდააქცევენ და იტყვიან, ვითარმედ (33v) მათგან დაკლებული და ვერ გულისწმისსაყოფელი ჩუენ გამოგუეცხადა და გულისწმაჲ-ვყავთო. ამისთვის ესრეთ ვიტყვიითო და კოსტანტინოპოლის კრებამან სული წმიდაჲ უფალი ცხოველსმყოფელი შემატესო, რამეთუ მუნამდე ესრეთ იტყოდესო, სული წმიდაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, და აწ ჩუენცა ესრეთ შევმატეთო: სული წმიდა, რომელი მამისა და ძისაგან გამოვალს, და ესრეთ ცუდითა სიტყვითა განიმართლებენ თავთა თვისთა, აღივსნედ სირცხულად და კდემითა პირნი მათნი, რომელნი ესრეთ ზრახვენ, რომელი არს იგი კრება ერთი მეორისა წინააღმდგომისა? ანუ პირველისა გამნასაზღვრებელისა მეორე დამწსნელი და არა უფროსად დამამტკიცებელნი თვნიერ ფლორენცისა კრებისა, რომელსა-იგი მერვედ კრებად უწოდენ, რამეთუ იგინი არიან დამწსნელნი და განმაქარვებელნი ყოვლისა საღმრთოდ სჯულისდებისანი და მოციქულთა განწესებისანი. ესე სიტყვა არა თუ კოსტანტინოპოლისა კრებამან შემატა უფალი ცხოველსმყოფელი, არამედ წმიდამან იაკობ მოციქულმან და მარკოზ მახარობელმან (34r) განწესებასა შინა საღმრთოსა წირვისასა ესრეთ დაანესეს შემდგომად საუფლოსა მის სიტყვასა, რომელ არს: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჯორცი ჩემი“ და შემდგომი. და მერმე ესრეთ იტყვიან წმიდანი მოციქულნი: „შეგვიწყალენ ჩუენ, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, შეგვიწყალენ ჩუენ, ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, შეგვიწყალენ ჩუენ დიდითა წყალობითა შენითა და გარდამოავლინე ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას ძღუენსა ზედა სული შენი ყოვლად წმიდა უფალი და ცხოველსმყოფელი თანაარსი შენი ღვთისაჲ მამისა და მხოლოდშობილისა ძისა შენისა ერთ მეუფებით თანასწორი“. ესრეთ ხადიან წმიდანი მოციქულნი სულსა წმიდასა უფლად და ცხოველსმყოფელად და არა თუ უკანასკნელ უწოდნეს ესე სახელნი.

რამეთუ სახელნი სულისა წმიდისანი მრავალნი არიან წმიდათა წერილთა მიერ მოსწავებულნი გინათუ უფალი, გინათუ ცხოველსმყოფელი, გინათუ რავდენცა სახელნი იწოდებიან: სული ნუგეშინისმცემელი, სული სახიერი,

სული წრფელი, სული მთავრობისა, სული გულისწმისყოფისა, სული სიბრძნისა, სული ღმერთმყოფელი. ესე და ესევეთარნი და უმთავრესნი სახელნი წერილ არიან საღმრთოთა წერილთა შინა სულისა წმიდისათვის და რავდენიცა უწოდოს კაცმან სულსა წმიდასა, კეთილ არს ფრიად და (34v) ჯეროვან და შეეტყუებიან ყოვლად ბრძენსა მას და ყოვლად სახიერსაღმერთმთავარსა სულსა, ვითარცა არს ჭეშმარიტად ღმერთი უფალი და ცხოველმყოფელი და სხუანი, რავდენიცა ვთქუნ.

ხოლო გუამოვნებისა და თვითებისა შერევნა და შერწყმა და ძისაგანცა გამოსლვაჲ უჯერო არს და უპირულ, რომელი არცაღა სხუასა ვის უთქუამს და არცა სადა წერილ არს და გარეშე არს საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა და რომელიცა ამათ საზღუართა გარდაუქცევენ, მათ ზედა აღესრულების სიტყუა იგი მოციქულისა: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზნი ზეცით გახარებდეს თქუენ, გარეშე მისა, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ“, (გალატელთა 1,8) ვითარცა წინაჲსწარ ვთქუ და ან კუალად ვიტყვი, უკეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ“.

ხოლო ჩუენ, ღმრთისმოყვარენო, ნუ გარდაჯდებით საზღუარსა მამათასა, ნუცა შევცვალებთ კანონსა წმიდათა მოციქულთა და წმიდათა ღმრთისმეტყუელთასა, ვითარცა არცა რა შეგვიცვალებიეს და არცა რა შემოგვიღეს უბინოსა ამას შინა სარწმუნოებასა ჩუენსა, არამედ ვეგნეთ მასვე ზედა საფუძველსა მოციქულთა და (35r) წინაჲსწარმეტყუელთასა და ვიქმოდეთ კეთილთა საქმეთა, რაჲთა კურთხევა და მადლი მათი მოვიდეს ჩუენდა და დაგვიცნეს წმიდამან სამებამან ერთღმრთეებით თაყუანისცემულმან და დიდებულმან, რამეთუ მისა შუჭნის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**VIII თაჲვი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი ჰაჰასან ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან, სხუათა პატრიარქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თაჲვად ყოველთა ეკლესიად იტყჷან პატრე მოციქულისა თანამოსაყდრეობითა სწორადჲე მისა და ვიკადრო, ვითარამედ: უაღრეს მისა აღიარებენ კეთილისმოქმადი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სიტყჷსა წინააღმდეგობისა საქმისა.**

ისმინეთ ჩემი, რომელთა გნებავს კეთილად გულისწმამყოფაჲ ამის მიზეზისათვის სიტყვისგებაჲ და თქვენ იხილეთ და საჯეთ სამართალი, ვინ არს უმეტესი ანუ უდარესი ანუ თუ სწორნი ანუ დაკლებულნი. მოვედით, ძმანო, და ამა პირისათვის უმეტესად სიტყუაჲ უფლისა შემოვილოთ, რამეთუ ესრეთცა

ჯერ არს, რამეთუ „იგი არს დასაბამი და სრულმყოფელი ყოვლისა კეთილისა და მისგან არს ყოველი მოცემა კეთილ(35v)ი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო მოცემულ მამისაგან ნათლისა“ (კათოლიკე, თავი, მუჭლი)<sup>7</sup>.

ვითარცა წერილ არს: „ჰრქუა იესუ მონაფეთა თვისთა: „ხოლო თქვენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქვენი – ქრისტე, ხოლო თქვენ ყოველნი ძმანი ხართ და მამათ ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამა თქუენი, რომელი უმაღლეს არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქუჴნ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუჴნი – ქრისტე, ხოლო უდიდესი იყოს თქუჴნდა მსახურ, რამეთუ რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (მათე 23,8). ან იხლეთ ბრძანებაჲ ესე სამეფოფოსა, სადა ჩანს აქა უდარეს-უაღრესობაჲ წმიდათა მოციქულთა, რომელნი იგი პაპასა ჰრომისასა უაღრესად ხადიან წმიდისა პეტრე მოციქულისა თანამოსაყდრეობითა და განადიდებენ თავთა თვსთა და მიზეზად ამპარტავნებისა მოიღებენ პეტრეს. ესე უწყოდა ვითარცა წინასწარ მეცნიერმან ყოვლისამან უფალმან და ამისთვის შემოიღო სიტყუჲ ესე და წინასწარ განაკრძალებს მონაფეთა თვისთა და ასწავებს, რაათა არა განლაღნეს ერთი მეორესა ზედა, ვითარცა კუალადცა ეტყოდა მონაფჴთა: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულით(36r)ა და ჰპოოთ განსვენებაჲ სულთა თქუჴნთა“. ისწავეთო ჩემგან სიმდაბლე, არა თუ სილაღე და ამპარტავნებაჲ.

და კუალად წერილ არს მასვე წმინდასა სახარებაჲსა შინა, ოდეს მოციქულნი ჯერეთ საზომსა სისრულისასა არა მიწევნულ იყუნეს, ბრძანებდა რაჲ ქრისტე, ვითარმედ: „აღვალ იწრუსალიმად“, იგინი ჰგონებდეს ქრისტესთვის, ვითარმედ საყდართა დავითისთა დაჯდებისო და მწუფებაჲთა ქუეყანისთა დაიპყრობსო.

მაშინ მოუჴდა იესოს დედა ძეთა ზებედესთა ძეთა მისთა თანა, თაყვანისცემდა და ითხოვდა რაჲსამე მისგან, ხოლო თავადმან ჰრქუაჲ მას: „რაჲ გნებავს? ჰრქუაჲ მას, თქუ, რაათა დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯვენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა დიდებაჲსა შენსა. მიუგო იესუ და ჰრქუაჲ მას: არა იცი, რასა ითხოვ? ძალგიცა სასუმელისა ჩემისა შესმად, რომელი მე მეგულების შესმად, ანუ ნათლისღებაჲ, რომელი მე ნათელსვილო ნათლსღებაჲდ, ხოლო მათ ჰქუჴს მას: ძალგვც“ (მათე 20,20). ხედავაჲ, რამეთუ ქრისტემან სასმელი სიკუდილისა წინაუყო შესმად და ჭირი სასჯელი სოფლისა ამის და ეგრეთცა დასხდომა სუფევათა შინა, დაღაცათუ ამათ ქუეყნისა ითხოეს, არამედ ქრისტემან საუკუნო იგი დიდებაჲ აღუთქუაჲ და იგიცა ჭირითა და (36v) შრომითა და სიკუდილითა და არათუ განსუჴნებითა და დიდებისა სოფლიოსა ძიებითა და ეტყვის: „ჰრქუაჲ მათ იესუ: „სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლისღებაჲ, რომელი მე ნათელვილო, ნათელილოთ, ხოლო

<sup>7</sup> ხელნაწერში არ მითითებული სხვა ინფორმაცია.

დაჯდომა მარჯვენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა“, ვითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათვის.

ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: „უნყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა და დიდ-დიდნი ჳელმნიფებენ მათ ზედა, ხოლო თქვენს შორის არა ეგრე იყოს.

არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდყოფა, იყავნ თქუენდა მსახურ, და რომელსა უნდეს თქუენ შორის წინა ყოფა, იყოს იგი თქუენდა მონაჲ“ იხილე აქაცა მონებაჲ და ურთიერთარს მსახურებაჲ უბრძანა და არა მთავრებაჲ და ერთი მეორესა ზედა უფლებაჲ და ჳელმნიფებაჲ წარმართთაებრ, ვითარცა აწინდელი პაპები ჰრომისანი ჳელმნიფობენ და მძლავრობენ ყოველთა ზედა. ესე უწყოდა უფალმან, ვითარცა წინასწარმეცნიერმან სილალისა მათისამან. ამისთვის ეტყვის მონაფეთა და ასწავებს სიმდაბლესა, რაჲთა სწორ იყუნენ და ერთი მეორესა ზედა არა გან(37r)ლალნეს დაღაცათუ პეტრე მოციქული ჩუენ კაცთა მიერ თავად მოციქულად სახელიდების, არამედ ზოგად ყოველნი მოციქულნი თავად სახელიდებიან და არიანცა თავნი ათორმეტნივე ყოველნი სხუაჲთა მათ სამეოცდაათთა ზედა, რომელნი ქრისტემან უკანასკნელ გამოირჩინა. ხოლო ესე ათორმეტნი პირველ წოდებისთვისცა ითქუმიან თავად, არამედ ზოგად ძმანი არიან საზომისაებრ და ნიჭისა მადლთასა და არა თუ ჳორციელთა დიდებითა აწინდელთა პაპებთაებრ, რომელნი არა პეტრესებრ იქცევიან, არცა სხუაჲთა მოციქულთაებრ უპყრეს ეკლესიაჲ, არამედ ამპარტავნებით და მძლავრობით მპყრობელთა მეფჳთაებრ, რომელნი ბრძანებათა განავლენენ და ზოგთა ნებსით და ზოგთა იძულებით და მძლავრებით დაიმორჩილებენ და წინააღუდგებიან ბრძანებათა სამეუფოთა და იტყვიან თავად ეკლესიათა პაპასა ჰრომისასა და უფროსად ყოველთა პატრიარქთა.

ხოლო ესევითარისა ზუაობისა და ღმრთის სიძულვილისა ამპარტავნებისა სიტყუა და საქმე ახლად არს მათ მიერ მოპოვნებული და თავით თვისით მოგო(37v)ნებული, გარეშე წმიდათა წერილთა და თვნიერ მსოფლიოთა კრებათა, რამეთუ არა სადა წერილ არს წმიდათა მოსაჳსენებელთა შინა, არცა სჯულის კანონთა შინა უფროსობაჲ სხუაჲთა ზედა პაპისა და ვერცა გამოაჩინებენ ამას, თუმცა ძუჳლითგან უფროსი ყოფილიყო სხუაჲთა პატრიარქთა ზედა ეფისკოპოზი ჰრომისა, არამედ განწესებისაებრ პირველისა მსოფლიოსა კრებისა სამას ათვრამეტთა მამათასა ნიკიას შეკრებულთა კოსტანტინესზე დიდისა, ერთობაჲ და სწორებაჲ აქუს ხუთთავე პატრიარქთა, და რაჲთა ერთი მეორესა სამწყსოსა ვერ ეცილებოდის, რამეთუ მუნამდე არცა ერთი ეკლესია – საპატრიარქო აღმოსავლეთისა, არცა დასავლეთისა იყო წარჩინებულ, არცა გამოჩინებულ მის ჟამისა კერპთმსახურთა მძლავრვრებისაგან, რამეთუ დიდი იყო შიში და მძლავრებაჲ მათი ყოველთა ქრისტიანეთა ზედა და ყოველთავე აიძულებდენ უარისყოფად ქრისტესა და იყუნეს დამალულ მათათა შინა

და ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა შიშითა სატანჯველთათა, ვითარცა ცხოვრებზსა შინა წმიდისა სილიბისტროსა წერილ არს, რომელი იყო პაპა ჰრ(38r)ომისა და იგიცა დამალული მეფემან კოსტანტინე გამოიყვანა, ოდეს იქმნა ქრისტიანე გამოჩინებულთა წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლე-სითა და მათ აუნყეს მოძიება სილიბისტროსი. და ვითარცა იქმნა ესე ქრისტიანე და მიილო შარავანდედი მეუფობისა და ჴელთ-უდვა ღმერთმან ყოველი ქუჭყნიერება აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.

მაშინ ქმნა კრება დიდი ნიკიას, ვითარცა ვთქუ, და შეკრიბნა ყოველთა კიდეთაგან სამას ათვრამეტნი წმიდანი ეფისკოპოზნი და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება წმიდათა მოციქულთა მიერ ქადაგებული და დაუსხნეს წმიდათა ეკლესიათა წესნი და კანონი. მუნ იყუნეს კრებისა მის თავად ხუთნივე პატრიაქნი სწორად: სილიბისტროს, პაპა ჰრომისა, მიტროფანე, პატრიაქი კოსტანტინოპოლისა, არამედ მიტროფანე, ვერ მინვენულმან უძღურებისაგან, სხუა ნარავლინა ნაცვლად თვისა – იობენალ იზრუსალიმისა, ალექსანდრე – ალექსანდრიისა და ევსტათი – ანტიოქიისა და მათ თანა სპირიდონ საკვირველთმოქმედი, ნიკოლოზ საკვირველთმოქმედი, გრიგოლი პართელი და მღდელმონამე, განმანათლებელი სომხითისა, ბასილი მღდელმონამე ეპისკოპოსი ამასისა და დიდი ათანასი და სხ(38v)უანი მსგავსნი ამათნი სამას ათვრამეტნი წმიდანი მამანი და მათ დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება. მაშინ კოსტანტინე დიდად პატივსცა და აღამაღლნა ყოველნი ეკლესიანი და საეპისკოპოსონი. პირველად ჰრომისა ეკლესია აღიდა და აღამაღლა ეფისკოპოზი მისი, რამეთუ ნათელიცა მისგან მოედო და ჴელთუდვა დასავლეთისა ეკლესიანი, არათუ ყოვლისა სოფლისა მთავრად დაადგინა, არამედ დასავლეთისა ოდენ ეპისკოპოზად განაჩინა და თვთ მეუფჴ დაემკვიდრა ბიზინტიას და მოსცვალა ძუჭლი ჰრომი ახლად ჰრომად და სახელსდვა კოსტანტინოპოლი და უფროსად აღამაღლა ეპისკოპოზი ახლისა ჰრომისა და ჴელთ-უდვა თაობა ყოველთა ეკლესიათა. ეგრეთვე ანტიოქიისა და ალექსანდრიისა და იზრუსალიმისა, ვითარცა განწესებზსა შინა ნიკიისა კრებისა და მერმე მეექუსისა კრებისასა წერილ არს: თანასწორება და ერთი პატივი ძუჭლისა ჰრომისა ეპისკოპოზი და ახლისა ჰრომისა ეპისკოპოზი, რაათა სწორ იყუნენ და ერთი პატივი აქუნდეს და სხუათა მრავალთა საღმრთოთა და ღვთივ(39r)სულიერითა წიგნთა შინა წერილ არს, რაათა სწორნი იყუნენ და ერთი პატივი, ეკლესია ძუჭლისა ჰრომისა და ახლისა ჰრომისა და პატრიაქნიცა ხუთნივე სწორნი იყუნენ და ერთი მეორისა სამწყსოსა არა უჭდებოდის, არცა მძვავრებით ეცლებოდის. რაათა აღმოსავლეთისა პატრიაქი აღმოსავლეთსა ჴმწყსიდეს და დასავლეთსა — დასავლეთისა. ეგრეთვე სხუანი პატრიაქნი თვისთვისა ხუჭდრებულსა ადგილსა განწესებისაებრ ნიკიისა კრებისა და სხუათცა შემდგომთა მსოფლიოთა კრებათათა.

ხოლო წმიდა გრიგოლი ღმრთისმეტყუელი დასწერს შესხმასა შინა ირონ

ფილოსოფოსისასა დიდისა ათანასისათს, რად იგი შეემთხვია ბოროტთა არინოზთაგან. ესრეთ მიუწერს რად, ვითარმედ ლტოლვილი მწვალებელთაგან და მრავალფერად გუჭმული და წყლული მიწია ჰრომად და ეფისკოპოსისა მის მათისა წინაშე განაცხადა უსამართლოება იგი მისი, რომელი შეემთხვია არიანოზთაგან და უჩუწნა სისხლითა შეღებილი სამოსელი თვისი. სადა ჩანს აქა უფროსობა პაპისა, ანუ თაობა ყოველთა ზედა? რაჲსთვის არა თქუად, თუ მიწია იგი წინაშე თავისა (39v) მის ჩუწნ ყოველთასა, ჰრომაელთა ეპისკოპოსისა და ყოვლისა სოფლისა მწყემსისა, არამედ ესრეთ, ვითარცა ვთქუ, ვითარმედ წინაშე ეპისკოპოსისა მის მათისა და არა ჩუწნ ყოველთასა.

ეგრეთვე ცხოვრებასა შინა მაქსიმე აღმსარებელისასა ნერილ არს, ოდეს ერთისა ნებისა და საქმისა მეტყუჴლი მეუფე და პატრიაქი კოსტანტინოპოლისა, მწვალებელი, გმობდეს კრებასა ქალკიდონისასა, წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ჰრომს იქცეოდა ლტოლვილი მწვალებელთაგან, რამეთუ ძლიერად წინააღმდეგობდა და ამხილებდა მეტყუელთა ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა, მაშინ იძულებით წარმოიყუანეს ჰრომით კოსტანტინოპოლედ და აიძულებდეს, რაჲთა უარყოს კრება ქალკიდონისა და ერთი ნება და ერთი საქმე ჯორცმესხმულისა ქრისტეს, ღმრთისა ჩუწნისა, აღიაროს. ამას მრავალგზის ეტყოდეს და იგი არა ერჩდა. მერმე მიგზავნეს კაცნი საჩინონი და შერაცხულნი ეფისკოპოზნი და მთავარნი და მიუძენეს ესრეთ, ვითარმედ: ეკლესია კოსტანტინოპოლისა თავი არს ყოველთა ეკლესიათა, რაჲსათვის არა დაემორჩილები ამას ეკლესიასაო, ესე გუაუწყე რომლ(40r)ისა ეკლესიისა მორჩილი ხარო. ამის ჩუწნის ეკლესისა, ანუ ჰრომისა, ანუ ალექსანდრიისა, ანუ იტრუსალიმისა, ანუ ანტიოქიისა, რამეთუ ხუთნივე ესე საპატრიაქონი ერთგმად არიან და ამა ჩუწნსა ეკლესიასა ეზიარებიანო. შენცა მოვედ და გუჭზიარე და შემოგუჭრთე ამას ჩუწნსა ეკლესიასაო.

ხოლო რად მიუგო წიდამან მაქსიმე? არამედ ესე, ვითარმედ: ეკლესია ქრისტესი არათუ ქვათა მიერ ჴელითა კაცთათა აღშენებული არსო, არამედ მართლმადიდებლობაჲ, სარწმუნოებაჲ ქრისტესი, ესე არს კლდე და მას ზედა აღშენებულ არს ეკლესია. რაჲმას იგი პეტრეს ეტყოდა, ოდეს ძედ ღმრთისა აღიარა: შენ ხარ კლდე და მას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო. რომელსაცა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ძედ ღმრთისაჲდ რწამს შემდგომად განკაცებისა ორითა ბუნებითა, ორითა ნებითა და საქმითა და ერთითა გუამითა ესე კლდე თვთ ქრისტე არსო და ესე არცა პეტრეს ზედა არს აღშენებული, არცა პავლეს ზედა, არცა სხუათა მათ მოციქულთა ზედა, არამედ მართალსა სარწმუნოებასა ზედაო. ან მე მას დავემორჩილები, რომელიცა ეკლესია და პატრიაქი მართლისა სარწმუნოებისა (40v) კლდესა ზედა დაფუძნებულ არსო. თქუენ, რომელიცა ეკლესია გნებავს, შემოგიერთნენო, გინა თუ ჰრომისა, ანუ ალექსანდრიისა, ანუ სხუად, რომელიცა გენებოს, მე რომელიცა წმიდათა მოციქულთა წინასწარმეტყუჴლთა და წმიდათა კრებასაჲთა დაამტკიცეს და ჭემ-



მარიტა მოძღუართა გუასნავეს, მას არა გარდაუქცევ და სხუესა არარაჲსა შევინყნარებ. აქაცა იხილეთ, ვინ არსო უფროსი ანუ უმცირესი? არავინ, არამედ რომელი ეგოს სარწმუნოებაჲსა ზედა მართალსა, იგი არს მტკიცესა და უძრავსა კლდესა ზედა დაფუძნებული და იგიცა საზომისაებრ და განწესებისა წმიდათა კრებათასა და არა თუ ჴორციელითა დიდებთა და საჭმართა და საფასეთა სიმრავლითა.

კუალად ცხოვრებაჲსა შინა გრიგოლი აკრაკანტილისასა წერილ არს: „ოდეს მინია ჰრომედ, თაყუანისცემდა სამარხოსა წმიდათა მოციქულთასა, რამეთუ დიდი იყო სათნოებითა კაცი იგი ღმრთისაჲ და მრავალთა სასწაულთა იქმოდა. ამისთვის ყოველი პატივისცემდენ და იდიდებოდა ყოველთა მიერ. მაშინ მახლობელნი მისნი მღვდელნი შურითა საემმაკოთა დაბნელდეს და (41r) იწყეს მტერობაჲდ მისა. დღესა ერთსა დედაკაცი ვინმე მეძავი ქრთამითა მოიბირეს, რაჲთა ზაკვით საბრჴე დაუგონ. მაშინ დედაკაცი იგი ჟამსა ცისკრისასა შევიდა სენაკსა მისსა, რაჟამს ყოველნი ეკლესიად წარვიდეს თვთ წმიდა იგი და სხუაჲნი ყოველნივე, ხოლო ოდეს სრულ იქმნა ჟამი ლოცვისა, მიჰყუჴს წმიდასა მას ვიდრე სენაკადმდე და მეძავი იგი დედაკაცი იხილვა მწოლიარედ სარცელსა ზედა მისა. მაშინ შეიპყრეს წმიდაჲ იგი და წინაშე პაპისა მიიყუანეს, ხოლო პაპა ვინათგან უმეცარი იყო სინმიდესა მისა, საპყრობილესა შეაყენეს და ორი წელი დაყო საპყრობილესა მას შინა და ვიდრემდის არა წარმოგზავნეს კაცნი და არა აუნყეს პატრიაქსა კოსტანტინოპოლისასა, ვერ განსაჯა საქმე მისი პაპამან ჰრომისამან. მაშინ წარმოგზავნა კაცნი პატრიაქმან და წარიყუანა წმიდა გრიგოლი და მან განსაჯა იგი და ცნეს ყოველთა ღირსებაჲ და უბინოებაჲ მისი და ესრეთ განუტევეს. აწ სადა ჩანს თავობაჲ და უფროსებაჲ პაპისა სხუაჲთა პატრიაქთა ზედა, რომელმან ერთისა კაცისა საქმე ვინათგან სხვისა სამწყსო იყო, ვერ განსაჯა.

ეგრეთვე სანატრელი მამა ჩუენი გიორგი მთაწმიდელი (41v) მთარგმანებელი, ახალი ღმრთისმეტყუელი, ოდეს მოინია ქუეყანასა ჩუენსა მთაწმიდით და განანათლა ქუეყანა ჩუენი სწავლითა თვისითა, მიიქცა მუნვე მთაწმიდასა. ვითარცა მივიდოდა, მგზავრ, მიინია ანტიოქიას და შევიდა წინაშე პატრიაქისა. ხოლო პატრიაქმან ანტიოქისამან დიდად პატივისცა და მოწილედ შეიტკბო, რამეთუ პირველცა ეხილვა და ფრიადი სიყუარული აქუნდა მისა მიმართ და ჯეროვნად ისმენდეს მისა და ჰკითხვიდის და გამოეძიებდის მისგან სჯულიერთა და საეკლესიოთა საქმეთა. და დღესა ერთსა მოუწოდა პატრიაქმან წმიდა მას და ჰქუა: „წმიდაო მამაო, ვიცი, რამეთუ კაცი ღმრთისა ხარ და ღმერთი იტყვის პირით შენით და ესეცა უწყი, ვითარმედ სიტყუაჲთა შენთა მორჩილებენ მეფე და ერი ქართველთა. აწ მიუწერე მეფესა და ქართველთა, რაჲთა დაემორჩილნენ ეკლესიასა ჩუენსა, რამეთუ ჩემნი სამწყსონი არიან, ვინათგან მე პეტრეს, თავისა მის მოციქულთა, საყდარი მიპყრიეს და შეკრვისა და განწესისა ჴელმწიფებაჲ მე მაქუსო. არქუ მათ, რაჲთა დაემორჩილნეს ჩემსა

ეკლესიასა და კათალიკოზი და ეპისკოპოზნი ჩემგან იკურთხეოდნო. ესე აუწყე უკეთუ (42r) არა ისმინონ, მიუწერო ოთხთავე პატრიაქთა და მათითა განზრახვითა წყევასა ქუჭშე შეჩუჭნებისასა შეეთხივნე იგინი“.

მიუგო წმიდამან გიორგი და თქუა: „წმიდაო მეუფჳო, რაჲდ იტყვი ესე ვითართა სიტყუაჲთა, რამეთუ ქართველთა ნათესავი დაღაცათუ წრფელ არს და უმეცრად შერაცხულ თქუენ მიერ, არამედ მართლითა სარწმუნოებითა და ღმრთის მეცნიერებითა განათლებულ არიან, რამეთუ ვინათგან ნათელი ღმრთისმეცნიერებისა შეინყნარეს, მიერიტგან არღარა მიდრეკილ არიან წვალებდ მადლითა ქრისტესითა და არცაღა მიდრკენ ვიდრე აღსასრულამდე. ხოლო საბერძნეთი მრავალგზის მიდრეკილ არს წვალებდ, ვითარცა დიდსა სვინაქსარსა შინა წერილ არს: რამეთუ ოდესმე მწვალებელ იქმნეს ესე ოდენ საბერძნეთისა ეკლესიანი ხატთა ბრძოლისა წვალებითა, რომელ არა რომელსა ეკლესიასა ზედა იყო მართლმადიდებელი ეფისკოპოზი, მას ჟამსა იოანე გუთელ ეპისკოპოზი ჩუენისა კათალიკოზისა მოავლინეს და აკურთხე იგი მცხეთას.

ხოლო უკეთუ შენ პეტრე მოციქულთა იქადი, ჩუენი კათალიკოზი და ეპისკოპოზნი და ქართველნი ანდრია მოციქულითა იქადიანო, რამეთუ პირველნოდებული ანდრია არს დ[ა] მისნი (42v) მოქცეულნი ჩუენ ვართ. იგინი იქმნა პირველმონამე და ამან მოგუარა იგი ქრისტესა, ვითარცა წმიდა სახარებაჲსა შინა იოანეს თავისასა წერილ არს: „უკეთუ სამართალსა შეუდგეთ, ჯერ არს, რაჲთა უკანასკნელ ნოდებული მნოდებელსა დაემორჩილოს. შენდა ჯერ არს, რაჲთა ჩუენსა კათალიკოზსა დაემორჩილო“ (იოანე 1,43). ესე ვითარნი სიტყუაჲნი რქუნა წმიდამან მამამან იგი პატრიაქსა ანტიოქისასა და უმრავლეს ამისა და ესრეთ ყოვლითურთ უსიტყუჳლ-ყო, რომელი იქადოდა წმიდისა პეტრეს თანამოსაყდრეობითა, რამეთუ უკეთუ სიქადული შეჰგავს ამის მიერ უმეტესად ჯერ არს სიქადული, რამეთუ პირველი მოსაყდრე ესე არს და უკანასკნელი ჰრომი. აწ სადა ჩანს უმეტესობე და უფროსობე პაპისა, რომელი დიდად იქადის პეტრე მოციქულისა თანა-მოსაყდრეობითა, რაჲსთვის არა თქუა პატრიაქმან ანტიოქისამან პეტრე მოციქულისა, საყდარი მე მიპყრესო შეკრვისა და განჯსნის, ჴელმწიფებე მე მაქუსო და უდიდესი და უაღრესი და ჩუენ ყოველთა თაჲ პაპა არსო, რომელსა აქუს საყდარი და საფლავი პეტრესიო, დაღაცათუ პირველი მოსაყდრე მე ვარო, არამედ იგი არს თავი და უფროსი ჩუენიო. ანუ რაჲთვის ოთხთავე (43r) პატრიაქთა ვაუწყო და არა მხოლოდ პაპასა, რაჲთა დაგუამორჩილოს ჩუენსა ეკლესიასა, გინათუ რაჲსათვის წინა უყო ანდრია მოციქულისა პირველი ნოდებაჲ წმიდამან მამამან ჩუენმან გიორგი და ჩუენისა კათალიკოზისა თანამოსაყდრეობაჲ და არა მიუგო ამანცა, ვითარმედ: მარტო შენ რასა იქადი პეტრეს მოსაყდრეობითა და უფროსად თავი პირველი და უფროსი პაპა ჰრომისა არსო ყოველთა ეკლესიათაო. ამით ჩანს და სიტყუთაცა მრავლითა მიზეზითა, რამეთუ არა არს უფროსი სხუაჲთა პატრიაქთა

ზედა და არცა ყოფილ არს ოდესცა და სხუეცა მრავალი იპოების საღმრთოთა წერილთა შინა ამის პირისათვის, რომელი არა აღწერეთ, რაათა არა სიმრავლე წერილისა იქმნას და თუ ვისმე ენებოს და არა სცოდნოდეს წიგნი იგი დოლმანტიკოსი, რომელ არს მწვალებელთა მიმართ სიტყვისგებაჲ, ჴელად მიიღოს და მით ეუწყოს ყოველი ჭეშმარიტი, თუ ვითარ აქუსთ თანასწორებაჲ ხუთთავე პატრიაქთა და მე მოკლედ გაუწყებ, თუ ვითარ წერილ არს მას შინა ვითარმედ ეკლესია ქრისტესი გუამი არს ქრისტესი, ხოლო ქრისტე თავი არს ეკლესიათაო. და ვითარცა თავსა შორის ხუთნი საგრძნობელნი არიან და ყოველსა გუამსა იგი მართებსო, ეგრეთვე ეკლესიასა, რომელ არს გუამი (43v) ქრისტესი ხუთნი პატრიაქნი განენესაო და სხუანი ყოველნი ეფისკოპოზნი ყოვლისა სოფლისანი ასონი არიან ქრისტეს გუამისნი, ხოლო ქრისტე არს თავი ეკლესიათაო. ვითარცა პავლე მოციქულიცა მრავალსა ადგილსა იტყვს ესრეთ, ვითარმედ: „ქრისტე თავი არს ეკლესისა“ და არა პაპა ჰრომისა, რომელი იგი სხუასა ჟამსა უვრცელესად აღვსწეროთ. ამით ჩანს, რამეთუ არცა ერთსა ჰქონებია უღარეს უღარესობაჲ, არცა ესევეთარი უფროსებაჲ და თაობა ჰგონებია, რამცა ერთი მეორისგან იმწყსებოდა. გინა ებისტოლე იგი წარიკითხეთ ფოკა კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა მიერ მიწერილი სომეხთა კათალიკოზისა ზაქარიას მიმართ და ყოველივე ცხადად გეუწყოს, თუ ვითარ სწორებაჲ და ერთობაჲ აქუსთ ხუთთავე პატრიაქთა, ოდეს ერთსა სარწმუნოებასა და ერთსა მართალსა აღსარებასა ზედა იყვნეს.

ხოლო რომელთაცა დაჰჴსნეს საზღუარნი მამათანი და არა დაადგრენ ჭეშმარიტებასა ზედა, რომელი წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა და ჭეშმარიტთა მოძღუართა საზღუარნი დაგვისხნეს და კრებათა დაამტკიცეს ესე ვითართა სჯულის გარდამა(44r)ქცეველთა, არღარა ერთ ნებაჲ არიან სხუანი მიმდგომნი და თანაზიარნი ძმანი და არცალა მათნი სამწყსონი დაემორჩილებიან, არამედ შორს განუდგებიან მართლმადიდებელნი.

რამეთუ მაკედონიოს სულისა წმიდისა მგმობარი და ნისტორ ორ ძედ და ორ გუამად ქრისტეს მეუფისა მქადაგებელი და წმიდისა ღმრთისმშობელისა უარისმყოფელი და სერგის და პიროს ერთის ნებისა და ერთის საქმისა ჴორცშესხმულისა ქრისტეს ღმრთის მეტყუჴლი. ესე ოთხნივე კოსტანტინეპოლის პატრიაქნი იყუნეს, და ონორი ჰრომის პაპა იყო, იგიცა ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა მეტყუჴლი და მწვალებელი, ქრისტეს განკაცებისა უარისმყოფელი, და დიოსკორე ბილნი ერთის ბუნების მეტყუელი, ალექსანდრიის პატრიაქი და პეტრე ანტიოქიის პატრიაქი, მკანრველი, რომელმან სამნდაობისა გალობასა შორის ჯუარი დაანესა. ესე ყოველნი შეჩუჴნნეს და განიდევნეს საყდრით და არავინ შეუდგა მათსა წვალებასა მართლმადიდებელთაგანი. არცა ვინ დაემორჩილა ონორის, პაპასა ჰრომისასა, არცავინ შეუდგა მაკედონიოს და ნისტორ მწვა(44v)ლებელთა კოსტანტინეპოლელ პატრიაქთა, არცა დიოსკორეს ალექსანდრიელსა და პეტროს ანტიოქელსა, რამეთუ არა თანა-

მოსაყდრეობითა და შემდგომობითა იქმნების მსგავსება პირველმოსაყდრისა თვისისა, არამედ ჭეშმარიტისა აღსარებითა და უბინოსა მოქალაქობითა, ვითარცა წმიდანი მოციქულნი და შემდგომნი და მობაძავნი მათნი წმიდანი მღვდელთმოდღუარნი.

ანუ რად იწსნებიან უმეტესად და უდიდებულესად ყოველსა შინა სოფელსა წმიდა ნიკოლოზ მირონქალაქელი და არა პაპა ჰრომისა, ანუ ანბროსი მედიოლანელი, სპირიდონ ტრიმუფუნტელი, ეპიფანე კვიპრელი, აბერკი იერაპოლელი, ბასილი ამასიელი, დიდი ბასილი კესარიელი, გრიგოლი ანძიანძორელი, ღმრთისმეტყუელებისა თავად ჩინებული და შემდგომად იქმნა კოსტანტინოპოლისა პატრიაქი, და გრიგოლი ნოსელი, და წმიდა პართენი ლამფსაკელი ეფესკოპოზი და სხუანი მრავალნი წმიდანი მღვდელთმოდღურები მცირისა ქალაქისა და სოფლებისანი და არა (45r) ყოველნი პაპები ჰრომისანი ანუ პატრიაქნი კოსტანტინეპოლისანი და გინა სხუანი პატრიაქნი.

ჩანს, რამეთუ არა თუ საყდრითა და დიდობითა მიეცემის ღირსება და ჭეშმარიტება, არამედ სათნოებითა და ერთითა და სწორითა სარწმუნოებითა, ვითარცა ბრძანებს უფალი: „საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი, ხოლო საქმითა მათთაებრ ნუ იქმთ“ და შემდგომი.

ხოლო პაპასა ჰრომისასა ვინ მისცა ესეოდენი ჴელმწიფება და დიდება, რათამცა სხუანი პატრიაქნი არა ესწორებოდეს, უკეთუ პეტრეს მოციქულის გამო იქადიან, თავი არს მოციქულთაო, პეტრე თავი არს მოციქულთა, არა თუ მარტო იგი, არამედ ათორმეტნივე თავნი არიან სხუათა მათ მოციქულთა, რომელნი გამოირჩივნა ქრისტესმან სამეოცდაათნი და სხუანი მრავალნი შემდგომნი მათნი, რამეთუ იუდაცა განმცემელი თავი იყო მოციქულთა და ათორმეტთა თანა აღრიცხული, არამედ ვინათგან არა დაადგრა მცნებათა ქრისტესთა, არამედ განმცემულ იქმნა, რაჲ არგო მოციქულთა თაობამან, რამეთუ პეტრეს არა თუ ჴორციელითა პატივითა და დიდებითა აქუს თაობა და უფ(45v)როსობა, არამედ საღმრთოთა მჭურვალეებითა და სიყვარულითა ქრისტესითა და სრულითა სათნოებითა ითქმის თავად მოციქულთა. ეგრეთვე სხუანი ათორმეტნივე იყუნეს თავ მოციქულთა და სახელ-იდებიან ყოვლისა სოფლისაგან თავად მოციქულთა. სულიერითა საზომითა და არა ჴორციელითა პატივითა იყუნეს დიდ წინაშე ღმრთისა და თავ მოციქულთა.

უკეთუ ესრეთ არა იყო, ოდეს პეტრე აცილობდა ქრისტესა და წინააღუდგა ჯუარცმისა და სიკუდილისათვის და ეტყოდა უფალსა: „შენ, დიდება იყოს შენდა, არა იყოს ეგრეო“. რაჲ მიუგო ქრისტემან? „წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანა! რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, არა ზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (მათე 16,22). რაჲ არგო მაშინ მოციქულთა თაობამან. უკეთუმცა არა შეენანა, აღუწოცელმცა იყო მას ზედა სიტყუა იგი ქრისტესი.

რამეთუ პირველი იგი აღსარება პეტრესი და სიტყუა იგი ზეცისა საიდუმლოთა გამომაცხადებელი რაჟამს იგი ძედ ღმრთისა აღიარა ქრისტე, ჭეშ-

მარიტად წმიდისა პეტრესი იყო და სხუათა მათ წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა და მობაძავთა მათთა პაპებთა,<sup>8</sup> ხოლო სიტყვა იგი თ(46r)უ – „წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, არა ზრახავ შენ ღმრთისა, არამედ კაცთასა“ – ჭეშმარიტად ესე ბრძანება არა პეტრეს ზედა არს, არცა მისთა მობაძავთა და შემდგომთა მისთა პაპებთა, არამედ უკანასკნელ და აწინდელთა პაპებთა ზედა არს სიტყვა იგი: „თუ წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, არა ზრახავ შენ ღმრთასასა, არამედ კაცთასა“, რამეთუ სატანა წინააღმდეგომად გამოითარგმნების და იგინი არიან წინააღმდეგომნი საღმრთოსა სჯულისანი და დამკსნელნი საღმრთოთა ბრძანებათანი, რომელნი არა ზრახვენ სჯულსა ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

ვითარცა ყოვლისა წინააღმართმეცნიერმან უფალმან უწყოდა წმიდისა პეტრე მოციქულისა შემდგომად უკანასკნელ გამოჩინებად პაპები არა პეტრეს სათნოებისა მობაძავნი, არამედ წინააღმდეგომნი და სჯულისა შეურაცხისმყოფელნი, არა მზრახველნი მოციქულთაებრ, არამედ კაცობრივ და ჯორცთაებრ, და რა იგი შეუდგს ნებასა ჯორცთასა, ამისთვის ჰრქუა პეტრეს სიტყუად იგი, რომელი ზემო ვთქუ.

ეგრეთვე რაჟამს სამგზის უარყო პეტრე, რაჟამ არგო უფროსობამან და მოციქულთა თავობამან, უკეთუ არა შეენანა და ცრემლითა განენმიდა ბრალი იგი უარისყოფისა.

ეგრეთვე საიდუმლოსა მას ფერწებანისასა, რაჟამს ურჩ ექმნა დაბანაიდ ფერწისა, რაჟამ მიუგო ქრისტემან: „არა გაქუნდესო ნაწილი ჩემთა“ (იოანე 13,8), უკეთუ იგიცა სინანულითა არა განემართა და თავიცა და ჯე(46v)ლი ფერწათა თანა განბანად არა მიეპყრა. რა სარგებელ ექმნებოდა მოციქულითა თაობა ვითარცა იუდა განმცემელსა, რამეთუ იგიცა მოციქულთა თავი იყო, არა შეინანა, არამედ იქმნა განმცემელ და მერმე შიშთვილება.

ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ: უკეთუ სათნოება პეტრესი, ანუ პავლესი, ანუ იოანესი, ანუ სხუათა მათ მოციქულთა არა აქუნდეს, ცუდ არს ყოველი იონე კაცობრივი და დიდებაჲ ყოვლისა სოფლისა. ესევეთარი სიქადული შორს არს მსგავსებისაგან პეტრესა და სხუათა მათ წმიდათა მოციქულთასა.

და უკეთუ ესრეთ არა იყოს, მაშა ყოველი ეპისკოპოზნი და პატრიაქნი თვისთა პირველთა მოსაყდრეთა ეპისკოპოსთა მსგავსნი იქმნებიან არა სათნოებითა, არამედ შემდგომითი შემდგომად თანამოსაყდრეობითა. პატრიაქნი იწრუსალიმისნი თვთ ქრისტესა და წმიდასა იაკობ ძმისა უფლისა, ალექსანდრიისა ეპისკოპოზნი მარკოზ მახარებლისა, კოსტანტინოპოლისა სტაქოს მოციქულისა და უფროსად ლუკა მახარებლისა და ანტიოქიისა თვით პეტრე მოციქულისა, რამეთუ პირველი საყდარი ესე არს წმიდისა პეტრესი და სხუანი სხუათა ეპისკოპოზთა სწორნი და მსგავსნი იქმნებიან თანამოსაყდრეობითა და (47r) არა სათნოებითა, ვითარცა პირველცა გვთქუამას და აწცა ვიტყვი.

<sup>8</sup> გადაშლილია „არამედ უკანასკნელ და აწინდელთა პაპებითა ზედა არს“

მაშა რად იქსენების ყოველსა შინა სოფელსა თავად მღვდელთმოდღუართა დიდი ბასილი, კესარიის ეპისკოპოზი, ანუ გრიგოლი ღმრთესმეტყუელებისა თავად წოდებული, ანუ გრიგოლი ნოსელი, სპირიდონ ტრიმიფუნტელი, ანუ ნიკოლოზ მირონქალაქით, ანუ ეპიფანე კვიპრელი, ანუ პართენი ლამფსაკელი, გინა ტიხონ ამათუნატელი და სხუანი მრავალნი ადგილ-ადგილ გამოჩინებულნი დიდებულნი მღვდელთმოდღურები მცირისა ქალაქისა და დაბნებისანი. რად იქსენებთან ესენი დიდებულად ყოველსა შინა სოფლისა და არა ყოველნი ეპისკოპოზნი ჰრომისანი, რომელნიცა არა გამოჩენილ არიან სათნოებითა სრულნი და მობაძავნი წმიდისა პეტრესნი, ვითარცა წმიდა კლემენტოს, ანუ წმიდა სილიბისტრო, ანუ წმიდა ლეონტი, დამასუ და კვილისტინე, ანუ წმიდა გრიგოლი დიოლოლო და მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელნი მნათობნი არიან ეკლესიათანი და იქსენებინ ყოველსა შინა სოფ(47v)ელსა და არა ყოველნი პაპები, ვითარცა ვთქუ, რომელნიცა არა იყუნენ მსგავსნი და მობაძავნი წმიდისა პეტრესნი და სხუათა მათ სახელოვანთა წმიდათა მღვდელთმოდღუარნი.

მრავალნი სხუანი სახენი და წერილნი გუჩუწნებენ ამას, ვითარმედ არა ყოფილ არს უფროსი, არცა თავი სხუათა პატრიაქთა ზედა, არცა უბრძანებია ქრისტესა, არცა მიუცია კრებასა და უკეთუ თავი და უფროსი ყოფილ არს სხუათა ყოველთა ზედა, ისმინეთ, რაჟამს მიუწერს წმიდა კლემენტოს პაპა ჰრომისა, რომელი იყო შემდგომი წმიდისა პეტრესი, იაკობს, ძმასა უფლისასა, ეპისკოპოსსა იჭრუსალიმისასა, რაჟამს ცხოვრებაჲ თვისი აუწყა. ესრეთ მიუწერს: „წმიდა და სანატრელსა მწყემსა მწყემსთასა და ეპისკოპოსა ეპისკოპოზთასა, ძმასა უფლისასა იაკობს, კლემენტოს ეპისკოპოზი ჰრომისა გიკითხავთ, გიხაროდენ“! რაჟსათვის არა მიუწერს ესრეთ: „თავი და უფროსი ყოველთა ეკლესიათა და ეპისკოპოზთა კლემენტოს (48r) მოგიწერ შენ იაკობს, ძმასა უფლისასა, ეპისკოპოზსა იჭრუსალიმისასა“. ამით ჩანს, რამეთუ არა არს უაღრეს-უაღრესობაჲ პატრიაქთა შორის, არამედ თანასწორებაჲ და ერთპატიობაჲ.

ეგრეთვე სხუანი პატრიაქნი ალექსანდრისანი და ანტიოქიისანი, და რად ვიტყვი პატრიაქთა, არამედ თვთ მიტრაპოლიტნიცა ხალკიდონისა, აფრიკელისა და ეფესოსნი და სხუანი მღვდელთმოდღურები მისწერენ პაპასა ჰრომისასა ესრეთ, ძმასა და თანამღვდელსა და თანამწირველსა ეპისკოპოზსა ჰრომისასა ლეონს, გინა კვილისტინეს, ანუ დამასუს. იხილეთ, რამეთუ თანამწირველობით და ძმობით მისწერენ. ეგრეთვე იგი მოსწერს თანაძმობით და ერთპატიობით და თანამღვდლობით და სხუანიცა პაპები ჰრომისანი მოსწერენ ეპისკოპოზთა და პატრიაქთა აღმოსავლეთისათა ძმობით და თანამღვდლობით, ვითარცა ესენი, ეგრეთვე იგინიცა და არასადა ჩანს მათ შორის უაღრეს-უაღრესობა. და მრავალ(48v)თა წიგნთა შინა წერილ არს ესრეთ და კრებისა ებისტოლეთა შინა და არასადა წერილ არს ესრეთ, თუ „მწყემსო ჩუენო, და მპყრობელო

ყოველთა ქრისტეანთავო და ყოველთა ეკლესიათა თაოჲ“, დაღაცათუ პაპასა ჰრომისასა პირველად უფროსისა ძმობისა პატივი და კრებათა შინა მარჯუნით მეუფისა ჯდომისა ჰქონებებს და არათუ თაობისა, არცა ყოველთა ზედა კითხვისა გინა ბრძანებისა, ნუ იყოფინ! არამედ ერთობისა და სწორისა მწყემსობისა, ვითარცა მათ, ეგრეთვე ამათ და ერთი მეორისა სამწყსოსა შინა ვერარას შემძლებელ არიან და ვერცა ერთი მეორესა აცილობს.

რამეთუ ძუჭლითგანვე წმიდათა მოციქულთა მიერ ესრეთ არს განწესებული, რამეთუ მათ განიყუწს რაჲ ყოველი ქუეყანა ათორმეტ ნაწილად, წარვიდეს და უქადაგეს თითუჭლმან თჳს-თჳსა წილად ხდომილსა ქუეყანასა და ერთი მეორესა არა უჭდებოდა, არცა აცილობდა, ვითარცა მოგვითხრობს საქმე მოციქულთა და ცხოვრებჲ მათი.

(49r) რაჟამს ამაღლდა უფალი ზეცად და მოუვლინა სული წმიდა, მაშინ შეკრბეს მოციქულნი წინაშე იაკობ, ძმისა უფლის, და განვიდეს გარემოთა სოფელთა ჰურისტიანთასა და ქადაგეს სახარებაჲ ქრისტესი ზოგად ყოველთა და კუალად შეკრბიან წინაშე იაკობისა და მიუთხრობდეს მოქცევასა პირითა და წარმართთასა, და კუალად განვიდიან, ქადაგებდიან და მერმე შორთა ქუეყანათა და ადგილთა განიბნინეს თითუჭული თავისა ნაწილსა და კუალად შემოკრბიან იწრუსალიმად და აუწყებდეს იაკობს მოქცევასა ჰურიათა და წარმართთასა, ვითარცა საქმესა შინა მოციქულთასა წერილ არს: „მი-რა-ვე-დით ჩუენ იწრუსალიმად, მხიარულად შემინყნარეს ჩუენ ძმათა, ხოლო ხვალისაგან შევიდა პავლე ჩუენტა იაკობისა, რამეთუ ყოველნივე ხუცესნი მოვიდოდეს და მოიკითხვიდეს მას და მიუთხრობდეს კაცად-კაცადსა, რომელი-იგი ქმნა ღმერთმან წარმართთა შორის მსახურებითა მისითა, ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, ადიდებდეს ღმერთსა და ჰრქუეს მას: ხედავა, ძმაო, რავედენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი? და ესრეთ აუწყებდეს და მიუთხრობდეს მოქცევასა ჰურიათა და წარმართთასა და კუალად წარ(49v)ვიდოდეს თითუჭული თვისსა ადგილსა“ (საქმე მოციქულთა 11,17).

და კუალად იტყვს მოციქული პავლე: „რამეთუ რომელი შეენია პეტრეს მოციქულებად წინადაცუჭთილებისა, შემენია მეცა წარმართთა მიმართ. და ვითარცა ცნეს მაღლი იგი, რომელ მოცემულ იყო ჩუენდა, იაკობ და კეფა, რომელ არს პეტრე და იოანე, რომელნი იგი ჰგონებდეს სუჭტად თავთა თვისთა, მარჯუჭუნე მოგუეცეს მე და ბრძანებას ზიარებისა, რაჲთა ჩუენ წარმართთა მიმართ, ხოლო იგინა წინადაცუჭთილებისა მიმართ და შემდგომი“ (გალატელთა 2,8) და ესრეთ, ვითარცა ვთქუ, თითუჭულსა მოციქულსა თჳსი-თჳსი ხუჭდრებული ადგილი აქუნდა და ერთი მეორესა არა აცილობდა, არცა პეტრე აცილობდა პავლეს, არცა პავლე – იაკობს და იოანეს, არცა იოანე და იაკობ – ანდრიას და პეტრეს, არცა უბრძანებია ქრისტესა ერთი მეორესა ზედა მთავრობაჲ და ზედამდგომელობაჲ, არამედ ესრეთ ჰრქუა, ვითარმედ: „თქუენ ყოველნი ძმანი ხართ და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი

არს მამა თქუენი, რომელ არს ცათა შინა, ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღ(50r)ლუარი თქუენი ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ“ (მათე 23,8). ესრეთ ურთიერთარს სწორებაჲ და ძმობაჲ უბრძანა და რაოდენნიცა ნიჭნი და პატივნი უბრძანა, ყოველნივე სწორედ უბრძანა და მისცა ვითარცა პეტრეს, ეგრეთვე სხუათა, ვითარცა ბრძანებს ოდეს იგი ანდერძსა ეტყოდა, ილოცვიდა მამისა მიმართ და იტყოდა: „არა ხოლო ამისთვის გკითხავ, არამედ ყოველთათვის, რომელთა ჰრწმენეს სიკცკთა მათითა ჩუენდა მომართ, რაათა ყოველნი ერთ იყუნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი“ (იოანე 16,20). ესრეთ ერთნი არიან და სწორნი ძმანი წმიდანი მოციქულნი და არა არს მათ შორის განყოფაჲ და ურთიერთარს მთავრობაჲ და ეგრეთვე შემდგომნი მათნი წმიდანი პატრიარქნი, ხოლო სხუე ყოველი ქუჭმო აღვსნეროთ მოციქულთათვის, თუ ვითარ სწორნი ნიჭნი და პატივნი მისცემიან ქრისტესგან.

**IX თავი. სიტყვსა მისთვის უფლისა, რომელი ჰრქუა პეტრეს:  
„სიმონ, სიმონ, აჰა, ესე არა ეშმაკჲან გამოგითხოვნა თქჳნი  
აღცრად, ვითარცა იჳქლი, არამედ მე ვევედრა მამასა ჩემსა,  
რითა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი“ (ლუკა 22, 31).**

(50v) ამისი განმარტება არა ძნელ არს, არამედ ადვილ მაღლითა ქრისტესითა და კეთილად გულისწმისმყოფელთაგან ცხადად საცნაურ.

რამეთუ წმიდა პეტრე, თავი იგი მოციქულთა, არათუ სხვისა რასათვისმე იჩინა თავად, არამედ ამისათვის ითქმის, თავად ჩუენ მიერ არა თუ ქრისტესაგან აქუს თაობაჲ, არცა ათორმეტთა მოციქულთაგანსა ვისმე უთქუამს თავად, არცა სადა წერილ არს სახარებათა და მოციქულთა შინა, არამედ უფროსლა წინააღმდგომი, რამეთუ ქრისტემან უბრძანა: „ნუ წარმართთაებრ მსთავრობთ ერთი მეორესა, ნუცა გერქუმინ წინამძღუარ, რამეთუ ყოველნი სწორნი ძმანი ხართ“, ვითარცა ზემორე აღვსნერე უვრცელესად, არამედ ჩუენ მორწმუნეთა მიერ ითქმის თავად მოციქულთა. ეგრეთვე ათორმეტნი ყოველნივე ითქმიან თავად და არა მარტო პეტრე, ვითარცა წერილ არს: „მამათა შენთა წილ იქმნეს შვილნი შენნი და დაადგინე იგინი მთავრად ყოველსა ქუეყანასა ზედა“. არამედ პეტრე ჩუენ მიერ ითქმის თავად, ვითარცა ვთქუ, ერთად ამისთვის, რამეთუ სხუათა ზედა უმოხუცებულეს იყო, ვითარცა ხატიცა მი(51r)სი საცნაურ ყოფს, მეორედ ამისთვის, რამეთუ პირველად ესე და ანდრია დაემონაფნეს ქრისტესა უწინარეს სხუათა მოციქულთასა, ვითარცა წერილ არს იოანეს სახარებათა შინა, ვითარმედ უპირატეს ანდრია დაემონაფა და მერმე მან მოგუარა იგი ქრისტესა, მერმე შემდგომითი-შემდგომად სხუანი მონაფენი დაემონაფნეს. მესამედ ამისთვის ითქმის თავად არა თუ სხუჭბრ რადმე, არ-



ამედ საღთოესა მჭურვალეებისათჳს, რამეთუ ყოველსა საქმესა და სიტყვასა ამან მიუსწრის სხუათა და პირ ექმნის ყოველთა მოციქულთა და ყოველთა მაგიერ ამან თქვის, რაცა იგი თქვს და სხუათა არა აცალის საღმრთოთა მჭურვალეებითა ვიდრემდის ორგზის და სამგზის ურჩებისა და უარისყოფისა ბრალსა შთავარდა და ქრისტეს მიერ იმხილა და მერმელა განისწავლა სიმდაბლედ და მორჩილებად, რამეთუ ესრეთცა იქმნების და ესრეთცა ჯერ არს, რამეთუ უმეტესისა მჭურვალეებისა და საღმრთოსა შურისა მქონებელსა უმეტესიცა განკრძალვა უვს, რათა არა უბურკმეს, რამეთუ ესევითართა ეშმაკნიცა უფიცხესა(51v)დ ებრძვიან და ახლოს არს დაცემა. მძლეთათჳს გვირგვინი უბრწყინვალესი, ხოლო დაცემულთათვის ტანჯვა უსასტიკესა.

ვითარცა ვთქუ, შემდგომად დაცემისა განისწავლა პეტრე, რამეთუ ოდეს ჯვარცმისა და სიკუდილისა თჳსისათჳს მიუთხრობდა მონაფეთა თჳსთა, რომლითა იგულებოდა წსნა დაბადებულთა თვისთა და იტყოდა, ვითარმედ: „აღვალ იწრუსალიმად და ძე კაცისა მიეცემის ჯვარცმად. მაშინ პეტრე წინააღუდგა და ეტყოდა: შენდობა იყოს შენდა, არა იყოს ეგრეო. შეჰრისხნა მას უფალმან და ჰრქუა: ნარვედ ჩემგან, სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ და შემდგომი“. შემდგომად ამისა ესმა რა შერისხვა ესე, მერმე რაოდენიცა უბრძანის ქრისტემან, მცირედრე განისწავლა სიმდაბლედ და ეგრეთ კადნიერად არღარა აცილობდა, მერმე სერობაჲსა მას იტყოდა რაჲ უფალი: „ერთმა თქვენგანმა მიმცეს მე“, ვერღარა იკადრა კითხუად, არამედ იოანეს აწვია, რათა მან ჰკითხოს და ეუწყა, რაჲ იუდასმიერი განცემა, მერმე გული განუმაგრდა თვისსა დაუცემელ(52r)ობისა ზედა და სილაღით თქუა: „არასადა უარგყო შენ“ და კუალად ურჩ ექმნა რაჲ დაბანად ფერჯთა, ესმა რა ქრისტესაგან არა გაქუნდეს ნაწილი ჩემთანო, მერმე თავიცა და ჯელნი ფერჯთა თანა მიუპყრა და კუალად შთავარდა რაჲ უარისყოფისა ბრალსა, მერმე ძალითღა განისწავლა სიმდაბლედ და მორჩილებად, ისმინეთ, თუ ვითარ განისწავლა, რამეთუ შემდგომად მკდრეთით აღდგომისა ახარებდა რაჲ მარიამ მაგდალინელი მონაფეთა, პეტრე და იოანე ნარვიდეს საფლავად, ორნივე ზოგად რბიოდეს, ხოლო იოანე უმოსწრაფეს რბიოდა და პეტრე – უგვიანესად. აქაცა რამე იჭვი შეუჯდა პეტრეს, ნუუკუჳ ნაცილ იყოს აღდგომა, (იოანე 20,3) ვითარცა წერილ არს: „იხილეს და ჰრწმენა, რამეთუ არღა იცოდეს წერილისა, ვითარმედ ჯერ არს მისი მკუდრეთით აღდგომა, უფროსღა ამისთვის უგვიანეს მივიდოდა, რამეთუ ჰრცხუწნოდა უარისყოფისა მისთვის – ნუუკუჳჳ ჭემარიტად იყოს აღდგომა და ვერ მკადრე იყო ხილვად უფლისაჲ, და მერმე კუალად შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა ნარვიდეს რაჲ ნადირობ(52v)ად პეტრე და ძენი ზებედისნი – თომა და ნათანაელ, გამოუჩნდა იესო კიდესა ზედა. სხუანი კადნიერად დგეს (იოანე 21,2) დაუცემლობისათვის, ნავითა მივიდეს და მოეახლნეს, ხოლო პეტრეს ესმა რა იოანესაგან, ვითარმედ უფალი არს, მოირტყა შესამოსელი თვისი, რამეთუ შიშუწლი იყო და შთაიგდო თავი

თვისი ზღუად (მუხლი 7), სირცხვილითა ვერღარა იკადრა მიახლებად, არამედ შთაიგდო ზღუად დაჰოდეს ისადილნეს, სამგზის ჰკითხა რა უფალმან პეტრეს: „გიყვარვარ მე უფროს ამათსა?“ ვერღარა მიუგო პირველისა მისებრ კადნიერად, არამედ ესრეთ თქუა: „უფალო, შენ ყოველი იცი და უწყი, რამეთუ მიყვარ შენ“ (მუხლი 15).

ესრეთ დაამდაბლებს კაცსა განსაცდელი და ასწავებს მოჩილებასა.

ხოლო პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ: „ჰრქუა უფალმან სიმონ, სიმონ, ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი“, ჭეშმარიტად ყოველნი მოციქულნი გამოითხოვნა ეშმაკმან აღცრად, არა თუ მარტო პეტრე, არამედ ყოველნი, ვითარცა დიდი იობ გამოითხოვა, ეგრეთვე ესენი, რამეთუ ეშმაკსა ყოველთა წარწყმედა (53r) ნებავს, ვითარცა ღმრთისა ყოველთა ცხოვნება, არამედ უფალი ეტყვის მხოლოდ პეტრეს და არღარა ყოველთა, არამედ პეტრეს ოდენ ვითარმედ: „მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვისო, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი“ არა ჰრქუა, თუ ყოველთათვის ვევედრე, რამეთუ ყოველნი გამოითხოვნა ეშმაკმან, არამედ ესრეთ ეტყვის, შენთვისო. ესე ამისთვის უბრძანა, რამეთუ უწყოდა სხუათა დაუცემლობაჲ, ხოლო პეტრესი მრავალგზის შერყევა და უარისყოფისა ბრალსა შთავრდომა. ამისთვის ჰრქუა მას, ვითარმედ შენთვის ვევედრე, რაჲთა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი. რაჟამს იგი უწინარეს ამისსაცა ეტყოდა, ოდეს იგი უბრძანა წყალთა ზედა სლვა და ვიდოდა რაჲ პეტრე წყალთა ზედა, მერმე მოაკლდა მცირედ სარწმუნოებაჲ და იწყოდა დანთქმად. მაშინ ჰრქუა მას იესო: „მცირედ მორწმუნეო, რასა შეორგულდი?“ ხოლო სხუათა მოციქულთა არასადა ჩანს მცირედცა მიდრეკა, გინა ურჩება, თვნიერ იუდა განმცემელისა, რამეთუ სიმდაბლისა მუშაკნი იყუნეს და ვერა სადა მძლე ექმნა ეშმაკი, ვერ შეაბრკოლნა ვერცა (53v) შეარყინა, ხოლო იუდა თვთ მისცა თავი თვისი მტერსა ბოროტსა და არღარა შეიგონა, არცალა შემდგომად დაცემისა ინება მოქცევა და სინანული, ვითარცა წინ პეტრე, არამედ წარვიდა და შიშთვილიბა, რამეთუ იძულებით არავის ნებავს უფლისა სინანულად მოსლვა, არამედ თვისთა წინააღრჩევითა ნებავს ყოველთა კაცთა მოქცევა და სინანული, რაჲთა უმრავლესი სასყიდელი აქუნდეს.

მერმე ჰრქუა: „შენ რაჟამს მოიქცე, განამტკიცენ ძმანი შენნიო“. ესე იგი არს, რაჟამს მოიქცე უარისყოფისაგან, ასწავე და განაკრძალე, რაჲთა არა შთავარდენ იგინიცა შენებრ უარისყოფასა, გინა ურჩებასა. ასწავე და განამტკიცენ არათუ უდარესნი და უმრწამესნი შენსა, არამედ თანასწორნი და თანაზიარნი ძმანი შენნი და სახე ექმენ შენ მათ, უკეთუ ვისმე უბრკუმეს, ნუ წარიკუჭთენ სასოებასა იუდასებრ, არამედ შენებრ ისწავონ სიმდაბლე და სინანული.

ხოლო არა უბრძანა, თუ: დამწყსენ და ზედამდგომე(54r)ლ და მთავარ ექმენო, არამედ განამტკიცე და სახე ექმენო, რამეთუ დაცემულნი და შე-

ბრკოლებულნი სხუათა მტკიცეთა და დაუცემელთა უმეტესისა კრძალულები-  
სა მომატყუებელ ექმნების, ხოლო რომელნი უძლურ არიან და შერყეულ გონ-  
ებითა, იგინი უმეტეს შებრკოლდებიან და ადრე დაეცემიან, ვითარცა იუდას  
შეემთხვია, რამეთუ შებრკოლდა, დაეცა და არლარა ინება გულისწმისყოფა,  
არცა სინანული.

## **X თავი. სიტყუა სამგზის კითხვისათჳს უფლისა მიერ პეტრეს და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო.**

კუალად ერთი ესე აქუსთ ცუდი მიზეზი პაპის მოსავთა, სამგზის ჰკითხა  
რაჲ უფალმან: „პეტრე გიყვარ მე?“ და სამგზის მიუგო პასუხი კითხვასა, მერმე  
სამგზის ჰრქუა უფალმან: „დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო და აძოვენ კრავნი ჩემ-  
ნიო“, ამისთვის არს მწყემსი ყოველთა ზედა და ყოველთა მთავარიო.

რაჲ არს ესეოდენი გმობაჲ და უპირული სიტყუა, რასათჳს კადნიერ იქმ-  
ნებინ პეტრეს მიმართ გმობად და შეურაცხებად. ჭეშმარიტად გმობა არს  
წმიდისა პეტრესი და (54v) არა ქება, და ესევეითარი დიდება არა დიდება,  
არამედ შეურაცხება, რაჲთა სხუათა მოციქულთა უაღრეს და უდიდებულეს  
იყოს და სხუანი მოციქულნი ვერ უსწორენ პეტრეს და იყუნენ უდარეს და  
უმრწემეს მისსა, ვერცა იოანე ესწოროს მკერდსა სიტყვისასა მიყრდნობილი,  
ძედ ქალწულისა და ძმად ქრისტესა წოდებული და სიტყვისა ღმრთისა მამისა  
სწორად და ღვთად პირველ საუკუნეთა გამოცხადებული, არცა იაკობ ყოვ-  
ელთა საიდუმლოთა პეტრეს და იოანეს თანაზიარი საღმრთოსა ფერისცვა-  
ლებასა და სხუათაცა დიდებულთა საქმეთა და მერმე პირველ ყოველთასა  
სიკუდილისა სასმელისა მსმელი, არცაღა ანდრია, ძმა მისი, პირველწოდე-  
ბული და მერმე პეტრესიცა ქრისტეს მიმართ მიმყუანი და მიმონაფებვილი,  
არცა ფილიპე, დაუსაბამოსა და უხილავისა მამისა გამომადიებელი, ქრისტეს  
მიმართ მეტყჳლი: „უფალო, გვიჩუჴნე ჩუენ მამა შენი, ხოლო ქრისტემან ჰრ-  
ქუა: ფილიპე, რომელმან მიხილა, იხილა მამა ჩემი და ვითარმედ მე მამი-  
სა თანა და მამა ჩუენთა“ (იოანე 14,8), არცა თომა, ჴელითა განმხილველი  
წყლულებათა ქრისტესთა და ღმრთად და (55r) უფლად აღმსარებელი მისი.

არცაღა პავლე, ჭური იგი რჩეული, სამ ცამდე აღწევნული და გამოუთქმელ-  
თა საიდუმლოთა მსმენელი. ესენი ვერცა ერთი ესწოროს და იყუნენ უმრწემეს  
პეტრესა და იგი იყოს ყოველთა ზედა მთავარ, ვითარ ეგების ესე და ვითარ  
იყოს? ჭეშმარიტად გმობაჲ არს პეტრესი და არა დიდებაჲ, ვითარცა ვთქუ, ვი-  
თარცა იგი, რომელნი მამასა უფროსად აღიარებენ და ძესა და სულსა წმიდასა  
უდარესად, არა არს დიდებაჲ მამისა, არამედ სამთავე გმობა და შეურაცხება,  
ეგრეთვე, რომელნი წმიდა პეტრეს სხუათა მოციქულთა უაღრესად და უდიდე-  
ბულესად იტყვან, ათორმეტთავე გმობა არს და პეტრესიცა შეურცხება, რაჲ-

თამცა ათორმეტთაგან განათლებული კიდენი ყოვლისა სოფლისანი მხოლოდ პეტრეს და მისსა ეკლესიასა მორჩილებდენ და სხუანი მოციქულნი შეურაცხ იქმნენ.

ოდეს უბრძანა ქრისტემან პეტრეს: „დამწყსენ მწყემსნი და ჩემნი მოციქულნიო“, არამედ ცხოვარნი და კრავნი ჩემნი დამწყსენო, რომელნი არიან ერნი წარმართთაგან მოქცეულნი და დაღაცათუ მო(55v)ციქულნიცა ქრისტეს ცხოვარნი არიან, არამედ ყოვლისა სოფლისა მწყემსნი არიან.

რამეთუ ოდეს წარავლენდა უფალი ნმიდათა მოციქულთა ქადაგებად, თვთ პეტრესა და სხუათა ყოველთავე ზოგად უბრძანა: „აჰა, მე წარგავლინებ თქვენ ცხვართა შორის მგელთა“ (მათე 10,16) და უკეთუ სხუანი მოციქულნი ცხვარნი არიან, პეტრეცა მათთანა ცხოვარი არს“, რამეთუ ზოგად უბრძანა ესე: და უკეთუ პეტრე მწყემსი არს ყოველთა, სხუანი მოციქულნი მწყემსნი არიან და მოძღუარნი ყოვლისა სოფლისანი, რამეთუ ოდეს გამოუჩნდა იესუ მთასა გალილიასა, ზოგად უბრძანა ყოველთა: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი“ და შემდგომი. არა მარტო პეტრეს, არამედ ზოგად ყოველთა უბრძანა, ვითარცა პეტრეს, ეგრეთვე იაკობს და იოანეს და ანდრიას და სხუათა ყოველთავე და ეგრეთცა იქმნა, რამეთუ უმეტესი კერძი ქუეყანისა სხუათა დამწყსეს და არა მხოლო პეტრე, ვითარცა იტყვს მოციქული პავლე: „რამეთუ რწმუნებულ არს ჩემდა სახარებაჲ იგი წინადაუცვეთელებისა, ვითარცა იგი პეტრეს წინადაცუჭთელებისა, რამეთუ რომელი შეენია პეტრეს მოციქულებად წინა დაცუ(56r)ჭთელებისა, შემენია მეცა წარმართთა მიმართ“. (გალატელთა 2,40) ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ: დაღაცათუ ქრისტეს ცხოვარნი არიან, არამედ ყოვლისა სოფლისა მწყემსნი არიან და უმეტესება პეტრესთვის არარა მიუნიჭებია, დაღაცათუ კლდესა და კლიტეს იქადიან და შეკრვისა და განჯსნისა ჳელმწიფებასა, არამედ მცირედ მელოდეთ და ყოველივე გაუწყოთ თვს-თვს ადგილსა, თუ ვითარ ზოგად მიანიჭა ყოველთავე, რაცა პეტრეს უბრძანა და თუ ვინ არს კლდე იგი და ვის ზედა არს აღშენებული ეკლესია, ხოლო ან პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ.

უკეთუ სიტყუა იგი, რომელი ჰრქუა პეტრეს, ვითარმედ: „დამწყსენ ცხვარნი ჩემნი“ მოციქულებისა დამწყსასა და ზრუნვისა იყოს, რაათა პეტრეს დაემწყსო იგინი და ეზრუნა, რაჟამს ესე სიტყვა ებრძანა, „დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო და აძოვენ კრავნი ჩემნიო“, მყის მოიქცა პეტრე და იხილა მონაფე იგი, რომელი უყვარდა იესუს, მისდევდა რაჲ, რომელი იგი მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა მისსა. ესე ვითარცა იხილა პეტრე, ჰრქუა იესოს: „უფალო, ხოლო ესერა. რაჲსთვის ჰრქუა მას იესუ: „უკეთუ, მინდეს ყოფა მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ“ (იოანე 20,21).

(56v) იხილეთ ან, რამეთუ რაჟამს იგი ჰკითხა პეტრე ოიანესთვის: „უფალო, ამისთვის რასა ბრძანებო“, ხოლო ქრისტემან რაჲ მიუგო: „არამედ ესე, ვითარმედ უკეთუ მინდეს მაგისი ყოფა, ვიდრე მოვიდე შენდა, რაჲ?“ ესე იგი

არს: შენ რაღსა კითხულობო მაგისასა, ანუ სხუისასა, შენ შენთვის იზრუნე და შენ შემომიდეგ, თუ მინდეს ყოფა მაგისი, ვიდრე მოსლვად ჩემდამდე ეგოსო“.

უკუეთუ ერთისა მოწაფისათვის ერთისა სიტყვსა პასუხი არარაა უბრძანა სხუათა მოციქულთა თაობასა და ზედამდგომელობასა და განმგეობასა ვითარღა მისცემდა. ანუ თუ უფლებისასა და ჳელმწიფებასა; ნუ იყოფინ! არამედ ძმანი არიან და თანასწორნი წმიდანი მოციქულნი სიტყვსაებრ ქრისტესა, თქვენ ყოველნი ძმანი ხართ და შემდგომი.

## **XI თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მონაფეთა: „თქუან ვინ გგონიე მე ყოფად?“ სოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ქე ღმრთისა ცხოველისა!“**

რაჟამს იგი ჰკითხა მონაფეთა უფალმან: „თქვენ რაე სთქუთ ჩემთვის, ვინ ვარ?“ ესე სიტყუა ყოველთა ზოგად ჰკითხა ათორმეტთავე, არამედ მხოლოდ პეტრე პირ ექმნა ყოველთა და ყოველთა მიერ მ(57r)ან თქუა: „შენ ხარ ქრისტე, ქე ღმრთისა ცხოველისა. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ სიმონ ბარ იონა, რამეთუ ჳორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“. (მათე 16,15) რამეთუ ვინათგან პირ ექმნა ყოველთავე პეტრე და ქედ ღმრთისად აღიარა ქრისტე, ქრისტემანცა ყოველთა ზოგად მისცა ნეტარება ესე. არა თუ მარტო პეტრე აღიარებდა ქედ ღმრთისა და სხუანი მოციქულნი უარყოფდეს, ნუ იყოფინ ესე, არამედ ზოგად ყოველნი აღიარებდეს ქრისტესა ქედ ღმრთისა. და არათუ მარტო ესე ნეტარება მისცა, არამედ რავდენნიცა ნეტარებანი და აღთქუმანი არიან, ყოველთა ზოგად უბრძანა და რად ვიტყვ სანატრელთა და ყოვლისა ნეტარებისა ღირსთა წმიდათა მოციქულთა, რომელთა თუალით იხილეს და ჳელითა მსახურეს, თუმცა ესენი ნეტარ ექმნეს, არამედ ყოველნი მორწმუნენი მისნი, რომელნი ქედ ღმრთისად აღიარებენ და მცნებათა მისთა იმარხუწნ, იგინიცა ნეტარ არიან, ვითარცა იგი თომას ეტყოდა უფალი, რაჟამს იგი ჳელთა და ფერწთა და გუწრდისა წყლულება უჩუწნა და მან ღმერთად და უფლ(57v)ად აღიარა, არამედ რასა იტყვს უფალი: „რამეთუ მიხილე და გრწამ, ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმენე“ (იოანე 20,26)

უკეთუ თომას მიერ ხილვითა და ღმრთად და უფლად აღსარებითა ყოველთა, რომელთა არა ეხილვა, ვიდრე აღსასრულამდე, ნეტარება მისცა, რაე საკვირველ იყო, თუმცა თვსთა მონაფეთა ზოგად ჰკითხა, და ყოველთა მიერ პეტრე მიუგო, რათა ყოველთათვს ზოგად მიეცა ნეტარება, არამედ არა არს ესე სათქუმელ, არცა დასარწმუნებულ, თუმცა მხოლოდ პეტრე ერთითა მით სიტყვთა ნეტარ ექმნა და ზოგად სიმრავლე იგი მონაფეთა ნეტარებისაგან ცალიერ ექმნა. ნუ იყოფინ ესე, არამედ ვითარცა ვთქუ, რაოდენნი ჰრქუნა

პეტრეს, ზოგად ყოველთა ჰრქუა, ვითარცა წერილ არს სახარებასა შინა, რაოდენსაცა ითხოვდა, ესრეთ იტყოდა მამისა მიმართ: „არა ამათვს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათვს, რომელთა ჰრწმენეს სიტყვთა მათითა ჩემდა მომართ და რათა იგინიცა ერთ იყუნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი“ (იოანე 17,20) და კუალად წერილ არს წმიდასა სახა(58r)რებასა შინა, რაოდენსა უბრძანებდის თვს-თვსად, მერმე ზოგად ყოველთა ეტყოდა: „ამას რა გეტყვ თქუნენ, ყოველთა ზოგად გეტყვ“. ჩანს, რამეთუ არა მარტო პეტრესთვს არს ნეტარება ესე, არამედ ზოგად ყოველთათვს მოციქულთა და არა თუ მხოლოდ მოციქულთა, არამედ რომელთა მათითა ქადაგებითა ირწმუნეს ძედ ღმრთისად იესუ ქრისტე და მცნებათა და ბრძანებათა მისთა იმარხვენ, იგინიცა ნეტარ არიან.

მოდით, ღმრთისმოყუარენო, და გულისმოდგინედ გამოვიძიოთ და ვსცნათ, თუ რა მისცა უმეტესი მოციქულსა პეტრეს, ანუ ვითარ სხუანი მოციქულნი დააკლო მის აღთქმასა და ნეტარებისაგან, რათა არა ჩუწნცა მათებრვე შეგუწმთხვიოს და მოციქულთა შორის აღვძრათ მტერობა და შური და ერთი მეორისა ზედა უფალ და ჳელმწიფევეყოთ.

რა მისცა პეტრეს უმეტესი სხუათა მოციქულთა? პირველად გამოირჩია რა ქრისტემან ყოველნი ზოგად, გამოირჩივნა და შეინყნარნა ჰრქუა: „რა მოვედით და შემომიდეგით და გყვენ თქუნენ, მესათხეველე კაცთა“. ესე სიტყუა (58v) ზოგად უბრძანა ყოველთა, ხოლო რამეთუ წარავლინნა რა ქადაგებად ათორმეტნივე, ზოგად წარავლინნა და უბრძანა, რა იგი უბრძანა, ვითარცა წერილ არს. ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ეგრეთვე უბრძანა: „რა თქუნენ ხართ ნათელნი სოფლისანი და თქუნენ ხართ მარილნი ქუეყანისანი“. ზოგად ყოველთა უბრძანა, კუალად ჰრქუა რა აღთქმა იგი საკვირველი და ბუნებისა უაღრესი: „რაჟამს დაჯდეს ძე კაცისა საყდარსა ზედა, დასხდეთ თქუნენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა“ (მათე 19,28) არა მარტოდ ერთი და ორი, არამედ ათორმეტნივე ზოგად. არა უმცირეს უაღრესთა საყდართა, არამედ სწორად ათორმეტნივე ათორმეტთ საყდართა ზედა და კუალად თუ სადმე თვს-თვსად უბრძანის, მერმე ჰრქვის: „ამას რა გეტყვი თქუნენ, ყოველთა ზოგად გეტყვ“.

კუალად რაჟამს ძმად უწოდა და მეგობრად, ყოველთავე სწორად უბრძანა, ვითარცა წერილ არს: „თქუწ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქუნენ, არღარა გე(59r)ტყვი თქუნენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რაჟსა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქუნენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისაგან, გაუწყე თქუნენ“ (იოანე 16,18). და კუალად იტყვის: „ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მამაო, მეცა წარვაგლინებ მათ სოფლად და მათვს წმიდა ვყოფ თავსა ჩემსა, რათა იგინიცა იყუნენ ჭემმარიტებით. არა ამისთვს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათვს, რომელთა ჰრწმენეს სიტყვთა მათითა ჩემდა მომართ, რათა ყოველნი ერთ იყუნენ, ვი-

თარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი, რაათა იგინიცა ჩუენ შორის ერთი იყუნენ. და კუალად: რაჲ იყუნენ ერთ, ვითარცა ჩუჴნ ერთ ვართ“ (იოანე 16,14). და კუალად მამაო: „რომელნი ესე მომცენ მე, მნებავს, რაათა სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყუნენ, რაათა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა“. ესე და უმრავლესი ამისი, რავდენი იგი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა აღთქმულნი და ნეტარებანი, რომელნი აღუთქუა ქრისტემან ზოგად ყოველთა მოციქულთა და არა მარტოდ პეტრეს, ხოლო ჩუჴნ თითოეულად არა აღვსწერეთ უმეტესისა განვცელებისათჳს და რომელნი გულისჴმის-ყოფით იკითხვიდენ, ყოველნივე ცხადად ეუწყოს, თუ ვითარ სწორებით მისცა ჴელმნ(59v)იფებაჲ შეკრვისა და განჴსნისა. პირველად პეტრეს უბრძანა ესე და მერმე ზოგად ყოველთავე უბრძანა: „ამენ გეტყვი თქუენ, რაოდენი შეჴკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგინი ცათა და რაოდენი განჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე 18,18). და კუალად ზოგად უბრძანა: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი“. და მერმე სულისა წმიდისა მადლი და ნიჴი ზოგად მისცა და სწორად განუყო და რაჲ საკვირველ არს ზოგად ყოველისავე აღთქმისა და ნეტარებისა მიცემა, ვინათგან განსჯასა მას საშინელსა ათორმეტთა საყდართა უბრძანა დასხდომა. მაშა ამიერ გეუწყოს, ვითარმედ: არა რაჲ მეტი მიუცია სხუათა მოციქულთა ზედა პეტრესთჳს და უკეთუ მას ცალკე უბრძანა შეკრვისა და განჴსნისა ჴელმნიფებაჲ და სხუასა რაოდესაცა იგინი იქადიან პეტრესთჳს, არცა ერთი არს სხუად მოციქულთაგანი, რომელსაცა თვითოეულად სხუად და სხუად მადლი არცა მისცა უფალმან. იხილე იოანე, თუ ვითარ საყვარელ იყო ქრისტესი, ვითარ სხუათგან შეუკადრებელსა და მიუახლებელსა საქმესა ამან ჴელ-ყო მიახლებად და მკერდსა ღმრთისა სიტყვისასა (60r) მიეყრდნა და ისწავლნა საიდუმლონი დაფარულნი. მერმე ძედ დედისა თვისისა უწოდა უფალმან და მშობელი თვისი მას შევედრნა, თუცალა პეტრე მოციქულმან ძედ ღმრთისად აღიარა ქრისტე, ამან ძედ ღმრთისა და თანასწორად მამისა და პირველსაუკუნეთა მამისა თანა ღმერთად აღიარა და სულისა წმიდისა ღმრთაება და მამისაგან გამოსლვა ამან გამოგვცხადა და აღგვიწერა და სხუად რაოდენნი ღმრთისმეტყუჴლებანი წერილ არიან. იხილე კუალად იაკობ, ძმა იოანესი, ვითარ იგიცა საყვარელ იყო ქრისტესა, ვითარ ყოველსავე დაფარულსა საიდუმლოსა პეტრესთანა და იოანესა, ამასცა გამოუცხადებდა უფალი, ვითარ იგი მთასაცა ზედა თაბორსა დიდებულსა ფერისცვალებასა ესმა უსმენელი ჴმად მამისა და იხილა უხილავი ღმრთაება ძისა და სხუად მრავალი დაფარული საიდუმლო გამოეცხადა ჴორცითა ამით განხრწნადითა. და მერმე პირველ ყოველთასა ამან შესვა სასმელი იგი სიკუდილისა ქრისტესთჳს ჴეროდე მიერ.

იხილე ანდრიასიცდა სიყვარული ქრისტეს მიმართ, ვითარ პირველ ყოველთასა ესე დაემონაფა ერთისა სიტყჴსა სმენითა, რაჴამს იოანე ნათლისმცემელი იტყოდა: „აჴა, ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნა ცოდვანი სოფლი-

სანი“, მცის შეუდგა ქრისტესა (60v) და მერმე ძმა თვისი პეტრე ამან მოგვარა ქრისტესა და ესე იქმნა მიზეზ მისისა მის მონაფობისა, ვითარცა სახარება იოანესი გუაუნყებს და უკანასკნელ ესეცა მსგავსად მსსნელისა ჯუარს ეცვა.

იხილე ფილიპესიცა იგი სრული საზომი, თუ ვითარი კადნიერება აქუნდა ქრისტეს მიმართ და სიყვარული, რომელი ესე ვერვინ იკადრა სხუამან კითხვად, ხოლო ესე კადნიერი იქმნა, ჰკითხავს: „უფალო, გვიჩუტნე ჩუენ მამა შენი და მიუგო უფალმან: ფილიპე, რომელმან მიხილა მე, იხილა მამა ჩემი და არა უწყია, რამეთუ მე მამისა თანა და მამა ჩემ თანა“ (იოანე 14,8). და უკანასკნელ ესეცა მსგავსად მსსნელისა ჯუარითა დაისაჯა.

ხოლო მათესი გესმისთ დღითი-დღე, თუ ვითარ ღირს იქმნა აღნერად სახარებასა და ყოველსავე განგებულებასა ქრისტესა შობასა და ქუეყანასა ზედა ქცევასა და მერმე საშინელსა მეორედ მოსლვასა აღგვიწერს და ყოველსა დაფარულსა საიდუმლოსა გამოგვიცხადებს. ეგრეთვე მარკოზ და ლუკა, დაღაცათუ არა არიან თავთა მათ ათორმეტთაგანი, არამედ იგინიცა არავე დაკლებულ საზომსა მათსა.

ხოლო თომასი რაღა ვთქუა, რამეთუ ყოველთა უწყით, ვითარი სრული სიყვარული და ღირსი ყოვლისა ქებისა კადნიერება აქუ(61r)და ქრისტეს მიმართ, რამეთუ ოდეს ლაზარეს სნეულება ეუნყა ქრისტესა, ენება ნარსლვად ჰურიასტანად, რამეთუ მაშინ წიაღ იორდანესა იქცეოდა გალილიას, მაშინ მონაფენი ყოველნი შეორგულდეს შიშისათჳს ჰურიათასა და ეტყოდეს ქრისტესა: „ოფალო, ანღა გეძებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად და მუნვე მიხუალა?“ (იოანე 11,8). მაშინ თომა კადნიერ იქმნა და უშიშ უფროს ყოველთა მათ მონაფეთასა და ეტყოდა მოციქულთა: „მოგუალეთ, მივიდეთ, რაათა მოვსწყდეთ ჩუენცა მის თანა“. ესე არს თომასი იგი უშიშობეა და სხუათა მოციქულთა ზედა უმწენსი და უადრესი სიყვარული ქრისტესი. მერმე შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა კეთილი ურწმუნობეა, ჳელით განხილვა ნყლულებათა ქრისტესთა და საღმრთოსა გუჭრდისა და ღმრთად და უფლად აღსარება მისი და მერმე უკანასკნელ ესეცა ღირს იქმნა ლახვრისა მიერ მონყლვითა სიკუდილსა. ეგრეთვე პავლესი, რაღა ვინ თქუას, რომელი ყოველთა უკანასკნელ გამორჩეულ იქმნა და ყოველთა წინა წარუსწრო საღმრთოთა მჳურვალეებისათა სიყვარულითა და უფროს ყოველთასა დამ(61v)ურა, ვითარცა თვით აღნერს: იწრუსალიმით ვიდრე ილირიკედმდე ქადაგა სახარება ქრისტესი და უზემთაესაცა მადლსა და უმეტესსა გამოცხადებლსა ესე ღირს იქმნა, ხოლო ესრეთ რა განვრცელდა თხრობად მოციქულთა და უმეტესი დაუტევე, რაათა არა სანყინო თქუნდა იქმნას. ხოლო ესეცა ამისთჳს აღვსწერე, რაათა არა უკნინეს და უადრეს ჰგონებდეთ ერთსა ერთისა მიმართ და ერთისა ამალეებითა სხუანი ყოველნი დაამდაბლოთ, ანუ ერთისა უზემთაესისა პატივითა ათორმეტნივე უპატიო ჰქმნეთ და მერმე იგიცა შეურაცხ იქმნეს, რამეთუ ერთისა უმეტესი დიდებ სრულიად ყოვლისა უდიდებლობად არს, ხოლო



ჩვენ საზომისაებრ და ნიჭისა ქრისტესისა ზოგად ყოველთავე ვადიდებთ და განმძლიერებულსა მათსა და ღმერთად და უფლად მათ მიერ ქადაგებულსა ქრისტესსა უფროსად აღვმალდდეთ თანა მამით და სულითურთ.

ხოლო უკეთუ გნებავსთ საღმრთოთა წერილთაგანცა ძუჭლისა სჯულის-თა მოვილოთ უმტკიცესი წამებაჲ, რაჲთა უცხადესად გეუწყნენ თანასწორებაჲ და ერთობაჲ მათი და არა სილალე დიდობაჲ ურთიერთას მათ შორის.

იტყვის წინასწარმეტყუელი დავით: (62r) „ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი“. ესე ზოგად ყოველთა თავისვე თქუა და არა სადა გამოაჩინა უმცირეს-უდიდესობაჲ მათ შორის. და კულადა იტყვის: „მამათა შენთა წერილ იქმნების შვილნი შენნი და დაადგინნე იგინი მთავრად ყოველსა ქუეყანასა ზედა“. ანუ აქა სადაღა ჩანს უდარეს-უადრესო-ბაჲ, არამედ ყოველნი სწორად მამათა წილ თქუნა, რომელ არიან ათორმეტ-ნი მამათმთავარნი და მათ წილ მთავრად დადგინებად მოასწავა ყოველსა ქუეყანასა ზედა წმიდანი მოციქულნი, რამეთუ ათორმეტთა მამათმთავართა შვილნი ესე არიან, რამეთუ ყოველნი სწორად თქუნა არა თუ ერთი სხუათა ზედა მთავრად.

კულად იტყვის იგივე: „განძლეს ჭამადითა და დაუტევეს ნეშტი ყრმათა მათთა“. ამას მათ ზედა იტყვს, ოდეს ქრისტემან მეუფჴმან ხუთი ათასნი მამაკაცნი ხუთითა პურითა განაძღა და ნეშტი იგი დაუტევეს ყრმათა მათ-თა, რომელ არს ნამუსრევი მათგან დანეშტებული ათორმეტი გოდორი და აღიკიდეს ათორმეტთავე მოციქულთა, რომელ არიან ყრმანი მათნი, რამეთუ შვილნი ჰურიათანი არიან წმიდანი მოციქულნი და არავინ დაშთა ათორმეტ-თა მათგანი, რომელნიცა არა იტვირ(62v)თა სავსე გოდორი, არცა პეტრე და ანდრია, არცა იაკობ და იოანე, ეგრეთვე მთავრად დადგინებაცა ყოველისა სოფლისა ზოგად განიყუჴს და არა სადა მოესწავა წინასწარმეტყუელთაგან, თუმცა ანუ მთავრობაჲ ერთმან სხუათა ზედა მეტი მიიღო, ანუ ნამუსრევითა გოდორი ერთმან ნაკლები იტვრთა.

ეგეთვე მოსეს მიერ მოესწავნეს ათორმეტთა მათ მოციქულთათჴს და სხუათა მათ სამეოცდაათათათჴს, რაჴამს იგი წარმოიყვანა ზღვით მენამუ-ლით ძენი ისრაჴლისანი და მოიყვანა სელიმად და მუნ იყო ათორმეტი წყარო წყლისა და სამეოცდაათი ხე დანაკის კუდისა, რომელნი იყუნეს ჭემმარიტი სახენი წმიდათა მოციქულთანი და არა სადა ითქუნა ღმრთაებაჲ მათ შორის უდიდეს უმცირესობაჲ.

ეგრეთვე ელიას მიერ მოესწავა, რაჴამს იგი დარღუჴული საკურთხეველი განკურნა ათორმეტთა ლოდთა მიერ შესანიწავად მსხუჴრპლისა. ესეცა ჭემ-მარიტი მოსწავებე იყო ათორმეტთა მოციქულთა და არცა აქა ჩანს ლოდნი იგი ერთი რომელიმე მეტყოფილი მეორესა ზედა.

კულად მოსეს მიერი იგი ათორმეტი წყარო ერთისა კლდისაგან გამოს-რული, რამეთუ კლდე იგი იყო (63r) ქრისტე, ვითარცა სთარგმნის მოცი-

ქული პავლე, ხოლო ათორმეტი იგი წყარონი მისგან გამოსრულნი წმიდანი მოციქულნი იყვნეს და არა სადა წერილ არს, თუმცა ერთი წყარო მეორესა ზედა უდიდესი, არამედ ათორმეტნივე სწორად გამოეცნეს კლდისა მისგან, ეგრეთვე ქრისტესგან ათორმეტი მოციქულნი.

ეგრეთვე ახალსა ამას აღთქმასა შინა ხილვა იგი იოანე ღმრთისმეტყველისა მოიხსენე, რაჟამს იხილა ზეცისა იგი იჭრუსალიმი და ზღუდეთა მისთათს იტყვის: „და ზღუდესა მის ქალაქსასა აქუნდეს ათორმეტი საფუძველნი და მათ ზედა ათორმეტი სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა კრავისათანი“ (გამოცხადება 21,14). და არცა აქა იპოების უდიდეს-უმცირესობაჲ, არცა უაღრეს-უდარესობაჲ, რამეთუ საფუძველნი იგი ერთი მეორესა არა მეტობდა, რომელთა ეწერა სახელნი ათორმეტთა მოციქულთანი, არამედ სწორ იყუნეს საზომითა.

კუალად წერილ არს მის მიერვე: „და მდინარისა მის ამიერ წიაღსავალ ხე ცხოვრებისა ნაყოფისა გამომღებელი ათორმეტთა ნაყოფთა, ყოველთა თუჴთა მომცემელი თვისისა მის ნაყოფისა და ფურცელნი იგი მის ხისანი საკურნებლად წარმართთა“ (გამოცხადება 23,2). ესეცა იხილე, თუ სადა ჩანს დიდებულება ერთი მეორესა ზედა, რამეთუ სწორისა ნაყოფისა მიმცემი იყო ხე ი(63V)გი ცხოვრებისა ათორმეტთა თუჴთა შინა თითოსა ნაყოფისა, რამეთუ ესენი ყოველნი ჭეშმარიტნი და ცხადნი მოსწავებანი ათორმეტთა მოციქულთანი არიან და ყოველთა სწორებაჲსა და ერთობაჲსა ესე ყოველნი გამოაჩინებენ.

და კუალად იხილე ცხადიცა ესე და ხილული მზე ვითარ ვალს მარადის ათორმეტთა ეტლთა ზედა, რამეთუ წელიწადსა შინა თვითეულსა თუჴთა შინა თითოსა ეტლსა ზედა აღვალს და ეგრეთვე მოვლის სიმრგულესა ცისასა, ეგრეთვე საცნაური იგი მზე უხილავთა მათთს გულისწმაჲ-ყავ და უკეთუ გამოეძიებდე, მრავალი ესევეთარი სახე გეპოოს საღმრთოთა წერილთა შინა წმიდათა ათორმეტთა მოციქულთათს, ვითარმედ სწორნი არიან და ერთპატივნი და არა არს ერთი მეორესა ზედა მთავრად, არცა მისცემიეს ქრისტეს მიერ ჴელმწიფებაჲ ერთი ერთისა ზედა და მთავრობა, არამედ ძმობა და ერთობა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: „თქუნე ყოველნი ძმანი ხართ“ და კუალად იტყვს, ვითარმედ: „რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი“. და სხუანი ყოველი, რაჲცა იგი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა მათისა ერთობისათს, ეგრეთ გვრწმენეს და ვადიდებდეთ განმადლიერებელსა მათსა მეუფჴსა, ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, თანა მამით და სული წმიდითურთ.

## XII თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“.

(64r) მერმე ეტყვის უფალი პეტრეს, ვითარმედ: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.“ კუალად ამის უმეტესად მოიღებენ<sup>9</sup> მიზეზად ცუდმეტყულობისა მათისა, წინა აღგვიდგებიან და იტყვიან, პეტრე მოციქული არს იგი კლდე და ეკლესია მას ზედა აღშენებული არსო. ხოლო ესე არა არს საკვირველ, რათა ჩუენ წინააღგვიდგენ, რამეთუ თვთ ქრისტეს მიმართ წინააღმდგომ არიან კლდისა მის ცხოვრებისა და ლოდისა რჩეულისა, რომელი იქმნა თავსაკიდურ, რომელი მოასწავა დავით პირველად და ან ქრისტე სახარებისა იგავისა მიერ განაცხადებს და იტყვის: „ლოდი, რომელ შეურაცხევს მაშენებელთა მისთა, ესე იქმნა თავსაკიდურ და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა შეიმუსროს და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი (ლუკა 20,17), სიტყვასა ამასცა ქრისტე ბრძანებს: „ცანი და ქუეყანა წარჯდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა სადა წარჯდენ“ (ლუკა 21,33) და ჭემმარიტად უადვილეს არს (მარკოზი 23, 31) ცისა და ქუეყანისა წარჯდომა, ვიდრელა იოტა ერთი, გინა ბენვი ერთი შჯულისაგან, გინა წინასწარმეტყუელთა წარჯდომად“ და უმეტესლა სიტყვა სახარებისა სიტყვისაებრ მოციქულისა: „ძმანო, არა ეგებოდა, რათამცა დავარდა სიტყვა დვთისაჲ (მათე 5,18).

რამეთუ ჰურიანი ეკუჭთენს რაჲ კლდესა რა ცხოვრებისასა და შეიმუსრნეს და მოისპნეს, ვითარცა ბრძანა, ვითარმედ, „რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა შეიმუსროს.“ (64v) ხოლო ან ლათინნი წინააღუდგებიან ბრძანებათა მისთა და თვთ პეტრეს უწმობენ კლდედ და მის გამო ყოველთა პაპათა და არა დასცხრებიან წინააღმდგომად, ვიდრემდის დაეცეს მათ ზედა ლოდი იგი რჩეული და მით განანქრიოს იგინი, რომელი ქუემორე სიტყვაჲ მან განაცხადოს, რომელსა იგი მათთვის მოასწავებს ღმრთისმეტყუელი იოანე გამოცხადებასა შინა, ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ: „რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს“, ესე ჰურიათათვს თქმულ არს: „ხოლო რომელსა ზედა დაეცეს იგი, განანქრიოს“. ესე ყოველი პაპის მოსავთა ზედა თქმულ არს, რამეთუ პეტრეს უბრძანა რაჲ ქრისტემან: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო“. არა ხოლო თუ პეტრეს ზედა აღიშენა ეკლესია თვისი ქრისტემან, არცა პავლეს ზედა, არცა იაკობს და იოანეს ზედა, არამედ თვთ თავსა ზედა თვსა აღაშენა ეკლესია თვისი ქრისტემან და იგი თავადი არს კლდე ცხოვრებისა და ლოდი რჩეული და იგი თავ ექმნა ეკლესიასა თვისსა, რამეთუ სიტყვა იგი, რომელ თქუაჲ პეტრე: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“, ამას ზედა არს აღშენებული ეკლესია, რამეთუ ქრისტემან არა ჰრქუაჲ პეტრეს თ(65r)უ: შენ ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, არამედ ამას აღ-

<sup>9</sup> ხელნაწერში მოსდევს და გადაშლილია „უმეტესად“

ვაშენო ეკლესია ჩემიო, ამას აღსარებისა კლდესა ზედა, რომელ არს იესუ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, ამას ზედა არს აღშენებული, ვითარცა ვთქუ და სხვანიცა ღვთისმეტყუელნი ესრეთ იტყვიან და იგი თავადი არს კლდე ცხოვრების, ვითარცა ჰრქუა და ან კუალად ვიტყვი, იგი არს კლდე ცხოვრებისა და ლოდი პატიოსანი და თავსაკიდური და არა თუ სხუად ვინმე და არცა პეტრე. ისმინეთ ჩუენი და თვით მის წმიდისა პეტრეს მიერ დაუყო პირი მათი ამოსა მეტყუელი, რომელსა იგინი კლდედ უწმობენ, ვითარმედ ქრისტე არს კლდე იგი და არა პეტრე და უკეთუ მისგანცა არა შეიკდიმონ, მერმე ჭური იგი რჩეული წარმოუყენო, ნუთუ მისგან ოდენ შეიკდიმონ და ჩუენ თანა აღიარონ ჭეშმარიტებად.

ისმინეთ პეტრესი, რაჟსა ეტყვის ჰურიათა: „ვითარმედ ესე არს ლოდი იგი, რომელ შეურაცხ იქმნა თქვენ მიერ მაშენებელთა, რომელი იქმნა თავსაკიდურ და არა ვინ არს სხვით ცხოვრებად და არცალა არს სხუად სახელი ცა(65v)სა ქუშშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ იყო ცხოვრება ჩუენდა“. ან სადა ჩანს პეტრეს კლდეობა, რაჟსათვს არა თქუად ესრეთ, მე მიბრძანა ქრისტემან კლდეობა და მე ვარ ლოდიო? ანუ რაისათვის იტყვიან აწინდელნი პაპები: „ზეცას ღმერთი არს და ქუწყანასა ზედა ჩუენ ვართ, ეკლესიისა თავნიო“.

კუალად მისივე, პეტრესი, ისმინეთ, რაჟსა დასწერს კათოლიკეთა შინა და იტყვის: „უკეთუ გემო გიხილავს, რამეთუ ტკბილ არს უფალი, რომელსა იგი მოუწყედით ლოდსა ცხოველსა, რომელი-იგი კაცთაგან შეურაცხ იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან და თქვენცა, ვითარცა ლოდნი რჩეულნი აღეშენებოდეთ სახლად სულიერად სამღდელოდ წმიდად. შესანიშნავად მსხუტრპლითა სულიერითა, სათნოთა ღმრთისათა იესუ ქრისტეს მიერ.

რამეთუ წერილ არს წიგნთა შინა: „აჰა, ესერა დავდებ სიონსა შინა ლოდსა საკიდურსა რჩეულსა, პატიოსანსა და რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არასადა ჰრცხუწნეს, თქვენდა უკუწ არს პატივი მორწმუნეთა მაგათ, ხოლო ურჩითათვის ლოდი, რომელ შეურაცხუწს (66r) მაშენებელთა, იგი იქმნა თავსაკიდურთა და ლოდ შებრკოლების და კლდე საცთურების, რომელი შებრკოლდებიან სიტყვასა მას ურჩებითა“ (I კათოლიკე პეტრესი 2,3), ჩანს აქა, რამეთუ ქრისტე არს ლოდი რჩეული და კლდე ცხოვრებისა სიტყვისა მისებრ წმინდისა პეტრესა და არა სხვა ვინმე და არცა პეტრე არს, არამედ სიტყვა იგი პეტრესი, რომელმან აღიარა ძედ ღვთისად ცხოველისა.

და ლოდ შებრკოლებისა და კლდე საცთურების აწინდელნი პაპები ჰრომისანი არიან, რომელნი პეტრეს გამო იქადიან და აცთუნებენ მრავალთა და შეაბრკოლებენ და თავსა თვისსა მეორედ ქრისტედ ქადაგებენ ყოველთა შორის და წინააღუდეგებიან კლდესა მას ცხოვრებისასა და ეკუეთებიან ლოდსა რჩეულსა, რომელი დადებულ იქმნა სიონს შინა, რომელ არს იერუსალჴიმი და არა ჰრომს შინა, რომელი წინასწარმეტყუელმან მოასწავა და თვით წმიდამან პეტრე ესრეთ ქადაგა, ვითარმედ თვით კლდე იგი არს ქრისტე და არათუ

პეტრე და ან უკეთუ პეტრესი არა გესმისთ? ან მოვედით და წმიდისა მოციქულისა პავლესი ვისმინოთ: ნუუკუჲ პეტრე სათნოებისთჳს ქრისტესა თავსა თვისისა კლდეობაჲ ვერ ა(66v)ლიარა. ვჰკითხოთ უკუჲჲ ჭურსა მას რჩეულსა პავლეს, თუ ვინ არს კლდე, ანუ ვინ არს ლოდი იგი, ხოლო იგი მოგვიგებს ჳმამალად და არა დაჰფარავს და ესრეთ გვეტყვის: „უკეთუ კაცთა სათნო ვეყოფოდი, ქრისტეს მონამცა არა ვიყავო, ამისთვის ვიტყვი ჳმამალად და არა დავიდუმებ, რამეთუ არა მნებავს უმეცრებაჲ თქვენი, ძმანო, რამეთუ მამანი ჩვენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს და ყოველნი ზღვასა განჯედეს და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-ილეს ღრუბელითა მით და ზღვითა და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს და ყოველთა იგივე სასმელი სულიერი სუჲს, რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“ (I კორინთელთა 10,1). დადუმდინ ყოველი პირი მდიდრად მეტყუჲლი და დაიდევინ ჳელი პირსა ზედა, რამეთუ პავლე ქრისტესა უწოდს კლდედ და ართუ პეტრეს (I კორინთელთა 10,1).

ვითარცა იგი სხუაჲსაცა ადგილსა იტყვისა იგივე მოციქული, ვითარმედ: „ისრაელი სდევდა სჯულსა მას სიმართლისასა და სჯულსა მას სიმართლისასა ვერ მისწუთა, რაჲსთჳს მე? რამეთუ არა სარწმუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმითგან სჯულისათა, რამეთუ შებრკოლდეს ლოდსა მას შებრკოლებისასა, (67r) ვითარცა წერილ არს: აჰა, ესერა დავსებ სიონსა შინა ლოდსა შებრკოლებისასა და კლდესა საცთურებისასა და ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი არასადა ჰრცხუჲნეს“ (ჰრომაელთა 9,31). ამით ჩანს, რამეთუ ქრისტე არს კლდე იგი და არა პეტრე, რომელსა ეკუჲთნეს ჰურიანი და შეიმუსრნეს. რომლისა მოასწავა ესაია წინასწარმეტყუელმან დადებაჲ სიონს შინა და არა დადებაჲ ჰრომს შინა.

კუალად იტყვის იგივე პავლე: „ამიერითგან უკუჲჲ არღარა ხართ თქუენ უცხო და მწირ, არამედ თანამოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისაჲ , აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთასა, რომლისა თავსაკიდურთა მისთა არს ქრისტე იესუ, რომლითა ყოველი შენებული და შენანევრებული ორძის ტაძრად წმინდად უფლისაჲ მიერ, რომელსა ზედა თქვენცა აღშენებულ ხართ სამკვდრებლად ღმრთისა სულიერთა“ (ეფესელთა 2,19).

კუალად იგივე მოციქული მიუწერს კორინთელთა, ვითარმედ: „ღმრთისა თანაშემწენი ვართ. ღმრთისა ნამუშაჲკენი, ღვთისა აღშენებულნი ხართ მადლითა მისითა, ღმრთისათა მოცემულითა ჩემდა, ვითარცა ბრძენმან ხუროთმოძღუარმან საფუძველი დავდევი, ხოლო სხუაჲ იგი აშენებდინ, ხოლო კაცად-კაცადი ეკრძალენ, ვითარძი აშენებდეს, რამეთუ საფუძველ (67v) სხუაჲ ვერვის ძალუც დადებად გარეშე მისა, რომელი იგი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე“.

ჭემმარიტ არს და უცილობელ, რამეთუ ქრისტე არს კლდე ცხოვრებისა და

ლოდი რჩეული, საფუძველი და საკიდური, დასაბამი და აღსასრული და არა სხუა ვინმე არა ანგელოზი, არცა მამშვიდებელი, არცალა კაცი, არამედ თავადი უფალი, ვითარცა იტყვის ესაია. წინასწარმეტყუელთაგან მრავალსახედ მოსწავებული და მოციქულთაგან ძედ ღმრთისად და თანასწორად მამისა აღსაარებული და ყოველთა მართლმადიდებელთა ეკლესიათა თავსაკიდურად ჩინებული და არა არს პაპა ჰრომისა მხოლოდ თავ ეკლესიასა, არცა საფუძველი, არამედ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, და იგი არს თავი ეკლესიისა, ვითარცა წერილ არს: „რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით და დასვა იგი მარჯვენით მისა ზეცათა შინა, უზეშთაჲს ყოველთა მთავრობათა და ჴელმწიფებათა და ძალთა და უფლებათა და ყოვლისავე სახელისა, რომელ სახელდებულ არს, არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა მას და ყოველივე დაამორჩილა ქუჭშე ფერჴთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიათა, რომელ-იგი არს გვამი მისი, აღვსებაჲ იგი (68r), რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო (ეფესელთა 1,20) და კუალად იტყვის: „რამეთუ ქმარი არს თავი ცოლისა, ვითარცა თავი არს ქრისტე ეკლესიისა და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისა“ (ეფესელთა 5,23).

ამით უწყით, ვითარმედ იგი თავადი არს თავი ეკლესიისა სიტყვისაებრ საღმრთოსა წერილთასა და ეკლესია არს გუამი მისი და ამის ეკლესიისა ასოდ განენესნეს ხუთნივე საპატრიაქონი და სხუანი ყოველნი ეფისკოპოზნი, ვითარცა დასწერს მოციქული პავლე: „რამეთუ გუამი იგი არა არს ერთ ასოჲ, არამედ მრავალ (I კორინთელთა 13,13), რამეთუ გუამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ, ვითარცა იგი გუამსა შინა შეწყობილებაჲ და შენანევრებაჲ ასოთა. რომელიმე თუალ არს, რომელიმე ყურ, რომელიმე ჴელ, რომელიმე პირ და რომელიმე საყნოსელ. ხუთთა ამათ საგრძნობელთაებრ ხუთნი პატრიაქნი განენესნეს და სხუანი საეპისკოპოზონი სხუათა ასოთაებრ, რომლისა თავ არს ქრისტე იესუ სიტყვისაებრ მოციქულისა. ან ესერა დასხნა ღმერთმან ასონი იგი თითოეულად გუამსა მას შინა, ვითარცა ინებაჲ: „ხოლო უკეთუმცა იყო ყოველი ერთ ასო, სადამცა იყო გუამი იგი, ხოლო ან მრავალ არს ასოები და ერთი გუამი“ (I კორინთელთა 13,18), რომელ არს ეკლესია მართლმადიდებელთა და თავ მისა არს ქრისტე და არა პაპა, ვითარცა ვიტყოდეთ, ხოლო პაპა იტყვის, მე (68v) ვარ თავი ყოვლისა ეკლესიისაო. ესე იქმნების, ღმრთისმოყვარენო, რათამცა ერთსა გუამსა ორი თავი აქუნდა, ვითარმცა ხილულისა ეკლესიისა თავი პაპი იყოს და უხილავისა ქრისტე. ზეცას ქრისტე იყოს ღმრთაებად და ქუეყანასა ზედა პაპა და არა უფროისლა ქრისტე: „რამეთუ ქრისტე არს მშვიდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე იგი ერთად სიტყვისაებრ პავლესა, და შუა კედელი ზღუდისა მის, დაჴსნა მტერობაჲ იგი ჴორცითა მისითა, სჯული იგი მცნებათა მით ბრძანებით განაქარვა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად ყოფად მშვიდობისა და დააგნეს ორნივე იგი ერთითა მით ჴორცითა ღმერთსა“ (ეფესელთა 2,14).

და თვით თავადისა იგი ბრძანებაჲ გესმისთ, ვითარმედ: „მომეცა მე ყოველი ჯელმნიფებაჲ ცათა შინა და ქუჭყანასა ზედა (მათე 28,13) ჩანს უჭყუელად, რამეთუ ქრისტე არს ჯელმნიფე ცათა და ქუჭყანისა და არა პაპა ჰრომისა და არცა არს ესე სჯულისდება პეტრესი, არცა პავლესი, არცა სხუათა მათ მოციქულთა, რამცა თავთა თვსთა ქადაგებდეს და არა ქრისტესა, ჩუენ ვართ საფუძველნი და თავნი ეკლესიათანი და არა იესო ქრისტე, ძე ღვთისაჲ.

ვითარცა იტყვს პავლე და ერთჴმად არიან სხუაინცა მოციქულნი მისთანა და ესრეთ ჴმოებენ: (69r) „რამეთუ არათუ თავთა თვსთა ვქადაგებთ, არამედ უფალსა იესოს, ხოლო თავთა ჩუენთა მონად თქვენდა იესუ ქრისტესთვის“ (III კორინთელთა 4,5), ხოლო პაპა ჰრომისა ყოველსა შინა სოფელსა ქადაგებს თავსა თვისსა მეორედ ქრისტედ და თავად ეკლესიასა და მოწაფენი მისნი და ყოველნი მოსავენი მისნი ამისვე მქადაგებელ არიან, რათა ყოველსა სოფელსა არწმუნონ პაპის ღმრთად აღსარება და შეაცთუნონ ყოველი კაცი, რამეთუ თავით თვალთ მხილველნი მოციქულნი არარად იტყვენ თავთა თვისთა, არამედ მონად ქრისტესისა და მსახურად.

ვითარცა კუალად იტყვს პავლე კორინთელთა მიმართ: „რამეთუ რაჴამს ვინმე იტყოდის, ვითარმედ მე პავლესი ვარ და სხუად იტყოდის მე აპოლოსი ვარ, არა ჴორციელივე ხართ? რამეთუ რაჲ არს პავლე ანუ რა არს აპოლოჲ, არამედ მსახურნი რომელთაგან თქვენ გრწმენა და კაცად-კაცადსა, ვითარცა უფალმან მისცა, მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო უფალმან აღაორძინა, ან უკუჴ არცა დამსხმელი რაჲ არს, არცა მომრწყუჭლი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი, ხოლო დამსხმელი იგი და მომრწყუჭლი ერთ არიან და კაცად-კაცადმან თვისი სასყიდელი მიიღოს თვისისაებრ ჰრომისა“.

აქა სადღა ჩანს უაღრეს-უღარესობაჲ, ანუ პავლესი, ანუ პეტრესი, გინა სხუათა მათ მოციქულთა. ან რომელი პეტრეს გამო იქადიან და ღმერთ ყოფენ პაპასა ჰრომისასა, პეტრე მოციქულისცა შეურაცხისყოფელ არიან და სხუათა მ(69v)ათცა მოციქულთა მაგინებელ ექმნებიან და ღმრთისა წინააღმდეგომ არიან.

რამეთუ იტყვის უფალი მოსე წინასწარმეტყუელისა მიერ: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არავინ არს სხუად ღმერთი ჩემსა გარეშე. მე მოვაკუდინი და ვაცხოვნი და ვიცი და განვკურნი“ და ან ვითარ არა წინააღმდეგომ არიან უფლისაჲ აწინდელი პაპები, იგი ბრძანებს: „მე ვარ და სხვაჲ არავინ არს ღმერთი ჩემსა გარეშე“. პაპა ბრძანებს, ქვეყნიერი ღმერთი მე ვარო.

ქრისტე ბრძანებს სახარებისა იგავისა მიერ: „მე ვარ ლოდი თავსაკიდურთა“, ხოლო პეტრე ქადაგებს, ქრისტესა ლოდად ცხოველად და პავლე იტყვს: „ხოლო კლდე იყო იგი ქრისტე“ და დავით მოასწავებს: „ლოდი, რომელ შურაცხყუჭს მშენებლთა მისთა, ესე იქმნა თავსაკიდურთა“ და დანიელ იხილა მთისაგან უჯელოდ გამოკუჭთილი ლოდი, რომელმან შეჴმუსრნა ყოველნი აღმალლებულნი მეცნიერებასა ზედა ღვთისასა და ესაია მოასწავებს სიონს შინა და დადებასა ლოდსა პატიოსანსა და კლდესა ცხოვრებისასა.

ხოლო პაპა ჰრომისა იტყვს პეტრეს გამო: „მე ვარ კლდე და მე ვარ ლოდი, თავსაკიდურთაო“. იხილეთ, იხილეთ, ღვთის მოყვარენო, ესევეთარი წინააღმდეგობა ღმრთისა და მოციქულთა შეურაცხებად და წინასწარმეტყველთა სჯულისდებისა დაწსნა და ესრეთ ვსთქეთ: „უფალი ამპარტავანთა შეჰმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცეს მადლი“.

**(70r) XIII თაჲი. სიტყჳსა მისთჳს, რაჟამს ჰქუა პეტრას: „მომცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განიყსნა ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა“**

ჭემმარიტ არს ბრძანება იგი უფლისა და უცვალებელ და რაოდენნი<sup>10</sup> ბრძანა და რაოდენნი აღთქმულნი და ნეტარებანი აღუთქუა მონაფეთა თჳსთა და მათ მიერ ყოველთა მორწმუნეთა არა იცვალების, არამედ უტყუვლ არს აღთქმათა შინა მისთა, არა მხოლო პეტრეს ზედა, არცა მხოლო სხუაფთა ზედა მათ მოციქულთა, არამედ ყოველთა მოშიშთა მისთა ზედა და მოყვარეთა სახელისა მისისათა, ხოლო სიტყუა იგი: თუ „მიგცე შენ კლიტენი სასუფევლისანი“, ესე ყოველთა უწყით და არავინ არს ამისი მაცილობელი, ვითარმედ სასუფეველსა ცათასა არცა კლიტე აქუს, არცა მოქლონი, არცაღა რამცა კლიტენი მისნი მიეთვალნეს ვისთჳსმე. არამედ კლიტენი და მოქლონნი და კარნი სასუფევლისანი იესუს ქრისტეს ღმრთად აღსარებად არს, ვითარცა თავადი ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ კარი. ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვრდეს“ (იოანე 10,20). ჭემმარიტად იგი არს გზა და იგი არს ჭემმარიტებად, იგი არს კარი და კლიტე სასუფევლისა, რომელი გუჭქმნა გზა ცხოვრებისა და კარ სასუფევლისა, რაჟამს გამოგვიცხადა ღმრთაებად თჳსი და გუაცნობად დაუსაბამო მამა თჳსი და თანასწორებად თჳსი მამისა და სულისა წმიდისა თანა ე(70v)სე არს კლიტე იგი სასუფევლისა, რომელი პეტრეს არწმუნა, რაჟამს იგი ჰრქუა პეტრე: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა“, არა ხოლო თუ მარტო პეტრეს ჰკითხად უფალმან: „თქვენ ვინ გგონიე მე, ყოფად, ვინ ვარ მე?“ არამედ ათორმეტთავე ზოგად ჰკითხა, ვითარცა წერილ არს: „ჰრქუად იესუ მონაფეთა თვისთა: თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად, ვინ ვარ მე? ხოლო პეტრე ყოველთა მიერ მიუგო და ყოველთა იგი ექმნა პირ და ენად და თქუა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა!“ მაშინ უბრძანა: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და მიგცე შენ კლიტენი სასუფევლისანი და შემდგომი“, ვითარცა იგი ზოგად ჰკითხა, ეგრეთვე ზოგად მისცა ესე ჴელმწიფებად, არათუ ესე, არამედ ყოველნი აღთქმანი და ნეტარებანი, ზოგად უბრძანა ყოველთა, ვითარცა ზემოცა უვრცელესად ვიტყოდეთ და უკეთუ<sup>11</sup> მეორედ მოსლვასა

<sup>10</sup> ხელნაწერში აღნიშნულია „რაოდენნი“

<sup>11</sup> ხელნაწერში გადაშლილია „უვრცელ და უკეთუ“



მას დიდებულსა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისა საყდართა ზედა დიდებისათა. ათორმეტთავე ზოგად უბრძანა დასხდომა განსჯად ათორმეტთა ტომთა ძეთა იჭრუსალიმისათა, სხუათა ნეტარებათა და აღთქმათათს არლა საჭირო არს თქმა, თუ ვითარ სწორედ მისცა ყოველივე, რაცა იგი მისცა, ხოლო მიცემა იგი კლიტეთა სასუფეველისათა მისისა ღმრთაების ცნება და აღსარება იყო რაჟამს ძედ ღმრთისად აღიარა და ჭეშმარიტად იგი არს კლიტე და კა(71r)რი სასუფეველისა, ვითარცა იგი ეტყოდა, უფალი ჰურიათა და მნიგნობართა და აყუჭდრებდა ესრეთ, ვაჲ თქვენდა მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაწმავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქვენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად“. ხოლო კუალად ლუკა ესრეთ იტყვის: „ვაჲ თქვენდა სჯულისმოძღვარნო, რამეთუ დამალენით კლიტენი მეცნიერები-სანი, თქვენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა აყენებთ“ (ლუკა 11,52). იხილეთ, რამეთუ კლიტენი და კარნი სასუფეველისა ქრისტეს ღმრთაებაჲ არს პირველად წინასწარმეტყუელთაგან მოსწავებული და მოციქულთაგან ქადაგებული. ესე კლიტე იყო, რომელი დამალნეს მნიგნობართა და სჯულისმოძღუართა, ხოლო მოუხუნა იგი ქრისტემან და მისცნა იგინი უნიგნოთა მოციქულთა. ისმინე, თუ ვითარ დამალნეს მნიგნობართა და თუ ვითარ გამოაცხადეს უნიგნოთა მო-ციქულთა და ყოველივე გაუნყო, რამეთუ წინასწარმეტყუელი მრავალსახედ და მრავალგუარად მოასწავებდეს ღმრთისა გარდამოსლვასა და ჯორცთა შესხმასა, ხოლო მნიგნობარნი და ფარისეველნი სამარადისოდ აღმოიკითხ-ვიდეს და არა გულისწმაჲ ჰყოფდეს და სხუათაცა უმაღვიდეს, ვითარცა იგი ჰეროდესთს წერილ არს, რაჟამს იგი მოვიდეს, მოგვნი ვარსკულავისა წინ-ამოძღვრებითა იჭრუსალიმად და ეძიებდეს შობილსა მას მეუფჴსა: „ხოლო ჰეროდე შეკრი(71v)ბნა მღდელთმოძღუარნი და მნიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან – სადა უკუჴ შობად არს ქრისტე? ხოლო მათ ჰქუეს მას: – ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინასწარმეტყველისა მიერ და შენ, ქუჴყანა ეგე იუდასი, არასადა უმრწემეს ხარ მრავალთა შო-რის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან დამწყოს ერნი ჩუჴნი ისრაჴლი“ (მათე 2,3). ესე წინასწარმეტყუელებაჲ მიქიას მიერ ითქვა, რამეთუ ესე ოდენ აუნყეს ჰეროდეს და სხუაჲ იგი დაიდუმეს, ხოლო რაჲ იყო დადუმებული იგი, რომელი არა აუნყეს ჰეროდეს, არამედ ესე ვი-თარმედ: „ხოლო გამოსავალნი მისნი დღითგან საუკუნეთა“, ესე ხოლო დამ-ალნეს და ესე იყო კლიტე სასუფეველისა, რომელსა შინა არცა თვთ შევიდეს და სხუედცა აყენებდეს, ეგრეთვე იერემიაცა მოასწავებდა და იტყოდა: „ესე არს ღმერთი ჩუენი და არა ესწოროს მას სხუაჲ ღმერთი“. ამის შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდეს და კაცთა შორის იქცეოდის და ესაია იტყვის: „აჴა, ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ევ-მანუელ, რომელ არს ჩუენ თანა ღმერთი“. ესე და უმრავლესი ამისა მრავალ-სახედ მოსწავებულ არს წინასწარმეტყუელთაგან. ესე იყო კლიტე სასუფევე-

ლისა და ამას უმაღვიდეს ერთა, ვითარცა იგი პავლეცა აყუჭდრებს ჰურიათა და ეტყვის, ვითარმედ: „რამეთუ რომელნი იგი მკვდარ არიან იწრუსალემს შინა და მთავარნი იგი მათნი ამას უმეცარ იქმნეს და ჳმათა მათ (72r) წინასწარმეტყუელთასა, რომელნი იგი ყოველთა შაბათთა აღმოიკითხვიდეს. საჯეს და აღასრულეს და არცა ერთი ბრალი სიკუდილისა უპოვნეს“ (საქმე 13,27), რამეთუ ყოველთა შაბათთა სჯულისა და წინასწარმეტყუელთა აღმოიკითხვიდეს, რომელნი ცხადად მოასწავებდეს ქრისტეს გამოჩინებასა და ღმრთაებასა, ხოლო იგინი არა გულისწმა-ჰყოფდეს და სხუთცა უმაღვიდეს, ამისთვის აყუჭდრებს უფალი და ეტყვის: „ვაჲ თქვენდა, სჯულისმოძღვარნო, რამეთუ დამალენით კლიტენი მეცნიერებისანი, თქვენ შე-არ-ხუალთ და შემავალთ აყენებთ“, რამეთუ იგი არს კლიტე სასუფევლისა, ვითარცა ვთქუ, რომელთა ძედ ღმრთისაჲ და ღმრთად ჭეშმარიტად ჰრწამს იესუ ქრისტე და მცნებათა მისთა იმარხვის, სიტყვისაებრ საუფლოსა, რომელ თქუა უფალმან: „ესე არს ცხოვრებაჲ, რაჲთა გიცოდინ შენ მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე“ (იოანე 17,3) და კუალად ბრძანებს: „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრება, არამედ რისხუა ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა“ (იოანე 3,36), ამისი მეცნიერებაჲ და ამისი ჭეშმარიტი<sup>12</sup> ზედამინევნით ცნობა მისცა უფალმან ჰურიათა და ამისი კლიტე არწმუნა, რაჲთა მომავალი იგი ჰრწმენეს ძედ ღმრთისაჲ და ღმრთად ჭეშმარიტად, ხოლო მათ დამალნეს კლიტენი იგი მეცნიერებისანი, არცა თვთ შევიდეს და არცა სხუანი უტევნეს შესვლა.

ხოლო მოუხვნა უფალმან კლიტენი იგი მნიგნობართა და სჯულის მოძღვართა და მი(72v)სცა იგინი უნიგნოთა და უმეცართა მოციქულთა, ხოლო +მათ არღარა დამალნეს და არცა დაიდუმეს, არამედ ჳმამალად ქადაგნეს და ყოველსა სოფელსა არწმუნეს ღმრთაებაჲ მისი.

პეტრე ჳმობს: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ ცხოველისა“, პავლე ღალადებს: „ღმერთი გამოჩნდა ჳორცითა და განმრთელდა სულითა, უჩუწნა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის“, მერმე იტყვის: „რაჲთა მოველოდით გამოჩინებასა დიდისა ღმრთისა და მაცხორისა ჩუწნისა იესუსა ქრისტესა ჩვენისა“.

იოანე ღალადებს: „პირველთაგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისაჲ თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“.

ხოლო თომა, რაჟამს იხილა ნელულებაჲ იგი საუფლო, ჳმაჲ-ყო „შენ ხარ უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. ეგრეთვე წმიდა სტეფანე იქოლებოდა, რაჲთა ბილწთა ჰურიათაგან ახედნა ცად და იხილნა ცანი განხმულნი და თქუა: „აჳა, ესერა ვხედავ ცათა განხმულთა და ძესა კაცისასა მარჯუწნით ღმრთისაჲ მდგომარესა“.

კუალად იაკობ, ძმა უფლისაჲ, აღიყუანესა სიმაღლესა ტაძრისასა მნიგნო-

<sup>12</sup> ფრჩხილებში მითითებულია „ცხოვრებაჲ“

ბართა და სჯულის მოძღუართა და ეტყოდეს: „თქუ, რაჲთა ყოველთა ესმეს შენგან, ვითარმედ რაჲ არს კარი ღმრთისაჲ და ვითარ ჯერ არს აღსარებაჲ იესოსი“. ეგონა ჰურიათა, ვითარმედ ნებისაებრ მათისა იტყოდის, ხოლო მან არა დამალა მსგავსად მათისა კლიტენი მეცნიერებისანი, არამედ ჳმად მალლად ღალადყო: „იესო ქრისტე არს (73r) ძე ღმრთისაჲ, რომელი ზის მარჯუჳნით მამისა და ეგულვების განკითხვასა სოფლისა სიმართლით“. მაშინ გარდამოაგდეს სიმალლისა მისგან და მოკლეს. ესე იყო კლიტე და ესე იყო კარი სასუფევლისა და არათუ სხვაჲ რაჲმე. და ამით განახუნეს კარნი სასუფევლისანი. ესევეითარი კლიტე მისცა პეტრეს და სხუათა მათ მოციქულთა, რამეთუ არა ხოლო თუ მარტო პეტრე აღიარებდა ძედ ღმრთისაჲ იესო ქრისტესა და სხუად უარყოფდეს, არამედ ზოგად ყოველნი აღიარებდეს ძედ ღმრთისაჲ თანასწორად მამისა. ამისთვისცა ზოგად მიიღეს ესე ჳელმნიფებაჲ, რაჲთა რომელთა შეკრვიდენ ქუჳყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელსა განჳსნიდენ ქუჳყანასა ზედა, ჳსნილ იყოს ცათა შინა.

ეგრეთვე კლიტენი იგი სასუფევლისანი, რომელ არს მეცნიერებაჲ ქრისტეს ღმრთაებისა, ვითარცა პეტრეს არწმუნა, ეგრეთვე სხუათა მათცა მოციქულთა ჳელთ-უდვა.

ამის უჳჭუჳლობაჲ სტეფანემ გარწმუნოს და იაკობ, ძმამან უფლისამან, ვითარ ამათ ღმრთად აღსარებითა იესუსისაჲ ქრისტესითა განახუნეს ცანი და იხილეს მარჯულ მამისა იესუ ქრისტე და სხუათა მოციქულთათჳს ნულარას იჭუჳულ ხარ, ვითარმედ მათცა ჳელთა აქუს კლიტენი სასუფევლისანი და ვისცა არწმუნეს იესუ ქრისტეს ღმრთად აღსარებაჲ და მცნებაჲთა მისთა დამარხვა მათ ყოველთათჳს განახუნეს შესვლანი ცათა და მუნ აღიყუანნეს მორ(73v)წმუნენი ქრისტესი.

ესე არს კლიტე სასუფევლისა და ესე არს კარი ცხოვრებისა და სხუად არარაჲ არს და არცა მისცემიეს ჳელმნიფებაჲ ესე მარტოჲ პეტრეს, არამედ სხუადთა მოციქულთაცა, არცა მარტოჲ ჰრომისა პაპებსა, არამედ ყოველთა მართლმადიდებელობით ცხოვრებულთა პატრიაქთა და ეფისკოპოზთა ზედა არს ბრძანებაჲ ესე შეკრვისა და განჳსნისა, რამეთუ არა არს თვალღებაჲ ღმრთისაჲ თანა, არცა არს ბრძანებაჲ მისი და აღთქმა მისი ერთსა და ორსა ზედა, არცა ათსა და ასსა ზედა, გინა თუ ათასსა, არამედ ყოველთა მორწმუნეთა და მოშიშთა სახელისა მისისათა მიწევის ბრძანებაჲ ესე და მტკიცე არს და უცვალებელ აღთქმანი და ნეტარებაჲ მისნი, ვითრცა იგი თომას ეტყოდა: „რამეთუ მიხილე და გრწამ, არამედ ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწამ“. და კუალად ბრძანებს: „არა ხოლო ამათჳს ვკითხავ, არამედ ყოველთავე, რომელთა ჳრწმენეს სიტყვითა მათითა ჩემდა მომართ, რაჲთა ყოველნი ერთ იყუნენ“ და ესრეთ ყოველნი აღთქმანი და ბრძნებანი მისნი უტყუჳლ არიან და ჳქემარიტებაჲ მისნი ჳგიეს უკუნისამდე.

## XIV თავი. განსაზღვრისათვის თამული, რომელსა იტყვან მოსაჴნი პაპისანი

ერთი ესე არს მათ შორის წვალება შემოღებული მასვე სრულიად წვალებისა მის ოროგინესა, რომელი იტყოდა ა(74r)მასცა სხუათა მრავალთა წვალებათა თანა და გმობათა, ვითარმედ დასასრული იქმნების სატანჯველისაო და ეშმაკნიცალა აღვლენ პირველსა პატივსაო, ეგრეთვე ცოდვილნი შევლენ და რავდენსაცა ჟამსა აქა უცოდავსთ, ეგეოდენსა ჟამსა მუნ იტანჯებინ და მერმე იგინიც გამოვლენო.

ეგრეთვე ესენი აღიარებენ და იტყვიან, ვითარმედ საუკუნო ჯოჯოხეთი სხუა არსო, რომელსა შინა შევლენ უნათლავნი და ურწმუნონი და ეგრეთვე ქრისტიანენი უალსარებონი და ცოდვათაგან მოუქცეველნი. მუნ შევლენ და არღარა იქმნების გამოჴსნა მათიო, ხოლო ერთი სხუა ადგილი არსო სატანჯველისა ცეცხლსა მას შინა ჯოჯოხეთისასა, რომელსა შინა ქრისტიანენი, რომელთაცა აღსარება უთქვამს და სინანული არა აღუსრულებიეს, იგინი შევლენ მას შინა ჟამად, რავდენმე იტანჯებიან და მერმე განწმედილნი გამოვლენო. და უფროსლა ჯერ არს ჭეშმარიტისა თქმა, ვითარ იტყვიან იგინი, უკეთუ არა იყუნენ მონმენი და სრულნი წმიდანო, იგინიცა მუნ შევლენ და სრულიად განწმედილნი გამოვლენო, ხოლო აქეთგან არარაჲ იქმნების მათთვის სარგებელი, არცა წირვითა, არცა ლოცვითა, არცაღა სხვითა ქუჭლისსაქმითა, ვიდრემდის მათთვის განჩინებულნი ჟამი მუნ არა აღასრულონ და მერმე განწმედილნი გამოვლენო.

ან ისმინეთ, ქრისტიანენო, და გულისჴმაჲ ყავთ, თუ რას (74v) ზრახვენ მეტყველნი იგი ამაოებისანი. ვკითხოთ მათ, თუ ვისგან მოუღიეს ესე სჯულისდებაჲ, ანუ ვისგან ისწავეს მოციქულთაგან ანუ წინასწარმეტყუელთაგან, გინათუ კრებათაგან, ანუთუ ღრთისმეტყუელთა და წმიდათა კაცთაგან. ნუ იყოფინ. ესე არა რომლისა სჯულისდებისაგან მოსცემიეს ესე, არამედ თვთ თქვეს ესე და თვით განწესნეს თვნიერ საღმრთოთა წერილთა და გარეშე მოძღვრებისაგან წმიდათასა, რამეთუ ოროგინე მწვალებელისაგან და პლატონ კერპთმსახურის წიგნისაგან მოიღეს წვალება ესე და ბრძანებითა პაპისათა დაამტკიცეს.

ხოლო ჩუენ წინა აღიდგებით სიცბილსა მათთა და არა შევიწყნარებთ ოროგინეს მწვალებელისა მოძღვრებასა, არცა კერპთმსახურისა პლატონის ელინურს სჯულისდებასა, არამედ მეთევზურთა და მეპრატაკეთა სჯულისდებასა შეუდგეთ და მასვე წმიდისა პავლე ტარსელისა სულელმეტყუჭლებასა მოვიჴსენებთ: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი გახარე თქუენ, შერუჴნებულ იყავნ, ვითარცა წინასწარ ვთქუ და ანცა ვიტყვი, უკეთუ ვიმნე გახარებდეს თქვენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ თქუენ, შერუენებულ იყავნ“ (გამოცხადება 1,8)

ვითარცა ვკითხვით მათ, ვისგან მოეცა ესე წესი, ანუ ვისგან ისწავეს, რამცა არღარა ელხინა ამიერ წარსულ(75r)თა სულთა ჯოჯოხეთს შინა წირ-ვითა და ლოცვითა და გლახაკთ მიცემითა, ანუ რომელი არს სხუა ჯოჯოხეთი, რომელსა შინა შევლენ პაპის მოსავნი და თვნიერ აქედგან მოწმარებისა ადრე განწმედლინი გამოვლენ.

ისმინეთ ამის ცუდმეტყულობისათვის, თუ რავდენნი მქონან სიტყვისგებნი და საყოფელად ამოებისა მზრახულთა პირთა მათთა საღმრთოთა წერილთაგან წამება, უკეთუ ისმინონ და შეიკდიმონ კეთილ და ფრიადცა კეთილ, ხოლო წერილთაგან წამებაჲ, უკეთუ არა ისმინონ და არცა გულისწმად-ყონ, ჩუწნ ოდენ განვეკრძალნეთ და ნუ მიუპყრობთ ყურთა ჩუწნთა ამოებისა მზრახველთა მათ.

პირველად ესე ვთქვით, ან რომელი მეგულების თქმად და მერმე შემდგომითი-შემდგომად სიტყვამან ყოველი დაფარული საძიებელი განაცხადოს.

კუალად ვკითხვით მათ, უკეთუ არა იქმნების ჯოჯოხეთით გამოწსნა, რომელსა თქვენ საუკუნედ ჯოჯოხეთად უხმობთ, ვითარ გამოიხსნა წმიდამან თეკლა ფალკონილთა, ასული ქურივისა მის კერპთმსახურისა და თვთ ქალიცა იგი კერპთმსახური, რომელმან შეინყნარა კეთილადცა თეკლა, რაჟამს იგი აწამებდეს იკონია ქალაქსა შინა, რამეთუ მას ოდენ ჟამსა აღსრულებულ იყო ქალი იგი კერპთმსახურებასა შინა და ამან ლოცვითა გამოიყვანა ჯოჯოხეთით, ეგრეთვე წმიდამან მონამემან გიორგი მღდელი იგი კერპთა ჯოჯოხეთით ლოცვით ვითარ გამოიყვანა?

ეგრეთვე წმიდამან დიდმან მაკარი ლოცვით ვითარ აღმოიყვანა მღდელი კერპთა ჯოჯოხეთით და წარმოუდგინა მათ ცოცხალი ჯორცით, რომელთა არა ჰრწ(75v)მენა აღდგომა მკუდართა? მასვე მამასა მაკარის, რაჟამს იგი სული შიშისა ებრძოდა, შევიდა ძუწლთა მეკერპეთა საფლავთა შინა და სამი წელი დაყო მას შინა, მერმე ოდეს განთავისუფლდა შიშისაგან, ენება რაჲ გამოსლვა, აღდგა ერთი მკვდართა მათგანი, უპყრა სამოსელსა მისსა და არა უტევებდა გამოსლვად და ეტყოდა: „ნუ განხუალ, წმიდაო მამაო, რამეთუ ოდეს შემოწუედ აქა, მიერიდგან დიდი ლხინებაჲ მოგუწცა ჯოჯოხეთსა შინა ლოცვითა შენითა“ და არა განუტევა იგი, ვიდრე ზეგარდამოსა ჯმისა მიერ დაიწსნა მკუდარი იგი და მუნვე მიიძინა, სადა იგი იყო მდებარე.

ეგრეთვე დიდმან გრიგოლი, პაპამან ჰრომისამან, რომელსა ეწოდა დიოლოლონი, დღესა ერთსა მი-რაჲ-ვიდოდა გზასა ზედა, მიიწია ადგილსა მას, რომელი შეემზადა უსჯულუსა მეფუწსა ტრაიანეს განსუწვნებულად მაშვრალთათვის, განისუწნა რაჲ მუნ წმიდამან გრიგოლი და ილოცა ტრაიანესთვის, დაიწსნა სული მისი ჯოჯოხეთით, რამეთუ იყო იგი კერპთმსახური და მრავალთა ქრისტიანეთა მომწყუწდელი.

უკეთუ არა იქმნების ლხინება და გამოწსნა ჯოჯოხეთით აქეთგან ლოცვითა და მოწმარებითა, ვითარ იწსნეს ესენი ჯოჯოხეთით, ანუ ვინ იყუნეს ამათ-

სა უმძვინარესა და უსასტიკესა სატანჯველსა შინა, რამეთუ ზოგნი ქრისტიანეთა მტანჯველნი მეუფჳნი იყუნეს და ზოგნი მღდელი კერპთანი და სხუანი კერპთმ(76r)სახურნი და ზოგად ყოველნი მეკერპენი და უღმრთონი? უკეთუ ესენი ლოცვითა წმიდათათა გამოიქსნნეს, რაჲ დიდ არს ანუ რაჲ საკვირველ, თუმცა აქეთგან ლოცვითა და მოწმარებითა ქრისტიანეთა სულნი იქსნეს ჯოჯოხეთით? და უკეთუ გერქუან, ვითარმედ იგი ზემოქსენებულნი დიდნი წმიდანი იყუნეს და საკურველნი მათგან არარა საკურველ არსო, ჩუენ მიუგოთ, უკეთუ იგი დიდნი წმინდანი იყუნეს, არამედ მათ მიერ გამოქსნილნ ჯოჯოხეთით დიდნი ცოდვილნი, უნათლავნი და კერპთმსახურნი იყუნეს. რაჲ დიდ არს, ანუ რასაკვირველ, რაჲთა ცოდვილისა ქრისტიანისთვის, რომელნი მართლმადიდებლობით აღესრულნეს, მართლმადიდებელმან მღდელმან შეწიროს მსხუტრპლი, ანუ თვისნი მიცვალებულთანი ქუტლის საქმითა გლახაკთა და ლოცვითა ევედრნენ ღმერთსა და მრავლითა მით მოწყალებითა მისითა იქსნნეს სულნი მათნი ჯოჯოხეთით განწესებისაებრ წმიდათა მამათასა.

რამეთუ ძუტლითგან არს ესე წესი მოცემული ეკლესიათა და წმიდათა მოციქულთა მიერ და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუტნთაგან, რაჲთა სატსენებელსა ჩუტნგან მიცვალებულთასა აღვასრულებდეთ, ვითარცა დასწერენ წმიდანი ღმრთისმეტყუტლნი: დიდი ბასილი, დიდი ათანასი, წმიდა იოანე ოქროპირი და წმიდა იოანე დამასკელი მიცვალებულთა საკითხავთა შინა, რაჲთა მართლმადიდებლობით მიცვალებულთათჳს ცოდვილნი იყუნენ, გინათუ მართალნი, სარწმუნოებით აღასრულებდენ ლოცვასა და ჟამისწირ(76v)ვასა და ძალისაებრ ქუტლის საქმესა და სახიერებითა მრავალმოწყალისა ღმრთისაჲთა იქმნების ლხინება ცოდვილისა ჯოჯოხეთსა შინა და გამოქსნა სატანჯველთაგან.

დაღაცათუ დიდი დიონოსი არეოპაგელი იტყჳს, ვითარმედ: უღმრთოთათჳს არა ჯერ არსო მსხუტრპლის შეწირვა. ესე არა თუ ქრისტიანისა ცოდვილისთჳს უთქვამს წმინდანსა მას, არამედ უნათლავთა და ურწმუნოთათჳს და ჩუტნც, ეგერეთვე ვიტყჳთ, ვითარმედ უღმრთოთა და უნათლავთათჳს არა იქმნების მსხუტრპლის შეწირვა, არამედ ჩუტნ ქრისტიანისა ნათელლებულისათჳს ვიტყჳთ, ვინადგან უძღურებაჲ კაცობრივი ზედა-აც და არავინ არს ბრალთაგან თავისუფალი, მათგან დაკლებული მათვე ჳორციელთა კაცთა მიერ ჯერ არს აღვსებად, რაჲთა მალხინებელ ექმნეს უფალი ღმერთი სულთა მათთა.

ხოლო ან კადნიერ ვიქმნებით თქმად, უკეთუ ვინმე იყოს მათ ზემოქსენებულთა წმიდანთა მსგავსნი და აღიძრნენ ვედრებად მრავალმოწყალებისა მიმართ უფლისა უღმრთოთა და უსჯულოთათჳს და ილოცონ მათთჳს, ანცა იქმნების ლხინება და გამოქსნა მათი ჯოჯოხეთით. მაშა ქრისტიანე მართლმადიდებელი რაბამცა ცოდვილ იყოს, თუ ვინმე აღდგენ მათთჳს მეხუაიშნედ წირვითა და ქუტლის საქმითა, ვითარ არა იქნეს ლხინება და გამოქსნა მათი მიუცთომელითა მოწყალებითა ღმრთისათა.

ხოლო ლათინნი არა ესრედ იტყჳან, არამედ საუკუნესა ჯოჯოხეთსა იტყჳან

ერთსა, რომელსა შინა შ(77r)ველენო უნათლავნი, პაპის ურჩნი და ურწმუნონი და ვერა რომლითა მოწმარებითა, ვერცა წირვითა და ლოცვითა არღარა იქმნების გამოწსნაო, ხოლო ერთსა ჯოჯოხეთსა იტყვან, ვითარცა პირველივე ვიტყოდი, რომელსა შთავლენ პაპის მოსავნი და ადრე გამოვლენ, სრულიად განწმედლინი და სასუფეველად აღვლენო და ორთავე მიეგების, მართალთა და ცოდვილთა, მისაგებელი მათი პირველ-მეორედ მოსლვისა, ამისთვის უწმობენ საუკუნესა ჯოჯოხეთსა.

ხოლო ჩუჴნ ამის პირისა და მიზეზისთვის ქუჴმორე ვიტყოდეთ, სხუასა თავსა შინა, რომელსა იგინი აწვე იტყვან მისაგებელსა მართალთა და ცოდვილთასა პირველ-მეორედ მოსლვისა და აწ გასაწმედელისა და საუკუნოსა ჯოჯოხეთისათვის ვიტყოდეთ, რომელსა იგინი ბოროტად მადიდებლობენ.

შვილნო ეკლესიისანო, მართლმადიდებელნო, არა ითქმის, არცა სახელიდების პირველ აღსასრულისა და საშინელისა მეორედ მოსლვისა საუკუნო ჯოჯოხეთი, არამედ ოდეს იქმნეს აღდგომა მკვდართა და დაჯდეს მეუფჴ საყდართა ზედა დიდებისათა და განეხუნენ წიგნი გულთანი და განცხადნენ დაფარულნი კაცად-კაცადისნი და მაშინ ჰრქუა მეუფჴმან მარცხნით მდგომარეთა მათ: წარვედით ჩემგან, დაწყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისთვის და მსახურთა მისთავს, ეგრეთვე მარჯუენით მდგომარეთა ეტყოდის, წარგზავნიდეს სიხარულსა საუკუნესა. მაშინ ითქმის საუკუნოჲ, რამეთუ ჯერეთ ეს ჴმა (77v) არა სმენილ არს, თუ წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, არცა თუ განმეშორენით ჩემგან, არა გიცი, ვინანი ხართ და სხუანი იგი მისაგებელნი ცოდვილთანი ფერად-ფერადნი, რამდენი-იგი წერილ არიან წმიდასა სახარებასა შინა და საუკუნოდ სახელიდებიან დღისა მისთვის და ჟამისა.

ამისთვის არა ითქმის ჯერეთ საუკუნო, ვთქუ, რამეთუ ვიდრე მეორედ მოსვლადმდე მოწყალებისა და ლხინებისა მომლოდინე არიან სულნი ამიერ წარსრულნი, დაღაცათუ იტანჯებინ მცირედ, არამედ მხოლოდ სულნი ოდენ და არა ჴორცნიცა.

ხოლო ოდეს იქმნეს აღდგომა მკუდართა და შეემოსნონ ჴორცნი ესე, რომლითაცა ქმნეს ცოდვა, რამეთუ თვნიერ ჴორცთასა სულსა ვერა რა ძალუც, ეგრეთვე ჴორცთა თვნიერ სულისა. მაშინ იქმნების მწარედ და უსასტიკესად დასჯა სულით და ჴორცით საუკუნოდ ცეცხლსა მას შინა გეენიისას და სხუათა მათ მწარეთა სატანჯველთა, რადენი-იგი წერილ არიან საღმრთოთა წერილთა შინა, რამეთუ მუნამდე არა იწოდების საუკუნოდ.

ხოლო თვნიერ აქედგან მოწმარების, ქუჴლის საქმისა და წირვისა სულსა ვერ ჴელენიფების გამოწსნა სატანჯველითგან და უკეთუ სიტყვსაებრ მათისა იქმნების სულისა ლხინება და გამოწსნა თვნიერ აქედგან მოწმარებისა, მაშა ეშმაკთაცა იქმნების გამოწსნა წვალებისაებრ ოროგინეს, რამეთუ იგინიცა სულნი არიან და უკეთუ სულნი კაცთანი, რომელნი შეუდგენ ნებასა ჴორცთასა და

დაემორჩილნენ ეშმაკთა და თვნიერ აქეთგან მოჭმარებისა იწსნენ ჯოჯოხეთით და ეშმაკნი არა იწსნენ, რამეთუ იგინიცა სულნი არი(78r)ან, ვითარცა ვთქუ, უსამართლ იქმნების. იხილეთ, ღმრთისმოყვარენო, სადა მიიწვევის გმობა ესე, ხოლო ეშმაკნი ამისთვის არა იწსნებიან, რამეთუ უწორცო არიან და ერთზის რაჲ სცოდეს და განდგომილ იქმნეს, მყის დაისაჯუნეს უწორცოებისათჳს, რამეთუ უძღურება წორცთა არა თავსა ედვა მათ და არცა ვინ აქუს მეხუაიშნედ უძღურთა წორცთა მქონებელი, ამისთვის არცა იწსენიან სჯულითგან.

ხოლო კაცთა ამისთვის აქუს მრავლთა ცოდვათა მიტევება ამას სოფელსა სინანულისა მიერ, რამეთუ ხილულ არიან და უძღურება ზედა-აც და გან-რავიდენ რაჲ წორცთაგან, წორციელნი შემწენი და მეხუაიშნენი ჰყვნან და უკეთუ წორციელნი შემწენი არა აქუნდეს მარტო სულისა წსნა არაღარა იქმნების, ვითარცა იგი არცაღა ეშმაკთა.

და უკეთუ სულნი კაცთანი სიტყვისაებრ მათისა ჟამად რავდენმე იტანჯებიან ცეცხლსა შინა და მერმე განწმედილნი გამოვლენ და შევლენ სიხარულსა შინა, სწორნი ვიდრემე იქმნებიან და ერთპატივნი სულნი ცოდვილთა კაცთანი და სულნი დიდთა მათ სახელოვანთა წმიდათანი და მოციქულთა და წინასწარმეტყველთანი, მონამეთა და ნეტართა მამათანი და აწინდელთა ცოდვილთა კაცთანი, რამეთუ ცეცხლისაგან განწმედილთა და გამოჭურვებულთა არღარა გამოჰყუჭბის ბინი რაჲვე ანუ თუ მნიკვლი და ბრძვილი ცოდვისა.

ვითარცა იქმნე ჴელოვანი ოქროს მქა(78v)ნდაკებელნი, რაჟამს იხილონ ოქრო დაკლებული ბუნებითისა სიკეთისაგან, ბრძმედსა შინა გამოჭურვებითა და გამოდნობითა ცეცხლისათა, მსგავს ჰყოფენ და შეასწორებენ ფრიად რჩეულთა ოქროთა, ეგრეთვე იქნების სიტყვსაებრ მათისა, რამეთუ რაჟამს სულნი ცოდვილთანი წარვიდენ უწანულად და ცეცხლსა შინა იტანჯვნენ და გამოიხურნენ და სწორ იქმნენ წმიდისა ნათლისმცემელისა, უზეშთაესისა მის ნაშობთა შორის დედათასა, და სხუათა მათ დიდთა წმიდათასა და აღარა იყოს მათ შორის უდარეს-უაღრესობა, რამეთუ რავდენ უმეტესი ჴელოვნება აქუს მოკვდავთა კაცთასა უზეშთაესსა მას არსებათასა ღმრთისა და წამისყოფასა მისსა მორჩილობს ყოველი. ეგოდენ უმოსწრაფეს სცვალებს და შეასწორებს ბოროტთა და კეთილთა, მართალთა და ცრუთა და ვითარ იგინი ოქროთა, ეგრეთვე ღმერთი სულთა და რაჲ სამართალი ესე ღმრთისა წმიდათა ზედა და მისთვის დამაშვრალთა ანუ მონყალება უსაზღვრო ცოდვილთა ზედა.

არამედ არს ესე სჯული ღმრთისა, რომელსა მე ვიტყვი, არა ხოლო თუ მე, არამედ დიდნი ღმრთისმეტყუელნი, რამეთუ მართალთა თანამდებობით მიანიჭებს სასყიდელსა შრომისა მათისასა, ხოლო ცოდვილთა სინანულისა მიერ მიჰმადლებს მიტევებასა და ამიერ წარსრულთა სულთა აქეთგან მოჭმარებითა მიჰმადლებს ღმრთისა, ვითარცა წერილ არს: „წყალობასა და სამართალსა გაქებდენ შენ, უფალო“ და კუალად იტყვის: „წყალობა და მსჯავრი უყვარს უფალსა“, რამეთუ ვითარცა მონყალება აქუს მიუ(79r)ნდომელი, ეგრეთვე



სამართალი აქუს შეუცვალელებელი.

და უკეთუ ესრეთ არა იყოს, ცუდ იქმნების შრომა ნმიდათა და ლუანლნი და ფერად-ფერადნი სატანჯველნი მონამეთანი და კეთილ იქმნენ გემოთ-მოყვარება და მრავალფერნი განსუწნებანი ცოდვის მოყვარეთანი, ვინათგან მერმესა მას ცეცხლსა შინა გამოჭურვებითა სწორ იქმნებიან ცოდვილნი და ნმიდანი.

და ვინადგან ცეცხლსა შინა გამოჭურვებითა და გამოდნობითა განინ-მიდებიან სულნი, მაშა არლარავინ დაშთების ცეცხლსა შინა და ნეტარ, თუმცა ესე ესრეთ იქმნეს, არამედ არა ჯერ არს ამისი რწმუნება, რათა არა უს-ამართლოება ითქუას ღმრთისათჳს, რამცა პაპის მოსავნი გამოვიდნენ განწმ-ედილნი, ხოლო ქრისტეს მოსავნი მუნ შინა დაშთენ შემწვარნი ცეცხლითა და უკეთუ ცეცხლსა შინა გამოჭურვება იქმნების და შესწორება მართლათა და ცოდვილთა, რაჟსათჳს ბრძანებს უფალი: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“, რამეთუ „სავანე მრავალნი“ ესე არს საზომისაებრ მოღვანეთასა აქათა ამათ შრომათაებრ, რომელსა იმოქმედებენ კაცნი, რომელნიმე მცირედ და რომელნიმე დიდად, ეგრეთვე საზომისაებრ განყოფისა საშუაბელნი იგი და კეთილნი საუკუნონი, რომელსამე-დიდად რომელსამე-უდარესად.

ხოლო ესე მწვალელებელთა ზედა არა იქმნების, თარგმანებისაებრ ნმიდისა მაქსიმე აღმსარებელისა და სხუათა მათ ღმრთისმეტყველთასა, არამედ მართლმადიდებელთა მოღვანეთა ზედა, რამეთუ რომელნი ნმიდათა მ(79v)ოცი-ქულთა და შემდგომთა მათთა ღმერთშემოსილთა მამათა და შვიდთა კრებათა მიერ დამტკიცებულსა და განსაზღვრებულსა ანუ შემატებს, ანუ დაამოკლებს, არა იქმნების მას სავანესა მიწვენა, არცა სახლსა მას უხილავსა მამისასა დამ-კვდრება.

რამეთუ შეკრვისა და განჯსნისა ჯელმწიფება მათ აქუს, რომელნი მოცი-ქულთა და ნმიდათა ღმრთისმეტყუელთა მამათა მოძღვრებასა არა გარდაჰ-დებიან სიტყვსაებრ მოციქულისა, გინათუ ჩუწნ, გინათუ ანგელოზი ზეცით გა-ჯარებდეს თქვენ გარეშე მისა რომელი იგი მიიღეთ, შეჩუწნებულ იყავნ, ხოლო რომელი იგი მათ შეაჩუწნეს და შეკრეს, ვინა არს, რომელმანცა განჯსნეს იგი? მაშა რომელი მათ მიერ დადებულსა სარწმუნოებასა გარდაუქცევს და სხუებრ რასმე მოძღვრის, ვითარ შევლენ იგინი მას სავანესა, რავდენცა იღვანონ, არამედ ვითარცა ვთქუ, მართლმადიდებელნი კეთილისა საქმითა დაიმკვი-დრებენ მას სავანეს მართალთასა, ხოლო ცოდვილნი, რომელთა მართალი სარწმუნოება არა შეცვალოს, გან-რაჲ-ვიდენ რაჲ ჯორცთაგან და მივიდენ სა-ტანჯველთა აქედგან მოწმარებითა და კაცთაგან ხუაიშნითა ჰპობენ ლხინე-ბასა ცეცხლისაგან და სხვათა მათ მწარეთა სატანჯველთაგან და მრავალ-მონყალისა ღმრთისაგან ღირს იქმნებიან განთავისუფლებასა.

ხოლო უკეთუ გუჭტყოდიან, ეგე ეგრეთ იყოს სიტყვსაებრ თქუენისა, აქედგან წირვითა და მოწმარებითა იქმნების ლხინება და თვნიერ ამისა ვერა

რად, რომლითა სიტყვითა, საქმითა იქმნების ღმრთისა. მაშა მდიდარნი და მრავლის საჭმარისა მქონებელნი აცხოვნებენ მათსა მიცვალებულთათა და გლახაკნი და უპოვარნი დაშთებთან ცეცხლსა შინა, რომელთა არარა აქუს, რამცა მისცეს.

ხოლო ჩუჴნ ესე მოუგებთ სიტყვსაებრ უფლისა, ვითარმედ: „კაცთაგან შეუძლებელი უფლისაჲ ყოველივე შეს(80r)საძლებელ არს“ (მათე 19,26). არა თუ სიმდიდრესა და საფასეთა სიმრავლესა ზედა არს უსაზღვრო მონყალეზა ზეშთა სახიერისა ღმრთისა, არამედ სარწმუნოებასა და გულსმოდგინებასა ზედა მორწმუნეთასა იქმნების თუალუხვაობაჲთა მისთა მსჯავრი და განყოფა და მიფენა ღმრთისა აურაცხელთა მონყალეზათა, ვითარცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა, რამეთუ მრავალთა მდიდართა მიიღეს შესანიწავი ფასი საცავისა მას მრავალნი საჭმარნი და შანთნი ოქროჲსა და ვეცხლისანი, ხოლო ქურივმან ვინმე გლახაკმან მოილო ორი მწულილი და შეწირა, რომელ არს მწულილი ვეცხლი ფულისაგან უმცირესი. მიხედა იესომ და თქვა: „ამენ გეტყვ თქუჴნ, ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა, რამეთუ ამათ ნამეტნავისაგან მათისა შეწირეს, ხოლო ამან ნაკლულოვანებისაგან თვისისა რაჲცა აქუნდა, ყოველი საცხოვრებელი თვისი შეწირა“.

ესრეთ იქმნების საზომისაებრ სარწმუნოებისა და გულისმოდგინებისა და არა სიმრავლისა და სიმდიდრისაებრ საჭმართასა. ვინ იყო ქურივისა მის უგლახაკესი, რომელსა არა რაჲ ეპოვებოდა, არცათუ მდღევარი საზრდელი, თვნიერ ორისა მის მწვილილსა, ვითარცა ბრძანა უფალმან, ვითარმედ: „ყოველი საცხოვრებელი შეწირა და სხუაჲ არა დაუტევა თავისა თვისისა თანა, ხოლო მდიდართა მანეტნავისაგან მათისა შეწირეს და უმრავლესი თავსა თვისისათვის დაუტევეს“.

იხილეთ მონყალეზა უფლისა და თვალუხუ(80v)ობაჲ მსჯავრთა მისთა, თუ ვითარ შეასწორა და უმეტესადცა შეჴრაცხა კანონი იგი და უნდოჲ შესანიწავი მრავალთა მათ და დიდ-დიდთა შესანიწავთა მდიდართასა.

რამეთუ მდიდართა და პოვნირთაგან დიდნი შესანიწავნი ჯერ არს შეწირვად უფლისა, ხოლო გლახაკთა და უპოვართაგან მცირედნი და კნინი, ძალისაებრ სარწმუნოებით შეწირულნი და დიდად შეწირვიან და უმეტეს მიითვალავს მრავლითა მით წყალობითა და მსჯავრითა მით სიმართლისა ღმრთისთა, ვითარცა იგი ავაზაკისცა ერთი იგი მცირე სიტყვა ჯუარსა ზედა შეწირა უფროს და უმეტეს მრავალთა ბრძენთა და რიტორთა მეტყუჴლებისა, რამეთუ რაჲ არს ერთისა მცირისა სიტყვსა უკნინესი და უუნდოესი? რამეთუ მას ჟამსა სხუა არა რაჲ აქუნდენ, ვერცა რას შემძლებელ იყო, თვნიერ სიტყვსა. მაშინ აღმოთქვა სიტყუაჲ ერთი მცირე სარწმუნოებით და დიდად შეწირა და პირველ ყოველთასა სამოთხე დაიმკვიდრა და ქანანელისა იგი მცირე სიტყვა მიითუალა და მეზუჴრისა სულთქმითა და სიმდაბლესა მიხედა და ცოდვათა მიტევებაჲ მიჴმადლა, ეგრეთვე გლახაკნი, რომელთა არა რაჲ ეპოვებოდის საჭ-

მარი და საფასე და შეინრებულ იყვნენ სიგლახაკისა და მიმძღავერებულ მოხარკეთა მიერ რაოდენსაცა შესწირვიდენ სარწმუნოებითა, ძალისაებრ გი(81r) ნათუ მსხუტრპლის შეწირვითა, გინათუ სანთელ-საკმეველი შეწირონ, ანუ მშიერი განაძღონ, ანუ თუ სასმელი გრილ მოუპყრან მწყურვალთა და სხვისაგან კიდე უღონო იქმნენ და დიდად შეწირავს უფალი და მრავლითა კაცთმოყვარებითა თვისითა მისცემს ლხინებასა მიცვალებულსა მას.

და უკეთუ ესრეთ აქეთგან არა იქმნეს შეწევნა და ჳელის აპყრობა, არღარა იქმნების ლხინებაჲ ამიერ წარსულისა, არცა გამოხსნა ჯოჯოხეთით, არცა მუნით გამოსლვა.

ამის პირისათვის დასწერს წმიდა გრიგოლი, პაპა ჰრომისა, მის მიერსა თხრობასა შინა წიგნსა მას, რომელსა „დიალალ“ ეწოდების, რამეთუ მას შინა იპოვების ყოველთა დაფარულთა და ძნიად მისანდომელთა საიდუმლოთა გამნარტება, რომელსა ჰკითხავს პეტრე მთავარდიაკვანი, საყვარელი მონაფე მისი და იგი განუმარტებს ყოველსა ზედამინევენით. მეოთხეს თავსა შინა წერილ არს ესრეთ: „ჰკითხა პეტრე: მეუფეო წმიდაო, მაუნყე ამიერ, წარსრულთა სულთა იქმნებისა პირველ აღსასრულისა ჯოჯოხეთს შინა წარსლვა? ანუ არსა ჯოჯოხეთს შინა სხუა და სხუა რიგი სატანჯველი, ანუ დიდთა და მცირეთა ცოდვათა მოქმედნი სწორად იტანჯებიან, ანუ თუ არა გინათუ ერთსახე არს ცეცხლი იგი გეჰენისა ანუ მრავალსახე და სხუაჲ და სხუაჲ?

მიუგო წმიდამან გრიგოლი: „შვილო, პეტრე, ჯოჯოხეთი ქუესკნელთა ქუჭ(81v)შე ქუეყანისთა არს, ვითარცა უწყი, არამედ არა ერთსახე არს სატანჯველნი იგი ჯოჯოხეთისანი, არამედ სხუა არს ცეცხლი იგი გეენისა დაუშრეტელი, სხუა ტარტაროზი სიცივისა განუტბობელი, სხუაჲ ბნელი გარესკნელი და სიმყრალე და მატლი დაუძინებელი და საკრველნი განუჴსნელნი და ღრჭენა კბილთა დაუსრულებელი, ვითარცა მოგვითხრობენ საღმრთონი წერილნი. ესე ყოველნი ცოდვილთათვის არს განმზადებული, ხოლო ცეცხლი იგი გეენისა ერთი არს, რომელსა შინა შეითხევიან ცოდვილნი, რომელთა არა შენანოს, არამედ საზომისაებრ ცოდვათასა კაცად-კაცადი მიიღებს სასჯელსა დიდად მცოდველნი დიდად იტანჯებიან და მცირეთა ცოდვათა მოქმედნი უსუბუქესადო, ვითარცა იქმნების ხილულსა ამას შინა სოფელსა, ოდეს შემოჰჴდეს სენი რამე სასიკუდინე, არა ყოველთა სწორედ შეეხების სენი იგი, არამედ რომელთამე მსწრაფლ მოაკუდინებს, რომელთამე – უგვიანესად და სხუათა – უსუბუქესად და სხუათა – მცირედ და უადვილესად. ერთი და იგივე სენი ზოგად ყოველსა ბუნებასა კაცთასა ამასვე აერსა შორის და ამასვე ერთსა სოფელსა შინა. ეგრეთვე იქმნების მასვე და ერთსა ჯოჯოხეთსა შინა ზოგად ყოველთა კაცთათვის, რამეთუ საზომისაებრ ცოდვათასა მიიღებენ სატანჯველსა მას ჯოჯოხეთისასა.

იხილეთ, მორწმუნო, უკეთუმცა იყო სადმე სხუაჲ რამე ჯოჯოხეთი, რომელსა იგინი „განსანმედელად“ უჴმობენ, რაჲსავს არა (82r) თქუა წმიდა-

მან გრიგოლი და არა აუნყა პეტრეს, საყვარელსა თვსა და უკეთუმცა ყოფილიყო, რაჲსათვს დაჰფარვიდა და არა გამოაცხადებდა, და უკეთუ არა არს განსანმედელი და ჭემმარიტად არცა არს და არცა სადა წერილ არს და არცა ვის წმიდათაგანსა უთქვამს, რაჲსთვს მოიგონეს და ვითარ იტყვიან ესეოდენტა ამოებისა სატყუათა. იგი სანატრელი გრიგოლი პაპაცა იყო ჰრომისა და ცხადად სული წმიდა ზრახვიდა პირით მისით, რამეთუ მრავალგზის იხილიან სული წმიდა სახედ ტრედისა სპეტაკისა პირსა მისსა ზედა მფრინვალი, რაჲმს სწერენ იგინი წიგნთა საღმრთოთა და ვინათგან მან, სანატრელმან, ვერ გულისწმაჲ-ყო და ვერცა აღწერა და აწინდელი პაპები და კარდინალები, რომელნი ჰგმობენ სულსა წმიდა, ურცხვინოდ იტყვიან და დაჰწსნიან ყოველსა წესსა და საზღვარსა მამათასა. იგი სანატრელი გრიგოლი ყოველთა დღეთა ცხოვრებისათა მისისათა, ვითარცა ცხოვრებასა მისსა წერილ არს, არა რაჲსა სჭამდა თვნიერ დამბლისა ოსპისა და ოდეს მე მცირედი პური იწმიის, ხოლო ესენი ბუნებითსა საჭმელს არა კმა-იყოფენ, არამედ მრავალსა არაწმიდასა და დაყენებულსა ჭამადსა იწმევენ და იგინი ზრახვენ წმიდათა მოციქულთა და ჭემმარიტთა მოძღვართაგან: ჩუენ უმჯობესად გულისწმაჲ-ყვაეთო და ეკლესიასა შინა მარადის უახლესსა და უახლესა (82v) შჯულსა და წესსა შემოიღებენ და სხუაჲსა და სხუაჲსა სარწმუნოებასა გარდასცვლიან.

მრავალგზის საწმარ არს მათთვს სიტყუა იგი მოციქულისა პავლესი: „გინათუ ჩუენ, გინათუ ზეცით ანგელოზი გახარებდეს თქუენ, გარეშე მისა, რომელი-იგი გახარე თქუენ, შერუწნებულ იყავნ“ (გალატელთა 1,8), ვითარცა წინასწარ ვთქუ და ანცა კუალად ვიტყვი, უკეთუ ვინმე გახარებდეს თქვენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შერუწნებულ იყავნ.

ან შერუწნება ესე და წყევა, რომელი აღმოთქუწს წმიდათა მოციქულთა, არათუ მათ ზედა არს, რომელნი არა გარდაჰვდებინ მათსა განწესებულსა საზღვარსა, არამედ მათ ზედა აღესრულების, რომელი ანუ შემატებს, ანუ დააკლებს, ანუ დაიწსნის, ანუ სხუწბრ რაჲსმე გარდაუქცევს სიტყვსაებრ საუფლოსა: „რომელმან დაჰწსნეს ერთი მცირედთა ამათ მცნებათაგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა“ (მათე 6,19). და შემდგომი. და ისმინეთ პავლე მოციქულისა, რასა მოუწერს ჰრომაელთა და ეტყვის: „გლოცავ თქუენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი იგი წვალებასა და საცთურსა იქმან გარეშე მის მოძღურებისა, რომელი თქვენ გისწავიეს და განემორენი მათგან, რამეთუ ეგევითარნი იგი უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ-თვისა მუცელსა და ტკბილ (83r) მეტყუწლებითა მით და კურთხევითა აცთუნონ გულნი უმანკოთანი“ (იერემია 15,17). იხილეთ, ძმანო, ცხადი წინასწარმეტყუელება და მოსწავება წმიდისა მოციქულისა პავლესი, რაჲსა მოუწერს თვთ ჰრომსა და მას შინა დამკვიდრებულთა, თუ ვითარ სულითა წმიდითა ხედვიდა ადრევე წვალებასა მათსა და აკრძალებს ყოველთა, რაჲთა არავინ ერჩდეს წვალებასა და საცთურსა მათსა, არამედ მოძღვრებასა მას მოციქულთასა შეუდგენ, რა-

მეთუ იგინი არიან და არა სხუა ვინმე, რამეთუ სახელდებით მათ მისწერს და არა სხუათა ვიეთმე, არამედ ჰრომაელთა, რომელნი ტკბილად მეტყუჴლებითა და მუცლის მონებითა და გემოვნებითა აცთუნებენ გულსა უმანკოთა და წრფელთასა და ასწავებენ გარეშე მის მოძღვრებისა, რომელი ანუ პავლესაგან მიიღეს, გინა პეტრესაგან, გინა სხუთა მათ მოციქულთაგან. ვჴკითხოთ, უკუჴ მათ ვისთვის იტყვის მოციქული ამას, არა სახელდებით თქვენთვის ჴმობსა, ჴრომნი არა თქვენ ხართ? ტკბილად მეტყუჴლებითა არა თქვენ აცთუნებთა ყოველთა, რამეთუ არა რაჲს საჭიროსა, არცა იწროსა გზისასა უმოძღვრით კაცთა, რომელი ქრისტემან ბრძანა: „იწრო არს და საჭირველ გზა იგი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, ვითარ-იგი ვრცელ არს და ფართო, რომელსა მიჴყავს წარსაწყმედელად“ (მათე 7,14). არცა მოციქულისა სიტყვითა ასწავებთ კაცთა, რომელი ჴმობს, ვითარმედ: „მრავლითა ჴირითა გვიღირს შესლვად სასუფეველსა ცათასა“, არამედ ყოველსავე ჴორცთა საშუჴბელსა და მუცლის გემოვნებათა ასწავებთ ყოველთა კაცთა, რაჲთა ძალით და მრავალმჴა(83v) მელობითა ჴვლონ ვრცელი იგი და ფართო გზა მიმყვანებელი ჴოჴოხეთად.

კუალად ესეცა ვჴკითხოთ: ესევეთარნი მწვალებელნი, რომელნი საცთურსა იჴმან და ტკბილად მეტყუჴლებითა და მუცლისა მონებითა აცთუნებენ მოძღვართა, ვინათგან მოციქული ჴრომაელთა მისწერს: „ვინ არიან იგინი? პირველად იყუნენ, თუ აწ არიან?“ ანუთუ ამის შემდგომად გამოჩინებად არიან იგი მწვალებელნი, რომელნი ჴრომსა შინა გამოჩინებად მოასწავა მოციქულმან ტკბილად მეტყუჴლნი და მუცლისა მონანი და არა ქრისტეს მონანი.

უკეთუ გურჴან, ვითარმედ: ჴრომსა შინა წვალეზა არა შესრულ არსო, არცაღა შევალსო, მაშა მოციქული ვის ეტყვის ამას, არა ჴრომაელთა მისწერსა ამას და მათ ეტყვის? „იგინი არიან ტკბილად მეტყუჴლნი და მუცელმერთნი, რომელთა ბუნებით ჴამადი ღმრთისა მიერ მოცემული მადლობით მისაღებელად, არა კმა ეყოფისთ, არამედ ყოველსავე არანმიდასა ჴუენარმავალსა, სისხლსა და დამშთვარსა ურიდად ჴამენ და არა ეკრძალებიან, ხოლო ჩუენცა ეგრეთ ვიტყვით, ვითარმედ გარეთით სხუაჲ არავინ შესრულ არს, არამედ მუნით აღმოუცნნეს და მათგან გამოვიდეს და განეფინნეს ყოველსა ჴუეყანასა.

ვითარცა იგივე მოციქული აუნყებს, რაჴამს მიიწია მელიტონს, რომელ არს მალთა, მოუნოდა ხუცესთა და ეტყოდა: „აჴა, მე უწყი ესე, რამეთუ შემოვე(84r) დენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩუენისა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა და თვთ თქვენგანნი აღდგენ კაცნი, რომელნი იტყოდიან გულარძილსა, რაჲთა განადგინენ მოწაფენი შემდგომად მათდა“ (საქმე მოციქულთა 20,29) და რამეთუ მოციქულნიცა ეგრეთ ჴმობს: „თვთ თქვენგანნი კაცნი აღდგენ, რომელნი არა ერიდებოდიან სამწყსოსა ქრისტესაო,“ „თვთ თქვენგანი“ თქუა და არა გარეთ შემოსრულნი, რამეთუ მათგან და მათ მიერ და მათ შორის აღმოეცენა ესე საცთური და წვალეზა და არა სხუაჲთა მიერ ისწავეს, რომელნი ტკბილადმეტყუჴლებითა და კურთხევითა აცთუნე-

ბენ მრავალთა და მუცლისა მონებითა და ყოვლითა გემოვნებით მოძღვრიან ყოველთა და დაუტევებიესთ ინროსა მის გზისა სტადიონი, რომელსა შინა ვიდოდეს ყოველნი ღირსნი და მართალნი, და ვლენან იგინი ვრცელსა მას გზასა ცეცხლად მიმყვანებელსა და ვერლარა ძალუც შრომითა და ჭირითა, მღვიძარებითა და მარხვითა და სხვითა მოღვაწებითა ამასვე სოფელსა განწმედა თავთა თვისთა და მოელიან ცეცხლსა მას შინა გეენიისასა განწმედასა და ესრეთ აცთუნებენ თავთა თვსთა და მორჩილთაცა თვსთა.

ხოლო ჩუენ, ძმანო, არა მოგვილიეს და არცა გვისწავიეს ესე წესი მოციქულთაგან, არცა ნეტართა მამათაგან, რამცა აქა მივცნეთ თავნი ჩუენნი შუჭბაჲსა და განცხრომასა და ვნებათა და გემოვნებათა და მუნ ცეცხლსა შინა (84v) ველოდეთ განწმედასა, რამეთუ ამიერ წარწყმედილი სულნი ვერლარა შემძლებელ არს, ვერცა თავით თვისით სინანულსა, ვერცა ცეცხლისა მიერ განწმედასა, რამეთუ თქმულ არს: „ვინ სიკუდილსა შინა მოგიწენოს, ანუ ჯოჯოხეთსა შინა ვინ აღგიაროს შენ“. თვნიერ აქეთგან მოვმარებისა და ჴორციელთა კაცთა მიერ შეწვევისა, რაჲთა ღმრთისა აურაცხელითა მოწყალეობითა იქმნეს ლხინებაჲ და მიტევებაჲ სულთათჳს ამიერ წარსრულთა.

**XV თავი. სიტყვსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსაწმედალსა ზედა იმონებაჲნ, ვითარმად: „სისხლი იჭრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შეწმუჭლითა“.**

კუალად სიტყვასა მას ესაია წინასწარმეტყუელისასა წინაგვიყოფენ და საცთურისა თვისისა მოწმედ მოიღებენ, რომელსა იტყვის: „და იყოს ნეშტი იგი ისრაჴლისა სიონს შინა. და ნეშტი იჭრუსალიმსა შინა და ეწოდოს წმიდაჲ, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებაჲდ იჭრუსალიმს შინა, რამეთუ გამოცხას უფალმან მნიკული იგი ძეთა და ასულთა სიონისათა და სისხლი

იჭრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა, სულითა სასჯელისათა და სულითა შეწმუჭლითა“.

ამას ყოველსა განსაწმედალსა ზედა იმონებენ, ვითარმცა წინასწარმეტყუელსა სიტყვანი ესე ჯოჯოხეთისა ცეცხლსა შინა განწმედისათჳს ეთქვენეს სულთა მუნ შთასრულთათჳს, ხოლო ჩუენ განმარტებაჲ ამის სიტყვისა ვთქ(85r) უათ მაღლითა ღმრთისათა, ვითარცა მოგუცეს ჩუენ უფალმან სიტყუაჲ, ვითარცა იტყვს წინასწარმეტყუელი: „და იყოს ნეშტი იგი ისრაჴლისა სიონს შინა და ნეშტი იჭრუსალიმს შინა და ეწოდოს წმიდაჲ, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებაჲდ იჭრუსალიმს“.

თარგმანი: ამას მათათჳს იტყვს, რომელნი ჴურიათაგან მოექცნეს და იქმნეს მორწმუნე. იგინი არიან ნეშტნი ისრაჴლისნი და ნეშტი იჭრუსალიმისნი,

მათ ეწოდების ნეშტი, რამეთუ ჰურიანი ეკუჭთნეს რაჲ კლდესა ცხოვრებისასა და შეიმუხრნეს და განიბნინეს, ხოლო მათგან მოქცეულნი და მორწმუნეჲნი ილნი და მათგან დაშთომილნი იჭრუსალემს, იგინი არიან ნეშტი, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად, რომელი იგი ღმრთისმეტყუელმნიცა იხილა გამოცხადებასა შინა: „ესმა რიცხვი დაბეჭდულთა მათ ას ორმეოცდაოთხი ათასი ათორმეტთა ტომთაგან ძეთა ისრაელისათა, თესლისაგან იუდასა ათორმეტი ათასი, თესლისაგან რუბენისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა“ (გამოცხადება 7,4). ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად ყოველთა მათგან ტომთა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა, რომელნი დაწერილ არიან წიგნსა მას ცხოვრებისასა და წინაშე საყდრისა ღმრთისათა და კრავისა იხარებენ ზეცისა იჭრუსალიმსა. ესე არს ნეშტი ისრაჲლისა სიონსა შინა და ნეშტი იჭრუსალიმს შინა და ეწოდოს წმიდაჲ, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად იჭრუსალემს და ესევე წინასწარმეტყუელი ესაია ღაღადებს ისრაჲლისთვის, დაღაცათუ იყოს რიცხვი იგი ძეთა ისრაელისათა, ვითარცა ქვიშა ზღვისა, ნეშტი ოდენ ცხონდეს.

წინასწარმეტყუელისა: „რამეთუ გამორცხეს უფალმან მნიკული იგი ძეთა, ასულთასა სიონი(85v)სათა“ (ესაია).

თარგმანი: ხოლო რომელნიცა მოიქცეს ჰრომიტგან, ვითარცა ვთქუ ნათლისღებითა და სისხლითა გამორცხაჲ უფალმან მნიკული მათი, რამეთუ წყალი იგი ნათლისღებისა არს განმარცხელ და წარმღუნელ მნიკულთა მათ სულისათა სიტყვსაებრ ფსალმუნისა: „უფალმან წყლით რღვნა დაამკვდრნის“, ხოლო სისხლი იგი ცხოველსმყოფელი არს მომტევებელი ბრალთა და უსჯულოებათა.

წინასწარმეტყუელისა: „და სისხლი იჭრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველითა“.

თარგმანი: მეუფე ქრისტე ბრძანებს: „სჯად სოფლისა ამის მოსრულ ვარ, რაჲთა რომელნი არა ხედვიდენ, ხედვიდენ და რომელნი ხედვიდენ, დაბრმენ“, რამეთუ სჯად სოფლისა ამის მოვიდა და რომელნი მოსეს სჯულითა იქადოდეს და იტყოდეს, ვითარმედ ვხედავთო მათ ზედა საბურველი იგი ძუჭლისა სჯულისა აღუძრველად მდებარე იყო. იგინი უმეტესად დაბრმეს და ვერ იცნეს ნათელი იგი სოფლად მოსრული და შეიყვარეს ბნელი უფროს, ვიდრეღა რა ნათელი, ხოლო რომელნი იგი მარტივნი იყუნეს და წრფენი და სულელად საგონებელნი, მათ იცნეს ნათელი იგი სოფლად მოსრული, მიხედეს და განათლდეს ნათლისა მისგან დაუსაბამოსა და იქმნე კეთილად მხედველ, რამეთუ სჯომონ მოხუცებულმან მიიქვა რაჲ ღმერთი განხორციელებული, ამასვე მოასწავებდა და ეტყოდა ღმრთისმშ(86r)ობელსა ვითარმედ: „ყრმა ესე დგას დაცემად და წინააღდგინებად ისრაელთა შორის და სასწაულად სიტყვისსაგებელად“ (ლუკა 2,34). და თავადცა უფალი ბრძანებს: „ვითარმედ მამა არავისა სჯის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“ (იოანე, 5, 22). ესე არს სიტყვაჲ წინასწარმეტყუელისა, ვითარმედ სისხლი იჭრუსალიმისა განწმიდოს

სულითა სასჯელისათა“.

წინასწარმეტყუელისა: „და სულითა შემნუჭლითა“.

თარგმანი: ესე არს სულითა შემნუჭლითა, რაჟამს ქორსა მას ზედა სიონისასა, რომელ არს სახლი შორის ივრუსალიმისა, რომელსა შინა მოჰფინა ქრისტემან სული წმიდაჲ სახედ ცეცხლისა და განუყვნა თითოცჳულისა ცეცხლისა ენანი და მით განწმიდნა და დაწვნა ყოველნი ვნებანი კაცთანი სულითა სასჯელისათა და სულითა შემნუჭლითა, რამეთუ იგი სული წმიდაჲ არს შემნუჭლი ყოველთა მნიკულთა და ბილნებათა კაცთასა და მერმე მოციქულნი, რაჲ განიბნინეს პირსა ზედა ყოველისა სოფლისასა და რომელთაცა ნათელსცემდეს და ჴელთა დასხმიდენ, ცხადად მიაქუნდა სული წმიდაჲ მსგავსად ცეცხლისა ენათა, ვითარცა მათ ხილულად მოიღეს, ეგრეთვე სხუათა მიანიჭებდეს ჰურიათა და წარმართთა მორწმუნე ქმნილთა, ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს.

ამისთვის ეტყოდა უფალი წინასწარ მონაფეთა თვსთა, ვითარმედ: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა, არამედ არა მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნას“ (ლუკა 12,49). ესე ცეცხლი იყო, რომელი აღეგზნა ქუეყანასა ზედა, რომლისა მოფენად მოვიდა ქრისტე. ამას მოასწავებდა ესაია და იტყოდა: „განწმიდოს სისხლი ივრუსალიმისა სულითა სასჯელ(86v)ისათა და სულითა შემნუჭლითა“. ესე ცეცხლი მოჰფინა ქრისტემან გულთა შინა მორწმუნეთასა და აღაგზნა სიყვარული ღმრთსა გულთა შინა მორწმუნეთასა ჩუენთა, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: „სიყვარული ღმრთისჲ განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა“ (პრომაელთა 5,5), რამეთუ ცეცხლისა მისთვის საღმრთოსა იტყვს და არა არს მათისაებრ სიცბილისა, რომელსაცა იგინი ცეცხლისათვს გეჰენიისა იმონმებენ, რამეთუ უპირულ არს სიტყვაჲ მათი და უმსგავსო, არცა ძალუც ცეცხლსა მას გეჰენიისასა განწმედაჲ, არცა მიტევებაჲ ცოდვათა, არამედ სულსა წმიდასა, რომელი აღეგზნა ჩუენ შორის ქრისტეს მიერ სახედ ცეცხლისა მოფენითა ჩუენ მორწმუნეთა შორის. იგი არს განწმედელი და მომტევებელი ცოდვათა. პირველად ემბაზსა ზედა, რაჟამს ნათელს ვიღებდეთ მოსლვითა სულითა წმიდისათა, დაიწვან ყოველნი ცოდვანი ჩუენნი და მერმე თუ რამე ბინი შეხუდეს, ვითარცა კაცთა ჴორციელთა მჴურვალეებითა სინანულისაჲთა და სიყვარულითა ღმრთისაჲთა, რომელი განფენილ არს გულთა შინა ჩუჴნთა, სულითა წმიდითა მით განჰქარდებინ ცოდვანი ჩუენნი და უკეთუ ვინმე აქა არა ინებოს განწმედა თავთა თვისთა კეთილთა საქმეთა მიერ და შეწყნარებად სულისა წმიდისაჲ, მუნ ცეცხლსა შინა ნურღარას ლხინებას ელიან, თვნიერ აქეთგან მოჰმარებისა და შეწვენისა, რომლისათვსცა უფალმან მართლმორწმუნენი მისნი მიჴსნნეს ცეცხლისაგან გეჰ(87r)ენიისა და სხუათა მათ მწარეთა სატანჯველთაგან და დაუსჯელად ღირს-მყუნეს წინაშე საყდარსა მისსა საშინელსა და მიმთხუჴვად კეთილთა მათ საუკუნეთა, ქრისტეს იესუს მიერ, უფლისაჲ ჩუენისა, რომელსა შუჴნის



დიდება და პატივი მამისა თანადაუსაბამოსა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისადმდე, ამინ.

**XVI თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ცეცხლითა გამოიცილებს კაცად-კაცადისა, რომელსა იბინი განსაწმენდისათვის იტყვან“.**

კუალად სიტყვასა მასცა პავლესა სხუად სახედ გარდააქცევენ და ამასცა განსაწმენდელსა ზედა მოწამედ მოიღებენ, რომელსა მიუწერს კორინთელთა და იტყვს, ვითარმედ: „საფუძველი სხუა ვერვის ძალუც დადებად გარეშე მისა, რომელი იგი დადებულ არს იესუ ქრისტე“ (I კორინთელთა 3,11). უკეთუ ვინმე აშენებდეს საფუძველსა ამას ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკთა პატიოსანთა, ძელსა, თივასა, ლერწამსა, კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოცხადნეს, რამეთუ დღემან მან გამოაცხადოს, რამეთუ ცეცხლი გამოჩინებად არს და კაცად-კაცადისა იგი საქმე, ვითარ რა იყოს, ცეცხლმან გამოაცხადოს, რომლისა იგი საქმე ეგოს, რომელ აღაშენა, სასყიდელი მიიღოს, რომლისა საქმე დაინვას, იზღვოს, ხოლო იგი განერეს, და ესრეთ განერეს ვითარცა ცეცხლისაგან.

თარგმანი: უკეთუ ვინმე გულისწმისყოფით ისმენდეს სიტყუასა ამას მოციქულისასა, არა ძნელ (87v) არს, ძალი ამის სიტყვსა, არამედ ადვილ არს მადლითა სულისა წმიდისათა, რამეთუ ამას ყამსა მერმისა მის ცეცხლისათვის იტყვის, რომელი გამოჩინებად არს წინაშე საშინელსა საყდარსა ქრისტესა დღესა მას მეორედ მოსლვისასა, რომელი იგი გამომცდელი არს კაცად-კაცადისა საქმეთა და არა მათისაებრ ზრახვისა, რომელსა აწვე განსაწმენდელსა ზედა მოიღებენ იგინი. არამედ ესე იგი ცეცხლი არს, რომელი იხილა წინასწარმეტყუელმან დანიელ, ვითარცა იტყვს, ვითამედ: „საყდარნი დაიდგნენ და ძუჭლი დღეთა დაჯდა მას ზედა. ათასნი ათასთანი დგენ წინაშე მისა და ბევრნი ბევრთანი მსახურებდეს მას და მდინარე ცეცხლისა დიოდა წინაშე მისა“ (დანიელი), ვითარცა დავითიცა წინასწარმეტყუელი იტყვს: „ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩუენი არა დადუმნეს ცეცხლი მის წინაშე აღტყდეს და გარემოს მისა ნიავეარი ფრიად“ (ფსალმუნი 49,3) და შემდგომი კუალად სხუასა ფსალმუნსა შინა იტყვს: „სიმართლე და განკითხვა წარმართებად საყდრისა მისისა, ცეცხლი მის წინაშე ვიდოდის და შეწუნეს გარემოს მტერნი მისნი“ (ფსალმუნი 96,2).

ესე ყოველი ცეცხლისა მისთვის მეორედ მოსლვისა თქმულ არს და მოციქულიცა ამის ცეცხლისათვის იტყვის, ვითარმედ ცეცხლი გამოჩინებად არს წინაშე საყდარსა ქრისტესა, რომელმან გამოცადოს კაცად-კაცადისა საქმე, რამეთუ დღემან მან გამოაცხადოს.

რამეთუ რომელნი აშენებდეს საფუძველსა მას ზედა, რომელ არს იესო

ქრისტე, ოქროსა, ცეცხლისა, ანთრაკისა პატიოსან(88r)სა, ესე მართლმადიდებლობა არს და კეთილისა საქმენი, რავდენიცა მცნებანი არიან ქრისტესნი, რომელსა იმოქმედებენ სოფელსა ამას შინა მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა. იგინი გამოიცადნენ რაჲ ცეცხლისა მისგან, რომელი დიოდის წინაშე საყდარსა მის ქრისტესა, არა დაინუნენ, არამედ ეგნენ შეუნველად და უბრწყინვალეს იქმნენ, ვითარცა ნივთნი ესე პატიოსანი. უბრწყინვალეს იქმნებიან ცეცხლსა შინა და ესმას რაჲ მეუფცსაგან ჴმად იგი კურთხევისა, რომელსა მაშინ უჴმობს მართალთა: „მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანი“, განვლონ ცეცხლი იგი და გამოვიდენ განბრწყინებულნი და ელვარე ქმნილნი სიტყვსაებრ ფსალმუნისა, რომელსა იტყვს: „ჴმამან უფლისამან განკუჭთის ალი ცეცხლისა“ (ფსალმუნი 28,7). და ესრეთ გამოვიდენ და დადგენ მარჯუენით მეუფისა.

მოციქულისა: ხოლო რომელი აშენებდეს ძელსა, თივასა, ლერწამსა, ესენი მწვალებელნი არიან და ყოველნი მოქმედნი ბოროტისანი, რომელთა უქმად გარდაიჴდესა ცხოვრება ესე სანუთოსა, რომელი მოგუცა ღმერთმან სათნოებისა სამუშაკოდ, რაჲთა კაცად-კაცადმან შეუკრიბოს თავსა თვსსა კეთილნი საქმენი და დაიუნჯოს მის დღისათვს, რომელსა შინა განბრწყინდენ, ვითარცა ოქრო რჩეულნი და ვითარცა ანთრაკნი პატიოსანნი, არამედ კეთილთა საქმეთა წილ იმუშაკნეს დასანუჭლნი გეჴენისანი (88v) ჴორციელნი და წარმავალნი და ყოვლითურთ შეექცნენ მსოფლიოთა ზრუნვათა. ჴეშმარიტად და უცილობელად ამათი საქმე დაინვნეს და განქარდეს, ვითარცა შეშად და უფროსად, ვითარცა თივად და ლერწამი და იგი განერეს და ესრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან. ესე იგი არს, ვითარმედ სული არა განილევის, არცა განქარდების ცეცხლსა მას შინა, რაჴამს ჴორცნიცა უკვდავნი და უხრწნელნი შეემოსნენ და ეეგოს ცეცხლსა მას შინა უკვდავად და დაუსრულებლად. ესე არს სიტყვსა მის ძალი, ვითარცა წმიდა იოანე ოქროპირიცა ესრეთვე სთარგმნის სიტყუასა ამას და არა არს მათისაებრ სიცბილისა, რომელსა მოიღებენ აწვე განსანმედელად ცოდვათა ცეცხლსა მას შინა გეჴენისასა, რამეთუ ცეცხლსა შინა განწმედა არა იქმნების.

რამეთუ ცეცხლსა მას მეორედ მოსლვისათვს იტყვს, რომელი გამოჩინებად არს დღესა მას განკითხვისასა წინაშე საყდარსა ქრისტესა და არა თუ აწინდელისა ცეცხლისათვს, რომელსა იგინი აწვე განსანმედელად სულითა აღიარებენ, რამეთუ მოციქული ესრეთ იტყვს, ვითარმედ დღემან მან გამოაცხადოსო, რამეთუ ცეცხლითა გამოჩინებად არსო და არა განსანმედელისათვს, ვითარცა ჴგონებენ მოსაენი პაპისანი.

**XVII. თაჲი. სიტყჳსა მისთჳს, რომელი წერილ არს წმიდა  
სახარებასა შინა, ვითარჲედ ვერ გამოხვიღე მიერ, ვიდრე  
(89r) არა გარდაიწადო ყოველი იგი და კუალად ვითარჲედ ვერ  
გამოხვიღე , ვიდრე არა მისცა უკანასკნელი მწულილი.**

კუალად ბრძანებასა მას უფლისასა, რომელსა იტყვის სახარებისა იგავი-  
სა მიერ, ლათინნი ამასცა განსაწმედელსა ზედა მოიღებენ და ესრეთ ყოველსა  
საღმრთოსა წერილსა გარდააქცევენ და კუალად სხუად სახედ სთარგმნიან და  
წინააღდგებიან ყოველსა მართლგამომეტყუელთა წმიდათა მთარგმნელთა.

ხოლო ვისმინოთ იგავი იგი სამეუფო, რაჲსა ბრძანებს: „ემსგავსა სასუფ-  
ეველი ცათა კაცისა მეუფჳსა, რომელმან ინება სიტყჳსგება მონათა თვისთა  
და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს ერთი თანამდები ბევრისა ტა-  
ლანტისა და ვითარცა არარაჲ აქუნდა მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალ-  
მან განსყიდვა ცოლისა მისისა და შვილთა მისთა და რაჲცა აქუნდა მას და  
გარდაჲდად იგი“ (მათე 18,23).

თარგმანი: ვინ არს მეუფჳ იგი, არამედ მეუფჳ მეუფეთა და ღმერთი ღმერ-  
თთა, რომელსა ეგულვების განსჯა ყოველთა კაცთა და გამოძიებაჲ საქმეთა  
კაცად-კაცადისათა და მიგება თითოეულისა საქმეთა მათთაებრ, რომელთაცა  
არწმუნა სავაჭრო იგი ამას სოფელსა კაცად-კაცადსა ძალისაებრ, რომელ არს  
ღმრთისა მიერ მოცემული ნიჭნი, რომელთამე სიტყუა სიბრძნისა, რომელთამე  
განკითხვა სულთა, რომელთამე შეძლება საქმეთა და გუამისა სიმტკიცე და  
წელთა და ფერჯთა სიმარჯჳჳ და რომელთამე (89v) სიმდიდრე და საფასენი,  
რაჲთა კაცად-კაცადი შეენოოდის მოყვასსა თვისსა სულიერად, გინა ჳორციე-  
ლად და ნაკლულევანებასა მის მოყვასისასა აღავსებდინ, მეცნიერი უსწავ-  
ლელსა ასწავებდინ, ძლიერნი უძღურთა შეენოოდინ, მდიდარნი და ქონიერნი  
გლახაკთა და ნაკლულევანთა მისცემდინ სიტყჳსაებრ მოციქულისა: „ძმანო,  
თანა გუაც ჩუენ ძლიერთა უძღურებაჲსა მას უსუსურთასა ტვირთად და არა  
თავთა თვისთა სათნო ყოფად, რაჲთა კაცად-კაცადი მოყვასსა სათნო ეყოფო-  
დინ კეთილისათვის აღსაშენებლად“ (ჰრომაელთა 16,1).

ხოლო ოდეს იქმნეს გამოძიებაჲ საქმეთა და რომელთა ღმრთისა მიერი  
იგი მიცემული ნიჭნი კეთილად ეწმაროს, სასყიდელი მიიღოს მრავალწილად  
ღმრთისგან, ხოლო რომელთა კეთილად ვერ განეგოს, ვითარცა იგი სხუაჲსცა  
იგავსა შინა წერილ არს, სასჯელი ტალანტისა დამფლველისათჳს, იგივე შეემ-  
თხვოს ამასცა, ხოლო ესე წარმოუდგინეს უფალსა, რომელსა თანაედვა ბევრი  
ტალანტი. უბრძანა უფალმან განსყიდვა ცოლისა მისისა და შვილთა მისთა  
და რაჲცა აქუნდა გარდაჲდად იგი. ესე იგი არს, ვითარმედ რაჲდენნიცა ნიჭნი  
მოუცემიეს უფალსა ჩუენთვის, ხოლო ჩუენ თუ ბოროტად წარვაგებთ მას და  
მარტო თავთა ჩუენთათვის ვიწუმევთ და არა მოყვასთაცა სათნო ვეყოფით  
კეთილისათჳს აღსაშენებლად, ესე არს ტალანტისა დამალ(90r)ვაჲ და სასჯელ-

იცა მისი გულისწმაჲ-ყავ, თუ რაჲ შეემთხვა ბოროტსა მას მონასა, რომელმან იგი დამალა ტალანტი.

და რაჲჟამს იქმნეს გამოძიებაჲ საქმეთა კაცად-კაცადისათა, მაშინ ცოლიცა და შვილნი თუ ვინმე განყიდოს და რაჲცა აქუნდეს, ყოველივე მისცეს, ვერცა მით შემძლებელ არს მცირედისცა ცოდვითა გარდაჲდად, რამეთუ თანანარუვალ არს სასჯელი იგი, თჳნიერ მონყალებითა და სახიერებითა და მიტევებითა მოყუსისა თანანადებთათა. სხვთა არა რაჲთა შემძლებელ არს კაცი გარდაჲდად ბრალთა თჳსთა, ვითარცა თვთ თავადი უფალი ბრძანებს: „დავარდა მონა იგი, თაყვანისცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, უფალო, და ყოველივე მიგცე შენ, შეენყალა უფალსა მისსა მონა იგი და განუტევა იგი და თანანადებიცა იგი მიუტევა მას და ვითარცა გამოვიდა მიერ მონა იგი, პოვა ერთი მისთანა მონა, რომელსა ედვა მისი ასი დრაჰკანი, შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც, რაჲცა-იგი თანა-გაც. შეუვრდა მას მოყუასი იგი მისი, ევედრებოდა და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა და ყოველივე მიგცე შენ, ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წარვიდა იგი და შეაგდო საპყრობილესა, ვიდრემდის მისცეს მას თანანადებნი იგი“.

ხედავაა უწყალოებასა მას მონისასა, მან რავდენისა აურაცხელისა ტალანტისა შენდობა მიიღო, რომელი თანადევა უფლისაგან თვისისა, (90v) ხოლო ამან მცირეცა ესე არა მიუტევა.

„ხოლო იხილეს რაჲ მის თანა მონათა საქმე ესე, შენუხნეს ფრიად, მივიდეს და აუნყეს უფალსა მისსა ყოველივე იგი, რაჲცა იქმნა, მაშინ მოუნოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო, ყოველივე თანანადებნი შენი მოგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდი მე, არა ჯერ-იყოა შენდაცა, რაჲმცა შეინყალე შენ, შენ თანამონა იგი, ვითარცა მე შენ შეგინყალე“.

ესეცა იხილე, რაჲჟამს უწყალო იგი მონა, რომელმან მრავალთა ბრალთა მიტევება მიიღო ღმრთისაგან თჳსისა და მან მცირედიცა იგი არა მიუტევა და აუნყეს, რაჲ ესე უფალსა, რომელსა პირველ უწყებისაცა არა რაჲ დაეფარვოდა, მოუნოდა მას და ეტყვის: „მონაო ბოროტო, ჭეშმარიტად ბოროტ არს და უკეთურმან, რომელმან ვერ გულისწმაჲ-ყო სიმდიდრე მონყალებათა ღმრთისათა, რამეთუ მან მრავალთა და დიდთა თანამდებთა მიტევება მიიღო, ხოლო მან მცირე და უნდო არა მიუტევა, რამეთუ სხუაჲ არს შეცოდება ღმრთისა მიმართ და სხუაჲ არს კაცთა კაცისა მიმართ, რამეთუ იგი მეუფჳ არს და ჩუენ-მონანი, იგი ღმერთი არს და ჩუენ-კაცნი მოკვდაფნი, მინანი და მტუერნი, იგი შემოქმედი და ჩუენ მისნი შექმნულნი და რაჲ სწორება არს, თუცაღა ჩუენ ჩუენებრთა და ჩუენ ბუნებათა კაცთა მცირედი რაჲმე მიუტეთო, არამედ იგი დიდითა მით სახიერებითა თჳსითა მცირესა მიზეზსა ეძიებს ჩუენგან, რაჲთა მოგუცნეს დიდნი და აურაცხელნი მ(91r)ადლნი მისნი.

ხოლო ვინათგან ბოროტი იგი მონა უწყალო ექმნა მისთა მონასა და არა მიუტევა, ან სამართლად განურისხნა უფალი იგი მისი და მისცა იგი ჴელთა

მტანჯველთასა, ვიდრემდის გარდაიწადოს ყოველი იგი თანანადები მისი.

და კუალად ზემო წერილ არს: „იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუ უკუტ მოგცეს შენ წინამოსაჯულმან შენმან მსაჯულსა და მსაჯულმან- მსახურსა და საპყრობილედ შევარდე. ამინ გეტყვ შენ, ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი კოდრატი“ (მათე 5,25).

ეგრეთვე ლუკას შინაცა წერილ არს ესევე სიტყუა, ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწულილი“, ესე ყოველი, რომელი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა, იგი აქუსთ მიზეზად პაპის მოსავთა განსანმედელისა ცეცხლისათჳს და სიტყვითა ამით დიდად წინააღგვიდგებიან და ჰგონებენ, თუმცა ჩუენ სიტყუა არა რაა გუაქუნდა, არამედ მათ უფროსად არა რაა აქუსთ სიტყუა და ვერცა გულისწმაჲ ჰყოფიესთ, ვითარმედ ვიდრე და ვიდრემდის არა თუ დასასრულსა და ოხჭანსა მოასწავებს, არამედ დაუსრულებელობასა და საუკუნოსა საუკუნოვანსა ცხად ჰყოფს, ამისგან გეუწყოს ესე, რაჟამს ქრისტე ეტყოდა მონაფეთა თჳსთა: „აჰა, ესერა მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. მა(91v)შა ესეცა ეგრეთვე იქმნება სიტყვსაებრ მათისა: ქრისტე მეუფტ მონაფეთა თჳსთა და მოციქულთა თანა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა იქმნების განუშორებელად და შემდგომად აღსასრულისა ამის სოფლისა განუშორების მათგან და ყოველნი იგი აღთქმანი და სიტყუანი უფლისანი, რომელნი აღუთქნა, ტყუილ იქმნების, რომელნი იგი აღუთქნა, რაჟამს იგი ეტყოდა: „მნებავს, მამაო, რაათა სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ- თანა იყვნენ და რაათა ხედვიდენ დაბადებასა ჩემსა“ (იოანე 17,24). ესე და უმრავლეს ამისი წერილ არს, რომელი აღუთქუა მათთანა საუკუნოდ ყოფისა.

და კუალად წერილ არს წინასწარმეტყუელისა მიერ: „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა, დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერხთა შენთა“.

და მოციქული იტყვის: „რაჟამს განაქარვნეს ყოველნი მთავრობანი და ყოველნი ჳელმნიფებანი და ძალნი, რამეთუ ჯერ არს მისა სუფევა, ვიდრემდის დაისხნეს ყოველნი მტერნი მისნი ქუტშე ფერხთა მისთა“. ჰა, ცხადი და ჭეშმარიტი განმარტებაჲ, ვიდრემდის და ვიდრე. აქა განიხილე, რამეთუ ვიდრემდის დაისხნეს მტერნი ქუტშე ფერხთა თჳსთა, მუნამდე იჯდეს მარჯულ მამისა ღმრთაებისა წიალთა შინა და შემდგომად მტერთა ქუტშე ფერხთა დასხმისა არღარა იყოს მარჯუელ მამისა და აღდგეს წიალთაგან ღმრთაებისათა. და ვითარ იყოს ესე და ვითარ მოეზავების სიტყუა ესე.

ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ: „ვიდრე“ და „ვიდრემდის“ საუკუნოობს(92r)სა და დაუსრულებელობასა მოასწავებს, ეგრეთვე ცეცხლისა მისთჳს გეჰენისა გულისწმა-ჰყავ, „ვიდრემდის გარდაიწადოს“ და „ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწულილი, ვერ გამოხვიდო“. გულისწმაჲ ყავ, რამეთუ არა რაა შთაჰყუ-

ვების ცეცხლსა მას შინა, რაფთამცა მისცეს მას და გარდაიწადოს და უკეთუ შთაჰყუჴს რაჲმე, ვინა არს იგი, რომელსამცა მისცეს და უკუეთუ მისცეს, რაჲ არს მისაცემელი იგი და საწმარი, რამეთუ დავით იტყჴს: „არა მისცეს ღმრთისა საწმარი თჴსი და სასყიდელი სულისა თვისისა“.

და უკეთუ სხუად რაჲმე უნივთო სათნოებათაგანი შთაჰყუჴბის ჯოჯოხეთს შინა და არცა ესე არს საკვირველ, რამეთუ არავინ არს ცოდვილი, თუმცა ერთიცა კეთილთაგანი არა ექმნას, ვითარცა იგი არცა მართალი, თუმცა არა რაჲ ბრალი აქუნდა, უკეთუ ცოდვილსა თუ რაჲმე მცირედი კეთილთაგანი ჰგონებოდა და მას მოჴწდინ და მისგან მიმძლავრებულთა მისცემენ. იგი უმეტესად შიშუჴლი და ცალიერი დაშთების ცეცხლსა მას შინა გეჴენისასა და უფროსად ვერღარა გამოვალს მიერ და საუკუნო ექმნების სატანჯველი იგი და არა თუ გამოვალს და განწმდების, არამედ საუკუნოდ დაშთების და მრავალი ესევეთარი გეჴოოს საღმრთოთა წერილთა შინა „ვიდრე“ და „ვიდრემდის“, რომელი არა დასრულებადსა, არამედ დაუსრულ(92v)ებლობასა მოასწავებს.

**XVIII თავი. სიტყჴსა მისთვის, რომელსა იტყჴან მოსაჴნი პაპისანი, ვითარჲედ გან-რა -ვიდენ სულნი ჴორცთაგან, ანჴი მიწევიან აღგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა მართალნი სასუფავლად დაენასეპიან, ხოლო ცოდვილნი ჴოჯოხეთსა შინა პირველ ჴორცთ შამოსისა და არღარა იქმნების მათი გამოჴყანებაო.**

ხოლო ჩუენ ამის ყოვლისათჴს ერთჴმაჲ ვართ ბერძენთა თანა და წინა აღუდგებით ზრახვათა მათთა შედგომილნი კუალსა წმიდათა მამათასა მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და მრავალთა მონამეთა მოვიხუამთ ძუჴლისა და ახლისათა პირის დასაყოფელად მათდა, რამეთუ სულნი ამიერ წარსრულნი გან-რა-ვიდენ ჴორცთაგან, ჴემმარიტად მისვე ჟამსა შინა მიწევიან მართალნი კეთილთა მათ შინა ჴეცისათა სავანესა მართალთასა ღირსებისებრ და საზომისა ადგილთა მათ შინა ნათლისაათა, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთისა სატანჯველთა შინა. იგიცა საზომისაებრ კაცად-კაცადისა ცოდვილთასა სულნი ოდენ მარტონი და არა ჴორცნიცა, რამეთუ ვინათგან სულნი და ჴორცნი ერთად შეაუღლნა უფალმან, სულსა ვერ ძალუც უჴორცოდ, არცა კეთილი, არცა ბოროტი, ვითარცა იგი არცაღა ჴორცთა, თჴნიერ სულისა (93r), რამეთუ სამსჯავრო იგი საშინელ არღა ქმნილ არს და მიგება ღირსებითი კაცად-კაცადისა საქმეთაებრ, რომელი ჴორცითა ამით იმუჴაკეს და ვიდრე აღსასრულამდე გამოჩინებადთა წმიდათათჴს, რამეთუ აღვსება ჯერ არს ჴენა სოფლისა სიტყჴსაებრ გრიგოლი ღვთისმეტყელისა.

ისმინეთ მოციქულისა პავლესი, რაჲსა ჴმობს: „რამეთუ ჩუენ ყოველნი

განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესითა, რაითა მოიღოს კაცად-კაცადმან ჴორცთა ამათგან, რაჲცა-იგი ქმნა, გინათუ კეთილი, გინათუ ბოროტი“, რამეთუ ვიდრემდის ჴორცი არა შეემოსნენ სულსა უხრწნელნი, მუნამდე ღირსებითი მისაგებელ არა იქმნების. არცალა ჯერეთ უკანასკნელ გამოჩინებადნი წმიდანი სრულ ქმნილ არიან სიტყვსაებრ მოციქულისა: „და ესე ყოველნი ინამნეს სარწმუნოებითა და არა მოიღეს აღნათქვამი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთს უმჯობესი წინასწარ განიგულა, რაჲთა არა თვნიერ ჩუენსა სრულ იქმნეს“.

რამეთუ ღმერთმან, ვითარცა წინასწარმეცნიერმან ყოვლისამან, წინასწარ განიგულა უკანასკნელ გამოჩინებადთა წმიდათა და სათნო ყოფილთა მისთათს და ალოდინებს პირველ ჩუენსა წარსრულთა წმიდათა, ვიდრე მეორედ მოსლვადმდე, რაჲთა ერთბამად გვრგვნოსან-ყვენს და ერთად ადიდოს. ოდეს ჴორციცა ესე მოკდავნი სულსა თანა დამაშურალნი შეემოსნენ და უმეტესი ბრწყინვალება და დიდებაჲ მიენიჭოს და მათნი იგი მტანჯველნი უსჯულონი უმეტესად სირცხვლეულ იქ(93v)მნენ და დაისაჯნენ, რაჲამს ესენი იდიდენ და იგინი შეურაცხ-იქმნენ.

რამეთუ ჯერეთ აბელ მართლისა ჴორცი ქუეყანასა ზედა მდებარე არიან, ეგრეთვე მკულელისა მისისა კაენისი იგიცა ქუჭყანასა ზედა მდებარე არს და თითოეულად ყოველნი, რომელნი მოსწყდეს ღმრთისათს და არლა მოუღეს აღნათქვამი იგი, რაჲთა არა თვნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ.

ვითარცა კათოლიკეთა შინა იუდასთა წერილ არს: „წინასწარმეტყუელთა მაშინ მეშვიდემან ადამისითგან ენუქ და თქუა: „აჰა, ესე რა მოვიდა უფალი ბევრეულთა წმიდათა მისთათა, ყოფად სასჯელისა ყოვლისა თვისვე და მხილებად ყოველთა უღთოებათა მათთა, ყოველთათვის საქმეთა უღმრთოებისა მათისათა, რომელნი უშჯულოებდეს და შემდგომი“ (კათოლიკე იუდა 1,14).

აჰა, ცხად იქმნა, რამეთუ ჯერეთ არა ქმნილ არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, არცა წმიდანი ღირსად დიდებულან, არცა უღმრთონი ჯეროვნად დასჯილან, არცა უფალი მოსრულ არს ბევრეულითა წმიდათა მისთათა, არცა უღმრთოთა მხილებით სასჯელი მიჰგებიეს.

იხილეთ, რამეთუ ჯერეთ არა სრულქმნილ არიან წმიდანი. განიცადეთ საქმენი ელიასნი, ვითარ აღიტაცა ჴორცითა ეტლითა ცეცხლისათა, რეცა ზეცად და ჰგებეს მეორედ მოსლვასა უფლისასა ენუქისთანა, რამეთუ იგიცა აღტაცებულ არს ჴორცითა, ვითარცა (94r) წერილ არს: „ენუქ სათნო ეყო უფალსა და არღარა იპოვა, რამეთუ გარდასცვალა ღმერთმან“. ესენი კუალად მოსლვად არიან მცირედ უწინარეს მეორედ მოსლვისა, ამათ ეგულებს ჟამსა მას უკანასკნელსა წამებად, ვითარცა ბრძანებს ქრისტე: „ელია მოვიდეს და კუალად აგოს ყოველი“ და კუალად წერილ არს გამოცხადებასა შინა, ვითარცა იგი იხილნა ღვთისმეტყველმან იოანემ: „ორნი ზეთის ხილნი და ორნი სასანთლენი მდგომარენი წინაშე ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა“ (გამოცხადება 11,4;

ვიდრე მე-13, 4 რიცხვ). ესენი არიან ორნი იგი მოწამენი ენუქ და ელია მითვე ჯორცითა არიან და ჟამსა მას უკანასკნელისა მოსლვად არიან და წამებად და კუალად განცხოველებად და აღდგომად და ამალლებად ზეცად, ვითარცა შედგომითი-შემდგომად მოიხსენებს გამოცხადებაჲსა მას შინა.

უკეთუ ესენი ჯერეთ ჯორცითა არიან, სადა იგი არიან ადგილთა მათ შინა ნათლისთა და კუალად ეგულვების მოსლვა და წამებად და კუალად სრულება-სა ელიან მხოლოდ სულნი ამიერ წარსრულნი, ვითარ მიიღებენ მისაგებელსა პირველ-მეორედ მოსლვისა, ვითარცა წერილ არს: „ვითარმედ ჯერ არს ხრ-წნილისა ამის შემოსად უხრწნელება და მოკვდავისა ამის შემოსად უკვდავება“ (I კორინთელთა 13,53). ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ ჯერეთ არა წარდგომილ ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, არცა გახრწნადთა ამათ ჯორცთა შეუ-მოსია უხრწნელება, არცა მოკვდავსა უკვდავება, (94v) არცა მრჩობლ მისაგე-ბელი მართალთა და ცოდვილთა, დალაცათუ სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღმრთისათა არიან, ვითარცა წერილ არს და სიხარულსა შინა გამოუთქმელსა იშუჭბენ, ცოდვილთა სულნი სიღრმეთა შინა ჯოჯოხეთისათა იტანჯებიან, არამედ კერძობით და არა სრულებით, რამეთუ მართალნი ელიან უზეშთაეს-სა დიდებასა და ბრწყინვალებასა, ხოლო ცოდვილნი – უმწარესსა დასჯასა და უსასტიკესსა სატანჯველსა და ესრეთ ჯერ არს, რამეთუ რაჟამს იქმნეს საშინელი იგი მეორედ მოსლვა ქრისტესი და ცა და ქუეყანა განახლდენ და ან-გელოზნი და კაცნი ზოგად შემოკრბენ და მოკვდავმან ამან შეიმოსოს უკვდავ-ება და ხრწნილებამან – უხრწნელება, მაშინ იქმნას მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, რაჲთა ყოველთა მიერ სახილველ იყოს მართალთა ბრწყინ-ვალებად და ჯეროვანი მისაგებელი ეგრეთვე ცოდვილთა დასჯა და სირცხ-ვილი საუკუნო, ვითარცა იგავთა შინა წერილ არს: „მაშინ დადგეს მართალი განცხადებულებითა დიდითა წინაშე პირსა მაჭირვებელისა თვისისა და ამხ-ილებდეს პირ-პირ“. და კუალად მოციქულიცა ესრეთ ჴმობს: „უკეთუ სამარ-თალ არს ღმრთისა მიერ მიგებად მაჭირვებელთა, თქვენთა ჭირი და თქვენ, ჭირვეულთა, ლხინი ჩუენ თანა, გამოჩინებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ზეცით ანგელოზთა თანა ძლიერებისა მისისათა (95r) ცეცხლითა ალისათა მიგებად შურისგებისა“ (II თესალონიკელთა 13,41). ამით საცნაურ არს, რამეთუ ჯერეთ არა ქმნილ არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, არცა მაჭირვებელთა წმიდათასა ჭირი, არცა ჭირვეულთა მართალთა ლხინი, გამოჩინებასა მას უფლისასა, არცა არს ჯერეთ საუკუნო ჯოჯოხეთი, რა-მეთუ არცა ცოდვილთა ასმიეს ჴმაჲ იგი, თუ „წარვედით ჩემგან, დაწყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა“, არცა მართლითა, ვითარმედ: „მოვედით კურთხ-ეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ თქუენთვის განმზადებულნი“.

რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ოდეს დაჯდეს საყდართა ზედა, მაშინ ჰრქუას, არა თუ აწვე, არამედ მაშინ ჰრქუას მეუფჴმან, ოდეს დაჯდეს საყდ-ართა ზედა, არცა სმენილ არს ესე, ვითარმედ ინაწიდგმიდენო აბრაამის თანა,



ისააკის თანა და იაკობისთანა სასუფეველსა მამისა მათისასა.

კუალად წერილ არს სახარებასა შინა, ვითარმედ: „მოავლინეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თჳსნი და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულებისნი და შესთხინენ იგინი საწმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა, მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე სასუფეველსა მამისა მათისასა“ (მათე 13,31).

კუალად ბრძანებს: „ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა, რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორენ უკეთურნი იგი შორის მართალთა და შესთხინენ იგინი შორის საწმი(95v)ლსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“ (მათე 13,39). ესე ყოველნი ესრეთ მოასწავებენ და ესრეთ მზისა უბრწყინვალესად ქადაგებენ, ვითარმედ ჯერეთ მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა არა ქმნილ არს, არცა სრული სულით და ჯორციით მრჩობელი სიხარული მართალთა, არცა სჯა ცოდვილთა. და ვითარ იყოს ესრეთ პირველმეორედ მოსლვისა, დაღაცათუ ან სულნი ოდენ არიან თითუჭული თვისსა ადგილსა ცოდვილთანი ქუჭსკნელს, ხოლო მართალნი – ზეცას, არამედ მოელიან თვთეულნი ჯორცთა შემოსასა და მით სრულსა მისაგებელსა.

ვითარცა დასწერს მახარებელი იოანე, ვითარმედ: „ვიხილენ სახურთხეველსა ქუჭმე სულნი იგი მოკლულნი სიტყვსათვის ღმრთისა და წამებისათვის, რომელ აქუნდა და ჳმაჲ ყუჭს ჳმითა დიდითა და თქუჭს, ვიდრემდის, მეუფცო წმიდაო და ჳმმარიტო, არა სჯი სისხლთა ჩუენთა მკვიდრთაგან ქუეყნისათა? და მეცა თითოეულსა სამოსლები სპეტაკები და ჰრქუა მათდა მიმართ, რაითა განისუჭნონ მცირედთა ჟამთა, ვიდრემდის აღესრულნენ მათ თანა მონანი და ძმანი მათნი და რომელთა ეგულვებოდა სიკუდილი, ვითარცა მათ“ (გამოცხადება 6,9).

და კუალად წერილ არს მასვე გამოცხადებასა შინა: „მოვიდა რისხუა შენი და ჟამი მკუდართა სჯისა და მიცემად მონათა შენტა სასყიდელი წინასწარმეტყუელთა და წმიდათა მოშიშთა სახელისა შენისათა“ (გამოცხადება 11,18).

და კუალად წერილ არს: „და მრქუა (96r) მე ანგელოზმან მან, რომელი მიჩუენებდა ამათ ყოველთა: ნუ დაბეჭდავ სიტყუათა წინასწარმეტყუელებისა ამის წიგნისათა, რამეთუ ჟამი ახლოს არს, უსამართლო იგი უსამართლოებდინ ჯერეთ და შეგინებული იგი შეიგინებოდენ ჯერეთ და მართალნი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ და წმიდაჲ იგი წმიდაჲ იქმნებოდენ ჯერეთ. და აჰა, მოვალ ადრე და სასყიდელი მივაგო საქმეთა მათთაებრ“ (გამოცხადება 22,10). ამათ ყოველთა წამებათაგან ჳმმარიტ იქმნა, ვითარცა არს ჳმმარიტ და უცილობელ სიტყუაჲ იგი პავლესი, ვითარმედ არღა მოუღეს აღნათქუმი იგი წმიდათა, რაითა არა თჳნიერ ჩუჭნსა სრულ იქმნენ, ვითარცა იგი ზემოთაცა მოვიხსენეთ.

იხილეთ, მართლმადიდებელნი, რავდენი წამებანი წმიდათა წერილთაგან შემოვიხუჭნ და უმრავლესსა თანანარვჯედ, რომელნი ჳმაჲ მაღლად ქადაგებენ

და ცხადად მოასწავებენ, ვითარმედ ჯერეთ არა არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, არცა მისცემია სრულებით მისაცემელი შრომათა მათთა, არცა ჯერეთ ცოდვილთა სრულებით მიგებიეს მისაგებელი მათი. არცა ვიტყვ ამას, თუმცა არა იტანჯებოდეს ცოდვილნი, ანუ არა იხარებდეს მართალნი, არამედ ზოგებით და კერძოებით, რამეთუ შეუღლვილნი ჯორცნი მათნი, რომელი თანაერთნება იყო კეთილისა მიმართ და ბოროტისა, ჯერეთ აქავე არიან. მართალთა და ცოდვილთა უღთოთა და წმიდანთა მოციქულთა და მონამეთა და მტანჯველთა და მომწყუჭდილთა მათთა მეფეთა (96v) მათ უსჯულოთა. დაღაცათუ იგინი ზეცას იხარებენ და ესენი ქუჭსკნელს იტანჯებინ, არამედ მარტო სული ოდენ და არა ჯორცნიცა, რამეთუ რომელმან სული დაჰბადა, მანვე ჯორცნიცა და არცა ერთი ამთგანი განქარდების, დაღაცათუ მცირედ ჟამად განიხნრების, არამედ კუალად განახლდების, ვითარცა წერილ არს: „მოული სული მათი, მოაკლდიან და მინადვე თვისად მიიქციან. გამოავლინო სული შენი, დაჰბადნე იგინი, განახლო პირი ქუეყნისა“ (ფსალმუნი).

და კუალად წერილ არს: „დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნილებით, დაეთესვის გინებით და აღდგების დიდებით, დაეთესვის უძღურებით და აღდგების ძლიერებით, დაეთესვის ჯორცი მშვინვიერი და აღდგების ჯორცი სულიერი“ (I კორინთელთა 15,32).

რამეთუ ჯერეთ ჯორცნი არა აღდგომილ არიან და არცა აღსასრული და მიგება კაცად-კაცადისა.

იხილეთ, ძმანო, სადა ჩანს აქა, აწვე მიგება მართალთა და ცოდვილთა და დასჯა საუკუნო უღთოთა და სრული სასყიდელი წმიდათა?

არამედ გულისწმად-ყავთ და ჭეშმარიტად უწყოდეთ, ვითარმედ პირველ აღსასრულისა და საშინელისა მეორედ მოსლვისა არა იქმნების სრული მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, ვითარცა ვთქუ, ვიდრე ჯორცნი ესე, რომელი დასაბამისა დამბადებულმან მისმან სულსა თანა კეთილად შეაუღლა, ვიდრე არა შეემოსნენ რომლითაცა სიმართლე ჰ(97r)ქმნეს, ანუ ცოდვა სრულებით მისაგებელი არა იქმნების.

ხოლო ოდეს იქმნეს მეორედ მოსვლა ქრისტესი საშინელ და საყვრსადაეცეს და მკვდარნი აღდგენ და ხრწნილებამან ამან შეიმოსოს უხრწნილება და მოკვდამან ამან – უკვდავება, მაშინ მიეგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ, ვითარცა წამებენ ყოველნი საღმრთონი და ღვთივსულიერნი წერილნი წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთანი და წმიდათა ღმრთისმეტყუელთა მოსწავებანი და უწყებანი და თვთ თავადისა ქრისტეს ჭეშმარიტისა მის ღმრთისა ჩუენისა ბრძანებანი.

ხოლო რომელთა ესე ესრეთ არა სწამს და ესრეთ არა აღიარებს, შეცთომილ არს იგი გზისაგან წრფელისა და განვრდომილ არს მართლისა სარწმუნოებისაგან და ვიტყვი, ვითარმედ ეშმაკთაცა უძვირეს არს კაცი იგი, რომელი ესრეთ არა აღიარებს და აწვე იტყვან პირველ განჩინებულისა მის

ჟამისა სრულებით მიგებასა მართალთა და ცდომილთასა, რამეთუ ეშმაკნი რაჟამს განასხნა კაცთაგან უფალმან, ევედრებოდა ოდეს და ეტყოდეს: „რად ეს ჩუჴნი და შენი იესუ, ძეო ღვთისაო, მოხუედა აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუჴნდა“ (მათე 8,29), რამეთუ უწინარეს ჟამისა აღსასრულისათჳს თქუა, რამეთუ მის ჟამისაგან ეშინისთ, რამეთუ მუნამდე არცა არიან სრულიად შეწყუდეულ, არამედ მცირედნი ოდენ მიზეზნი პირველისა განდგომილები-სანი, ხოლო ჟამსა მას აღსასრულისასა ეშმაკთაცა გარდაუნყდ(97v)ება და უძვირესად დაისჯებიან, შეიწყუდევიან სიღრმეთა შინა ჯოჯოხეთისასა და ვერღარა ჴელენიფების ვნებად კაცთა, არცალა ქუეყანასა ზედა ქცევად, ამისთჳს ვიტყვი, ვითარმედ, ეშმაკთაცა უძრეს არს კაცი იგი, რომელი ესრეთ არა აღიარებს, რომელი ზემო აღვსწერეთ და უკუეთუ მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა არა რწამს, გარე ეშმაკთა ირწმუნონ, რომელი ჴამამლ-ლად ღაღადებდეს: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, მოსრულ ხარ უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“ და თქუნ, ვითარმედ უწინარეს ჟამისა მის არა იქმნების მისაგებელი, არცა სახელიდების საუკუნო ჯოჯოხეთი.

და რომელსა ესრეთ არა რწამს და იტყვს, ვითარმედ აწვე სრულებით მიეცემის საქმეთა მათთაებრ. ჴკაცი იგი არცა აღიარებს მკვდართა აღდგომასა, არცა მისაგებელსა მართალთა და ცოდვილთასა, არცა ჴორციელთა უხრწნელ ყოფასა, რომელი დაჴბადა ღმერთმან და ღიღითა სიბრძნითა შეაუღლა უხილავსა სულსა, რაჲთა ერთბამად იღიდნენ კეთილისათვის, გინა ერთბამად დაისაჯნენ ბოროტისათვის.

ჴუალადცა ვიტყოდი, უკუეთუ აწვე იქმნების მისაგებელი მარტოდ სულსა, რასათჳსლა მეორედ მოსლვა ქრისტესი, აწუ რაჲსათვისლა აღდგომანი მკუდართა და აწუ რაჲსათჳს შრომანი და მოღვაწეანი წმიდათანი? და უკუეთუ ჴორცინი არა აღდგები(98r)ან და უკუეთუ იქმნების აღდგომა მკუდართა და ჴეშმარიტად იქმნების ჴორცთა ამათ შემოსა და უხრწნელ ყოფა მართალთა და ცოდვილთა, ვერღა სახელიდების საუკუნო ჯოჯოხეთი, ვინათგან მაშინ იქმნების ყოველთა ქუესკნელს დასჯილთა სულთა გამოსლვა და ჴორცთა შემოსა, ვინათგან ჴეშმარიტად ესე ესრეთ იქმნების, რაჲსათჳსლა სახელსდებენ საუკუნო ჯოჯოხეთად და იტყვან, არღარა იქმნების მათი გამოსლვაო. ესრეთ ყოველთა სიცრუეითა საესე არიან და გარდააქცევენ ყოველთა საღმრთოთა წერილთა და ესე არს ნება მათი, რაჲთა ყოველი წინააღმდეგომი თქუან და თვთ განანესონ ყოველი ახალი სჯუელი გარეშე მოძღვრებისა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა და ყოველთა ასწავონ ღმერთად აღსარებაჲ პაპისა და თაყუანისცემა და ამით შეაცთუნონ ყოველი კაცი და დაამორჩილონ ბრძანებლსა მისსა და ყოველი მისი განწესებული ითქუასა ჟამსა ქუეყანასა და დაიწსნას ყოველი განწესებაჲ წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებათა.

**XIX თაჲი. სიტყჲსა მისთჲს, რომელსა იტყჲან ლათინნი,  
პითარქედ ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შესრულ  
არსო.**

კუალად ამასცა იტყჲან სახეთა თანა გმობათა, ვითარმედ ქრისტე მე(98v) უფე საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა არა შთასრულ არსო და უკეთუ მუნ შთასრულ იყო, ვერცალა იგი გამოვიდოდაო, შ, გმობაჲ დიდი და პირი უსირცხვილოჲ, რომელი ესრეთ ზრახუტჲნ ქჲშმარიტად: სამარე ზე აღებულ არს ჯორჯი მათი, ენითა მათითა ზაკვდეს“ (ფსალმუნი). სად არს იგი საუკუნოჲ ჯოჯოხეთი, ანუ რომელი არს იგი ადგილი, რომელსა შინა ქრისტე არა მიწვენულ არს და თუმცა მიწვენულ იყო, ვერლარა გამოვიდოდა? ჯერეთ ეშმაკნი არა არიან მას შინა შეწყულ და ვერცა იპყრობს მათ და ქრისტე გარეშემოუნერილი იგი ძედ და სიტყუაჲ მამისა, თუმცა შთასრულ იყო, ვერლარა გამოვიდოდაო.

ეშმაკნი ღალადებდეს და იტყოდეს: „იესო, ძეო ღმრთისაო, მოხუტდ უნინარეს ჟამისა წარწყმედად ჩუტნდა“ (მათე 8,29). ეშმაკნი უნინარეს ჟამისა არა არიან წარწყმედულ, ვითარცა თვთ აღიარებდეს, არამედ ჯერეთ ქუეყანასა ზედა იქცევიან, ხოლო თუ ქრისტე მიწვენულ იყო, ვერლარა ძლეულ ედვა გამოსლვაჲ? ეშმაკნი, რომელნი დასაბამითგან ჩუენისა წარწყმედისა მიზეზნი არიან და აცთუნებენ კაცთა, იგინი ჯერეთ ქუეყანასა ზედა იქცევიან და სულნი კაცთანი აწვე პირველ-მეორედ მოსლვისა შეიწყუდევიან საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა და ვერლარა (99r) გამოვლენ?

დალაცათუ იუდა მოციქული იტყჲს ვითარმედ: „ანგელოზნი, რომელთა იგი არა დაიმარხეს თჲსი იგი სამთავროჲ, არამედ დაუტევეს სამკვდრებელი მათი სასჯელად დიდისა მის დღისა საკვრველებით მით სამარადისოთა, წყუდიადსა ქუტჲმე დამარხნა“ (კათოლიკე იუდა 1,6).

ესენი, რომელნი მოციქულმან მოიჲსენნა, პირველნი მთიებნი არიან, მთავარნი უწორცოთა დასთანი, რომელთა იზრახნეს პირველნი განდგომილებაჲ, იგინი არიან წყდიადსა შინა დამარხულნი საკვირველებითა სამარადისოთა, შეკრულნი სასჯელად დიდისა მის დღისა, ესე იგი არს ვითარმედ დღესა მას დიდსა სასჯელისასა მათიცა ჯერ არს გამოსლვაჲ, ვითარცა წერილ არს: „და შემდგომად ათასისა მის წლისა განიჲსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თვისისა და გამოვიდეს ცთუნებდ წარმართთა“ (გამოცხადება 20,7). ხოლო სხუაანი მიმდგომნი დასნი მისნი ქუეყანასა ზედა იქცევიან და რომელნი ჰჲერთა შინა, ვიდრე მეორედ მოსლვამდე. მაშინ მცირედ ჟამ იგინიცა განიჲსნებიან და აღმოვლენ უფსკრულით, ვითარცა მოვიხსენეთ და მერმე საუკუნოდ შეიწყუდევიან და დაშთებიან მას შინა, ხოლო სულნი ცოდვილთანი იქმნებისა, რაითამცა არლარა გამოვიდა ჯოჯოხეთით, გინა თუ პირველ მეორედ მოსლვისა ლოცვითა და ქუელის საქმითა, გინა თუ დღესა მას მეორედ მოსლვისა, რაითა მიეგო ღირსად საქმითა თჲსთაებრ და უკეთუ იქმნებისა გამოსლვა,

რამათა (99v) ზოგად მიიღონ მისაგებელი სულთა და ჯორცთა, ვითარცა წერილ არს: „და მოსცა ზღუამან მას თანა მკვდარნი, რომელნი იყუნეს მას შინა და სიკუდილმან და ჯოჯოხეთმან მოსცინეს მკუდარნი, რომელნი იყუნეს მათ შორის და განისაჯა თითოეული საქმიტაებრ თვისთა“ (გამოცხადება 20,13).

ან სადალა იყოს საუკუნოჲ ჯოჯოხეთი სიცბილისაებრ მათისა, რომელსა შინა არღარა იყოს სულთა მათ დასჯილთა გამოყვანებაჲ და არცალა ქრისტე მინევენულ არს და ვითარმე იყოს ესე?

რაისათჳს იტყვს წმინდა მოციქული პეტრე ქრისტესთჳს: „მოკუდა ჯორცთა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და იქადაგა, რომელი იგი ურჩ ოდესმე იყუნეს, რაჟამს ერთგვის თავს-ედვა სულგრძელობაჲსა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოესთა, შემზადებაჲსა მას კიდობნისასა“ (I კათოლიკე პეტრესი 3,19). ამას არა ხოლო თუ მართალთა და ღირსთათს იტყვს, არამედ ურჩთა და გარდამავალთა და ცოდვილთათვის, რომელნი უშჯულოებათა შინა აღესრულნეს, რომელნი პირველ წყლით რღვნისა ნოეს-ზე ვინ იყუნეს მორწმუნენი, თვნიერ ერთისა მის ნოესა, რომელსა ეტყოდა ღმერთი, ვითარმედ: „შენ მხოლო იპოვე მართალ ქუეყანასა ზედა წინაშე ჩუენსა“, რამეთუ განხრწნილიყო ყოველი კაცი წინაშე ღმრთისაჲ. ამისთჳს ავოცა უფალმან ყოველი აღმდგომი, ვითარცა წერილ არს, ხოლო ვინ იყუნეს მათსა უუ(100r)შჯულოესი, რომელთა იგი შექმნა და დაბადებაჲ შეინანა ღმერთმან, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „შევიანე, რამეთუ შევექმენ კაცი“, ანუ ვინმცა იქმნებოდა მათ უმძვინვარესა და უსასტიკესა ტანჯვასა და ჯოჯოხეთსა შინა, რომელი მოიხსენა მოციქულმან ნოეს-ზე მყოფთა უშჯულოთა, რომელთა თანა შთასვლასა ჳმობს ქრისტესა და საპყრობილესა სულთა უწოდებს და მათ შორის ხარებასა. ვჰკითხოთ მათ, რომელ არღარ არს ამისა უბოროტესი სხუაჲ საუკუნო ჯოჯოხეთი, რომელსა შინა არცა ქრისტე მისრულ არს, არცალა იქმნების გამოჴსნა სულთა მუნ შეყენებულთა მრავალთა ქუჭლის საქმიტა და აურაცხელითა მონყალეებითა ღვთისათა.

ხოლო ვთქუათ უკუჴ, ვითარმედ მეუფჴსა ქრისტესა უკეთუ ღირსნი ოდენ და წმიდანი გამოეჴსნა ჯოჯოხეთით, რაჲ იყო საკვირველ. ანუ რაჲ სასწაული უცხოჲ, ანუ მონყალეებაჲ ღმრთისაჲ უსაზღვროჲ?

არამედ შთა-რე-ჴდა უფალი ქუესკნელთა შინა მუ<sup>13</sup> შეყენებულთა მიჰფინე ნათელი და ახარა მყოფთა მას შინა და ქადაგა ღთაებე თვისი, ვითარცა იგი ქუეყანასაცა ზედა, ხოლო რომელთაცა რწმენა, იგინიცა აღმოიყვანა, ვითარცა წერილ არს: „რაითა სახელისა მიმართ იესუ ქრისტესა ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუჭსკნელისათანი და ყოველმან ენამან აღუარო მას“ (ფილიპელთა 2,10). ამას სიტყუასა ზოგნი ვინმე ე(100v)სრეთ სთარგმნიან, ვითარმედ რაჟამს იქმნეს მოსლვა ქრისტესი მეორედ საშინელებით და აღდგეს მკვდარნი, მაშინ იხილონ, რაჲ უფალი დიდებით

<sup>13</sup> ხელნაწერში მითითებულია ამ ფორმით

მოსრული მკვიდრთა ზეცისათა და ქუეყნისათა და ქუესკნელისათა იცნან ღვთაებაჲ მისი და მაშინ ყოველმან ენამან აღუვაროსო, რამეთუ ესრეთცა იქმნების მას ჟამსა შინა, ვინათგან იხილვენ ღვთაებასა მისსა, არამედ სიტყუასა ამას მოციქული უმეტესად ჯოჯოხეთს შთასლვისათჳს უფლისაჲ იტყვის, რათა სახელისა მიმართ იესუ ქრისტესა ყოველი მუჭლი მოდრკეს, ვითარცა ზეცისათან<sup>14</sup> და ქუეყნისათანი, ეგრეთცა ქუესკნელისათანი და ყოველმან ენამან აღუვაროს მას. ისმინე გულისმოდგინედ და მე გაუწყო ყოველივე, რაოდენი საღმრთოთა წერილთაგან გამოვიძიენ და მისნუთა უცები გონებაჲ ჩუენი. იგი აღვსწერო და არა გარდაეჭდე საზღვარსა მათსა. მოციქულისა სიტყუაჲ გესმა, ვითარ იტყვს ყოვლისა მუჭლისა მოდრეკასა და ქუესკნელს შინა აღსარებასა, ვინათგან წინასწარმეტყუელი დავით იტყვს: „სიკუდილსა შინა ვინ მოგიწსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“, ხოლო არა წინა აღუდგების მოციქული სიტყუასა მას წინასწარმეტყუელისასა, არამედ ფრიადცა დაამტკიცებს, რამეთუ ვიდრე ქრისტეს მოსლვამდე არა იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსრებაჲ, არამედ იქმნ(101r)ნა, რაჲ დიდი იგი განგებულებაჲ ღმრთისა სიტყვსა განწორციელებაჲ და ჯუარი და სიკვდილი და შთა-რ-ჴდა ქუესკნელს პყრობილთა მიმართ და ჰქადაგა მუნ შინა შეყენებულთა მიმართ, მაშინ აღუარეს და მოუდრკეს მუჭლნი ქუესკნელთა შინა მყოფთანი, ვითარცა ზეცისათანი და ქუეყნისათანი, ეგრეთცა ქუესკნელისათანი და რომელთაცა აღუარნეს, იგინიცა აღმოიყვანა, არამედ არა ყოველნი, რომელნიცა არა მორწმუნე ექმნეს ამის სიტყვსა უვრცელესი განმარტებაჲ წმიდა იოანე დამასკელისა მიერ თქმული მცირედ ქუჭმორე აღვსწერო, რაჲთა უმეტეს სარწმუნო თქვენდა იქმნეს, ხოლო ან პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, რაჲთა ჩვენ მიერცა გეუწყოს ძალი ამათ სიტყუაჲთა.

ხოლო ვინ იყუნეს, რომელნი არა მორწმუნე ექმნეს, ვინათგან ნათელი იგი თვალით შეუდგამნი შთაჴდა პყრობილთა მიმართ ქუესკნელსა ბუნებითა და აწრდილთა სიკდილისათა და ქადაგა და მუნ შეყენებულთა მიმართ მოვიწსენეთ მოციქულისა პეტრეს მიმართ თქმული, ვინ იყო სად დაბნელებული და დანათქმული ურწმუნოებითა, ეგე ერსა სასჯელსა შინა მყოფი და არა შეინწყნარებდა მისლვასა მისსა, ანუ არა აღიარებდა ღვთაებასა მისსა, ანუ არა მო(101v)ოდრეკდა<sup>15</sup> მოჭლთაჲ.

რამეთუ არა უჭმდა ქადაგებაჲ დიდსა აბრაჴამს, არცა ისააკს და იაკობს, არცა ნოეს და იობს, არცა სხუათა მათ წინასწარმეტყუელთა და მართალთა, რამეთუ შორითვე ხედვიდეს იგინი მოსლვასა მისსა და ჯოჯოხეთს შინაცა მიწვევნასა მათდა მიმართ და რადაღა უჭმდა ქადაგებაჲ ანუ მუნ მიწვევულსა მათდა მიმართ, ვითარ არა იცნობდეს, არამედ თავადი ბრძანებს: „არა მოვედ ნოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“, რამეთუ მუნცა ნოდებად ცოდვილთა

<sup>14</sup> ხელნაწერში მითითებულია ამ ფორმით

<sup>15</sup> ხელნაწერში მითითებულია ამ ფორმით

შთავიდა და ქადაგა, რომელმან ურჩ ოდესმე იყუჩეს ნოეს-ზე შემზადებასა მას კიდობნისასა. ესე ვითართა უღმრთოთა შორის ქადაგა და რომლისაჲთჳს არა შეინწყნარეს, არამედ მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ეშმაკნი მუნ მყოფნი, რომელთა ჰყვა მუნ შინა პყრობილნი ადამისთაგან და ვიდრე ქრისტესადმდე. დიდად იქადოდა მათ ზედა და ვინათგან მასცა ასმიოდა წინასწარმეტყუელთაგან, გნამდეთ მოსლვაჲ ქრისტესი და მუნ პყრობილნიცა მიელოდეს, ხოლო ეშმაკნი ტყუილისა მიერ და ბგერებისა მიერ ჴმათაჲსა და ოცნებისა ეტყოდეს მოსლვასა მჴსნელსასა და შუაცთუნებდეს, რომელნი პირველვე ცთუნებულ იყუნეს მათ მიერ, ურწნუმოებაჲსა თანა სხჳთაცა მრავლითა ბუნებისა გარეგანითა ცოდვილთაჲ.

ამისთჳსცა არღარა ისმინეს ქადაგებაჲ ქრისტეს შთასლვისა, არცა აღუარეს, არცა მოუდრიკეს მუჴლნი, არამედ უმეტ(102r)ესად დაბნელდეს და დაშთეს მუნვე ქუჴსკნელთა შინა, ხოლო რომელნი მორწმუნე ექმნეს უღმრთონი და ცოდვილნი და სახელნი განმამწარებელნი პირველ წყლით რლუნისა ნოესზე და შემდგომად ნოესა კერპთმსახურნი და მერმე შჯულსა შინა ისრაელთაგანნი, რომელ არიან სახელი განმამწარებელთანი მისნი. ამათ, რომელნიცა დაღაცათუ უღმრთონი იყვნეს და ურწმუნონი, არამედ ბუნებითა სჯულსა ჰყოფდეს და სიმრთელესა ილუნდეს, მუნ მინევენასა ქრისტესა გამოუბრწყინდა ნათელი, მუნცა ისმინეს ქადაგებაჲ ქრისტესი და მათცა მოუდრიკეს მუჴლნი და მორწმუნე ექმნეს. იგინი აღმოიყვანა სიღრმითგან ქუესკნელისათაჲ, ვითარცა წიგნი ფსალმუნთა იტყჳს: „რომელმან გამოიყვანა კრულნი სიმჴნითა თჳსითა, ეგრეთცა განმამწარებელნი მისნი, რომელნი დამკვიდრებულ არიან სამარებასა“, ხოლო ვინ არიან განმამწარებელნი მისნი, რომელთა განამწარეს იგი, არამედ სახელი ისრაელთანი, რომლნი მრავალგზის განუდგეს ღმერთსა და მიქცეს კერპთ მსახურებად და განამწარეს წმიდაჲ იგი ისრაელისა, ვითარცა იგი ეზეკიელ წინასწარმეტყუელი ამხილებს და იტყჳს: „თქუა უფალმან ჩემდა მომართ, ძეო კაცისაო, მიგავლინო შენ სახლსა ისრაელისასა განმამწარებელთა მათ ჩემთა, რომელთა განმამწარეს მე და მამათა მათ თანა შეურაცხყუჴს მე, ვიდრე დღეინდელად დღედმდე და ძეთა მათ ქედფიცხელთა და გულფიცხელთა“ და შემდგომი. ე(102v)სენი არიან განმამწარებელნი მისნი და ამათ ესე ვითართა ვითარ ეტყჳს წინასწარმეტყუელი გამოყვანასა ჯოჯოხეთით და ვითარ იქმნა გამოჴსნა მათი შთასლვითა ქრისტესითა? თქუნ იხილეთ და განიცადეთ, რამეთუ წმიდაჲ მოციქული პეტრე იტყჳს, ვითარ ზემო ვახსენეთ: „საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და ქადაგა, რომელნი იგი ურჩ ოდესმე იყუნეს, რაჟამს ერთგზის თავს ედვა სულგრძელობასა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოესათა შემზადებჲსა მისა კიდობნისასა და დიდი წინასწარმეტყუელი იტყჳს გამოყვანასა კრულთასა სიმჴნითა და განმამწარებელთა მისთასა დამკვიდრებულთა აჩრდილთა სიკდილისათა. ამისთჳს ვიტყჳთ, ვითარმედ შთასლვითა მჴსნელისათა ჯოჯოხეთსა შინა მრავალთა იქმნა გამოჴსნა არა

ხოლო თუ ისრაელთაგანთა მართალთა და ნმიდანთა, არამედ პირველ წყლით რღვნისა და შემდგომად შჯულსა შინა განმამნარებელთა მისთასა და ჩუენ მიერ თქმული, ესე არს, რომელნი ნამებითა მრავლითა საღმრთოთა წერილთასა განგიმარტე დაფარულნი და ძნიად მისწთომილნი საიდუმლონი და ან წმიდისა იოანე დამასკელისა სიტყუჭბი ისმინეთ, რომელთასა მეგულებების აღწერა და ნუ უცხოოდ აღგიჩნდების სიტყუანი ესე წმიდათანი.

ხოლო სიტყუს მისთვის წინასწარმეტყუელთასა, ვითარმედ: „ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ, წინასწარვე გკთქვამს, ვითარმედ საშინელ არიან ში(103r)ნებით თქმანი ყოველთა მხედველისანი, არამედ ამათ ყოველთა სძლევს კაცთმოყვარებაჲ მისი, რამეთუ შემდგომად სიტყუსა ამის წინასწარმეტყუელისა მიერ თქმისა, უკანასკნელილა იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსარებაჲ უჭჭუელი მათ მიერ ვიტყვ, რომელთა იგი ჰრწმენა მისი შთასრული იგი მათდა მაცხოვრებაჲ მეფისაჲ. რამეთუ არა ლიტონად ყოველნი აცხოვნა მომცემელმან ცხოვრებისამან, არამედ ვითარ იგი თქმულ არს: მუნცა მორწმუნენი ოდენ, ან უკუჭ ვიეთნიმე იტყვან ვითარმედ მათ, ხოლო იტყვან მორწმუნედ, რომელნი წინათვე მორწმუნეყოფილიყუნეს მისნი. ესე იგი არიან მამანი და წინასწარმეტყუელნი, მსაჯულნი და მეფზნი და მათ თანა ადგილთ მპყრობელნი და სხვანი ვიეთნიმე ერისაგან ებრაელთასა ადვილად აღსარიცხუჭლნი და ყოველთა დასაცნაურ ქმნილნი, ხოლო ჩუჭნ წინააღუდგებით ამისსა ესრეთ მგონებელთა და ვიტყვთ, ვითარმედ არცა ნიჭი, არცა სასწაულ გინა საკვირველებაჲ არს ამისი ესრეთ თქმა, ვინათგან მხოლო მსაჯული სიმართლისა არს და ყოველი, რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არა დაეყენების და რაჲსაკვირველ არს ქრისტეს მიერ ცხოვრებაჲ და ჯოჯოხეთისა კრებულთაგან გამოჭსნა მათი შთასვლითა მათდა და ყოველთა მეუფჭსა ღმრთისათა, რომელი ესე იქმნაცა წინაგანსაზღვრებულთა მით განგებულეებითა მისითა.

არამედ მართლმსაჯულებით ცხონებულთა თანა ჯერ იყო ვიეთნიმე ცხოვრებაჲ მხოლოდ მიზეზითა ოდენ კაცთმოყვარებისათუს, რომელნი იგი არიან, (103v) ვითარ ესე მე ვჭგონებ, ყოველნი, რომელთა განწმენდილნი ცხოვრებაჲ აქუნდა და ყოველსავე სათნოებისა საქმესა აღასრულებდეს კეთილად ცხოვრებითა, კრძალულებით და სინმიდით. ხოლო სარწმუნოებისა სრულებაჲ და საღად განბრწყინვებაჲ ყოვლად არა მიედო, არცა გამოცდომილ იყუნეს, არამედ ყოვლად უსწავლელად დაშთომილ იყუნეს. ესენი ყოველთა სახარებისა საუნჯემან და მეფჭმან მოიზიდნა და მონადირნა ბადითა მით საღთოთა წყალობითა, რამეთუ მათცა ყოველთა მუნ ჰრწმენა ყოვლად ყოვლითურთ მათ ზედა გამობრწყინვებული საღმრთოჲ შარავანდედი, რაჟამს ქრისტემან უჩუჭნა მათ ნათელი ჭეშმარიტებისა.

არა თავს-იდვა ბუნებით თანაღმობილმან ცუდ ყოფაჲ შრომათა მათთა, რომელი იგი მოეგო მათ ცხოვრებაჲ საჭირველი, სატკივარი და ინროჲ. ზეშთა სიტყუსა თვთ მპყრობელ ქმნითა ვნებათათა, რაჟამს განიყარეს ბინი გემოვნე-



ბაათა, მოიღვანეს უპოვრება და მარხვა მღვიძარებითურთ და ერთბამად ყოველთა კეთილთა მოქმედება, დალაცათუ არა ღირს მსახურებით გარნა ექმნავე, ვითარ იგინი ჰგონებდეს ჯეროვნად მონებითა ზეგარდამოსა განგებულებისათა, არამედ იგიცა ცთომილადვე და იყუნეს ვიეთნიმე, რომელთა საღვთოთ იგი დიდება ყოვლად ძლიერისა სამებისა ეცნა რამე. დალაცათუ ცდომილ და მცირედ, არამედ ეგრეთცა (104r) ცნობითვე და კუალად სხუაინი იტყოდეს განჯორციელებსა სიტყვასა ნმიდათა მათ ვნებათა და აღდგომასა მისსა.

ხოლო სხუაათა მათ შობაცა იგი მისი ქალწულისაგან წინათვე თქუჴს სახელებითა რაათმე, რამეთუ ბევრეულნი სახელნი თქუეს ყოვლად წმინდისა ქალწულისანი. კუალად სხუათა ვიეთმე წინათვე წარმოთქუნეს ზესთა ბუნებისანი იგი საკრველებანი ქრისტესნი: აღდგინება მკუდართა, განკურნება ყრუთა და უტყვთა, განღრვეულთა და ძნად მეტყუელთა და ჴსნა ჴურვებათა ემპაკეულებათა და წყლით მანკიერებათა, განმართლება ჴელისა განწმელისა, სლვა ზღუასა ზედა, კურთხევა პურთა და თევზთა, წყლისა ღვინოდ შეწყალება და შენება სისხლის დინებისა, აღმართება ღრეკილისა. ესე ყოველნი სხუაათა უმრავლესთა თანა წინა მოასწავნეს წინასწარმეტყუელებით, ვინაცა ესევითართა მათ ძლიერებამან საღმრთოთსა სიტყვსმან არა თავს-იდვა უგულებელსყოფა წარწყმედულებასა შინა, არცა წარწყმედა კეთილთა საქმეთა მათთა, რამეთუ მისდა ვასხებულსა რაჲსმე ვერცა ერთ რაითა შეაშთობს სიმრავლე წელთა, ვითარ იგი პირველვე ვთქუთ, არამედ დამარხულად უკუნსცემს ყოველთა კეთილად ცხოვრებულთა აღნადგინებითურთ.

ხოლო რომელნი ბოროტად ცხოვრებულ იყუნეს და არცა რაჲ ექმნა კეთილთა საქმეთაგანი, არცა ერთი რაჲ ყოვლად მოეგო თესლთა, ანუ ნაყოფთაგანი, არამედ ცხოვრებითა და სიტყვთა და სარწმუნოე(104v)ბითა ყოველითურთ ცთომილ იყუნეს და არცალა ზეცით გარდამოსრულნი იგი მათ ზედა წვმა მიელო ჯერისაებრ საწმარად, ვითარცა პირველ ვთქუ უღონოებითა თესლისათა, რომლისათჴს არა აღმოუბრწყინდა მათ მზე დაბადებისა. ამისთჴსცა განწმეს, ვითარცა ყოვლად უნაყოფონი, რომელთა ყოვლად არა სარგებელ ეყო მოსლვაჲ იგი ქრისტესი, ესენი, ვითარ ჰგონებ, არა აღადგინნა მის თანა დაცემულებისაგან, ვითარცა ყოვლად უღირსნი ცხოვრებისნი, ვინათგან არცალა მაშინ ჰრწმენა მისა მიმართ, რამეთუ დაბრმობილ იყუნეს გონებანი მათნი და დაბნელებულ თუალნი გულისანი ბნელისაგან ამპარტავენებისა და ვეშაპისა მისგან ბოროტისა, რომელს იგინი ჰმონებდეს პირველითგან, რაჲთა ხილველ იხილონ და ვერ გულისწმაჲ-ყონ, სმენით ესმოდის და არა იცნან, არცა ყოვლად მოიქცეს, ხოლო სხუანი ყოველნი, რომელთა მათ შორის ქონებითა კეთილთა თესლთათა სარგებელ იყუნეს ნაყოფიერებისათჴს მათ და აღმოუბრწყინებული იგი მზე, ნაყოფი აღდგომისა მიენიჭა მათ წვმისა მიერ ზეგარდამოსა.

იხილეთ, სადაა აღმოიყუანა სიტყვამან წინაძლომითა თჳსითა და მოიყვანა შეწევნითა ღმრთისაათა აღმოწინილ და განდგომილ საქმესა კნინთა დაფარულსა, რომელი ესე ვთქვათ არა თუ განჩინებით ვერ ღირსებისათვის, არამედ გამოძიებით ძმათმოყუარებისათვის, ვითარმედ ესენი არიან ჯოჯოხეთს შინა (105r) ცხოვნებულნი ქრისტეს მიერ, ვითარ ესე მე ვჰგონებ, ვინაცა თანა მოქმედებითა ქრისტესითა საცნაურ ვყავთ, ვითარმედ იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსარებაჲ, ხოლო ამას რაათა ვიტყვოთ, არათუ წინასწარმეტყუელებათა წინა აღუდგებით, ნუ იყოფინ, არამედ გამოჩინებაჲ გუნებაჲს ზემთა სახიერებასა უფლისასა, რომელი იგი მარადის იძლევის თჳსთა კაცთმოყუარებთაგან“ (იოანე დამასკელისა მიერ თქმული ესე ყოველი მიცვალებულთა საკითხავისაგან)..

ესე სიტყუანი წმინდისა იოანე დამასკელისანი არიან, რომელი ესე რაჲ ვრცლად აღვსწერეთ და მოვიწსენეთ და ჩუენ მიერიცა თქმული ზემოთგან მოწსენებულნი, რომელსა მონმედ მომიყვანიან წმინდანი მოციქულნი და წინასწარმეტყუელნი, ვითარმედ იქმნა ჯოჯოხეთს შინა შთასლვა, ქრისტესი აღსარებაჲ და გამოწსნა მუნ შინა პყრობილთაჲ, არა ხოლო თუ მართალთა და ღირსთაჲ, არამედ უღირსთა და უღმრთოთაცა, რომელთა მცირედიცა რაჲმე კეთილისა საქმე უძლოდა, არა ხოლო თუ იუდწველთა, არამედ კერპთმსახურთაცა და ნოეს ზე უღმრთოთა და არცა ესე არს საკრველ, თუმცა მეუფწსა ქრისტესა, ვინათგან კაცთათჳს სიკუდილი დაითმინა, რაჲ სისხლით თჳსითა არა ხოლო თუ ღირსნი წყალობისნი გამოეხსნა, არამედ უღირსნიცა, ვინათგან მონათაცა თჳსთა მისცა ესევითარი ჴელმწიფებაჲ, რაჲ ქუესკნელით ჯოჯოხეთით იწსნიდენ უღირსთათა და უსჯულოთა, ვითარცა დიდმან გრიგოლი უღმრთოჲ და უსჯულოთაჲ ტრაიანე მეფე, წმიდა თეკლე პირველმონამემან – ასულნი ფალკონილასი, წმინდამან გიორგი – მღდელი კერპთა და დიდმან მაკარი – ძუელთა-მეკერპთა მკუდართაგანი. (105v) გამოიყვანეს ჯოჯოხეთით სულნი მათნი და შეაერთნეს ჴორცთა და წარმოადგინეს.

ხოლო ესე ჴორცთ წარმოდგინებაჲ წმინდამან მონამემან გიორგი და დიდმან მაკარი ქმნეს, ხოლო წმინდამან თეკლა და წმინდამან გრიგოლი სულნი ოდენ გამოიწსნეს ჯოჯოხეთით, ვინ იყუნეს ამათსა უმძვინვრესსა და უსასტიკესა ტანჯვასა შინა, ანუ რომელი არს სხუა საუკუნოჲ ჯოჯოხეთი, რომელსა შინა ესენი არა იყუნეს?

არამედ ესე არს ნებაჲ მათი, რაათა დაამტკიცონ მათ მიერ მოგნებული და დამამტკიცებელი სჯული, ვითარმედ არს სხუაჲ ჯოჯოხეთი ცეცხლისა სულთა გამსანმედელი და საუკუნოჲ სხუაჲ ჯოჯოხეთი, რომლისაგან არღარა იქმნების მუნით გამოყვანებაჲ სულთაჲ და აწვე მიეგების მრავალთა და ცოდვილთა საქმეთაებრ თჳსთა პირველ-მეორედ მოსლვისა. ჩანს სიტყვთა ამით, რომელი არა აღიარებენ აღდგომასა მკვდართასა და მეორედ მოსლვასა ქრისტესასა, არცა განხილვებაჲსა ჴორცთასა, რაათა მრჩობილ მიეგოს მისაგებელი სულთა და ჴორცთა.

რაფსათვს არა მოიწსენებენ წმინდისა მოციქულისა პეტრეს სიტყუათა, რომელსა სიცრუევით იქადიან და არა ემორჩილებიან, რომელსა იტყვს: „ხოლო ან ცანი და ქუეყანაა მითვე სიტყუათა დაუნჯებულ არიან ცეცხლისა დამარხულნი დღედ სასჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაცთასა“ (II კათოლიკე პეტრესი 3,7). რაფსათვივს არა დასწერა, უღმრთოთა აწვე მიეგებისო და არღ-არა ალოდინებენ მეორედ მოსლვასა, არცა მკუდარ(106r)თა აღდგომასა, არა-ცალა მრჩობილ მიგებაჲსა სულით და ჳორციითო, არამედ ესრეთ, ვითარმედ ცეცხლისა დამარხულნი დღედ სასჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაც-თასა.

ესე და სხუანი უმრავლესნი ამათსა წერილ არიან საღმრთოთა წიგნსა შინა ამის პირისა დასამტკიცებელი, ვითარცა პირველიცა აღგვიწერეს და სხ-უაჲცა მრავალი, რომელი სიმრავლსათვს არა აღვსწერეთ, რაჲთა გრწმენესთ, ვითარმედ პირველ-მეორედ მოსლვისა, ვიდრემდის სულნი და ჳორცნი არა შეერთდნენ, რომელთა ზოგადად იმოქმედეს კეთილი, გინათუ ბოროტი, მუ-ნამდე არა იქმნების სრული მისაგებელი. დალაცათუ აწვე სულნი ცოდვილთ-ანი გან-რაჲ-ვიდენ ჳორცთაგან, შევლენ სასჯელთა შინა, ეგრეთვე სულნი მრავალთანი სიხარულსა შინა იმუჭბენ, არამედ კერძობით და დაკლებულად, რამეთუ ჳორცნი აქავე არიან მათ ყოველთანი და არღა ქმნილ არს აღსას-რული, არცა არს ჯერეთ საუკუნოჲ ჯოჯოხეთი, არცა ცეცხლი განმწმედელი, რომელსა იგინი ბოროტად ზრახუწნ და არა შეუდგებიან მძვინვარებასა წმი-დათა მოციქულთა და ნეტართა მამათასა, არამედ თვსსა მოციქულსა და ტკ-ბილად მეტყუწლებითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი.

ხოლო თქუენ, შვილნი კათოლიკე ეკლესისანი, დაფუძნებულან და აღ-შენებულან საფუძველსა მოციქულთა და წინასწარმეტყუწლთასა, რომლი-სა თავსა კიდურთა მისთა არს ქრისტე იესო – ლოდი რჩეული და კლდე ცხოვრებისა, ნუ დაუტეობთ საფუძველსა მას, ნუც(106v)ა გარდაწდებით საზ-ღვარსა მამათასა, რაჲთა მკვდრ ვიქმნეთ ცხოვრებასა საუკუნოსა ქრისტეს იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუწნის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემა მამისა თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

**XX თავი. ნათლისღებისათვის, თუ ვითარ ჩუან,  
მართლმადიდებელნი, მოქალაქეებისაებრ წმიდათა  
მოციქულთასა და ღმერთთაგან მამათასა სამგზის  
ეგაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა  
სახელსა ზედა წმიდა სამგზისასა ნათელვითა  
ჯორციელთა მადლითათა, ხოლო ლათინენი არა ესრეთ,  
არამედ ყოვლითურთ წინააღმდეგობა იქმენ, არცა ეგაზსა  
შინა სამგზის შთაფლვითა, არცა მხოლოდ მღვდელთაგან,  
არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ,  
ნათელსცამენ.**

ნათელმან სოფლისამან, ქრისტემან, ინება, რაათა წსნა კაცთა ნათესავისა გარდამოხდა უხრწნელთა წიაღთაგან დაუსაბამოსა და უხილავსა მამისათა და იქმნა მსგავსად ჩუენდა თვნიერ ცოდვისა და იხილა ვითარცა კაცი, ორითა ბუნებითა – ღმრთაებისა და კაცებისათა – და ჩუენი ყოველივე თავს იდგა უცოდველნი საქმენი, რაათა ადამ აღიყვანოს პირველსავე პატივისა და ჩუენ ყოველნი ადამის ძალით დასჯილნი გუაცხოვნენს.

ხოლო პირველი და თავი გამოწსნისა ჩუენისა და ცხოვნებისა, სხუად არა რაე არს, თვნიერ ნათ(107r)ლისღებისა და მეორედ შობად წყლისაგან და სულისა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, რამეთუ თვნიერ ამისა არა იქმნების ცხოვნებაე ჩუენი.

ამისთვის მან თავადმან ყოვლად უხრწნელად შობისაე და ქუეყანასა ზედა ქცევისა მეოცდაათისა წელსა პირველად ესე მიიღო და თავს იდგა უცოდველმან მან და ყოველთა ბილწთაგან თავისუფალმან განბანა წყლითა და განშიშულებული შთაჴდა იორდანესა შინა მდინარესა ჴელსა ქუჭშე იოანე წინამორბედისა და ნათელ-ილო, რომელსა დაუსაბამო იგი მამად უხილავად ენამა ზეგარდამო და თქუა: „ეგე არს ძე ჩემი საყუარელი“ ხოლო ჴმად იგი დაამტკიცა ტრედის სახითა მოსრულმან სულმან წმიდამან და ჩვენ დაგვიდგა სახე ესე ვითარი, რაათა შიშუტლნი შთვჴდეთ წყალთა შინა ჴელთა ქუჭშე მღვდლისათა და სახელითა მამისათა და ძისათა სულისა წმიდისათა აღმოვიშუნეთ, ვითარცა იგი თავადი წყალთა შინა ჴელსა ქუჭშე იოანესთა.

და ვითარცა იგი ჴორციელად შიშუტლნი ვიშუტლნი დედის მუცლითაგან, ეგრეთვე მეორედ ვიშუნეთ სულიერად წყლისაგან და სულისა.

ვითარცა იგი თავადი ეტყოდა ნიკოდიმოს სჯულისმოდღვარსა: „ამინ, ამინ გეტყვ შენ, უკეთუ ვინმე არა იშუტს მეორედ, ვერ ჴელენიფების ხილვად სასუფეველი ცათა. ჴრქუად მას ნიკომიდოს: ვითარ ჴელენიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუშ შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თვისსა შესლვად მეორედ და შ(107v)ობად? მიუგო იესუ და ჴქუად მას: ამინ, ამინ გეტყვ შენ, უკეთუ ვინმე არა იშუტს წყლისაგან და სულისაგან, ვერ ჴელენიფების შესლვად სა-

სუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკვირნ, რამეთუ გარქუ შენ, ესე ჯერ არს თქუენდა მეორედ შობაჲ. სულსა ვიდრეცა უნებს ქრინ და ჴმაჲ მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინა მოვალს და ვიდრე ვალს, ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან.

მიუგო ნიკოდომოს და ჰრქუაჲ მას: ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე? მიუგო იესუ და ჰრქუაჲ მას: შენ ხარ მოძღვარი ისრაჴლისა და ესე არა იცია“ (იოანე 3,3)

რაჲსათვის ეტყვის უფალი ნიკოდომოს: „შენ ხარ მოძღვარი ისრაჴლისა და ესე არა იცია?“ ოდეს ეხილვა, ანუ ასმიოდა სჯულსა შინა ნიკოდომოსს ისრაჴლთა შორის ნათლისღებაჲ, თვნიერ იოანეს მიერ ნათლისმცემელისა, ხოლო მასაცა არა ჴელენიფებოდა სულისა წმიდისა მონიჭებაჲ, ვითარცა თვ-თვე თავადი ღმერთი ეტყოდა ჰურიათა, ვითარმედ: „მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, მან ნათელ გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“.

და მოციქული პავლე მიიწია რაჲ ეფესოდ, პოენა მონაფენი და ჰრქუა: „უკეთუ სული წმიდა მიგიღებიეს და გრწამს და მათ ჰრქუჴს მას, არცალა არს, თუ სული წმიდაჲ გუასმიეს. ჰრქუა მას პავლე: რაჲთა უკუჴ ნათელგიღე-ბიეს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: იოანეს ნათლისცემითა. ჰრქუაჲ მათ პავლე: იოანე ნათელსცემდა ერსა (108r) და ეტყოდა მომავლისა მისთვის, შემდგომად მისა, რაჲთა ჰრწმენეს. ესე იგი არს იესუ ქრისტე, ხოლო მათ ვითარცა ესმა, ნათელიდეს და დასხმითა ჴელთა პავლესითათა მათ ზედა მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, იტყოდეს ენათა და წინასწარმეტყუელებდეს“ (საქმე 19,1). ესე ამისთვის ვთქუ, ვითარმედ თვნიერ ამისა ნიკოდომოს არა ეხილვა ნათლისღებაჲ ისრაჴლთა და ესეცა ლიტონითა წყლითა სინანულად და არა თუ მონიჭებითა სულისა წმიდისათა.

რაჲსათვის ეტყვს ქრისტე: „შენ ხარ მოძღვარი ისრაჴლისა და ესე არა უწყია?“ არამედ უკეთუმცა ძუჴლითგანვე წინასწარმეტყუელთაგან მოსწავე-ბით არ თქმულ იყო და იგავით და სახით და უფროჲსად ჴემმარიტებით არა ქმნულ იყო, არცა უფალი უბრძანებდა ნიკოდომოს: შენ ხარ მოძღვარი ის-რაჴლისა და ესე არა უწყია? და უკეთუ სხუჴბრ რაჲდმე ქმნილ იყო სჯულსა შინა ნათლისღებაჲ, ვითარცა ლათინნი იქმან მცირედისა წყლისა შეხებითა, გინა სხურებითა და არა შიშულივ წყალთა შინა აღმოშობაჲ ძუჴლთა სჯულსა შინა. არცა უფალი უბრძანებდა, ესრეთ ჯერ არს თქუენდა, მეორედ შობაჲ, არცა თვთ თავადი უფალი შიშული აღმოიშობოდა წყლისაგან, არცა კუალად ეტყოდა ნიკოდომოს: უკეთუ ვინმე არა იშუჴს წყლისაგან და სულისა ვერ ჴელენიფების შესლვად სასუფეველსა ცათასა.

ან ვიტყოდით ძალითა სულისა წმიდისათა, თუ ვითარ ძუჴლსა სჯულსა შინა მოესწავა, ანუ ვითარ ასმიოდა ნიკოდომოს.

მოსე დიდი იგი წინასწარმეტყუელთა შორის (108v) რაჲჲამს განიყვანებდა

ისრაჰლთა ეგვიპტით და განუპო ზღუა იგი მენამული და განიყვანა მას შინა, არა ცხადი და ჭემმარიტი ნათლისღებისა სახე იშუა და წყლისაგან აღმოშობისა, ვითარცა განმარტებს მოციქული პავლე და იტყვს: „არა მნებავს უმეცრება თქუენი ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუჭმე იყუნეს და ყოველნი ზღუესა განჯდეს და ყოველთა მოსეს მიერ ნათელიდეს ღრუბლითა მით და ზღუა და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს და ყოველთა იგივე სასმელი სულიერი სუჯს, რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერსა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“ (I კორინთელთა 9,19). ესე არს ცხადი მეორედ შობა წყლითა, რამეთუ ესეოდენნი იგი სიმრავლე ისრაჰლთა ფერჯთაგან ვიდრე თავადმდე და მრავალ წილ უმაღლეს ზეშთა თავისა იყო წყალი იგი და ესრეთ განვლეს მას შინა.

ეგრეთვე დავითის მიერ თქმული გულისჯმაყავ, ვითარმედ: „უფალმან წყლით რღვნა და დაამკვდრნის და დაჯდეს უფალი მეუფჯდ უკუნისამდე“. რაჲ არს ესე წყლით რღვნა, რომელი უფალმან დაამკვდრა? ესე არს ჭემმარიტად წმიდაჲ ნათლისღებაჲ, რამეთუ ამით წარირღუნების ყოველი ბილწებაჲ ცოდვისაჲ და შვილ ღმრთისაჲ და თანამკვიდრ ქრისტესა გვყოფს და უკეთუ არა იშუჯს კაცი წყლისაგან, ანუ ისხუროს, ანუ ერთ კერძო ასოთაგანცა იცხოს, ვითარ იქმნების წყლით რღვნაჲ და ვითარ ერქუმის, უკეთუ უმრავლესი ასოთაგანი დაშთეს წყლისაგან მიუახლებელი, არამედ მას ეწოდებ(109r)ის წყლით რღვნაჲ, რაჲთა სრულიად შთაჯდეს კაცი წყალთა შინა და აღმოიშუჯს და მას შინა განიბანოს ბინი ჯორცთა და სულისა სახელითა წმიდისა სამებისათა. ამას ეწოდების წყლით რღვნაჲ და ვითარცა ჯორცითა ბინი არა განიბანოს და არა განირეცხების, უკეთუ არა დაილტოს წყლითა, ეგრეთვე სულისა გულისჯმაყავ, დაღაცათუ თვნიერ სულისა წმიდისა არა იქმნების, არამედ ყოველივე საიდუმლო ხილულთაგან დამტკიცების და უხილავთაგან სრულ იქმნების.

ეგრეთვე ელისეს მიერ წინასწარმეტყუელისა სიღრმეთაგან წყლისათა რკინის აღმოღებაჲ, ესეცა ნათლისღებისა განცხადებული სახე იყო, რამეთუ წყალთა შინა შთასლვითა და აღმოშობითა ვიქმნებით შვილ ღმრთისა და არათუ გარეშე სხურებითა და შეხებითა, ეგრეთვე ნემან ასურისა იორდანესა შინა შიშველ შთასლვა და აღმოსლვა ელისეს სიტყვითა და განწმედა კეთროვნებისაგან, ესეცა უმეტესი ნათლისღებისა სახე იყო, რამეთუ შიშველივ შთახდა წყალთა შინა და აღმოიშვა და არათუ ერთ კერძო იცხო, ანუთუ ისხურა.

ესე და ესევითარნი წარეკითხნეს ნიკოდიმოს და მეცნიერ იყო. ამისთვის ეტყოდა უფალი: შენ ხარ მოძღვარი ისრაჰლისა და ესე არა უწყია?

ამის ყოვლისა, ვითარცა ჭემმარიტად ზედა მინევნით მეცნიერი, წმიდაჲ იოანე ნათლისმცემელი, შიშუჯლთა ნათელსცემდა (109v) ჰურიათა იორდანესა შინა და ეტყოდა „რომელმან მომავლინა ნათლისცემად, მან მრქუა მე ესრეთ“ (იოანე 1,33). და შემდგომი

ეგრეთვე წმიდანი მოციქულნი ყოველნივე შიშველთა ნათელსცემდენ

წყალთა შინა სამგზის სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა. ვითარცა წერილ არს ფილიპესთვის, რაჟამს საჭურისა მას ნათელსცა, რამეთუ ესრეთ წერილ არს: „შთახედენ ორნივე წყალთა მათ შინა, ფილიპე და საჭურისი იგი“ (საქმე 50,31). ეგრეთვე წმიდა მოციქული პეტრე განშიშვლებულთა ნათელსცემდა წყალთა შინა, ვითარცა წმიდისა კლიმენტოზის ცხოვრებასა შინა წერილ არს, ვითარმედ მამა დედასა წმიდისა კლემენტოსისასა და სხუათა ურიცხთა ერთა შიშუშლთა ნათელსცა მდინარეთა შინა.

კუალად წმიდისა პანკრატ მოციქულისა ცხოვრებასა შინა წერილ არს, რომელი იყო მოწაფე წმიდისა პეტრესი და ესეცა ურიცხთა ერთა შიშუშლთა ნათელსცემდა მდინარეთა შინა, ხოლო ამის პირისათს მრავალი გუაქუს მოსაწყენებელი წმიდათა წერილთაგან და ცხოვრებისაგან წმიდათა მოციქულთასა, ვითარმედ ყოველნივე შიშუშლთა წყალთა შინა ნათელსცემდენ, არამედ შეუძლებელ იყო ყოველისავე თითუშულად აღწერაჲ, გარნა მცირედითა ოდენ აღვწერო, რაჟთა ცხად იქმნას ჭეშმარიტებაჲ.

კუალად გრიგოლი პარტველმან, განმანათლებელმან სომხითისამან, მეფესა თრდატს და ერსა მისსა რიცხვსა უმრავლესსა მდინარესა შინა დიდსა შიშუშლთა ნათე(110r)ლსცა, ვითარცა წერილ არს ვრცელად ცხოვრებასა შინა მისსა.

ამისთვის განენესა ეკლესიასა შინა წმიდათა მოციქულთა მიერ, ემბაზსა შინა, ანუ თუ მდინარესა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოშობითა ნათლისცემა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა – მამისა, ძისა და წმიდისა სულისა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა, რომელი აღწერა წმინდამან კლემენტოს ბრძანებითა წმიდათა თავთა მოციქულთათა, რომელსაცა დაამტკიცებს კრებაცა იგი პირველი ნიკისა სამას ათვრამეტთა მამათა, რომელსა შინა წერილ არს ესრეთ, ვითარმედ: „უკეთუ ვინმე არა სამგზის შთაყოფითა ნათელსცესო სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, იყავნ შეჩუშნებულ“. ეგრეთვე ყოველნი კრებანი დაამტკიცებენ, ვითარცა იტყვს მოციქული პავლე, ვითარმედ: „ძმანო, რომელთა ესე ნათელვილეთ ქრისტეს იესოს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელვილეთ და თანადავეფლენით მას ნათლისღებითა მით სიკუდილისა მისსა და შემდგომი“ (ჰრომაელთა 6,3), რამეთუ თანადაფლვასა ჳმობს წყალთა შინა მოციქული არათუ სხურებაჲსა ანუთუ ცხებაჲსა. ნუ იყოფინ.

ხოლო წმიდა სილიბისტრო, პაპა ჰრომისა, დიდსა ემბაზსა შინა ნათელსცემდა მრავალთა, ვითარცა დიდსა კოსტანტინეს მასვე ემბაზსა შინა ნათელსცა და ყოველთა მთავართა მისთა და ანცა ვიდრე (110v) დღევანდელად დღემდე იგივე ემბაზი დგას მასვე მოციქულთა ეკლესიასა შინა და სხუაჲ მეორე უდიდესი ემბაზი მდგომარე არს მასვე ეკლესიასა შინა საკდემვლად და პირის დასაყოფელად მათდა, რომელნი გარდაჳდებიან განწესებასა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

ან ვპითხოთ მოსავთა პაპისათა: თუ რაჲ სიტყუაჲ აქუსთ, რომელნი სხურებითა წყლისათა, ანუთუ მცირისა წუჭითისა შეხებითა ნათელსცემენ გინათუ მღდელნი ანუ თუ ერისკაცნი, გინათუ დედანი, რომელნიცა დახუდენ, ეგრეთ ნათელსცემენ და ნათლისა წილ დაუტევებენ ბნელსა შინა სრულიად განუხათლებელსა, უკეთუ წმიდანი მოციქულნი და ღმერთშემოსილნი მამანი ესრეთ ნათელსცემდენ და წმიდაჲ სილიბისტრო, პაპა ჰრომისა, მობაძავი მოციქულთა და შვიდნივე მსოფლიონი კრებანი ესრეთ განანესებენ, რაჲთა ემბაზსა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოშობითა ნათელსცემდენ თვთ თავადისა ქრისტეს ჭემმარიტისა სჯულისმდებელისა მოძღვრებისაებრ, რამეთუ მანცა შიშუჭლმან შთასრულმან იორდანესა შინა ნათელილო ჴელსა ქუჭმე იოანესა, რომელი იყო სამღდელოსა ტომისაგან თვთ მღდელთმოძღურისა ზაქარიას ძე და არა სადა წერილ არს, არცა სმე(111r)ნილ, თუმცა თვნიერ ამისა, რომელი მოვიწსენეთ სხუჭბრ ვისმე ნათელელო, რომელსა ან ყოფენ მოსავნი პაპისანი და ესრეთ ყოველსავე სამეფოსა სჯულსა დაჰწსნიან და გარდავლენ საზღვართა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა და არა გულისწმადჰყოფენ ბრძანებასა უფლისასა, რომელსა იტყვს: „რომელმან დაჰწსნეს ერთი მცირეთა ამათ მეცნიერებათაგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ენოდოს მას სასუფეველსა ცათასა“ (მათე 5,19). ესე იგი არს, ვითარმედ შეურცხ იქმნეს და უპატიო და დაისაჯოს მეორედ მოსლვასა მას საშინელსა წინაშე საყდართა ქრისტესთა, რამეთუ სასუფეველად მოსლვასა მას თვისსა უწოდა თარგმანებისაებრ წმიდისა ოქროპრისა.

და უკეთუ მცირეთა მეცნიერებათა დაწსნისათჳს ესეოდენი საშინელი სასჯელი განანესა მეუფეჭმან, რომელი არს ამისა უდიდესი მცნება, ანუ რომელი არს ამისა უაღრესი და უპირატესი და უპირატესი სჯულისდებაჲ, რომელი თვთ თავადმან პირველად ესე აღასრულა, რაჟამს გამოუცხადა თავი თჳსი სოფელსა და საქმითა გუასწავა განშიშულებულთა წყალთა შინა ნათლისცემა და ნიკოდიმოსცა ესრეთვე სჯულუდვა და ჰრქუა: „უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელენიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისა“. ამას ყოველსა დაჰწსნიან და გარდაჰწდებიან და არა ეშინისთ (111v) სასჯელთაგან, არცა შეიკდემენ ესეოდენთა უწესობათაგან და იტყვან, რომელსაცა ასოსა გუამისსა შეეხების წყალი, სრულიად განწმედილი შეიქმნებისო. ამას სიტყვასა გარეშე საღმრთოთა სიტყუათასა იტყვიან, რამეთუ არავინ ყავთ მონამე ამისი, არცა ვისგან სმენილ არს, თუმცა ესრეთ ნათელეცა, ანუთუ იგავით მოესწავებინა რომელსამე, არამედ თვთ თავით თჳსით დაჰწსნეს სამეფოჲ ესე სჯულისდებაჲ და თვთ განანესეს უწესო ესე მოძღვრებაჲ, ვითარცა სულისა მათისა, რამეთუ იზრახეს ზრახვა ბოროტი: „ჰგონებდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს და შემდგომი“ (ჰრომაელთა 1,21).

ვინათგან მეორედ შობაჲ უბრძანებია ღმერთსა წყლისაგან და სულისა ესე არს შობაჲ იგი, რამეთუ ვითარცა ყრმა იშუჭბის მუცლისაგან დედისა თჳსისა,



ეგრეთ ჯერ არს ჩუენდა მეორედ შობაჲ წყლისაგან ემბაზსა შინა, გინათუ მდინარეთა შინა და არა ერთ კერძოსა ასოჲსა დალტობაჲ და სხჳსა განწმობაჲ იქმნებისა, რამცა ერთი რომელიმე ასოჲ იშვას, გინათუ თავი ანუ სხუაჲ რომელიმე ასოჲ დედის მოციქულითგან და სხუაჲ იგი გუამი დაშთეს მუცელსა შინა დედისასა, თუმცა ერქუა შობჲ, ანუმცა სრული კაცი იყო იგი, ანუმცა ითქმოდა ყოველივე კაცად, რამეთუ ვერცალა ყოვლად სიცოცხედ შემძლებელ არს მოსლვად.

ეგრეთვე არცა ესე იქმნების, თუმცა ერთსა ასოსა (112r) მიეახლოს წყალი და სხუაჲ იგი დაშთეს ყოვლად განუბანელი და შეირაცხამცა იგი ძედ ნათლისა და შვილად სასუფეველისა, არცა იქმნების მეორედ შობაჲ.

ესრეთ გარდავლენ ყოველსა წესსა და კანონსა მოციქულთა და მამათასა, არცა ემბაზსა შინა ნათელსცემენ სამგზის, არცა მარტოდ, ოდენ მღღლისა მიერ, არამედ უკეთუ მღღელი, მუნ არა იყოს ერისაგანნი მამაკაცი, უფროჲსლა დედაკაცი, ყოველივე ნათელსცემენ თვნიერ მღღელისა, რომელი ესე არა სადა სმენილ არს და თუმცა სადავე იშვით, სმენილ არს ერთგზის ოდესმე და ვჰგონებ, თუ არცა ერთგზის სადავე ერთგზის სმენილ არს, რამეთუ იშვით საქმე არა დაინესების სჯულად, არამედ სჯულისდებაჲ ქრისტესი და წმიდათა მისთა მონაფეთა და მოციქულთა და მობაძავთა მათთა ღმრთისმეტყუელთა მამათა არს მტკიცე და უცვალებელი, რამეთუ იგი ბრძანებს: „ცანი და ქუეყანა წარჯდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა სადა წარჯდენ“. ესე ბრძანებაჲ და განწესებაჲ ქრისტესი უნდა დაიწსნეს, ხოლო ბრძანებაჲ და განწესებაჲ პაპისა ჯერ არს, რაჲთა მტკიცე იყოს და დაუცველი, რომელი დღითიდღე სცვალებს წესსა და საზღურსა მამათასა და თჳსსა მას სჯულისდებასა გარეშე მოძღურებისა წმიდათასა უმუძღურის ყოველთა.

(112v) რამეთუ მათგან არს ახლად დადებული ესე კანონი, რაჲთა არცა ემბაზსა შინა წყლითა ნათელსცემდენ სამგზის შთასლვითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა და მიერ აღმოშობითა ჳელითა მღღელთა, არამედ ვითარცა ვთქუ მცირისა წყლისა შეხებითა და უმღღელოსა კაცისა მიერ, გინა დედაკაცისა. ესე არს სჯულისდებაჲ მათი და სხუაცა მრავალი უწესოებაჲ.

## **XXI თავი. სიტყვა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა.**

და რაჟამს ვჰკითხოთ მიზეზი, თუ რად ესრეთ იქმთ, არცა შიშუჭლთა ემბაზსა შინა ნათელსცემთ სულისდებისაებრ სამეფოსა, რაჲთა იქმნას და ეწოდოს მეორედ შობაჲ წყლისაგან და სულისა, რამეთუ მირონითა დაბეჭდვა სულისა წმიდისა მადლთა მონიჭებასა ცხადჰყოფს და არცა მირონთა აღბეჭდავთ, სადა არა იყოს ეპისკოპოზი და არცა დედათა მიერ დააშენებთ ნათლისღებასა.

ხოლო იგინი მოგვიგებენ მათისა მის უნესოებისა შემსგავსებულსა სიტყუასა, ვითარმედ მირონის ცხებად თვნიერ ეპისკოპოზისა არა იქმნებისო, სადა პოვეს ესევეთარი სჯულისდებად, ანუ რომელმან კრებამან განანესა ესე, ანუ ვითარ იქმნების წყლისაგან და სულისა შობად, უკეთუ არა ეცხოს მი(113r) რონი, არცა აღმოიშუჳს წყლისაგან და უკეთუ დედაკაცი სრულ იქმს ნათლისღებისა საიდუმლოსა, რაჲსათჳს მღდელთა არა აქუს ჴელმნიფებად ცხებად მირონისა, ხოლო განწესებად წმიდათა მამათა ესრეთ არს, ვითარცა სჯულის კანონთა შინა წერილ არს, ვითარმედ: მღდელნი ვერ შეიქმენ მირონთა, ვითარცა ვერცა საკურთხეველთა დაამყარებენ, ვერცა მის ქუჭშეთა მოყვასთა – ესე იგი არს დიაკონნი, კერძო დიაკონნი და წიგნის მკითხუჭლნი. ამათ ჴელთა ვერ დაასხმენ, ესე ყოველი ეპისკოპოზისა საქმე არს, ხოლო პირველ მღდელმთავართა მიერ კურთხეულთა მირონთა ჯერ არს, რაჲთა ახალ ნათელღებულთა მღდელნი სცხებდენ განწესებისაებრ მამათასა, რომელსა ჴყოფენ ყოველთა მართლმადიდებელთა ეკლესიანი, ხოლო დასავლეთისა ეკლესიათა სხუათა უნესობათა თანა ესეცა აღუწოცესთ, რაჲთა არა მიენიჭებოდეს მადლი სულისა წმიდისა ახალ ნათელღებულთა, ხოლო ჩუენ მართლმადიდებელთა ეკლესიისა წესი ესე არს ძუჭლითგანისა მოცემულისა საზღუარისაებრ, რაჲთა ახალ ნათელღებულთა, რაჲამს აღმოიშუას წყლისაგან, წმიდა მირონი ეცხებოდის მღდლისაგან, რამეთუ თვნიერ მირონისა არა ენოდების მას სრული ნათლისღებად და უკეთუ სიტყუსაებრ მათისა თვნიერ მღდელი(113v)სა ყოველთა ერისაგანთა მამათა და დედათა მიერ იქმნების ნათლისღებად. რაჲსთჳსლა პატიოსანთა მღდელთა მიერ, რომელნი ჟამსა საიდუმლოსა აღასრულებენ, არა იქმნების ცხებად მირონისა.

და უკეთუ წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოჲ იქმნების დედაკაცისა მიერ, ანუთუ ერისაგანთა მამაკაცთა მიერ, ანუ სხუა რაჲმე საიდუმლოთგანი ესეცა იქმნების, რაჲთა მამანი და დედანი ყოველნი ნათელსცემდენ.

და უკეთუ იქმნების ესე, რაჲთა ერთითა ჴელითა, ანუ ერთითა ფერჴითა, ანუ მარტოდ თავითა იქმნას შობად ყრმა და იქმნამცა სრულ კაც, ანუთუ ყოვლად ცოცხალ ესეცა იქმნების, რაჲთა მცირედისა წყლისა შეხებითა, გინა სხურებითა თავსა ზედა გინა სხუაჲსა ასოსაჲ ენოდამცა ნათლისღებად, ანუ მეორედ შობად.

და უკეთუ იქმნების ესე, რაჲთა თვნიერ სულისა წმიდისა სრულ იქმნეს შობად წყლისაგან და სულისა, ესეცა იქმნების, რაჲთამცა თვნიერ მირონისცხებისა იქმნეს მონიჭებად სულისა წმიდისა.

და უკეთუ წმიდისა მისდა ნაშობთა ყოველთა უზეშთაესისა და საშოთაგან დედისათ სულითა წმიდითა აღვსებულისა ნათლისმცემელისა მიერი იგი წყლითა ნათლისცემაჲ არა სრული იყო, არამედ დაკლებულ, რამეთუ არა აქუნდა მინიჭებად სულისა წმიდისა, ვითარცა იგი ზემოთაცა მოვიჴსენეთ, რომელი წერილ არს საქმესა მოციქ(114r)ულთასა: „მიწნია, რაჲთა ეფესოდ პავლე

პოვნა მუნ მოწაფეთაგანნი და ჰრქუა მათ, უკეთუ სული წმიდა მიგიღებესთ და გურნამსთ, ხოლო მათ ჰრქუეს მას, არცალა არს, თუ სული წმიდა გუასმიეს. ჰრქუა მათ პავლე, რაჲთა უკუჲ ნათელგიღებესთ, ხოლო მათ ჰრქუეს იოანეს ნათლისცემითა და შემდგომი“ (საქმე 19,1). მერმე ნათელილეს ჴელდასხმითა პავლესითა, მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ. ხედავთა, რამეთუ არცალა ნათლისცემასა იოანესა აქუნდა სრულებაჲ, რამეთუ მარტოდ წყლითა ნათელსცემდა და ჯერეთ არა იყო მოცემულ სული წმიდაჲ, ვითარმედ პავლე ჴელნი არა დაასხნა და მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, ამისთვის არს განწესებული მღდელთა მიერ ცხებაცა მირონისა განბანასა თანა წყლითა, რაჲთა მირონითაცა აღიბეჭდოდის, რომელ არს მინიჭებაჲ სულისა წმიდისა, რამეთუ თვნიერ ამისა არა სრულ იქმნების, უკეთუ ასწრაფებდეს სიკუდილისა ჟამი და მირონისა უღონოებითა იქმნების მარტოდ წყლითა ნათლისლებაჲ სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა წესისაებრ და მოცემისა, ხოლო ოდეს განმრთელდეს, მერმეცა ეცხოს წმიდა მირონი, ხოლო მრთელთათჳს თვნიერ მირონისა არა იქმნების ნათლისლებაჲ სრული.

ხოლო მათი ნათლისლებაჲ არცა სამგზის წყალთა შინა შთასლვითა და აღმოშობითა არს, არცა ცხორებითა მირონისათა სრულყოფა წყლისაგან და სული(114v)სა, არცალა თუ მღდელთა მიერ ნათლისლებაჲ, არამედ დედათა მეძავთა მიერ ვითარ ეწოდოს მათსა მას ნათლისლებაჲ ნათლისლებაჲ, ანუ მეორედ შობაჲ, ანუ თუ წყლისაგან და სულისა აღმოშობაჲ.

## **XXII თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათჳს.**

ვისგან ისწავეს ესე წესი, ანუ რომლისა ეკლესიისაგან მოიღეს ესე სჯულისდებაჲ, რაჲმცა მეძავნი დედანი, ანუ წიღოანნი, გინათუ წმიდანიცა დედანი ნათელსცემდენ. დაღათუ წმიდათა დედათაგანსა ვისმე ექმნას ესე, არცა ესე სადმე სმენილ არს, დაღაცათუ სადამე ქმნილ არს, არცა ესე დაიდების სჯულად, ვითარცა იგი არცა დადებულ არს, რამეთუ არა სადა გუასმიეს წმიდათა დედათაგანისა, არცა სადა ქმნილ არს, ვითარცა არცა საუფლოსა მსხუტრპლისა შეწირვა, ეგრეთე არცა ნათლისლებისა ქმნაჲ.

ვინ იყო წმინდისა და სანატრელისა და განმანათლებელისა ჩუენისა მოციქულისა ნინოს უწმიდესი და უზეშთაესთა მადლითა ღირს ქმნილი, რომელმან სხუათა ურიცხვთა საკვრველებათა და ზეგარდამოთა მადლთა თანა მოციქულებისაცა მადლი სრულებით მიიღო, უკეთუმცა ჯერ იყო, ანუ სმენოდა ოდესცა, რაჲთამცა დედანი ნათელსცემდენ. ამისდა უმეტეს საწმარ იყო, რომელმან სწავლითა თჳსითა განანათლნა ესოდენნი ესე ერნი და (115r) რომელნი ფრიადცა წყურვილ იყუნეს და მოქენე ნათლისლებისა, რომელსა ევედრებოდეს მეფენი და მთავარნი და ითხოვდეს მისგან ნათლისლებაჲსა. უკე-

თუმცა წესი იყო, რაფსაოტს არა ნათელსცა და დააკლო ესე ერთა ნიჭთაგან.

რამეთუ ვიდრემდის არა ითხოვნა საბერძნეთით მღდელნი და დიაკვანნი დიდისა კოსტანტინესაგან, მუნამდე ვერ იკადრა თავით თვსით ნათლისცემად.

ხოლო ოდეს მოიწივნეს მღდელნი, მაშინ სიმრავლემან ერისმან მეფეთა და მთავართა მამათა და დედათა და ყოველმან ჰასაკმან ნათელილეს დიდითა სიხარულითა და სარწმუნოებითა მდინარესა შინა დიდსა მტკვრისასა. არცა სხურებითა, არცა ცხებითა მცირისა წყლისათა, არამედ სრულიად განშიშულე-ბითა მდინარესა მას შინა სამგზის სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა მამისასა და ძისა და სულისა წმიდისასა ჳელსა ქუჭმე მღდლისასა. ვითარცა წერილ არს ცხორებასა შინა წმიდისა ნინოსასა და ესეცა გულისწამა-ყავ, რამეთუ ვიდრემდის საბერძნეთით მღდელნი მოიწიოდეს ესეოდენთა სიმრავლისაგან, რომელნი ახალ მოქცეულ იყვნეს, ვერ იკადრა ნათლისცემა მათი. ვინ უწყ-ის, რავდენნი აღესრულნეს და განვიდეს უნათლავნი, რაფსაოტს ვერ იკადრა ღირსმან და სანატრელმან ნინო, მოციქულებისა მადლითა ღირსქმნილმან და თვთ მოციქულმან, ერთისაცა სულისა ნათლისცემა? არამედ ეშინოდა საზ-ღვარსა წმიდათა მოციქულთა და (115v) და<sup>16</sup> მამათა გარდასლვსა, რამეთუ არა სადა ასმიოდა ოდესცა ძუჭლითგან, არცალა თუ იშვთ სადმე, არცა მსხ-უჭრპლისა შენირვა, არცა ნათლისცემა დედათა მიერ და რად ვიტყვ დედათა, არცალა თუ ერისაგანთა მამათა მიერ თვნიერ მღდელთასა, რამეთუ ვერცალა დიაკონნი ნათელსცემენ, რომელთა ჳელთდასხმა კურთხევისა მიუღიეს განწე-სებისაებრ შვდთა მსოფლიოთა კრებაათათა და უკეთუ სმენოდა დედათა მიერ ესევითართა საიდუმლოთა შეხებაჲ. უმეტესად ესე აღასრულებდა, რამეთუ უფროსად ამისდა საჭმარ იყო საჭიროდ.

არამედ ვერ იკადრა, რამეთუ ასმიოდა მოციქულთაგან: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი მიიღეთ ჩუენგან, შეჩუწნებულ იყავნ“.

ხოლო ჩუენ ზედა მადლი და კურთხევა ქრისტესი და წმიდათა მისთა მოციქულთა და ნეტართა მამათა იყავნ და დაგვიცუნეს უფალმან ლოცვი-თა დედისა ჩუენისა, განმანათლებელისა ნინოსითა, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, რამეთუ ჩუენ ვართ შვლნი კათოლიკე ეკლესიისა, რომელთა არა გარდაგვიცევიეს, არცა დაგვწსნეს წესი და კანონი წმიდათა მოციქულთა, და-ლაცათუ მცნებათა და ბრძანებათა ქრისტესთა არა ვიმარხვით, „რამეთუ სარ-წმუნოებაცა თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს, ვითარცა იგი საქმენიცა თვნიერ სარწმუნოებისა უჭმარ“ (კათოლიკე იაკობისა 2,20). მოციქულისა სიტყვ(116r) საებრ, არამედ მხოლოდ ვჰგვიეთ მასვე და ერთსა სარწმუნოებასა ზედა, რომ-ელი მოგუწცა წმიდისა მოციქულისა ნინოს ქადაგებითა და ვიდრე აღსას-რულამდე ნუცალა შევცვლით და ნუცალა მივდრკებით მართლისა აღსარები-საგან, რაფათა არა სირცხვილეულ იქმნენით დღესა მას სასჯელისასა წინაშე

<sup>16</sup> ხელნაწერში „და“ განმეორებულია.

საყდარსა ქრისტესა, არამედ ღირს მყუენინ უფალმან მცნებათაცა მისთა დამარხვად მრავლითა მით სახიერებითა მისითა, რამეთუ მისი არს დიდებამ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### **XXIII თავი. ლოცვისათჳს სიტყუა, თუ რაინა მიჯიჳისათჳს იზინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თჳსაგან და სხუათაცა ასნაჳებან**

ხოლო ან მცირედი რამე ვთქუათ ლოცვისათვის რომელი იგი სრულად დაჳსნილ არს მათ მიერ და აჳოცილ ეკლესიით, რამეთუ არა ისმინენ ბრძანებასა უფლისასა, რომელი მრავალგუარად გუასნავებს სახარებისა იგავისა მიერ და თვთ თავადიცა უფალი კაც იქმნა, რაჲ ჩუჳნთჳს ესევე წესი ეპყრა მოუკლებლად და მარადის ილოცვიდის ღამე და დღე და ჩუენ სახესა მოგუცემდა მოუწყინებლად ლოცვისა და მარადის მღვიძარებისასა და წმიდათა სანატრელთა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა ესე წესი ეპყრა და მარადის ლოცვით იყო ცხორებამ.

მათი და ყოველნი წმიდანი ამას ქადაგებენ და ამას დაამტკიცებენ და ეკლესიასა შინა ესე განიწესეს, რაჲთა მოუკლებლად ილოცვიდენ და ღამეთა (116v) ათევედენ, რამეთუ მეუფჳ ჩუენი ქრისტეცა ესრეთვე ჰყოფდა, ვითარცა წერილ არს წმიდა სახარებასა შინა: „და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევედა ლოცვითა ღმრთისა მიმართ“ (ლუკა 6.12) და კუალად წერილ არს მისვე ლუკაჲს მიერ: „ხოლო თავადი განვიდის უდაბნოდ და ილოცავნ“ (ლუკა 5,16) და კუალად წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა: „და ვითარცა განუტევა მან ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თავისგან“ (მათე 14,23).

კუალად რაჳამს იგი განჳადა ეშმაკი კაცისაგან, რომელი იგი ვერ შეუძლეს მონაფეთა მისთა, ეტყოდა იესო მონაფეთა თვისთა, ვითარმედ: „ესე ნათესავი არა რაჲთა განვლეს გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათე 17,21), რამეთუ მონაფენი ქრისტესნი ჯერეთ არღა მიწვეულ იყუნეს საზომსა სრულებისასა, არცა დაჩუჳულ მარადის ლოცვასა, არცა მიმყოფრებელსა მარხვასა, ამისთჳს ვერცა შეუძლეს განჳად ეშმაკთა და სასნაულთა საკვრველთა ქმნად ვიდრემდის ესე არა ისნავეს. ამისთჳს უფალი მარადის ასნავებდის ლოცვასა და მარხვისათჳს იგავსა სიტყვათაცა და პირისპირ გამოცხადებულად და მერმე თვთცა საქმით აჩუჳნის, რამეთუ ღამესა ათევედა მარადის ლოცვითა, ვითარცა ზემო მოვიჳსენეთ, რამეთუ დაღაცათუ მას არა რაჲ ეჳმარებოდა: არცა მარხვა და არცა ლოცვა, ვითარცა არცა რაჲ სხუაჲ კაცობრივნი საქმენი, რამეთუ ღმერთი იყო ბუნებით, არამედ ვინათგან კაცთა (117r) ბუნებამ სრულებით მიიღო, კაცობრივნი საქმენი ყოველნი სრულებით აღასრულნა თჳნიერ ცოდვისაჲ,

ეგრეთვე კაცთა ბუნებისა საჭმარად მარადის ლოცვაჲ სჯულგედვა, რაჲთა მარადის ვილოცვიდეთ ღამე და დღე მოუწყინებლად თავისაგან მარტო და ეკლესიასა შინა, რომელ არს შესაკრებელი ერისა, რამეთუ თვნიერ ამისა არა რაჲ კეთლთაგანი წარემართების არცა მსოფლიო და ჯორციელი და უმეტესად ღლა სულიერი და ზეცისა.

დაღაცათუ ბრძანებს ქრისტე მეუფე: „რაჲამს ილოცვიდე, არ იყო ეგრეთ, ვითარცა იგი ორგულნი, რამეთუ უყვარან შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედადგომა და ლოცვა რაჲთა უჩუწნონ კაცთა. ამინ გეტყვ თქუენ, მიუღებიეს სასყიდელი მათი, ხოლო შენ რაჲამს ილოცვიდე, შევედ საუჯესა შენსა და დაჯამ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულითა მოგაგოს შენ ცხადად“ (მათე 6,5).

ესე ბრძანებაჲ უფლისა მათ ზედა არს, რომელი თვსგან განწესებულსა ლოცვასა და გინათუ საეკლესიოსა და უფროესლა თვსგან ლოცვასა საჩუწნებლად იქმოდის და ჭეშმარიტად ორგულთა არს საქმე იგი, რომელი ესრეთ ილოცვიდეს, რამეთუ კაცი ილოცავს, რაჲთა მოილო ღმრთისაგან სათხოელი თვისი, რაჲსა იგი ითხოვს და უჩუწნებს კაცთა, რაჲთა მიილოს ქებაჲ და დიდებაჲ და ორგულთა არს საქმე ესე, ვითარცა ვთქუ და არა ერთგულთა და საკუთარ(117v)თა მონათა, რამცა ღმრთისაგანი ითხოვდა წყალობასა, და-კაცთაგან ეძიებდა ქებასა. ნუ ჰგონებ, თუმცა მო-რამე-ილო ღმრთისაგან ესევითარად მლოცველმან.

ვითარცა იტყვს მოციქული: „კაცი ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა შინა გზათა მისთა, ითხოვდინ ხოლო საწმუნოებით და ნუ ორგულებით, რამეთუ რომელი ორგულბდეს, მსგავს არს იგი ღელვასა ზღვისასა ქართა აღძრულსა და მიმოტაცებულსა. ნუ ჰგონებ კაცი იგი, ვითარმედ მო-რამე-ილოს ღმრთისაგან“ (კათოლიკე იაკობისა 1,6).

ხოლო უკეთუ არა საჩუწნებულად იყოს ლოცვა იგი და არცა კაცთაგან ეძიებდეს ქებასა, ესევითარად მლოცველმან გინათუ მარტო, გინათუ კრებულსა შორის ილოცოს მოუწყინებლად შემოსრვლითა და დამდაბლებულითა გონებითა, ჭეშმარიტად სათნო არს ღმრთისაჲ და საყვარელ მხედველისა მის დაფარულსა და ჭეშმარიტად ყოველსავე მოიღებს კაცი იგი, რაოდენსაცა ითხოვდეს, ვითარცა ბრძანებს უფალი: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ“ (მათე 7,7) და შემდგომი.

ესე ყოველი ლოცვისათვს უბრძანებიეს, რაჲთა მოუწყინებლად ვილოცვიდეთ და სამარადისოდ ვრეკდეთ კარსა მონყალებისა მისისასა და სხუა უმრავლესი ამისა, რომელი ქუწმორე უვრცელესად აღვწეროთ.

(118r) ხოლო თუ შევედ საუნჯესა შენსა და დაჯამ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად ამას არა თუ კართა დაჯშულთა შინა ლოცვისათვს იტყვს, არამედ სიმდაბლით ლოცვისათვივს ბრძანებს, ვითარმედ შევედ შინაგან საუნჯესა გულისა შენისასა, რამეთუ იგი არს დაფარული საუნჯე

კაცისა, ვითარცა უფალი ბრძანებს ესრეთ: „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღის კეთილი, ხოლო ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღის ბოროტი“ (მათე 13,35). ესრეთ გული არს საუნჯე კაცისა და არა ხილული სახელი. ამისთვის ბრძანებს, რაჲთა შინაგან გულისა თვისისა შევიდეს კაცი და დაჴმას შესავალი და არა რაჲ კაცობრივი ქებაჲ და სილალე შეუშვას გულსა შინა თვისსა და არცა რაჲ ცუდი და წარმავალი მსოფლიო საქმე განიზრახოს, არამედ სიღრმით გულისათ დაფარულთა მხედველისა მიმართ ილოცვიდეს. ესევეთარი ლოცვაჲ გინათუ მარტო იყოს, გინათუ კრებულსა შორის, ყოველივე შეწირულ არს წინაშე ღმრთისაჲ და მსწრაფლ მოხედვის თხოასა მისსა და უკეთუ არცა კრებულთა შორის და არცა თვისაგან ილოცვიდეს მათისა მათისაებრ სიცბილისა, მაშა რაჲსათვის განანესეს წმიდათა მოციქულთა საზოგადოდ და საკრებულოდ ლოცვაჲ? ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს:

„და ოდეს შევიდეს და აღჴდეს ქორსა მას ზედა, სადაცა იყოფოდეს პეტრე და იოანე და (118v) იაკობ და ანდრია, ფილიპე და თომა, ბართლომე და მათეოს, იაკობ ალფესი და სიმონ მოშურნე და იუდა იაკობისი. ესე ყოველნი იყვნენ განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა ერთბამად დედებითურთ და მარიამ დედით იესოჲთ და ძმებითურთ მისით“ (საქმე 1,13).

ესრეთ ზოგადი და ერთ კრებულად ილოცვიდენ ყოველნი წმიდანი მოციქულნი და ძმანი, მამანი და დედანი ეკლესიასა შინა და არა თვსთვსად და მარტო, რამეთუ ქორი იგი იყო მათდა ეკლესია შესაკრებელი, რომელსა შინა მოიღეს აღთქმა იგი სულისა წმიდისა ცეცხლისა ენათა განყოფითა და ჯერეთ სხუაჲ ეკლესიაჲ არა იყო მათდა.

ხოლო წინასწარმეტყუელთა თუ გამოეძიებდე საქმესა, უმეტესად მათ მიერ არს განწესებული სამარადისოდ ლოცვაჲ საეკლესიოდ და საიდუმლოდ, საკრებულოდ და თვისგან და ყოვლად ყოველსა ჟამსა, რამეთუ დავით იტყვის: „ილოცეთ და მიეცით უფალსა, ღმერთსა ჩუენსა“.

ხოლო ეკლესიასა შინა ლოცვისათვის იტყვს, ვითარმედ: „ეკლესიასა შინა აკითხვიდით ღმერთსა“ და კუალად ზოგად საკრებულოსა ლოცვისათვის იტყვის, ვითარმედ: „კრებულსა შორის დიდძალსა აღვიარო შენ“.

და კუალად ჟამთა ლოცვისათვის იტყვს: „შუდგზის დღესა შინა გაქებდე შენ განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა“.

და კუალად შუალამესა ლოცვისათვის იტყვს, ვითარმედ: „შუალამე აღვდგი აღსარებად შენდა განკითხვათათვის სიმართლისა (119r) შენისათა“.

და კუალად ღამე ლოცვისათვის იტყვს, ვითარმედ: „ღამესა აღაპყრენით ჴელნი თქუენი წმიდად მიმართ და აკურთხევდით უფალსა“.

და კუალად განთიად ლოცვისათვის იტყვს, ვითარმედ: „განთიად შეისმინო ჴმისა ჩუენისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩუჴნო შენ“ და კუალად: „აღმსთუჴს თუალთა ჩემთა განთიად ზრახუად სიტყუათა მიმართ შენთა“.

და კუალად მანვე წინასწარმეტყუელმან დავით და ძემან მისმან სოლომონ განანესეს ტაძარსა შინა მარადის მგალობელნი და მეფსალმუნენი, რაათა სამარადისოდ აქებდეს ღმერთსა, ვითარცა წიგნსა მეუფჴთასა, რამეთუ განანყო ხორო მგალობელთა და მედღესასწაულეთა მწუხრი დილეულ და სამხრად მოუთხრობდე და ვეტყოდი და ესმეს ჴმისა ჩემისა და კუალად იტყვს: „ილოცეთ და მიეცით უფალსა ღმერთსა ჩუენსა ყოველნი, რომელნი არიან გარემოს მისა“. და სხუანი ყოველნი წინასწარმეტყუელნი არა დასცხრებოდეს მარადის ღამე და დღე ლოცვისაგან, ვითარცა დანიელისთვის წერილ არს, რამეთუ ოდეს წარიყვანა სპარსეთს კვიბროს მეუფჴმან და იყო მიდეთს კვიროს მეუფემან დიდად პატივ სცა და იყო მისა განმზრახ რჩეულ. ამისთვის შურად აღუდგეს მთავარნი მეფისანი. პირველად ვერაჲ რაჲ ღირსი შესმენისა საქმე უპოეს, ვითარცა წიგნსა მისსა წერილ არს, მაშინ მოიპოეს ღონე ესევეთარი, რაჲ საბრჴე დაუგონ კაცსა მას ღმრთისასა და ჰრქუეს მეუფესა: „ბრძანე მეუფეო, რაათა სამსა შვი(119v)დეულსა კაცნი ბრძანებისა შენისა მორჩილნი ვერაჲ, რომელსა სათხოელისა ითხოვდეს, ვერცა შენგან და ვერცა ღმრთისაგან, ამისთვის ჰრქუეს ესე მეუფესა, რამეთუ უწყოდეს დანიელისთვის, ვითარმედ არა დასცხრებოდა მიმდემად ლოცვისა და მუჴლთდრეკისაგან. მაშინ მზირ უყვეს წმიდასა მას და იხილეს იგი მუჴლმოდრეკით მლოცველად ღმრთისა მიმართ და შეასმინეს მეფესა და შთააგდეს მღვიმესა მას ლომთასა. ეგრეთვე წინასწარმეტყუელი ერემია მიუწერს ბაბილოვნით იჴრუსალიმს, რომელი დაშთომილ იყუნეს მუნ წარტყუჴნისაგან, რაათა სამარადისოდ ყოფდენ ვედრებასა ტყუჴთა მათთვის და მეფისა ნაბუქოდონოსორისა და ძისა მისისა ბალტაზარისთვის, რაათა მშვიდობით იყუნენ და ადრე მიემთხვივნენ განთავისუფლებასა“ (იერემია).

ისმინე პავლესიცა, რაჲსა მიუწერს ტიმოთეს: „გლოცავს უკუჴ ყოვლისა წინა, რაათა ჴყოფდე ვედრებასა ლოცვასა თაყუანისცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათჴს მეფეთა თჴსდა, ყოველთა მთავართა, რაათა მშვიდობით და მყუდროებით ცხობნდებოდით ყოვლითა ღმრთისჲს მსახურებითა და სინმიდითა, რამეთუ ესე არს კეთლი და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა, რომელსა ყოველთა კაცთა ჴნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჴემმარიტებისასა მოსლვა“ (I ტიმოთე 2,1).

კუალად იტყვს: „მნებას, უკუჴ ლოცვაჲ მამათა ყოველთა ადგილსა აჴყრობად (120r) ჴელთა წმიდად თჴნიერ რისხჴსა და გულის სიტყვისაჲ“ (I ტიმოთე 2,8).

ესრეთ ყოველნი წმიდანი მოციქულნი და წინასწარმეტყუელნი ლოცვითა და ვედრებითა გარდაიჴდიდეს დღეთა თჴსთა და ჩუენცა ამასვე გუასწავებდეს, რაათა არა უქმად გარდავიჴდიდეთ დღეთა და ღამეთა, არამედ რაათა მარადის ლოცვითა და ვედრებითა შევიჴურნეთ მარტოთ, რაათა ვიყუნეთ და კრებულსა შორის დიდძალსა, რამეთუ თჴნიერ ლოცვისა და ღმრთისა მიმართ ვედრებისა არა რაჲ კეთილთაგანი წარემართების, არამედ ლოცვა იგი, რომელსა



შევწირვიდეთ, ნუმცა არს საჩუენებელად კაცთა და სილალით, რაათა არა სათხუელისა ნილ მოილოს კაცმან ღმრთისაგან შეურაცხებაჲ და ყუზდრებაჲ, რომელსა იტყვს წინასწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „ერი ესე ბუნებითა მათითა პატივ მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან, რამეთუ ამოდ მსახურებენ მე“ (ესაია), არამედ ჯერ არს ლოცვა ჩუენი შემუსრვილითა და მდაბლითა გონებითა დაფარულთა მხედველისა მიმართ თვსგანცა და ეკლესიასა შინა.

რამეთუ წმიდაჲ მოციქული პეტრე და კორნილიოს მიერ თუალი ერდოთა ზედა ილოცვიდეს სახილველად ყოველთა, ვითარცა მათთვის წერილ არს, არამედ შესმენილ იქმნეს წინაშე ღმრთისაჲ ლოცვანი მათნი და მოუვლინა უფალმან ანგელოზნი შემწირველნი თხოათა მათთა, ხოლო კაინ, ძმის მკლველი, მარტოჲ შესწირვიდა მსხუჭრპლთა, არამედ არაკეთილად, ეგრეთვე ფა(120v) რისეველი მარტოჲ ილოცვიდა ერთისა თანა, არამედ ზუაობით, ხოლო ორნივე დაისაჯნეს ღმრთისაჲ მიერ.

კუალად ანნა, დედა სამოელისა, მღუმარედ ილოცვიდა, რამეთუ ბაგენი მისნი არა იძრვოდეს, არამედ უმაღლეს საყვრისა შევიდა ყურთა უფლისათა, ხოლო დავით წინასწარმეტყუელი კრებულსა შორის დიდძალსა, არამედ იგიცა სათნო იყო წინაშე უფლისაჲ, ხოლო უკეთუ ზუაობით იყოს, არცა რაჲ კრებულსა შორის, არცა რაათა მარტოებით სარგებელ არს ლოცვა, არამედ უფროსდა სავენებელ და საძაგელ წინაშე უფლისა, ხოლო სიმდაბლით ლოცვა ყოველივე სათნოდ შეწირულ წინაშე ღმრთისაჲ და მე ვჰგონებ, უკეთუ სიმდაბლით იყოს, კრებულსა შორის უმჯობეს არს.

ამისთვის აღაშენეს ყოველსა ქუეყანასა შინა ვრცელნი და დიდნი ეკლესიანი. ამისთვის განაწესეს წმიდათა მოციქულთა და წმიდათა სანატრელთა მღდელთ მოძღუვართა ღამის თევანი და ყოველი საეკლესიო წესნი.

და უკეთუ ესრეთ არა ჯერ იყო, არცა წინასწარმეტყუელთაგან მოელოთ ესე წესი, არცა მოციქულთაგან ესწავათ, არცა ქრისტესგან სმენოდათ, რაჲსათვის თავს იდებდეს ესოდენსა შრომასა და სიფიცხესა მღვიძარებისა და ლოცვისასა.

ხოლო უკეთუ ცუდის მეტყუელნი იგი წინა გვიყოფდენ სიტყუასა მას უფლისასა, ვითარმედ: „რაჲჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყვთ, ვითარცა იგი წარმართთაგანი, რამეთუ ჰგონებენ, ვითარმედ მეტყუელ(121r)ებითა მათითა ისმინოს მათი, ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რაჲ იგი გივს თქუენ, ვიდრე თხოადმდე თქუენდა მისგან“ (მათე 6,6). ესე ბრძანებანი უფლისანი არა არს მათისაებრ სიტყუსა, რამცა კაცნი არა ილოცვიდენ და მისცენ თავი თვისი უდებებასა და ძალსა და თუმცა ესრეთ ებრძანა უფალსა, ვითარცა იგინი ჰგონებენ და ესრეთ განენესა, რაჲსათვის ვერ გულისწმაჲ ყუზს ესე წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა მღდელთმოძღუართა, რომელნი ღამე ყოველ და დღე ილოცვიდეს და ყოველსა

ეკლესიასა ესე განუწესეს და სჯულად დაუსხნეს, ვითარცა მოციქული პავლე იტყვს: „ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცვიდით ყოველსა ჟამსა სულითა მებრვე, ამისთვის იღვიძებით ყოვლითა კრძალულებითა და ვედრებითა და ყოველთა წმიდათათჳს“ (ეფესელთა 6,11).

და კუალად იტყვს: „ასწავებდით დამოდღვრიდით თავთა თქუენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა მადლითურთ უგალობდით“ (კოლასელთა 3,16).

კუალად იტყვს: „ლოცვასა განეკრძალენით და იღვიძებდით მას შინა მადლობით. ილოცვიდით მისთა და ჩუენთვისცა“ (კოლასელთა 4,2).

ხედავთა, ძმანო, რამეთუ ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა ლოცვასა და მღვდარებასა გუმოდღვრიან წმიდანი მოციქულნი და არა ლიტონად და მცირედ, არამედ ფსალმუნებასა და შესხმასა და გალობასა პირითა და გულითა და არა უქმად და უდებად წოლასა და ძალსა, რამეთუ იაკობისთვის წერილ არს ძმისა უფლისაჲ (121v) ვითარმედ მიმდებად ლოცვისა და ღამე და დღე მუჴლთა დრეკისაგან და ქუეყანასა ზედა შუბლისცემითა დაკანებულ იყუნეს, ვითარცა მუჴლნი აქლემისანი და ღვნო და თაფლუჭი, არა ესვა და არცა რა მშვენიერი შესრულ იყო პირსა მისსა.

უკეთუმცა არა ჯერ იყო ესევეთარი ფიცხელი ცხორებაჲ, რაჲსათჳს მოიპოვეს ესევეთარი მოქალაქეობაჲ წმიდათა მათდა ყოვლითურთ განწმენდილთა კაცთა და ბუნებისა ზეშთა ქმნულთა და რაჲსათჳს ილოცვიდეს და ევედრებოდეს ღამე და დღე და არა ხოლო თუ ესე, არამედ ყოველნი წმიდანი მოციქულნი და წინასწარმეტყუელნი და მართალნი სამარადისოდ ილოცვიდეს და მღვდარებითა და ლოცვითა გარდაიჭდიდეს დღეთა თჳსთა და ჩუენცა ესრეთვე გვმოდღვრიდეს და სახესა და ნესსა დაგვიდებდეს.

და რაჲსა ვიტყვ სხუათა წმიდათა თჳთ თავადი უფალი და მწსნელი ჩუენი ესეოდენ ილოცვიდა: „ვიდრელა იქმნეს ოფლნი მისნი, ვითარცა ცუარი სისხლისა გარდამომავალი ქუეყანასა ზედა“ (ლუკა 22,44), ვითარცა წერილ არს წმიდათა სახარებასა შინა, რამეთუ მუჴლთა იდრეკდის და ესრეთ ილოცვიდის. ამისთვის ესეოდენნი ოფლნი მოსდიოდის, ვითარცა ცუარი სისხლისა და არა უდებად და დაწსნილობით, არამედ შრომით და ჭირით.

ამით დაყვენ ყოველი პირი უდებად და დაწსნილობით მლოცველისა უფროჲსლა მათ, რომელნი სძაგებენ მუჴლთ დრეკასა და ლოცვასა.

კუალად პეტრესთვის წერილ არს, ვითარმედ: „პეტრე ცულ იყო საპყრო(122r) ბილესა შინა, ხოლო ლოცვა გულისმოდგინედ იყოფოდა ეკლესიათა მიერ ღმრთისა მიმართ მისთვის“ (საქმე 12,5). უკეთუ არა იყო განწესებული ლოცვა ეკლესიათა შინა. ვითარ პეტრესთვის, მოციქულთა თავისა, ეკლესიანი ილოცვენ.

ეგრეთვე პავლესთვის, მოციქულისა, წერილ არს, ვითარმედ: „შილა და პავლე შეიპყრნეს და მრავალი წყალობაჲ დასდვეს და შესხნეს იგინი საპყრობ-

ილესა და ამცნეს საპყრობილის მცველსა მას კრძალულად დაცვა მათი და მან, ვითარცა ესევეთარი მცნებაჲ მოილო მათგან, შესხნა იგინი უშინაგანესა საპყრობილესა და ფერწი მათნი დაკრძალნა ჴუნდსა შინა და შუალამესა ოდენ პავლე და შილა ილოცვიდეს და უგალობდეს ღმერთსა და ისმენდეს მათსა სხუანი იგი პყრობილნი“ (საქმე 16,23).

იხილეთ ძმანო, პავლე, ქური იგი რჩეული, სამ ცამდე აღწევნული და გამოუთქმელთა საიდუმლოთა მსმენელი და მხილველი და მისთა შილა ჯაჭვითა და ჴუნდითა შეკრულნი შუალამე ილოცვენ და უგალობენ ღმერთსა, ხოლო ჩუენ რამე ვყოთ ცოდვათა შინა განფრდილთა, რომელნი მარადის განსუწნებისა და ძილისათჳს მოსწრაფე ვართ და განათლებულსა და ბრწყინვალესა ეკლესიასა შინა ლოცვა და გალობაჲ და მადლობაჲ ღმრთისაჲ მოგუწწყინების. არა გუწმის პავლესი, ვითარმედ: „მრავლითა ქირითა გკლირს შესლვად სასუფეველსა ცათასა“ (საქმე 14,22). არცა ქრისტესი ვითარ იტყ(122v)ჳს: „ინრო არს და საჭირველ გზაჲ იგი ცხორებად მიმყვანებელი“, არამედ პაპის მოსავენი გუწყვან, ძალითა და განსუწნებითა და მრავალ მჭამელობითა ჯერ არსო სათნო ყოფაჲ ღმრთისაჲ და კუალად იტყვან, ლოცვა და ფსალმუნებაჲ და დიდების მეტყუწლებაჲ ღმრთისაჲ მრავლის მეტყუწლებად შეირაცხებისო და მათსა ვისმენთ და არა ქრისტესა, არცა წმიდათა მისთა მოციქულთა და უკეთუ მრავლის მეტყუწლებად შეირაცხების ღმრთისა მიმართ ლოცვა და ფსალმუნებაჲ და გალობაჲ და დიდების მეტყუწლებაჲ, რაჲსათჳს მოციქული პავლე „ფსალმინითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა გუასწავებს ლოცვასა და ვედრებასა მარადის“ (კოლასელთა 3,16), ვითარცა ზემორე მოვიწყენეთ და ყოველთა წმიდათა ესე სჯულად დაგვისხნეს, რამეთუ თვნიერ ამისა არა რაჲ კეთილთაგანი წარემართების, ვერცა მოტევებასა ცოდვათასა მოვილებთ, ვერცა ვნებათა მძლე ვექმნებით, ვერცა უხილავთა მტერთა განვერებით და ვერცა საუკუნეთა კეთილთა მოვემთხუწვით.

ხოლო იტყჳს: „ნუ მრავლისმეტყუწლებთო, ვითარცა იგი წარმართთაგანი“, ესე არს, რაჟამს კაცი ილოცვიდეს და არა რაჲსა სულიერსა და მტკიცესა და წარუალსა ეძიებდეს, არამედ ყოველსავე ჴორციელსა და ცუდსა და წარმავალსა ითხოვდეს. ესე არს მრავლისმეტყუწლება და წარმართ(123r) იცა ესრეთვე ილოცვიდეს, რამეთუ ყოველსავე განხრწნადსა და წარმავალსა და ჴორცთა საშუწბელსა ეძიებდეს. ამისთჳს ბრძანებს უფალი, ვითარცა იგი წარმართთაგანიო, რამეთუ მრავლისმეტყველებაჲ არს, რაჟამს კაცი ესევეთართა ეძიებდეს და ითხოვდეს ლოცვათა შინა და არა თუ ლოცვასა აყენებდეს და დიდებისმეტყუწლებასა მადლობითა გულითა, ფსალმუნითა და გალობითა შესხმითა სულიერიითა.

არამედ ესრეთ ჯერ არს ლოცვაჲ, ვითარცა წმიდანი მოციქულნი გუასწავებენ და თვთ თავადი უფალი სამუფოჲსა მას ლოცვასა განგწენებს, რამეთუ რაჟამს მას ლოცვასა ვიტყოდით, ყოველივე საიდუმლო ლოცვისა და ყოველივე

სათნობა მას შინა გამოისხების და სამარადისოსა ლოცვისა და გალობისა და შესხმისა სულიერისა წესი მით მოესწავების. რაჟამს ვიტყვით: „იყავნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქუეყანასა ზედა“, რამეთუ ვითარცა დაუცხრომელად აქებენ ცათა შინა ანგელოზნი და საქმე არს მათი, რაჟთა სამარადისოთ უგალობდენ და აქებდენ ღმერთსა, ეგრეთცა ჰნებავს მეუფცსა ჩუენ მიერ ქუეყანასა ზედა დიდებისმეტყუწლებითა და ფსალმუნითა მარადის ქებაჲ და გალობაჲ, რამეთუ ვითხოვდეთ მისგან წარუალთა კეთილთა და ხილულიცა ესე და მსოფლიო შეგვეძინოს აღთქმისაებრ უფლისა, ვითარმედ: „პირველად ეძებდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგვეძინოსთ თქუენ“ (მათე 6,33). და არა თუ სრულად ულოცა(123v) ობასა და ღამე ყოველ ძილსა და უდებებასა ბრძანებს უფალი სიტყვითა მით, ვითარმედ რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავლისმეტყუწლებთ, არამედ ფრიადსა მღვდარებასა და ლოცვასა გუასწავებს უფალი, ვითარცა ეტყოდა მონაფეთა: „იღვძებდით და ილოცვიდით, რაჟთა არა შეხვიდეთ განსაცდელთა“.

ხოლო მარკოზი დასწერს, ვითარმედ: „იღვძებდით უკუწ, რამეთუ არა იცით, ოდეს იგი უფალი სახლისა მის მოვიდეს მწუხრი ანუ შუალამესა, ანუ ქათმის ჳმობასა, ანუ განთიად ნუუკუწ მოვიდეს მეყუსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი, ხოლო ძილსა ესე გეტყვ თქუენ, ყოველთა გეტყვ მღვიძარე იყუწნით“ (მარკოზი 13,35).

ეგრეთვე ლუკაცა დასწერს: „ილოცვიდით, რაჟთა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“ (ლუკა 22, 46).

ხოლო უფალმან, მარადის მეძიებელმან ცხოვრებისა ჩუენისამან, ყოვლისა სათნობისა თავად ესე ბრძანა და ყოვლისა მცნებისა რაჟოდენნიცა გუამცნო, უმეტესი სახე და იგავი ამისთჳს შემოილო.

ვითარცა იგი ზემოცა გვითქვამს და აწცა ვიტყვით, რაჟოდენნი იგავნი გვიბრძანა ლოცვისათჳს და მღვიძარებისა: „და თქუაჲ უფალმან: იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელი ათქუენი აღანთე ბნელ და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თვისსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რაჟთა რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას. ნეტარ იყვნენ იგი (124r) მონანი, რომელთა მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღვდარენი“ (ლუკა 12,35) და შემდგომი.

იხილეთ, ვითარ ჰნატრის მღვდარეთა და რომელნი მარადის მზა არიან ლოცვისათჳს და დიდებისმეტყუელებად უფლისაჲ და ვაებასა მისცემს, რომელნი არა მზა არიან ღამე და დღე ქებად და დიდებისმეტყველებად უფლისა.

კუალად სხუაჲ იგავი ისმინეთ მარადის ლოცვისათჳს:

„და იყო ადგილსა, რომელსამე თავადი ილოცვიდა და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუაჲ მას ვინმე მონაფეთაგან მან, უფალო, გვასწავე ლოცვაჲ, ვითარცა იოანე ასწავა მონაფეთა თვისთა. ხოლო თავად მან ჰრქუაჲ მათ, რა-

ჟამს ილოცვიდეთ, თქუთ მამაო ჩუენო“ (ლუკა 11,1) და შემდგომი.

რამეთუ ყოველსავე ლოცვისა წესსა და ვედრებისასა ლოცვაჲ ესე სამეფო გამოსახავს, ვითარცა ზემოცა გვთქვამს და უკეთუ მარტოჲ ესე ლოცვაჲ ემცნო უფალსა და დაედვა წესად ლოცვისაჲ და სხუაჲ არა რაჲ, ვითარცა ლოთერანი იტყვიან და უფროსლა მოსავენი პაპისანიცა, რაჲსათჳსა შემოილო უფალმან ესეოდენნი სახენი და იგავნი მოუწყინებლად ლოცვისანი და თვტცა მრავალგზის ღამეთა ათევედის ლოცვითა? ანუ სხუაჲთა წმიდათა და დიდთა ღმრთისმეტყჴლთა რაჲსათჳს განანესეს ეკლესიასა შინა ლოცვაჲ ღამე და დღე მოუწყინებლად ფსალმუნებანი და გალობანი და შესხმანი სულიერნი და არა ხოლო მარტოდ ლოცვა იგი სამეფოჲ „მამ(124v)ო ჩუენო, რამეთუ რომელიცა ლოცვაჲ და ფსალმუნებაჲ არს განწესებული წინასწარმეტყჴელთაგან ანუ ღმრთისმეტყჴელთაგან ყოველივე სამეფოჲ არს და სულისა მიერ წმიდისა თქმული, ვითარცა წერილ არს: „იოტა ერთი, გინა რქუაჲ ერთი შჯულისაგან და წინასწარმეტყჴელთა არა წარჯდეს“ (მათე 5,18)

ხოლო სამეფო იგი ლოცვაჲ „მამა ჩუენოსა“ სიადვილისათჳს ბრძანა ესრეთ მოკლე და მცირე, რაჲთა ყოველსა კაცსა მიზეზი არა აქუნდეს უდებად წოლისა და ულოცაობისა, არცა მჴედართა, არცა ვაჭართა, არცა მწყემსთა და არცა მუშაკთა, არცა სნეულთა და არცა მგზავრობასა შინა მყოფთა და ყოვლად ჟამსა ჰასაკსა მამათა და დედათასა, ბერთა და ჭაბუკთა, რაჲთა არა იტყოდინ ვითარმედ: მე უმეცარ ვარ წერილსა. სხუაჲ იტყოდის, ვითარმედ ეკლესიასა შორს ვარ და სხუაჲ იტყოდის, ვითარმედ მღდელი არა არს და სხუაჲ უცალოებაჲსა და სხუაჲთა მრავალთა მიზეზთა მიზეზობდეს. ამისთჳს ბრძანა ესე ვითარი მოკლე და მცირე ლოცვაჲ, რაჲთა რომელთა სხუაჲ არა რაჲ იცოდენ, ანუ ეკლესიასა და სამღდელითა კაცთა შორევედენ, ანუ სნეულ იყვნენ, ანუ უცალო იყვნენ, რომელთაცა მიზეზითა ესრეთ ილოცვიდენ მოუწყინებლად, რამეთუ ყოველთავე თანა-აც. ამისი დასწავლა და ყოველთავე მიერ შესაძლებელ არს სიადვილისათჳს და სიმოკლისა, ხოლო ბევრგზის თქმაჲ ამისი უმჯობეს არს და კაცად-კაც(125r)ადი ძალისაებრ და მოცალეებისა თანამდებ არს ამისა მრავალგზის თქმად, ხოლო რომელთა ესე სამეფო ლოცვაჲ არა იციან ქრისტიანედ, არა შეირაცხების კაცი იგი და ვაჲ, მღდლისა მისა, რომელმან სამწყსოსა თჳსისა სიყრმესავე ესე არა ყოველსა კაცსა ასწაოს, რამეთუ სასჯელი საშინელი მიეჯადოს მას, ეგრეთვე მათ, რომელნი არა ისწავებდენ გულის მოდგინედ, დაისაჯნენ. ხოლო მოცალეთათჳს და რომელთა საჭიროჲ საქმე არა თანაედვას, მათთჳს განწესებულ არს ეკლესიასა შინა და ყოველსა ადგილსა ღამე და დღე და ყოველსა ჟამსა მოუწყინებელი ლოცვაჲ და მარადის მისლვა ეკლესიად და ლოცვა და მადლობაჲ უფლისაჲ ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა.

ხოლო რაჟამს იგი ასწავა უფალმან მოწაფეთა ლოცვა იგი სამეფოჲ, მყის ზედა დართო იგავი ესე მოუწყინებლად ლოცვისანი და ეტყოდა მათ: „ვის

თქუენგანსა ესვას მეგობარი და მივიდესა მისა შუალამესა და ჰრქუს მას: მეგობარო, მავასხენ სამნი პურნი, რამეთუ მეგობარი მოვიდა გზით და არა რაჲ მაქუს, რაჲ დაუგო მას. მაშინ მიუგოს მას შინათ გამო და ჰრქუჲას მას: ნუ შრომასა შემამთხუცვ მე, რამეთუ კარი დაწმულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა, ვერ ძალმიც აღდგომად და მიცემად შენდა. გეტყვ თქუენ: დალაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ ა(125v)რს. იგი მეგობარ მისა წყინებისა მისთვის მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენი უწმდეს მას, ხოლო მე გეტყვ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძებდით და ჰპოოთ, რეკდით და განგელოს თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოიღოს და რომელი ეძებდეს, ჰპოოს და რომელი ირეკდეს, განელოს“ (ლუკა 11,5). ვის უკუშ თქუენგანსა მამასა სთოვდეს ძე პურსა, ნუუკუშ ქვაჲ მისცეს მას? გინათუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუშ თევზისა წილ გუწელი მისცეს მას? გინათუ კვერცხსა სთხოვდეს, ნუუკუშ ღრიანკალი მისცეს მას? უკუეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას.

ხოლო ვინმცა იყო ესრეთ უგუნურ და უცნობო, რომელსამცა ესმოდის ცხოველსმყოფელნი ესე ბრძანებანი და აღთქმანი იგი, რომელ აღუთქუნა უფალმან მთხოველთა და მვედრებელთა მისთა და არა ეძებდა მისგან წყალობასა და მოღებად ცოდვათა მოტევებასა, გინათუ მიმთხვევადი ცხოვრებასა საუკუნოსა, ანუმცა არა ჰრეკდა დღე და ღამე მოუწყინებელად კარსა მოწყალებისა მისისასა, რაჲთამცა განელო მას, რამეთუ უტყუშლ არს აღთქუმათა შინა მისთა, რამეთუ მეძიებელთა მისთა მსწრაფლ ეპოების, ვითარცა იტყვს წინასწარმეტყუელი ესაია (126r) მიერ, ვითარმედ „რაჲამს ღაღადებდე, უფალმან ისმინოს შენი და ვიდრე თხოადმდე შენდა გრქუჲას, აქა ვარ“. ამისთვის ჯერ არს ჩუენდა მარადის ლოცვაჲ ღამე და დღე, ვითარცა გუასწავებს მოციქული პავლე და იტყვს: „მოუკლებელად ილოცევდით ყოველსა შინა, მადლობდით, რამეთუ ესე არს ნებაჲ ღმრთისაჲ ქრისტეს იესუს მიერ თქუენდა მიმართ“ (I თესალონიკელთა 5,17), რამეთუ ესრეთ ყოვლითურთ გუასწავებენ მოუკლებელად ლოცვასა და არა უდებად წოლასა და მოწყინებასა.

ამის პირისათვს სხუაჲცა იგავი ისმინეთ, რომელი თქუჲა უფალმან: „და ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ იგი ჯერ არს მათდა მარადის ლოცვაჲ და რაჲთა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა და იტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისაჲ არა ემინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუწნოდა და ქვრივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა და მოვიდის მისა და ეტყვნ: მისაჯე მე წინა მოსაჯულისაგან ჩემისა და არა ისმინის მისა, ვიდრე რომელად ჟამადმდე. ამისა შემდგომად თქუჲა გულსა შინა თვსსა: დაღათუ ღმრთისაჲ არა მეშინის და კაცთაგან არა მარცხუწნის, ამისთვის, რამეთუ შრომასა შემამთხუცვს მე, ქრვივი ესე, მარადის. უსაჯო მას, რაჲთა არა მარადის მოვიდოდის

და მანყინებდეს მე. და ჰრქუა მათ უფალმან: ისმინეთ, რაჲსა იგი მსაჯული სიცრუვისა იტყვს, ხოლო ღმერთმან არა მეყოსა შურის გებაჲ რჩეულთა მისთა, რომელნი ღალადებენ (126v) მისა დღე და ღამე და სულგრძელ არს მათ ზედა“ (ლუკა 18,1).

ჰა, ცხადი იგავი და სახე ჭეშმარიტი მოუნყინებელად ლოცვისა და დღე და ღამე ვედრებისა და ღალადებისა, რომელი გუჴსმა სახარებისა ბრძანებისაგან, რამეთუ მსაჯული სიცრუვისა შემოიღო იგავად, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუჴნოდა და არცა ბუნებითი მონყალებჲ აქუნდა, არამედ თავისა თვისისა ნყინებისათჴს ისმინა ქურივისა მის და უსაჯა, რაჲ ვთქუათ ბუნებით სახიერისა მის მეფისათჴს, რომელსა აქუს უფსკრული მონყალებისა და კაცთმოყუარებისა და მზა არს შეწყნარებად ყოველთა, რომელნი ღალადებენ მისა დღე და ღამე, ვითარ ეგების, თუმცა არა ისმინა მათი, ანუ არა მოხედნა ვედრებასა მათსა, ანუ ვინ არს უსასო მონყალებათაგან მისთა ესრეთ, რომელმანცა დაიცონოს აღებად პირისა და ვედრებად მისა, რომელი ჴმობს მარადის: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ“.

ხოლო მოსავნი პაპისანი მოძღვრიან მათგან შეცთომილთა ერთა და ეტყვიან: ღამე ძილისათჴს მოუცემიეს ღმერთსა და დღე ჴამისა და საქმისათვისო. და არა ისმენენ ესეოდენტა მოძღვრებათა უფლისათა და ყოველთა წმიდათა მისთათა, რომელნი ესრეთ გვასწავებენ, ვითარმედ ღამე მცირედ განსვენებისათვის არს მოცემულ კაცთათჴს და უმე(127r)ტესსა ჟამსა ლოცვისა და მადლობისათჴს ღმრთისაჲ და დღე კუალად პირველად ლოცვისა და მადლობისათჴს ღმრთისაჲ და მერმე ძალისაებრ კაცად-კაცადისა შრომა და საქმე და კუალად მადლობა და ლოცვა სიტყვსაებრ დავითისა: „მწუხრი დღეულ და სამხრად მიუთხრობდე და ვიტყოდე და ესმეს ჴმისა ჩუენისა და კუალად შუდგზის დღესა შინა გაქებდე შენ“, რამეთუ ყოველნი წმიდანი ძუჴლსა შინა სჯულსა და ახალსა ლოცვით განბრწყინდეს და თვთ თავადი ქრისტე ამას ქადაგებს და ამას სჯულ გვიდებს, რაჲთა მარადის ვილოცვიდეთ, ვითარცა იგი ილოცვიდის მონაფეთა თჴსთა. ამას უბრძანებდის და უკეთუ მის მიერ და მისგან არა სმენოდა და არცა ეხილვათ, ვითარ საპყრობილესაცა შინა შეკრულნი ჯაჭვითა და დაკრძალულნი ჴუნდსა შინა ღამე ყოველ უგალობდეს ღმერთსა, ვითარცა ზემოცა მოვიჴსენეთ პავლესთჴს. ეგრეთვე წმიდანი სამნი ყრმანი ცეცხლსა შინა დაუდუმებელად გალობდეს და აკურთხევდეს ღმერთსა: დანიელ – მღვიმესა შინა ლომთასა, იერემია – მწვირისა ჯურღმულსა შინა და იონა – მუცელსა ვეშაპისასა ილოცვიდეს. ჩუენ რაჲმე ვყოთ ცოდვათა შინა შობილთა და მას შინა აღზრდილთა და მრავლითა ბოროტითა განფრდილთა, რომელთა გვცონის აღდგომად და ვედრებად უფლისა, ანუ ეკლესიად მისლვაჲ, ანუ რაჲ ყონ მათ, რომელნი ლბილთა სარეცელთა ზედა ქუჴწუნანან და არა აღ (127v)იხილვენ ზე, ვიდრე მზის აღმოსვლადმდე, არცა მივლენ ეკლესიად, უკე-

თუ წმიდანი იგი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე ესეოდენთა ჭირთა და პყრობილებათა შინა, არა დაიცონეს დიდება და გალობა ღმრთისაჲ. ჩუენ განათლებულსა და ბრწყინვალესა ეკლესიასა შინა გუენყინების დგომა და ლოცვა და ცუდადმტყულებასა და უქმთა გულისიტყუთა შევექცევით და არა გუჴშინის გულთა და თირკმელთა გამომეძიებელისა ღმრთისაგან. სამართლედ ითქუაჲს ჩუენთჴსცა: „ერი ესე გალობითა მათითა პატივ მცემს, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან“.

არამედ გულისმოდგინედ შემოვრკბეთ ეკლესიად დამდაბლებულითა და შემუსრვილითა გულითა ვითხოვდეთ ღმრთისაგან წყალობასა და მოტევებასა ცოდვათასა, რამეთუ წერილ არს: „სული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“. ესრეთ სიმდაბლით მლოცველი უყვარს უფალსა და არა სილალით და ამპარტავნებით და რაჲთა მცნებათაცა მისთა ვიმარხვიდეთ და ბრძანებათა მისთა ვყოფდეთ.

ხოლო უკეთუ არა ვისმინოთ მისი, არცა მან ისმინოს ჩუენი და უკეთუ ჩუენ არა მიუპყრათ ყური, არცა მან მოყოს ყური მისი ჩუენდა მომართ.

(128r) ვითარცა წერილ არს ლევიტელთა შინა: „უკეთუ ბრძანებაჲთა ჩემთა ხვიდოდით და მცნებაჲთა ჩემთა იმარხვიდეთ და ჰყოფდეთ მათ ყოველი, რჲოდენი გამცენ თქუენ, მოვიხილო თქუენ ზედა და გაკურთხენ თქუენ და აღგაორძინე თქუენ და განგამრავლნე თქუენ“. და შემდგომნი იგი აღთქმანი, რომელ აღთქულ არიან, რომლითა დაიმარხონ ბრძანებანი მისნი.

და მერმე იტყჴს: „ხოლო უკეთუ არა ისმინოთ ჩუენი, არცა ჰყოფდეთ ბრძანებათა ჩემთა, არამედ ურჩ ექმნეთ მათ და სამართალნი ჩემნი მოიწყინნეს სულმან თქუენმან და არღარა ჰყოფდეთ ყოველთა მცნებაჲთა ჩემთა და განაქარვნეთ აღთქმანი ჩემნი და მეცა ეგრეთვე იგი ყო თქუენ და მოვაჯლინო თქუენ<sup>17</sup> ზედა უნაყოფობაჲ და სთესვიდეთ თესლსა თქუენსა ცუდად და გდევნიდენ თქუენ<sup>18</sup> მტერნი თქუენნი და დაეცნეთ წინაშე მტერთა თქუენთა და შევემუსრო გინებასა ამპარტავნებისა თქუენისა“ და შემდგომი ამისი რავდენნი წერილ არიან რისხვანი ურჩითაჴს ბრძანებისა მისისაჲთა.

კუალად უფალი აყუჴდრებს მნიგნობართა და ფარისეველთა ეტყჴს: „ვაჲ, თქუენ და მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რომელნი შეშქამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით, ამისთჴს მიიღოთ უმეტესი სასჯელი“ (მათე 23,13). (128v) ამისთჴს შემოვიდე ბრძანებანი ესე უფლისანი და სიტყუანი წინასწარმეტყუელთანი, ვითარმედ ღმერთსა სიმართლით მლოცველი უყვარს, რაჴამს მცნებათაცა მისთა ვიმარხვიდეთ და ბრძანებათა მისთა ვყოფდეთ და ქველის საქმითა და მოწყალებითა ჴელნი ჩუენნი სავსე იყვნენ და დავრდომილთა ობოლთა და ქურივთა უსჯიდეთ. მაშინ ისმინოს ჩუენი და ვიდრე თხუადმდე ჩუენდა გვრქუას: „აჴა აქა ვარ“.

<sup>17</sup> ხელნაწერში გადაშლილია „[თქუენ]და მტერნი თქუენნი“

<sup>18</sup> ხელნაწერში გადაშლილია „მტერნი თქუენ“



და უკეთუ უსამართლოებითა და ანგარებითა და მოხუჭჭითა ჴელნი ჩუენნი სავსე იყვნენ და სხვთა მრავლითა ბოროტითა შებლალულ, ვითარ ისმინოს ჩუენი, ანუ ვითარ მოყოს ყური მისი ვედრებისა ჩუენისა.

ხოლო უკეთუ თქუას ვინმე, ვითარმედ: ვაებდ იგი, რომელი ჰრქუაჲ მნიგნობართა და სჯულის მოძღვართა მიმართ ბრძანაო, რომელი შეშქამენ სახლებსა ქვრივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვენ. პეტრე ჭეშმარიტად ესრეთ არს და მეცა ეგრეთვე ვიტყვ: მნიგნობართა და სჯულის მოძღვართა უმეტესად ეთხოვების მცნებათა მისთა და მარხვა და გარდამავალთა ბრძანებისა მისისათა უმეტესი სასჯელი მევადების, ვითარცა იტყვს მოციქული პეტრე: „რამეთუ ჟამმან დაწყებდ სასჯელისა სახელისაგან ღმრთისაჲ იწყოს პირველად, უკეთუ კულა პირველად ჩუენგან, რამე იყოს აღსასრული ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისათა (129r) და უკეთუ ძნიად განერეს უღმრთო იგი და ცოდვილი სადალა იპოოს“ (I კათოლიკე პეტრესი 4,17).

დადაცათუ სჯულის მოძღვართა და მნიგნობართა მევადების სასჯელი არა დამარხვისათჳს სჯულისა, არამედ ისმინეთ მოციქულისა, რაჲსა იტყვს: „პირველად სასჯელი ჩუენგან იძიებისო“. და უკეთუ პირველად ჩუენგან რამე ეყოს ურჩთა სახარებისა ღმრთისათა, რამეთუ სასჯელი ღმრთისაჲ მართალ არს და გარდამავალთა ბრძანებისა მისისათა ურჩთა სახარებისა ღმრთისაჲთა ზოგად მიევადების სასჯელი, ხოლო რომელნი იმარხვენ მცნებათა მისთა და ბრძანებათა მისთა ჰყოფენ, ნეტარებანი და აღთქმანი ზოგად მენიჭების ყოველთა. პირველად მნიგნობართა და სჯულის მოძღვართა მერმე ყოველთა კაცთა მორჩილთა ბრძანებისა მისისათა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუესა მოვიდეთ, ვითარმედ უკეთუ სახითა ყოველითა ბოროტითა სავსე ვყვნეთ და ბოროტისაგან ჩუჭულებებისა მოუქცეველ, მარტოდ ლოცვისაგანცა არარა გუერგოს და უკეთუ ბოროტთაგან ვეკრძალეზოდით და ძალისაებრ ვისწრაფოთ და მარხუად მცნებათა მისთა. მაშინ კეთილ არს ჩუენდა ყოფად ლოცვა მარადის ღამე და დღე მოუწყინებელად. მარტო რაჲ ვიყუნეთ და კრებულსა შორის სახლთა შინა ჩუენთა და ეკლესიათა შინა ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა და ადგილსა კეთილ არს ჩუენდა ლოცვა და თჳნიერ ამისა არა რაჲ კეთი(129v)ლთაგანი წარემართების და არცალა ცხოვრებაჲ ჩუენი დაიცუჭების და ყოველთა სათნოებათა ესე არს სამკაული და გვრგვინი და უკეთუმცა დიდად არა საჭმარ-იყო ესე კაცთა ბუნებისათჳს, არცა მწსნელი ჩუენი, ჩუენი ქრისტე ესრეთ გულისმოდგინედ აღასრულებდა ლოცვასა მარადის ღამე და დღე თვისაგან მარტოჲ და კრებულსა შორის მონაფეთასა და ღამესა ათევდა ლოცვითა ღმრთისაჲ მიმართ, ვითარცა ზემოცა მრავალი აღგვნერეს ამის პირისათჳს და ჩუენ სახესა მოგუცემდა მოუწყინებელად ლოცვისასა, რაჲთა შეუდგეთ ბრძანებათა მისთა და ღამე და დღე მოუწყინებელად ვილოცვიდეთ შემუხრვილითა დამბადებლითა გონებით.

ხოლო რომელთა არა აქუს მოცალებად საჭიროთა საჭმართათჳს და ჯერონისა მიზეზისა, ვითარ არიან მუშაკნი და მოწელენი და ჯორციელთა უფლითა ქუჭში მყოფნი, იგინი ვერ აღასრულებენ დაუკლებელად განწესებულსა ლოცვასა, არამედ კაცად-კაცადსა ძალისაებრ და მოცალებისა ეკლესიისა მოძღვართა მიერ აქუნდინ განწესებული ლოცვად, გინათუ თვისგან, გინათუ საკრებულოდ, ხოლო სამეფოდ იგი ლოცვად ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა, ყოველთა კაცთა და ყოველთა საქმესა შინა მყოფთა წარუალად თანა აც თქმა და მით ლოცვად.

(130r) ხოლო მონესენი და ერისაგანნი, მოცალებნი და თავისუფალნი ცუდისა და ჯორციელისა განცხრომისა ძლით და უმიზეზოთა მიზეზითა ნუ და აკლდებენ ეკლესიად მისლვასა, ნუცა თვისაგან ლოცვასა და ვედრებასა.

ხოლო კვირიაკესა და საჩინოთა დღესასწაულთა მონესეთა და ერისაგანთა, დიდთა და მცირეთა, მოცალებთა და მუშაკთა და ყოველსა ჰასკსა, თვნიერ სნეულებასა შინა მყოფთა, თანა აც ყოვლისა საქმისაგან მოცალებად და ეკლესიად მისლვად და ღამე და დღე ლოცვად და მღვიძარებად, მადლობად და ქებად უფლისად განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

ხოლო ლათინთა ყოველივე მოსპეს ეკლესიით და დაჰჳსნეს მამათა საზღვარი და კაცად-კაცადი შეუდგა ნებასა და განზრახვასა თჳსსა და მოიპოეს ყოველი დაჰსნილობად და ნებაჲ ჯორციელი და არღარა არს მათ შორის არცა საეკლესიო განწესებულ ლოცვად და ფსალმუნებაჲ, არცა გალობად და დიდების მეტყუელებად, არცაღა თვისაგან თვნიერ მცირედ მამაო ჩჳნოხსა და წირვისა და იგიცა უკრძალველად და თვნიერ მოცემულისა საეკლესიოსა წესისა, რომელი თჳსსა ჟამსა იგიცა ძალისაებრ უნაკლულოდ აღვწეროთ.

ან უკუჳ ვჰკითხოთ მათ: ვინ ასწავა ესე წესი, რაჲთა არა ილოცვიდენ, ვერცა შეიკრძალონ (130v) მოციქული, რომელმან წინასწარმეტყუელმან, ანუ რომელმან მოციქულმან განუწესა ესე? ანუ რომელმან კრებაჲმან სჯულ უდვად ესე? უკეთუ წმიდათა მარადის ეჴმარებოდა მარხუად და ლოცვა, ჭირი და შრომა, ჩუენ რად ვყოთ მარადის ცოდვათა შინა მყოფთა? ანუ ვითარ მოვილოთ ცოდვათა მიტევებაჲ თვინიერ ამისა? ესე შევიტკბოთ მორწმუნენო და ამით სათნო ვეყოთ უფალსა, რაჲთა სხჳსაცა სათნოებისა და ბრძანებისა მისისა შეუძლოთ და მარხვად და ღირს ვიქმნეთ დამკვდრებად ცხორებაჲ საუკუნოსა ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუჳნის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემა თანა დაუსაბამოდ მამით და ყოვლად წმიდით სულითურთ ან და.....

## XXIV თავი. აღმოსავლეთ ლოცვისათვის.

ვთქვით, რა იგი ჯერ იყო ლოცვისათვის მადლითა სულისა წმიდისათა და არა ჴუჭბულ ვიქმნენით შემდგომითი-შემდგომად აღწერად. ან კუალად აღმოსავლით ლოცვისათვის ვიტყოდით, თუ ჩუენ რაჲსა და ვითარისა მიზეზისათვის ვილოცავთ აღმოსავლით მხედველნი და პაპის მოსავთა შორის არცალა ესე იპოების, არამედ ვითარ და სადეთცა დაემთხვოს აღმოსავლით, გინა დასავლით, ჩრდილოთ ანუ სამხრით, მუნით ილოცვენ და თაყუანისცემენ და (131r) და საკურთხეველთაცა ეგრეთვე აღმართებენ და არ აღმარხვენ ამასაცა ზედა ძუჭლითგანსა მოცემულსა წესსა და საზღვარსა წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთაგან მოსწავებულსა.

ხოლო ჩუენ, მართლმადიდებელნი, არა გარდავალთ მათ მიერ დადებულსა საზღვარსა, რამეთუ წმიდათა მოციქულთა აღმოსავლით განგვიწესეს თაყუანისცემა და ყოველსა ქუეყანასა ყოვლით კერძოდ და ყოველსა ჟამსა შინა სოფელსა ეკლესიანი რაჲ დაამყარნეს, მას შინა აღმოსვლით კერძოდ აღმართნეს საკურთხეველნი და ესრეთ განგვიწესეს ლოცვაჲ და თაყუანისცემაჲ, რამეთუ ვერა სადა ჰპოო, რომელსაცა ქუეყანასა მიიწიო, თჳნიერ აღმოსავლეთისა სხვთ კერძო დამყარებული ეკლესია, არცა მცირე და არცა დიდი, არცა საკურთხეველი, არცა ხოლო თუ ჩუენ, მართლმადიდებელთასა, არამედ არცალა სხუათა მათ ქრისტეანედ სახელდებულთა მწვალებელთა, მრავალთა ქუეყანათა შინა განფენილთა და უკეთუ მოციქულთაგან ძუჭლითაგნვე არა იყო მოცემულ და მათ მიერ განწესებულ, რასათვის ერთსაცა შინა ქუეყანასა ანუ დაბასა არა იპოების სხვით კერძო აღმართებული საკურთხეველი, გინა ეკლესიასა თჳნიერ აღმოსავლეთისა.

ხოლო იტყჳან ჰრომს შინა, რომელთამე ძუჭლითგანთა ეკლესიათა ახლად შეცვალებულთა და აღმოსავ(131v)ალისა ნაცვლად დასავალით, გინათუ სამხრით, ანუ ჩრდილოთ კერძო საკურთხეველთა აღმართებასა. არა ძუჭლითგან, არამედ ახლად მათ მიერ შეცვალებულსა, რაჲთა ამითცა განეყონ და განეშორონ აღმოსავლეთისა ეკლესიასა და ყოველი მათი უცხო იყოს ძუჭლითგანისა განწესებისა მიერ და უკეთუმცა ძუჭლითგანმცა ყოფილიყო ესრეთ, ვითარცა იგინი იტყჳან, ერთ-სამცა ადგილსა იპოებოდა, თჳნიერ აღმოსავლეთისა დამყარებული ეკლესია.

რამეთუ არცალა ამას ზედა დაიმარხეს წესი და საზღვარი წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და ძუჭლითგანსა მოცემულსა წესსა ზედა არა დადგრეს, რამეთუ წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა თვალთ მხილველთა ქრისტესთა და ჴელით მსახურთა, აღმოსვლით განგწესეს თაყუანისცემა და ლოცვა უწერელად, ვითარცა დასწერს დიდი ბასილი და წმიდა იოანე დამასკელი, ვითარმედ: „უწერელად მოგუწცნესო მრავალნი ქრისტე-

ანობისა წესნი მოციქულთაგანო, ვითარცა იგი აღმოსავლეთით ლოცვა და ჯუარისწერით თაყუანისცემაო“.

რამეთუ მოციქულთა მრავალ არს განწესებული ესე, რაათა აღმოსვლით კერძო მხედველნი ვილოცვიდეთ, რამეთუ მოციქული იტყვს: „ძმანო, გაქებ თქუენ, რამეთუ ჩემი ყოველი გაჰსოვს თქუენ, რომელი მოგეც“ (I კორინთელთა 11,2), რამეთუ წიგნისა წილ ყოვლისა ქუეყნისა ეკლესიანი ღალადებენ აღმოსვლით მიმართ ლოცვასა, (132r) რამეთუ მათ მიერ არს პირველად ეკლესიანი ყოველსა ქუეყანასა დამყარებულნი. ამის მიზეზისათჳს, რამეთუ პირველი მამული ჩუენი აღმოსავალით გვსწავიეს, რომელი წარწყმიდა ადამ, მამამან ჩუენმან, მას მოვიჴსენებთ, ვინა იგი გამოვეჴუწნით და კუალად მოველით პირველისა მიმართ საშუაზბელისა მოქცევასა, ვითარცა დასწერს წინასწარმეტყუელთა შორის დიდი მოსე მხთისმხილველი, ვითარმედ: „დაასხა ღმერთმან სამოთხე აღმოსავალით და მუნ დაამკვიდრა კაცი იგი პირველი“.

ხოლო დავით იტყვს: „მეფენი ქუეყანისანი აქებდით ღმერთსა და უგალობდით უფალსა, რომელი იგი ამალღდა ცასა ცათასა აღმოსავალით“.

და კარავსა მასცა საწამებელსა აღმოსავლით აქუნდა კრეტსაბმელი და სალხინებელი.

და ტომი იუდასი, ვითარცა უპატოსნესი, აღმოსავალით კერძო იყო მდგომარე.

და სახელოვანსა მასცა ტაძარსა სოლომონისასა ბჳე უფლისა ამოსავლით აქუნდა.

და კუალად ესაია წინასწარმეტყუელი იტყვს: „აჰა, ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდინ სახელი მისი ევმანოელ, რომელ არს – ჩუნ თანა ღმერთი. აღმოსავალ არს სახელი მისი“.

და კუალად ეზეკიელ, საკრველი წინასწარმეტყუელთა შორის, იტყვს: „და მომაქცია მე გზასა მას ბჳისა მის წმიდათასა გარეშესა, რომელი ხედავს მზისა აღმოსავალად“.

ხოლო ზაქარია წინასწარმეტყუელი მამა წმიდისა იოანე ნათლისმცემელსა იტყოდა: „მონყალებითა წყალობი(132v)სა ღმრთისა ჩუენისათა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მალლით“ (ლუკა 1,67).

ხოლო მოგუნი იგი მოვიდეს, რაჲ ბეთლემს განმაცხოვრებელსა მას შობასა უფლისასა იტყოდეს: „რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანისცემად მისა“.

ხოლო მეუფე ჩუენი ქრისტე, რაჴამს იგი ჯუარს ეცვა წსნისათჳს ყოველსა სოფლისა, დასავალით მხედველი დამსჭვალეს ჰურიათა ჯუარსა ზედა, რაათა ვითარცა პირისპირ მისა მიმართ მხედველთა აღმოსავლით თაყუანისცემდეთ, ვითარცა მოგვითხრობენ წმიდანი მამანი.

რამეთუ ამალღებაცა მისი დიდებული აღმოსავლით იყო, ვითარცა იტყვს წინასწარმეტყუელი: „რომელი იგი ამალღდა ცასა ცათასა აღმოსავლით“

(ფსალმუნი 67,35) და განკრვებულნი მოციქულნი შიშით თაყუანისცემდეს, ვინაცა ანგელოზნი ეტყოდეს მოციქულთა: „კაცნო, გალილეველნო, რაჟსა ხედავთ და გიკვირთ? ესე იესუ, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქმე 1,11).

და რამეთუ მეორედ მოსლვაცა იგი საშინელი აღმოსავალით იქმნების, რამეთუ მუნით მოგუშნავების გამოჩინება მეუფისა, ვითარცა ანგელოზნიცა ეტყოდეს მოციქულთა და ვითარცა თითითა უჩუწნებდეს მუნით მოსლვასა და თვთ თავადი უფალი იტყოდა, ვითარცა სახარებასა შინა წერილ არს: „ვითარცა ელვა რაჲ აღმობრწყინ(133r)დის მზისა აღმოსავლით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთვე იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისა“ (მათე 24,27).

და ესეოდენთა და ესევეითართა მიზეზთათჳს თაყუანივცემით და ვილოცავთ აღმოსავლით კერძო მხედველნი და ამისთჳს მოგუშვნეს ესე წესნი და წმიდანიცა ეკლესიანი ესრეთ არიან დამყარებულნი და არა სადა ჩანს სხუთ კერძო. არა რომელსა ადგილსა, ერთიცა მცირე ეკლესია, არცა საკურთხეველი, არცა ეგუტერი, თუმცა დამყარებულ იყო თვნიერ აღმოსავლეთისა.

და თვთ ბუნებაცა ჩუენი ეგრეთ გუასწავებს და მიგზიდავს აღმოსავლისა მიმართ მხედველად, რამეთუ აღელის რაჲ ცისკარი ყოველთა კაცთა სახედველთა, ვითარცა მალნინტი რკინასა, ეგრეთ მიიზიდავს, რამეთუ ვითარცა ხილულისა მიმართ მზისა სურის ყოველსა დაბადებულსა, ეგრეთვე უხილავისა მიმართ ნათლისა მოსურნე არს სულნი ჩუენნი. ვინათგან ნათელ არს ღმერთი ჩუენი და ნათლისა დამბადებულ. მუნითცა თაყუანისვცემით, რამეთუ მიერ არს აღმობრწყინება ყოველთა ნათელთა და არა მცირესა გულისჴმისყოფასა მოგვეცემენ ხილულნი ესე ნათელნი უნივთოსა მის ნათლისა მიმართ, რაჲთა მისა გესუროდის და მას ვეძებდეთ.

ხოლო ჩუენ ესეოდენნი წამებანი გუქონან საღმრთოთა წერილთაგან და ძუჭლითგანისა მოცემისაებრ მოციქულთა და წინსანარმეტყუელთა(133v)სა, ხოლო უკუეთუ აქუსთ რაჲმე სიტყუა, მათცა გუაუნყონ, რომლისა მიზეზისა, ანუ რომლისა მოცემისა მიერ არღარა თაყუანისცემენ აღმოსავლით კერძო, არამედ სადეთცა ენებოსთ და ვითარცა დაემთხვეოს, მუნით ილოცვენ. ვინ არს მათ შორის ამისი მონამე, ანუ დამამტკიცებელი ამისი. მოციქული, ანუ წინასწარმეტყუელი, ანუ წმიდათაგანი ვინმე? არა სადა ნუ იყოფინ, ვერ ოდეს გვიჩუწნებენ მონამესა ამისსა.

არამედ იტყვან, ვითარმედ ღმერთი გარემუენერელ არსო, ყოველგან არსო და ყოველივე სავსე არს დაბადებითა მისითა და სადეთცა ენებოს კაცთა, მუნითცა თაყუანისცენ არა რაჲ უჯერო არსო.

ხოლო ჩუენ ესრეთ მიუგებთ, ვითარმედ ვინ არ უწყის ესე, რამეთუ ღმერთი გარემუენერელ არს, უხილავ და მიუნდომელ, ყოველგან არს და ყოველივე სავსე არს დაბადებითა მისითა და არა არს ადგილი, არცა აღმოსავალი, არცა დასავალი, არცა ჩრდილო, არცა სამხარი, არცა ზესკნელი, არცა ქუშსკნელი

მისგან დაკლებული. თუმცა ყოველივე სავსე არა იყო მისგან და მის მიერ, რამეთუ თქმულ არს, ვითარმედ: „არა მე აღვაგვება ცასა და ქუეყანასა და არა არს ადგილი ჩემგან დაკლებული“.

არამედ ესე არა მოსაგონებელ არს, არცა იქნების, თუმცა ღმერთი ანუ ვითარ ნისლი, ანუ ვითარმცა ჰაერი განფენილ იყო ყოველთა არსთა შორის და არამც(134r) აქუნდა ადგილი გარემუენერელად და მიუნდომელად, არცამცა აქუნდა გვამოვნება და თვთება, რამცა მცირედ რამე განგებისა ნულილადისა ხედვითა არა იხილვებოდა და სრულად მიუნდომელ და უცნაურმცა იყო, რამეთუ ვინათგან კაცი ხატად მისა დაიბადა მის მიერ, მცირედ რამე და არდლის სახედ გონებაცა ჩუენი ემსგავსების მას, რამეთუ გონება ჩუენი შინაგან ჩუენისა არს, დამკვდრებულ არს და ყოველგან მიინევის და ყოველსავე უხილავად განიხილავს და ვიდრე რაე რომელი ადგილი შეიცავს მას, ვერცა გარემომიონერების, არამედ იგი შეიცავს ყოველსა, ხოლო შინაგან ჩუენსა დამკვდრებულ არს ერთსა რომელსამე ადგილსა.

ეგრეთვე ღმრთისასთვს უზეშთაესისა მის არსებათასა უხილავისა და გარემუენერელისა უსაზღვროსა და მიუნდომელისა მცირედ რამე გულისწმავყოფთ ნულილადითა მოგონებითა გუამოვნებასა და თვთებასა განუყოფელისა და შეურევნელისა წმიდა სამებისა ერთ ღმრთაებისასა და ვიტყვთ სამკვდრებელად ცასა და საყდართა ზედა ჯდომასა, დაღათუ გარემუენერელ არს და ყოველთა არსთა მიერ გარემუეცავ, არამედ წინასწარმეტყუელთა ხილვისაებრ, რომელი მათ თითო სახედ გამოუბრწყინდა, ეგრეთ გულისწმავყოფთ ცათა შინა დამკვდრებასა მისსა და ქერუბინთა ზედა განსუწნებასა და გარემო მისა მრავალრიცხუსა სერთაბინთასა, ვითარ ძალისაებრ და დატევენისა მათისა მრავალსახედ ერუწნებოდა, ვითარცა ნერ(134v)ილ არს.

მოსე წინასწარმეტყუელმან იხილა მათასა ზედა სინასა. პირველად მაყვალსა შინა ალითა ცეცხლისათა, მერმე შემდგომად ღრუბელსა შინა და ნისლსა და იგიცა ალითა გამო ცეცხლისათა ზურგით კერძო ღმრთისა. ეგრეთვე ელიას ერუწნა ნიავი წვლილსა შინა და ესაიას გამოეცხა და საყდართა ზედა ქერობინთასა მჯდომარე და გარემოს მისა მყოფნი სიმრავლენი უჭორცოთანი ეგრეთვე ეზეკიელს და დანიელს.

მერმე ახალსა აღთქუმასა შინა სტეფანეს ერუწნა მარჯუენით მამისა მჯდომარედ და სხუათაცა ვიეთმე, ვითარ ვის ძალედვა და ვითარ ღირსიყუნეს ეგრეთ თითო სახედ გამოუბრწყინდის.

ხოლო წმიდანი სამნი ყრმანი ცეცხლსა შინა აკურთხევედეს ღმერთსა და იტყოდეს: „კურთხეულ ხარ შენ, რომელი ჰზი ქერუბინთა ზედა და ხედავ უფსკრულთა. კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა სუფევისა შენისათა, კურთხეულ ხარ შენ სამკვდროსა ზედა ცათასა“.

და დავით იტყვს: „რომელი ჰზი ზედა ქერობინთა, განცხადენ“ და კუალად იტყვს: „უფალი სუფევს, განრისხდენ ერნი, რომელი ჰზი ზედა ქერობინთა,

შეიძარნ ქუეყანა“ და კუალად იტყვს: „უფალმან ზეცას განუმზადა საყდარი თჳსი და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლებინ“. ესრეთ ყოველნი წინსანარმეტყუელნი მოასწავებდეს და იტყოდეს ქერობინთა ზედა ჯდომასა და საყდრთა ზედა განსუწნებაჲსა და ხილვაცა და ჩუწნებაჲ კაცად-კაცადისა, რომელსაებრ და საზომისა იყო და არა თუ ბუნებაჲ და არსებაჲ (135r) ღმრთისა ეუწნებოდა, ანუთუ იხილეს.

ხოლო თუ რაჲ არს ჯდომა, ანუთუ დგომა ღმრთისა, ანუ ზურგი, გინათუ პირი ესე ყოველი ჩუენგან მიუნდომელ და გამოუძიებელ არს, არამედ ჩუენ პირველ თქმულთა მათ წმიდათა ხილვისა და მოსწავებისა მიერ გულისწმად-ვყოფთ და მათისაებრ გამოცხადებისა შიშითა და ძრწოლით თაყუანისცემით და ვილოცავთ აღმოსავლით მხედველნი მიზეზითა მით პირველთქმულითა, რამეთუ პირველი მამული ჩუენი აღმოსავლით გვსწავიეს და მზედ სიმართლისად ითქმის ქრისტე და ამალლება უფლისა აღმოსავლით თქმულ არს და მეუფისა ჩუწნისა ქრისტეს მოსლვაჲ განკითხვად ყოველთა აღმოსავლით იქმნების, ვითარცა ზემოცა აღვსწერეთ თითუწულად და ესევეითართა მიზეზთათჳს განანესნეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა აღმოსავლით ლოცვა და არა სხვთ კერძო.

რამეთუ წმიდასა პორფირი მონამისა ცხოვრებასა შინა წერილ არს: „პირველად წარმართი იყო, ხოლო ოდეს მოიქცა, ანგელოზი გამოუჩნდა და აღმოსავლით ასწავა ლოცვა. ესევეითართა მიზეზითა მოიქცა, რამეთუ განმცხრომელი და მზუჭლავი იყო, განშიშულდა და წესისაებრ ქრისტიანეთასა ნათელს-ილო ემბაზსა შინა. განცხრომისათჳს მუნ მდგომარეთასა და კიცხევეთი იგი საქმე ჭემმარიტ ექმნა და სრული ქრისტიანე იქმნა, მერმე ანგელოზმან აღმოსავლით ლოცვა ასწავა“ (სწაქსარი, 4 ნოენბერი). (135v) არცა მცირესა შეწევნასა მოგუეცემს ემბაზით აღმოშობილსა და აღმოსავლით ლოცვისასა ცხოვრება მისი. და კუალად საკვრველთმოქმედისა ნიკოლოზისა ცხოვრებასა შინა წერილ არს, რამეთუ სამისა დღისა ჩჩვილსა ბანდეს რა წესისაებრ, ჳელნი განიპყრნა და დადგა აღმოსავლით კერძო მხედველი და იყო მყოვარ-ჟამ ეგრეთ მდგომარე, ვიდრემდე დაუკვრდა ყოველთა. მას ვინლა ასწავა, ანუ ვინ აუნყა აღმოსავლით ლოცვა ჩჩვილსა სამისა დღისასა, უკეთუმცა სულსა წმიდასა არა განებრძნო და ჩუნდა სახედ არა ექმნა ღმერთსა და პირის დასაყოფელ უკანასკნელ გამოჩინებათა ამათ ბოროტად მზრახველთა, რომელნი შეურაცხყოფენ განსწავებასა მამათსა და არა შეუდგან ბრძანებასა სახარებისასა, არცა სჯულისდებასა მოციქულთასა, არამედ ყოველი წინააღდგომი ქმნეს წმიდათა კრებათა, რაჲთა ნება თჳსი დაამტკიცონ და თვთ იყვნენ ყოვლისავე მომგონებელ და განმწესებულ: „იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს“ (ჰრომაელთა 1,22) და დაუბნელდა უგულისწმო იგი გული მათი.

და კუალად იტყვს: „ნუჳინ თავსა თვისსა აცთუნებენ, უკეთუ ვისმე ბრძენ ჰგონეს თავი თჳსი ამას სოფელსა, სულელ იქმნენინ იგი, რაჲთა იყოს იგი

ბრძენ, რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიციოფე არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ წერილ არს, რომელმან შეიპყრნის ბრძენნი სიბრძნითა თვისითა და კუალად იტყვს: უფალ(136r)მან უწყნის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო“ (I კორინთელ 3,18). ამისთვის შეცთეს, რამეთუ უბრძანეს, ჰგონიეს თავნი თვისნი ყოველთა კაცასა და რად ვიტყვ ლიტონთა კაცთა, გინათუ ბრძენთცა ამის სოფლისათა, არამედ თვთ მათ სულითა წმიდითა განბრძნობელთა ღმრთისმეტყუელთა კაცთასა უბრძნესად და უწმიდეს შეჰრაცხნეს თავნი თვისნი. ამისთვის არღარა დაადგრეს განწესებასა მათსა, ხოლო ჩუენ, მართლმადიდებელნი, არა გარდავცდებით საზღვარსა და განწესებასა წმიდათასა, დაღაცათუ მცნებათა მათ უფლისათა არა ვიმარხავთ, არამედ სარწმუნოება მტკიცედ გვიპყრიეს, რომელი მოგუცეს წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებათა და ვესავთ მოწყალებათა ღმრთისათა, რაათა მცნებათაცა მისთა ღირსმყვენ დამარხვად და ვადიდებდე მამასა და ძესა და სულსა წმიდასა ერთ ღმრთაებასა განუყოფელსა, რომელსა შვენის დიდება, პატივი და თაყუანისცემა ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე.

**XXV თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათჳს,  
თუ რა სათჳს ჩუენ ესრათ განწესებისაებრ წმიდათასა  
აღვასრულებთ და იგინი სხუტგზრ და არა განწესებისაებრ  
წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა.**

პირველი იგი სიტყვსგებაჲ აღვწერეთ, რაჲ ლოცვისათჳს მადლითა ქრისტესითა და ვთქუთ, რაჲ იგი ჯერ იყო. (136v) ან ვთქუათ წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოსათჳს და წმიდისა ზიარებისათჳს, თუ ვითარ ჩუენ, ყოველნი მართლმადიდებელნი, აღმოსავლეთისა ეკლესიანი ძუჭლითგანისა მოცემისაებრ წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებათასა აღვასრულებთ, ხოლო იგინი არცა ერთსა განწესებასა შეუდგან, არცა მოციქულთა და არცა შემდგომათა მათთა წმიდათა კრებათა.

რამეთუ ჟამისწირვისა საიდუმლოსა მღდელნი მათნი დღესა შინა ერთსა ტრაპეზსა ზედა მრავალგზის შესწირავს და სადაცა და ვითარიცა ადგილი იყოს, თვნიერ ეკლესიისა და დღესა შინა ერთსა ერთი მღდელი, ვითარცა ვთქუ, მრავალგზის სწირავს.

ხოლო უკუეთუ ვისმე მღდელი არა ჰყვეს, ანუ სწეულებისა ძალით, გინა უდებებისა მიერ ეკლესიად წარსლვა ვერ ეძლოს, ანუ არა ენებოს, მივალს მღდელი და სახლთა შინა მათთა ჟამსა უწირავს. ეგრეთვე იგინივე მღდელნი მასვე დღესა შინა კუალად სხუაჲსა დაბასა რავდენიცა ენებოს, ანუ ვიეთცა უწმდეს, ანუ რავდენიცა ძალ ედვას ვიდრე მწუხრადმდე. ეგონდესაცა სწირავს და ეგოდენცა ეზიარების, ხოლო უკეთუ მრავალნი იყუნენ მღდელნი



და საჭირო არა რა იყოს, თვ(137r)ნიერ საუფლოსა შობისა დღესასწაულისა მრავალგზის რა სწირვენ.

ხოლო მას დღესა თანამდებ არს ყოველი მღვდელი მათი, რაათა კაცად-კაცადმან მათმან სამგზის შესწიროს მსხუჭრპლი და სამგზისვე ეზიაროს თითუჭული მათი, გინათუ ეკლესია იყოს, გინა საერო სახლები ესრეთ აღასრულებენ.

ხოლო ესე ყოველი უცხო არს წესთაგან კათოლიკე ეკლესისათა და უცხო ყოველითურთ წესთაგან ქრისტიანობისათა და ფრიად უცხო და შორის წმიდათა მოციქულთა განწესებისა და წმიდათა შვდთა კრებათა განსაზღვრებისა, რამეთუ ესევეთარი საქმე და ესევეთარი წესი არა სადა სმენილ არს, არცა სადა პოვნილ საღმრთოთა წერილთა შინა, არცა ცხოვრებასა შინა წმიდათასა, არცათუ იშვით სადამე ქმნულ არს ვისგანმე, უფროსლა დაყენებულ და განგებულ მამათა მიერ, რაათამცა ერთსა დღესა შინა ერთსა მღვდელსა მრავალგზიმცა ეწირა, გინათუ უეკლესიოსა ადგილსა, ვითარცა იგინი იქმენ.

ისმინე მოციქულისა პავლესი, რაჟსა იტყვს: „უკეთუ ჯერ ვიდრემე იყო მისა მრავალგზის ვნებად სოფლის დაბადებითგან, ხოლო ან ერთგზის აღსასრულსა ჟამთასა შეურაცხისყოფად ცოდვილთა მსხუჭრპლითა თვისითა გამოჩნდა და ვითარცა წინა უც კაცთა ერთგზის სიკუდილი და მისა შემდგომად სასჯელი, ეგრეთცა ქრისტიე ერთგზის შეინირა მრავალთათვს აწოცად ცოდვათა“ (ებრაელა 9,26). კუალად წერილ არს, ვითარმედ: „ყოველი იგი მღვდელი (137v) დგან დღითი დღე მსახურებასა მას და მათვე მსხუჭრპლთა შესწირავნ მრავალგზის, რომელნი იგი არა სადა შემძლებელ არიან აწოცად ცოდვათა. ხოლო თავადმან ერთგზის შეწირა მსხუჭრპლი ცოდვათათვს სამარადისოდ“ (ებრაელთა 10,11).

რამეთუ ერთი მსხუჭრპლი სრულ იქმნა სამარადისოდ განწმედათათვს.

ეგრეთვე ისმინე კუალად დიდისა ბასილისი, თუ ვითარ ერთგზამ არს მოციქულისა თანა და იგიცა ვითარ დასწერს და მონამე არს სიტყვსა ამის, ვითარმედ: „არა ჯერ არს დღესა შინა ერთსა ერთისა მღვდლისა მიერ ორგზის ჟამისწირვა, რამეთუ ქრისტიემან ერთგზის ივნო და ჯუარს ეცვა ცოდვათა ჩუენთათვს დღესა შინა ერთსა და არა მრავალგზის, ხოლო რომელი ერთსა დღესა შინა მრავალგზის სწირავს, მას არათუ ერთგზის ჯუარცმული და ვნებული ქრისტიე ჰრწამს, არამედ მრავალგზის ვნებული და ჯუარცმული და ესრეთ დაცემულ არს მართლისა სარწმუნოებისაგან და არს იგი ურწმუნოთა უძვირეს“, ხედავთა ძმანო და გესმათ, თუ ვითარ დიდი იგი მნათობი ეკლესიისა და ზეცისა საიდუმლოთა გამომტყუჭლი და წმიდათა მათ თავთა მოციქულთა საზომითა არა რაათ დაკლებული ესრეთ დასწერს და უსჯულოდ შეჰრაცხს, რომელმან ერთსა ტრახუზსა ზედა ერთსა შინა დღესა ორგზის წიროს. ვინ არს მათ შორის სჯულისმდებელი და ესრეთ უსჯულოდ გ(138r) ანმწესებელი, რომელმან დაიწსნა წმიდათა მოციქულთა მიერ განსაზღვრე-

ბული სჯული და დიდთა ღმრთისმეტყულობათაგან დაჭეშმარიტებული წესი. არა სადა სმენილ არს, არცა სადა წერილ, თუმცა დღესა შინა ერთსა ორგზის ვისმე ეწიროს, ანუ ერთსა ტრაპეზსა ზედა ერთგზის რაჲ აღსრულებულ იყოს მსხუტრპლისა შეწირვა, რაჲმცა სხუასა მღდელსა მასვე ტრაპეზსა ზედა ეწიროს, უკეთუ ესე არა იქმნების ერთსა ტრაპეზსა ზედა ერთსა დღესა შინა სხვსა და სხვსა მღდლისა მიერ წირვაჲ. მაშა ერთისა მღდლისა მიერ მრავალგზის ერთსა დღესა შინა წირვა ვითარლა იქმნების. ვჰკითხოთ მათ, რომელმან კრებამან განუწესა ესე? ანუ რომელმან წიგნმან მოსცა ესე ვითარი წესი, გუაუწყონ, არამედ მე ვჰგონებ, ვითარმედ არა არს მათ შორის ბრძენი ესე ვითარი, ანუ ფილასოფოსი, ანუ სჯულისმღებელი, ვითარმცა გჰრუჰნა ესე, თუმცა ვისმე სადა წმიდათაგანსა ექმნა ესრეთ, ვითარცა იგინი აღასრულებენ ჟამისწირვისა განწესებასაჲ.

### **XXVI თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი უკლესიოდ სწირავენ სახლთა შინა საეროთა.**

ესეცა კუალად უმსგავსო საქმე მათ შორის და არა მოცემისაებრ წმიდათასა, რამეთუ სწირვენ უეკლესიოდ და სადაცა დახუდეს და ვითარიცა ადგილი იყოს, გინათუ სახელთა შინა, გინათუ უსახელოდ, რამეთუ არცა ესე გვისწავეს მამათაგან მო(138v)ცემულად, არცა კრებისაგან დამტკიცებულ არს, არამედ უფროსლა მათისა განწესებისა ისმინეთ, რამეთუ ლავდიკიას ფრიგვისასა შეკრებული კრებაჲ ორასთა მამათა ესრეთ დასწერენ, ვითარმედ: „არა ჯერ არს სახლთა შინა საეროთა ქმნა ჟამისწირვისა არცა ეფისკოპოთა მიერ, არცა ხუცესთა“ (ლავდიკიას კრებაჲ, თავი 10).

და უკეთუ ქმნულ იყო, ოდესცა სახლთა შინა წირვა, ანუ მოციქულთაგან მოსცემოდა, ანუ კრებათგან, ანუ სხვსა ვისმე წმიდათაგან სმენოდა ესე ვითარი საქმე. ვითარლა იკადრებდეს ლავდიკიას შეკრებულმან ორასნი წმიდანი მამანი ამისა დაწინად ანუ შეცვალებად?

რამეთუ წმიდანი მსოფლიონი კრებანი ანუ თუ ადგილ-ადგილ შეკრებულნი წმიდანი მამანი პირველ ქმნულსა კრებასა ვერცა რას შემატებდენ, ვერცა რას მოაკლებდენ, არამედ უფროსლა დაამტკიცებდეს და თუ სადმე წვალებად აღდგებოდა, ანუ შემატებაჲ რაჲმე იქნებოდა, ანუ დაკლებად მართლისა სარწმუნოებისა, მას უკუარღუტვდეს და დაწინიდეს და მოციქულთა მიერ დადებულსა კანონსა და პირველისა კრებისა საზღუარსა ზედა დაამტკიცებდეს და ესრეთ ყოველნი კრებანი ურთიერთარს, ერთჴმად არიან და ერთ მეორისა დამამტკიცებელნი და უკანა ქმნილი კრებაჲ წინა ქმნილისა კრებისა შემასრულებელი.

ხოლო ლათინნი ყოვლისა კრებისა და მათ მიერისა განსაზღვრებისა წინა

აღდგომად და დამხსნ(139r)ელ არიან, უკეთუ საეროთა სახლთა შინა იქმნების ჟამისწირვა, სადაცა და ვითარიცა ადგილი იყოს. მაშა რაჲღლა საჯმარ არს ეკლესიანი, ანუ რაჲსათჳს დაამყარნეს და დააფუძნეს ყოველსა ქუეყანასა შინა კათოლიკე ეკლესიანი და ადგილ-ადგილ მცირენი და დიდნი სახლნი სალოცველნი, რომელ არიან ეგუტერნი და აღმართნეს მას შინა საკურთხეველნი. თუმცა ქმნულ იყო საეროთა სახლთა შინა წირვა, ანუმცა წესი იყო, ნამეტნავმცა იყო და უჯმარ ესეოდენნი ეკლესიანი და ვრქუათ, რაჲ თუ რაჲსათჳს იქმთ ესრეთ და გარდაჰჯდებით საზღუარსა მამათასა და წირვისა საიდუმლოთა აღასრულებთ საეროთა სახლთა შინა, ხოლო იგინი მოგვიგებენ, ვითარმედ საჭიროთა საქმეთათჳს ვიქმთ ამასო და სადა არა იყოს ეკლესია, მისთჳს ვწირავთო, არამედ ტყუიან ამას, რამეთუ სადაცა უმრავლესი ეკლესია იყოს, მუნცა სახლთა შინა უმრავლესად სწირვენ და სადაცა ენებოსთ და არღარა იქმნების მათ შორის განყოფილებაჲ ეკლესიისა და საეროთა სახლები-სა. და უკეთუ საჭიროებისათჳს უეკლესიოსა ადგილსა იქმნების ჟამისწირვაჲ საეროთა სახელთა შინა, მაშა სადა არა იყოს მღდელი, ერისკაცთაგანცა იქმნების ჟამისწირვაჲ და სიტყჳსა საიდუმლოებისა აღსრულებაჲ და უკეთუ ესე არა იქმნების, არცა იგი იქმნების.

მოვედით და მისვე განმანათლებელისა ჩუენისა მოციქ(139v)ულისა ნინოს ცხორება მონამედ მოვილოთო, რამეთუ მას ჟამსა, ოდეს ქართველთა ნათლებლაჲ მეცნიერებისა შეიწყნარეს სწავლითა წმიდისა ნინოსითა. მაშინ საბერძნეთით მოუწოდეს ეფისკოპოზთა და მრდელთა და მოიწივნეს რაჲ ქართლად, მას ჟამსა ახალმოქცეულნი იგი და ახალწერგნი ქრისტიანნი, დიდად რაჲმე სურვილ იყუნეს ხილვად წმიდისა ჟამისწირვისა და სწყუროდათ წმიდისა ზიარებისათჳს. არამედ მათ წმიდათა, ვიდრე მცირე იგი ეკლესია არა აღაშენეს და მას შინა საკურთხეველი არა აღმართეს და აკურთხეს. მუნამდე ჟამისწირვისა საიდუმლო ვერ აღასრულეს, ვერცა ერი აზიარეს, ხოლო მცირე იგი ეკლესია, ვიდრე დღეინდელად დღედმდე ჰგიეს სანამებლად ამის ჭეშმარიტისა, ვითარმედ სახლთა შინა საეროთა არა იქმნების მსხუჭრპლის შეწირვა და იგი მცირე ეკლესია, ვითარცა ვთქუ მცხეთას ზემოვსა საეპისკოპოზოსა ეკლესიათა აღმოსავლით კერძოჲ შენ არს.

და უკეთუ მათ წმიდათა უეკლესიოდ მსხუმსხუბლი საუფლო ვერ შეწირეს ესეოდენთა საიდუმლოთა მიმართ წყურვილთა ერთათჳს, ვითარ ჳელენიფების მღდელსა სახელსა შინა საეროთა ჟამისწირვა, გინა რომელსაცა ადგილსა, უეკლესიოსა.

და ვითარცა იგი ვერ იკადრა წმიდამან და სანატრელმან ნინო ნათლისცემა ახალ მოქცეულთა მის მიერ, ვიდრე საბერძნე(140r)თით არა ითხოვნა მღდელნი, ეგრეთვე ვერცა მათ იკადრეს უეკლესიოდ ჟამისწირვა, ვიდრე არა აღმართეს საკურთხეველი და დაამყარეს ეკლესია და უკეთუმცა ქმნილ იყო სადავე, ანუ პირველთაგან სმენილ იყო, იგინიცა აღასრულებდეს.

რამეთუ ოდეს ქართველთა ნათელი ღმრთის მეცნიერებისა შეიწყნარეს წმიდისა ნინოს მიერ. მას ჟამსა იყო რიცხვ წელთა ქრისტეს აქეთ სამას ათ-ვრამეტი და მასვე ჟამსა ქმნილ იყო კრებაცა იგი პირველი ნიკიას სამას ათვრამეტა მამათა ღმრთის მსახურისა მეფისა დიდისა კოსტანტინეს მიერ. ამისთვის მოვიწსენე ჟამი იგი, რამეთუ უკეთუ მის ჟამისა წმიდათა ეფისკოპოზთა და მღვდელთა და სანატრელმან ნინო ვერა რაჲ უმეტესი განწესებულისა იკადრეს აწინდელთა კაცთა მიერ, ვითარ ეგების მოკლებაჲ ანუ შემატებაჲ მათ მიერ დადებულისა საზღუარისა.

რამეთუ რომელი წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა სულითა წმიდითა განაწესნეს და განსაზღვრეს და ჩუენ სჯულად დაგვისხეს. ვერვის წელენიფების მოკლებაჲ ანუ შემატებაჲ, ხოლო იქმნების მცირედი რაჲმე საეკლესიოსა წესსა შეცვალებაჲ, გინა თუ გალობისა, გინათუ ფსალმუნებისა და ეგევითართა რაჲთმე.

ხოლო სარწმუნოებისა შეცვალებაჲ და შუდთა საიდუმლოთაგანისა და უმეტესად წმიდისა ჟამისწირვისა და ნათლისღებისა საიდუმლოსა შინა შემატებაჲ, გინა მოკლებაჲ სრულიად დაჴს(140v)ნა არს და განქარვებაჲ სჯულისა და სარწმუნოებისა.

ვითარცა ბრძანებს ქრისტე: „რომელმან დაჴსნეს ერთი მცირეთა ამათგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა“ და კუალად იტყვს: „იოტა ერთი გინა რქაჲ ერთი სჯულისაგან და წინასწარმეტყუელთა არა წარჴდეს“ (მათე 5,18). ხოლო მათ, რომელიცა დაჴსნეს, ანუ შემატეს, გარეშე არს იგი საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მამათასა.

ხოლო ჩუენ, რომელიცა სარწმუნოებაჲ გვიპყრეს, ანუ საიდუმლონი დიდნი ყოველნი ვიდრე ქრისტესგან და წმიდათა მისთა მოციქულთაგან მოგუეცნეს, ხოლო დამჴსნელი ამისი ვითარ არა დაისაჯოს, ანუ ვითარ არა განკუჭთელად შეირაცხოს, რომელიცა მათ წმიდათა დასაჯნეს და განკუჭთენს.

**XXVII თაჴი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი ღებათა ჟამსა წიღოვნაჴისასა აზიარაჴან და თჴთ მღვდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შიიბინენ, მას ღღესა სინმიღითა მიიასლუჴიან.**

რამეთუ მღვდელნი მათნი მას ღამესა, რომლითაცა მძიმითა და სასიკუდინოთა ცოდვითა დაეცნენ, უკეთუ აღსარებაჲ ოდენ თქუან, მას ღღესა ჟამისწირვასა აღასრულებენ და ეზიარებიან და უმეტესსა ჟამსა უაღსარებოდცა, რამეთუ მარტო მღვდელნი მათნი მიმოვლენ პაპისა მიერ წარვლენილნი შორთა სოფელთა და ქუეყანათა შინა ქადაგებად, რაჲთა უფროსობაჲ და ყოველთა ზედა მთავრობაი პაპისა დაამტკიცონ, სადა ეპოების მათ ყოვ-

ელთა მღდელი, რაათა აღუარონ მათ ცოდვაჲ, დაღაცათუ იყოს სადმე (141r) მღდელი და აღუარონ ცოდვაჲ, ვითარ ეგების თვნიერ ჯეროვნისა სინანულისა და ჟამ რავდენმე განწმედისა შეგინებულთა მიერ მსხუჭრპლისა შეწირვად, გინა განუწმედელთა მიახლებაჲ სინმიდეთა.

რამეთუ ეკლესია სრულიად განწმედელსა ეძიებს სამღდელოსა კაცსა განწესებისაებრ შვიდთა კრებათასა და არა თუ შეგინებულსა და დღითიდღე მცოდველსა და კუალად დღითიდღე მწირველსა.

რამეთუ საშინელ არს განუწმედელთა მიახლებაჲ სინმიდეთა სიტყვსაებრ დიდისა ღმრთიმეტყუელისა გრიგოლისა და სხუათა წმიდათა მამათასაჲ.

რამეთუ მოსე ღმრთიმეტყუელი, რაჟამს აღვიდოდა მთად, მოღებად სჯულისა, ემცნო ღმრთისა მიერ, რაათა წმიდა ყოს ერი არა მიახლებაჲდ ცოლთა მათთა და განცხრა სამოსელთა და სხუა რაოდენი კრძალვა და განწმედა ებრძანა, ვითარ იგი წერილ არს გამოსლვათა შინა განწმედისათათჳს და ესრეთ მიახლებაჲდ მთასა მას, რომელსა ზედა გარდამოჳდა ღმერთი. ეგრეთვე ლევიტელთა შინა რავდენი წერილ არს მსახურებისათჳს კრავისა და წმიდისა მის წმიდათასა, რავდენი ებრძანა კრძალვანი და პირად-პირადნი განწმედანი, ვითარ იგი ემცნებოდეს და ებრძანებოდეს და თუ ვინმე წარმდებაჲდ და უღირსად განუწმედელი მიიახლის, არა მცირედი პატიჟი მიეჳადის ღმრთისაგან და სხუაჲ რავდენი წერილ არიან ამის პირისათჳს საღმრთოთა წერილთა შინა.

რომელნი სახე და აჩრდილ იყუნეს ახლისა ამას საიდუმლოსა და მსხუჭრპლისა საუ(140v)ფლოსა, რამეთუ ესე ყოველი სახედ ჩუენდა დაინერა, ვითარცა ჳმობს მოციქული პავლე: „და უკეთუ აჩრდილსა და ძუჭლსა სახესა ესეოდენი კრძალვა უჳმდა, რავდენ უმეტეს თვით ჭემმარიტებასა და ახალსა საიდუმლოსა“ (I კორინთელთა 10,6 და 11).

ხოლო იგინი არცა ძუჭლისა წესისაებრ არცა ახლისა აღთქმისა, არცა მოციქულთა მოძღვრებისაებრ, არცა მამათა განსაზღვრებისაებრ აღასრულებენ, არამედ უკრძალველად და თვნიერ განწმედისა შეგინებულნი მასვე ჟამსა მიიახლებიან სინმიდეთა.

და ერისკაცთაცა მეუღლეთა, მათთა თანა ყოფილთა და სხვთაცა მრავლითა ბოროტითა შეგინებულთა, მასვე დღესა აზიარებენ, ეგრეთვე დედათა ჟამსა წიდოვანებისასა და სხვთაცა მძიმითა ცოდვითა დაცემულთა მას დღესა მისცემენ ზიარებასა, უკეთუ ოდენ თქუენ აღსარებაჲ. ხოლო საკურთხეველადცა აღიყვანებენ ჟამსა წიდოვნებისასა, რომელი ესე ცხადად დაყენებულ არს ძუჭლსაცა შინა სჯულისა და ახლისა უმეტესად და ესრეთ წინააღდგომ არიან საღმრთოდ სჯულისდებისა ყოვლისავე.

რამეთუ წერილ არს სჯულის კანონთა შინა ესრეთ წიდოვნისა დედაკაცთათჳს:

„ხოლო დედობრივითა წესითა სისხლმდინარეთა დედათათჳს, უკეთუ

უღირს მათ ესრეთ, რაჲ იყუნენ შესლვად სახლსა ღმრთისასა, ნამეტნავ ვჰგონებ ჰკითხვასაცა, რამეთუ არცა მათგან ვირწმუნებ, განკრძალულნი თუ იყუნენ, რამცა კადნიერ იქმნენ ბუნებითსა, რაჲ შინა იყუ(142r)ნენ ვნებასა, ანუ წმიდისა ტრაპეზისა მიმართ მოსლვად, ანუ ჯორცისა და სისხლისა ქრისტესისა შეხებად. ხოლო ლოცვად, ვითარცა ვინ იყოს და ვითარცა ვნებითა უფლებული მოხსენებად მეუფისა და თხოვად მის მიერისა შეწვევისა. აროდეს დაიყენების, ხოლო წმიდათა მიმართ და წმიდა-წმიდათასა შესლვად არა თუ ყოვლითურთ წმიდა იყოს სულით და ჯორცით არა ფლობილ იქმნების“ (დიონოსის ვასილიდის მიმართისა ებისტოლისაგან თავი 2).

კუალად წერილ არს: „დედაკაცი, რაჟამს წესსა ზედა თჳსსა იყოს ნიდოვნებისასა, არა უწმს ზიარება, ვიდრემდის არა განწმდეს“ (ტიმოთე ალექსანდრიელის კანონი 7).

კუალად წერილ არს, ვითარმედ: „არა ჯერ არს დედათა მიერ შესლვად საკურთხეველად“ (ლავდიკიის კანონი 44).

ესე ყოველი ესრეთ წერილ არს და დაყენებულ მამათა მიერ და სჯულისა კანონთა შინა და უფროსად საღმრთოთა წერილთა მიერ ძუჭლისა სჯულთა, ხოლო ჩუენ განვრცელებისათჳს არა დავწერთ, არამედ იგინი ამას ყოველსა დაჰქსნიან და არა ისმენენ საღმრთოთა წერილსათა, არცა დაადგრებიან საზღუარსა მამათასა, არამედ მათ მიერ განწესებისა სჯულისა ყოველსა ქუეყანასა განჰფენენ, რაჲთა განქარდეს და დადუმდეს ყოველი სჯულისდებაჲ წმიდათა მოციქულთა და წმიდათა ღმრთისმეტყუელთა კაცთა.

### **(142v) XXVIII თავი. სიტყუა უცომოსათჳს, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაჲრ წმიდათასა საფუძვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა.**

კუალად უცომოთა სეფითა წირვა მათი ხედავ, თუ ვითარ აღასრულებენ, რამეთუ გარეშე არს იგიცა საზღუარსა მამათასა და წესთაგან წმიდათა მოციქულთასა და წესთაგან მართლმადიდებელთასა. ნუუკუე ჰგონებდენ იგინი, თუმცა ჩუენ სიტყუაჲ არა გუაქუნდა ამის პირისათჳს, არცა მონამენი ძუჭლისა და ახლისა სჯულისანი, არამედ ისმინეთ, თუ რავდენნი პატიოსანნი მამადმთავარნი, წმიდანი წინსაწარმეტყუელნი და ნეტარნი მოციქულნი მოვიყვანნე ამისდა მონამედ და თვთ თავადი სჯულისმდებელი და სრულმყოფელი ყოველთა კეთილთა, ქრისტე მეუფე დამამტკიცებელად ამისა, ვითარმედ ჩუენი ესე სჯული და განწესებაჲ ყოველივე მისგან და მის მიერ არს განწესებული და მისთა თუალით მხილველთა და ჳელით მსახურთა მოციქულთა მიერ დამტკიცებული.

რამეთუ ქრისტემან ღამესა მას პური აკურთხა, რაჟამს იგი უწინარეს პას-

ექისა სერობაჲ იგი აღასრულა მონაფეთა თჳსთა თანა, რამეთუ პური აკურთხა და არა უცომონი, ვითარცა წერილ არს სახარებასა შინა, რამეთუ ოთხნივე მახარებელნი, ვითარცა ერთითა პირითა ჳმობენ და იტყჳან. მათე იტყჳს: (143r) „და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოილო იესუ პური და ჳმადლობდა და განტეხა და მისცა მონაფეთა თვისთა და ჳრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჳორცი ჩემი და შემდგომი“ (მათე 26,26).

ხოლო მარკოზ ესრეთ დასწერს: „და ჭამდეს რაჲ იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და ჳრქუა: მიიღეთ და ჭამდეთ, რამეთუ ესე არს ჳორცი ჩემი“ (მარკოზი 14,22).

ისმინეთ ლუკასიცა: „და მოილო პური, ჳმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჳორცი ჩემი თქუენთჳს მიცემული ამას ჳყოფდით, მოსაჳსენებელად ჩემდა“ (ლუკა 22,19).

ან კუალად იოანესი ისმინეთ, ვითარ იტყჳს: „მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჳდ, უკეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკვდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, ჳორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხოვრებისათჳს სოფლისა (იოანე 6, 51).

რამეთუ პური დანერეს ოთხთავე, ვითარცა გესმა მახარებელთა და უფროსად ქრისტესაგან, რომელი იგინი ქრისტეს ბრძანებასა წერენ და არა თავით თჳსით განანესებენ, რამეთუ პური თქვეს და დანერეს და არა უცომოჲ, რამეთუ არცა ერთმან მახარებელმან დანერა უცომონი.

და თუმცა უცომონი განეტეხა ქრისტესა და მოციქულნი მით ეზიარებინა, მახარებელნიცა უცომოთა დასწერდეს და არა პურსა, რამეთუ ცომოანსა (143v) პური ეწოდების და არა უცომო, ხოლო უცომოსა უცომო და არა პური.

რამეთუ არცა იყო წესი ჳურიათაგან მაშინ უცომოსა ჭამისა ღამესა მას, რომელსა ქრისტემან სერობა იგი აღასრულა, რამეთუ უწინარეს პასექისა ყო ქრისტემან სერობაჲ იგი, ვითარცა წერილ არს.

რამეთუ მათე და მარკოზ ესრეთ დასწერენ: „პირველსა მას დღესა უცომობისასა (მათე 26,17; მარკოზი 14,12).

რამეთუ ჳურიანი მაშინ დაიწყებდეს უცომოსა ჭამად, ოდეს სჯულიერსა პასექსა აღასრულებდეს, ხოლო ქრისტემან უწინარეს პასექისა განტეხა პური, ვითარცა ვთქუ და არა თუ უცომო და არცა იყო წესი უცომოსა ჭამისა.

ხოლო მოციქულნიცა ეგრეთვე ჳყოფდეს, ვითარცა ქრისტესაგან იხილეს და არა ჳურითაებრ ძუჭლისა მისდა უძღურისა აჩრდილისა, რამეთუ სახე იყო და არა ჭეშმარიტებე და ჩუენცა ეგრეთვე განგვიწესეს, ვითარცა ან ყოველი აღმოსავლეთისა მართლმადიდებელთა ეკლესიანი აღასრულებენ და ძუჭლითგანნი წინსწარმეტყელნი და მამათმთავარნი ესრეთვე მოსწავებდეს, ვითარცა ქრისტემან აღასრულა და ჩუენ განგვეწესა. პურსა იტყოდეს ახლისა ამის საიდუმლოსათჳს და არა თუ უცომოსა.

რამეთუ მელქისედეკ მეფემან სალიმისამან, რომელი ქრისტეს ჭეშმარიტ

სახედ ითქმის, ვითარცა მოასწავებენ საღმრთონი წერილნი: „ოდეს შეემთხვა აბრაამს, პური და ღვინო მოართვეა აბრაჰამს, ვითარცა ნ(144r)ერილ არს და აკურთხა იგი, რამეთუ პური წერილ არს და არა უცომო“.

ეგრეთვე დიდი მამადმთავარი იოზ იტყვს: „იჭამებისა პური თვნიერ მართლისა?“

იხილეთ, ვითარ განკვრევით იტყვს დიდი იგი წინასწარმეტყუელთა შორის პირის დასაყოფელად მათდა, რომელნი უცომოსა და უმარილოსა შესწირვენ საღმრთოასა მას მსხუცრპლსა. არა თუ ლიტონისა პურისათვს იტყვს, არამედ საუფლოსა მისთვს პურისა. ვითარმედ თუცაღა საფუარითა იყოს სრული, პური უმარილოდ არა იქმნების, რამეთუ უკეთუ ლიტონისა პურისათვს ეთქუად, ვითარ ეგებოდა ტყუილი წმიდისა მისგან მამადმთავრისა, რამეთუ უმრავლესთა ადგილთა შინა უმარილოსა პურისა ჭამენ და უმჯობესად შეურაცხეს.

არამედ ვითარცა ვთქუ, საუფლოსა ამის პურისათვს იტყოდა, რომელსა ჩუენ, მართლმადიდებელნი, შევწირავთ, რომელი ქრისტემან მოგუცა და შეუძლებელ არს უსაფუვროდ და უმარილოდ შეწირვა და არცა ერქმის სრული პური, რომელსა ბრძანებს ქრისტეცა, ვითარმედ: „ყოველი შესაწირავი მარილითა დაიმარილოს, რამეთუ კეთილ არს მარილი“ (მარკოზი 9,49). ესე არს ბრძანებაჲ ქრისტესი და მოსწავებაჲ ჭეშმარიტი, ვითარმედ მარილითა ჯერ არს და საფუარითა, რაჲთა იყოს სრული პური და არა ნაკლული, ვითარცა ქრისტემან მოილო სრული ბუნებაჲ კაცთა (144v) და არა თუ უსრული.

ეგრეთვე ლევიტელთა შინა წერილ არს: „ეტყოდა უფალი ძეთა იჰრუსალიმისათა, ვითარმედ: ვაკურთხო პური შენი, ვაკურთხო ღვინო შენი და ვაკურთხო წყალი შენი“.

აჰა, აქაცა პური აკურთხა და არა უცომონი, ღვინო აკურთხა და წყალი და არა მარტოდ ღვინო, არამედ წყალნიცა.

კუალად იგავისაცა ისმინეთ, რომელსა წმობს, ვითარმედ: „სიბრძენმან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუჭმე შეუდგნა მას შვიდნი სუჭტნი და დაუკლა თვისი იგი საკლველი და განაზავა ტაკუკთა თვისი იგი ღვინოჲ და განუმზადა თვისი იგი ტაბლა და წარავლინნა თვისნი მონანი მონოდებად მალლითა ქადაგებითა ტაკუკთა მათ ზედა და პრქუა: მოვედით და ჭამეთ პური ჩუჭნი და სუთ ღვინო, რომელი განგიმზადე და დაუტევეთ უგუნურებაჲ და სცხონდეთ“.

იხილეთ აქაცა ცხადი და ჭეშმარიტი წმიდისა ზიარებისა წინათვე მოსწავებაჲ და ჭეშმარიტი გამოცხადებაჲ, რამეთუ აქაცა პური უბრძანა ჭამად და არა უცომონი, განზავებული ტაკუკთა შინა ღვინო და არა განუზავებული და უწყლოჲ. ესე არს ჩუენისა საიდუმლოსა და წმიდისა წირვისა წინათვე უწყებაჲ და გამოცხადებაჲ და ჩუენ ყოველთა მართლმადიდებელთა ეკლესიანი ესრეთცა აღვასრულებთ, რამეთუ ესრეთცა მოგუჭცნე (145r) ეს თვთ თავადისა ქრისტესგან და წმიდათა მოციქულთაგან, რამეთუ



მამამან დაუსაბამომან მოავლინა ძე თვისი მხოლოდშობილი ჯორცთა შესხმად და დაიკლა ჩუენისა ცხოვრებისათჳს და მოგვცა სრული ჯორცი თჳსი ჭამად და არა უსრული, რამეთუ ესე არს პური იგი, რომელი ზეცით გარდამოჴდა, ვითარცა თუთ ქრისტე იტყოდა: „პური არს ჭეშმარიტი და არა უცომო“.

და კუალად მოგუცა სისხლი იგი ცხოველსმყოფელი გუჴრდისაგან თჳსისა, რომელი განგვიზავა წყლითა მით წმიდითა, რამეთუ ესე არს ტაკუკთა შინა თჳსი იგი ღვწოჲ, რომელი განგვიზავა წყლითა და არა უწყლოდ, არა მარტოდ პური, არამედ ღვწოცა განზავებული, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყუელიცა დავით, ვითარმედ: „მდინარე ღმრთისაჲ აღივსო წყლითა“. ესე არს მდინარე აღვსებული წყლითა, რომელი გუჴრდისაგან საუფლოსა მოგუეცნეს და აწ მღდელნი სახედ მისა განაზავებენ წყლითა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ესრეთ მოგუცნეს, ვითარცა წინასწარმეტყუელთაგან ესწავათ და ქრისტესგან ეხილვათ და ჩუენცა ესრეთ განგვინესეს პურისა შეწირვა და არა უცომოსი განზავებულისა ღვწისა და არა უწყლოსი, რომელსა კუალადცა წინასწარმეტყუელი მოასწავებდა და იტყოდა, ვითარმედ: „სასუმელი ჴელთა შინა უფლისათა ღვწოსა ურწყოსა სავსე არს სხმულითა“ (ფსალმუნი 74,9). ესე იგი არს, ვითარმედ: „სასუმელი ჴელთა შინა უფლისათა ღვწი(145v)სა ურწყოსა“, რამეთუ მას ღამესა სერობისასა ღვწო იგი უწყალო, რომელი ეპყრა უფალსა ბარძიმითა, რამეთუ ღვწო იგი პალესტინისა ურწყავი არს და მძიმე და ძლიერი და არა იჴუმევის თჳნიერ წყლისა. მაშინ ქრისტემან, ვითარცა იყო წესი, წყლითა განაზავა და მისცა მონაფეთა, ვითარცა დიდი ბასილიცა დასწერს საიდუმლოთა შინა წირვისათა და იტყვს, ვითარმედ: „მოილო სასუმელი, განაზავა და აკურთხა და მისცა მონაფეთა“. ესე განზავებული სასმელი მოასწავა სოლომონ, რომელი განუმზადა სიბრძნემან ღმრთისამან მოყუარეთა თჳსთა და განუზავა წყლითა მით ცხოველსმყოფელითა გუჴრდისა მისისათა ტაკუკთა შინა თჳსითა.

ხოლო ვინათგან სიტყუამან ღმრთისამან ბუნებაჲ კაცთა სრულებით მიიღო: სული, ჯორცი და გონებაჲ და სამშენელი, ეგრეთვე სრული და უნაკლულო პური განტება მრავლითა და საფუფრითა შეზელილი და არა უცომოჲ და სახედ მკუდრისა უსულო და უგუნებოჲ.

და მისცა მოციქულთა და უწოდა ჯორცად თჳსად, რამეთუ პური იგი, რომელსა ვაკურთხევთ ბრძანებისაებრ უფლისაჲ, ჭეშმარიტად ჯორცად მისად შეიცვალეზის სრულიად და უნაკლულოდ, რამეთუ საფუჴა(146r)რი სახედ სულისა გულისწმადიყოფების და მარილი სახედ გონებისა.

რამეთუ, ვითარცა წინასწარ მეცნიერმან ყოვლისამან, უფალმან, უწყოდა წვალებაჲ იგი აპოლინარისა, რომელი გამოჩინებად იყო მიმდგომთა მისთა თანა, რომელნი იტყოდეს ჯორცთა ქრისტესათა უსულოდ და უგონებოდ. ამისთჳს სრული პური განტება და არა უსრული და უცომო და ესრეთცა ჳერ იყო, რამეთუ უწინარეს სჯულიერისა მის პასექისა ქმნა და არა იყო მაშინ

უცომოსა ჭამისა ჟამი.

ამისთვის მან ცომოვანი პური განტეხა და თქუა: „ამას ჰყოფდეთ მოსაწესენებელად ჩემდა“. ამას ჰყობდითო, რომელი ჩემგან იხილეთ და გესმა, არა თუ იგი, რომელი ჩემგან არა იხილეთ და არცა გესმა, რამეთუ მე პური მოგეც და არა უცომოვ, ღვნი მოგეც და არა განუზავებელი, არცა უწყლოვ, რომელი წინათვე გამოუცხადე წინასწარმეტყუელთა ჩემთა და გაუწყე თქუენ და ამისთვის გეტყუ: „ამას ჰყოფდით მოსაწესენებელად ჩემდა“.

ესე საიდუმლო განენესა ეკლესიასა შინა მიერთგან და ვიდრე აღსასრულამდე. სრულისა და უნაკლულოსა პურისა შეწირვაჲ საფუფრითაჲ და მრავლითა შეცხოობილი და არა უცომოთა და უმარილოთა, სახედ მკუდარისა, უსულოვ და უგონებოვ.

(146v) და რომელნი უცომოთა და უმარილოთა აღასრულებენ მსხუტრპლისა მის შეწირვასა, მათ ჩუენთვის განწორციელებული უფალი, სრული ღმერთი და სრული კაცი, და სრული არა წამს, დაღაცათუ სიტყუთ აღიარებს, არამედ საქმით უარჰყოფს და უსულოვ და უგუნებოვ აღიარებს და არა სრულისა კაცთა ბუნებისა მიმღებელად, ვითარცა წმიდანი ღმრთისმეტყუელნი მამანიცა ესრეთვე იტყოდეს.

რამეთუ ამის პირისათვის, რომელნი უცომოსა შესწირვენ, მრავალნი აღწერნეს წმიდათა მამათა ჩუენთა და ჩუენ დაგვტევეს, ხოლო მე ნამეტნავად ვჰგონე უმრავლესისა აღწერა, რაჲთა არა საწყინო იქმნეს.

ხოლო მე დიდითა განკვრევებითა დაკვრებულ ვარ ამას, თუ ვითარ ლათინნი უცომოსათვის იტყუან, ვითარმედ ესე უცომოთა წირვისა წესი მოციქულთაგან მოგუტყუენსო, რაჲთა უცომოთა წირვიდეთო და არა ცომოვანითა, რაჲთა აღმოსავლეთისა ეკლესიანი ცომოვანითა სწირვიდენო და ჩუენ უცომოთაო.

არა უწყი, რაჲ ვთქუა. წმიდანი მოციქულნი შევრაცხნე მტყუფრად და წმიდანი ღმრთისმეტყუელნი, რომელთა ესრეთ განგვწესეს, ანუ იგინი, რომელნი (147r) ესრეთ აღასრულებენ, ხოლო ესე არა ეგებოდა წმიდათა მათგან მოციქულთა და ღმერთშემოსლთა მამათა, რაჲთა სხუაჲთა სხუაჲ წესი დაუსხნეს და სხუაჲთა სხუაჲ სჯული განუწესეს, რაჲთა ურთიერთ არს, მტრობაჲ და შური აღძრან, არამედ უფროსად სიყვარული და ერთობაჲ განგვეწესეს და უკეთუმცა ჭემმარიტსა იტყოდეს ლათინნი უცომოსათვის, ვითარმედ მოციქულთაგან ესრეთ მოგუტყუენსო, ესოდენნი ღმრთისმეტყუელნი და წმიდანი მამანი, რავდენ სახედ აღვსწერენ, უცომოსათვის სამხილებლად ბოროტად მადიდებელთა სომეხთა მიმართ, რამეთუ მაშინ დიდი ერთობაჲ იყო აღმოსავლეთისაჲ და დასავლეთისა და ხუთნივე პატრიარქნი ერთჴმად იყუნეს მართლმადიდებლობაჲსა ზედა და ერთი სარწმუნოებაჲ ეპყრათ. ვითარღა იკადრებდეს წმიდანი მამანი უცომოსათვის მხილებად და განქიქებად?

ანუ ვითარ არა განსამართლებელად ჰრომაელთასა იტყოდეს, ვითარმედ მათ ესრეთ მოეცნესო და ჩუენ ესრეთო, ანუ ვითარ სომეხნი არა განიმარ-

თლებდეს ამით თავსა თვსსა, ვითარმედ ჰრომაელნიცა ესრეთ ჰყოფენო,

ამით საცნაურ არს, რამეთუ არა ჭეშმარიტსა იტყვან მოსაფინი პაპისანი, არამედ ტყუიან, რამეთუ უკანასკნელ ესეცა გარდასცვალნეს, ვითარცა სხუანიცა ყოველნი წესნი მართლმადიდებლობისანი და ქრისტეს მიერ მოცემულნი (147v) და მოციქულთა მიერ განწესებული და შვდთა კრებათა მიერ დამტკიცებული, სრულითა პურითა შეწირვა აღიღეს და უსრულითა პურითა და უცომოთა განანესეს, არამედ უცომოთათვს კმა არს ესოდენი სიტყუაჲ, ხოლო ან სიტყვსა პირისა მიმართ ვიტყოდით.

### **XXIX თავი. სიტყუა წმიდისა ზიარებისათვს, ვითარ იგინი ერის პატია ლიტონსა ღვნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჯორცსა**

ვინათგან წმიდისა საიდუმლოსათვს ვინყეთ მეტყუელებად და საუფლოსა მსხუტრპლისა შეწირვაჲ, ცხადად საცნაურ ვყავთ, რომელი ქრისტემან განგვწესა. ან კუალად წმიდისა ზიარებისათვს ვინყოთ, რომელსა ჩუენ მართლმადიდებელნი, ერთობით მოვიღებთ ჯორცსა მას საუფლოსა და სისხლსა ცხოველსმყოფელსა და რომელნი სარწმუნოებით და ღირსებით მოვლენან, მათცა ეგრეთ ვაზიარებთ ჯორცითა და სისხლითა საუფლოთაჲ.

ხოლო მოსაფინი პაპისანი არა ესრეთ ჰყოფენ, არამედ მდდელნი, რომელნიცა სწირვენ, მით ეზიარებიან და ერისკაცთა სხვთა სეფითა აზიარებენ და არა მით, რომლითა თვთ ეზიარებიან, ხოლო სისხლსა მას არა მისცემენ (148r)მენ, არამედ სხუაჲსა ლიტონსა ღვნოსა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, არცა წართქმულ არს მას ზედა ლოცვაჲ.

და არა მოიწესებენ სიტყუასა უფლისასა, რომელსა ჯმობს დღითიდღე: „მიიღეთ და ჭამეთ ესე არს ჯორცი ჩუენი თქუენთვს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა“ (მათე 26,26). მერმე მოილო სასუმელი და აკურთხა და მისცა მათ და თქუაჲ: „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა მრავალთათვს დათხეული“.

და მარკოზ ესრეთ დასწერს: „და ჭამდეს რა იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხაჲ, განტეხა და მისცა მათ და ჰქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჯორცი ჩუენი და მოილო სასუმელი ჰმადლობდა და მისცა მათ და სუეს მისგან ყოველთა და ჰქუა მათ: ესე არს სისხლი ჩუენი ახლისა სჯულისა მრავალთათვს დათხეული“.

ხედავთა, ძმანო, საიდუმლოსა ამის ძალსა, თუ რაჲსა ჯმობს ქრისტე, ვითარცა წინსანარმეცნიერი ყოველისავე, რამეთუ ვითარცა სხუათა მათ წვალეზათათვს წინასწარ მოასწავა და ჰრქუა: ეგრეთვე წმიდათა საიდუმლოთათვს

თქუა და მოასწავა, რამეთუ უწყოდა ესეცა ნვალებაჲ უკანასკნელ<sup>19</sup> შემოსლვად, რომელსა ან ლათინნი ჰყოფენ, რამეთუ მისცემენ არა ჯორცსა და (148v) მასაცა უცომოსა და სისხლსა ყოვლადვე, არა არამედ ლიტონსა ღვნოსა.

უფალმან მისცა რაჲ პური მოწაფეთა თვისთა, ჰქუა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჯორცი ჩუენი“, ეგრეთვე მარკოზიცა ესრეთ იტყუხ: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჯორცი ჩუენი“.

ხოლო სასუმელი რაჲ მისცა, ესრეთ ჰქუაჲ: „სუთ ამისგანი ყოველთა, ესე არს სისხლი ჩუენი“ და არა თქუა, ვითარცა პურისათჳს, არამედ სისხლისათჳს თქუა „სუდ ყოველთა“. ბრძანა და არა მარტოდ მღდელთათჳს, არამედ ყოველთაჳს ზოგად მღდელთა და ერთათჳს.

ვითარცა იგი პირველცა ეტყოდა ჰურიათა ამის საიდუმლოსათჳს და თქუა იესო: „ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენთა, ხოლო რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნო და მე აღვადგინო უკანასკნელსა მას დღესა, რამეთუ ჯორცი ჩემი ჭემმარიტი საჭმელი არს და სისხლი ჩემი ჭემმარიტი სასუმელი არს და რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მისთა“ (იოანე 6,53-54).

ესე არს ბრძანებაჲ უფლისაჲ ძმანო, რომელი ესე რაჲ მოვიწესენეთ, რამეთუ ზოგად ყოველთა მორწმუნეთათჳს ჯმობს მიღებასა პურისასა (149r) და ეგრეთვე სასმელისასა ჯორცად და სისხლად თჳსად, ვითარცა მღდელთათჳს ეგრეთვე ყოველთა მორწმუნეთათჳს „რამეთუ შეუძლებელ არს და წსნად სიტყუაჲ უფლისაჲ წერილისაებრ: „იოტა ერთი, გინა რქა ერთი, სჯულისაგან და წინასწარმეტყუელთა არა წარჴდეს“. და კუალად იტყუხ: „ცანი და ქუეყანა წარჴდეს, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა სადა წარჴდეს“ (მათე 5,18).

რამეთუ იგი ბრძანებხ: „ესე არს სისხლი ჩემი და ესე არს ჯორცი ჩემი და სუთ ამისგან ყოველთა და უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ“, ხოლო იგინი ამასცა დაწსნიან, ვითარცა სხუაჲთა მათ ბრძანებათა და სჯულისდებაჲთა მისთა.

და წინააღუდგებიან ბრძანებასა მისსა და შემოიღებენ სხუაჲსა და სხუაჲსა სჯულსა და იტყუან, ვინათგან ჯორცი ქრისტესი ცეცხლი არსო. ცეცხლსა ჯორცსა სისხლიც ექმნებისო.

, დიდი უწყსოებაჲ და კადნიერი წინააღდგომა საფლოსა ბრძანებისა, უფალმან ესრეთ ბრძანა, ვითარცა ესერა ვრცლად აღვწერეთ და პაპის მოსაგენი ესრეთ ჰყოფენ. მისცემენ სეფისკუჭრთა და მასცა უცომოსა და არა პურსა ბრძანებისაებრ უფლისაჲ და სისხლსა ყოლად არა მისცემენ, არამედ ლიტონსა ღვნოსა და მასაცა უწყლოსა. ქრისტემან არა იცოდა ჯორცისა თჳსისა არსებაჲ და (149v) ბუნებაჲ, უკეთუ სისხლი არს მას შინა, ანუთუ არა და უკეთუ

<sup>19</sup> ხელნაწერში გადაშლილია „წინასწარმეტყუელება“

მეცნიერ ყოფილიყო, მას შინა სისხლისა ყოფასა, მარტო ჯორცსა ბრძანებდა და არა სისხლსაცა და არცა მონაფეთა მისცემდა სისხლსა და ეტყოდა: სუთ ამისგანი, არამედ პურსა ხოლო მისცემდა და მასცა უცომოსა და ეტყოდა ესე რას ჯორცი ჩემი და სისხლი ჩემი.

ხოლო ახალთა ამათ ღმრთისმეტყუელთა და თავით თვსით გულისწმის-მყოფელთა და არა უფლისაჲ მიერ უმჯობესად გულისწმაჲ-ყვეს, ვიდრე ქრისტე-მან და წმიდათა მოციქულთა მისთა და ამათ უმეტესი მცნებაჲ მოიპოვეს და თქუჴს: ჯორცი უსისხლოდ არა იქმნებისო და მოსპეს წმიდისა საიდუმლოსა-გან სისხლი იგი ცხოველმყოფელი.

რამეთუ წინა დაგებული იგი პური და ღვინო რაჟამს იქმნას სიტყვთა ღმრთისათა და კურთხევით სისხლად და ჯორცად მარტო პური არა იქმნების ჯორცად და სისხლად, არცა მარტოდ ღვინო იქმნების სისხლად და ჯორცად, პური იგი შეიცვლების ჯორცად და ღვინო შეიცვლების სისხლად. ვითარცა ქრისტემანცა ეგრეთვე მისცა თვის-თვისად და პურსა მას უწოდა სისხლად და ეგრეთ აზიარნა მოციქულნი და მონაფენი თვსნი და სჯულად დაუსხნა ყოველთა მორწმუნეთა თვსთა და ჰრქუა: „ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდაო“ და პურისა უბრძანა: „ესე არს ჯორცი ჩემიო თქუენთჴს განტეხი-ლი“ და ღვინისა უბრძანა: „ესე არს სისხლი ჩემი თქუენთჴს და მრავალთათჴს დათხეული“. ყოველთათჴს ბრძანა, ვითარცა ვიტყოდე და არა მარტო მღდელ-თათჴს (150r) და უკეთუ ორივე ჯორცი და სისხლი ერთსა შინა არს სიტყვსაებრ მათისა, მაშა თანა აც მღდელთაცა, რაათა არცალა იგინი ეზიარნენ სისხლითა ქრისტესითა, არამედ მხოლოდ სეფითა, ვინათგან უსისხლოდ არა იქმნების.

და უკეთუ უსისხლოდ არა იქმნების ჯორცი, არცალა ზედაშე იქმნების თვნიერ წყლისა, რამეთუ ყურძენი წყლითა არს მორწყული და წვმითა გან-პოხებული და ესრეთ არა არს ღვინო უწყლოდ და მოსპეთ წყალიცა წმიდისაჲ ზიარებისაგან, ვითარცა სეფისკუჭრისაგან განაშორეთ საფუარი და მარილი და ჯორცისაგან სისხლი, ეგერთვე სისხლისაგან წყალი და იქმნენით უძვრეს ყოველთა მწვალებელთა და მე ვგონებ, ვითარმედ იქმნებისცა ეგრეთ, მცირე-დლა და მოისპოს წყალიცა სისხლისაგან.

რამეთუ რავდენსაცა თავით თვსით გულისწმაჲ ჰყოფენ კარდინელები და აუნყებენ პაპასა, მასაცა განანესებენ და სჯულუდებენ ყოველთა და კუალად სხუასა გულისწმაჲ ჰყოფენ და სხუასა განანესებენ. ამისთჴს აყუჭდრებს წი-ნანსწარმეტყვლი ესაია და ეტყჴს: „ვითარცა თავით თვსით გულისწმისმყოფელ-თა და წინაშე მასა მეცნიერთა“ და შემდგომი, რამეთუ მათ დაჰსწნეს ყოველნი საზღვარნი მამათანი და შეურაცხყუჴს მოციქულთა მიერ მოცემული კანონი, რომელი მათ ქრისტესაგან ესმა და იხილეს და ჩუჴნ მოგუცნეს და სჯულად დაგვისხნეს. ამისთჴს წმამალლად წმობენ წმიდანი მოციქულნი და იტყჴან: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომ-ელი მიიღეთ, შე(150v)ჩუჴნებულ იყავნ.

ხოლო ამის ესევეთარისა მიზეზისათჳს განუდგეს მრავალნი ქუეყანანი და თემნი დასავლეთისანი პაპასა ჰრომისასა და არღარა მორჩილებენ უმრავლესნი მეფენი და მთავარნი მის კერძოსანი, რომელნი იყუნეს სამწყსონი და მორჩილნი პაპისანი, რამეთუ ვინათგან მათ დაჰჳსნეს ყოველნი საზღვარნი და სჯულისდებანი წმიდათა მოციქულთა და მამათანი, არცალა იგინი დაემორჩილნეს პაპას, არცა შეინყნარეს სჯულისდებაჲ მისი, არამედ განიზრახეს და თქუჳს, ვინათგან მათ შეურაცხყვეს ყოველნი საზღვარნი და კანონი მამათანი, რომელნი მოგუჳცნეს აღმოსავლეთით. ნუცალა ჩუენ დავემორჩილებით ახალსა სჯულისდებასა პაპისასა, ამისთჳს განდგეს და ქმნეს თავით თჳსით სხჳსა სჯულისა განმწესებელ, ხოლო სარწმუნოებაჲ მართალი წმიდისა სამებისა და განწორციელებაჲ სიტყჳსა ღმრთისა ორითა ბუნებითა, ვითარცა ძუჳლითაგან მოსცემოდა, იგივე უპყრიესთ, ხოლო საზღუარნი და წესნი საეკლესიონი, რომელნი მოცემულ იყო მამათა მიერ, მათცა სრულად დაჳსნეს და არღარა უპყრიესთ და არცალა სჯულისდებაჲ პაპისა შეინყნარეს ზემო წერილისა მიზეზისათჳს, არამედ აწცა იტყჳან: უკეთუ პაპა ჰრომისა ძუჳლითგანსა წესსა იპყრობს და შეერთების აღმოსავლეთისა ეკლესიასა, ჩუჳნცა მასვე წესსა ზედა ვეგებით და დავემორჩილებითო პაპასა, ხოლო იგი თუ ურჩ არს ძუ(151r) ჳლითგანისა სჯულისდებისა, ჩუენცა ურჩ ქმნილ ვართ პაპისაო.

ხოლო მოსავნი პაპისანი იტყჳან, ვითარმედ: ერთმან მათგანმან მეფემან მეორისა ცოლისა შენდობაჲ ითხოვა პაპისაგან და ვერ მიემთხვა შენდობასა და მისთჳს იქმნა განდგომილებაჲ მათიო, არამედ ნაცილ არს სიტყჳაჲ ესე, რამეთუ ზემო წერილისა მიზეზისათჳს იქმნა მათი განდგომილებაჲ და არა ცოლისა შერთვისათჳს.

უკეთუ ესრეთ იყოს, ვითარ მეფე ლალი და თავსუფალი ერთისა გულისთქმისა ძალით შეპყრობილი ითხოვდა მეორისა ცოლისა შენდობასა და არა მყის იქორწინებდა და თუმცა იგი ითხოვდა შენდობასა, ესენიცა მიანიჭებდეს, რამეთუ ყოველივე ადვილად შერაცხულ არს მათ წინაშე დასაჳსნელად სჯულისდებაჲ წმიდათა, ვითარცა იგი სხუანიცა ყოველნი საზღვარნი დაჳსნეს და განაქარვნეს, ხოლო უკეთუ ერთი მეფე იქმნა განდგომილ მიზეზითა გულისთქმისათა, სხუანილა მეფენი რაჲსათჳსლა იქმნენ განდგომილ და ურჩ პაპის სჯულისდებისა. დიდნი იგი მეფენი ინგლიზისა, კალენიისა, შუჳტიისა და საქსოთა, რამეთუ ესე ყოველნი დიდნი სამეფონი და სხუანი მრავალნი თემნი განდგეს და ურჩ არიან პაპის მაგინებელ და წინააღდგომ და დამჳსნელ სჯულისდებისა მისისა.

არამედ ჩუენ პირველსავე სიტყჳსა მოვიდეთ, სადა იგი დაუტყვევთ: რაჲსათჳს არა აზიარებენ ერისგანთა, ვითარცა იგი თვთ ეზიარე(151v)ბიან, რამეთუ ქრისტე მეუფე არა ხოლო მარტო მღდელთათჳს მოვიდა, არამედ ყოველთათჳს მართალთა და ცოდვილთა და უფროსად ცოდვილთათჳს, ვითარცა ბრძანებს: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“. და უკეთუ

მართლად და უცოდველესად შეურაცხიესთ ერისაგანნი, რაჲსათჳს აყენებს სისხლისა მიმართ საუფლოსა და პირველად მათ არა აზიარებენ, ხოლო მართალნი უმეტეს ღირს არიან, ხოლო უკეთუ ცოდვილ არიან, ქრისტემან უმეტეს ცოდვილთათჳს დასთხია სისხლი თჳსი მეტყუჴლმან ესრეთ: „ესე არს სისხლი ჩემი მრავალთათჳს დათხეული“ და რაჲსათჳსლა აყენებენ ცოდვილთა ზიარებდ აღსარებისა და სინანულისა მიერ, უკეთუ ჟამსა სიკუდილისასა არღარა დააყენებენ, არამედ მაშინლა მისცემენ სისხლსაცა, ვითარ სიცოცხლესალა შინა რაჲ არს მიზეზი არა ზიარებისა, თუ იგი ჭემმარიტ არს, რომლითა ცოცხალსა აზიარებენ. ესე ტყუილ იქმნების და ურგებ და თუ ეს კეთილ არს და ჭემმარიტ, იგი თურმე ნაცილ არს და უჭმარ.

არამედ მე ვგონებ, ვითარმედ მოპოვნებულსა რაჲსმე ღონესა იჴუმევენ შესატყუჴბელად ერისა, რამეთუ ვერ ძალუც ვნებათა მიერ თავითა თჳსთა დაპყრობად, ვერცა მორჩილთა მათთა, არამედ ყოველთა უნესობათა მიმართ წარჴსნილ არიან. ამისთჳს მიუშვჴს ყოველი კაცი ნებასა თჳსსა, რომელნი მორჩილებასა ქუჴშვე მათსა არიან და კაცად-კაცადი განზრახვასა თჳსსა და ერთი რაჲმე უსრული დ(152r) ადვილ სახე განუნესეს გარეშე მოძღვრებისა მის ქრისტესაგან და მოციქულთა მისთასა შესატყუჴბელად ერისა, რაჲთა არა იგინიცა განდგომილ იქმნენ, ვითარცა სხუანი იგი და იქმნენ მტერ და მაგინებელ პაპისა, არამედ მხოლოდ პაპისა ოდენ ქუეყანასა ზედა, მეორედ ქრისტედ აღმსარებელთა, სხუად სჯულიერი და ქრისტეს მიერნი ბრძანებანი არიან, არღარა ეთხოვებოდენ, არცა სრული ზიარებაჲ, არცა სრული ნათლისღებაჲ, არცა საზღუარი მარხვსა, არცა ნესი ღოცვისაჲ და არცალა სხუად იწროსა და საჭირველსა გზისა საგრობაენი ბრძანებისაებრ უფლისაჲ მიმყვანებელი ცხოვრებაჲდ საუკუნოდ.

### **XXX თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რა სა მიჯეზისათჳს ჩცვილთა, ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ.**

კუალად ამისცა იქმენ სხუათა თანა უნესობათა, რამეთუ უსრულთა და უასაკოთა ყრმათა არა აზიარებენ და ვჴკითხოთ, რაჲ ამის მიზეზისათჳს გუჴტყვან, ვითარმედ: უსრულოებისათჳს ჴასაკისა ვერ გულისჴმად-ყოფენო საიდუმლოსა ამის ძალსაო. , დიდი უგუნურებაჲ და სიტყუად უმსგავსო და ყოვლისა სიცილისა ღირსი. მათ უჴმობენ უგნურად და უასაკოდ, ხოლო ამათ ჴასაკსა შინა სრულსა ცნობაჲ მამაკაცობრივი ვერ შეიმოსეს, არამედ უგუნურეს იქმნეს ძუძუსმწოვართასა.

(152v) რამეთუ ღმრთისა ჩუენდა მომართ ურიცხთა მოწყალებათა და ზემთა სახიერებათა თავი და დასაბამი ნათლისღებაჲ არს, რაჲთა დიდთა საიდუმლოთა ნიჭნი ამის მიერ ამის მიერ აღესრულების. ამას ხოლო ჩჩვილთა

მიანიჭებენ დღესა მას, რომელსა შინა იშუშს და არა ხოლო თუ ესე, არამედ უკეთუ დაეყოვნოს საშოთ გამოსლვაჲ, ვიდრე მუცელსაღა შინა იყოს დედისა-სა მცირისა წყლისა სხურებითა, გინათუ შეხებითა ნათლისცემან. ესევეთარ-მან ჩჩვილმან, გინათუ მცირედ უმეტეს ამისა ჰასაკითა უსრულმან ვითარღა უწყიან საიდუმლო იგი წმიდისა ნათლისღებისაჲ და ვინათგან უმეცარ არიან ყოვლისავე საღმრთოსა განგებულებისა, ვითარ შეერაცხოს ნათლისღებად და უკეთუ ესევეთარნი ჩჩვილნი არა დაიყენებინ ნათლისღებისა მიმართ, უმეტესად ჯერ არს, რაჲთა დაუყენებელ იყუნენ წმიდისა ზიარებისა მიმართ, რამეთუ ვითარცა უნათლავნი ვერ მიემთხუჭვიან ცხოვრებასა საუკუნესა სიტყვსაებრ უფლისაჲ, ეგრეთვე უზიარებელნი ვერ ღირს იქმნებიან ქრისტეს თანა სუფევად ცხოვრებასა მას დაუსრულებელსა.

ხოლო ჩუენდა მოცემულ არს ძუჭლითგანითა მით განწესებითა წმიდითა მოციქულთა და დიდთა ღმრთისმეტყუელთაგან, რაჲთა ჩჩვილთა ყრმათა ვიდრე მეორმოცე დღედმდე, უკეთუ სასიკუდინე სენი არა აიძულებდეს, არა ნათელსცემით და მეორმეოცესა დღესა (153r) მსგავსად მწსნელისა, რაჲჟამს იგი ორმეოცისა დღისა აღიყვანა უბინომან დედამან და სვამონ მიიქუა, ეგრეთ აღიყვანს დედა ტაძრად და მღდელი ნათელსცემს სახლსა ზედა წმიდა სამებისასა სამგზის დაფლვითა წყალთა შინა და ჯმნისა სიტყუასა და აღსარებასა მართლისა სარწმუნოებისასა ყრმისა მის ნაცვლად ამქუმელი იგი იტყვს სარწმუნოებით და ყოველივე იგი ამქმელის მიერ თქმული ჩჩვილისა მის ყრმისად შეირაცხების.

ეგრეთვე წმიდა საიდუმლოსა ვაზიარებთ ჳორცსა და სისხლსა საუფლოსა სარწმუნოებით და თანაზიარ ქრისტესა ვყოფთ და ასოდ მისდა განუკუთნებთ სიტყვსაებრ მოციქულისა: „ძმანო, თქუენ ხართ ჳორცინი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანი“ (I კორინთელთა 12,27). ესრეთ ასოდ ქრისტესა იქმნების და ნუ გიკვირს ესე, რამეთუ უსრული არს და ვერ აგრძნობს, რამეთუ ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს და არა რაჲ არს შეუძლებელ მისა, რამეთუ მან თქუა და იქმნეს, ვითარცა იტყვს ფსალმუნი და თავად მან ამცნო და დაეზადნეს, რამეთუ ესრეთ ნებაგს და ესრეთცა იქმს, რაჲთა ყოველნივე ასო მისა იქმნენ: სრულნიცა და უსრულნი, ჰასაკოვანი და უასაკონი.

რამეთუ ჳორციელსა შობასა თანა მიანიჭებს სულიერსა შობასა წყლისა მიერ და სულისა, ეგრეთვე ჳორციელსა საზარდელსა თანა მიანიჭებს სულიერსა საზარდელსა – ჳორცსა და სისხლსა თვსასა და იზიარებს სუფევასა თვსასა.

ვითარცა იტყვს მოციქული: „აჰა, ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან, რამეთუ ყრმათაცა ეზი(153v)რა ჳორციითა და სისხლითა“ (ებრაელთა მიმართ 2,13), ამისთვისცა ჯერ არს უმეტესად უმანკოთა და ჩჩვილთა ყრმათა ზიარებაჲ დაუბრკოლებლად ჳორცსა და სისხლსა უფლისასა, რაჲთა თანა ზიარ ქრისტესა იქმნენ და ასოდ გუამისა მისისა, ვითარცა თვთ თავადიცა



შეინყნარებდა სიხარულით ყრმათა ჩჩვილთა, მკლავთა მიქმიდა და აკურთხევდა და ეტყოდა, რომელნი აყენებდეს მისა მიმართ მოსლვად, ვითარმედ: „ნუ აყენებთ მაგათ ჩემდა მომართ მოსლვად, რამეთუ ეგევითრათა არს სასუფეველი ცათა“ და კუალად იტყვს: „უკეთუ არა იქმნეთ, ვითარცა ყრმანი ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე 18,3-5) და კუალად იტყვს: „რომელმან შეინყნაროს ესევეთარი ყრმა, მე შემიწყნარებს“ (მარკოზი 9,26-27) და შემდგომი, ხოლო თქუენ რაჲსათჳს დააბრკოლებთ უმაკოთა ყრმათა და არა ზიარჰყოფთ ქრისტესა, არცა ასოდ მისა განუკუთნებთ. არა გესმისთა ბრძანებაჲ იგი ქრისტესი: „რომელმან დააბრკოლოს ესევეთარი ყრმა“ და კუალად: „ნუ აყენებთ მათ ჩემდა მომართ მოსლვად“, ხოლო თქუენ კეთილად შეგირაცხიესთ დაბრკოლებაჲ ყრმათა, არა გესმისთა: „ეგევითრათა არს სასუფეველი ცათა“.

ეგევითრათა არსო უმანკოთა და უცოდველთა არა თუ ცოდვილთა და ბოროტთა შინა განფრდილთა და დაძუტლებულთა. ამათ მისცემთ უხრწნელთა საიდუმლოთა და მათ ხოლო აყენებთ მის ღამესა შინა, რომელსა შინა მრავალნი და დიდნი ბოროტნი ექმნენ, განთიად ზიარებაჲსა მისცემთ და უმანკოთა და ჩჩვილთა ყრმათა დააკლებთ ზიარებისგან. მათი ჯერ იყო აღსა(154r) რებითა და სინანულითა და მრავლითა ცრემლითა და ოფლითა განწმედაჲ და მერმელა მიახლებაჲ წმიდათა საიდუმლოთა, ხოლო ამათ დაუბრკოლებელ ყოფა და მიცემა წმიდათა ზიარებისაჲ.

ამათ ესევეთართა უმანკოთათჳს ჳმობს ქრისტე ღმერთი: „რომელი ჭამდეს ჳორცსა ჩუენსა და სისხლსა ჩუენსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მის თანა“, ხოლო მათთჳს იტყვს მოციქული: „რომელი ჭამდეს პურსა და სუმიდეს სასმელსა ამას უფლისასა უღირსებით, უფლისაჲ თანამდებ არს იგი ჳორცსა და სისხლსა უფლისასა, ხოლო რომელი არა ღირსად ჭამდეს და სუმიდეს და სასჯელად თავსა თჳსისა ჭამს და სუამს“.

ხედავთა, რამეთუ უღირსთა ზიარებაჲ დასასჯელ არს და წარმწყმედელ და თანამდებ ყოფს ჳორცსა და სისხლსა უფლისასა. ამისთჳს არა ჯერ არს განუწმედელთა მიახლებაჲ სინმიდეთა და პირველ აღსარებისა და ჯეროვნისა სინანულისა ზიარებად წმიდათა საიდუმლოთა ჳორცსა და სისხლსა უფლისასა.

რამეთუ ვითარცა სტომაქი ხამში და სენიანი ვერ შეინყნარებს სრულსა და მართალთათჳს შემზადებულსა საზრდელსა, არამედ უმეტეს აღმაორძინებთ და განმამრავლებულ სენისა და სიხაშმისა ექმნების, ეგრეთვე მრავალთა ხედვათა მიერ დასნეულებული სული და თითო სახეთა ვნებათა მიერ შეპყრობილი და ძლეული, რაჟამს მიიხლოს ცეცხლსა საღმრთოსა, უფროსად დაისჯების და განუმრავლდების ვნებანი და არა ხოლო თუ მოკლებაჲ იქმნების ვნებათა, არამედ განმრავლებაჲ.

ვითარცა იგი ექმნა იუდას, რამეთუ ვინათგან ბოროტი იგი ანგარებაჲ (154v) და სიყვარული საფასეთა, შური და ზაკვა გულს ედვა და იგი არა გა-

ნაქიქა, არცა შეინანა, არამედ წარმდება და ურცხვინოდ მიიღო ზიარება, ამისთვის განვარდა და უმეტეს დაისაჯა და მერმე შიშთვილობა.

ხოლო უმანკონი იგი და სანატრელნი წმიდანი მოციქულნი ეზიარნეს, რა და ღირს იქმნეს მიღებად ჯორცსა და სისხლსა უფლისასა, უმეტეს განბრწყინდეს და უზეშთაესთა მადლთა ღირს ქმნეს, ხოლო ვითარცა უღირსად ზიარება და შეუხანებლად მიახლება საღმრთოთა სინმიდეთა და ვა შორს ყოფა ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა და მისგან დაკლება, რამეთუ ორივე წარმწყმედელ არს და დამსჯელ: ერთი იგი უღირსად მიახლებისთვის, მეორე – უდებებით დაშორებისათვის, რამეთუ ბოროტ არს უღირსად ზიარება, ხოლო უბოროტეს არს სრულიად მისგან დაკლება: ერთი იგი დასჯის და ცეცხლად საუკუნოდ წარავლენს, ხოლო მეორე იგი სრულიად ცხოვრებისაგან დაკლებულ ჰყოფს და განაშორებს ქრისტესაგან.

რამეთუ ქრისტე ბრძანებს: „უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი. არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა და რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა“.

ამისთვის ძნელ არს მისგან დაკლება და შორს ყოფა, რამეთუ თვნიერ მისა ცხოვრება შეუძლებელ არს, რამეთუ ვითარცა შეუძლებელ არს უნათლავთათვის ცხოვრება, ეგრეთვე შეუძლებელ არს უზიარე(155r)ბელთა ცხოვრება, ვითარცა ნათლისღებისათვის ჯმობს ქრისტე: „უკეთუ არა იშვეთ წყლისაგან და სულისა ვერ ჯელგეწიფების შესლვად სასუფეველსა ცათასა“, ეგრეთვე წმიდა ზიარებისათვის ბრძანებს: „უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა“.

ხოლო უღირსად ზიარებისათვის პავლე მოციქული იტყვს ქრისტეს მიერ: „რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასმელსა ამას უფლისასა უღირსებით, უფალი თანამდებ არს იგი ჯორცსა და სისხლსა უფლისასა“. იხილეთ, რამეთუ ჯმობს მოციქული, თანამდებ არსო ჯორცისა და სისხლისა უფლისასა, ვითარცა იუდა განმცემელი, რამეთუ მსგავსად მისა ზედა აც სისხლი და ჯორცი უფლისა და ვერღარა შემძლებელ არს საუკუნოდ გარდაჟდად, უკეთუ აქავე არა შეინანოს.

ხოლო იტყვს, გამო-ღა-იცადენო კაცად-კაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმლისა მისგანი სუნ. ესე იგი არს, განიხილენ კაცად-კაცადმან თავი თვისი და გულისჴმაჲ ყვენ ცოდვანი თვისი ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვითნი და საქმითნი აღუარონ ღმერთსა და მოძღვარსა დაფარულნი გულისა თვისისანი, განაქიქონ და შემსგავსებული ცოდვისა თვისისა. წამალი სინანულისა შეიწყნარონ და მერმელა შიშით და სარწმუნოებითა მჭურვალთა მიიხლენ საიდუმლოთა ქრისტესთა და ეზიარენ ჯორცსა და სისხლსა ცხოველსმყოფელთა უფლისათა.

ხოლო მოსავნი პაპისანი იტყვან, არათუ უღირსებისასა ზედა იტყვსო მო-

ციქული ამას, არამედ ურნ(155v)მუნობასა ზედაო, უკეთუ სარნმუნობაა აქუნდესო. კმა ეყოფის, გინა თუ ცოდვილი იყოს, გინათუ მართალიო და სხუად უმეტესი არლარა ეთხოვებისო. ამას ჩუენცა ესრეთ აღვიარებთ და ვიტყვით, ვითარმედ: რომელი მოუჭდებოდის უფალსა სარნმუნობა მტკიცე და გონება შეუორგულებელი. უჭმს, რაათა ჰრნმენეს კაცსა, თვნიერ ყოვლისა იჭვისა და ორგულებისა ჯორცად და სისხლად ქრისტეს მეუფისა და ვითარმედ იგი არს თვთ საუფლო ჯორცი მისი და თვთ საუფლო სისხლი მისი და ვითარმედ ძალუც მოტევება ცოდვათა და მონიჭებად ცხოვრება საუკუნო.

არამედ სარნმუნობა თვნიერ საქმითა კეთილთა მკუდარ არს, ვითარცა იგი საქმენი კეთილნი თვნიერ სარნმუნობისა სიტყვსაებრ მოციქულისა იაკობისა: „რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ, სარნმუნობა მატუს და საქმენი არა ქონდინ. ნუ ძალუც მება სარნმუნობასა ცხოვრებად მისა“. და კუალად იტყვს: „შენ გრნამს, ვითარმედ ერთ ღმერთ არს, ღმერთი კეთილად იქმ და ეშმაკთაცა ჰრნამს და ძრნიან მისგან“ (კათოლიკე იაკობისი 2,14; 2,19). გნებაჲსა ცნობად, , კაცო ამაოო, რამეთუ სარნმუნობა თვნიერ საქმითა მკუდარ არს, რამეთუ არა არს იგი.

რამეთუ არცა რაჲდ კეთილნი საქმენი სავმარ არიან, უკეთუ არა სარნმუნობით იყოს, არცა სარნმუნობა უსაქმოჲ შემძლებელ არს რაჲსამე, არამედ ორივე ჯერ რას მოგებად. სარნმუნობა სრული და საქმენი კეთილნი და ესრეთ მიახლებად და მოღებად ჯორცსა და სისხლსა ცხოველმყოფელთა. არა მა(156r)რტოდ ჯორცისა, არამედ სისხლსაცა სიტყვსაებრ უფლისა: „უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ ამისგან, ესე არს სისხლი ჩემი“ და მოციქული იტყვს: „რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასამელსა ამას უფლისასა“. და შემდგომი.

და კუალად იტყვს: „სასამელი ესე კურთხევისა, რომელ ვკითხავთ, არა მე ზიარება სისხლთა ქრისტესთა არსა და პურსა ამას, რომელსა განვტეხვთ, არა მე ზიარება ჯორცთა ქრისტესთა არსა“ (I კორინთელთა 10,17).

ესრეთ ყოველსა ადგილსა საღმრთოთა წერილთა შინა ჯორცი წერილ არს და სისხლი და არა მარტოდ ჯორცი, არცა მარტოდ სისხლი, არამედ ზოგად სისხლი და ჯორცი, რომელსა ღირმსცა ვართ დაუსჯელად მოღებად მაღლითა და კაცთმოყვარებითა უფლისაჲ, ღმრთისაჲ და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა შუჭნის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყვანისცემა თანადაუსაბამოთ მამით.

### **XXXI თაჲი. სიტყვსა მისთჲს, თუ ვითარ ლათინნი და ბერქენნი იცილებიან საღთოსა საიდუმლოსა ზედა**

კუალად ერთი ესე არს ჩუენსა და ლათინთა შორის ცილობაჲ და უმიზეზო

მიზეზი, რამეთუ იტყვან წმიდათა საიდუმლოთათჳს, ვითარმედ რაჟამს იტყოდის მღვდელი სიტყუასა მას უფლისასა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჳორცი ჩუენი და სუთ ამისგანი ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი, მყის შეიცვლების ჳორცად და სისხლად უფლისად და არღარაჲ საჳმარ არსო მღვდლისა მიერ მონოდებაჲ სულისა წმიდისაო, არცა კურთხევაჲ (156v) და ჯვრისწერაჲ.

ხოლო ესრეთ ვიტყოდით მათჳს, ვითარმედ ერთგზის რა განდგომილ იქმნეს და იწყეს დაჳსნად და დარღუჳვად ყოველთა საღმრთოდ სჯულისდებისა. ანცა მზა არიან ცილობად და წინა აღდგომად ყოვლისა სამეუფოისა ბრძანებისა, ვის არა ჰრწამს ესრეთ და ვინ არა აღიარებს, ვითარმედ სიტყვა იგი ღმრთისაჲ არს შემცვალელებელი ჳორცად და სისხლად, რომელმან იგი მაშინ ქორსა მას დაბადებულსა სიონისასა თქუა და იქმნეს, ბრძანა და შეიცვალნეს პური ჳორცად და ღვნო სისხლად.

რამეთუ იგივე უფალი იყო და შემოქმედი და დამბადებელი ყოველთა, რომელმან იგი თქუა დასაბამსა: „იყავნ ნათელი და იქმნა ნათელი“ და ყოველივე სიტყვთა უფლისათა იქმნეს და დაებადნეს და ესეცა თქუა და იქნეს ჳორცად და სისხლად და ანცა იგივე არს მთქმელი და შემცვალელებელი, არამედ არა თვნიერ სულისა წმიდაჲსა, ვითარცა წერილ არს წინასწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „სიტყვითა უფლისათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა წმიდითა პირისა მისისათა – ყოველი ძალი მათი“, რამეთუ რავდენსა მამა იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს, ეგრეთვე სული წმიდაჲ და რაოდენსა ძე იქმს, მას მამა და სული წმიდაჲ იქმს და რაოდენსა სული წმიდაჲ იქმს, მას ეგრეთვე მამა და ძე იქმს. განუყოფლობისათჳს და ერთობისა არსებისა ბუნებისა და ნებისა და განზრახვისა.

ამისთჳს მღვდელი, რაჟამს იტყოდის სიტყუასა მას ქრისტესასა, ვითარმედ, მიიღეთ და ჭამეთ და სუთ ამისგანი ყოველთა, მყის ხადის უხილავსა მამასა და მოუნოდ სულსა წმიდასა და აკურთხევს წინამდებარესა მას საიდუმლოსა.

(157r) რამეთუ ქრისტეცა, რაჟამს ენებჲ განტეხად პური იგი, მადლობდა ღმერთსა და მამასა და მოუნოდდა სულსა წმიდასა, ვითარცა წერილ არს სამთავე მახარებელთა მიერ, ვითარმედ: მოილო პური, მადლობდა, აკურთხა და განტეხა. ეგრეთვე მსგავსად სასამელსა ზედა ყო, რამეთუ ბუნებითა ღმრთაებისათა განუყოფელი იყო და განუშორებელი მამისა და სულისა წმიდისაჲ, ხოლო რაჲსათჳის მადლობდა და ვისა მიერით ილოცვიდა, რომელი იგი მარადის მისთა იყო განუყოფელად, ვითარცა მზისაგან ნათელი და ცეცხლისაგან სიტფო, ეგრეთვე მამისაგან ძე და სული, არამედ ვინათგან ბუნებაჲ ჩუენი მიილო, მით ილოცვიდა და მადლობდა და ყოველსავე სიმდაბლისა საქმეთა ბუნებითა ჩუენითა იქმოდა და მისი იგი ყოველივე განგებულებით ქმნილნი საქმენი ჩუენ სახე და მაგალით გუჳქმნა, რაჲთა ჩუენცა, რაჟამს სამღვდლოსა მას მსახურებჲსა აღვასრულებდეთ, ვმადლობდეთ ღმერთსა და მამასა და სიტყუასა მას ქრისტესასა ვიტყოდით და სულსა წმიდასა მოუნოდ-

დეთ, რამეთუ ესრეთ გვისწავიეს წმიდათა მოციქულთაგან და ესრეთ მოგუ-  
ცემიეს ღმერთშემოსილთა მამათაგან.

ხოლო მოსავთა პაპისათა ესეცა აღწოცეს ეკლესიით და დაჰჴსნეს და არ-  
ლარა ხადიან სულსა წმიდასა მსხუჭრპლსა მას ზედა საუფლოსა, რამეთუ  
რაჴამს ხადოს მღდელმან სულსა წმიდასა, მაშინ სრულ იქმნების და შეიცვა-  
ლების ჴორცად და სისხლად და ნუვინ იტყვს ამას, თუ ქრისტეს ბრძანებაჲ ვერ  
შესცვალებსო მღდლისა სიტყუა, ვითარ სრულ იქმსო, რაჲ საკვირველ (157v)  
არს ესე, რამეთუ ქრისტემან მისცა ესევეთარი ჴელმწიფებაჲ კაცთა, ვითარცა  
ბრძანებს ქრისტე, ვითარმედ: „რომელსა ვრწმენე მე, საქმესა, რომელსა მე  
ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროსიცა ამისა ქმნეს“ (იოანე 14,12), რაჲთა ყოველ-  
სავე საიდუმლოსა ხილულად ჴელნი და სიტყვა მღდლისანი მსახურებდეს და  
უხილავად ბრძანებაჲ ქრისტესი და სულისა წმიდისა მადლი სრულ ყოფდეს,  
რამეთუ სიტყვასა მასცა ქრისტესა მღდელი იხილვს, ვითარმედ: „მიიღეთ და  
ჭამეთ და სუთ ამისგანი ყოველთა“ და სულსა წმიდასაცა მღდელი მოუწოდს  
და სრულ იქმნების, ვითარცა იგი გაბრიელის სიტყვთა, რაჴამს ახარა ქა-  
ლწულსა, მოვიდა მას და სული წმიდაჲ და სიტყვამან ღმრთესამან ჴორცი  
შეისხნაჲ.

რაჴამს ჰრქუა: „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა“ და კუალად,  
ვითარმედ: „სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მალლისა გფარვიდეს  
შენ“, მყის იქმნა შემზადებაჲ ჴორცთა ქრისტესთა და ყოველივე საიდუმლო  
განკაცებისა სრულ იქმნა. ესრეთ იქმნების მსხუჭრპლისაცა მას ზედა საიდ-  
უმლოსასა, რამეთუ მღდელი სახედ ანგელოზისა იტყვს სიტყუასა მას ქრისტე-  
სა და მერმე მოუწოდს სულსა წმიდასა და სრულ იქმნების და შეიცვალების  
ჴორცად და სისხლად ქრისტესა. ამისთვის განენესეს წმიდათა მოციქულთა და  
მობაძავთა მათთა სანატრელთა მღდელთმოძღვართა, ვითარცა ქრისტესაგან  
ისწავეს და ჩუენ მათსა წესსა ზედა უცვალებლად ვჴგიეთ და საზღვარი მათი  
არა და ვერ ჴსნეს, ხოლო ლათინთა ყოველი განწესებული მათი დაუტევებიეს  
და უფროსლა წესი წირვისა არლარა (158r) უპყრესთ.

ისმინეთ, თუ რასა იტყვან წმიდანი მოციქულნი და დიდნი ღმრთისმე-  
ტყუელნი საღმრთოსა წირვისა განგებასა შინა. წმიდა იაკობ, ძმა უფლისაჲ,  
პირველი მღდელთმოძღვარი იწრუსალიმისა, მარკოზ მახარებელი, კლიმი  
ჴრომაელი, წმიდაჲ ოქროპირი და დიდი ბასილი ესრეთ ლაღადებენ ბრწყინ-  
ვალედ და ვითარცა ერთითა პირითა ჴმობენ და იტყვან. წმიდაჲ იაკობ იტყვს  
შემდგომად საუფლოსა მის სიტყვსა: „შეგვიწყალენ ჩუენ ღმერთო, ყოვლისა  
მპყრობელო, შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, შეგვიწყალენ  
ჩუენ დიდითა წყალობითა შენითა და გარდამოავლინე ჩუენ ზედა და წინამდე-  
ბარესა ამას ძლუენსა ზედა სული შენი წმიდაჲ, უფალი და ცხოველსმყოფელი  
და თანაარსი შენ ღმრთისაჲ და მამისა და მხოლოდშობილისა ძისა შენისა.  
ერთ ჴელმწიფობით თანასწორი უხილავი, ვითარცა თქუეს სჯულსა შინა

წინასწარმეტყუელთა, ხოლო ახალსა აღთქმასა შინა გარდამოჴდა სახითა ტრედისათა უფალსა ჩუენსა ზედა იესუ ქრისტესა იორდანესა მდინარესა და დაადგრა მას ზედა, რომელი გარდამოჴდა მოციქულთა შენთა ზედა სახითა ცეცხლისა ენათათა წმიდა დიდებულსა სიონს შინა, დღესა მას მეერგასესა. იგივე სული შენი ყოვლად წმიდა გარდამოავლინე მეუფეო ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას ძღუჴსნა ზედა, რაჲთა დანერგვითა სულისა შენისა სახიერისა და დიდებულისათა განმწმდეს და ყავ უკუჴ პური ესე ჴორცი წმიდაჲ ქრისტეს შენისა და სასმელსა ამას შენსა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა, რაჲთა ექმნან ყოველთა, რომელთა მიიღონ ამისგან მისატყეველად ცოდვათა და საცხოვრებელად საუკუნოდ“.

ხოლო სიტყვა ესე და ლოცვაჲ მოციქულმან შემდგომად (158v) საუფლოსა მის სიტყვსა თქუა, რაჴამს იგი თქუა: მიიღეთ და ჴამეთ და სუთ ამისგან ყოველთა და მოუწოდა სულსა წმიდასა, ვითარცა სრულებით ზემო მოვიჴსენეთ და უკეთუ სრულ იქმნა მსხუჴრპლი იგი საუფლოთა მით სიტყვთა, რაჲსათჴსლა ხადოდა ღმერთსა და მამასა მოუწოდდა სულსა წმიდასა, რაჲთა წმიდა ყოს მსხუჴრპლი იგი საუფლოჲ და შესცვალოს ჴორცად და სისხლად ქრისტესა.

ან ისმინეთ მარკოზ მახარებლისაცა, ვითარ იტყვს ერთჴმობით მათ თანა შემდგომად სიტყვსა მის საუფლოსა, ესრეთ ჴმოზ: „სიკუდილი მეუფჴო, უფალო ყოვლისა მპყრობელო, მეუფჴო ზეცათაო, მხოლოდშობილისა ძისა შენისა უფლისაჲ, ღმრთისაჲ და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ვჴადაგებთ და მესამესა დღესა სანატრელსა აღდგომასა მისსა აღვიარებთ და ზეცად აღსლვასა მისსა მორწმუნე ვართ და მარჯუჴნით ღმრთისაჲ და მამისა დაჯდომასა და მეორედ საშინელსა და შესაძრწუნებელსა მოსლვასა მისსა შევიწყნარებთ, რომელსა ეგულვების განსჯა ცხოველთა და მკუდართა და მიგებდ თვითეულთა საქმეთა მათთაებრ სიმართლით. შენ, უფალო ღმერთო ჩუენო, შენსა შენდავე შევსწირავთ ძღუჴსნა წინაშე შენსა, გხადით და გევედრებით კაცთმოყუარეო, სახიერო, გარდამოავლინე მალლით წმიდით განმზადებულით სამკვდრებლით შენით გარეშემოუწერელთა ნიალთა შენთა, ნუგეშინისმცემელი იგი სული ჴემშარიტებისა წმიდაჲ უფალი და ცხოველსმყოფელი სჯულიერად წინასწარმეტყუელთა და მოციქულთა მიერ ჴადაგებული, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს და მოქმე(159r)დებს თჴთ ჴელმწიფებითა და განსწმედს არამონებრ, არამედ ვითარცა სათნო უჩნს თჴთ ჴელმწიფებით. შენი თანაარსი შენგან გამომავალი და თანამოსაყდრე მეფობისა შენისა და მხოლოდშობილისა ძისა შენისა უფლისაჲ ღმრთისაჲ და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ჩუენ ზედა და პურსა ამას ზედა გარდამოავლინე, რაჲთა წმიდა ყოს ესე და განასრულოს ვითარცა ყოვლად ძლიერმან ღმერთმან და ყოს პური უკუჴ ესე ჴორც და სასმელსა ამას შინა სისხლ ახლისა აღთქმისა მისისა უფლისაჲ და ღმრთისაჲ მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რაჲთა ექმნენ ყოველთა, რომელთა მიიღონ ამისგან“.

ხოლო წმიდა კლიმი ჰრომაელი (ესე კლიმი ჰრომაელი, მე ვჰგონებ, კლემენტოს არს, პაპა ჰრომისა შემდგომი წმიდისა პეტრესი) ამისვე მსგავსად დასწერს განგებასა და წესსა წმიდათა მოციქულთასა საღმრთოსა წირვისათჳს, რომელი იყო შემდგომი წმიდისა პეტრე მოციქულისა მის მიერვე კურთხეული პაპად ჰრომისა. ისმინეთ ამისცა, რაჲსა იტყჳს ამისთჳს მერვესა წიგნსა შინა განწესებისა მისისა, შემდგომად საუფლოსა მის სიტყჳსა: „მომწესებელნი უკუჲ ვნებისა მისისა სიკუდილისა და მკუდრეთით აღდგომისა და ზეცად აღსლვისა და მეორედ მოსლვისა მისისა განსჯად ცხოველთა და მკუდართა და მიგებად თითუჭულთა საქმეთა მათთაებრ, შევწირავთ შენდა მეუფისა და ღმრთისაჲ ჯერისაებრ პურსა ამას და სასუმელსა ამას და გევედრებით ამისთჳს, ღირს მყვენ ჩუენ დაუსჯელად წარდგომად წინაშე შენსა მღდლობისა, ღირსქმნილნი შენ მიერ. გარდამოიხილე წინამდებარესა ამას ძღუჳნსა ზედა წინაშე შენსა, სავედრებლად შევწირავთ შენ, კაცთმოყარისა ღმრთისაჲ. სათნო იჩინე ესე პატივად ქრისტეს შენსა და გარდამოავლინე სული შენი წმიდაჲ მსხუჭრპლისა ამას ზედა მონამედ ვნებისათჳს (159v) იესუ ღმრთისა, რომელმანცა დაგვიტევა პური ესე ჯორცად ქრისტეს შენისა და სასუმელი ესე სისხლად ქრისტეს შენისა და შემდგომი“.

ხოლო კუალად დიდი და ზეცით გამობრწყინებული ბასილი რაჲსა იტყჳს, ესეცა კეთილად ისმინეთ შემდგომად საუფლოსა მის სიტყჳსა: „შენ შეგევედრებით და გადიდებთ წმიდაო წმიდათაო, სათნო იყავ სახიერებითა შენითა და მოვედინ სული შენი წმიდაჲ ჩუენ ზედა და წინა მდებარესა ამას ძღუჳნსა ზედა, აკურთხე ესე და განსწმიდე და გამოაჩინე და ჰყავ უკუჲ პური ესე პატიოსან ჯორც უფლისაჲ და ღმრთისაჲ და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, ხოლო სასუმელსა ამას შინა პატიოსან სისხლ უფლისაჲ, ღმრთისაჲ და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, შესცვალე სულითა შენითა წმიდითა, ხოლო ჩუენ ერთისა პურისაგან და სასუმელისა შეერთებითა“. და შემდგომი (დიდი ბასილი)

ხოლო წმიდა იოანე ოქროპირი ისმინეთ, ვითარ მსგავსადვე მისა იტყჳს: „კუალად შევწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას და უსისხლოსა მსხუჭრპლისა და შეგივრდებით და გევედრებით და გხადით, გარდამოავლინე სული შენი წმიდაჲ ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას<sup>20</sup> ძღუჳნსა ზედა და ყავ უკუჲ პური ესე, პატიოსან ჯორც ქრისტეს შენისა, ხოლო სასუმელსა ამას შინა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა შესცვალე ესე სულითა შენითა წმიდითა“ (ოქროპირი).

იხილეთ, რამეთუ ამათ ყოველთა ერთად თქუეს, ვითარცა ერთითა პირითა და ერთჴმაჲ არიან ყოველნი საიდუმლოსა ამისთჳს, რამეთუ შემდგომად საუფლოსა მის სიტყჳსა, რაჴამს იტყჳს მღდელი: „მიიღეთ და ჭამეთ და სუთ ამისგანი ყოველთა“. მერმე ესე დაანესეს წმიდათა მოციქულთა და სანატრელთა მღდელთომოდუართა, (160r) ვითარცა ესერა აღგვიწერიეს ვრცელად

<sup>20</sup> ხელნაწერში გადაშლილია „მსხუჭრპლსა“

და უნაკლებოდ და უკეთეს მამინვე სიტყვითა მით საუფლოთა სრულ იქმნა და შეიცვალა ჯორცად და სისხლად. ესენი ვითარდა ევედრებიან ღმერთსა და მამასა და მოუწოდინ სულსა წმიდასა, რაათა წმიდა ყოს და შეცვალოს პური იგი ჯორცად ქრისტესა და ღვინო იგი სისხლად ქრისტესა.

ხოლო არა ვიტყვით, თუმცა ვერ ძალედვად სიტყუასა მას ქრისტესა შეცვალებდ, რამეთუ იგივე ქრისტე არს მთქმელი და შემცვალელებელი, რომელმან იგი მამინ თქუე ქორსა მას ზედა დიდებულსა სიონისასა და მისცა წმიდათა მისთა მონაფეთა და მოციქულთა, არამედ არა თვნიერ სულისა წმიდასა, რამეთუ იგიცა ხადოდა ღმერთსა და მამასა და მოუწოდდა სულსა წმიდასა, რომელი მარადის განუშორებელ იყო მათგან, ვითარცა ღმერთი, არამედ კაცობრივ ბუნებითა ჩუენითა ესრეთ აკურთხა და განტეხა და მისცა და ეგრეთვე სასუმელსა ზედა ყო და უბრძანა, რაათა ესრეთვე ჰყოფდენ იგინიცა, ვითარცა იხილეს მისგან მოსაწასენებელად სიკუდილისა მისისა და ჩუენცა ესრეთ განგვინესეს წმიდათა მოციქულთა და დიდთა ღმრთისაამეტყუელთა.

ხოლო რაჲ არს მიზეზი ამის ესევეთარისა ცილებისა, ანუ რაჲსათჳს დაჰწესნეს ესევეთარი განწესებაჲ წმიდათა მოციქულთა, არამედ მე ვჰგონებ, ვითარმედ სხუად არა რაჲ არს, არამედ რაათა გამოაჩინონ ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ პაპად და მისნი კარდინელები მოციქულად და ყოველივე მათ მიერ განწესოს და არღარა იყოს, არცა სადა ითქმოდის განწესებული წმიდათა მოციქულთა და არცაღა მობძავეთა მათ თანა წმიდათა მღდელთმოდღვართა და რაჲდ ვიტყვ წმიდათა უფროსლა თვთ თავადისა ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა, ვითარცა ა(160v)რცალა სხუად, რომელიმე მათ მიერ დადებული წესი და საზღვარი იპოების მათ შორის, ვითარცა ესერა წმიდისა წირვისა და სამღდელოსა მსახურებისათჳს ვთქუთ. ეგრეთვე არცაღა ნათლისღებაჲ, არცა ლოცვისა და მარხვისა განწესებაჲ და არცა რაჲ სხუად ყოველივე განწესებაჲ წმიდათა მიერ, არამედ ყოველისავე მათ მიერ მოგონებულისა და თავით თვისით განწესებულისა ნებავსთ ყოველსა ადგილსა განფენად და განმრავლებაჲ, რაათა აღიწოცოს ყოველი საზღვარი მამათაჲ.

ხოლო თქუენ, მართლმადიდებელნო, შვილნო წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანო, ნუ ისმენთ სიტყვითა მათთა, ნუცალა მიუპყრობთ ყურთა ზრახვათა მათ თანა ამათაჲ, ნუცალა გარდაწდებით საზღვარსა მამათასა, ნუცა დაჰწესნით სჯულისდებაჲსა ქრისტესსა და წმიდათა მისთა მოციქულთასა, რაათა მათ თანა ღირს- მყუნეს უფალმან დამკვდრებდ ცათასა, რამეთუ მისა შუწნის დიდებაჲ და პატივი ანდა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



## XXXII თავი. მარხვისათვის, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესრეთ გაგვიწიეს.

მოდით ქრისტეს მოყვარენო და ან მარხვისათვის ვიტყვოდი, რომელი იგი ყოვლითურთ აღებულ არს მათგან და დაჯსნილ და არღარა იპოების მათ შორის მარხვაჲ განწესებული მოციქულთა მიერ და ღმერთშემოსილთა მამათა და თვით მის ჭემმარიტებისა მიერ.

რამეთუ განჯორციელდა რაჲ უფალი და მჯსნელი ჩუენი ღმერთი იესუ ქრისტე, პირველად სათნოებად ესე აღიღო ბუნებითა ამით ჩუენითა და მით სძლო გ(161r)ანმცდელსა მას მტერსა ბოროტსა, რამეთუ თვნიერ მარხვისა და ლოცვისა ვერაჲ რაჲ სათნოებათაგანი წარემართების, არცა უხილავთა მტერთა ძღევა იქმნების, რამეთუ ესე არს საჭურველი უხილავთა მტერთა მიმართ ბრძოლისაჲ. ამისთვის იმარხა ქრისტემან ორმეოცნი დღენი და ეგეოდენნი ღამენი. რამეთუ წინასწარმეტყუელნიცა ესრეთ ჰყოფდეს და მარხვთა გარდაიჭდიდეს დღეთა თვსთა და ესრეთცა ჯერ იყო ქრისტეს მიერ. რამეთუ ვინათგან პირველი მამა ჩუენი, ადამ, საჭმლისა მიერ გარდაიჭდა მცნებესა ღმრთისასა და სამოთხით ექსორია იქმნა, ხოლო მეორე ადამ, რომელ არს ძე ღმრთისაჲ, იქმნა რაჲ კაც, მარხვისა მიერ და სიმდაბლისა დასცა მტერი იგი დამცემელი ადამისი და ჩუენცა ესევე სახე დაგვიდვა, რაჲთა მარხვითა და სიმდაბლითა ვსძლოთ მტერსა მარადის განმცდელსა ჩუენსა, ვითარცა ბრძანებს თვთ უფალი: „ხოლო ესე სული არა რაჲთა განვაღს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათე 24,21) და წმიდანიცა მოციქულნი და ყოველნი წმიდანი მარხვითა აღასრულებდეს ცხოვრებასა თვსასა, ვითარცა მოსესთვის წერილ არს, რომელმან ორგზის ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი იმარხნა, რამეთუ პირველნი იგი ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი იმარხნა, რაჲ და მოიხუნა ფიცარნი იგი ღმრთივ წერილნი, მერმე ისრაჴლთა განარისხეს, რაჲ ღმერთი ნაყროვანებითა და სიმთრვალითა, ვითარცა წერილ არს: „დასხდა ერი იგი ჭამად და სუჲმად და აღდგეს სიმღერად და უზორეს კერპსა მას მათ მიერ გამოდნობილსა“. მაშინ (161v) მოსე შემუსრა ფიცარი, ხოლო შეინანეს რაჲ, კუალად იწყო მოსე მეორედ მარხვაჲ და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე, კუალად აღვიდა მთად, მარხვისა მიერ განწმედლიმან კუალად მოიხუნა სჯულნი ღმრთივ დაწერილნი.

ხოლო წინასწარმეტყუელისა ელიას ცხოვრებჲ რაჲღა ვინ თქუას, რამეთუ ყოვლადვე დღითა თვსთა მარხვითა გარდაიჭდიდა და ოდესმე ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი მსგავსად მოსესა იმარხნის, ეგრეთვე სხუანი ყოველნი წინასწარმეტყუელნი მარხვთა იქცეოდეს, ვითარცა სამოელისთვის წერილ არს, რამეთუ სიჩოითგან მარხვითა აღიზარდა და ღვნო და თაფლუჭი არა ოდეს სუა და დანიელ დიდი იგი წინასწარმეტყუელთა შორის და სამნი

ყრმანი ბაბილონს მარხვითა მოქალაქობდეს, რამეთუ თჳნიერ ხილისა და მცირედთა თესლთაგანისა სხჳსა არა რაჲსა გემოსა იხილვიდეს და ოდესმე ორსა და სამსა შვიდეულსა სრულიად უზმათა გარდაელიან, ვითარცა დანიელისთვის წერილ არს, რამეთუ მარხვითა განწმედილსა გამოეცხადნა დიდნი იგი და გამოუთქმელნი საიდუმლონი და სამთა ყრმათა მარხვისა მიერ წდობილთა არა შესწვიდა მძაფრი იგი საწმილი ცეცხლისა, ხოლო ნინეველთა მოწვენილი იგი რისხვად არა მარხვითა და ტირილითა გარე წარაქციესა?

და დავითის მიერი იგი სიტყუა მოვიწსენოთ, რომელმან მარხვითა და ტირილითა გარდაიწადნა დღენი თჳსნი და ოდეს აჭირვებდეს მტერნი უხილავნი, ხილულთა თანა საჭურველად მარხვა იწუმის, ვითარცა წერილ არს: „რაჲამს იგი მჭირვებდინ შევიმოსი ძაძა და და(162r)ვიმდაბლი მარხვითა სული ჩემი“ (ფსალმუნი 34,13) და კუალად იტყჳს: „მუჳლნი ჩემნი მოუძღურდეს მარხვისაგან და ჳორცნი ჩემნი იცვალნეს ჳჳთისა მიერ“ (ფსალმუნი 108,24).

ხოლო დიდი იგი ნაშობთა შორის დედათასა და საშოთგან დედისათ სულითა წმიდითა აღვსებული არა უმეტესად მარხვითა აღასრულებდა ცხოვრებასა თჳსსა, ვითარცა წმიდა სახარებასა შინა წერილ არს მისთვის და წმიდანი იგი და სანატრელნი მოციქულნი შემდგომად ამაღლებისა უფლისაჲ ყოვლითურთ მარხვითა იქცეოდეს და ესრეთ აჭირვებდეს თავთა თჳსთა, რამეთუ პეტრე თავი იგი მოციქულთა მცირესა ქრთილისა პურსა ჭამდის, მასცა ნაკლულევანად და წყალსაცა მცირედ იწუმევდის.

და წმიდაჲ იოანე ღმრთისაჲმეტყუელი და მახარებელი და მკერდსა სიტყჳსასა მიერ დნობილი კკრიაკით კკრიაკემდე მცირესა ფინიკსა მიიღებდის და სხჳსა არა რაჲსა გემოსა იხილვებდის, ვითარცა ცხოვრებასა მისსა წერილ არს.

და იაკობ, ძმაჲ უფლისაჲ და პირველი მღდელთ მოძღუარი იწრუსალიმისა, არა რაჲსა მშუენიერსა გემოსა იხილვიდის, არცა ღვნოსა და თაფლუჳსა შუმიდა, არამედ მცირესა პურსა უგბოლელსა მხალსა, ეგრეთვე სხუანი წმიდანი მოციქულნი და შემდგომნი მათნი წმიდანი მღდელთმოძღუარნი და ღირსნი მამანი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, ყოველნივე მარხვითა მოქალაქობდეს და ჩუენცა ესევე განგვიწესეს და სჯულად დაგვისხნეს ძუელისაებრ.

ხოლო უკეთუ უჯერო იყო ესეოდენი მარხვად და არა რედ საწმარ, რასათჳს ესრეთ გულისმოდგინედ შეიტკბეს ყოველთა წმიდათა და სიწოითგან განწმედილითა და ჩუენცა რად ესრეთ განგვიწესეს საზღვარი მარხვისა, ანუ რაჲსათჳს სძა(162v)გებენ მარხვასა მოსავნი პაპისანი და ესრეთ განიშორებენ, უკუეთუ ქრისტიანენი არიან, რაჲსათჳს არა ისმენენ ბრძანებასა მისსა, რომელი იტყჳს: „ნეტარ იყუნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდის სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღენ“ (მათე 5,6) და კუალად იტყჳს: „ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა გშის აწ, რამეთუ განძღეთ“ (ლუკა 6,21) და კუალად ბრძანებს: „ვაჲ, თქუენდა განმადღარნო აწ, რამეთუ გშოდის“ (ლუკა 6,25). იხილეთ, ვი-

თარ ჰნატრის ქრისტე მმარხველთა და მშიერთა და მწყურვალთა ნეტარებასა განუკუთვნებს და ვითარ ვაებასა მისცემს მადლართა და გემოთმოყუარესა.

და უკეთუ მოციქულთა საკუთრებასა მიიჩმებენ, რაესათჳს არა შეუდგებიან კვალსა მათსა, არცა ისმენენ სიტყვთა მათთა, რომელნი უმეტესად ამას ქადაგებენ?

რამეთუ წმიდა მოციქული პეტრე იტყვს: „თქუენცა ესევე მოსწრაფებაჲ ყოვლითურთ მოიპოვეთ და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნობაჲ და სათნობასა შინა მეცნიერებაჲ და მეცნიერებასა შინა – მარხვა და მარხვასა შინა – მოთმინებაჲ და მოთმინებასა შინა – ღმრთისმსახურებაჲ და ღმრთისმსახურებასა შინა – ძმათმოყუარებაჲ და ძმათმოყუარებასა შინა – სიყუარული, რამეთუ ესე რაჟამს იყოს თქუენ თანა და გარდაგემატოს არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტეს მეცნიერებასა, ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, ბრმა არს და ვერ ჰხედავს იგი, რამეთუ დაავიწყდა განწმედა იგი პირველთა მათ ცოდვათა მისთა“ (II კათოლიკე პეტრესი 20,5). ესე ა(163r)რს პეტრე იგი მოციქულთა თავი, რომელსა იგინი ამოდ იქადაგან, რომელმან ესრეთ დასწერა და ესრეთ გუმოდღურის. იხილეთ, ვითარ სხუაჲთა დიდთა სათნობათა თანა მარხვასაცა სჯულგვიდებს და იტყვს, რომლისათჳს ესე არა არსო, ბრმაჲ არს იგი და ვერ ხედავსო და რამეთუ დაავიწყდა განწმედა პირველთა ცოდვათა თჳსთაო და ჭეშმარიტად სინანული თჳნიერ მარხვისა არა იქმნების, არცა განწმედა პირველთა ცოდვათა, რამეთუ ნაყროვანებაჲ და ძილი დაავიწყებს პირველთა ცოდვათა და დაავიწყებისაგან იქმნების უნანელობჲ და უნანელობისაგან მოვალს სიკუდილი სულისა და მერმე სატანჯველთა საუკუნეთა მიცემაჲ.

კუალად საქმესა მოციქულთასა წერილ არს კორნილიოზისთჳს, ვითარ იგი ეჩუჴნა ანგელოზი და მოუწოდა პეტრეს და მიუთხრა ჩუჴნებაჲ იგი და ჰრქუაჲ მათ: „კორნილე, მეოთხით დღითგან ვიდრე აქა ჟამამდე ვიყავ მე მარხული და მეცხრესა ჟამსა ვილოცევდ, რაჲ სახლსა შინა ჩემსა და აჰა, ესე რაჲ დგა კაცი წინაშე ჩემსა სამოსლითა ბრწყინვალითა და მრქუა მე: კორნილე, შეისმეს ვედრებანი შენნი და ქუჴლის საქმენი შენნი მოიჴსენნეს წინაშე ღმრთისაჲ“ (საქმე 10,30). გულისჴმა-ყავთ აქაცა, ვითარ ოთხ-ოთხით და ხუთ-ხუთით იმარხვიდეს და სხუათა სათნობათა თანა მარხვაჲ და ლოცვაჲ, ვითარცა ფრთე ექმნა ქუჴლი საქმესა მისსა და აღიყვანა წინაშე ღმრთისაჲ.

და კუალად წერილ არს საქმესა მოციქულთასა: „იყვნეს ვინმე ანტიოქას შინა მსგავსად კრებულისა მის წინასწარმეტყუელნი და მოძღვარნი: ბარნაბაჲ და სვიმიონ, რომელსა იგი ერქვა ნიჭიერ და ლუკიოს კვრინელი და მანაინ, რომელი იგი იყო ძუძუსმტე ჰეროდე მეფისა და სავლე და ვიდრე (163v) იგი მსახურებდეს უფალსა და იმარხვიდეს ჰქუა მათ სულმან წმინდამან: გამოძირჩიენით მე ბარნაბაჲ და სავლე საქმესა მას, რომელსა მე უწოდი მათ. მაშინ იმარხეს და ილოცეს და დაასხნეს მათ ზედა ჴელნი მათნი და განუტევენს“

(საქმე 14,22).

აქაცა იხილეთ, ვითარ წმიდანი მოციქულნი გულისმოდგინედ იმარხვენ და ილოცვენ, თვნიერ მარხვისა და ლოცვისა ვერარას შემძლებელ არიან, ვერცა რასა ჰყოფენ.

და კუალად წერილ არს საქმესა მოციქულთასა: „და განამტკიცებდეს სულსა მორწმუნეთასა და ილოცვიდეს მათ, რაათა მტკიცედ დგენ სარწმუნოებასა ზედა და ვითარმედ მრავლითა ჭირითა ჯერ არს ჩუენდა შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა და უკურთხნეს მათ ეკლესიად-ეკლესიად ხუცესნი და ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრნეს იგინი უფალსა“ (საქმე 14,24). გესმათ ესეცა, ვითარ ახალმოქციულნი იგი და ახალწერგნი ქრისტიანენი ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრნეს უფალსა და ესე ამცნეს პირველად და ესე დაუსხნეს სჯულად, რომელთა სიტყუა აქუსთ მათ, რომელნი მარხვასა სძაგებენ და უფროსად მუცლისა გემოვნებათა შედგომილ არიან.

და კუალად მოციქული პავლე მიუწერს ჰრომაელთა და იტყვს: „რომელიმე იმარხვენ დღეგამოღებით და რომელიმე იმარხვენ ყოველსა დღესა, კაცად-კაცადი თვისითა გონებითა გულსავსე იყავნ“ (ჰრომაელთა 14,5).

აჰა, ცხადი და ჭეშმარიტი პირისდასაყოფელი ჰრომაელთა, რამეთუ მათ მიუწერს მოციქული დღეგამოღებით და ვიეთმე მათგანთა დღე ყოველ მარხვასა და არათუ სხვათა ვიეთმე და კუალად იტყვს იგივე მოციქული: „ნარუ(164r) დგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისა მსახურთა მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა და ტანჯვათა, პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და მღვიძარებითა, მარხვითა და სინმიდითა“ (II კორინთელთა 6,4).

ხოლო ესევითართა რაე მარხვითა და მღვიძარებათა ქადაგებდა მოციქული, ნუუკუჴ თვთ უქმად იყო, ანუ არა იმარხევდა, გინათუ არა აჭირვებდა თავსა თვსსა, ამისთვის იტყვს: „ნუუკუჴ სხვათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვპოვო, ამისთვის აღვიკრძალავ ჴორცთა ჩემთა და დავიმონებ“ (II კორინთელთა 12,27).

და კუალად იტყვს: „შრომითა და რუდუნებითა, მღვიძარებითა მრავალგზის, შიმშილითა, წყურვილითა, მარხვითა მრავალგზის, ყინვლითა და შიმლოებითა“.

რამეთუ ესრეთ სტანჯვიდეს თავთა თვსთა წმიდანი მოციქულნი და სხვათა მათ სათნოებათა თანა და დღითი დღე შრომათა ჭირთა თანა მარხვისაცა ფიცხელსა შეიტყობდეს, ამისთვისცა ჩუენცა მტკიცედ სჯულგვიდებდეს და ამას გუასწავებდეს.

რამეთუ არცა ერთი წმიდათაგანი თქმულ არს, არცა სადა სმენილ არს, თუმცა ესე არა შეეტკობ და ესე არა აქუნდა საჭურველად და მარხვსა მიერ არა განწმედილ იყო და უკეთუ თვითოეულად აღმენერა ცხოვრებაჲ მათი, ვერ დაიტევდა სოფელი ესე, თუ ვითარ განბრწყინდეს მარხვითა წმიდანი

წინასწარმეტყუელნი, სანატრელნი მოციქულნი და ღმერთშემოსილნი მამანი და მწყემსნი და რაჲდ ვიტყვ წმიდათა მოციქულთა და სანატრელთა მამათა, არამედ მეფენიცა ღმრთისმსახურნი და მართლ(164v)მადიდებელნი მარხვითა აღასრულებდეს დღეთა თჳსთა, ვითარცა დიდისა კოსტანტინესთჳს წერილ არს და უფროსლა დიდისა თეოდოსესთჳს გუაუნყებს ცხოვრებაჲ მისი, რამეთუ თჳნიერ პურისა და მხლისა არა რასა მიიღებდის, ეგრეთვე მეფე დავით აღმაშენებელი, ვითარცა წერილ არს მისთჳს, ვითარმედ განშორებულთა წესი ეპყრა და ეგრეთ იმარხვიდა სხუაჲთათჳს რაჲლა ვინ თქუას.

ხოლო არა ვიტყვ, თუმცა მარხვა სხუაჲთა სათნოებათა უაღრესი იყოს, რამეთუ ყოველი სათნოება უაღრესი არს მარხვისა, გინათუ მოწყალება სთქუა, გინათუ სინმიდე, ანუ თუ სიყვარული, ანუ სიმდაბლე, ანუ სიმშვიდე და ჭემმარიტებაჲ. ესე ყოველნი უზეშთაეს არიან მარხვისა და უკეთუ ესენი არა აქუნდენ კაცსა, მარტო მარხვა ვერა რაჲს შემძლებელ არს, არცა რაჲდ საწმარ.

არამედ უკეთუ მარხვა და ლოცვა წინა არა უძლოდის ამათ, ზემოთქმულთა, სათნოებათაგან არა რაჲ წარემართების და უფროსლა სინმიდე ჳორცთა და ქალწულებაჲ, ვითარცა იგი უმჯობეს არს და უაღრეს ნაყოფი ხეთა, რომელ არს მრავალფერობაჲ იგი, ხილთა, ყვავილსა, ეგრეთვე სხუაჲ სათნოებაჲ მარხვასა, არამედ უკეთუ პირველად<sup>21</sup> ყვავილი არა იქმნეს, ნაყოფი არა იქმნების. ეგრეთვე უკეთუ პირველად მარხვა და ლოცვაჲ არა აღიღოს კაცმან, სხუაჲსა სათნოებაჲსა ვერ წარმართებს, ხოლო მრავალმჭამელობითა და ძილთა არა მოიგების სათნოებაჲ, ვერცა მძლე ექმნების კაცი ვნებათა, ვერცა დაემორჩილ(165r)ების სახარებისა ბრძანებისა. ამისთჳს განაწესეს წმიდათა მარხვა და სჯულად დაგვისხნეს, რამეთუ თჳთცა მარხვითა სტანჯვიდეს თავთა თჳსთა და ესე აქუნდა საჭურველად და ზღუდედ. ჩუენცა ესე შევიტკბოთ ქრისტეანენო, რაჲთა მძლე ვექმნათ ვნებათა და სათნო ვეყუნეთ ვნებათა უფალსა და ღირს ცხოვრებაჲსა მას საუკუნესა წმიდათათჳს განმზადებულსა.

ხოლო მე მრავალი მენებაჲ მარხვისათჳს თქმად, არამედ ვერღარა ვიკადრე უმეტესისა აღწერა, რამეთუ სრული მარხვისა საზომი ვერ მომიგეს, ხოლო ან ოთხშაბათისა და პარასკევისათჳს ვიტყოდი, თუ რაჲსათჳს იგინი ოთხშაბათსა არა იმარხვენ, ანუ შაბათსა რაჲსათჳს იმარხვენ, რამეთუ ესე ყოველი გარემე არს საზღვარსა მას წმიდათა მოციქულთასა და ნეტართა მამათა და მერმე კუალად მარხვისათვისვე ვიტყოდით, თუ ვითარ განენწესა მარხვანი ესე ჩუენნი, რომელნი გვიპყრიეს.

---

<sup>21</sup> ხელნაწერში გადაშლილია „მარხვა და ლოცვა“

## **XXXIII თავი. სიტყვა ოთხშაბათისათვის, თუ რა სათვის არა იმარხვიან, ანუ შაბათსა ვითარ და რასათვის იმარხვიან**

ხოლო რა ვთქუათ ან ოთხშაბათისათვის, რომელსა არა იმარხვენ ლათინნი, ანუ შაბათისათვის, თუ რაჲსა მიზეზისათვის იმარხუენ, რამეთუ ამითცა გარდაჰყდებიან საზღვარსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა.

რამეთუ ოთხშაბათსა არა იმარხვენ, ვითარცა ვთქუ, არამედ ჯორცსა ჭამენ, ხოლო შაბათსა იმარხვენ და ესე არა უწყი, ვისგან უსწავეს, ანუ ვისგან მოუღიესთ ესევეთარი უნესობა, ანუ ოთხშაბათისა ჭამა, ანუ შაბათისა მარხვა. მე ვგონე(165v)ბ, არცა მათ უწყიან, თუ ვისგან მოეცნეს, ვერცა გჳრუწნებენ წერილთა შინა ამისა მონამესა, ვერცა უწერელად ზეპირით გუაუწყებენ, რამეთუ არა რომლისა კრებისაგან მოსცემიესთ ესე, არცა ვისგან ასმიესთ, არამედ უფროსდა წინააღდგომი მათისა ესრეთ უნესობისა ესმით წმიდათა მოციქულთაგან: გინათუ ჩუენ, გინათუ ზეცით ანგელოზი გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი მიიღეთ ჩუენგან, შეჩუწნებულ იყავნ.

რამეთუ მოციქულთა კრებისა კანონთა შინა წერილ არს თვთ მის წმიდისა კლემენტოზის მიერ აღწერილთა შინა, რომელი იყო პაპა ჰრომისა, შემდგომი წმიდისა პეტრესი: ვითარმედ, რომელმან ოთხშაბათ-პარასკევი არა იმარხოს წმიდათა ორმეოცთა თანა, ესე იგი არს, ვითარმედ ორმეოცთა მარხვითაებერ ჯერ არსო მარხვა და რომელმან არა იმარხოს, უკეთუ სამღდელონი იყუნენ, განიკუჭთნენ მღდელობისაგან, ხოლო ერისკაცნი უზიარებელ იქმნენო. ეგრეთვე ნიკის კრებისა კანონთა შინა წერილ არს სამას ათვრამეტთა მამათა მიერ, რომელნი დაამტკიცებნ მოციქულთა მიერ განწესებულსა კანონსა ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვისათვის.

რამეთუ პარასკევი ჯუარცმისა და ვნებისათვის განენესა მარხუად, ხოლო ოთხშაბათი ამისთვის, რამეთუ მას დღესა შეკრბეს მღდელთმოდღვარნი და ფარისეველნი ეზოსა მას კაიაფასა და განიზრახეს ჯუარცმა და სიკუდილი მწსნელისა და დაეზავნეს იუდას და დაამტკიცეს ვნებაჲ უვნებელისა. ამისთვის დაამტკიცნეს მარ(166r)ხუად წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მამათა.

ხოლო შაბათსა თუ ვითარ იმარხუენ იგინი, ისმინეთ, მეექუსის კრებისა კანონთა შინა წერილ არს ესრეთ: ვითარმედ გუწსმა ქუეყანასა ჰრომისასა, რომელთამე კერძოთა შინა შაბათსა იმარხვენო, ვამცნებთ პაპასა ჰრომისასა, რაჲთა უბრძანოს მის ქუწშეთა სამწყსოთა, რაჲთა რომელსაცა ადგილსა იმარხვენო შაბათსა, ამიერითგან ნურღარამცა უკადრებიეს მარხვა შაბათისა.

რამეთუ თვნიერ ერთისა მის დღისა არა ჯერ არსო, რომელ არს დიდი შაბათი. მისა გარეშე, რომელმანცა იმარხოს, განიკუჭთოს. ხოლო ან ლათინნი შაბათსა იმარხუენ და ოთხშაბათსა არა, არამედ ჯორცსა ჭამენ და არა ჯერ არს ამისი ესრეთ ქმნა, რამცა ოთხშაბათსა არა ვიმარხვიდეთ და შაბათსა

მის წილ ვმარხულობდეთ, რამეთუ შაბათი ამისთვის არს წსნილი მათვე წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ განწესებული და ამისთვის არა ვიმარხვით თვნიერ ერთისა მის დღისა.

რამეთუ დღესა მას, რომელსა შინა იყო მდებარე საფლავსა, შინა ჯერეთ ნათელი აღდგომისა არა აღმობრწყინებული იყო, არამედ ჯორცითა შაბათობდა და განისუწნებდა საფლავსა შინა და მიჰფინა ნათელი მლთაებისა და განანათლა მუნი იგი წყუდიადი ბნელი და ახარა საუკუნითგან დასჯილთა და ზე აღმოუწოდა პირველსა ადამს და მის ძლით მის თანა მომწყდართა. ამისთვის არა ჯერ არს შაბათისა მარხვა, თვნიერ ერთისა მის დღისა, ხოლო ხუთშაბათიცა ყოვლადვე წსნილი არს, არამედ თვნიერ დიდთა ორმეოცთასა არა ვ(166v)იმარხავთ, ეგრეთვე შაბათი უმეტესად და უბრწყინვალესად შაბათი ყოვლითურთ წსნილ არს, რამეთუ განსუწნებისა არს დღე იგი, რამეთუ მას დღესა განისუწნა უფალმან, შემოქმედმან ცათა და ქუწყანისამან, ვითარცა წერილ არს და აკურთხა და წმიდაჲ-ყო დღე იგი მეშუდე.

ხოლო ახალსა ამას აღთქმასა შინა, რაჟამს ძე ღმრთისაჲ და ღმერთი ჭემმარიტი იქცეოდა ჯორცითა ქუეყანასა ზედა, ყოველნივე საკვრველნი საქმენი და სასწაულნი დიდებულნი დღესა შინა შაბათსა აღასრულნა, რამეთუ განრღუჭული იგი ოცდათვრამეტისა წლისა მდებარე დღესა შაბათსა სიტყვთ აღადგინა, ეგრეთვე შობითგანსა მას ბრმასა შაბათსა შინა მიჰმადლა ხედვა. კუალად ჳელი იგი განწმილი შაბათსა განკურნა და ძე იგი ქურვისა მხოლოდ-შობილი შაბათსა განაცოცხლა და ლაზარე მომკვდარი ოთხისა დღისა დღესა შინა შაბათსა ცოცხალი წარმოადგინა და ყოველნი საკვრველნი და ბუნებისა უზეშთაესნი სასწაულნი შაბათსა შინა აღასრულნა, ვითარცა ცხადად გუაჟწყებენ წმიდაჲ სახარებისა ბრძანებანი. ამისთვის არა ჯერ არს შაბათსა მარხვა, არცა განწესებულ არს წმიდათა მიერ მარხუად, არცა ოდეს გვსწავიეს, არცა გუასმიეს.

ხოლო ოთხშაბათი და პარასკევი მათვე წმიდათა მოციქულთა მიერ არს განწესებული და წმიდათა და სანატრელთა მღვდელთმოძღუართა მიერ დაჭემმარიტებული, რამეთუ წმიდისა ნიკოლოზისთვის წერილ არს, ოდეს ჩჩვილ იყო წიალთა შინა დედისათა, ოთხშაბათსა და პარასკევსა ძუძუსა არა სწოვდის, ვიდრემდის არა დაჰჳდის მზე, არამედ ყოვლადვე უზმამან გარდავლნის დღენი იგი (167r). ვინ ასწავა ჩჩვლსა მას უასაკოსა ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვა? ანუ ვინ აუწყა მოციქულთა მიერ მოცემული კანონი? ჭემმარიტად მადლმან სულისა წმიდისამან განაბრძნო სანატრელი იგი და სიჩოთგან დედის მუცლისაჲთ გამოაჩინა პირის დასაყოფელად მათდა, რომელნი ოთხშაბათსა ჭამენ და შაბათსა იმარხვენ, უკეთუმცა ჯერ იყო შაბათისაცა მარხვად, რაჲსათვს ოთხშაბათსა და პარასკევსა თანა შაბათსაცა არა იმარხვიდა და უკეთუ ოთხშაბათისა განწსნა ჯერ იყო, რაჲსათვს შაბათსა თანა იგიცა არა განწსნა.

ან რაღა სიტყვა აქუსთ მათ ოთხშაბათისა უმარხვილობისა და ანუ შაბათისა მარხვისაჲ? რაჲსათჳს არა შეიკდემენ წმიდაჲ მისგან, რამეთუ წმიდანი ნაწილნი მისნი მათსა ქუეყანასა შინა მდებარე არს და ვიდრე დღესამომდე მირონი საკურნებელი დამოსწუთინ განწყელთა მათ ძუალთა მისთა და იგი არს დამბეჭდველი სიჩროთგან აღმოსავლეთით ლოცვისა და ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვისაჲ, ხოლო პაპის მოსავთაგან ყოველივე დაწსნილ არს და განქარვებულ. არა შეიკდემენ წმიდისა ნიკოლოზისაგან, არცა სხუაჲთა წმიდათაგან, არცა თუთ მათისავე პაპისა წმიდისა გრიგოლისაგან, რომელი იყო კაცი საკურველი და სასწაულთა მოქმედი. გრიგოლის ვიტყვი დიოლოლონსა, რომლისა პირით სული წმიდაჲ ზრახვიდა განცხადებულად. იგი რაჲსათვისლა იმარხვიდა, რამეთუ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი მარხვითა გარდავლნა, ვითარცა წერილ არს მისთჳს, რამეთუ არა რაჲსა ჭამდის, თვნიერ დამბლისა ოსპნისა. ესე წმიდაჲ გრიგოლი პაპა მათი და მწყემსი, უ(167v)კეთუ მოციქულთასა არა ისმენენ, არცა წმიდათა კრებაჲთა განსაზღვრებასა შეინყნარებენ. მაშა მწყემსისა მათისა შეიკდომონ, რამეთუ მის მიერ აღწერილსა წიგნსა შინა მრავალი წერილ არს ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვისათჳს, რამეთუ წმიდანი იგი ვერ წინა აღუდგებოდეს განწესებასა წმიდათა მოციქულთასა, ვერცა დაჰწსნიდეს განსაზღვრებასა წმიდათა კრებათასა. ამისთჳს ვერცა იკადრეს ოთხშაბათისა განწსნა, ვერცა შაბათისა მარხვაჲ. ესრეთ მტკიცედ დაიცვეს მათი განწესებული და ჩუენ დაგვიტევეს, რაჲთა მტკიცედ დავიცვათ საზღვარი მათი.

### **XXXIV თაჳი. მარხვისათჳსთჳე, თუ რა სათჳს მოგუჭცნეს წმიდანი ორმეოცნი, ანუ სსუ ნი იგი ყოველნი მარხვანი.**

ისმინეთ კუალად მარხვისათჳს, თუ ვითარ მოგუჭცნეს, რომელნი განწესებულ არიან ჩუენ მართლმადიდებელთა შორის წმიდანი ორმეოცნი, ანუ სსუნი მარხვანი და ყოველივე თვითოეულად გვეუწყნენ.

რამეთუ ოთხშაბათსა და პარასკევისათჳს წინათვე აღწერეთ და ვთქუთ, როოდენი ძალგუვედვა და შაბათისათჳსცა გაუწყეთ, ძალითა ღმრთისათა როოდენი ვისწავეთ ჩუენ საღმრთოთა წერილთა მიერ, ხოლო ან სსუჲთა მარხვათათჳს ვიტყოდით.

რამეთუ დიდნი იგი მარხვანი წმიდანი ორმეოცნი პირველსავე სჯულსა შინა პატივცემულ იყო წინასწარმეტყუელთაგან მოსეს მიერ განწესებისა, რამეთუ მოსე წინასწარმეტყუელმან, რაჲჲამს იმარხნა ორმეო(168r)ცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი და სჯული ღმრთივდანერილნი მოიხვნა. ეგრეთვე ყოველნი წინასწარმეტყუელნი იმარხვიდეს და თუთ თავადისა ქრისტეს მიერცა იკურთხა წმიდანი ესე ორმეოცნი, რაჲჲამს იგი იმარხნა ორმეოცნი დღენი და ღამენი. მერმე წმიდათა მისთა მოციქულთა სჯულად დაგვისხნეს და მტკიცედ



განგვიჩვენეს. იწყებიან ორშაბათით პირველისა კვირიაკით და აღესრულებიან ორმეოცნი დღენი პარასკევსა ლაზარობისასა და მსგებსა მას ვნებისა კვირიაკისასა ვიმარხავთ ვნებისათჳს და უფლისა და განვრდომისათჳს ჰურიათასა.

ხოლო სხუად იგი მიზეზი ესე არს დიდთა ამათ წმიდათა ორმეოცთა მარხვისა, რამეთუ ვინათგან წესი იყო ძუღლითგან ყოვლისა ათეულისა ღმრთისაჲ შეწირვაჲ. ესეცა ათეულად ყოვლისა წელიწადისა ბრძანებულ არს შეწირვაჲ, რამეთუ წლისა დღენი სამას სამოცდახუთნი დღენი არიან, ვითარცა უწყით ყოველთა, ხოლო დიდთა მარხვითა დაღაცათუ შაბათ-კვირიაკენი მარხვა არიან, არამედ სრულად მარხვად არა აღირაცხვიან სხუათა დღეთა თანა ამისთჳს, რამეთუ ორგზის ისერების ღვნითა და ზეთითა, ხოლო ხუთნი იგი დღენი ყოვლადვე მწუხრამდე მარხვა არს, არცა ღვნი და ზეთი იჭუმევის თვინიერ დიდისა უძღურებისა, არცა მწუხრამდე განიწსნებიან არა რომლითა დღესასწაულითა და არიან დღენი ესე ხუთეულნივე შაბათამდე ლაზარესა ოცდაათ და იქმნების ათეულნი სამასისა დღისანი.

ხოლო სამეოცდახუთისა დღისა ათეულნი ვნებისა კვირიაკისა დღენი აღირაცხვიან ესრეთ, რამეთუ (168v) ექუსნი დღენი არიან ორშაბათით ვიდრე დიდისა შაბათამდე და ექუსნი იგი დღენი სამეოცისა დღისა ათეულნი ნახევარი დღე იქმნების. ამისთჳს განენესა წმიდა დიდსა შაბათსა აღსრულებასა დღისასა და შემოსლვასა ღამისასა აღსრულებაჲ წირვისა და პირისა წსნა პურითა და მცირედითა ღვნითა. ესრეთ იქმნების ათეულნი წელიწადთა დღეთანი, ხოლო ვითარცა ვთქუ პირველისაებრ რიცხვისა, ოდეს შაბათ კვირიაკენი დათუალნე ვიდრე ლაზარობამდე, იქმნებიან დღენი ორმეოცნი.

ხოლო სხუაჲნი იგი მარხვანი, რომელნი გვიპყრეს, არცა ესენი არიან გარეშე საზღვარისა განწესებისა წმიდათა მოციქულთა და მამათასა, რამეთუ ქრისტეს შობისა მარხვანი იგიცა, ორმეოცნი დღენი არიან მათვე წმიდათა მიერ განწესებულნი მისვე წინასწარმეტყუელისა მოსეს განწესებისაებრ, რამეთუ მანცა მეორენი ორმეოცნი იმარხნა შემდომად შემუსრვისა პირველისა მის სჯულისა და მერმე სხუანი მოიხუნა მეორითა ორმეოცითა მარხვითა განწმედლიმან და ესე მარხვანი იწყებიან ნოენბერსა თჳსასა ათხუთმეტსა და აღესრულებიან ოცდახუთსა დეკემბერსა თვისასა ქრისტესა ღმრთისაჲს შობისა, უფროსად პატივისათჳს ქრისტეს შობისა განენესა მარხვა ესე.

ხოლო მარხვა იგი მოციქულთა, რომელსა უწოდენ სულისმარხვად, ესე იგი არს, შემდგომად სულისა წმიდაჲ მოსლვისა იწყებიან, რაჟამს მსგეფსი მისი აღესრულოს, ხოლო განიწსნების წსენებესა წმიდათა თავთა მოციქულთასა პეტრესა და პავლესა მათვე მოციქულთა მიერ განწესებული.

რამეთუ ოდეს დაემონაფნეს ქრისტესა, მყის საზომი მარხვისა ვერ აღიღეს, არცა ქრისტემან განუწესა ჯერეთ ფიც(169r)ხელი ცხოვრებაჲ, ვინათგან ახალ ნერგ იყუნეს, არამედ მცირედ-მცირედ აღიყვანა საზომსა სისრულისასა.

ამისთჳს აყუედრებდეს უფალსა ჰურიანი და ეტყოდეს მონაფენი იოანესნი

და ფარისეველთანი იმარხვენ, ხოლო მონაფენი შენნი არა იმარხუენო, ხოლო უფალმან მიუგო: ვერ ჴელენიფების ძეთა სიძისათა მარხვად, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, ხოლო ოდეს ამალღდეს სიძე იგი მათგან, მაშინ იმარხვიდენო.

ამისთვის წმიდათა მოციქულთა შემდგომად ამალღებისა მოიქცეს სიონად და მოელოდეს მოსლვასა სულისასა და დღესა მას მეერგასესა მოიღეს აღთქმად იგი სულისა წმიდისა. მიერთგან იწყეს მარხვად და განიბნინეს ქადაგებად ყოველსა ქუეყანასა.

ხოლო იწყებიან შემდგომად მარტვილისა მსგეფსისა და აღასრულებს ჴსნილებსა მათისა, ხოლო ზოგჯერ განგრძელება და ზოგჯერ შემოკლება ამის მიზეზისათვის იქმნების, რამეთუ აღვსებისა რიგი და ზატიკისა მოიყვანს ესრეთ.

ხოლო მარხვა<sup>22</sup> იგი ყოვლად წმიდისა ათორმეტი დღე უწინარეს მიცვალებისა მისისა განენესა მარხვად პატივად დაძინებისა მისისა მეშვიდისა მსოფლიოს კრებისა მიერ, არამედ სხუათა მარხვათა უკანასკნელ, რამეთუ პირველ თვნიერ სამისა დღისა მარხვა არა იყო, ხოლო მარხვა ესე იწყების ერთსა აგვისტოსა თვსასა და განიქსნების დღესასწაულსა მიცვალებისა მისისა.

(169v) ხოლო სხუანი იგი მარხვანი ოთხშაბათი პარასკევისათა უძუტლესნი არიან მათვე წმიდათა მოციქულთა მიერ განწესებულ, ხოლო შაბათი ჴსნილად მოგუტცნეს ზემო წერილისა მისებრ მიზეზისა და არა ჯერ არს განწესა ოთხშაბათ-პარასკევისა, არცა მარხვა შაბათისა, ხოლო განიქსნების ოთხშაბათი და პარასკევი წელიწადთა შინა ექუს შვიდეულსა მათვე წმიდათა მიერ განსაზღვრებითა ესრეთ, რამეთუ ქრისტეს შობითგან, ვიდრე განცხადებდმდე და მას დღესაცა ყოვლად ჴსნილ არს, თვნიერ წინა დღით განცხადებისა და იგი დაღაცათუ შაბათი, ანუ კვირიაკე იყოს, ყოვლად მარხვა არს, ხოლო შურის კვირიაკე და ყუტლიერისა მსგეფსი ყოვლითურთ ჴსნილ არს მწვალებელთა არა თანაზიარებისათვის, რამეთუ რომელთა მემწვალებელთა უძღებისა კვირიაკით იწყიან მარხვად და წმიდათა ორმეოცთა ზედა დაურთიან, ხოლო სხუათა მწვალებელთა ყუტლიერისა მსგეფსი შემატიან მარხვათა და მათისა შურისათვის წმიდათა მამათა, ვინათგან ესევეთარი მარხვა გარეშე იყო განწესებისა წმიდათა მოციქულთასა, ამისთვის განწსნეს ორნი ესე მსგეფსნი, რათა არა მწვალებელთა თანა მარხვად შეგუერაცხნენ.

ეგრეთვე აღვსებისა მსგეფსი და სულისა წმიდად მსგეფსი პატივად დიდთა მათ დღესასწაულთა ჴსნილად განანესა, ხოლო ამათსა გარეშე, რომელი აღვსწერეთ სხუათა ოთხშაბათი და პარასკევი არა, რომლისა მიზეზისათვის განი(170r)ქსნების და არცა შაბათი იმარხვების, თვნიერ ერთისა მის დღისა, ხოლო მოსაფენი პაპისანი პარასკევსა და შაბათსა არა ოდეს განწსნის, გინათუ ქრისტეს შობისა და განცხადებისა დღე იყოს, ანუ აღვსებისა მსგეფსი იყოს, არცა ოდესმე ოთხშაბათსა იმარხვენ.

<sup>22</sup> ხელნაწერში „მარხვა“ გამეორებულია და გადაშლილი

რამეთუ მათა განწესებაჲსა და რიგსა შინა შობაჲ და ნათლისღებაჲ და დიდი პარასკევი ერთი არს, უკეთუ დიდნი იგი დღესასწაულნი პარასკევსა მოხუდეს, ღვნოსა და თევზსა იჭუმევენ, ეგრეთვე დიდსა პარასკევსა თევზსა და ღვნოსა მიიღებენ, არცა არს დიდი პარასკევი მარხვა მათისაებრ განწესებისა, არცა შობაჲ და ნათლისღებაჲ წსნილ, რომელსაცა მას დღესა იჭუმევენ მასცა მას დღესა.

ეგრეთვე დიდთა მარხვათა შინა ყოველი დღე ერთ დღედ არს შერაცხული მათ მიერ. ოთხშაბათი და პარასკევი და შაბათი და კვირიაკე, არცა იგი არს მარხვა, არცა ესე არს წსნილი, რაჲსაცა კვირიაკესა იჭუმევენ, მასვე პარასკევსა მიიღებენ და არა არს განრჩებაჲ.

ხოლო პირველსა მსგეფსა წმიდათა მარხვათასა ორშაბათსა და სამშაბათსა ჯორცსა სჭამენ და ოთხშაბათით ინწყებენ მარხვად და ბზობადმდე ორმოცად აღრიცხუწნ, არამედ ყოველსა ამას მარხვასა შინა, თვნიერ ჯორცისა არა რასა იმარხუწნ, არცა სხუადთა მარხვათა შინა მასცა ზოგნი ვინმე მონაზონნი, რამეთუ მრვალრიცხვი მონაზონებისა სახე არს მათ შორის სხვსა სახისა და წესისანი და ამით სახითაცა განეყვნენ აღმოსავ(170v)ლეთისა ეკლესიათა, რაჲთა ყოვლითურთ უცხოდ გამოჩნდენ მამათა საზღვარსა და მოციქულთა განწესებისა, ხოლო ამათ არა ყოველთა აქუს მარხვაჲ და თუ რომელთამე მონაზონთაგანთა აქუს მარხვაჲ, თვნიერ ჯორცისა არა რომელი მარხვა აქუსთ განწესებული, რამეთუ ყოველსავე ურიდად სჭამენ.

ხოლო პაპასა და ეპისკოპოზთა არა რაჲ მარხვა აქვსთ, არცა ერთი დღე, არცაღა ერის კაცთა უპყრიესთ მარხვაჲ, არცა სამეოცისა წლისასა, არცა მუცელქმნილთა დედათა, არცა მგზავრობასა შინა მყოფთა, არცა სნეულებისა ძლით. კნინლა და არღარა არს მათ შორის მარხვაჲ, რამეთუ სრულიად დაწსნილ არს და მოსპობილ მათ მიერ და ყოველსავე ურიდად და წარწსნილობით ქამენ, არა ხოლო თუ ჯორცსა და შენდობით მიცემულსა საჭმელსა, არამედ ყოველსა არანმიდა და დაყენებულსა ჭამადსა ურიდად იჭუმევენ და იტყვან: არა რაჲ პირით შემავალი შეაგინებსო. რაჲ არს ესე სიტყვა, უკუეთუ ჭემარიტ არს თქმული ესე, რაჲსათვსღა იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე, ანუ წმიდანი მისნი მოციქულნი და შემდგომი მათნი ჭემარიტნი მღდელთმოდღუარნი და უფროსად თვიცა არა მისცნეს თავნი თვსნი მრავალმჭამელობასა და გემოთმოყვარებასა, უკეთუ არარაჲ სავენებელი აქუნდა პირით შემავალსა, რაჲსათვს ჩუენსა ესრეთ არა (171r) გუანვევენ და ნაყროვანებისა სჯული არა დაგვისხნეს, არამედ ამის მიზეზი, თუ რაჲ არს პირით შემავალი, რომელი არა შეაგინებს, ანუ რაჲსა ზედა არს თქმული ესე, სხვასა თავსა შინა უვრცელესად აღვწეროთ.

ხოლო აწ ვკითხოთ, ვინ ასწავა ესე უწესო წესი ოთხშაბათისა ჭამა, რომელსა შინა იქმნა განზრახვა იგი ჯუარცმისათვს და სიკუდილისა უკვდავისა მის და განცემა და განსყიდა უსასყიდლოსა მის, ანუ შაბათისა მარხვა,

რომელი იგი არს კურთხეული და ძუელითგანვე პატივცემული, რომელსა შინა ქმნა ქრისტემან სასწაულნი და ნიშნი საკვირველნი.

არა ჰრცხუწნისთ ნეტარისა და საკვირველთმოქმედისა ნიკოლოზისგან, ვითარ ოთხშაბათსა და პარასკევსა ჩჩვილ რაჲ იყო, სძესა არა მიიღებდა, უკუეთუ ჩჩვილი ძუძუის მწოვარი ოთხშაბათსა და პარასკევსა ესრეთ პატივსცემდა და მარხვისა წესსა სიჩჩოითგან შეიტკობოდა. რაჲ თქუენ მათ, ანუ რაჲ მიზეზი მოიპოონ ესევეთარისა უწესობისათჳს? უკეთუ ჯერ იყო შაბათისცა მარხვაჲ, რაჲსათჳს მასცა არა იმარხვიდა და უკეთუ ოთხშაბათისცა ჯერ იყო ჭამა მას დღესა, რაჲსათჳს სწოვდა სძესა, არამედ პირისდასაყოფელად უკანასკნელ ამათ უწესობაჲთა გამოჩინებადთათჳს საშოითგანვე განბრძნო სულმან წმინდამან და აღადგინა ესრეთ მმარხველად ოთხშაბათისა და პარასკევისა და არა თუ შაბათისა და მერმე აღმოსავლით მლოცველად იხილვებოდა, რამეთუ პირველიცა მოვიწსენეთ. სამისა დღისა რა იყო ჩჩვილი აღმო(171v)სავლით მხედველი, ჴელგანპყრობით დადგა მლოცველად მყოვარ ჟამ და ამითცა გამოაჩინა მადლმან სულისა წმიდისამან საკდემელად მათდა და სასჯელად, რომელნი აცილობენ აღმოსავლით მლოცველთა.

რამეთუ ჩუენნი წესნი და კანონი, რომელი გვიპყრიეს, ყოველივე მოციქულთაგან არს განწესებული და შვიდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ დამტკიცებული, ხოლო მათნი ყოველნივე ახლად შემოღებულნი და ახლად განწესებული. წმიდათა მათ და სანატრელთა მოციქულთა, რომელთა თუალით იხილნეს და ჴელითა მსახურნეს სიტყუაჲსა მას ცხოვრებისასა, მათ თანა განწესებულთა და დიდთა ღმრთისაჲ მარტვილთა მიერ განსაზღვრებულთა ყოველთავე წესთა და კანონთა იწყეს შლად და დარღვევად და ახალთა რაჲთმე და უცხოთა წესთა შემოღებდ, რაჲმცა თვთ იყვნენ მოძღვარ და განმწესებულ და იგინი იწსენებოდენ ყოველსა ქუეყანასა და სხუენი პირველ გამოჩინებულნი მნათობნი სოფლისანი და სუჭტნი ქრისტეანობისნი არღარა იწსენებოდენ და დადუმდენ მათნი სიტყუანი და ჰრომით და იტალიით განეფინოს ყოველი უწესობისა სიტყვა. არა იწსნებენ სიტყვასა მას წინსანარმეტყუელთასა ესაიასა და მიქიასა, რომელსა ჴმობენ, ვითარმედ სიონით გამოვიდეს სჯული და სიტყუა ღმრთისაჲ იწრუსალიმით და სჯიდეს შორის თესლებსა და ამხილებდეს ერსა მრავალსა, რამეთუ მუნით გამოჩნდეს წინასწარმეტყუელნი და გამობრწყინდეს ნეტარნი მოციქულ(172r)ნი და თავადი მეუფჴ ჩუენი ქრისტე, ძე და სიტყუა ღმრთისაჲ მამისა თანასწორი და თანაგამგებელი მისი. მუნით აღმობრწყინდა, მისგან მოგუჭცნეს სჯულნი და წესნი და მიერ განეფინეს ყოველსა ქუეყანასა, არათუ დასავლეთით და იტალიით და არცა ჰრომით და ფარიზით და უკეთუ ესრეთ ყოფილიყო, ეთქუმცა ვისმე ერთსა წინასწარმეტყუელთაგანსა, ვითარმედ ჰრომით გამოვიდეს სჯული და სიტყუა ღმრთისაჲ იტალიით.

ან თქუენ ღმრთისაჲ მოყვარენო ერნო, საჯეთ სამართალი ჯერ არსა, რაჲ-

თა ვისმინო იტალიელთა, ანუ ჰრომაელთა, რომელთა შორის არა გამოჩენილ არს წინასწარმეტყუელი, არცა სადა აღმოცენებულ არს მოციქული, არცაღა სადა ქმნილ მათ შორის მსოფლიო კრებაჲ, არამედ უფროსლა იწრუსალიმით და აღმოსავლეთით მიფენილ არს მათ შორისცა ნათელი მეცნიერებისა, სჯული და სარწმუნოებაჲ და ან ყოველი დაჰჰსნეს და განაქარვეს და ყოველთა კაცთა ანუჰჰვენ შედგომად კუალთა მათთა და ასწავებენ ყოველთა, რაჲთა პაპა ოდენ აღიარონ ღმერთად ქუეყანსა ზედა. სხუჲ, რაჲცა ენებოსთ, მას იქმოდენ და ამას ეტყჳან, ვითარმედ ძალითა და განსუენებითა მრავალმჭამელობითა და ჳორცითა სიზრქითა განსუექებულნი უმჯობეს არიანო მმარხველთა და მღვიძარეთა და ინროსა გზისა მავალთაო და სხუასა მრავალსა წინააღმდგომსაჲ იტყჳან დასარღვეველად და დასაჰსნელად სჯულსა ღმრთივმოცემულისა.

არამედ ჩუენ, დაფუძნებულნი და დამტკიცებულნი საფუ(172v)ძველსა ზედა წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთასა და ნეტართა მამათასა, რომლისა თავსაკიდურთა მისთა არს ქრისტე სიტყჳსაებრ მოციქულისა, ნუ შევირყევით ქართაგან წვალებისათა, არამედ მტკიცე ვიყუნეთ და შეურყეველ და აღვაშენებდეთ თავთა ჩუენტა ქვაჲ პატიოსნად კლდესა მას ზედა ქრისტეს მცნებათასა, რაჲთა მისთა ვსუფევდეთ დაუსრულებელთა მათ შინა საუკუნეთა კეთილთა და ვადიდებდეთ და ვაქებდეთ და თაყუანისვცემდეთ მამასა ძისა თანა სულით წმიდითურთ ან და მარადის.

**XXXXV თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი ჰამსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჰამადსა სჰამენ, მათ თანა სისხლსა და დამშთვარსა იჰუმევიენ, რომელი ესა მტკიცედ დაშენებულ არს.**

წინასწარ თქმულსა მას თავსა შინა ვთქუ, რაჲ იგი ჯერ იყო მარხვისათჳს და უმეტესისა მენება თქმა, არამედ დაჰსნილისა ამისთჳს ცხოვრებისა ჩემისა უდებ ვიქმენ და მცონარ, რომელსა არა მომიგეს ჭეშმარიტი მარხვა. ამისთჳს ვერ სრულვყავ მარხვისათჳს მეტყუელებაჲ, არამედ მცირედი აღვსწერე და უმრავლესი დაუტევე.

ან კუალად ვთქუაჲ არანწმიდათა და დაყენებულთა ჰამადთაჳს, რომელსა იგი არა კმა იყოფენ ბუნებითა და შენდობილთა მიცემულთა ჰამადთა, არამედ უწესოდ და ურიდად იჰუმევენ, უძღებებით სჰამენ ყოველსა არანწმიდათა პირუტყუთა და მფრივენელთა და ქუჰწნარმავალთა, უკუეთუ ა(173r)რა იყოს მავნებელი სხეულისა ანუ მაკუდინებელი, ყოველსავე დაუყენებელად მიიღებენ.

ამათ თანა სისხლსა და დამშთვარსა და ნამჰეცავსა, რომელი ესე მტკიცედ დაშენებულ არს ძუჰლსა სჯულსა შინა და უმეტესად ახალსა აღთქმასა შინა

წმიდათა მოციქულთა მიერ და ყოველთა მიერ საძაგლად შერაცხულ არს. ამას ყოველსა ურიდად იწუმევენ და მიზეზად მოიღებენ სიტყვასა მას უფლისასა, რომელსა ბრძანებს, ვითარმედ: პირით შემავალი არა რაჲ შეაგინებსო, არამედ განსვლით განვალს და განსწმედსო. და მოციქული იტყვსო: ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არსო და არა რაჲ არს განსაგდებელ, არამედ ყოველივე წმიდაჲ არს წმიდათათჳსო. ესე სიტყვები აქუსთ თავის განსამართლებლად და მიზეზად უწესობისა მათისა.

რამეთუ სიტყუასა ამას უფალი ჩუენი იესო ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი არა თუ ამას ზედა ბრძანებენ, რაჲთა ყუავილი და კაჭკაჭი, ძერაჲ და ძერძერუკი, ძალლი და მაჩვი, მგელი და დათვი და ყოველი ქუწნარმავალი ჭამეთო და მერმე სისხლი და დამშთვარი ურიდად იწუმეთო. ნუ იყოფინ. და უკუეთუ ესრეთ ჯერ იყო და ესრეთცა ეთქვა, ვითარცა იგინი მოიღებენ მუცელღმრთობისათჳს, მაშა წმიდანი მოციქულნი იწუმევედეს, რამეთუ მათ რაჲცა თქუეს, საქმით გუასწავნეს და არათუ სიტყვით რაჲოდენიცა მცნებანი მოგუცნეს.

რამეთუ არა თუ ამისთჳს იტყვან წმიდანი იგი, არამედ ისმინეთ და მე ყოველივე კეთილად გაუნყო.

რამეთუ მაშინ ჰურიანი და უფრო(173v)სად მნიგნობარნი და ფარისეველნი მრავალსახედ და მრავალგვარად განკრძალულ იყუნეს რეცხასა და ბანასა და ჭამადთა ვნებისა და თითო სახეობისათჳს. მოძღვრებისაებრ ხუცესთასა და არა სჯულისდებისაებრ მოსესა და წინასწარმეტყუელთასა, რამეთუ მოსე ღმრთის მხილველი და სხუანი წმიდანი წინასწარმეტყუელნი, ვითარცა წიგნთა მათთა შინა წერილ არს ყოველსა არანწინდასა მფრინველსა და ოთხფეხსა და ქუწნარმავალსა აყენებდეს ჭამად, ვითარცა ნოესცა უბრძანა განრჩევა წმიდათა არანწინდათაგან ჟამსა მას წყლით რღვნისასა, შემზადებესა მას კიდობნისასა, რაჲთა წმიდათაგან მფრინველთა და ოთხფერჯთა შვიდ-შვიდი შეიყვანოს კიდობნად და არანწინდათაგან ორ-ორი. ეგრე მოსე ღმრთის მხილველი დასწერს თითოჴულად გუარსა და სახესა ჭამისა და არა ჭამისასა და ახალსაცა ამას სჯულსა შინა ყოველივე ძუჭლითგან განწესებული ჭამად და არა ჭამად, ვითარცა მაშინ, ეგრეთცა აწ დამტკიცებულ არს ყოველთა ქრისტეანეთა შორის და ყოველი არანწინდაჲ დაყენებულ არს თჳნიერ ღორისა, რამეთუ იგიცა სხჳსა მიზეზისათჳს არს შენდობით ჭამად და არა თუ წარმდებად და უძღებად ჭამისათჳს და კუალად მერმე ყოველნი წარმართნი დაღაცათუ სხუესა არანწინდა ჭამადსა ზოგსრე ეკრძალებოდეს, არამედ ღორსა, ხოლო ზოგად ყოველნი წმიდა წარმართნი ჭამდეს, ხოლო ოდეს იცნეს გზა ჭეშმარიტებისა მოციქულთა მიერ, არა უბრძანეს დაყენებად, არამედ შენდობით უბრძანეს ჭამად მარტოდ ღორი და არა სხუაჲ რაჲმე არანწინდათაგანი და (174r) უკეთუ სხუესა, რაჲმე უბრძანა წმიდათა მოციქულთა სჯულისაგან დაყენებულთაგან ანუ ჭამადთაგანი რაჲმე, ანუ სხუაჲ, რაჲცა რაჲმე მასცა იქმოდენ და იგიცა

დაემტკიცებოდა ჩუენ შორის, ვითარცა იგი წინადაცვეთაცა პირველად ბრძანა ღმერთმან აბრაჰამის მიმართ ბეჭდად სარწმუნოებისა და განყოფად სხუათა წარმართთაგან, რაათა ჩნდენ ურწმუნონი და მორწმუნენი. უფალმან თქუაჲ და იქმნეს. მერმე შემდგომად ჳორცშესხმისა ბრძანა და დაეყენეს, ვითარცა წერილ არს: რაოდენნი ინება უფალმან ქმნა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ეგრეცა ღორი პირველად ბრძანა სჯულმან და საძაგელ იყო. მერმე ბრძანა ახალმან სჯულმან და შენდობილ იქმნა.

და უფროსად ამისთვის, რამეთუ ჰურიათა უმეტესად ესე აქუნდა და შემდგომად მათსა სარკინოზთა და აგარიანთა დიდად რაჲდმე საძაგლად აღუჩნდა და ვითარცა წინასწარ მეცნიერთა სულითა წმიდათა მოციქულთა არღარა დააყენეს ჭამად, ჩუენ ქრისტიანეთა შორის, რაათა ჩნდეს ქრისტიანეთა და ურიათა განყოფილებაჲ და შემდგომად აგარიანთა და სარკინოზთა ჩუენგან განყოფა, ვითარცა სჯულითა და სარწმუნოებითა, ეგრეთცა წესითა და ჭამადითა, ვითარცა წინადაცვეთითა და დაუცვეთელობითა, რამეთუ იგიცა წინასწარმეტყუელთაგან იყო მოცემულ ბრძანებითა ღმრთისათა, არამედ მოციქულთა დააყენეს ბრძანებითა ქრისტესითა და მის წილ მოგუცნეს ნათლისღებაჲ, ხოლო კუალად ესეცა გულისწმაჲ-ყავ ღორისათვის, რამეთუ ღმერთსა არა რაჲ დაუბადებდეს უჭმარად და ამაოდ, არამედ ყოველივე კეთილად და შუწნიერ, ვითარცა წერილ არს: იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ არს, რამეთუ ყოველივე, რაჲცა დაბადა კაცისათვის საჭმარად, გინთუ შინაური, გინათუ გარეული და უფროსად შინაური, რამეთუ გარეული, რაჲცა არს ნადირი ანუთუ მვეცი თითოჳ(174v)ლი ნათესავი ერთფერი და ერთსახე არს წმიდათაგანი, გინათუ არანმიდათაგანი, ირემი გინათუ ქურციკი, ანუ ჯერანი, ეგრეთვე მგელი და დათვი და სხუაჲ, რაცა არს მვეცთაგანი არა განიყოფებინ თვნიერ დედამამლისა, ხოლო შინაურნი ყოველივე წმიდაჲ, გინათუ არანმიდაჲ უჭმი, გინათუ ჭამადი თითოჳული ნათესავი სხუაჲ და სხუაჲ ფერი და სახე არს, ვითარცა ცხოვართა და ზროხათა შორის, ეგრეთვე ქათამთა და ღერღედთა შორის, ეგრეთვე ღორთა შორის, ეგრეთვე უჭმთა პირუტყვთა შორის, შინაურთა ცხენთა, ვირთა, ძაღლთა და კატათა სხუაჲ და სხუაჲ ფერი და თითო სახეობაჲ არს და ამათგანი არცა ერთი არს უჭმარ, არამედ ყოველივე კეთილ და შუწნიერ და საჭმარ კაცთა, რამეთუ ზროხა, რომელიმე უღლის მზიდველობს, რომელიმე ტვირთითა იქმს მსახურებასა შენსა, ზოგი სძესა მოგცემს და მერმე ჳორციითა გასერებს. ეგრეთვე ცხვარი მრავალფერად და მრავალგუარად საჭმარ შენდა არს, ეგრეთვე ქათამი და სხუაჲ ყოველი ცხოველი შინაური, ხოლო უჭმიდა არა წმიდაჲ, რაცა არს შინაური ყოველივე საჭმარ არს ფრიად. ცხენი, რომელიმე გიტვირთავს და მამერალსა განგისუწნებს და რომელიმე ტვირთითა მზიდველობს, ხოლო ძაღლი რაჲმე მცველობს და იღვიძებს და მავნეველთა სდევნის, რომელიმე გინადირებს და ნადირთა იპყრობს და სხუაჲ იგი გძებნის, სხუაჲ მდევრობს, სხუა მღერითა და ლაღობითა გან-

გაცხრობს შინათ და გარეთ და ესე ყოველი დამბადებელსა მიერ შენდა მონიჭებულ არს, ხოლო ღორი ესეცა დამბადებელისაგან მონიჭებულ არს ჩუენდა საჭმარად, რამეთუ უჭმარი არა რაჲ არს, არცა რაჲ დაუბადებიეს და ვინათგან შინაურცა არს ფერად-ფერადობაჲცა აქუს, ვითარცა სხუათა ყოველთა შინაურთა ცხოველთა ესე ღორი არცა (175r) გიწნავს, ვერცა გიტვირთავს, ვერცა გიძებნის, ვერცა გიმცველობს, ვერცა რაჲსა შეიპყრობს და ესრეთ უჭმარ არს ყოვლისა საჭმარებისაგან და რაჲსათჳს დაიბჲდა ღმრთისა მიერ, არამედ ესე უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ უკეთუ არა წმიდაჲ არს და უჭმ სიტყვსაებრ ჰურიათა და ისმაიტილთა. მაშა სიტყვსა საქმისა მიმარ ჯერ არს, რაჲთა იყოს საჭმარ, ვითარცა სხუანი ცხოველნი, ხოლო უკეთუ წმიდა არს, ჯეროვან არს, რაჲთა იჭამოს, ამისთჳსცა მოგუჴცნეს ჭამად.

ხოლო მოციქული პავლე რაჲ დასწერს, ვითარმედ: ყოველივე წმიდაჲ არს წმიდათათჳს და არა რაჲ არს განსაგდებელ მადლობით მიღებული და არცა რაჲ არს შეგინებული, არამედ უკეთუ ვინმე შერაცხოს იგი შეგინებულად ამას ყოველსა წმიდაჲ მოციქული, ვითარცა წინასწარმცნიერი სულითა წმიდითა უკანასკნელ გამოჩინებადთა მწვალებელთათჳს იტყვს, ვითარცა მიუწერს ტიმოთეს მიმართ ესრეთ. ხოლო სული წმიდაჲ ცხადად იტყვს, რამეთუ უკანასკნელთა ჟამთა გან-ვინმე-დგენ სარწმუნოებისაგან და ერჩდენ იგინი სულთა მათ მეცნიერთა და მოძღვრებასა მას ეშმაკთასა ორგულებითა და სიტყვითა ტყუვილისათა შემწვარნი თჳსითა გონებითა აყენებდნენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა, რომელნი ღმერთმან დაჰბადა მისაღებულად მადლობით მორწმუნეთათჳს და რომელთა იციან ჭემმარიტებით დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს და არა რაჲ არს განსაგებელ მადლობით მიღებული, რამეთუ განიწმიდების სიტყვთა ღმრთისაჲთა და ლოცვითა. ამას სიტყვასა მოიღებენ მიზეზად უწესოებისა მათისა და ჰგონებენ, თუმცა ჩუენ სიტყვა არა რაჲ გუაქუნდა, არამედ ნუ ზედა დამესხმით, მცირედ მელოდეთ და ადვილად დაიწსნას ცუდის მეტყუელებაჲ მათი.

რამეთუ შემდგომად ორას ოცდაათისა წლისა გამოჩნდა ნავატ ფ(175v) ილასოფოსი და სხუანი მრავალნი მიმდგომნი და თანაზიარნი მისისა წვალეებისანი, რომელნი თავითა თჳსითა განწმედელად უჭმობდეს. ესენი ცხადად აყენებდეს ქორწილსა და იტყოდეს, ცოლიერი კაცი და ჯორცის მჭამელი და ღვინის მსმელი ცხოვრებასა ვერ მემთუხჴვისო, ვერცა შემდგომად ნათლისღებისა ქმნილი ცოდვაჲ მიეტევებისო. ამისთჳს იტყვს მოციქული, ვითარმედ: უკანასკნელთა ჟამთა გან-ვინმე-დგეს სარწმუნოებისაგან და აყენებდენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა, წინასწარ განაკრძალებს მორწმუნეთა და ეტყვს ღმრთისაგან კეთილად დაბადებული მადლობით მიმღებელთათჳს, არა რაჲ არს განსაგებელი: არცა ჯორცი, არცა ღვინო, არცა სჯულიერი ქორწინებაჲ არს დამსჯელი და რომელნიცა მოღვანებისა ძალით განეყენების, ანუ ჯორცსა, ანუ ოქროსაჲ, გინათუ ქორწინებასა და მის წილ ქალწულებასა შეიტ-



კბობს, ესე უმჯობეს არს და ფრიადცა კეთილ.

ხოლო რომელი არა მოღვაწებისა ძალით იმარხვდეს ღვწოხსაჲ, ანუ ჯორცისა, გინათუ ქორწინებაჲსა სძაგებდეს, იგი უარისმყოფელი არს და ბოროტად მწვალებელი და შემწვარი თვისთა გულისსიტყვითა, ხოლო მოღვაწებისა ძალით კეთილ, ვითარცა თვთცა წმიდაჲ იგი მოციქული ქალწულებასა იმარხვიდა მეტყუელი ესრეთ აღვიკრძალავ ჯორცთა ჩემთა და დავიმონებ მათ, რაჲთა არა სხუასა უქადაგებდე და მე გამოუცდეღ ვპოო და კუალად იტყვს, რამეთუ მწვავს ყოვლისა კაცისა ყოფად, ვითარცა თავი ჩემი, არამედ კაცად-კაცადსა თვისი მადლი აქუს ღმრთისაგან, რომელსამე ესრეთ და რომელსამე ეგრეთ ვიტყვ უქორწინებელთა მათ და ქურივთა კეთილ არს მათდა, უკეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა (176r) მე, ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ — იქორწინონ.

ეგრეთვე მარხვისათვის იტყვის მრავალსახედ და მრავალგუარად და მტკიცედ გუასწავებს, რაჲთა მარხვა შევიტკობთ და კრძალულებჲ, რომელი თითოჭულად აღვწერეთ მარხვისაჲ შინა და ტიმოტესცა ამასვე მიუწერს და ამცნებს, ვითარმედ: ნუ წყალსა ხოლო სუამ, არამედ ღვწოცა მცირედ იწუმე სტომაქისათვის და ზედასაზედა უძღურებისა შენისათვის. ხედავა, ვითარ ეკრძალებოდეს წმიდანი იგი და სანატრელნი მოციქულნი და მარადის მარხვითა და მოღვაწებითა თავითა თვისთა სტანჯვიდეს, ვითარცა ესერა გესმა, რამეთუ წმიდაჲ მოციქულიცა ტიმოთე ფრიად დასწეულებული ღვწოსა არა სუმიდა, ვიდრემდის დიდი იგი მოძღვარი და მნათობი ყოვლისა სოფლისა პავლე მიუწერდა შენდობით მცირედისა ღვწისა სმასა და იგიცა არა უწყით, უკუეთუ იწმია მცირედ ღვწო, ანუ არა უკეთუ მცირედი მიელო მადლობით, არა იყო ცოდვაჲ. ამისთვის იტყვს მოციქული: ყოველივე წმიდაჲ არს წმიდათათვის და ვითარმედ არა რაჲ არს განსაგებელ მადლობით მიღებული.

ხოლო ვითარცა ვთქუ, ჰურიანი, მწიგნობარნი და ფარისეველნი მრავალსახედ განკრძალულ იყვნეს, უბანელითა ჯელითა არა ჭამასა და რეცხასა და ბანასა ქვაბებისა და სტამნებისა და ცხედრებისასა, ვითარცა აყუჭდრებს უფალი და იტყვს, ვითარმედ: უბანელითა ჯელითა ჭამა არა შეაგინებსო და სხუასა მრავალსა ჯორციელსა განწმედასა ეძებდეს და გარეშისა რეცხისა და ბანისა მეძიებელთა შენგანი განწმედა სრულიად დაეტევათ და უგულებელს-ექმნათ და ჰრეცხდეს მიმდემად სამოს(176v)ლებსა და სარეცლებსა, ქუაბებსა და ჭურჭლებსა და ვიდრემდის იდაყვთგან არა იბანონ, არა რაჲ ჭამონ, — ვითარცა ვრცელად წერილ არს წმიდაჲ სახარებასა შინა და კუალად უკუეთუ მღდელთა მიერ და კეთილი არა იყვის, არაცა იგი ჭამიან და იგიცა ძარღუთა მიერ გამუცლილი, ვითარცა ანცა ჰყოფენ ჰურიანი.

და კუალად მათგანი, რომელნიმე მხალსა მტილსა შინა მყოფსა არა სჭამდეს, რომელნი ნებვითა განპოხებული იყუნეს, ამისთვის ველურსა მხალსა და ხილსა სჭამდეს და ეგევითართა რაჲთმე და სძაგებდეს და განიკითხვიდეს მათ, რომელნი ესევითართა არა ეკრძალებოდეს, არამედ მადლობით მიიღებდეს.

ამისთვის მოციქული იტყვს: უძლური იგი სარწმუნოებით შეინყნარეთ და ნუ ორგულობით და გულისიტყვით, რომელსამე ჰრწამნ ჭამადი ყოველი, ხოლო უძლური იგი მხალსა ჭამნ, მჭამელი იგი არა მჭამელსა ნუ შეურაცხყოფნ და არამჭამელი იგი მჭამელსა ნუ განიკითხავენ. ესე იგი არს, ვითარმედ მტკიცე გონებითა და სრული სარწმუნოებითა ჭამს ყოველსავე ჭამადსა, ოდესცა ჯერ იყოს და რააცა იჭამებოდის შენდობილთაგანი და არა განიკითხავს, ვითარმედ ესე უბანელთა ჳელთა მიერ არს შემზადებული და იგი განურეცხელსა ჭურჭელსა შინა არს შემგბარი და ამა პირუტყუსა ესე, რამე უჭამიეს და მას პირუტყუსა მწკრისა წყალი უსვამს, ვითარცა ქათამი და ღორი ჭამნ მრავალსა არა წმიდა და ცხვარი და ზროხა და ყოველი სცხოვარი იჭუმევს ყოველსა ქუწნარმავალსა და სუმენ, სადაცა დახუდენ მწკრესა.

ხოლო მტკიცითა სარწმუნოებითა უწყიან, ვითარმედ ამათი არა რაჲს შეაგინებს, რამეთუ განიწმიდების სიტყვ(177r)თა ღმრთისათა და ლოცვითა, ხოლო უძლური გონებითა და ვერ მტკიცე სარწმუნოებითა ამას ყოველსა ეკრძალებოდეს, ვითარცა ვთქუ და ველურსა მხალსა და ხილსა და ეგევი-თართა რაჲსამე ჭამდეს. ამისთვის იტყოდა მოციქულიცა, ვითარმედ: უძლური იგი სარწმუნოებით შეინყნარეთ და ნუ ორგულობით და გულისიტყვით და ნუცა განიკითხავთ და ვითარმედ ყოველივე წმიდაჲ არს წმიდათათვის და არა რაჲ არს შეგინებულ, არათუ ვინმე შერაცხოს იგი შეგინებულად და ვითარმედ განიწმიდებისო სიტყვთა ღმრთისათა და ლოცვითა.

ხოლო ამას მოციქული არათუ ესრეთ იტყვს: ყოველი ქუწნარმავალი და არაწმიდაჲ მვეცი, დამშთვარი და სისხლი სჭამეთო და ჯვრისწერით ყოველი არა წმიდა და ბილწი განიწმიდებისო. ნუ იყოფინ, არა სადა წერილ არს ესე, არცა სმენილ, არცა სადა თქმულ არს ესე, თუმცა ვისმე წმიდათაგანსა ძალლი და მგელი და დათუი და ესევითარი, ანუ ძერა, ქორი და ყორანი და სხუჲ ესევითარი, ანუ კუჲ, ბაყაყი და გუელი და მსგავსნი ამათნი ეჭამოს ვისმე წმიდათაგანსა, ანუთუ ჯვრისწერით და ლოცვით წმიდაჲ ეყოს და მორწმუნეთაგანისა ვისთვისმე ეჭმიოს, არამედ ესე ყოველი დაყენებულ არს და არა შენდობილ ჭამად, რამეთუ არცა ქრისტესა უბრძანებია, არცა მოციქულთა განუწესებიეს, არცა კრებასა დაუმტკიცებიეს, არცა სჯულსა შინა შენდობილ არს, არამედ უფროსლა ყოველთავე დაუყენებიეს.

უკუეთუ თქუენ, ვითარმედ ძუწლსა სჯულსა შინა იყო დაყენებული, ხოლო ახალსა შინა არა რაჲ არს დაყენებულიო, არამედ ყოველივე შენდობილ არსო. მტყუწლნი ამისნი არა(177v)თუ სჯულისდებხსა ქრისტესა შეუდგიან, არამედ სხვსა ვისმე მათ მიერ სახელდებულისა ქრისტესა, უფროსლა ანტიქრისტესა, შედგომილ არიან.

ქრისტე მეუფე ბრძანებს: არა მოვედ დაწსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად, რამეთუ მას არა რაჲ დაუწსნეს სჯულისაგან წინასწარმეტყუელთა, არამედ უფროსლა აღუსრულებიეს და ზეშთა აღუმატებიეს. ისმინე ჩემი და

ყოველივე გაუწყო. სჯულმან თქუა: ნუ კაც კლავ. ქრისტემან ბრძანა: რომელმან ჰრქუას ძმასა თვსასა ცოფ, თანამდებ არს იგი სასჯელსა მას გეჰენიისასა. და შემდგომი. სჯული იტყვს: ნუ იმრუშებო. ქრისტემან ბრძანა: ნუცალა მიხედავ გულისთქმათაო. სჯულმან თქუა: ნუ მოიტაცებ სხვისსაო. ქრისტემან ბრძანა: რომელი კუართსა მიგიღებდეს, სამოსელიცა მიუტევეო. ეგრეთვე სჯული წინადაცვეთასა განანესებს, ხოლო ქრისტე ნათლისღებასა ბრძანებს. ხოლო პირუტყვთა სისხლათვს, რომელი სჯულსა შინა მრავალსახედ შეინირვოდეს, მათ წილ თვისი ცხოველსმყოფელი სისხლი მოგუანიჭა. ეგრეთვე ჭამადთათვს გულისწმა-ყავ. სჯულმან თქუა: ძერასა, ყვავსა და ეგევითარსა ნუ სჭამო. ხოლო წმიდანი მოციქულნი პურსაცა იშვით, მიიღებდეს და მარხვითა აღასრულებდეს დღეთა თვსთა და ღვნოსაცა მცირედსა სნეულებისათვს იშვით შეუწდობდეს, ვითარცა ტიმოთესთვს მოვიწყენეთ. ამისთვს ვიტყვით, ვითარმედ: სჯულისაგან განწესებული არა თუ დაწსნა ქრისტემან, არამედ უფროსად აღაორძინა და უზეშთაესა წარმატებასა ზედა აღიყვანნა. ჭეშმარიტად იგინი არიან დამწსნელნი სჯულისანი და შეურაცხისმყოფელნი ყოველთა წმიდათა განწესებულთანი, რამეთუ ქრისტე არა თუ ამისთვს მოვიდა, რაჲთა ყოველი უწესობა იქმნ(178r)ას და ყოველი სჯული დაიწსნას და ყოველი არა წმიდებად გემოვნებდ და მუცელღმრთობდ შემოვიდეს და არა უფროსად სინმიდე და სიმართლე და ყოვლისა ჯორციელისა გემოვნებისა დათრგუნვა და შეურაცხყოფად, ვითარცა ყოველნი წმიდანი ამას სჯულსა გვიდებენ თავადისა ქრისტეს ღმრთისაჲ მოძღვრებისაებრ.

ხოლო ამისთვს რაჲლა თქუან, ანუ რაჲ სიტყუა მოიპოონ, რამეთუ სისხლსა და დამშთავარსა სჭამენ და არა შეიკდემენ წმიდათა და სანატრელთა მოციქულთაგან. ვჰკითხოთ მათ: წმიდაჲ პეტრე მოციქული, პავლე, იაკობ და იოანე და ანდრია და სხუანი ყოველნი მოციქულნი უბრძნეს იყუნეს და უწმიდეს, ანუ უმახლობელეს ქრისტესა, ანუ აწინდელნი პაპები და მისნი კარდინელები? რამეთუ მაშინ წმიდათა მათ მოციქულთა ერთი კრება ქმნეს იწრუსალემს წინაშე იაკობ, ძმისა უფლისა, რომელი იყო პირველი ებისკოპოზი და მწყემსი ქრისტეანეთა და ბრძანებითა მისითა წარავლინეს პავლე და ბარნაბაჲ, იუდა და შილა ანტიოქიას ახალ მოქცეულთა მიმართ, ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს ესრეთ: „მოციქულნი და ხუცესნი და ძმანი, რომელნი იგი ანტიოქიათ ასურეთით და კილიკიათ კერძო ძმანი ხართ წარმართთაგანი, გიკითხავთ, გიხაროდენ! ვინათგან გუწსმა ჩუენ, რამეთუ ჩუენგანი ვინმე განვიდეს და აღგრძეს თქუენ სიტყვითა და აღაშფოთებდეს სულთა თქუენთა და გეტყოდინან წინადაცვეთად და დამარხვად სჯულისა, რომელი არა ჩუენ გუწმცნო. აწ უკუწ ჯერ გვიჩნდა კრებულსა ყოველსა ერთბამად გამორჩევად კაცთა და მივლინებად თქუენდა პავლეს თანა და ბარნაბეს საყვარელთა ჩუენთა (178v) წარმო-უკუწ-გვევლინებთან იუდა და შილა და მათცა სიტყვთა გითხრან ესევე, რამეთუ ჯერ უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რაჲთა არა უმეტესი ტვირ-

თი დავდვით თქუენ ზედა, გარნა რომელნი ესე სასწრაფოა არიან, თქუენდა განშორებად თქუენდა ნაკერპავისაგან, სისხლისა, დამშთავარისა და სიძვისა, რომელთაგან დაიმარხენით თავნი თქუენნი, კეთილსა იქმოდეთ და ცოცხლებით იყუწნით“.

ეგრეთვე სხუასა ადგილსა წერილ არს მასვე მოციქულთა საქმესა შინა ესრეთ: „ხოლო მორწმუნეთა წარმართათაჲს ჩუენ მივწერეთ და უბრძანეთ, რაჲთა არა რას ეგევითარსა იმარხვიდენ იგინი, არამედ რაჲთა ეკრძალნენ კერპთა კლულისაგან და დამშთავრისა და სიძვისა“.

ან რაჲლა სიტყუა აქუსთ ურცხვინოთა მათ, ანუ რაჲ მიზეზი მოიღონ, რამეთუ კრებულნი თავთა მოციქულთანი, ხუცესნი და ძმანი, ყოველნივე ერთობამად ჯერჩინებითა და დამტკიცებითა სულისა წმიდისაჲთა წინაშე იაკობ ძმისა უფლისა პირველისა მწყემსისა და არა თუ წინაშე წმიდაჲ პეტრესა, რომელსა იგინი მიზეზობენ ყოველთა ზედა თავობჲსა და უფროსობასა. ან იხილეთ, ვინ არს ამათში თავი და უფროსი, ვის წინაშე შეკრბეს და ვის ჰკითხეს და ვისი სიტყუა დაამტკიცეს. ანუ ვინ წარავლინნეს მოციქულად. ამას არა ვიტყვ, თუ იაკობ, ანუ იოანე, ანუ პეტრე და პავლე ერთი მეორესა ზედა მეტი, ანუ რომელიმე დაკლებული იყო, ანუ უფლება რაჲმე ჰქონებოდა ერთი მეორესა ზედა, დაღაცათუ წმიდა იაკობს წინაშე შეკრბეს, რამეთუ პირველი მწყემსი იგი იყო, არამედ ათორმეტნივე ურთიერთარს სწორ იყუნეს და სწორი მადლი და (179r) ნიჭი მიიღეს ქრისტესგან და რაღცა უბრძანა ყოველთა და სწორი ჴელმწიფება მისცა და სწორად წარავლინნა ყოველნი. მერმესა საზომისაებრ სათნოებისა და მოღვაწებისა იქმნნეს წარჩინებულ, არათუ ჳორციელად, არამედ სულიერად.

და უკეთუ იგინი პეტრეს დაადგენენ თავად და უფლებად ყოვლისა ქუეყანისა, ჩუენ ანდრიას, რამეთუ ძმა იყო პეტრესი და პავლე მოწაფე და ამის მიერ იყო პეტრე დამონაფებული ქრისტესა და ვითარცა წერილ არს, რამეთუ ამან მოიყვანა იგი იესუსასა. პეტრეს ასიელნი და ეფესელნი იტყვან თავად, ბართლომეს – დიდი სომხითი, სიმონ კანანელსა — აფხაზნი, მარკოზს – ალექსანდრია და თომას — ინდოეთი, ვითარცა იაკობს – პალესტინელი და იჭრუსალიმელი და ესრეთ აღვძრათ შური და მტრობჲ თავთა მოციქულთა შორის და რომელი რომლისა მწყემს ყოფილიყოს, იგი დავამტკიცოთ მწყემსად და თავად მოციქულთა და ყოვლისა სოფლისა და მეორედ ქრისტედ და რამეთუ იჭრუსალიმელთა უჯეროვნესი მიზეზიცა აქუს იაკობისთჲს, რამეთუ პირველად მწყემსად ქრისტეს მიერ იგი იაკობიცა და ვიდრემდის სხუანი მოციქულნი განიბნეოდეს წილხუჭდრებულსა მათთა ადგილთა, თვნიერ იაკობისა ვერა რაჲ თქვან, ვერცაღა დაამტკიციან, რამეთუ იგი იყო თავი მათდა და მის წინაშე შეკრბიან და მისგან მიიღიან ბრძანებაჲ, ვითარცა ესერა მოვიწესენთ. და მათ პავლე და ბარნაბა და იუდა და შილა წარავლინნენ და სულითა წმიდითა ესე დაამტკიცეს, რაჲთა ეკრძალნენ და განეყენნენ კერპთა

ნაზორევსა და სისხლსა და დამშთვარსა და სიძვასა. ჰხე(179v)დავა, რამეთუ კერპთა ნაზორევსა და სისხლსა და დამშთვარსაცა განაყენებენ და დიდად სასწრაფოდ აკრძალებენ.

და რამეთუ წმიდანი კრებანიცა პირველად ნიკიასა და სხუანი შემდგომნი მსოფლიონი კრებანი ამასს სიტყუასა დიდითა კრძალულებითა დაამტკიცებენ, რათა განეყენეს სისხლსა და დამშთვარსა, ხოლო უნესოდ მჭუმეველთა ამისთა სრულიად განკუჭთენ და უზიარებლობითა დასჯიან, ხოლო პაპის მოსაგანი ამას ყოველსა დაჰჴსნიან და გარდაჰჴდებიან. არა ემორჩილებიან მოციქულთა სჯულისდებასა, არცა წმიდათა კრებათაგან საზღვრებასა, არცა იჴსენებენ სიტყუასა მას საღმრთოსა წერილსასა, რომელი ჰრქუა უფალმან ღმერთმან ნოეს შემდგომად წყლით რღუნისა, ვითარმედ: „ჯორცსა სისხლითურთ ნუ შჭამთო, ხოლო უკეთუ შჭამთო თქუენიცა, სული ჴელთაგან თქუენთა გამოვიძიო“, რამეთუ პირუტყვსა სული სისხლი არს, ხოლო იგინი ამის ყოველისა დამვიწყებელი სჭამენ სისხლსა და დამშთვარსა, სადაცა დაემთხვიოს და თჴსითაცა ჴელითა მოაშთობენ და ეგრეთ იჴუმევენ და სჭამენ წარმდებად ყოველსა არანმიდასა. ხოლო ან არღარა სადა იპოების მათ შორის კერპი და თუცა იპოებოდეს, არღარა კერპთა ნაზორევსა განიშორებენ, არამედ მასცა ურიდად იჴუმევენ.

და კუალად სიძვასაცა უკრძალველად ერევიან და არა არს მათ შორის ყოვლადვე დაყენებულ, არცა ერისკაცთაგან და ვჴგონებ, არცალა სამღდელოთა კაცთაგან, რამეთუ ქალაქსა შინა თვთ პაპა მჯდომარე არს, ორი დიდი და ვრცელი სამეძაო სახლნი განწესებულ არს შენდობითა პაპისათა, შესაკრებელი მრავალთა მეძავთა (180r) და რომელთაცა ენებოსთ მუნ შესლვა, არა დაიყენების, ხოლო მიზეზი იგი მუნ მოგებული თვთ პაპასა მიერ თუ მის, ანუ ვერღა იქმნას დაყენებაჲ სიძვისაჲ, ვინათგან მღდელნი წირვისაგან და ერი კაცნი ზიარებისაგან არა დაიყენებიან, რამეთუ რომლითაცა მიძიმითა ცოდვითა ღამესა მას სცთენ და დაეცნენ, დღე ყოველ სწირვენ და ეზიარებიან.

ხოლო ვჴკითხვით, რაჲ ვითარმედ რაჲსათჴს ესრეთ იქმთ, ანუ ვისგან ისწავეთ ესევეთარი უნესობეჲ, ხოლო იგინი მოგვიგებენ, ვითარმედ: უკეთუ მას დღესა, რომელსა შინა ცთომა იგი იქმნეს და მღდელნი მსხუჴრპლისა შეწირვისაგან და ერისკაცნი ზიარებისაგან დაეყენოს ცოდვანი ჩუჴნი ყოველთა შორის, საანმჯნო იქმნებისო. ჴ, დიდი ესე უნესობეჲ და სიბნელე განგებისაჲ.

რამეთუ ქრისტეს თუალით მხილველთა წმიდათა მოციქულთა ესრეთ საძაგელად შეჴრაცხნეს და ამათ ესრეთ ადვილად მიუშვნეს ყოველნი კაცნი, რამეთუ ოდეს ჯერეთ ახალმოქცეულნი იყუნეს წარმართთაგანი და ახალწერგნი და ჯერეთ ჩჩვილნი, სხუაჲ ვერა რაჲ მიძიმე და სრული წესი განუჩინეს, თჴნიერ ესენი. დიდად სასწრაფოდ და მტკიცედ დასამარხავად განშორებად სისხლისა დამშთვარისა, სიძვისა და კერპთა ნაგებისა, ხოლო იგინი ამათ ყოველთა უკრძალველად აღერივნეს. იტყჴან, ვითარმედ სიძვა და სხუანი უნესონი

საქმენი ყოველნივე ცოდვაა, არამედ ტყუიან და არა არს მათ შორის ქემ-მარიტებაა, არცა რაე ცოდვა ცოდვად შეჰრაცხილ არს, არცა რაე დაყენებულ არს მათ შორის ყოველი უნესობაა.

რამეთუ ვინათგან მღდელნი მსხუჭრპლისა შენირვასა, ვითარცა ვიტყოდე (180v) და ერისკაცნი ზიარებისაგან მას დღესა არა დაეყენებიან და ვერლა იყოს ესე მათ შორის ცოდვად და უკეთუ ცოდვად შერაცხულ არს მათ მიერ, რაესათვს არს მათ შორის საკრებულოდ ყოველთა შორის განღებული სამეძაო იგი სახელნი და ურიდად შევლენ მას შინა.

ხოლო კითხულ იქმნეს რაე ესრეთ, ვითარმედ რაესათვს ესრეთ იქმთ და არა აღიღებთ სახლებსა მას სამეძაოსა, რაათა მოისპოს თქუენ შორის საქმე ესე უშუჭრი და საძაგებელი. მოგვგებენ: ცუდთა და უჭმართა სიტყვათა უფროსლა პირთა მათთა დასაყოფელთა, ვითარმედ: უკეთუ ვინმე კაცთა ვიეთმე გარე განსავალი სახლი დაეჭმასო, მერმე სახლთა შინა სასუჭნებელთა განსთხვევენ ბუნებითა საჭმართა, რამეთუ ორმან პაპამან ინება უნესოსა საქმისა დაყენებაა, ხოლო დედათა ვერ მპოვნელთა სხვსა მრავლისა უნესოსა და ბუნებისა გარეგანისა საქმისა მოქმედ იპოვნესო. ამისთვს ვერლარა დააყენესო და მისცეს შენდობაა.

აჰა, ცუდი მიზეზი საკდემელი და დასასჯელი მათი, ვითარ იქმნების ამით გარდაკუჭთა ცოდვათა, ანუ დაჰჰსნა უნესობისა და არა უფროსლა აღორძინება ვნებათა და განმრავლება ცოდვათა, რამეთუ რაჰამს მიედევნოს კაცი უძღებთა გულის სიტყვთა და მერმე არცალა იყოს დაყენება და არცა სირცხვილი და ნივთი იგი ცოდვისა ადვილადცა იშოვებოდის, უმეტესად სხვისა და სიტყვსა მიმართ გული უთქუამს, ვითარცა კაცი მღერანი რაფდენცა იფხანს, უმეტესა წყლულებსა შეიძენს და ვერცა გარდაჰკუჭთს ქავილსა და ჴელნი, რაე დაშურიან, სხუა რაამე ღონე მოიპოვიან, ანუ ხე, ან(181r)უ ქვაა და მით იწყიან ფხანად და ქლებად, ვიდრემდის სრულიად იწყლიან და სისხლი მძაფრი დასდინ, ეგრეთვე ცოდვისათვს გულისჰმე-ყავ, რამეთუ ერთისა ცოდვისა მიმართ დაუმჭირველი, სხვსა ცოდვისა მიმართ მოსწრაფედ მირბიედ, მიხილვიან კაცნი უცოლონი სანადისა მმარხველად და ისხნეს რაე ცოლნი, უმრავალნილეს განუმრავლდა გულისთმქა და სხვსა უნესობისა მიმართ დაუმჭირველ იქმნეს.

ან უკუჭ იშვთ და დაბრკოლებული ცოდვაა უმძიმესი არს, ანუ შენდობილი და უსირცხვილოდ ყოველთა შორის სჯულთაებრ განწესებული და საანმჯნოე ქმნილი უსჯულოებაა. ჰჰ, ჰემმარიტად ესევეითარი ცოდვაა უმძიმესცა არს და დაუყენებელ და არცა იქმნების გარდაკუჭთაა.

რამეთუ დაყენებული და ყოველთა მიერ საძაგლად შერაცხილი ცოდვაა, ვითარცა სჯულიცა, ესრეთვე ბრძანებს: იშვთ, რაადმე იქმნების შიშისა და სირცხვილისა ძლით და ძნიად საპოვნელობისა, ხოლო უკეთუ ვისმე უბურკმეს საბრჯითა ეშმაკისათა მსწრაფლი იწყებს აღსარებად და სინანულად და

ვითარცა შეგინებული ჟამ რაფდენმე განეყენების წმიდათა საიდუმლოთა, ვიდრემდის განიწმიდეს აღსარებითა და სინანულითა და მჭურვალედ ტირილითა და მერმე შიშით და ძრწოლით შეეხების სინმიდეთა განწესებსაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასაჲ.

### **XXXVI თავი. დედათა წიღოვანთათჳს, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი გუნაბითსა წესსა შინა იყვნეს, საკურთხეველად აღიყვანებან და აზიარებან**

ეგრეთვე დედანი მათნი, რაჟამს მიდგომილ იყუნეს ქმართა მათთა, რაჲდ ვიტყვ ქმართა, ანუ თუ სხვსა უწესობისა მრავლისა მოქმედ, ანუ თუ ბუნებითითა წესითა სისხლმცენარობდენ, არა დაეყენებ(181v)იან საკურთხეველად მიმართ შესვლასაგან და წმიდათა საიდუმლოთა ზიარებად. აჰა, ესერა ესეცა დიდი უწესობაი და წინა აღდგომა სჯულისა.

უკეთუ ძუჭლისასა არა ისმენენ მოსეს მიერ განწესებულსა და უფროსლა ღმრთისასა, რამეთუ მან რაცა თქუა ღმრთისაჲ მიერ, მოილო და ეგრეთ განანწესა და ყოველთა წმინდათა წინასწარმეტყუელთა და მართალთა დაიმარხეს იგი, ხოლო ახალსა ამას სჯულსა შინა უმეტეს საკრძალველ არს ესე და რასათჳს ესრეთ ჰყოფენ, რამეთუ ამითცა გარდავლენ საზღვარსა მამათასა და შორის ჰყოფენ თავთა თჳსთა ყოვლისა სჯულისდებისა და მოძღვრებისა მათისაგან.

რამეთუ სჯულის კანონთა შინა წერილ არს, ვითარმედ: „არა ჯერ არს დედაკაცისა შესვლად საკურთხეველად“ (ლავდიკის კრება, კანონი XXXIV).

და კუალად მასვე სჯულის კანონთა შინა წერილ არს, ვითარმედ: „ხოლო დედობრივითა წესითა სისხლმცენარეთა დედათათჳს, უკუეთუ უღირს მათ შესვლად სახლსა ღმრთისასა, ნამეტნავ, ვჰგონებ, კითხვასაცა, რამეთუ არა მათგან ვრწმუნებ, განკრძალულნი თუ იყუნენ, ვერმცა კადნიერ იქმნენ ბუნებითსა, რომელსა შინა იყუნენ ვნებასა, ანუ წმიდისა ტრაპეზისა მომართ მოსლვად, ანუ ჯორცისა და სისხლისა ქრისტესისა შეხებად, ხოლო პატივად, ვითარცა ვინ იყოს და ვითარძიცა ვნებითა უფლებული მოხსენებად მეუფისა დათხოვად მის მიერისა შეწვენისა, არა ოდეს ყოვლითურთ წმიდა იყოს სულით და ჯორცით არა ფლობილ იქმნების“ (დიონოსიოს, თავი II).

კუალად წერილ არს: „დედაკაცი რაჟამს წესსა ზედა თჳსსა იყოს წიღოვნებისასა, არა უხმს ზიარებაი, ვიდრემდის არა გამწმიდეს“ (ტიმოთე, ალექსანდრეველი, კანონი VII). ესე არს მამათა მიერ დადებული საზღვარ(182r)ი და ძუჭლისა სჯულისა მიერ უმრავლესი უწყებანი. ნეფსით დავიდუმეთ, რაჲთა არა სიმრავლე წერილთა იქმნეს და ვისცა არა სცონოდის საღმთო წერილნი, აღმოიკითხენ და ყოველივე ცხადად გეუწყნენ, თუ ვითარ დაყენებულ არს

წინასწარმეტყუელთაგან ესევეთარი უწესოებაჲ და უკუეთუ თქუან, ვითარმედ ბუნებითი საქმე ცოდვად არა შეირაცხებისო, მეცა ვიტყვი, ვითარმედ ვინათგან ბუნებითი არს და არა ნებისით არა არს იგი ცოდვაჲ, არამედ ღმრთისაჲ მიერ დადებულ არს ესე დასაბამითგან ბუნებასა შინა დედათასა პირველისა ცთომისა ძლით საკდემელად და დასამდაბლებლად დედათა, ვითარცა სალმობაცა იგი მუცლისა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ადამ არა სცთა, ხოლო დედაკაცი იგი სცთა და სჯულსა გარდახდა“ (I ტიმოთე 2,14).

ამისთვის საკდემელად და დასასჯელად დაენესა ბუნებაჲსა შინა დედათასა, ვითარცა ვთქუ: რაჲთა რაჲამს შეემთხვიოს, ესე მოიხსენოს პირველი იგი ცთომა დედისა და შეიკდიმოს და დაიმდაბლოს თავი და ევედროს ბუნებაჲთა წესსა ზეშთაქმნილსა უბინოსა მარიამს ქალწულისა, რაჲთა განთავისუფლდეს დასჯილებსაგან.

ხოლო უკეთუ კუალად გუაცილებდენ, თუ რაჲსათვს დაეყენებიან სახლთა მიმართ ღმრთისათა და სინმიდეთა მიახლებაჲ: „ჩუენ ეგევეთარი ჩუეულებაჲ არა გუაქუს ქრისტეს, არცა ეკლესიათა ღმრთისათა, ვითარცა იტყვს მოციქული“ (I კორინთელთა 11,16). დიდსა მას სჯულისმდებელსა ჰკითხონ და ღმრთისმეტყუელსა მოსეს ჰკითხონ და ახლისა სჯულისა ღმრთისმეტყუელთა, თუ რაჲსათვს დააყენნეს და ჩუენდა მომართ არღარა სიტყუა აქუს, რამეთუ ჩუენ ესეოდენი მოწმენი ძუჭლისა და ახლისა სჯულისანი გუქონან, ვითარმედ არა ჯერ არს წიდოვანთა დედათა სახლთა შინა ღმრთისთა შეყვანება, არცა სინმიდეთა მიცემა, ხოლო მათ, ვინ მოსცა ესევეთარი უწესოებაჲ, მათცა გუაუ(182v)წყონ, ანუ ვინ განუწესაჲ.

### **XXXVII თაჲი. პირუტყთა შეყვანისათჲს ეკლესიათა, თუ ვითარ და რაისათჲს შეიყვანებუნ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყთა**

ხოლო დედათა წიდოვანთა რაჲ ვთქუ ეკლესიათა შეყვანა და სინმიდეთა მიახლებაჲ, რაჲ საკვირველ არს მათ შორის, ვინათგან პირუტყვთაცა არა წმიდათა არა რიდებუნ ეკლესიათა შინა შესვლასა, რამეთუ ყოველთავე დიდთა და მცირეთა მამათა და დედათა და უფროსლა დედათა მათთა თითოეულთა მათგანთა ჰყვის ძალლი მცირე, გინათუ დიდი უბეთა და წიალთა მათთა. ეკლესიად რაჲ შევიდოდინ და ოდეს წირვა იყოს, მუნ თანა შეიყვანებუნ, ხოლო ძალლნი იგი, ვითარცა არს წესი პირუტყვთა, ყოველსავე ბუნებითთა წესთა აღასრულებუნ. ესე მრავალთა თვალთ მხილველთა და სარწმუნოთა კაცთა მიერ უწყებულ არს ჩუენდა და ამას არცა თვთ უარყოფენ და კითხულ იქმნენ, რაჲ ჩუენ მიერ ესევეთარისა უწესოებისათჲს, თუ რაჲდ სახლთა შინა ღმრთისათა ესრეთ ჰყოფთ, ხოლო იგინი მოგვიგებუნ, ვითარმედ ღმრთისაჲ წესი არა



რად არს არანმიდაი, არცა რად სირცხვილი და არცა დაფარულიო. და ესევი-  
თარი საქმე მის წინაშე არცა რად არანმიდებად შეირაცხებისო.

ჟ, პირი ამაოსა მეტყუელნი, რომელნი ესრეთ ზრახვენ, უკეთუ ესრეთ არს  
სიტყვსაებრ მათისა, რადსათვსლა თვთცა არა ჰყოფენ ეკლესიათა შინა ღმრთი-  
სათა ესევითართა უწესოებათა, რამეთუ კაცი უპატიოსნეს არს პირუტყვთა  
და უფროსლა ძალთა, რამეთუ არა სადა სმენილ არს ესე, არა უწყებულ,  
თუმცა ეკლესიათ(183r)ა შინა წმიდათაგანსა ვისმე პირუტყვი ებრძანებინოს  
შეყვანებად, უფოსლა კრძალვად და შორს ყოფად განუწესებოესთ ესე ვითართა.

ხოლო მეექუსის კრებისა კანონთა შინა მოიხსენებს ესრეთ, ვითარმედ:  
„დალაცათუ ძნელ არს და უკადრებელ სახლთა მიმართ ღმრთისათა შესლვა  
პირუტყვთაო, არამედ უკუეთუ მათა შინა, ანუ გზათა ზედა ოჯერი ეკლესია  
იყოს და ზამთრისა მიერ ძნელისა იძულებული კაცი შევიდეს პირუტყვთურთ,  
რადთა არა ბუქისა მიერ და თოვლისა იზღვნენ კაცნი ესე, არა დასასჯელ  
არსო, რამეთუ შაბათი კაცისათვს დაეზადა, არა თუ კაცი შაბათისათვს, ხოლო  
სიყტვთა არა რომლითა მიზეზითა ჯერ არს პირუტყვთა შეყვანება სახლთა  
შინა ღმრთისათაო.

უკეთუ ჯერ ვიდრემე იყო ეკლესიასა შინა ღმრთისასა შეყვანება პირუ-  
ტყვთა, მასცა არა წმიდათა ნამეტნავი სამე იყო კურთხევად ეკლესიათა და  
დასხმა მათ შინა წმიდათა ნაწილთა და ცხება მირონთა და სხუად იგი ზეგარ-  
დამო მოცემა მღდელთმთავართა მიერ.

უკეთუ შეყვანება არანმიდათა პირუტყვთა არარად სავენებელ არს, არ-  
ცალა ნაწილნი წმიდათანი დაცხება მირონთა სარგებელ და თუ ესენი წმიდა  
ჰყოფენ, იგინი არა წმიდა იქმენ.

მოიხსენეთ ბრძანება უფლისად, ვითარ რად იგი ქმნა შეურაცხებასა ზედა  
ტაძრისასა, ვითარ იგი შექმნა შოლტი საბელისა და ეკლესიით განხსნა მეკერ-  
მენი და ტრედის მსყიდველთა მათ დაუთხია კერმა (მათე 21,12) და სხუად რა-  
ოდენი წერილ არს წმიდა სახარებასა შინა: „და ჰრქუა მათ: ნუ ჰყოფთ სახლსა  
მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო, რამეთუ წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ  
სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიესთ ქუაბ ავაზაკთა“ (იოანე 2,14).

(183v) იხილეთ ბრძანება ესე სამეუფო, ვითარ რადსა ჰყოფს, უკუეთუ  
სავაჭროთა და ტრედთა შეყუანებისათვს ესეოდენი შური იძია და ყოველივე  
დაუთხივა და რისხვთ განასხნა და ქუაბ ავაზაკთა უწოდა.

ხოლო რომელმან ნეფსით არანმიდანი პირუტყვნი შეიყვანნეს, მათ რადლა  
უნდა ეყოს, ანუ ეკლესიათა მათ რად ეწოდოს, ქუაბ ავაზაკთა, ანუ შესაკრე-  
ბელი არა წმიდათა.

რამეთუ ღმერთმან მიუწდომელმან არსებითა და უხილავმან დასაბამსა  
შექმნა რად კაცი ხატებად და მსგავსებად თვსსა, ვითარცა წერილ არს: თქუა  
ღმერთმან, ვქმნნეთ კაცი ხატად და მსგავს ჩუენდა, ეგრეთვე ხილულნი ესე  
დაბადებულნი უხილავისა მის და ჩუენგან უცნაურისა საქმისა მცირედ რამე

და აჩრდილის სახედ მსგავს და მობაძავ ყო, ვითარცა იტყვს მოციქული: „რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისათ ქმნილთა მათ შინა საცნაურად იხილვების“ (ჰრომაელთა მიმართ 1,20), რაათა ამიერ გულისხმა ვეყუნეთ უხილავნი იგი საქმენი და მით სათნო ვეყუნეთ უფალსა.

რამეთუ ხილულსა ამას შინა სოფელსა არს ხელმწიფება და მონება, სიმდიდრე და საგლახაკე, პატივნი და შეურაცხებანი, საშუებელნი და სატანჯველნი. ესე ყოველნი და სხუანი უმრავლესნი რავდენნი არიან სოფელსა ამას შინა და რავდენნი გულისხმა იყოფებიან, რაათა ხილულითა ამით და წარმავალითა უხილავნი იგი და წარუალნი გულისწმა ვეყვნეთ. თუ რავდენნი გემოვნება აქუს მწვირისა მსგავსისა ამის სანუთოსა გემოვნებასა მიღევნებულთათჳს საშუებელთა და სიმდიდრეთა, ანუ ქებათა და პატივითა.

(184r) ეგრეთვე ჭირნი და სატანჯველნი, უპატიობანი და სიგლახაკენი და უხილავთა მათთჳს და წარუალთა ზედა გამოსახენ, ვითარცა პირველ სჯულისა მამათმთავართა ყუჴს და სათნო ეყუნესთა დიდი აბრაჴამ და ისაკ და იაკობ, მელქისედეკ და იობ და სხუანი მრავალნი, ვიდრე მოსესადმდე, რამეთუ მუნამდე არა იყო სჯული და ესრეთ ხილულითა ამით უხილავნი გულისწმა-ყვნეს და იცნეს დამბადებელი და ნებასა მისსა ჰყოფდეს და უკეთუ ესრეთ არა შეემზადნეს და შეემკვნეს ჴელოვანთმთავარსა მას და სიბრძნით გამგებელსა ყოველთასა, ვითარ გულისწმა იყოფებოდეს უხილავნი იგი და ჩუენგან უცნაურნი საქმენი. ანუ პატივნი და პატიჴნი, გინა საშუებელნი და საგუემელნი, გინათუ კრძალულებით მსახურება ჩუენგან უხილავისა და მოუნდომელისა ღმრთისა.

რამეთუ კაცნი მოკვდავნი და სწორბუნებანი ჩუენნი, რომელთა ზედა აცუძლურება, დაღათუ მთავრობითა და ჴელმწიფებითა შემკობილ იყოს. იხილეთ, ვითარსა პატივსა და შიშნეულსა მსახურებასა ეძიებენ ჩუენგან. რავდენნილ უმეტესად თანაგუაც უგანკრძალულესი და უმოსწრაფესი მსახურება მეუფისა და შემოქმედისა ყოველთასა, რამეთუ მეფენი ქუეყნისანი ერთგულთა და კრძალულთა მონათა ნიჭითა და პატივთა მიანიჭებენ. ეგრეთვე ურჩთა და თავჯედთა სტანჯვენ და პირისაგან თჳსისა განიშორებენ. ამიერ, ჯერ არს გულისწმაიყოფა და ცნობა უხილავისა და გამოუთქმელისა ღმრთისათვის, თუ ვითარ მოშიშთა მისთა პატივსცემს და ადიდებს და შეურაცხისყოფელთათჳსთა შეურაცხყოფს და სტანჯავს, ვითარცა იტყვს წინასწარმეტყუელისა მიერ: „მე მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე და შეურაცხი(184v)სმყოფელნი ჩემნი შეურაცხვენი, უკუეთუ ეგების, რაამცა კაცმან ვინმე ხორციელთა უფალთა წინაშე უშუერი რაამე საქმე ქმნას, ანუ პირუტყვი არა წმიდა თვნიერ ნებისა მისისა შეიყვანოს და არა ერიდოს, ვითარ არა ბრალეულ იქმნას კაცი იგი და ღირსი თავხედობისა და უგუნურებისა თჳსისა პატიჴი მიიღოს, ვითარცა უშუერთა საქმითა მკადრებელმან წინაშე მისსა. რავდენ უმეტეს დასასჯელ არიან, რომელთა იკადრონ სახლთა შინა ღმრთისათა უშუვერთა რაათმე

საქმეთა ქმნად, ანუ შეეყვანებად პირუტყვთა და მათცა არანმიდათა. გულისწ-  
მა-ვყავთ ღმრთის მოყვარენო, თუ ვითარ ეკლესიათა მიმართ ღმრთისათა  
ესრეთ უკრძალველ არიან და წმიდათა საიდუმლოთა მიმართ წარმდებ, რაჲღა  
ვინ თქუას მათისა მის უნესობისა და მამათა მიმართისა სჯულისდებისა და  
საზღვართა შეურაცხებისა.

ან იხილეთ ესე ძმანო, თუ რაჲსა ჰყოფენ იგინი, რამეთუ სახლთა შინა  
საეროთა ჟამსა სწირვენ და მეძავთა სახლსა შინა დიდთა საიდუმლოთა აღას-  
რულებენ და წმიდათა ეკლესიათა შინა ძალთა შეეყვანებენ, რამეთუ ვი-  
თარცა იგი უჯერო არს უეკლესიოდ და საეროთა სახლთა შინა ჟამისწირვად,  
ეგრეთვე უშუჭრ არს და უმსგავსო სახლთა შინა ღმრთისათა პირუტყვთა  
შეყვანებად.

### **XXXVIII თავი. აღმწერალი ამის წიგნისა სიტყუაჲსა-შებჲს ჰაპის მოსაჲთა.**

ვინათგან ერთგზის ვინებე ამის პირისათჳს სიტყვაჲ და ჴელვყავ აღწერად,  
მრავალი სხუად მენება თქმად, არამედ ყრმათა უცალოებამან არა მიტევეს  
უმეტესისა თქმად: დალაცათუ უცებ ვა(185r)რ გონებითა, არამედ არაცნობით-  
აცა. რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ სული ღმრთისად მანუჭვს ამას ყოველსა, ვი-  
თარცა იტყვს წინასწარმეტყუელისა მიერ: „აღალე პირი შენი და აღვაგსო იგი“. და  
მოციქული იტყვს, ვითარმედ: „არავის ხელენიფების თქმად, უფალო, იესო  
გარნა სულითა წმიდითა“. და შემდგომი. ამით სასოებითა ან კუალად აღვალო  
პირი და ვიტყოდ: დალაცათუ იგინი მაცუჭდრებელ ჩუენდა არიან და მრავ-  
ლითა რაჲთმე შეურაცხებითა და ამპარტავნებითა დაგვსჯიან, არამედ ჩუენ  
არა ვერიდნეთ ყუჭდრებათა მათთა, არცა შევშინდეთ შიშითა, სადა იგი არა  
ჯერ იყოს შიში, რამეთუ აღთქმულ არს ჩუენდა მიმართ უტყუელი ბრძანებაჲ  
უფლისაჲ, ვითარმედ მე მოგცე პირი და სიბრძნე და ვერ უძლონ ყოველთა  
წინააღმდგომთა თქვენთა სიტყვს გებად და წინააღმდგომად თქვენდა. იგინი  
იქადიან ჩუენ ზედა და დიდად მალლოიან სიბრძნითა და ფილასოფოსობითა  
ჴორციელითა და ჩუენ უსწავლელად შეურაცხეთ, ხოლო ჩუენ მოციქულნი  
უწიგნონი და სულელნი წინაუყვნეთ და სიტყვაჲ იგი პავლესი, ვითარმედ:  
„სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაითა არცხვნოს ბრძენთა  
მათ და უაზნონი იგი და შეურაცხნი გამოირჩინა, რაჲთა არცხვინოს ძლიერთა,  
რაჲთა არა იქადოს ყოველმან ჴორციელმან წინაშე ღმრთისა“ და კუალად,  
ვითარმედ: „სიბრძნე იგი ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა“, და  
კუალად: „წარვსწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთა და მეცნიერებაჲ იგი მეცნი-  
ერთა შეურაცხვყო“. და შემდგომი.

უკეთუ იქადონ მეფობითა და ძლიერებითა და სიმდიდრითა. ჩუენ სიგლახაკე  
იგი ქრისტესი და სიმდაბლით მოსლვა მისი წინაუყოთ, რომელსა არა რა აქუნდა

ყოვლადვე, არცა სახელი, არცა ადგილი, სადა თავი მიიდრიკოს, ვითარცა თვთვე ბრძანებს, ვითარმედ: „მელთა ჴურე(185v)ლი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“.

უკეთუ ქალაქთა სიდიდე და ქუეყანათა სიმრავლე იქადონ ჩუენ ზედა, მოვიხსენოთ მცირე იგი ქალაქი და ყოველთა მიერ დაწუნებული ბეთლემი, რომელსა შინა იშვა მეუფჴ და არცა მუნ აქუნდა ადგილი, არამედ მცირე ქუაბი და ბაგა და მერმე ნაზარეთს შინა აღზრდა მისი, რომელი იყო უმცირესი ყოველთა ქალაქთა შორის, ვითარცა განკვრევებით მოიწსენებს მახარებელი სიტყუასა მას სანინასწარმეტყველოსა, ვითარმედ: „ნაზარეველ ენოდოსო“ და კუალად ფილიპეს მიმართ რაჲსა იტყვის ნათანაელ, ვითარმედ: „ნაზარეთით შესაძლებელ არს კეთილისა რაჲსამე ყოფად“.

უკეთუ სამოთხეები და მტილები და წყალთა სიმრავლე და შადრევნები იქადონ, კუალად მოვიწსენოთ სიგლახაკე იგი ქრისტესი, რომელი დიდად დამაშვრალი სიცხისა და წყურვილისაგან ჯურღმულსა ზედა წყალსა ითხოვდა დედაკაცისა ცოდვილისაგან, რომელსა პირველვე მოასწავებდა წინასწარმეტყუელი, ვითარმედ „ნაღვარევისაგან გზასა ზედა სუას“.

უკეთუ მრავალთა და თითოფერთა სანოვაგეთათვის იქადოდიან, კუალად მოვიწსენოთ მეუფისა იგი, ვითარ მცირედისა ქრთილისა პურით და ორითა თევზითა ისტუმრა სიმრავლე მამათა და დედათა უდაბნოსა ზედა და წმიდათა წინასწარმეტყველთა ნაკულოვანებაჲ და მარხვა და წმიდათა მოციქულთა მიმდემი შიმშილი და წყურვილი, ვითარცა იტყვს დიდი იგი მნათობი პავლე, ვითარმედ შიმშილითა მრავალგზის და სხუაჲთა ყოველთა წმიდათა მარხვა სამარადისო.

ხოლო უკეთუ გუჴქადოდიან ძლიერე(186r)ითა და სიმდიდრითა და უმეტესად ამას ზედა იქადიან და გუჴტყვან, ვითარმედ: ჩუენ ძლიერ ვართ და მდიდარ და ყოვლითურთ თავისუფალ, ხოლო თქვენ დასჯილ და დაგლახაკავებულ და მოხარკეთა ჴელთა ქუეშჴ დამონებულ, კუალად მოვიწსენოთ ქრისტესი იგი, რაჴამს ხარკი მისცა კეისარსა, ვითარ იგი ეტყოდა პეტრეს: „მიეც შენთვს და ჩემთვს“ და ჴურიათა ეტყოდა: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღმრთისა ღმერთსა“. და პავლე იტყვს: „მიეცით საზუჴრსა საზუჴრი, საშიშსა – შიში, პატივსა – პატივი“. და კუალად იტყვს: „უკეთუ ძალ-გედვას თავისუფლებაჲ, უფროსლა მონებაჲ იჴუმეო“.

კუალად მოვიწსენოთ წმიდათა მამათმთავართა და წინასწარმეტყუელთა და ყოველთა წმინდანთა ცხოვრებაჲ, თუ ვითარ სამარადისოსა ჴირითა და შრომითა და მრავლითა განსაცდელითა იქცეოდეს. მოვიწსენოთ აბრაჴამისი იგი მწირობაჲ უცხოებით სივლტოვაჲ, და ისაკ და იაკობისი და სხუათა მათ მამათმთავართა მწირობაჲ და ადგილით-ადგილად სივლტოლაჲ და მეფეთა მძლავრთა ქუჴშე შიშნი და დევნანი და ყოველთა წინასწარმეტყუელთა მრავალფერნ ჴირნი და განსაცდელნი და სიკუდილნი. მერმე წმიდათა მოციქულთა ფერად-ფერადნი სასჯელნი, შიშნი და განსაცდელნი და მარადდლე სი-

კუდილნი ქრისტესთჳს სიტყვისაებრ მძლავრისა მათისა, ვითარ იგი ეტყოდა: მიგავლინებ თქუნენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მგელთა და კუალად ეტყოდა, ვითარმედ: სოფლისა ამას ჭირი იგი აქუნდეს, არამედ მნუხარებაჲ თქვენისი ხარულად გარდაიქცეს და კუალად იტყჳს, ვითარმედ უკუეთუ მე მდევნეს, თქვენცა გდევნეს.

კუალად მოიწსენეთ, ვითარ მძლავრი ჰეროდე განცხრომით მჯდომარე არს და უხეშთაესი იგი ყოველთა ნაშობთა შორის დედათა შეკრებილი საპყრობილესა შინა მდებარე იყო. ეგრეთვე ყოველნი წმიდანი შემდგომითი შემდგომად განიცადენ, რომელთა ღირსვე არა (186v) იყო სოფელი ესე, ვითარ დასჯილნი და დამდაბლებულნი უსჯულოთა მძლავრთა ქუცჳშე იტანჯოდეს. მეფენი იგი უღმრთონი: ნერონ და ტრაიანე, დეკოზ და ვალერიანე, მაქსიმიანე და დეოკლიტიანე, და ყოველთა მძლავართა უბოროტესი ივლიანე და მის ჟამისაცა იგი წმიდანი ყოველნი ქრისტიანენი, ვითარ იგინი ზუაობით და ნეზიერად მსხდომარე იყუნეს და ესე ყოველნი ვითარსა შიშსა და ძრწოლასა და სატანჯველსა შინა იყუნეს, რამეთუ არაოდეს ყოფილ არს ეკლესია ქრისტესი მტრისა მიერ უბრძოლველი და გამოუცდელი სიტყჳსაებრ იგავისა: რომელი უყუარს უფალსა, სწავლის და სტანჯის, ყოველი შვილი, რომელი შეიყუარის, ხოლო უკეთუ შორს ხართ სწავლისაგან მწირნი, ვიდრე ხართ და არა შვილნი. და კუალად მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იწსნეს იგინი.

რამეთუ ჩუნენ მრავალფერითა ამით ჭირითა და განსაცდელითა მოველით უოხჭნოსა ცხოვრებასა და სიხარულსა გამოუთქმელსა, რაჟამს გამოაცხადნეს ცხოვრებაჲ იგი ჩუნენი ქრისტე, ხოლო რომელნი იშუცბენ სოფელსა ამას შინა და იქადიან სიმდიდრესა დიდებულებასა ზედა, იგინი საუკუნოდ დასჯად არიან, ვითარცა წერილ არს მდიდრისა მისთვის უწყალოსა და ლაზარე იგი გლახაკისა და კუალად, ვითარმედ: „ვაჲ თქვენდა მდიდარნო, რამეთუ მიგიღებთ ნუგეშინისცემა თქუნენი, ვაჲ თქვენდა განმადარნო, რამეთუ გშოოდის და ვაჲ თქვენდა, რომელნი იცინოდით, რამეთუ სტიროდეთ და გოდებდეთ“ და კუალად იტყჳს წინასწამეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრითა თჳსითა, ნუცა ძლიერი ძლიერებითა თჳსითა, ნუცა ბრძენი სიბრძნითა თჳსითა“.

კუალად მოვაქცევ სიტყვასა ჩუნენსა და ვეტყჳ მათ: ნუ გუცქადიან იგინი ძლიერებითა, ნუცა სიბრძნითა, ნუცა ქალაქთა სიდიდითა და სიმ(187r) დიდრითა, ნუცა ტაძრებითა და პალატებითა, ნუცა სხჳთა რომლითამე სოფლისა ამის საშუცბლითა. მოიწსენონ ხილვა იგი და გამოცხადებაჲ წმიდისა ღმრთისამეტყუელისაჲ იოანესი, რომელსა მოასწავებს მათთჳს სახელითა ბაბილოვნისათა, რამეთუ მე ესრეთ მგონიეს, ვითარმედ თჳთ ჰრომისათჳს იტყჳს და არა ბაბილოვნისათჳს და ერთსა ვისმე წმიდათაგანსა სახელდობით ჰრომისათჳს უთარგმნია და ესრეთცა არს, რამეთუ ჰრომსა ზედა იტყჳს და

არა ბაბილოვნისათჳს, რამეთუ ყოველნი წინასწარმეტყუელეზანი და მოსწავეზანი იგავით და მიფარულად იქმნების და ითქმის და არა განცხადებულად და მასვე ჟამსა საცნაურად, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ წინასწარმეტყუელეზაჲ წიგნისა თჳსისა თავისა არა სათარგმანებელ არს, უკეთუ მცა მაშინვე სახელდებით ჰრომსა ზედა ვთქუა, ვითარ ეგებოდა, ანუ ვითარ არა დაბრკოლდებოდეს ახალ მოქცეულნი იგი ქრისტიანენი, ანუ რომელთა სასოებითათვის ისხმიდენ ესეოდენთა სატანჯველთა მაშინდელნი იგი წმიდანი, ვინათგან ესრეთ მოძაგებად იყო ბაბილოვანი, არამედ აწინდელთა და უკანასკნელ ესეოდენთა უწესობათა და ამჰარტავნებათათჳს მოასწავა, ვითარცა წერილ არს, მოწსენებულ იქმნა ბაბილოვანი დიდი წინაშე ღმრთისაჲ.

და კუალად: „დაეცა ბაბილოვანი იგი დიდი და იქმნა სამკჳდრებელ ეშმაკთა და საყოფელ ყოვლისა არანმიდებისა სულისა“. და შემდგომი. ამას ყოველსა ჰრომისათჳს იტყჳს და არა ბაბილოვნისათვის, რამეთუ სახელითა ბაბილონისათა დაჰფარავს მას შინა გამოჩინებულთა წმიდათათვის, რამეთუ ბაბილოანი შერეულად გამოითარგმნების და იგი არს შერეული სარწმუნოებითაცა და სიტყვთა მრავლითა უწესობითა.

(187v) და ესეცა არა საკჳრველ არს, რაჲთა სახელნი ესე ეწოდებოდის, რამეთუ წეს არს საღმრთოთა წერილთა შინა, რაჲთა ოდეს წმიდათაგანსა ვისმე ენებოს მხილებაჲ და ყუჭდრებაჲ და მოასწავებდენ დაცემასა, რომელთამე ქალაქისასა სხჳთა, სახელითა იტყჳან, ვითარცა ჳმამალაღი ესაია მოასწავებდა დაცემასა და ოწრებასა იწრუსალიმისა და მის შორის მყოფისა ერისა ისრაჳლისასა, სოდომისა და გომორისა სახელითა შეასმენს და იტყჳს: „ისმინეთ სიტყვა უფლისაჲ მთავართა სოდომისთა და ერჩდით სჯულსა უფლისასა ერი იგი გომორისა, რამეთუ რაჲ იგი უკანასკნელ შემთხუევად იყო იწრუსალიმსა და ოდეს იგი ჯუარს აცვეს უფალი და ჳელითა წარმართთა მოოწრდენ“, ესრეთ პავლე მოასწავნეს და კუალად სხუაჲ წინასწარმეტყუელი იტყჳს: „გჳკურნებდით ბაბილოვანსა და არა იყო კურნებაჲ“. მე ვჰგონებ, ვითარმედ ამასცა უმეტესად ჰრომსა ზედა იტყჳს და მსგავსთა მისთა ქალაქთა ზედა და არა ბაბილონსა ზედა, რამეთუ ძულსა მას ნაბუქოდონოსორის მიერ აღშენებულსა ბაბილონს არავინ კურნებდა, არცა წინასწარმეტყუელი იღუწიდეს მისთჳს, არცა ვინ მოციქულთაგანი მიწევნულ არს მუნ, ეგრეთვე მახარებელი ესე მოასწავებს და წინასწარმეტყუელი იტყჳან ჰრომისათჳს სახელითა ბაბილონისათა. მოციქულიცა პეტრე ჰრომს ბაბილონად უწოდს, ვითარ იგი დასწერს კათოლიკეთა შინა, ვითარმედ: „მოიკითხეთ ძე ჩემი მარკოზ, რომელ არს ბაბილოანს შინა“. ესე იგი არს ჰრომს შინა და უკეთუ ესრეთ არა იყოს, ოდეს მიწევნულ იყო მარკოზ ბაბილონს, (188r) ანუ სადა წერილ არს მისლვა მარკოზისი ბაბილონს, რამეთუ არცა ერთისა სხჳსა მოციქულთაგანისა სმენილ არს ბაბილონს მიწევნა, ეგრეთვე არცა მარკოზ, არამედ ვითარცა ვთქუ, ჰრომს უწმობს ბაბილონად და წმიდაჲ მახარებელიცა ბაბილონს სახელითა მოასწავებს დაცემასა

მისსა და ერთსა ვისმე მთარგმნებელსა, ეგრეთ დაუნერია, ბაბილონად ჰრომსა იტყვისო, ვინათგან წმიდანი ესე თავნი მოციქულნი ესრეთ მოასწავებენ, ჩუენ რაჲსათჳსღა ერთ მყუჭდრებელ გუჭქმნებიან.

იტყჳს კუალად წინასწარმეტყუელი: „იგლოვდინ ფიჭჳ, რომეთუ დაეცა ნაძჳ“. ესე იგი არს, უკეთუ ნაძვი იგი ლიბანისა, რომელი უმაგრეს არს ფიჭვისა, რამეთუ საღმრთოთა წერილთა შინა უმაგრესობაჲ და უმჯობესობაჲ მისთჳს წერილ არს და სოლომონის ტაძრისათჳს უპატოსნესად ნაძუნი მოედღუანებოდეს, უკეთუ ნაძვი დაეცა და შეიმუხრა, ფიჭვისათჳს არღარა ძნელ არს დაცემად, უკეთუ აღმოსავლეთისა ეკლესიანი ესრეთ ნუართა და ესრეთ განსწავლნა ღმერთმან, დასავლეთისა ეკლესიანი ნუ მალლოიან, უკეთუ ღმერთმან ბუნებითა მათ რტოთა არა ჰრიდა. შენ მას ზედა დამყნილსა გეშინოდენ, ვითარცა იტყჳს მოციქული: „არცა თუ შენ გიტვირთავს ძირი იგი, არამედ ძირსა მას შენ“. და შემდგომი. ესე ყოველი განიცადეთ და გეშინოდენ, ნუსაღა უსასტიკესი რაჲმე მოინიოს თქვენ ზედა, რამეთუ წინასწარმეტყუელიცა შეასმენს ესევეთართა მათ და ეტყჳს: „ღმერთო, რომელი შენ დაეც, მათ დევნენს იგი საღმობასა წყლულთა ჩემთასა შესძინეს. შესძინე უსჯულოებაჲ უსჯულოებასა ზედა მათსა“. და შემდგომი. ამი(188v)სთჳს არა ჯერ არს ყუჭდრებაჲ და წარბაღლობაჲ. ნუუკუჭ მათ ზედაცა მოინიოს ესევეთარი რაჲმე და აღესრულნენ თქმულნი იგი მოციქულთა და წინასწარმეტყუელთანი, რომელნი მათთჳს მოასწავნეს, არამედ ვითარცა ქადაგებაჲ იგი იოანესი დაქცევისათჳს ნინევისა განაცრუა კეთილითა სინანულითა მათითა და გარე წარაქცივა რისხვა იგი მათ ზედა მონევნადი. ეგრეთვე ყოს უფალმან შეერთებაჲ ორთავე ერთად და შუა კედელი ზღუდისა მის დაჳსნას მოქცევითა და სინანულითა მათითა, ხოლო უკეთუ ესე არა იქმნას, ჩუენ მცირედითა ამით ჭირითა მოველით უოხჭნოსა ცხოვრებასა, რამეთუ ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისა მისთჳს დიდებასა, რომელი გამოჩინებაჲდ არს ჩუენღა მომართ და ეკლესიანი ჩუენნი მოელის კუალად განთავისუფლებასა და მრავლისა ამის ჭირისა ნაცვლად გვრგვნსა ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა გამოცხადებასა შინა მოასწავა ჭირი და განსაცდელი ეკლესიათა. მერმე თავისუფლებაჲ და წარმატებაჲ დიდებასა შინა საღმრთოსა, ხოლო ბაბილონისა სრულიად მოოჭრებასა და დაცემასა. ესე ყოველი განიცადეთ და იხილვეთ, შეძრწუნდით და შეშინდით და მოაქციეთ უფლისაჲ და დაემორჩილეთ სჯულსა მისსა, ამინ.

**(189r) ზანდუკი ნიგნისა ამის, რომელსა გურდემლ ეწოდების,  
რომელსა შინა თითუცლად განგიმარტავს მიზეზსა და  
რომელსა ყოველსავე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი  
რომლისა მიზეზისათვის არს.**

ა. პირველი შესავალი ნიგნისა ამის, რომელსა შინა გუანყებს მწვალებელთა განდგომილებასა, თუ რომელი რომლისა ჟამსა და რომლისა მიზეზისათვის განდგომილ იქნეს.

ბ. სარწმუნოებისათვის წმიდისა და თაყვანისცემულისა სამებისა.

გ. წმიდისა და ცხოველსმყოფელისა სულისათვის.

დ. სიყვარულისათვის, თუ ვითარ პაპის მოსავენი სულსა წმიდასა უწოდენ.

ე. ქრისტეს მიერ შებერვისათვის, რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა.

ვ. სიტყვსა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“.

ზ. სიტყვსა მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა და

ჴ. პაპის უფროსობისათვის, ვითარ იგინი ყოველთა პატრიაქთა უფროსად და უმეტესად ხადიან.

თ. სიტყვსა მისთვის უფლისა და რაჟამს ჰრქუა პეტრეს: „სიმონ, სიმონ, აჴა, ესერა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქუენ, ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი“.

ი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა პეტრეს: „გიყვარ მე? და ვითარმედ: დამწყემსენ ცხვარნი ჩემნი“.

ია. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მონაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად? ხოლო პეტრე მიუგო: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა და!“

იბ. სიტყვსა მის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე!“

(189v) იგ. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰრქუა ქრისტემან პეტრეს: „მიგცე შენ კლიტენი სასუფეველისანი და რომელი შეკრა კრულ იყოს“ და შემდგომი.

იდ. განსაწმედელისათვის, რომელსა იტყვან, ვითარმედ ჯოჯოხეთს შინა კაცისაო.

იე. სიტყვსა მისთვის, ესაია წინასწარმეტყველისა სახლი იწრუსალიმისა, განწმიდოს უფალმან შორის მისა სულითა სასჯელისათა სულითა შემწველითა.

ივ. სიტყვსა მისთვის მოციქულისა, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცხადების კაცად.

იზ. სიტყვსა მისთვის სამეფოსა, ვითარმედ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწვლილი;

იჴ. სიტყვსა მისთვის, ვითარმედ გან-რა-ვიდენ სულნი ხორცთაგან, აწვე მიწვეიან ადგილთა მათთვის განჩინებულთა პირველ-მეორედ მოსლვისა.

ით. სიტყვსა მისთვის, ვითარმედ ქრისტე არა მიწვეულ არს საუკუნესა ჯოჯოხეთსაო და თუცა შთასრულ იყო, ვერ გამოვიდოდაო.



კ. ნათლისღებისათვის, ვითარ ჩუენ ემბაზსა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოშობითა ნათელვილებთ და იგინი არა;

კა. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაასათვის ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა წმიდითა.

კბ. დედათა მიერ ნათლისცემისათვის, რომელსა იგინი ჰყოფენ, რამეთუ ყრმათა მათთა უმღღლოდ დედანი ნათელს სცემენ.

კგ. ლოცვისათვის სიტყუა, თუ რაასა მიზეზისათვის იგინი არა ითხოვენ განწესებისაებრ მამათასა.

კდ. სიტყუა აღმოსავლით ლოცვისათვის, თუ ვითარ იგინი არცა (190r)ამას ზედა იმარხვენ განწესებასა წმიდათასა

კე. სიტყუა წმიდისა ჟამისწირვისათვის, თუ ვითარ იგინი სხუჭბრ და არა განწესებისაებრ მოციქულთასა აღასრულებენ.

კვ. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირვენ სახლთა შინა საეროთა.

კზ. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა საკურთხევლად აღიყვანებენ და აზიარებენ.

კწ. სიტყუა უცომოხსათვის, თუ ვითარ იგინი უცუმოხთა სწირვენ და ჩუენ ცომოვნითა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა.

კთ. სიტყუა წმიდა ზიარებისათვის, თუ ვითარ იგინი ლიტუნითა სეფისკვერითა აზიარებენ და სისხლსა არა მისცემენ.

ლ. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რასათვის უმანკუთა და უასაკოთა ყრმათა არა აზიარებენ.

ლა. სიტყუა წმიდათა საღმდელთა შეერთებისათვის, თუ ვითარ წინააღმდეგომ არიან მოციქულთა და წმიდათა მამათა.

ლბ. სიტყუა მარხვისათვის, თუ ვითარ იგინი არლარა იმარხვენ, არამედ ყოველსავე ურიდად ჭამენ.

ლგ. სიტყუა, თუ რაისათვის ოთხშაბათსა სჭამენ და შაბათსა იმარხვენ.

ლდ. სიტყუა მარხვისათვისვე, თუ რაასათვის მოგუჭცნეს წმიდანი ორმეოცნი ანუ სხუენი იგი მარხვანი.

ლე. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაასათვის ყოველსა არა წმიდასა სჭამენ და სისხლსა და დამშთვარსა იწუმევენ და სიძვასა ურიდად ერევიან.

ლვ. სიტყუა, თუ რაასათვის დედათა წიდოვანთა საკურთხევლად აღიყვანებენ და აზიარებენ.

(190v)ლზ. სიტყუა პირუტყვთა შეყვანისათვის ეკლესიასა შინა, თუ რაასა მიზეზისათვის ჰყოფენ იგინი.

ლწ. აღმწერელი ამის წიგნისა კუალად სიტყვასა უგებს ლათინთა პირის დასაყოფად მათდა.

## „ბრღემალი“ სხვაგვარი რედაქცია (ხეც. S-286)

(1r)[მ]ზისა ბრწყინვალეებისაგან და ვითარცა ჰაერისა ამის განფენილისა, რომლისა მიერ აქუს ყოველთა ცხოველობაჲ, ვითარცა მდინარეთაგან ცხოველს მყოფელთა, ვითარცა წერილ, ვითარმედ წყალთა მრავლითა დაფარნეს პირნი ყოვლისა სოფლისა, ეგრეთ სავსე არს, ვითარცა ვთქუ ყოველი ეკლესია საღმრთოთა მოძღვრებათა მიერ და არღარა საწმარ არს ახალთა რათმე აღწერა, გინა გამოთქუმა, უკეთუ ოდენ კეთილთა და გულისწმის-ყოფით და სარგებელად ვინმე იკითხვიდენ, გინა ისმენდენ.

არამედ არიან კაცნი, რომელნი არა მიხედვენ საღმრთოთა წერილთა, არცა გულისწმის-ყოფით და შიშით გამოეძიებენ და სრულიად დაბრმობილ არიან, ვითარცა თუალტკივნეულნი არა მიხედვად ბრწყინვალეებისა მიმართ მზისა. ამისთვის იტყვს წინასწარმეტყუელი: „უგუნური და უცნობო ერთბამად წარწყმდენ და ვითარცა ცხოვარნი ჯოჯოხეთსა მიეცნენ და სიკუდილი მწყსიდეს მათ ზედა, ხოლო არიან სხვანი, რომელნი იკითხვენ და არა გულისწმის-ყოფით გამოიკულებენ, არცა ზედა მინევნით გამოეძიებენ, ვითარცა პირუტყვი არა წმიდანი მიიღებენ საზრდელსა მათდა მოცემულსა და არა აღმოცოხნიან, არცა დაანულილებენ, არამედ განურჩეველად შტაბნევენ შინაგანთა თვსთა“. მათთვის იტყვს წერილი: „წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან (1v) უდებებით-ყოს საქმე ღმრთისა“ და კუალად წინასწარმეტყველი იტყვს: „ვიხილენ უგულისწმონი და დავდნებოდე“.

ვითარმედ არიან კაცნი, რომელნი სურვილით იკითხვენ და გულსმოდგინედ ისმენენ, არამედ არა სარწმუნოებით, არცა კრძალულებით გამოეძიებენ, არამედ თავით თვსით გარდააქცევენ და სხუად სახედ გარდაგულარძნიან და მსგავსად გონება ცთომილებისა მათისა, ვითარცა ენებოს ეგრეთ სთარგმნიან. ესევეითართავს წერილ არს დავითის მიერ: „წყეულ არიან, რომელთა გარდაიქციენ მცნებათაგან შენთა“ და ესაიას მიერ იტყვის წინასწარმეტყუელისა, ვითარცა მათდა, რომელთა მდინარე წმიდა ყოვლად სუმისა მათისა ფერჯითა აღამღურიან და დათრგუნვილსა ფერჯთა მათთასა ცხოვართა ჩემთა ასმიდინან. ხოლო არიან სხვანი, რომელნიმე კაცნი, უკეთუ აწ არიან სადამე, რომელნი გულისწმისყოფით გამოეძიებენ და მრავლითა სურვილითა გამოიკვლევენ და ზედამინევნით ისმენენ და გულისწმყოფენ საღმრთოთა წერილთა და აღმოცოხნიან და დაანულილებენ მსგავსად საცხოვართა წმიდათა და განიძლებენ სურვილსა თვისსა ამათ ჰნატრის სული წმიდა და იტყვის: „ნეტარ არიან, რომელნი გამოიკვლევენ წამებათა (2r) მისთა, ყოვლითა გულითა გამოიძინენ იგი“. და თვით თავადი ქრისტე ბრძანებს: „არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინენ სიტყვა ღმრთისა და დაიმარხონ და ყონ იგი“, არამედ მტერი ბოროტი მარადის უმზერის თითოეულად კაცად-კაცადსა და ზოგად ყოველთა დაბადებულთა, თუ ვითარ სადმე პოოს თესლთა კეთილთაგან და შეუროს ღუარძლი

იფქლსა შორის იგავსა მისებრსა ხარებათა შინა წერილ არს: „მსგავს არს სასუფეველი ღმრთისა კაცისა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვისსა და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ლუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა, ხოლო ოდეს აღმოსცენდა ჯეჯილი იგი და ნაყოფი გამოილო, მაშინ გამოჩნდა ლუარძლი იგი. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა და ჰრქვეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესა აგარაკსა შენსა, ვითარ აღმოსცენდა ლუარძლი. ხოლო მან ჰრქვა: „არა ნუ უკუე შეკრებასა ლუარძლისასა აღმოფხურათ იფქლიცა, აცადეთ იგი თანა აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამამდე მკისა და ჟამსა მკისასა ბრძანა მომკალთა მათ, შეკრიბეთ პირველად ლუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რათა დაინუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა (2v) ჩემსა“. ხოლო თავად მანვე გამოგვიცხადა იგავი ესე და თქუა: „რომელი სთევსავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისა არს, ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს, ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესენი არიან ძენი სასუფეველისანი და ლუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურებისანი“, ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს და მკა იგი არს აღსასრული ამის სოფლისა და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი, ვითარცა იგი შეკრიბიან ლუარძლი და ცეცხლითა დანუან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა, რამეთუ მოავლინეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი და შეკრიბნენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი და შესთხინენ იგინი საწმილსა მას ცეცხლისასა, მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა.“ მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე სასუფეველსა მამისა მათისასა, ხოლო ესე ყოველი იგავი მწუალებელთა ზედა თქმულ არს, რამეთუ დასაბამითგან მტერი იგი ბოროტი ეშმაკი არა დასცხრების ჟამად-ჟამად თესვად თესლსა ბოროტსა მორჩილთა მისთა შორის, რამეთუ არა არს დრო, არცა ჟამი, არცა დრო დასაბამითგან, ვიდრე აქამომდე, არცა ძუელთა შინა სჯულ(3r)თა, არცა ახალთა, არცა პირველ ქრისტეს მოსვლისა, არცა შემდგომად ქრისტესა, რომელსამცა შორის არა დასთესნა წვალებისა და გმობისა თვისისა გესლნი, რამეთუ უწვინათგან ერთგვის დაემხუა პატივისაგან თვისისა და მთავრობისა და მიელო პირველი იგი ბრწყინვალეობა. გარდამოითხია, რაათა ქუეყნად დასამკუიდრებლად მიეცა ქვესკნელი, ჯოჯოხეთი. მერმე მოიგონა სიბრძნით დამბადებელმან და განმგებელმან ყოვლისამან მრავლითა მონყალებითა და მიუწდომელითა სახიერებითა თვისითა კაცი მიწისაგან და შთაბერა სული ცხოველი და შეაერთა უხილავი და ხილული და ესე დაამკვიდრა სამოთხესა მას საშუებელისასა და მისცა სჯული და მცნება, რათა იმარხვიდეს ბრძანებათა დამბადებლისა თვისითა და მცირედითა ამით მცნებათა დამარხვითა მიზეზითა ენება მეუფესა კაცისა მის აღყვანება უხრწნელად და უკვდავად ზეცისა დიდებასა ადგილსა მას, ვინა იგი გარდამოითხია პირველი მთიები. ესე შეშურდა მტერსა ბოროტსა და შეუვიდა გულსა ევას, ვითარცა წერილ არს დაბადებასა შინა: „ეზრახა გუელისა მიერ

და რომლითცა თვით დაეცა განმღრთობისა ქადაგებითა, იგიცა აცთუნა და გამოჴ(3v)ადა და საშუებელისა მისგან სამოთხისა და დაემკვიდრა ჭირმრავალსა და საშრომელსა ამას სოფელსა და უკვდავებისა წილ მოკვდავი იქმნა და ზეცას აღვსლისა წილ მიქცა. მიერთგან დაიპყრა ნათესავი ადამისი მტერმან ბოროტმან და თითო სახეთა და საცთურთა და განსაცდელთა შინა შთაყარა ნათესავი მისი, მერმე აღადგნა კაენ აბელის ზედა და ძმა ძმისა მიერ მოაკუდინა და ასწავა კაცთა შური და მტრობა და კაცის კლვა, მერმე ბილწებით შეაგინნა ყოველი ადამიანი, თვინიერ მართლისა ნოესა და ძესა მისთა, რომელიცა დაიცვნა პირველმან კიდობნისა და განსაცდელითა განსცადა, იობ რაითელი ცხადად გამოითხოვა, რაათამცა ღვთისმსახურება მისი შეანანა და უჴმარყო. ეგრეთვე შედგომითი-შემდგომად ყოველნი წინასწარმეტყველნი მრავალფერთა ჭირითა და ლუანლითა გამოსცადნა მიშუებითა ღმრთისაათა, რათა ჩანდნენ წმიდანი მისნი, ვითარცა ოქრო რჩეულნი განსაცდელთა გამოჴურვილნი და ცრუ იგი დაისა და ცრუ წინასწარმეტყუელნი უმრავლესნი აღადგინნა, რათა მათი იგი ჭეშმარიტი წინასწარმეტყუელება (4r) მტყუვარად გამოაჩინნა, ვითარცა მოსესთვის წერილ არს, რაჟამს ყოფდა ნიშებსა და სასწაულებსა საკვირველსა ეგუიპტეს შინა, მაშინ მისანნი და ქურუმნი ეგუპტიისანი უმრავლესსა ჰყოფდეს მსგავსადვე მოსესსა დადუმებად მოსეს მიერ ქმნილთა მათ საკვირველებათა და სხვათა მათ შემდგომთა წინასწარმეტყუელთა და მართალთა აღუდგინნა შური და მტერობა და გამოაჩინა მრავალნი ცრუნი. ხოლო ვინათგან არა იქმნა კურნება და ჴსნა კაცთა ნათესავისა. თვით თავადი იგი სიბრძნე ღმრთისა ხატი და ძლიერება მამისა თანადაუსაბამო და თანაგანმგებელი ბუნებით თანასწორი ძე და სიტყვა ღმრთისა მოვიდა ზეცით ქვეყნად შემოსად ბუნებისა ჩუენისა და ჴორცთა ამათ მტერისაგან მოუძღურებულთა და დათრგუნვილთა მიღებად, რათა უძღურითა ამით ჴორცითა დასცეს ძლიერი, რამეთუ ყოველითურთ გუემსგავსა, რათა განდგომილნი მტერი შეიტყუოს ადამიანად გამოჩინებითა და მტერი დამცემლი ადამისი დასცეს და შემუხროს და ჩუენ მოგვცეს ძლევა და ვითარცა იგი იქადოდა ჩუენ ზედა, ეგრეთვე ჩუენ ვიქადოდით მას ზედა და მოგვცნა ჩუენ სჯული და მცნება, რათა ა(4v) ღარა ემონებდეთ მტერსა ბოროტსა, არამედ დამარხვითა მით სჯულისათა, ხოლო იგი დაღაცათუ მოუძღურდა და დაეცა და შეიმუხრა, არამედ მცირედ ჟამ ცხოველ არს გამოსაცდელად მონათა ღმრთისათა, რათა ბრძოლითა და მტერობითა მისითა გვირგვინოსან იქმნენ წმიდანი და რჩეულნი ღმრთისანი და დაისაჯნენ უღირსნი და შემწენი უღმრთობისანი და ამით გამოჩნდენ მორჩილნი ღმრთისანი და ურჩნი და გარდამავალნი სჯულისანი სირცხვილეულ იქმნენ. ამისთვის არა დასცხრების, ვითარცა ვთქუ მტერი იგი თესვად ლუარძლისა პირველ ქრისტეს მოსვლისა და შემდგომად ქრისტესა. ხოლო ოდეს მოვიდა ძე ღმრთისა, მოლოდება იგი წარმართთა მაშინ უმრავლესნი ღონენი აღძრნა და ეკუეთა კლდესა მას ცხოვრებისასა და შურად აღუდგინნა ჰუ-

რიანი და მერმე მტყუარნი ქრისტესნი აღადგინნა, ვითარცა ჰეროდე, რომელი უწმობდა თავსა თვისსა ქრისტედ. მერმე სიმონ მოგუი და იგიცა ძედ ღმრთისა იტყოდა თავსა თვისსა და მრავალსა სასწაულსა ყოფდა შეწვევითა ეშმაკისათა და განაკუირვებდა მრავალთა, რომელიცა დაიწსნა და განქარდა წმიდისა მოციქულისა პეტრეს მიერ და მერმე კუინობ გრძნეული მოციქულისა და მახარებლისა იოანეს მიერ დაინთქა და წმიდისა პავლე მოციქულისა მიერ მრავალნი წინააღმდეგომნი, ვითარცა ალექსანდრე მჭედელი და სხვათა მათ მოციქულთა თვითულად ცრუ მოციქულნი და წინააღმდეგომნი წინა აღუდ<sup>23</sup>

(5r) წვალება იგი მანისი და მუნტანიოსი და ნავატისი გამოაჩინა წვალება იგი არიანობთა ბოროტი და სულთა წარმწყმედელი, რომლისა წიმამძღვარი იყო არიოზ, ევრომიოს, აეტი, ევსევ, ევსდუქსი და სხვანი მრავალნი გმობარნი ძისა ღმრთისანი, რამეთუ არიოზ და მისთანანი განყოფდეს არსებასა და ბუნებასა ღმრთეებისასა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა და სხუად და სხუად არსებანი იტყოდეს, რამეთუ ამან, ბოროტმან არიოზ, წიგნისაგან ოროგენისა მიიღო წვალება ესე, რამეთუ ოროგენემ დაწერა, მამა უფროს არს ძისა, ძე სულისა წმიდისა, ვითარცა სული წმიდა ანგელოზთა და ანგელოზნი ჩვენ, კაცთა. ესრეთ აღმართა კიბე გმობისა არათუ ცად აღმყუანებელი, არამედ ჯოჯოხეთად შთამყვანებელი. ამის გმობისაგან შეშინებული საბელიოზ შერევად თქვა გვამოვნება წმიდისა სამებისა და შერევა აღიარა. და მათ თანა გამოჩნდა აპოლინარიცა, რომელი გმობდა, ვითარმედ არა მიიღო ქრისტემან ბუნება კაცთა სრულებითი და არამედ უსულოდ და უგუნებოდ იტყოდა ჯორცთა ქრისტესითა. ამას ზედა აღადგინა მაკედონიოსცა მგმობარი სულის წმიდისა და თანასწორად მამისა და ძისა არა აღიარებდა სულსა წმიდასა. უძლეველმან მან ძალმან ქრისტესმან ყოველნი იგი მგმობარნი უჩინო ყვნა და არა სადა იპოვების დღეს სახსენებელი არიანოსთა და მაკედონიანოსთა და ევანომიანოსთა მბრძოლთა მათ ღმრთაებისათა მათ თანა განქარვებულ არს საბელიოსცა შერევისა მეტყველი და ყოველნი მსგავსნი მათი. ესრეთ რამ მოუძღურდა უძღური და მყრალი ვეშაპი, კუალად მოიპოვა სხვათა წვალებათა ღუარძლი, რათა განკაცება ქრისტესი არა მართლმადიდებლობით იქადაგებოდის და ჯელ-ყო განყოფად ჯორცთა ქრისტესთა ღმრთაებისაგან და ერთსა მას ქრისტესა ორად განკვეთდა. ამის განკვეთილობისა და განყოფისა მიზეზ და წი(5v)ნამძღვარ იქმნეს თევდორე, ვინმე ანტიოქელი და დიოდოროს ტარსუსელი, რომელთაგან ვითარცა ძირი სიმწარისა და ნერგი საეშმაკო აღმოსცენდა ნისტორი და იქმნა ეპისკოპოზ კოსტანტილეპოლისა და კრებისა მიერ განიდევნა, რა საყდრით ბოროტისა მისთვის წვალებისა შუამდინარისა კერძოთა წარვიდა და მუნ დასთესნა გესლნი თვისისა გმობისანი და ყოველივე აღმოსავლეთისა კერძო შეაგინა. ამას ბოროტსა წვალებასა ზედა სხვაცა აღადგინა ეშმაკმან მსგავსი მისი სიბოროტითა, დაღაცათუ სიტყვითა წინააღ-

<sup>23</sup> აქ აკლია 1 ფურცელი

მდგომად ჩანს, რამეთუ ვითარცა პირველთა უმწუალებელთაე არიოზ და და საბელიოზ წინააღდგომ იყვნეს ურთიერთარს, რამეთუჲ არიოზ ერთსა მას ბუნებასა და არსებასა ღმრთაებისასა განყოფიდა, ხოლო საბელიოზ სამთა მათ გვამთა წმიდის სამებისათა ერთად შეჰრევდა და ორნივე შეიჩუენნეს და საუკუნოდ დაისაჯნეს. ეგრეთვე უკუე აქაცა იქმნა, რამეთუ უღმრთომან ნისტორ ორად განყო ქადაგება ქრისტეს განკაცებისა და ორად გუამად იკადრა თქუამად განყოფილად ღმრთაება და განყოფილად კაცება ქრისტესი. ამისთვისცა ღვთისმშობელსა უარჰყოფდა და ქრისტეს მშობლად იტყოდა წმიდასა მას ქალ(6r)წულსა, ვითარმცა განყოფილად იყო ღმერთ და განყოფილად ქრისტე, ხოლო ვინათგან მადლითა ღმრთისათა ნეტარისა კვირილეს მიერ და სხვათა წმიდათა მამათა შეიჩუენა და განვარდა ბილნი იგი. შემდგომად რავდენთამე ჟამთა გამოჩნდა კონსტანტილეპოლის მონაზანი ვინმე უღმრთო არქიმანდრიტი მონასტრისა სახელით ევტუქი. ამან უკეთურმან აღმოიკითხნა წიგნი მანიქეველთანი უვალენტიანეთანი და მარკიანელთანი და არიანოზთანი და მათგან ისწავა ყოველი ბოროტი. ამისთვისცა აღმოსთხია მწურისა მისგან გულისა თვისისა სიმყრალე ბოროტი და იტყოდა, ვითარმედ საოცრად იყო განკაცება ქრისტესი. ამისთვისცა არა აღიარებდა, არცა შეინყნარებდა ორთა ბუნებათა ქრისტესთა, არამედ ერთსა ბუნებასა იტყოდა და ერთსა საქმესა და ნებასა ღმრთებისა და კაცებისა მისისასა და წმიდასა მას ქალწულსა არცა იგი აღიარებდა ღვთისმშობლად, არამედ საოცრად იტყოდა მისგან შობასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა. ესმა მისი დიოსკოროს, ალექსიმანდრის პატრიარქსა და ისწავა მისგან ნვალება იგი ბოროტი და მანცა უარყო ორი ბუნებაჲ ქრისტესი. ამას ზედა შეკრბეს ქალკოდონს ექსასოცდაათნი მამანი და შეაჩუენეს ევტუქი და (6v) დიოსკორე, განდევნეს იგინი წმიდისა კათოლიკე ეკლესისაგან, რამეთუ, ვითარცა ვთქუ ბოროტნი იგი მწუალებელნი არიოზ და საბელიოზ წმიდისა და ერთარსისა სამებისა მგმობელნი ურთიერთარს. წინა აღმდგომსა იტყოდეს, არამედ ორნივე მთხრებელსა წარწყმედისასა შთავიდნენ, რამეთუ არიოზ ბილწმან ბუნებათა და არსებათა განყოფილება თქვა წმიდისა სამებისა, ხოლო საბელიოზ გვამთა და თვთებათა შერევნა და შერწყმა თქვა. ეგრეთვე ნისტორ და მიმდგომთა მისთა, და დიოსკორე, და ევტუქი, და მიმდგომთა მისთა ურთიერთას წინა ამდდგომნი თქუეს, არამედ ორნივე წარწყმედეს და შეიჩუენნეს, რამეთუ ნისტორ უსჯულომან განჯორციელებული ძე ღმრთისა გმო და ორძედ და ორგუამად აღიარა. განყო და განაშორა ბუნებასა ღმრთაებისა და კაცებისა გვამითა, პირებითა, ხოლო დიოსკორე ერთად შერია და შეარწყა ბუნება ღმრთაებისა და კაცებისა და ერთი ბუნება თქვა და ესრეთ ორნივე მწუალებელნი მიმდგომთა მათთა თანა შეიჩუენნეს და განიჯადნეს წმიდისა კათოლიკე ეკლესისაგან და განიწმიდა ეკლესია ქრისტესი ღუარძლისაგან და მთესველი ღ(7r)უარძლისა, ყოვლად ბოროტი ეშმაკი, სირცხვილეულ იქმნა და იყო დიდსა მშვიდობასა და ერთობასა შინა

ეკლესია ქრისტესი მრავალჯამ. არამედ არა დასცხრა მთესველი იგი ლუარ-  
ძლისა, დასაბამი ბოროტთა, ეშმაკი. ვერცა თავს იდვა ესოდენი მშვიდობა და  
ერთობა ეკლესიათა. კუალად აღადგინნა სხუანი მწვალებელნი მღდელთმოძ-  
ლუარნი და მეუფენი ურწმუნონი და შემოიღეს გმობა პატიოსანთა ხატთა და  
კერპად თქუეს პატიოსანნი ხატნი, კერპთმსახურად შერაცხეს თაყვანისცემა  
და პატივი ხატისა და მრავალნი ძვირნი შეამთხუინეს თაყვანისმცემელთა პა-  
ტიოსნისა ხატისათა და დიდი ბოროტი გარდაეფინა ყოველსა სოფელსა შინა  
მრავალთა ჟამთა. მაშინ შეკრბეს წმიდანი მღდელთმძღუარნი და ქმნეს კრება  
მეშუიდე ბრძანებითა ღმრთისმსახურთა მეუფეთა მიხაილ და თეოდორასა და  
დაამტკიცეს თაყვანისცემა პატიოსანთა და წმიდათა ხატთა და ყოველნი მწვა-  
ლებელნი შეაჩუენეს და განწმიდეს ეკლესია ყოვლისა ლუარძლისაგან და იქმ-  
ნა მშუიდობა და ერთობა ეკლესიათა მრავალჯამ და ვიდრემდის მეფენი ბერ-  
ძენტანი ძლიერებასა და სიმტკიცესა ზედა იყვნეს ვერც(7v)აღა უსჯულონი  
მტერნი ერეოდეს, არცა ეკლესიანი და საპატრიარქონი მოუძღურებულ იყო.  
მაშინ იყო დიდი მშვიდობა და ერთობა ხუთთავე საპატრიარქოთა და ყოველთა  
ეკლესიათა აღმოსავალისა და და დასავალისა, ჩრდილოსა და სამხრისა და  
ყოველითურთ ბრწყინავდა მართმადიდებლობა და თუ სადმე ადგილ-ადგილ  
აღმოეცენის ცილობა რამე ანუ წვალება, კუალად ადგილ-ადგილ ქნიან კრება  
და პირველსავე ერთობასა და მოციქულთა და წმიდათა მამათა მიერ მოცე-  
მულსა წესსა და კანონსა ზედა დაამტკიციან ეკლესია ქრისტესი და მაცილო-  
ბელნი და წინააღმდგომნი შეაჩუენიან და განწადიან. ხოლო ოდეს მიშუებითა  
ღმრთისათა აღდგეს ყოვლით კერძო მტერნი უსჯულონი და ცოდვათათვის  
კაცთასა დაიპყრნეს მრავალნი ქალაქნი და სოფელნი და მცირედ-მცირედ  
განირყვნეს ეკლესიანი და დამდაბლდეს სამწყსონი ქრისტესნი და საპატრი-  
არქონი, ეკლესიანი მოუძღურდეს. მერმე მოადგეს სამეფოსა, ქალაქსა, ახალსა  
ჰრომსა, კოსტანტინოპოლის და შეაინრეს ყოვლით კერძო მეფე ბერძენტა,  
ხოლო დასავლეთისა კერძონი პაპა ჰრომისა და მეფენი დასავლეთისანი დიდ-  
სა მშვი(8r)დობასა შინა იყვნეს და თავისუფლებასა მტერთაგან. მაშინ აღი-  
მალლნეს წარბნი და აღიღეს თავი სამწყსოსთა ზედა ქრისტესთა. დასავალისა  
კერძოთა პაპამან და მიმდგომთა მისთა, რამეთუ იხილეს მეფე ბერძენტა  
მტერთა მიერ ძლიერად ბრძოლილი და საპატრიარქონი და ყოველნი ეკლესიანი  
დამდაბლებულნი და არა თანაშემწე ექმნეს, არცა თანამზრუნველ და  
წელისამპყრობელ, ვითარცა წერილი იტყვის, რამეთუ: „რომელი ღმერთმან  
დასცა და დაამდაბლა, მათ დევნეს იგინი და სალმობასა წყლულთა მათთსა  
შესძინეს უსჯულება“, რამეთუ მოიხსენეს ძუელივე მტერობა რომაელთა და  
განაახლეს შური პირველი, რომელი აქუნდათ. რამეთუ დასაბამსა ქრისტიან-  
ეთა მეფობისასა, ოდეს მოხედნა ღმერთმან და აღიმალლა რქა ქრისტიანეთა,  
დიდი კოსტანტინე მორწმუნე იქმნა. წარმოემართა აღმოსავლეთს და მოსცვა-  
ლა ძუელი ჰრომი ახლად ჰრომად და აღაშენა ქალაქი ბიზინტია სახელსა ზედა

თვისსა და უწოდა კოსტანტინოპოლსა საშუალსა ადგილსა აღმოსავალისა და დასავლისასა შორის და აღამალლა პატრიაქი ახლისა რომისა, ვინათგან ძუელისაცა ჰრომისა ეპისკოპოზი მასვე განედიდა და ჴელთ ედვა მისთვის განგება და მწყემ(8v)სობა დასავლეთისა, ეგრეთვე სხვანიცა ეკლესიანი და საპატრიაქონი დიდად აღამალლა და ადიდნა, რამეთუ ვიდრე დიდისა კოსტანტინემდე ფრიად დაგლახაკებულ და დამდაბლებულ იყვნეს კერპთმსახურთა მეფეთა მიერ და სამარადისოსა ჭირსა და დევნულობესა შინა იყვნეს ყოველნი ეკლესიანი და დიდმან მეფემან კოსტანტინე, ვითარცა ვთქუა, ადიდნა და აღამალლნა და უმეტეს პატრიაქი კოსტანტინეპოლისა და ეკლესია მისი განადიდა, ვინათგან სამეფო ყო ქალაქიცა მისი. ესე ძუელი შური და მტერობა მოიხსენეს პაპამან ჰრომისამან და მიმდგომთა მისთა დასავლეთისა კერძოთა და განადიდეს და აღიმალლეს თავი და თქვეს გულითა მათითა და ნათესავთა მათთა ერთად: „მოვედით და დავადუმნეთ ყოველნი დღესასწაულნი ღმრთისანი ქვეყანით, რამეთუ სასწაულნი მათნი ჩუენ არა ვიხილეთ, რამეთუ არლარავინ არს წინასწარმეტყველ და ჩუენ არავინ გვიცნნეს მერმეცა“ და შემდგომი და სხვა რაოდენნი წერილ არს მოსახსენებელთა შინა. მაშინდელისა მის საქმისასა, ოდეს მეფე ბერძენთა და პატრიქი კოსტანტინეპოლისა მივიდეს იტილიას და ევედრნეს დასავ(9r)ლეთსა და პაპასა ჰრომისასა, რათა თანაშემწე ეყვნენ მტერთა მიერ ბრძოლისასა, ხოლო მათ აიძულნეს იგინი, რათა სარწმონოება აღიარონ და მაშინლა შენივნენ მტერთა ზედა. ხოლო ბერძენთა არა თავს იდვეს ესე, არამედ აღირჩიეს სიკვდილი, ვიდრელა იოტა ერთი, გინა რქა ერთი სარწმუნოებისაგან მამათა მიერ მოცემულისა შეცვალებდ და დაკლებდ, ანუ შემატებად და ესრეთ განიყარნეს და განემორნეს ურთიერთ არს ბერძენნი და ჰრომნი, ვითარცა წერილ არს ვრცელად და კლებად მაშინდელთა მოსაწესებელთა შინა, ხოლო ჩუენ ნებსით არა აღვსწერეთ, რათა არა სიმრავლე წერილთა იქმნას. მაშინ შეკრბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი და ქმნეს კრება ფლორენციას და უწოდეს მერვედ კრება და დაწსნეს ყოველნი წესნი და კანონნი მამათანი და წმიდათა მოციქულთა მიერ მოცემულნი საზღუარნი და ყოველივე წინააღმდგომი თქვეს და ქმნეს და ვითარცა ენებათ ეგრეთ დაამტკიცეს. რამეთუ პაპა ჰრომისა ნებითა მათითა თვინიერ კანონისა აღამალლნეს უმეტეს ყოველთა პატრიქთა და ღმრთის მაგიერად და მეორედ თქვეს ქვეყანასა ზედა და დაუდგეს საყდარი ღრუბელთა ზედა სიტყვისაებრ ესაია წინასწარმეტყუელისა და ემსგავსა (9v) იგი მაღალსა მას და დაუმორჩილეს მას ყოველივე ქუეშე ფერჳთა მისთა, ვითარცა ქრისტესთვის მოესწავებოდა ფსალმუნთა შინა. მერმე წმიდისა და თაყუანისსაცემელისა სამებისა შორის თქუეს შერევნა და სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოსვლით აღიარეს, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსლთა მამათასა, რამეთუ არა ოდეს თქმულ არს ესე სარწმუნოება არცა ერთსა კრებათა შინა, არცავის უკადრებიეს წმიდათაგანსა ესრეთ თქმად, ვითარცა იგინი



იტყვიან.

მერმე წმიდა ნათლისღება, რომელი წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა განგვიწესეს სამგზის ემბაზთა შინა შთაყოფითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, ესე აღიღეს და მცირედისა წყლისა შეხებითა განანესეს ნათლისცება მღდელთა მიერ, გინათუ ერისკაცთა ანუთუ დედაკაცთა მიერ.

მერმე წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლო უფოვართა სეფითა შეწირვა და დღესა შინა ერთსა ერთისა მღდლისა მიერ ტრაპეზსა ზედა მრავალგზის წირვა და საეროთა სახლთა შინა განანესეს.

მერმე ზიარება ერისგანთა სხვითა სეფისკვერითა, რომლითა მღდელნი ყოვლად არა ეზიარებიან და სხვითა ლიტონითა ღვინითა, რ(10r)ომელი არა მიახლებულ არს შესაწირავსა ტრაპეზს ზედა, მით ზიარება განუწესნეს.

მერმე განყვეს ჯოჯოხეთი, სხვად და სხვად რიგად თქვეს: ერთსა საუკუნო უწოდეს, რომელსა შინა შთასრულნი ვერა რომელთა მოწმარებითა, ვერ-არას ლხინებასა ჰპოებენო და ერთი სხვა არსო, რომლისა შინა პაპის მოსავნი შევლენ მას შინა მცირედ ჟამად და ადრე განწმედილნი გამოვლენო.

ხოლო ლოცუა და საეკლესიო განწესებული ფსალმუნება სრულიად აწოცეს ეკლესიით და წმიდათა მამათა მიერ განწესებული აღიღეს და თვინიერ წირვისა არღარა არს ეკლესიათა შინა მათთა, არცა ფსალმუნება, არცა საგალობელი და ლამისთევა.

და ვითარცა ენებოსთ და ვითარცა დახვდეს, ეგრეთ აღმართებენ საკურთხეველთა არა აღმოსავალით, არამედ გინათუ დასავალით კერძო, ანუ სამხრეთით, ანუ ჩრდილოეთით.

ხოლო მარხვათა სრულიად დახსნეს და მოსპეს და არღარა არს მათ შორის მარხვა არცა ერისკაცთა, არცალა სამღდელთა კაცთა შორის, თვინიერ მცირედთა მონაზონთა გარეშე და იგინიცა უკეთუ იმარხონ, თვინიერ ჯორცისა არა რას სხვასა იმარხვენ, არამედ უკრძალ(10v)ველად ყოველსავე მიიღებენ და იჭუმევენ და ოთხშაბათსა არა იმარხვენ. რომელი განგვიწესეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და მისდა ნაცვლად შაბათს იმარხვენ, რომელი არაოდეს მოცემულ არს ესე ჩუენდა, თვინიერ ერთისა მის დიდისა შაბათისა.

ხოლო დედათა მათთა ჟამსა წიდოვნებისასა და ოდესცა სანოლითა შეყოფილ იყვნენ ქმართა მათთა, საკურთხეველთა ზედა აღიყვანენ და ზიარებასა მისცემენ.

და ყოველი ერი ოდეს შევიდეს ეკლესიად, თანა შეიყვანენ ძალთა და ეკლესიათა არა ჰრიდებენ.

და ყოველი ცოდვა მაკვდინებელი ადვილად შერაცხეს და მას ღამესა, რომელიცა ვინ რომლითაცა ბოროტითა ცოდვითა დაეცეს და შეიგინოს, მას დღესა აზიარებან. ესე და ესე ვითარნი კანონნი და წესნი დადვეს ეკლესიასა შინა და ყოველნი წესნი და კანონნი წმიდათა მოციქულთა მიერ და შვიდთა

მსოფლიოთა კრებათა მიერ დადებული და განწესებული და დაწესეს და გარდასცვალნეს, რამეთუ შვიდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ შვიდგზის გამოდნობილნი სიტყვანი უფლისანი, ვითარცა ფსალმ<sup>24</sup>

(11r) თი ბუნება, ერთი არსება, ერთი ჴელმნიფება, ხოლო ესენი, რა ვთქუ, ნუ ჰგონებ, თუმცა არსება, ანუ ბუნება რამე ღმრთისა ვთქუ, რამეთუ არსება და ბუნება მისი მიუწდომელ არს და გამოუთქმელ, მარტივ და შეუზავებელ, უცნაურ და მოუგონებელ, ვითარცა მოსეს აჩუენა და გამოეცხადა უხილავ იგი მთასა ზედა სინას რაოდენ, მოსეს მიერ შესაძლებელი იყო ხილვად და იკითხა, რა არს სახელი მისი, ხოლო ჰრქუა მას ღმერთმან, „მე ვარ, რომელი ვარო“, ესე აუწყა და სხვა არა რა. ამით უწყით, ვითარმედ არს ღმერთი, ვითარცა არს ჭეშმარიტი ყოვლისა არსისა უზეშთაესი და გარეშემცველი ყოვლისა არსებისა, არამედ რა არს არსება და ბუნება მისი, მან მხოლო მან უწყის. და სხუამან არავინ, რამეთუ ღმრთაებაჲ სახელი არს ერთი რამე კაცთაგან მოპოვნებული სახელად ღმერთი, თითოეულთა ენათა მიერ სხუაჲ და სხუაჲ სახელად, რაჲ იცნობებოდის სახელით მხოლო ღმერთი. ხოლო დაუსაბამო და ამისთვის სახელ ვსდებ, რამეთუ გონებაჲმან რა ძალ მიხედნის აღმართ ნელინადითა რათმე მოგონებითა და ვერ პოვის ადგილი დასაბამობისა და ვერცა იოცნის მცირედცა რამე, არამედ ივლტოდის ყოვლითურთ მოგონებისაგან რაოდენგზისცა დაშვრის მოგონება, ამას დაუსაბამოდ სახელს დვის, ეგრეთვე ქუემო (11v) რა დახედნის და ვერცა მით იქმნის კინოდენცა ოცნებით მიმდომ, მას დაუსრულებელად უწოდის. ეგრეთვე მიმოავლის რა გონებაჲმან სახედველნი თვისი რავდენცა დაშურის, ვერცა მით იქმნის მიმდომ ამას გარეშეუწერელად და უსაზღვროდ სახელ სდვის. რამეთუ რომელსა არცა ჟამი, არცა ნელინი, არცა რიცხუი, არცაღა თუ ნანილი ჟამისა შუამდგომელ ექმნა ვითარმე დაიტოს გონებაჲმან, ანუ იოცნოს მოგონებაჲმან, ანუ თუ გამოთქვას ენამან ამას უჟამოდ და მიუწდომელად სახელი ედვის. რამეთუ საშინელისა და დიდებულისა ერთ ღმრთაებისა არსება და ბუნებაჲ მარტივ არს და შეუზავებელ, უცნაურ და მიუწდომელ. ხოლო არცა დაუსაბამოება არს მისი ბუნებაჲ, არცა დაუსრულებლობა, არცა გარეშემოუწერელობა, არცა უსაზღვროება, რამეთუ არცა მამისა არს ბუნება მამობა, არცა ძისა არს ბუნება ძეობა, არცა სულისა არს ბუნება სულობა, რამეთუ ესე თვითებათა და გუამოვნებათა სახელნი არიან და არა ბუნებათა და არსებათა, რამეთუ არცა ღმრთაება არს ბუნება ღმრთისა, რამეთუ ესენი ყოველნი სახელნი არიან საქმეთანი და არა ბუნებათა და არსებათა. არამ(12r)ედ ესენი რა ვთქუ, არათუ სრულიად მიუწდომელ არს ღმერთი და უცნაურ, რათამცა არარა იყო, რამეთუ ჭეშმარიტად არს, ვითარცა არს ჭეშმარიტად, ვითარ იგი მოსეს ეტყოდა: „მე ვარ, რომელი ვარო“, არამედ მიუწდომელ ამისთვის არს, რათა ვერ მისწდომელობითა უზეშთაეს იყოს ყოვლისა ბუნებისა და არსებისა, საში-

<sup>24</sup> ხელნაწერში აკლია ერთი ფურცელი

ნელ და ძრწოლვით თაყვანისცემით ყოველთა დაბადებულთა მიერ, რამეთუ ყოველი გონებით მისანდომელი და სიტყვით გამოთქმად შესაძლებელი. არცარა საკვირველ არს და არცა დაბადებულთა უზეშთაეს, ხოლო არცა სრულიად მოუნდომელ და უცნარ, რათა არა სრულიად უღმრთო ვიქმნეთ, ამისთვისცა მცირედ რამე ელვის სახედ გამოუბრწყინდის გონებასა ჩუენსა და მყის მიგუეფარის, რათა გამობრწყინვებითა მით განგუანათლეს და მისა მიგუიზიდნეს და მერმე მსწრაფლ მოგუეფარვის, რათა სურვილით ვეძებდეთ და მისდევდეთ გონებისა ხედვითა და მისა მიმართ გუსუროდის და მას ვმონებდეთ და შიშით და ძრწოლვით თაყვანისცემდეთ ერთსა ღმერთსა სამებით და ერთ მეუფებით და ერთუფლებითა თაყვანისცემულსა. მამასა უშობელსა, უმიზ(12v)ეზოსა, დაუსაბამოსა, უხილავსა, უსაზღუროსა, ძესა თანა დაუსაბამოსა, თანასწორსა მეუფებითა და ჴელმწიფებითა, ძლიერებითა და უფლებითა და სულისა წმიდისა მისვე არსებისა და მისვე ბუნებისაგან გამოსრულსა, თანასწორსა მეფებითა ჴელმწიფებითა დაუსაბამოებითა და გამოუთქმელობითა. ერთსა ძალსა, ერთსა ჴელმწიფებასა და მეუფებასა, ერთსა უფლებასა სამითა თვითებითა და გუამოვნებითა და ერთითა არსებითა და ბუნებითა, რამეთუ არა რა არს მათ შორის განყოფილ, არცა განთვისებულ, არცა განკერძოებულ, არცა ადგილითა, არცა ჟამითა, არცა ნებითა, არცა საქმითა, არცა უმეტესობითა, არცა უდარესობითა თვინიერ უშობელობითა შობითა და გამოსვლითა, რამეთუ მამა უშობელ არს და უმიზეზო, ხოლო ძე შობილი მამისაგან და არა უმიზეზო, რამეთუ მამისგან აქუს მიზეზობა და შობა, ეგრეთვე სული წმიდა გამოსრულ მამისაგან და არა უმიზეზო, რამეთუ მამისაგან აქუს მიზეზი გამოსვლისა, თვინიერ ამისა არა რა არს მათ შორის განყოფილ, არცა განთვისებულ, არცა განკერძოებულ, არცა რომელიმე პირველ და რომელიმე უკანასკნელ, არცა უდარეს, არცა უაღრეს, (13r) არცა ჟამითა, არცა წამითა, არცა მოგონებითა, არცა ნებითა, არცა განზრახვითა, არცა საქმითა, არამედ ყოვლითურთ სწორი ერთობითა, არსებითა და ბუნებითა. განყოფილნი და შეურევნელნი, რამეთუ ვითარცა არ განიყოფებიან არსებითა და ბუნებითა, ეგრეთვე არცა შეირწყმიან და შეირვეიან პირებითა და გუამოვნებითა, არამედ ერთ არიან და განუყოფელ თვინიერ უშობელობისა შობისა და გამოსვლისა, რამეთუ მამისა უშობელობა, ძისა შობა და სულისა გამოსვლა არავინ უწყის, თუ რა არს უშობელობა შობა და გამოსვლა, მან მხოლომან უწყის დიდებულმან და საშინელმან, მიუნდომელმან და გამოუთქმელან სამებამან და ერთარსებამან და სხვამან არავინ, არამედ ესეოდენ უწყებულ არს ჩუენდა წმიდათა წინასწარმეტყველთა მიერ მოსწავებითა და მოციქულთაგან ქადაგებით და თვით ქრისტესგან ჳემმარტისა ღმთისა ჩუენისა გამოცხადებით და სხვა არა რა უწყებულ არს ჩუენდა. ხოლო არა იცვალეების მამა ძედ, არცა სულად, არცა ძე მამად გინა სულად, არცა სული წმიდა მამად ანუ ძედ, არამედ თვითება ესე სამგუამოვნისა ერთ ღმრთაებისა

შეუცვალე არს და უქცეველ, შეურევნელ და განუყოფელ, არა განიყოფიან არსებითა და ბუნებითა მეუფებითა (13v) და ხელმწიფებითა, არცა შეირევან და შეირწყმიან თვითებითა და გუამოვნებითა, პირებითა და სახელისდებითა. ესრეთ სამებით და ერთღმრთაებით იცნობების მეუფე და დამბადებელი ყოველთა მამა და ძე და სული წმიდა, ერთღთაება და ერთმეუფება. ხოლო არა ვიტყვით სულსა წმიდასა ძისაგან გამოსვლით. არამედ მამისაგან, რამეთუ ვითარცა მამისაგან იშვა ძე პირველ ყოველთა საუკუნეთა და უწინარეს ჟამთა, ეგრეთვე სული წმიდა გამოვიდა მისგანვე მამისაგან უწინარეს ჟამთა და პირველ ყოველთა საუკუნეთა, რამეთუ ესრეთ არს არსება და ბუნება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ესრეთ გვრწამს და ესრეთ აღვიარებ ერთსა ღმერთსა სამებით დიდებულსა სიტყვისაებრ საღმრთოთა წერილთასა და მოძღურებისაებრ წმიდათა მამათასა, რამეთუ არცა ერთისა ვის წმიდათაგანსა უთქვამს სული წმიდა ძისაგან გამოსვლით, ვითარცა ძე არა თქმულ არს სულისაგან შობილად, არამედ მამისაგან. ეგრეთვე არცა ითქმის სული წმიდა ძისაგან გამოსვლით, არამედ მამისაგან, რამეთუ რავდენნი ღვთისმეტყუელებანი არიან აღწერილნი წმიდათა მამათანი და (14r) უმეტეს დიდისა ღვთისმეტყუელისა გრიგოლის თქუმულთა შინა, რომელმან ერგასისნი თავნი ღვთისმეტყუელებანი აღწერნა ვრცელად და უნაკლულოდ, რამეთუ მან შემდგომად იოვანე ღმრთისმეტყუელისა და მახარებლისა ამას მიხვდა სახელი ღმრთისმეტყუელისა და ყოველივე თქმული მისი ღვთისმეტყუელებით აღსავსე არს და არცა ერთსა თქმულა, მისთა შორის იპოვების, თუმცა თქმული იყო ძისაგან გასვლით, არამედ მამისაგან, არცლა დიდსა და ზეცისა მნათობსა ბასილის, არცა წმიდასა ოქროპირსა, არცა დიდსა ათანასისს, არცა გლიგოლი საკვირველთმოქმედსა, რომელსა ცხადად წარმოუდგა წმიდა ღმრთისმშობელი და იოვანე ღმრთისმეტყუელი და მახარებელი და გამოუცხადეს სამებისა საიდუმლო და აღწერა მათითავე ბრძანებითა მოკლითა სიტყვითა და დიდითა სიბრძნითა და არს, ვიდრე დღეინდელად დღედმდე აღწერილი იგი და არცა სხვასა ვის სადა ღვთისმეტყველთაგანსა უთქუამს, არცა უკადრებებს, თუმცა ყოფილიყო ესე ცილობა და ამისი თქუმა, მრავალნიმცა აღწერნეს ამის პირისთვის ნეტართა მათ წინა აღსადგო(14v)მელი, არამედ მხოლოდ ნეტარსა იოანე დამასკელსა, რომელსა ეწოდა ოქრო ნეკტარი უმეტეს კურთხეულისა ღმრთისმშობელისაგან, წინათვე ეუწყა სულისა მიერ წმიდისა ცილობა ესე და მან აღწერა ცხადად და ჭეშმარიტად თქუმულთა შინა თვისთა ღვთისმეტყუელებათა და იტყვის: არა ვიტყვით სულსა წმიდასა ძისაგან გამოსვლით, არამედ სულად ძისა და სულად ქრისტესა, ვითარცა წერილ არს: „გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვისისა გულთა შინა ჩუენთა“ და კუალად იტყვის: „რომელსა სული ქრისტესი არა აქუნდეს, იგი არა არს ქრისტესი“. ხოლო ძისაგან გამოსვლით არა თქმულ არს, არცავის აღწერით დაუტევებიეს, არამედ მამისაგან, ვითარცა შობა ძისა, ეგრეთვე გამოსვლა

სულისა მისგანვე მამისა, რამეთუ მამა არს მიზეზი შობისა და გამოსვლისა, ვითარცა თვით თავადი ჭეშმარიტება და ცხოვრება ჩუენი. ქრისტე ბრძანებს: „სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის და თქვენცა მონამე ხართ“. რასათვის არა ტქუა, სული ჭეშმარიტისა, რომელი მამისაგან და ჩემგან გამოვალს, ანუ ვითარ დაიდუმეს დიდი ესე საიდუმლო (15r) წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა ღვთისმეტყუელთა? ხოლო იტყვიან ლათინნი: კაცებრივი იტყვისო და არა ღმრთაებითო. მაშა რად იტყვის ქრისტე: „რაჟამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ“ უკეთუ ესე თქუა და არა დაჰრიდა კაცობრიობასა, და თქვა ვითარმედ: „მე მოვავლინო და ჩემგან მიიღოს და გითხრას“, რადლა დაუტევებდა მამისაგან და ჩემგან გამოვალსო, რამეთუ პირველად თქვა: „მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხვა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქუენ“. აჰა, თანასწორება და ერთპატივობა მამისა და ძისა და არა წინა აღდგომა მამისა, მერმე იტყვის: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“, და „მე მოვავლინო იგი თქვენდა“ და „ჩემგან მიღოს და გითხრას თქვენ“. აჰა, ხელმწიფება ძისა და თანასწორება სულისა და მერმე იტყვის: „ოდეს, მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძლოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა“. აჰა, ჴელმწიფება და უფლებაჲ სულისა.

რამეთუ პირველად იტყვის: „მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხუა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო“, და მერმე იტყვის: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“ და „ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“ და მერმე თქუა: (15v) „ოდეს მოვიდეს, სული იგი ჭეშმარიტების გიძლოდის თქვენ ჭეშმარიტებასა ყოველსა“. აჰა, ერთობა და ერთი ღმრთაება და ერთი პატივი და ერთი ჴელმწიფება და სწორი მეუფება და სწორი უფლება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, განუყოფელობა და შეურევენელი ერთობა. უკეთუ ვთქუათ მამისა და ძისაგან გამოსვლა სულისა, ორნივე იქმნებიან მიზეზნი სულისა წმიდისა გამოსვლისანი, ვითარცა მამა, ეგრეთვე ძეცა და სული წმიდა დაკლებულ იქმნეს ერთპატივობისაგან, რამეთუ მამა და ძე გამოავლენს სულსა, ხოლო სული ვერღარას მოქმედებს, უმჯობეს არს, რათა ესეცა თქვან, ვითარმედ მამისაგან და სულისა იშვა ძე და იქმნას გუამთა და თვითებათა შერეულება მსგავსად საბელიოზის ნუალებისა, ანუ განყოფა არიოზისებრ, ანუ შერევნა და შერწყმა თქუან, ვითარცა ვთქუ გუამთა და თვითებათა, რაჟამს ითქუას მამისა და ძისაგან გამოსვლა სულისა, ანუ განყოფა არსებათა და ბუნებათა, რაჟამს ძესა მისცენ მიზეზობა სულისა გამოსვლისა და სულისა არარა მიზეზობა და დაკლებულ ყონ მისვე არსებისა და ბუნებისაგან. (16r) იხილეთ, სადა მიინევის გმობა ესე, ანუ არიოზ იქმნენ, ანუ საბელიოზ, ანუ შეარწყუან და შერიონ, ანუ განყოფა და განაშორონ ურთიერთას და დაკლებულ ყონ სული წმიდა სწორ პატივისაგან მამისა და ძისა.

ხოლო უკეთუ ჰრქვან სული წმიდა სიყვარულად, ვითარმედ მამა და ძეო

და მათგან სიყვარული გამოვალსო. რა არს ესოდენი წინააღმდეგობა და ცილება შჯულისა. სიყვარული არსება არს, ანუ გუამი, უკეთუ გუამ არს სიყვარული, ოთხება იქმნების გუამთა და არა სამგუამოვნება, რამეთუ სულისა გუამოვნება და თვითება, ვითარცა მამისა უშობელობა ითქუმის და ძისა შობა, ეგრეთვე სულისა გამოსვლა, რამეთუ სიყვარული არცა უშობელი არს, არცა შობილი, არცა გამოსული, რამეთუ მოციქული იტყვის: სიყვარული ღმრთისა განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა. ვითარ ეგების სული წმიდა სიყვარულად თქმა? ორი იქმნების სული წმიდა და არა ერთი. სიტყვისაებრ მათისა სული წმიდა განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა. აჰა, უპირული სიტყუა და გმობა, რამეთუ სიყვარული ერთი სათნოებათაგანი არს და არა ღმრთაებისა ბუნებანი წმიდა, ხოლო უკეთუ არსება თქუან სიყვარულისა, ესე ორი არსება ღმრთეებისა და სიყვარულისა, რამეთუ სიყვარული ერთი სათნოებათაგანი არს და არა ითქუმის არსებად, ანუ გუამად, ვითარცა სხუანი სათნოებანიცა: მოწყალება, სახიერება, სიმართლე და ჭეშმარიტება, სინმიდე, სიმდაბლე და სიმშუიდე და სიყვარული და არა აქუნს, ვითარცა ვთქუ სიყვარულსა, არცა სხუასა სათნოებასა არსება, არცა (16v) გუამი, რამეთუ მოწყალეობასა წინა აღუდგების უწყალობა, სახიერებასა – სიბოროტე, ჭეშმარიტებასა – სიცრუე, სიმდაბლესა – სილაღე და სიმშვიდესა – გულისწყრომა და ესრეთ თვითუეული სათნოება თვისისა წინა აღმდგომისაგან დაიწნების.

ესრეთ არა აქუს სათნოებასა არსება და ბუნება, დაღაცათუ არსებათა უზეშთაესა მას და გამოუთქუმელისა ღმრთისა. ესე ყოველი ბუნებითად აქუს და არა მოპოვნებით, რამეთუ მარტივ არს და შეუზავებელ ბუნება ღმრთაებისა და არცა ერთი ამათგანი ითქუმის არსებად და ბუნებად მისა და უკუეთუ ითქუას მრავალი, ვიდრემე ბუნება და არსება ითქუას ღმრთისათვის და გუამად თუ ითქუას, ეგრეთვე მრავალნი გუამნი იქმნენ. არცა მხოლოდ სიყვარული ითქუმის მარტოდ სულისათვის, რამეთუ რავდენნი სახელიდებიან სათნოებანი, ყოველნივე ზოგადად აქუს და სწორებით მამასა და ძესა და სულსა წმიდასა ერთღმრთაებასა და განუყოფელსა, ვითარცა წერილ არს: „ღმერთი სიყვარული არს და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, იგი ღმრთისა თანაჰგიეს და ღმერთი მის თანა“. (17r) ესე ზოგად ერთ ღმრთაებისა სახელი არს, ვითარცა ვთქუა და არა მხოლოდ სულისათვის, ეგრეთვე სხუანიცა სათნოებანი, ვითარცა მოსეს ეტყოდა: „წმიდა იყუენით, რამეთუ მე წმიდა ვარ“. და მეუფე ქრისტე ბრძანებს: „იყუენით მოწყალე, ვითარცა მამა თქუენი მოწყალე არს“ და კუალად იტყვის: „არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი“ და კუალად ბრძანებს: „ისნავეთ ჩემგან, რამეთუ მშუიდ ვარ და მდაბალ გულითა“ და კუალად წერილ არს: „ღმერთი ჭეშმარიტ არს და არა არს სიცრუე მის თანა“. ესე ყოველნი სახელნი არიან ღმრთისანი და არა ბუნება და არსება, არცა გუამოვნებისა შემასრულებელი, არცა ბუნებისა თანაშეზავებული“. არამედ ბუნებით კეთილთა სრულებისათვის ბუნებათა უზეშთაესისა ღმრთისა,

მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, სახელიდებიან. ესე სახელნი და არა მარტოდ სულისთვის, რამეთუ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთი არს პატივი და დიდება და სათნოებანი, გინათუ მოწყალება, გინათუ სახიერება, გინათუ სიმშუიდე და სიმდაბლე, გინათუ სიმართლე და ჭემმარიტება, გინათუ სინმიდე და სიყუარული. ესე ყოველნი ზოგადი სახელნი (17v) არიან ერთ ღთაებისანი, ვითარცა შემოქმედობა, დამბადებელობა, ჯელმნიფება, უფლება და მეუფება. ესე ყოველნი ზოგადნი სახელები არიან და არა ითქუმის ერთსა ოდენ გუამოვნებასა ზედა, არამედ ზოგად ერთობასა ზედა და არა რა არს მათ შორის განყოფილი, თვინიერ გვამოვნებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ერთღმრთაებისა და ერთუფლებისა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქრისტეს მიერ შეჰბერვისათვის თქმულთა. ერთად ესე აქრს სიტყუა მათი, ვითარმედ ქრისტემ რა შეჰბერა მოწაფეთა და ჰრქუა: „მიიღეთ სული წმიდა“, ესე არს მიზეზი ძისაგან სულისა წმიდისა გამოსვლისაო. ამის სიტყვისა განმარტება ჩუენ მიერ არღარა საჭირო არს, რამეთუ უდიდთა მათ ღვთისმეტყუელთაგან და დიდსა ღვთისმეტყუელისა გრიგოლისა და წმიდისა ოქროპირისა იოანესაგან ვრცელად და უნაკლულად აღწერილ არს მათ მიერ და განმარტებულ თარგმანება მათი. იგინი ესრეთ იტყვიან, ვითარმედ „მომზადება იყო და არა მიცემად“, უკეთუმცა მაშინ მიეცა, რადლა ეტყოდა მოწაფეთა უწინარეს ვნებისა, ვითარმედ: „უკეთუ მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს, მე წარვიდე და სხუა ნუგეშინსმცემელი მოგივლინო, რათა (18r) თქუენთან დაადგრეს უკუნისამდე“, რამეთუ ჯერეთ არა ამაღლებულ იყო კაცთა ბუნებითა, არცა წარსრულ ჯორცთა ამით მამისა წიაღსა შინა, დაღაცათუ ღმრთაებით განუშორებელ იყო მამისა და სულისაგან. არამედ შემდგომად აღდგომისა მითვე ხორციითა, რომელი ჩუენგან მიიღო, რომლითა ჯვარს ეცვა და მოკვდა და დაეფლა და მესამესა დღესა აღდგა და ორმეოცთა დღეთა მოციქულთა თანა იქცეოდა, შევიდა კართა ჯსულთა და უჩუენნა ჯელნი და ფერჯნი დამსჭუალულნი გუერდნი ლახურისა მიერ განღებული, რათა დაარწმუნოს მოციქულთა, ვითარმედ მითვე ჯორციითა, რომლითა ივნო, აღდგომილ არს, ვითარცა ეტყოდა მათვე მოციქულთა: „ჯელი შემახეთ და იხილეთ, რამეთუთავადი მე ვარ“. იხილეთ, რამეთუ სულსა ჯორც და ძუალ არა ასხენ, ვითარცა მხედავთ, რამეთუ მასხენ და ეგრეთვე საზრდელისაცა მიღება, ჯერ იჩინა, რომელსა არღარა ეჰმარებოდა, არამედ ვითარცა ვთქუ, ჯორციითა კაცობრივითა ქონებისათვის ქმნა ესე, რათა გურწმენეს, ვითარმედ მითვე ჯორციითა აღდგომილ არს და ამაღლებულ და არს სრული ღმერთი და სრული კაცი ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითამ რამეთუ ანგელოზნიცა ამასვე ეტყოდეს მოციქულთა, რაჟამს ამაღლდებოდა ზეცად: „კაცნო გალი(18v)ლევალნო, ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეს აღმავალი ზეცად“. ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ

აღმავალი ზეცად. ამისთვის ეჩუენა ჯორცთა წყლულება, ვითარცა ვთქუ მოციქულთა, რათა დაარწმუნოს მისთვე ხორცითა აღდგომა და ანგელოზთა მოასწავეს მითვე ჯორცითა, რომლითა ამაღლდა ზეცად. მოსვლა ზეცით განსჯად ყოველთა დაბადებულთა, რამეთუ შემდგომად უკანასკნელ გამოსვლად იყუნეს მწუალებელნი, რომელთა თქუეს, ვითარმედ: ჯორცნი კაცობრივნი არღარა ქონან ქრისტესაო და მანინ და მუნტანი მწუალებელთა თქუეს, რა ჟამს ამაღლდება ქრისტეო, ჯორცნი კაცობრივნი მზესა თანა დაუტევენაო. ამით ბოროტთა მწუალებელთა და მსგავსთა მათთა იქმნა განგებულება იგი ჯორცთა განხილვისა და საზრდელისა მიღება. ეგრეთვე უკანასკნელ გამოჩინებად იყუნენ მწუალებელნი, რომელთა თქუეს, ვითარმედ სიტყუამან ღმრთისამან ჯორცნი კაცობრივნი მიიხუნა და სული და გონება არა მიიღო, არამედ სულისა და გონებისა წილ სიტყუა ღმრთისა ექმნა ჯორცთა მისთა. გუამ ამის ამის გამობისა თავი იყო აპოლინარიოს მწუალებელი და შემდგომნი და მსგავსნი მისნი.

რამეთუ ვინათგან ქრისტემან ბუნება კაცთა სრულებით მიიღო სული, სული, ჯორცნი და გონება თვინიერ ცოდვისა. ამისდა დასამტკიცებლად შეჰბერა კაცობრივითა სულითა და სამშუინველითა, ვითარცა ჯორცითა კაცობრივითა, წყლულებისა ჩუენებითა დაამტკიცა შემდგომად ვნებისა და აღდგომისა ქონება ჯორცთა. ეგრეთვე სარწმუნო ყო კაცობრივისა სულისა ქონება, რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა და მოამზადა შეწყნარებად სულსა წმიდისა და ჰრქუა: „მიიღეთ სული წმიდა“. უკანასკნელ მიღებისთვის ეტყოდა, რომელსა შინა აღუთქუა მოვლინება, არათუ მაშინვე მიცემისთვის.

ამით დაწსნა მწუალებელთა გესლოვანება, ვითარმედ სრულებით მიიღო ქრისტემან ბუნება კაცობრივნი, ჯორცნი სულიერნი და სული გონიერი და სიტყვიერი და მით მოასწავა და მოამზადა მოვლინება სულისა წმიდისა, ვითარცა ეტყოდა: „უკეთუ, მე არა ნავიდე, იგი არა მოვიდეს და ოდეს წარვიდე, სხვა ნუგეშინისმცემელი მოგვივლინო, რათა თქვენთა თანა დაადგრეს უკუნისამდე“. უკეთუ მაშინ მისცა შებერვითა მით, რადლა ეტყოდა სიტყუათა ამათ, უკეთუ „მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“? არამედ ვითარცა ვთქუ, ამის მიზეზისთვის იქმნა შებერვა, რათა დაემტკიცოს შემდგომად ვნებისა და აღდგომისა კაცობრივისა ბუნებისა ჯორცთა (19v) და სულისა სრულებით ქონება. ამისთვის შეჰბერა კაცობრივითა სამშუინველითა და სულითა და დაამტკიცა ქონება, ვითარცა ჯორცთა, ეგრეთცა სულისა სამშუინველითურთ და მოამზადა შეწყნარებად სულსა წმიდისა. ნუ გონებ, თუმცა სული წმიდა ორთქლი რამე იყოს და შებერვით მიედინებოდის, ანუ ქარი იყოს და ქართაებრ გამოვიდოდის, ანუ კაცობრივ რამე და ნივთიერად გულისწმა ყო, რამეთუ ვითარცა მეუფე ჩუენი ქრისტე მამისა სიტყუად ითქუმის და არა არს მსგავს ჩუენთა სიტყუათა, რამეთუ სიტყუა ჩუენი რაჟამს პირით ჩუენით გამოვიდის, ჰაერად განიბნევის და განილევის, არამედ სიტყუა ღმრთისა უვნებელად შობისა მისი-



სათვის ითქმის სიტყუად და ვითარცა ჩუენის გონებისაგან იშვების სიტყუა და არარა ვნება იქმნების, ეგრეთვე დიდისა მის განგებისგან მამისა იშვა ძე და სიტყუა ღმრთისა უვნებლად და არს სრული გუამოვნება. ეგრეთვე სული წმიდა გამოვალს მისვე მამისაგან და ძისა თანა განისუენებს და არს სრული გუამოვნება, ვითარცა მამისა და ძისა, ეგრეთვე სულისა წმიდისა განუყოფელისა და შეურევნელისა, ერთ(20r)ღმრთაებისა და, ერთუფლებისა. არამედ სული წმიდა, ვითარცა ვთქუ, არცა ორთქლი არს პირისა, არცა ქარი არს გამომავალი ჰაერად განბნევადი, არცა გუამი გუამსა შორის შერწყმული და შერეული, თუმცა მით რამე იქმნებოდეს შებერვა, არამედ გუამოვნება მტკიცე, ვითარცა მამისა გუამოვნება, ეგრეთცა ძისა და სულისა წმიდისა, სრული გუამოვნება, განუყოფელი და შეურევნელი. და არცა შერწყმული და შერეული, არცა განბნევადი და განქარვებადი, არამედ სრული ღმერთი არს მამისა და ძისა თანასწორი, მისვე მამისაგან გამოსრული და მამისა და ძისაგან განუშორებელი, ვითარცა შობა ძისა მამისაგან, ეგრეთვე გამოსვლა სულისა მამისაგანვე, რათა არა ორნი მიზეზნი ითქუნენ და დაკლებულ იქმნას სული წმიდა თანასწორისა პატივისაგან. არამედ შებერვა ესე, სულითა კაცობრივითა მომზადება იყო მოსალოდებელისა და არა მინიჭება სრულებით სულისა წმიდისა. და უკეთუმცა არა პირველივე მოუმზადნეს, ვითარ თავი იდებდეს მოსვლასა სულისა წმიდისასა. რამეთუ რაჟამს ეგულებოდა განჯორციელება ღმრთისა სიტყუასა წინათვე მოასწავებდა წინასწარმეტყუელნი ცდახად და ჭეშმარიტებით ვნებასა და აღდგომასა მისსა და მერმე თუალითა იხილეს და ჳელითა მსახურეს წმიდათ მოციქულთა, მაშინ მცირედ-მცირედ აღიყვანებდა გულისწმისყოფად ვნებისა და აღდგომისა თვისისა. და კუალად მრავალგზის დაბრკოლდებოდეს, ვითარცა პეტრე მოციქული ეტყოდა უფალსა: „ჯვარცმისა, ძისა მისისათვის შენდობა იყოს შენდა, არა იყოს ეგრეთ“. (20v) და სხვანიცა მოციქულნი მრავალგზის დაბრკოლდეს, უკეთუმცა ესრეთ არა დაჩუეულ იყუნეს, ვითარ თავს იდებდეს ხილვად განგებასა მისსა. რავდენ უმეტეს უხილავისა და უსაზღროისა და გარეშეუნერელისა სულისა წმიდისა გარდამოსვლასა შეშინებულ და შეძრწუნებულ ქმნულ იყუნეს და ვერ თავსმდებულ ძალსა, უკეთუ წინათვე არა განემზადნეს, ვითარცა ვთქუ შებერვითა მით. და უკეთუ მაშინვე სრულებით მიენიჭა, რადღა ელოდეს პაემანსა და აღსრულებასა მეერგასისა დღისასა, რომელსა შინა ცხადად მოილეს მაღლი სულისა წმიდისა ცეცხლისა ენათა განყოფითა. ანუ რად ეტყოდა ქრისტე მონაფეთა: „უკეთუ, მე არა წარვიდე, იგი არა მოვიდეს“ და კუალად ეტყოდა: „მე წარვიდე და სხვა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო“. და შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა, რაჟამს შებერა მოციქულთა, მერმე შემდგომად შებერვისა მეორემოცესა დღესა ეგულებოდა და არა ამაღლება, აღიყუანნა მთასა ზეთისხილთასა და ეტყოდა: „ხოლო თქუნენ დასდებთ ქალაქსა ამას იერუსალიმსა, ვიდრემდის შეიმოსოთ ძალი მაღლით და მე მოგივლინო აღთუქმა იგი მამისა ჩემისა“. უკეთუ მაშინ

მიენიჭა ამას, რადღა იტყოდა?

(21r) რამეთუ ვინათგან სრულმან ბუნებამან ღმრთისამან კაცთა ბუნება სრულებით მიიღო ჴორცი და გონება, სული სიტყვიერი სამშუინველითურთ და შეიერთა თავსა შორის თვისსა და ერთ გუამ იქმნა ორი ბუნება, ამისთვის კაცობრივითა სულითა და სამშუინველითა შეჰბერა, რათა გვრწმუნეს შემდგომად აღდგომისა სრულისა ბუნებისა კაცობრივისა ქონება ქრისტესი და მოჰმზადება იყო მიღებად სულისა წმიდისა, ვითარცა ანცა სახედ მღდელნი იქმენ, რაჟამს ნათლისცემდენ ყრმათა, შეჰბერვენ და მასვე სიტყვასა იტყვიან, რომელნიცა მაშინ ჰრქვა მონაფეთა უფალმან, ვითარმედ: „მიიღეთ სული წმიდა“. ესრეთ მომზადება იყო და არა სრულად მინიჭება. ხოლო ღმრთაების ბუნებითა მეერგასესა დღესა, დროსა მას და პაემანსა, რომელსა მოელოდეს მოციქულნი სათნო ყოფითა მამისათა მოვლინებითა ძისათა და თვით ჴელმწიფებითა სულისათა თავით თვისით მოვიდა სული წმიდა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მე ვკითხო მამასა ჩემსა და სხუა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო“ და მერმე: „ოდეს მოვიდეს სული იგი ჴემმარიტებისა გიძლოდეს თქვენ ჴემმარიტებასა (21v) ყოველსა“. ესე სიტყვანი თვითებათა და გუამოვნებათა შეურევნელებისა არიან. ხოლო სიტყვა იგი თუ: „სული იგი ჴემმარიტებისა რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის“. ესე არსებათა და ბუნებათა ერთობისა საქმე არს, ვითარმედ მამისაგან გამოვალს და მამისა და ძისა თანა ერთობა და ერთპატიობა და სწორი ჴელმწიფება და უფლება აქუს და არა არს მათ შორის განწვალება, არცა შერეულება, არამედ ერთ არს და თანასწორ უფლებითა და ჴელმწიფებითა სული წმიდა მამისა თანა და ძისა.

კუალად იტყვიან, ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ გზა და მე ვარ ჴემმარიტება,“ მერმე იტყვის: სული იგი ჴემმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, ხოლო ძე არს ჴემმარიტება იგი და მისგან გამოვალსო. უკეთუ გამოსვლასა ზედა მოიღებენ ამას სიტყვასა, მაშინ გზისგანცა გამოვლა თქუან, რამეთუ თქვა: „მე ვარ გზა და მე ვარ ჴემმარიტება“ და ესე არს უმსგავსო სიტყუა მათი, ხოლო არა იტყვის ჴემმარიტებისგან გამოსვლასა, არამედ სული ჴემმარიტებისაო და მეცა ეგრეთვე მრწამს და აღვიარებ სულად ძისა და სულად ქრისტესსა და სულად ჴემმარიტებისა და რაოდენნი სახელნი ითქუმიან ქრისტესნი, ყოველთა ზედა ითქუმის სულად ძისა და სულად ქრისტესსა მოძღვრებისაებრ საღმრთოთა წერილთასა, ვითარმედ გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვისისა გულთა შინა ჩუენთა. და რომელსა სული ქრისტესი არა აქუნდეს, იგი არა არს ქრისტესი“. და კუალად: „მე ვარ გზა და მე ვარ ჴემმარიტება“. ხოლო გამოსლვით ძისაგან არავის უთქვამს, არც თვით ჴემმარიტსა ძესა ღმრთისასა, არცა მოციქულნი, არცა ღვთისმეტყუელთაგანსა რომელსამე, არამედ ესრეთ ყოველთავე საღმრთოთა წერილთა შინა და თვით წმიდასა სახარებასა შინა წერილ არს, ვითარმედ: „მამისაგან გამოვალს და ძისა მიერ მოველინების და მამა არს მიზეზი ძისა შობისა და სულისა გამოსვლისა და ერთობა აქუსთ

უცვალელები და მეუფება და სუფევა მოუკლებელი და მისა შუენის დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ხოლო ერთი სატყვა ესე აქუსთ მიზეზად ცუდად მეტყუელებისა მათისა, რომელი წერილ (22v) არს გამოცხადებასა შინა ოიანე ღვთისმეტყველისა, კმა თავსა შინა, ვითარმედ: „მიჩუენა მდინარე წმიდა წყლისა ცხოველისა ბრწყინვალე, ვითარ ბროლი გამომავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა შორის სივრცესა მის ქალაქისა“. ესე არს თავი და პირველი სიტყვისგება მათი ჩუენდა მომართ და ამით აცთუნებენ მრავალთა წრფელთა და მარტივთა სულთა და ჩანს, ვითარმედ ძნელ არს სიტყვისგება მათი, არამედ მცირედ მელოდეთ და ადვილად დაიწსნას ცუდისმეტყველება მათი და მადლითავე და შენევნითა სულისა წმიდისათა.

ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა შორის სივრცესა მის ქალაქისასა“, ვინათგან საყდარი თქვა და სივრცე ქალაქისა. ჩუენ მიერ არღარა საჭირო არს ამის განმარტება, რამეთუ თქვენ მიერცა, რომელთა შორის არს მეცნიერება, უწყით ძალი საღმრთოთა სიტყუათა, რამეთუ უწყი ყოველთა, ვითარმედ საყდარნი ღმრთისანი ანგელოზნი არიან ერთი დასი ცხრათა მათ დასთაგანნი, უმახლობელესნი ღმრთისანი და უპირველესნი სხუათა მათ ზეცისა განწყობილთანი სერაბინთა და ქერაბინთა თანა გარემოს ღმრთისა მყოფნი, რომელთა ზედა განისუენებს მეუფე მეუფეთა, ვითარცა დასწერს ბრძენთმთავარი იგი დიდი დიონოსი (23r) ზეცისა განწესებათათვის და იტყვის: „სერაბინნი და ქერაბინნი და საყდარნი, უფლებანი, ძალნი და ჳელმწიფებანი, მთავრობანი და ანგელოზნი, ვითარცა ვთქუ, უპირველესნი და უმახლობელესნი ზეცისა განწესებულთა შორის სერაბინნი და ქერაბინნი და საყდარნი არიან და მას ზედა განისუენების ნეტარი იგი და მოუნდომელი ბუნება წმიდისა სამებისა მიუნდომელად და გამოუთქმელად, ვითარ წერილ არს ჟამსა მას, რომელსა მოკუდა ოზია მეუფე და იტყვის, ვითარმედ: „ვიხილე უფალი მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა და სავსე იყო ტაძარი იგი დიდებითა მისითა და სერაბინნი დგეს გარემოს მისა“ და წმიდანი სამნი ყრმანი იყუნეს რა ცეცხლსა შინა, ილოცვიდეს და იტყოდეს: „კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა შენისათა“. ესე არს საყდარი იგი, რომელი იხილა ღმრთისმეტყუელმან იოვანე და კუალად დავით იტყვის: „უფალმან ზეცას განამზადა საყდარი თვისი“. და კუალად გამოცხადებასა შინა წერილ არს: „მეყსეულად ვიქმენ სულითა და აჰა, დგა საყდარი ცათა შინა და საყდართა ზედა მჯდომარე მსგავსი იყო ქვასა მას იასპსა და სარდიონსა და ირისე იყო გარემო საყდრისა მის“ (გამოცხადება 4,2). რომლისაგან გამოვალს მდინარე იგი წყლისა ცხოველისა და საყდრად ღმრთისა, რომელსა ზედა განსუენებს უფალი. პირველნი ბრწყინვალეებანი არიან ზეცისა განწყობილთა შორის, ვითარცა პირველივე ითქვა და უფალმან ზეცას განმზადა და საყდარი თვისი და სუფევა მისი ყოველთა

ზედა ეუფლები.

და უკეთეს სული წმიდა საყდრისაგან გამოვალს, ვითარღა ითქუას ძისაგან გამოსვლა, ანუ რალა იყოს უმეტესი პატივი, ანუ ძისა, ანუ მამისა და ესაისიცა იგი ხილვა მივხედენ, ვითარ იხილა მეუფე საყდარსა ზედა მჯდომარე და მერმე შორის სივრცესა მის ქალაქისა, რამეთუ ესენი წმიდანი ანგელოზნი არიან და სულნი წმიდათა კაცთანი, ვითარცა სხუანიცა ღმრთისმეტყუელნი ეგრეთვე იტყვიან და ამათ შორისცა გამოვალს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მდინარე ერთი წმიდა ბრწყინვალე წყლისა ცხოველისა გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავსა შორის სივრცესა მის ქალაქისასა“ სიტყვისაებრ მათისა, არამედ (23v) მდინარე იგი წმიდა, რომელი იხილა ღმრთისმეტყუელმან წყლისა ცხოველისა ჭემმარიტად მადლყ სულისა წმიდისა არს და გამოვალს საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა, რომელ არიან საყდარნი ღმრთისანი ანგელოზნი ნებითა კრავისა მის ჩუენთვის დაკლული უფლისათა და გარდაეცემის უხუად შორის სივრცესა მის ქალაქისასა ანგელოზთა და წმიდათა სულთა ზედა და არა ბუნებით და პირველითგანი მიზეზობისათვის არს ხილვა ესე გამოსლვისა, არამედ მადლითა სულისა წმიდისა გამოსლვათათვის იტყვის, ვითარცა ბრძანებს ქრისტე, ვითარმედ: „რომელსა რწმენეს ჩემი“, ვითარცა თქუა წიგნმან: „მდინარენი მუცლისანი მისისაგანი დიოდთან წყლისა ცხოველისანი“. ესე თქვა სულისა მისთვის, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისა მიმართ. ესე მდინარე იხილა იოვანე ღმრთისმეტყუელმან გამომავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა, რამეთუ მადლი იყო სულისა წმიდისა უხუებით მომდინარე სახედ მდინარისა შორის ანგელოზთა და წმიდათა სულთა ზედა კაცთასა გარდაცემული და რომელსა რწმენეს ქრისტე ძედ ღმრთისა და თანასწორად მამისა, უკანასნელ ჩუენთვის განკაცებლი ორ(24r)ითა ბუნებითა და ერთითა გუამითა, ღმერთი სრული და კაცი სრული და მცნებათა და ბრძანებათა მისთა იმარხვიდეს, მისგან გარსამოეცემის მდინარე იგი ცხოველსმყოფელი წყლისა ცხოველისა უხუებით, რომელ არს მადლი სულისა წმიდისა ბრძანებისაებრ ქრისტესა. და თუმცა სულისა წმიდისა გამოსლვისათვის იტყოდეს მდინარესა მას ღვთისმეტყუელისა მიერ ხილულსა და მის მიერვე სახარებასა შინა აღწერილსა. ვითარმედ: „რომელსა რწმენეს ჩემი, მდინარე მუცლისა მისისაგან დიოდთან წყლისა ცხოველისანი“ და შემდგომი. მაშა ესეცა იქმნების ყოვლისა მორწმუნისა და წმიდათა კაცთაგან გამოვალს სული წმიდა და ვითარ იყოს ესე, ანუ ვითარ ეგების, რამეთუ სული წმიდა ბუნებით არცა მდინარე არს, არცა დის, არცა ქრის, ვითარცა ქარი, არცა ორთქლი რამე არს ჰაერად განქარვებად. ვითარცა იესო ქრისტე ითქმის სიტყვა და მამისა და არა თუ ჩვეულებრივ სიტყუა არს, რომელი განილევის ჰაერთა შინა, არამედ სრული გვაგონება არს სიტყუა ღმრთისა, ეგრეთვე სულისა წმიდისა სრული გვაგონება არს, ვითარცა მამისა და ძისა, ეგრეთვე სულისა წმიდისა უცვალებელნი და მტკიცე, შეურევნელნი და განუყოფელნი და არა რა არს მათ

შორის განყოფილნი თვინიერ უშობელისა შობისა და გამოსვლისა და თუ რა არს უშობელობა მამისა და შობა ძისა და გამოსვლა სულისა, არავინ უწყის და ვერცა ვინ შემძლებელ არს ცნობად, თვინიერ წმიდისა და ერთარსისა და განუყოფელისა სამებისა, სამებისა ერთარსისა.

(24v) რამეთუ ქრისტე ბრძანებს: „სული იგი ჭეშმარიტისა, რომელი მამისაგან გამოვალს“ და წმიდანი მისნი მოციქულნი მართლისა სარწმუნოებისა აღსარებასა ესრეთ დასწერენ, ვითარმედ: „სული წმიდა, რომელი მამისაგან გამოვალს“ და სამას ათურამეტთა ნიკიას შეკრებულთა ღმრთისმეტყველთა მამათა ესრეთვე თქვეს და დაამტკიცეს სული წმიდა, რომელი მამისაგან გამოვალს და ეგრეთვე ყოველთა კრებათა და შემდგომთა დიდთა ღმრთისმეტყველთა ესრეთ დაწერეს, ვითარმედ: „მამისაგან გამოვალს“ და არა სადა თქუმილ არს, თუ სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოვალს, არამედ მხოლოდ მამისაგან გამოვალს და ძისა მიერ მოგუეცემის და მოივლინების და ერთ არს პატივი და დიდება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ხოლო იგინი გმობენ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და იტყვიან, ვითარმედ: ჩუენ ამისთვის ვიტყვიით, რამეთუ მათ ვერ გულისწმაცესო და ან ჩუენ უმეტესად გამოგუეცხადაო და კოსტანტინოპოლისა კრებამან (25r) უფალი და ცხოველსმყოფელი შემატესო, რამეთუ მუნამდე ესრეთ იტყოდესო, სული წმიდა, რომელი მამისაგან გამოვალს და ან ჩუენცა ესრეთ შევმატეთ სული წმიდა, რომელი მამისა და ძისაგან გამოვალს და ესრეთ განიმართლებენ თავთა მათთა. ვაი, ურცხუნოთა პირთა მათთა აღივსნედ სირცხუილთა და კდემითა ესევითარისა მეტყველნი. რამეთუ არა თუ კოსტანტინოპოლისა კრებამან შემატეს სულსა წმიდასა სახელი, ესე სული წმიდა უფალი და ცხოველსმყოფელი, არამედ წმიდამან იაკობ მოციქულმან და მარკოზ მახარობელმან განწესებასა შინა საღმრთოსა წირვისასა შემდგომად საუფლოსა მის სიტყვისა, რომელსა იტყვის მღდელი: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჯორცი ჩემი“ და შემდგომი. მერმე იცტვიან წმიდანი მოციქულნი, ვითარცა წერილ არს კონდაკთა შინა მათთა. იაკობ იტყვის: „შეგვიწყალე ჩუენ ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, შეგვიწყალენ ჩუენ ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, შეგვიწყალენ ჩუენ შენ ჩუენ დიდითა წყალობითა შენითა და გარდამოავლინე ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას ძღუენსა ზედა სული შენი ყოვლად წმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი თანაარსი შენი, ერთმეუფებით თანასწორი“. ესრეთ ხადიან წმიდანი მოციქულნი სულსა წმიდასა უფლად და ცხოველსმყოფელად და არა თუ უკანასკნელ უწოდნეს ესე სახელნი. რამეთუ სახელნი სულისა წმიდისანი მრავალნი არიან წმიდათა წერილთა მიერ მოსწავებულნი გინათუ უფალი, გინათუ ცხოველსმყოფელნი, გინათუ რავდენიცა სახელნი იწოდებიან სული ნუგეშისმცემელი, სული სახიერი, წრფელი, სული მთავრობისა, სული გულისწმისყოფისა, სული სიბრძნისა, სული ღმრთისმყოფელი. ესე და უმრავლესი ამისაწერილ არს სულისა წმიდისათვის, რავდენიცა უწოდოს კაცმან

სულსა წმიდასა, კეთილ არს და ჯეროვან და შეეტყუებიან ყოვლად ბრძენსა მას და ღმერთითავარსა სულსა, ვითარცა არს ჭეშმარიტად ღმერთი და უფალი და ცხოველსმყოფელი და სხვანი რავდენნიცა ვთქუნენ. ხოლო გუამოვნებისა და (25v) თვითებისა შერეენა და შერწყმა და ძისაგანცა გამოსვლით თქუმა უჯერო არს და უპირულ, რომელი არცაღა სხუასა არვის უთქუამს და არცა სადა წერილ არს და გარეშე არს საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა და რომელნი ამათ საზღუართა გარაუქცევენ, მათ ზედა აღესრულების სიტყუა იგი მოციქულისა პავლესი: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზნი ზეცით გახარებდეს გარეშე მისა, რომელ ჩუენგან მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ“. ხოლო ჩუენ ნუ გარდავკდებით საზღუარსა მათთა, ნუცა შევსცვალებთ კანონსა წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა, ვითარცა არცა შეგვიცვალბებიეს და არა რა შემოგვიღეს უბინოსა შინა სარწმუნოებასა, არამედ ვეგნეთ მასვე ზედა მტკიცედ და უცვალბებლად, რათა კურთხევა და მაღლი მათი მოვიდეს ჩუენ ზედა და დაგუიციენს წმიდამან სამებამან ერთღმრთაებით თაყვანისცემულმან და დიდებულმან და მისა შუენის პატივი და დიდება და მარადის თაყუანისცემა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

(26r) თავი მეორე. მათდა მიმართ, რომელნი უფროსად და უალრესად პაპასა ხადიან, სხუათა პატრიარქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათა და პატრიარქთა წმიდისა პეტრე მოციქულისა თანა მოსაყდრეობითა და ერთპატიობითა სწორადვე მისსა და უმეტესადცა სწამთ, გინათუ კეთილის მოქმედი იყოს იგი, ანუ თუ სხუისა წინა აღდგომისა საქმისა.

ისმინეთ ჩემი, რომელთა გნებავს კეთილად გულისწმიყოფა, ამის მიზეზისათვის სიტყვის გება და საჯეთ სამართალი, პირველად ესე ვთქვათ, რომელი წმიდასა სახარებასა შინა წერილ არს, რომელი აღწერა წმიდამან მათე მახარებელმან, ოდეს წმიდანი მონაფენი და მოციქულნი ჯერეთ საზომსა სისრულისასა არა მიწვეულ იყვნეს, არცა მოელოთ ჯერეთ მაღლყ სულისა წმიდისა, ეძიებდეს პატივსა და დიდებასა მსოფლიოსა და ქრისტესთვის გონებდეს, ეტყოდა რა, ვითარმედ: „აღვალ იერუსალიმად“, საყდართა დავითისთა დაჯდებისო და დაიპყრობს მეფობათა ქვეყნისათაო. ამის მიზეზისათვის მოუჭდა დედა ძეთა ზებედესთა ძეთა მისთა თანა, რომელი არ(26v)იან იაკობ და იოვანე და ეტყოდა ქრისტეს, რათა დასხდენ ძენი მისნი ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით დიდებაჲსა მისსა, ეგრეთვე სხუანი მონაფენი ჰგონებდეს და გული უთქუმიდა მსოფლიოსა ამის დიდებისათვის. მაშინ ქრისტემან სასუმელისიკუდილისა წინა უყო შესხმად და ჰრქვა მათ: „ძალგიცა სასუმელისა ჩემის შესმად და ნათლისღება, რომელი მე ნათელვილო ნათლსღებად“, ხოლო მათ ჰრქვეს: „ძალგვიც“. და ჰრქვა მათ იესო: „არა იცითა, რასა ითხოვთ, ძალგიცა სასუმელი, რომელი მე მეგულების შესხმად და ნათლისღება, რომელი მე

ნათელ ვილო ნათლისღებად, ხოლო მათ ჰრქვეს: „ძალგვიც“. ჰრქვა მათ იესო: „სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლიღება, რომელი მე ნათელ ვილო, ნათელ ილოთ, ხოლო დაჯდომა მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთ და განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა.

ვითარცა ესმა ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათვის, ხოლო იესო მოუნოდა ორთა მათ ძმათა და ჰრქვა მათ: „უნყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლობენ მათ ზედა და დიდ-დიდნი ჳელმნიფებენ მათ ზედა, ხოლო თქვენს შორის (27r) არა ეგრე იყოს, არამედ რომელსა უნებს თქუენ შორის დიდყოფა, იყავნ თქუენდა მსახურ და რომელს უნდეს თქუენ შორის წინა ყოფა, იყოს იგი თქუენდა მონა“. ან სადა ჩანს მათ შორის უაღრეს უდარესობა, ანუ მთავრობა და უფლება არა ყოველთავე სწორება და ურთიერთას მონება და სამსახური უბრძანა, დაღაცათუ პეტრე მოციქული კაცთა მიერ თავად მოციქულად სახელ იდების, არამედ სხუანიცა მოციქულნი ათორმეტნი ზოგად ყოველნივე თავად სახელ იდებიან სხუათა მათ სამეოცდა ათთა მათ მოციქულთა, რომელნი ქრისტემან გამოირჩინა და წარავლინა ქადაგებად მათ ზედა. თავად ითქუმიან ათორმეტნივე, არამედ ზოგად ძმანი არიან საზომისაებრ და ნიჭისა მადლისათა.

ჰკუალად ქვემორე წერილ არს მისვე მათე მახარებლისა მიერ აღწერილთა სახარებათა შინა: „ჰრქუა იესო მონაფეთა თვისთა: ხოლო თქვენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი (27v) თქვენი ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ და მამათ ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამა თქუენი, რომელ არს ცათა შინა, ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი ქრისტე, ხოლო უდიდესი თქუენი იყავნ თქუენდა მსახურ, რამეთუ რომელმან აღიმალლოს თავი თვისი, დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“. იხლეთ ბრძანება ესე სამეუფო და გულისჳმა ყავთ კეთილად, სადა ჩანს აქა უაღრეს-უდარესობა წმიდათა მოციქულთა შორის, ანუთაობა და წინამძღრობა ერთი მეორესა ზედა, ანუთუ ყოველთა ზედა, რამეთუ ქრისტესაგან ყოველნივე ურთიერთას ძმად იწოდნეს და არა წარმართთაებრ უფლად და მთავრად, ვითარცა აწინდელი პაპები ჰრომისანი მძლავრებით და ჳელმნიფობით იქცევიან და უპყრიესთ ეკლესია არა პეტრესებრ და სხუათა შემდგომთა და მობაძავთა მისთა პაპებთა, არამედ ზეპურობით და მძლავრობით მპყრობელთა მეფეთაებრ, რომელნი ბრძანებათა განავლენენ და ზოგთა ნებსით და ზოგთა იძულებით და მძლავრებით დაიმორჩილებენ და წინა აღუდგებიან ბრძანებათა სამეუფოთა და იტყვიან თავად ეკლესიათა პაპასა და უფროსად ყოველთა პატრიარქთა. ხოლო ესე ვითარისა ამპარტავნებისა და ღმრთის სიძულვილისა ზუაობისა სიტყვა და (28r) საქმე ახლად არს მათ მიერ მოგონებული და თავით თვისით თვნიერ მსოფლიოთა კრებათა და გარეშე წმიდათა წერილთასა მოპოვნებული, რამეთუ არა სადა წერილ არს წმიდათა მოსაჳსენებელთა შინა

არცა სჯულის კანონთა შინა უფროსობა სხუთა ზედა პაპისა და ვერცა გამოაჩინებენ ამას, თუმცა ძუელითგან უფროსი ყოფილ იყო სხუათა პატრიარქთა ზედა ეპისკოპოზი ჰრომისა, არამედ პატრიარქნი ხუთნივე სწორნი არიან განწესებისაებრ პირველისა მსოფლიოსა კრებისა სამას ათურამეტა მამათა ნიკიას შეკრებულთა კოსტანტინეს-ზე დიდისა, რამეთუ მუნამდე არცა ერთი ეკლესია საპატრიარქო აღმოსავლეთისა და დასავლეთისა არა იყო წარჩინებულ, არცა გამოჩინებულ მის ჟამისა კერპთმსახურითა მეფეთაგან, რამეთუ დიდი იყო შიში და მძლავრება მათი და ყოველთა ქრისტიანეთა აიძულებდენ უარისყოფად ქრისტესა და იყუნეს დამალულ შიშითა სატანჯველთათა და ოდეს დიდმან კოსტანტინემ მიიღო შარავანდედი მეფობისა და დაიპყრა ყოველი ქრისტიანობა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, მაშინ ქმნა კრება დიდი ნიკიას, ვითარცა ვთქუ და შეკრიბნა ყოველთა კიდეთა(28v)გან წმიდანი ეფისკოპოზნი და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება წმიდათა მოციქულთა მიერ ქადაგებული და დაუსხნეს ეკლესიათა წესნი და კანონნი. მუნ იყუნეს კრებისა მის თავად სილობისტრო, პაპა რომისა; მიტროფანე, პატრიარქი კოსტანტინეპოლისა, იობენალ — იერუსალიმისა, ალექსანდრე — ალექსანდრიისა და ევსტათი — ანტიოქიისა და მათ თანა სფირიდონ საკვირველთმოქმედი, ნიკოლოზ საკვირველთმოქმედი, მირონ ქალაქისა ეპისკოპოზი, გრიგოლი პართელი, მღდელ მონამე, განმანათლებელი სომხითისა, ბასილი მღდელმონამე ამასიის ეპისკოპოსი, დიდი ათანასი და სხუანი მსგავსნი ამათნი სამას ათურამეტნი მამანი ღმრთისმეტყუელნი და მათ დაამტკიცეს პირველად სარწმუნოებ. მაშინ დიდმან კოსტანტინე პატივსცა და აღამალღნა ყოველნი ეკლესიანი და საეპისკოპოსონი. პირველად ჰრომისა ეკლესია ადიდა და აღამალღა ეპისკოპოზი მისი, და ჴელთუდვა დასავლეთისა ეკლესიანი, არათუ ყოვლისა სოფლისა თავად დაადგინა, არამედ დასავლეთისა ოდენ პატრიარქად განაჩინა და თვით მეფე დაემკვიდრა ბიზინტიას და მოსცვალა ძუელი ჰრომი ახლად ჰრომად და სახელსდვა კოსტანტინოპოლი და უეტესად და აღამალღა ეპისკოპოზი ახლისა ჰრომისა, (29r) რომელ არს კონსტანტინეპოლი და ჴელთუდვა თაობა ყოველთა ეკლესიათა, ეგრეთვე ალექსანდრიისა და ანტიოქიისა და იერუსალიმისა, ვითარცა განწესებასა შინა ნიკიისა კრებისასა და მეექუსისა კრებისა კანონთა შინა წერილ არს თანასწორება და ერთპატიობა ძუელისა ჰრომისა ეპისკოპოზისა და ახლისა ჰრომისა ეპისკოპოზისა, რათა სწორნი იყვნენ და ერთი პატივნი და სხუათა მრავლითა საღმრთოთა და ღვთივსულიერითა წიგნთა შინა წერილ არს, რათა სწორნი იყუნენ და ერთი პატივნი, ეკლესია ძუელისა ჰრომისა და ახლისა ჰრომისა და პატრიარქნიცა ხუთნივე სწორნი იყვნენ, ვითარცა ანდერძთ შინა ბრძანებს, რაჟამს ილოცვიდა: „არა ხოლო ამათთვის მკითხავ, არამედ ყოველთათვის, რომელთა ჰრწმენეს სიტყვითა მათითა ჩემდა მომართ, რათა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩედამო და მე შენდამი და ერთი მეორისა სამწყსოსა და ადგილსა არა უჯდებოდის, არცა



მძვავრებით ეცილებოდის. რათა აღმოსავლეთისა პატრიაქი აღმოსავლეთსა შმწყსიდეს და დასავლეთსა – დასავლეთისა, სამხრეთისა – მის კერძოთა და ჩრდილოეთისა – მის კერძოთა განწესებისაებრ წმიდათა სამას ათურამეტთა ნიკიასა შეკრებულთა მამათა და სხუათაცა შემდგომთა მსოფლიოთა კრებათათა, ეგრეთვე განგებასა შინა სჯულისკანონისასა წერილ არს, ვითარმედ თავი არს ყოველთა ეკლესიათა ეკლესია კოსტანტინეპოლისაჲ, (29v) ეგრეთვე წმიდა გრიგოლი ღმრთისმეტყუელი დასწეს შესხმასა შინა ირონ ფილოსოფოსისასა დიდისა ათანასესთვის, რა იგი შეემთხუია მწუალებელთა არინოზთაგან და მიუწერს და იტყვის ლტოლვილი მწვალებელთაგან და მრავალფერად გუემილი და წყლული მიიწია ჰრომედ და ეპისკოპოზისა მის მათისა წინაშე განაცხადა უსამართლება იგი მისი, რომელი შეემთხუია არიანოზთაგან და უჩუენა სისხლითა შეღებილი სამოსელი თვისი. სადა ჩანს აქა უფროსობა პაპისა? რისთვის არა თქუა, თუ მიიწია იგი წინაშე თავისა მის ჩუენ ყოფათასა ჰრომელთა ეპისკოპოსისა, არამედ ესრეთ, ვითარმედ წინაშე ეპისკოპოსისა მის მათისა. ეგრეთვე ცხორებდა შინა მაქსიმე აღმსარებელისასა წერილ არს, ოდეს ერთისა ბუნებისმეტყუელი მეფე და პატრიაქი კოსტანტინოპოლისა იყუნეს და გმობდეს კრებასა ქალკიდონისასა, წმიდა მაქსიმე აღმსარებელი იმ უფლებით წარმოიყვანეს ჰრომით ქალაქად კოსტანტინოპოლედ და აიძულებდეს, რათა უა.რყოს ორი ბუნება ქრისტესი და ერთი ბუნება აღიაროს და შეურაცხყოს კრება ქალკიდონისა. მრავალგზის ეტყოდეს ამას და იგი არა (30r) ერჩდა. მერმე მიუვლინეს კაცნი საჩინონი და შერაცხულნი, მთავარნი და ეპისკოპოზნი და მიუმცნეს ესრეთ, ვითარმედ ეკლესია კოსტანტინოპოლისა თავი არს ყოველთა ეკლესიათაო, რად არა დაემორჩილები ამას ეკლესიასა, ანუ რომლისა ეკლესიისა მორჩილი ხარ. ამის ეკლესიისა, ანუ ჰრომისა, ანუ ალექსანდრიისა, ანუ იერუსალიმისა, ანუ ანტიოქიისა, რამეთუ ხუთნივე ესე საპატრიაქონი ერთჲმა არიან და ამა ჩუენსა ეკლესიასა ეზიარებიანო. შენცა მოვედ და გუეზიარე და აღიარე ესე სარწმუნოება ჩუენიო.

მიუგო წიღამან მაქსიმე და ჰრქვა: ეკლესია ქრისტესი არა თუ ქვათა მიერ ჴელითა კაცთათა აღშენებული არსო, არამედ პეტრეს ჰრქვა რა: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო“. ვისცა ძე ღმრთისად იესუ ქრისტე რწამს შემდგომად განკაცებისა ორითა ბუნებითა. ესე კლდე თვით ქრისტე არს ძე ღმრთისაო, არცა პეტრეზედ აღშენებულა, არცა პავლეზედა, არცა სხუათა მოციქულთა ზედაო, არამედ მართალსა აღსარებასა ზედა ქრისტესაო. ვითარცა პავლე მოციქული იტყვის: „რომელნიმე იტყვიო, მე პავლესი ვარ, მე აპოლოსი ვარ, მე კეფასი. რა არს პავლე, ანუ აპოლო, ანუ კეფა, (30v) არამედ მსახურნი რომლეთაგან თქვენ გრწმენა. მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა. არცა არა დამსხმელი, არცა რა მომრწყმელი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი“. ან მე მას დავემორჩილები, რომელიცა ეკლესია და პატრიაქი მართლ აღსარებისა კლდესა ზედა

დაფუძნებულ არსო. თქუენ, რომელიცა ეკლესია გნებავს, შემოგიერთნენო, გინათუ ჰრომისა, ანუ ალექსანდრისა, ანუ სხუა, რომელიცა გენებოს. მე, რომელიცა წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს და ჭეშმარიტთა მოძღუართა გუასწავეს, მას არა გარდაუქცევ და სხუასა არას შევიწყნარებო.

კუალად ცხორებასა შინა წმიდისა გრიგოლ აკრაკანტილისასა წერილ არს: ოდეს წარვიდა ჰრომედ შემთხუევად სამარხოსა წმიდათა თავთა მოციქულთასა, რამეთუ დიდ იყო სათნოებითა კაცი იგი ღმრთისა და მრავალთა სასწაულთა იქმოდა და ყოველთა მიერ პატივიცემოდა და იდიდებოდა. და მაშინ მახლობელნი მისნი მღვდელნი შურითა დაბნელდეს და იწყეს მტერობად მისა. დედაკაცი ვინმე მეძავი ქრთამითა მოიბირეს, რათა ცილი დასწამონ. მაშინ დედაკაცი იგი შეუჭდა სენაკსა მისსა ჟამსა ცისკრისასა, ოდეს ეკლესიად წარვიდეს, მეძავი (31r) დედაკაცი სარცელსა მისა ზედა მწოლიარედ იხილვა. მაშინ შეიპყრეს წმიდა გრიგოლი და წინაშე პაპისა მიიყვანეს და ვინათგან უმეცარ იყო ღირსებასა მისსა, საპყრობილესა შეაყენეს და ორწელ დაყო საპყრობილესა შინა და ვიდრემდის არა წარმოგზავნეს კაცნი და არა აუწყეს პატრიარქსა კოსტანტინოპოლისასა, ვერ განსაჯა საქმე მისი პაპამან ჰრომისამან. მაშინ წარმოგზავნეს კაცნი პატრიარქმან კოსტანტინეპოლისამან და წარიყვანესა წმიდა გრიგოლი, ვინათგან სამწყსო მისი იყო და მან განსაჯა იგი და ცნა ღირსება და უბიწოება მისი და მშუიდობით განუტევა. ან სადა ჩანს თაობა და უფროსობა პაპისა სხუათა პატრიარქთა ზედა, რომელმან ერთისა კაცისა საქმე, ვინათგან სხვისა სამწყსო იყო, ვერ განსაჯა.

ეგრეთვე სანატრელი მამა ჩუენი გიორგი მთაწმიდელი, ახალი ღმრთისმეტყუელი, ოდეს მოიწია ქუეყანასა ჩუენსა მთაწმიდით და განანათლა ქუეყანა ქართლისა, მიიქცა მუნვე მთაწმიდას და ვითარცა მივიდოდა, მგზავრ მიიწია ანტიოქიას და შევიდა წინაშე პატრიარქისა, ხოლო პატრიარქი(31v)მან ანტიოქისამან დიდად პატივსცა და მოწლედ შეიტკბო, რამეთუ პირველცა ეხილვა და ფრიად სურვილი და სიყვარული აქუნდა მისა მიმარ და ჯეროვნად ისმენდის მისა და ჰკითხევდის და გამოეძიებდის მისგან სჯულიერთა და საეკლესიოთა საქმეთა. დღესა ერთსა მოუწოდა პატრიარქმან და ჰრქვა: „მამაო წმიდაო, ვიცი, რამეთუ კაცი ღმრთისა ხარ და ღმერთი იტყვის პირით შენით და ესეცა უწყი, ვითარმედ სიტყვათა შენთა მორჩილებენ ქართველნი და მეფე ქართველთა და ყოველნი ეპისკოპოზნი. ან მიუწერენ და არქუ მეფესა და ქართველთა, რათა დაემორჩილენ, რამეთუ ჩემნი სამწყსონი არიან, ვინათგან მე პეტრე, თავისა მის მოციქულთასა, საყდარი მიპყრიეს და შეკრვისა და განწსნისა ხელმწიფებე მე მაქუს. არქუ მათ, რათა დაემორჩილნეს ჩემსა ეკლესიასა და კათალიკოზი და ეპისკოპოზნი ჩემგან იკურთხეოდენ. აუწყე ესე, უკეთუ არა ისმინონ, მიუწერო ოთხთავე პატრიარქთა და მათითა განზრახვითა წყევასა ქუეშე შეჩუენებისასა კრულ იყვნენ იგინი“.

მიუგო წმიდამან მამამან გიორგი და ჰრქვა: „წმიდაო მეუფეო, რად იტყვი ესევითართა სიტყვათა, რამეთუ ქართველთა ნათესავი დაღაცათუ წრფელ არს და უმეცრად შერაცხ(32r)ილ თქუენ მიერ, არამედ მართალთა სარწმუნოებათა და ღვთის მეცნიერებითა განათლებულ არიან, რამეთუ ვინათგან ნათელი ღმრთისმსახურებისა შეინწყნარეს, მიერთგან არლარა მიდრეკილან წვალებად და მადლითა ქრისტესითა არლარა მიდრკენ, ვიდრე აღსასრულამდე. ხოლო სიბერძნეთი მრავალგზის მიდრეკილ არს წვალებასა, ვითარცა დიდსა სვინაქსარსა წერილ არს, რამეთუ: ოდესმე იქმნენ მწუალებელ საბერძნეთისა ეკლესიანი, რომელ არა, რომელსა ეკლესიასა ზედა იყო მართლმადიდებელი ეპისკოპოზი, ამისთვისა იოანე გუთელ ეპისკოპოზი ჩუენისა კათალიკოზისა მოავლინეს და აკურთხე იგი მცხეთას, ხოლო უკეთუ შენ პეტრე მოციქულთა იქადი, ჩუენი კათალიკოზი და ქართველნი ანდრია მოციქულთა იქადიან, რამეთუ პირველწოდებული ანდრია არს და მისნი წილხდომილნი და მოქცეულნი ვართ. ჴირველად ის დაემონაფა ქრისტეს და მერმე ამან მოგუარა ძმა თვისი პეტრე ქრისტესა, ვითარცა იოანეს თავის სახარებათა შინა წერილ არს: „უკეთუ სამართალსა შეუდგეთ, ჯერ არს, რათა შენ დაემორჩილო ჩუენსა კათოლიკოზსა, წოდებული მწოდებელსა ჯერ არს დამორჩილებად“. ესევითარნი (32v) სიტყუანი რქენა წმიდამან მამამან ჩუენმან გიორგი პატრიაქსა ანტიოქისასა და უმრავლესნი ამისა და ესრეთ უსიტყუელ ყო. ან სადა ჩანს უფროსობა პაპისა, რომელი იქადის პეტრეს მოციქულისა მოსაყდრეობითა, რასათვის არა თქუა პატრიაქმან ანტიოქისამან პეტრეს მოციქულობა, საყდარი მე მიპყრიესო და შეკრვისა და განწყნისა წელმწიფება მე მაქვსო და უდიდესი და უაღრესი, ჩუენ ყოველთა თავი პაპა ჰრომისა არსო, რომელსა აქვს საყდარი და საფლავი პეტრესიო, დაღაცათუ პირველი მოსაყდრე პეტრე მე ვარო, არამედ იგი არს თავიო. ანუ რად თქვა, ოთხთავე პატრიაქთა ვაუწყო და არა მხოლოდ პაპასა, რათა დაგამორჩილოს ჩემსა საყდარსაო, გინა რისათვის წინა უყო ანდრია მოციქულისა პირველი წოდება წმიდამან მამამან ჩუენმან გიორგი და ჩუენისა კათალიკოზისა მით მოსაყდრეობა და არა თავი და პირველი და უფროსი პაპა რომისა არს ყოველთა ეკლესიათაო. ამით ჩანს, რამეთუ არა არს უაღრესი და უფროსი პაპა ჰრომისა და არცა ყოფილა ოდესცა და სხუაცა მრავალი იპოების საღმრთოთა წერილთა შინა ამის პირისათვის, რომელი არა აღვსწერეთ, რათა არა სიმრავლე წერილთა იქმნას (33r) და თუ ვისმე ენებოს, წელად მიიღოს წიგნი იგი დოღმანტიკოს, მწუალებელთა მიმართ სიტყვისგება და მით ეუწყოს ყოველი ჭეშმარიტი, თუ ვითარ აქუს თანასწორება ხუთთავე პატრიაქთა და არცა ერთსა ჰქონებია ესრეთ უაღრესობა და თაობა, რათამცა ერთი მეორისგან იმწყსებოდა. ანუ ებისტოლე იგი წარიკითხეთ ფოკა პატრიაქისა მიერ კოსტანტინეპოლელისა მიწერილი სომეხთა კათალიკოზისა ზაქარიას მიმართ და ყოველივე ცხადად გვეუწყოსთ, თუ ვითარ სწორება და ერთობა ჰქონებია ხუთთავე პატრიაქთა,

ოდეს ერთსა სარწმუნოებასა ზედა იყუნენ და ერთსა მართალსა აღსარებასა და ჭეშმარიტებასა ზედა დამტკიცებულ იყვნენ. ხოლო რომელთაცა დაჯსნეს საზღუარნი მამათანი და არა დაადგონ ჭეშმარიტებასა ზედა, რომელი წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა და ჭეშმარიტთა მოძღუართა დაამტკიცეს და კრებითა დასხნეს საზღუარნი. ესევეითართა სჯულის გარდამაქცეველთა არლარა ერთ ნება არიან სხუანი მიმგდომნი და თანაზიარნი ძმანი და არცალა დაემორჩილებიან მათნი სამწყსონი, არამედ შორს განუდგებიან მართლმადიდებელნი. (33v) რამეთუ მაკედონიოს, სულისა წმიდისა მგმობარი, და ნისტორ, ორ ძედ და ორ გუამად ქრისტეს მეფისა მქადაგებელი და წმიდისა ღმრთისმშობელისა მგმობელი, და და პიროს, ერთისა ბუნებისმეტყუელნი და ესე სამნივე კოსტანტინეპოლის პატრიარქი იყუნეს, და ონორი ჰრომის პაპა იყო, იგიცა ერთისა ბუნებისმეტყუელი და მგმობარი ქრისტეს განკაცებისა უარისმყოფელი, და დიოსკორე, ერთის ბუნებისმეტყუელი, ალექსანდრიის პატრიარქი და პეტრიოზ, ანტიოქის პატრიარქი, მწუალებელი. ესე ყოველნი შეიჩუენეს და განიძეს და არავინ შეუდგა მათსა მას წუალებასა მართლმადიდებელთაგანი. არცავინ დაემორჩილა ონორის, პაპასა ჰრომისასა, არცავინ შეუდგა მაკედონიოს და ნისტორს კოსტანტინეპოლელ პატრიარქთა, არცა დიოსკორეს ალექსანდრიელსა და პეტრიოზს ანტიოქელსა. ჩანს, რამეთუ არათუ მოსაყდრეობითა და შემდგომობითა იქმნების მსგავსება პირველ მოსაყდრისა თვისისა, არამედ ჭეშმარიტისა აღსარებითა და უბინოსა მოქალაქობითა, ვითარცა წმიდანი მოციქულნი და შემდგომნი და მობაძავნი მათნი წმიდანი მღვდელთ(34r)მოძღუარნი.

ანუ რად იქსნებიან უმეტესად და უდიდებულესად ყოველსა შინა სოფელსა წმიდა ნიკოლოზ მირონქალაქელი, ამბროსი მედიოლანელი, სფირიდონ ტრიმიფუნტელი, ეპიფანე კვიპრელი, აბერკი იერაპოლელი, ბასილი ამასიელი, დიდი ბასილი კესარიელი, გრიგოლი ანძიანძორელი, ღმრთის მეტყუელებისა თავად ჩინებული, რომელი შემდგომად იქმნა კოსტანტინოპოლისა პატრიარქი, და გრიგოლი ნოსელი და სხუანი მრავალნი წმიდანი მღვდელთმოძღურები მცირისა სოფლებისა და ქალაქისანი და არა ყოველნი პაპები ჰრომისანი, ანუ პატრიარქნი კოსტანტინეპოლისანი და იერუსალიმისანი.

ჩანს, რამეთუ არა თუ საყდრითა და დიდობითა მიეცემის ღირსება და ჭეშმარიტება, არამედ სათნოებითა და ერთითა და სწორითა სარწმუნოებითა, ვითარცა ბრძანებს უფალი: „საყდართა მოსესთა დასხდენ მწიგნობარნი და ფარისეველნი, არამედ საქმითა მათთაებრ ნუ იქმთ“ და შემდგომი.

ხოლო პაპასა ჰრომისასა ვინ მისცა ესეოდენი წელმნიფება და დიდება, რათამცა სხუანი პატრიარქნი არა ესწორებოდეს, უკეთუ პეტრე მოციქულისა გამო იქადიან, თავი არს მოციქულთაო. პეტრე ჭეშმარიტად თავი არს მოციქულთა, არათუ მარტო იგი, არამედ ათორმეტნივე თავნი არიან სხუათა მათ სამეოც(34v)დაათთა მოციქულთა და შემდგომთა მათთა, რამეთუ იუდაცა,

განმცემელი თავი იყო მოციქულთა ათორმეტთა თანა აღრაცხული, არათუ ჯორციელთა პატივითა და დიდობითა აქვს პეტრეს თაობა მოციქულთა, არამედ საღმრთოთა მჭურვალეობითა და სიყვარულითა ქრისტესითა და სრულითა სათნოებითა ითქუმის თავად მოციქულითა, ეგრეთვე სხუანი ათორმეტნივე იყვნეს თავ მოციქულთა სულიერითა საზომითა და არა ჯორციელთა პატივითა იყუნეს დიდ წინაშე ღმრთისა და თავ მოციქულთა.

უკეთუ ესრეთ არა იყო, ოდეს პეტრე აცილობდა ქრისტესა და წინა აღუდგა ჯუარცმისა და სიკვდილისათვის, რომელთა ეგულებოდა წსნა ჩუენი და ეტყოდა უფალსა: „შენდობა იყოს შენდა, არა იყოს ეგრეო“. რა მიუგო ქრისტემან? არამედ ესე: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო! რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, არა ზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“. და არგო მაშინ მოციქულთა თაობამან. უკეთუმცა არა შეენანა, აღუწოცელმცა იყო მას ზედა სიტყვა იგი ქრისტესი.

რამეთუ პირველი იგი აღსარება პეტრესი და სიტყუა იგი ზეცისა საიდუმლოთა გამომაცხადებელი რაჟამს ძედ ღმრთისად აღიარა ქრისტე, ჭეშმარიტად წმიდისა პეტრესი იყო და სხუათა მათ მოციქულთა და (35r) შემდგომთა პეტრე მოციქულისა მობაძავთა პაპებთა, ხოლო სიტყვა იგი: „თუ წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, არა ზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“. ჭეშმარიტად ესე ბრძანება არა პეტრეზედ არს, არცა მისთა მობაძავთა და შემდგომთა მისთა პაპებთა, არამედ უკანასკნელ და აწინდელთა პაპებითა ზედა არს სიტყვა იგი: „თუ წარვედ ჩემგან სატანა, რამეთუ საცთურ ჩემდა ხარ, არა ზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“, რამეთუ სატანა წინა აღმდგომად გამოითარგმნების და იგინი არიან წინა აღმდგომნი საღმრთოსა სჯულისანი და დამწსნელნი სამეუფოთა ბრძანებათანი, რომელნი არა ზრახვენ სჯულსა ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

ვითარცა ყოვლისა წმისანარმეცნიერმან უფალმან უწყოდა, წმიდისა პეტრე მოციქულისა შემდგომად უკანასკნელ გამოჩინებად პაპები არა პეტრეს სათნოების მობაძავნი, არამედ წინა აღმდგომნი და სჯულისა შეურაცხისმყოფელნი, არა მზრახველნი მოციქულთაებრ, არამედ კაცობრივ და ჯორცთაებრ და რა იგი შეუდგს ნებასა ჯორცთასა. ამისთვის ჰრქვა პეტრეს სიტყვა იგი, რომელი ზემო ვთქუ.

ეგრეთვე რაჟამს სამგზის უარყო პეტრე, რა არგო უფროსობა(35v)მან და მოციქულთა თავობამან, უკეთუ არა შეენანა და ცრემლითა განენმიდა ბრალი იგი უარისყოფისა. ეგრეთვე საიდუმლოსა მას ფერწებანისასა, რაჟამს ურჩ ექმნა დაბანად ფერწისა, რა მიუგო ქრისტემან: „არა გაქუნდესო ნაწილი ჩემთან“, უკეთუ იგიცა სინანულითა არა განემართა და თავიცა და წელი ფერწთა თანა განგებად არა მიეპყრა. რა სარგებელ ექმნებოდა მოციქულითა თაობა, ვითარცა იუდა განმცემელსა, რამეთუ იგიცა მოციქულთა თავი იყო, არა შეინანა, არამედ იქმნა განმცემელ და შიშთუილება. ამისთვის

ვიტყვი, ვითარმედ: უკეთუ სათნოება პეტრესი, ანუ პავლესი, ანუ იოვანესი და იაკობისი არა აქუნდეს, ცუდ არს ყოველი ღონე კაცობრივი და დიდება ყოვლისა სოფლისა. ესევეთარი სიქადული შორს არს მსგავსებისაგან წმიდისა პეტრესა და სხუათა წმიდათა მოციქულთასა.

უკეთუ ესე ესრეთ არა იყოს, მაშა ყოველნი ეპისკოპოზნი და პატრიაქნი თვისთა პირველთა მოსაყდრეთა ეპისკოპოზთა მსგავსნი იქმნებიან არა სათნოებითა, არამედ შემდგომითი-შემდგომად თანამოსაყდრეობითა. პატრიაქნი იერუსალიმისანი თვით ქრისტესა და წმიდასა იაკობ, ძმისა უფლისა.

(36r) ალექსანდრიისა ეპისკოპოზნი მარკოზ მახარებელისა, კოსტანტინოპოლისა, სტაქოს მოციქულისა და უფროსად ლუკა მახარებელისა და ანტიოქიისა თვით პეტრე მოციქულისა, რამეთუ პირველი საყდარი ესე არს წმიდისა პეტრე მოციქულისა და სხუანი-სხუათა ეპისკოპოზთა სწორნი და მსგავსნი იქმნებიან თანამოსაყდრეობითა და არა სათნოებითა. მაშა რასათვის იწესენების ყოველსა შინა სოფელსა თავად მღვდელთ-მოძღუართა დიდი ბასილი, კესარიის ეპისკოპოზი, ვითარცა პირველივე ვთქუ, ანუ გრიგოლი ღმრთესმეტყველებისა თავად წოდებული, ანუ გრიგოლი ნოსელი, სპირიდონ საკვირველ ტრიმიფუნტელი, ნიკოლოზ მირონ ქალაქით, ანუ ეპიფანე კვიპრელი, ანუ პართენი ლამფსაკელი, გინა ტიხონ ამათუნტელი საკვირველი და სხუანი მრავალნი ადგილ-ადგილ გამოჩინებულნი დიდებულნი მღვდელთ-მოძღურები მცირისა ქალაქისა და დაბნებისანი. რად იწსნებიან ესენი დიდებულად ყოველსა შინა სოფლისა და არა ეპისკოპოზნი ჰრომისანი, რომელნიცა არა გამოჩენილან სათნოებითა სრულნი და მობაძავნი წმიდისა პეტრესნი, ვითარცა წმიდა კლიმენტი, ანუ წმიდა სილიბისტრო, წმიდა ლეონტი, წმიდა გრიგოლი დიოლოლო და მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელნი (36v) მნათობნი არიან ეკლესიათანი და იწსნებიან ყოველსა შინა სოფელსა და არა ყოველნი პაპები ჰრომისანი, ვითარცა ვთქუ, რომელნიცა არა იყუნენ მსგავსნი და მობაძავნი წმიდისა პეტრესნი და სხუათა მათ სახელოვანთა მღვდელთ-მოძღუარნი.

და უკეთუ თავი და უფროს ყოფილა პირველად პაპა ჰრომისა, სხუათა პატრიაქთა, რასა მიუწერს წმიდა კლემენტოს პაპა ჰრომისა, შემდგომი პეტრესი, იაკობს, ძმასა უფლისასა, პირველსა ეპისკოპოზსა იერუსალიმისასა, რაჟამს ცხოვრება თვისი აუწყა, ესრეთ მიუწერს: „წმიდასა და სანატრელსა მწყემსა მწყემსთასა და ეპისკოპოზსა ეპისკოპოზთასა, ძმასა უფლისასა, იაკობს კლემენტოზ ეპისკოპოზი ჰრომისა გიკითხავ“. რასათვის არა მიუწერს ესრეთ: „თავი და უფროსი ყოველთა ეკლესიათა და ეპისკოპოზთა კლემენტოზ მიგინერ შენ, იაკობს, ძმასა უფლისასა, ეპისკოპოზსა იერუსალიმისასა. ამით ჩანს, რამეთუ არა არს უაღრეს უდარესობა პატრიაქთა შორის, არამედ თანასწორება და ერთპატიობა. ეგრეთვე სხუანი პატრიაქნი ალექსანდრიისანი და ანტიოქიისანი და რად ვიტყვი პატრიაქთა, თვით მიტროპოლიტნი ხალკიდონისა აფრიკეთისა და ეფესოსანი და სხ(37r)უანი მღვდელთ-მოძღუ-

რები მისწერენ პაპასა ჰრომისასა ესრეთ, ძმასა და თანამდღელსა და თანამწირველსა ეპისკოპოზსა ჰრომისასა ლეონს, გინა კელესტინეს, ანუ დამასუს თანამწირველებით და ძმობით მისწერენ. ეგრეთვე იგი მოსწერს თანამობით და ერთპატიობით და თანამდღელობით და სხუანიცა პაპები ჰრომისანი მოსწერენ ეპისკოპოზთა და პატრიაქთა აღმოსავლეთისათა ძმობით და თანამდღელობით, ვითარცა ესენი, ეგრეთვე იგინიცა და არა სადა ჩანს მათ შორის უდარეს უაღრესობა და მრავალთა წიგნთა შინა წერილ არს ესრეთ და კრებისა ებისტოლეთა შინა და არა სადა წერილ არს ესე, თუ „თავო და მწყემსო ჩუენო და ყოველთა ქრისტეანეთა მპყრობელო და უფროს ყოველთა ეკლესიათაო“, დაღაცათუ პირველად პაპასა ჰრომისასა უფროსისა ძმობისა პატივი და კრებათა შინა მარჯუნით მეუფისა ჯდომისა ჰქონებიეს და არა თაობისა, არცა ყოველთა ზედა კურთხევისა, გინა ბრძანებისა, ნუ იყოფინ, არამედ ერთობისა და სწორისა წელმწიფობისა, ვითარცა მათ, ეგრეთვე ამათ და ერთი მეორისა სამწყსოსა შინა ვერარას შემძლებელ არიან.

ვითარცა წმიდათა მოციქულთა განიყუეს ყოველი ქუეყანა ათ(37v)ორმეტ ნაწილად და წარვიდეს და უქადაგეს თვითუელმან თვის-თვისა ხუედრებულსა ქუეყანასა და ერთი მეორესა წილად არა უჯდებოდა და ვითარცა მოგვითხრობს ცხოვრებჲ მათი, რამეთუ რაჟამს ამაღლდა უფალი ზეცად და მოუვლინა სული ყოვლად წმიდა, მაშინ შეკრბეს მოციქულნი წინაშე იაკობ, ძმისა უფლისა და განვიდეს გარემოთა სოფელთა ჰურისტიანითასა და ქადაგეს სახარება ქრისტესი ყოველთავე ზოგად და კუალად შეკრბიან წინაშე იაკობისა, ძმისა უფლისა და მიუთხრობდეს მოქცევასა ჰურიათა და წარმართთასა და კუალად განვიდიან და ქადაგებდიან და მერმე შორთა ქუეყანათა და ადგილთა განიბნიეს თითუეული თვისა ნაწილსა და კუალად შემოკრბიან იერუსალიმად და აუნყებდეს იაკობს, ვითარცა ვთქუ მოქცევასა წარმართთასა და ჰურიათასა, ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს და კუალად გაღატელთა ებისტოლეთასა: „რამეთუ, რომელი შეენია პეტრეს მოციქულებად წინადაცუეთილებისა, შემენია მეცა წარმართთა მიმართ და ვითარცა ცნეს მაღლი იგი, რომელი მოცემულ იყო ჩემდა იაკობ და კეფა და იოვანე, რომელნი იგი ჰგონებდეს სუეტად თავთა თვისთა, მარჯუნენ მოგუეცეს მე და ბარნაბას ზიარებისა, რათა ჩუენ წარმართთა მიმართ, (38r) ხოლო იგინა წინადაცუეთილებისა მიმართ“ (გაღატელთა 2,8) და შემდგომი. და ესრეთ, ვითარცა ვთქუ, თუთოეულსა მოციქულსა თვის-თვისად განყოფილი ადგილი აქუნდა და ერთი მეორესა არა აცილობდა, არცა პეტრე აცილობდა პავლეს, არცა პავლე იაკობს და ანდრიას, არცა იოვანე და იაკობ ანდრიას და პეტრეს, არცა ურძანებია ქრისტესა ერთი მეორესა მთავრობა და ზედამდგომელობა, არამედ ესრეთ ჰრქვა, ვითარმედ: „თქუენ ყოველნი ძმანი ხართ და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამა თქუენი, რომელ არს ცათა შინა, ნუცა გერქუმიან თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი ქრისტე, ხოლო თქუენ

ყოველნი ძმანი ხართ“.

ხოლო ამის მიზეზისათვის იტყვიან პაპასა უფროსად, პეტრეს უბრძანაო: „სიმონ, სიმონ, აჰა, ესე რა ეშმაკმან გამოგითხვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი“, არამედ შენ მოიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნიო. ამისი განმარტება არა ძნელ არს, არამედ მადლითა ქრისტესითა ადვილ არს და კეთილად გულისწმისმყოფელთაგან ცხადად საცნაურ, რამეთუ პეტრე თავი იგი მოციქულთა არათუ სხვისა რასათვისმე იჩინა თავად, არამედ ამისათვის ითქუმის, თავად ჩუენ (38v) მიერ, არცა ქრისტესაგან აქუს მთავრობა, არცა ათორმეტთა მოციქულთაგანსა ვისმე უთქუამს თავად, არცა სადა წერილ არს სახარებათა და მოციქულთა შინა, არამედ უფროსლა წინააღმდგომი, რამეთუ ქრისტემან უბრძანა: „ნუ წარმართთაებრ მსთავრობთ ერთი მეორესა ზედა, ნუცა გერქუმინ წინამძღვარ, რამეთუ ყოველნი სწორნი ძმანი ხართ“, არამედ ჩუენ კაცთა მიერ ითქუმის თავად მოციქულთა. ეგრეთვე ათორმეტნი ყოველნივე ითქმის თავად მოციქულთა ერთად, ამისთვის, რამეთუ სხუათა ზედა დლით მოხუცებულ იყო, ვითარცა ხატი მისი საცნაურ ყოფს, მეორედ პირველნოდებული ძმა მისი ანდრია იყო და მერმე სხუათა მოციქულთა უწინარეს ანდრიამ მოგვარა ქრისტესა, ვითარცა იოვანეს სახარებათა შინა წერილ არს და ესრეთ სხუათა მოციქულთა პირველ ესენი დაემონაფნეს. მესამედ ამისთვის ითქუმის თავად არათუ სხუებრ რადმე, არამედ საღთოსა მწურვალეებისათვის, რამეთუ ყოველსა საქმესა და სიტყვასა ამან მიუსწროს ყოველთა და პირ ექმნის სხუათა მოციქულთა და ყოველთა მაგიერ ამან თქვის, რაცა იგი თქუის და სხუათა არა აცალის საღმრთოთა მწურვალეებითა ვიდრემდის ორგზის და სამგზის ურჩებისა და უარისყოფისა ბრალისა შთავარდა და ქრისტესგან იმხილა, მერმელა განისწავლა სიმდაბლედ და მორჩილებად, რამეთუ ესრეთცა არს და ესრეთცა იქმნების, რამეთუ რომელთა უმეტესი მწურვალეა და უმეტესი საღმრთო შური აქუნდეს, უმეტესიცა განკრძალვა უწმს, რათა არა უბრკმეს. ესევითართა ეშმაკნიცა უფიცხესად ზედა აღუდგებიან და ებრძვიან და ახლოს არს დაცემა. მძლეთათჳს გვირგვინი უბრწყინვალესი, ხოლო დაცემულთათვის ტანჯვა უსასტიკესია. ვითარცა ვთქუ, შემდგომად დაცემისა განისწავლა პეტრე, რამეთუ ოდეს ურჩ ექ(39r)მნა დაბანად ფერჯთა. შერისხა რა ქრისტემან, თავი და ჴელნიცა მიუპყრა და შემდგომად მკდრეთით აღდგომისა ესმათ რა მოციქულთა დედათაგან ხარება აღდგომისა, პეტრე და იოანე წარვიდეს საფლავად, ორნივე ზოგად რბიოდეს, ხოლო იოვანე უმსწრაფესად რბიოდა და პეტრე უგუიანესად და მი-რა-ვიდა საფლავად შინა, არა შევიდა, რამეთუ ეშინოდა, ეგრეთვე ნადირობისა თევზისასა იხილეს რა უფალი, სხუანი კადნიერად დგეს და უცემლობისათვის და ნავითა მოვიდოდის და მიიახლნეს ქრისტესა, ხოლო პეტრეს იცნა რა უფალი, სირცხულითა ვერღარა იკადრა მიახლებად, არამედ შთაიგდო თავი თვისი ზღუად.ჰკუულად, რაჟამს გამოეცხა-



და უფალი, შემდგომად აღდგომისა და ოდეს ისადილნეს, სამგზის ჰკითხა რა: „პეტრე გიყუარ მე უფროს ამათსა?“, ვერღარა მიოგო პირველისა მისებრ კადნიერად, არამედ ესრეთ თქუა: „უფალო, შენ ყოველი იცი და ყოველი უწყი, რამეთუ მიყვარ შენ“. ესრეთ დაამდაბლებს კაცსა განსაცდელი და ასწავებს მორჩილჩილებასა, ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ, სადა დაუტევეთ. ჰრქუა უფალმან: „სიმონ, სიმონ, ეშმაკმან გამოგიტხოვნა აღცრად“, ჭემმარიტად ყოველნი, ვითარცა დიდი იობ გამოითხოვა, ეგრეთვე ესენი, რამეთუ ყოველთა ნარწყმედა ნებავეს ეშმაკსა, ვითარცა ღმრთისა ცხოვნება ყოველთა, არამედ უფალმან თქვა: „მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვისო, რათა არა (39v) მოგაკლდეს სარწმუნოება“. არა ჰრქვა, თუ ყოველთათვის ვევედრე, არამედ შენთვისო. ესე ამისთვის უბრძანა, რამეთუ უწყოდა სხუათა დაუცემლობა, ხოლო პეტრესი შერყევა და უარისყოფა. ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ შენთვის ვევედრე, რამეთუ სხუათა მოციქულთა, თვინიერ იუდასა, არა სადა ჩანს მცირედცა მიდრეკა, გინა ურჩება, რამეთუ სიმდაბლისა მუშაკნი იყვნეს და ვერა სადა მძლე ექმნა ეშმაკი, ვერცა შეარყინა, ვერცა შეაბრკოლნა, რავდენგზის აღუდგინა შური ჰურიათაგან, რავდენგზის სიკუდიდ დაისაჯუნეს, რავდენგზის წარმართთაგან იტანჯუნეს და მერმე ფერად-ფერადითა სიკუდილითა აღესრულნეს და არა შეირყვნეს. ხოლო იუდა თვით მისცა თავი თვისი მტერსა და არღარა შეიგონა, არცალა შემდგომად დაცემისა ინება სინანული და მოქცევა, ვითარცა პეტრემ, არამედ შიშთვილიბა, რამეთუ იძულებით არავის ნებავეს მოსვლად, არამედ თვისთა ნებითა ნებავეს ყოველთა მოქცევა და სინანული, რათა უმრავლესი სასყიდელი მიენიჭოს. მერმე ჰრქვა: „შენ რაჟამს მოიქცე, განამტკიცენ ძმანი შენნი“. ესე არს, რაჟამს მოიქცე უარისყოფისაგან, ასწავე და განაკრძალე, რათა არა შთავარდენ იგინიცა შენებრ ურჩებასა ანუ უარისყოფასა, ასწავე და განამტკიცენ არათუ უდარესნი და უმრწამესნი შენსა, არამედ თანასწორნი ძმანი შენნი და სახე ექმენ შენ მათ, უკეთუ ვისმე უბრკუმეს ნუ წარვიუჭთენ სასოებ(40r)ასა იუდასებრ, არამედ შენებრ ისწავონ სიმდაბლე და სინანული. არა უბრძანა, თუ დამწყენ და ზედამდგომელ და მთავარ ექმენო, არამედ განამტკიცე და სახე ექმენო, რამეთუ დაცემულნი და შებრკოლებულნი სხუათა დაცემელთა და მტკიცეთა უმეტეს განაკრძალევენ დაგანამტკიცებენ, ხოლო რომელნი უძლურ არიან და გონებითა შერყეულ, იგინი უმეტესად დაბრკოლდებიან და აღრე დაეცემიან.

კუალად ერთი ესე აქუსთ მიზეზი უმიზეზო პაპის მოსავთა, სამგზის ჰკითხა რა უფალმან პეტრეს: „გიყუარ მე?“ და სამგზის მიუგო რა პასუხი კითხვისა, მერმე სამგზის ჰრქვა ქრისტემან: „დამწყენ ცხოვარნი ჩემნი და აძოვენ კრავნი ჩემნიო“, ამისთვის არს მწყემსი ყოველთავეო. რა არს ესოდენი უპირული სიტყვა, რასათვის კადნიერ იქმნებიან წმიდისა პეტრეს მიმართ გმობად და შეურაცხებად. ჭემმარიტად გმობა არს წმიდისა პეტრესი და არა ქება და დიდება, ესევითარი დიდება, რათამცა სხვათა მოციქულთა უაღრესი და

უდიდებულესი იყო და სხვანი ვერ უსწორნეს პეტრეს და იყუნენ უდარეს მისა, ვითარცა არა არს დიდება მამისა, არამედ გმობა, რომელი ძესა და სულსა წმიდასა უდარესად იტყვიან და მამასა უფროსად, ეგრეთვე რომელნი პეტრეს სხუათა მოციქულთაუაღრესად და უდიდებულესად იტყვიან, ათორმეტთავე გმობა არს და პეტრესიცა შეურცხება, რაფთამცა ათორმეტთაგან განათლებული კიდენი ყოვლისა სოფლისანი მხოლოდ პეტრეს და მისა ეკლესიასა მორჩილებდენ და სხუანი მოციქულნი შეურაცხ იქმნენ, უკეთუ სიტყუა ესე მოციქულებზედ იყო: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნიო“. რაჟამს ესე სიტყვა უბრძანა მყის მოიქცა პეტრე და იხილა მონაფე იგი, რომელ უყვარდა იესოს, მისდევდა რა. ესევითარცა იხილა პეტრე ჰრქვა იესოს უფალი. ხოლო ესერა ჰრქვა მას იესო, უკეთუ: „მინდეს ყოფა მაგისი, ვიდრემდე მოვიდე შენდა, შენ მე შემდეგ“. იხილეთან, რაჟამს პეტრე ჰკითხა იოვანესთვის: „უფალო, ამისთვის რას ბრძანებო“, ქრისტემან რა ჰრქვა: „შენ რასა კითხულობ მაგისასა, მე ვიციო“, უკეთუ ერთისა სიტყვისთვისცა არა რა უბრძანა ერთსა მოციქულსა, სხუათა თაობასა და ოდეს მისცემდა, ანუთუ უფლებასა და ჯელმწიფებასა.

ოდეს უბრძანა ქრისტემან: „დამწყსენ მწყემსნი და ჩემნი მოციქულნიო“, არამედ ცხოვარნი და კრავნი ჩემნი დამწყსენო, რომელ არიან ერნი წარმართთაგან მოქცეულნი, დაღაცათუ მოციქულნიცა ქრისტეს ცხვარნი არიან, არამედ კაცთა მწყემსნი არიან, რამეთუ ოდეს წარავლენ და ქადაგად თვით პეტრეს და სხუათა ყოველთავე ზოგად უბრძანა: „მე წარგავლინებ, თქვენ ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა“, დაღაცათუ ქრისტეს ცხოვარნი არიან, ვითარცა ვთქუ, არამედ ყოვლისა სოფლისა მწყემსნი არიან, ვითარცა (40v) პეტრე, ეგრეთვე იაკობ და იოვანე და ანდრია და სხუანი ყოველნი და არცა უბრძანა პეტრეს ყოველთა, ზოგად უბრძანა და მისცა მადლი და კუალად რაცა უბრძანის თვის თვისად და ცალკე მერმე ეტყოდის, ამას რა გეტყვი, მერმე თქვენ ყოველთა ზოგად გეტყვი და ოდეს გამოუჩნდა მთასა გალილიასა, უბრძანა ზოგად ყოველთა: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი“ და შემდგომი ამისი.

ხოლო ოდეს ჰკითხა მონაფეთა: „თქვენ რა სთქუთ ჩემთვის, ვინ ვარ?“ ყოველთა ზოგად ჰკითხა ათორმეტთავე, არამედ მხოლოდ პეტრე პირ ექმნა ყოველთავე და ყოველთა მიერ თქუა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა. მიუგო იესუ და ჰრქვა მას: ნეტარ ხარ შენ სიმონ ბარიონა, რამეთუ წორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“. ვინათგან პირ ექმნა ყოველთა პეტრე და ძედ ღმრთისად აღიარა ქრისტე, ქრისტემანცა ყოველთა ზოგად მისცა ნეტარება ესე. არათუ მარტოდ პეტრე აღიარებდა ძედ ღმრთისა და სხუანი მოციქულნი უარყოფდეს, არამედ ყოველნი ზოგად აღიარებდეს ქრისტესა, არათუ მარტო ესე ნეტარება მისცა ყოველთა, არამედ რავდენნიცა ნეტარებანი არიან. ყოველთა ზოგად უბრძანა და რად ვიტყვი მოციქულთა და არცალა არსე სე საკვირველი, თუმ-

ცა მონაფენი და მოციქულნი მისნი ჴელით მსახურნი და თუალით მხილვენი მისნი ნეტარ ექმნეს, არამედ ყოველნი მორწმუნენი მისნი, რომელ(41r)ნი ძედ ღმრთისად აღიარებენ და მცნებათა მისთა იმარხვენ, იგინიცა ნეტარ არიან, ვითარცა იგი თომას უბძანა შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, უჩუენა რა წყლულება ჴელთა და ფერჴთა და გუერდისამ მიუგო რა თომა და ჰრქვა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. მერმე ჰრქვა მას იესო: „რამეთუ მიხილე და გრწამ, ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწამ“. უკეთუ თომას მიერ ხილვითა და ღმრთად და უფლად აღსარებითა ყოველთა, რომელთა არა ეხილვა და ვიდრე აღსასრულამდე მისთა მორწმუნეთა ნეტარება მისცა. არა რა საკვირველ, თუმცა თვითა მონაფეთა ზოგად ჰკითხა და ყოველთა მიერ პეტრემ მიუგო, რათა ყოველთათჳს ზოგად მიეცა ნეტარება, არამედ არა არს ესე სათქმელ, არცა დასარწმუნებულ, თუმცა მხოლოდ პეტრე ნეტარ ექმნა და ზოგად სიმრავლე იგი მოციქულთა ნეტარებისაგან ცალიერ ექმნა. ნუ იყოფინ ესე, არამედ ვითარცა ვთქუ, რაოდენნი ჰრქვა პეტრეს, ზოგად ყოველთა ჰრქვა. ვითარცა იოვანეს სახარებასა შინა წერილ არს, რაოდენსაცა ითხოვდა მამისაგან, იტყოდა: „არა ამისთვის ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათვის, რომელთა ჰრწმენეს სიტყვითა მათითა ჩემდა მომართ“. ჩანს, რამეთუ არა მარტო პეტრესთვის არს ნეტარება იგი, არამედ ზოგად ყოველთათვის და არცა მარტო მოციქულთათვის, არამედ რომელთა მათითა ქადაგებითა ირწმუნეს ძედ ღმრთისა იესუ ქრისტე, იგინიცა ნეტარ არიან, ვითარცა კუალად ეტყვის ათორმეტთავე ზოგად და არა მარტოდ პეტრეს, ვითარმედ: „თქვენ რომელნი ეგე შემომიდეგით მე“. მერმესა მას შობასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისა საყდართა ზედა, დასხდეთ თქვენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა. ესრეთ ყოველნი ნეტარებანი და აღთქუმანი ზოგად ყოველთა მოციქულთა მიმართ არიან და არა მარტოდ პეტრეს ზედა და უკეთუ საყდართა ზედა დასხდომა ზოგად უბძანა ყოველთა, რა საკვირველ არს, თუ შეკრვისა და განჯსნისა ჴელმწიფება ზოგად მიეცა ყოველთათვის და სხვანი ნეტარებანი.

(41v) მერმე ჰრქუა მას: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. კუალად ამის უმეტესად მოიღებენ მიზეზად ცუდისა სიტყვისა მათისა და წინა აღუდგებიან და იტყვიან, პეტრე მოციქული არს იგი კლდეო და ეკლესია რომის მაზედ აღშენებული და რა ს საკვირველ არს, ჩუენი წინა აღდგომს თვივთ ქრისტეს წინა აღმდგომი არიან კლდისა მის ცხოვრებისა და ლოდისა მის რჩეულისა, რომელი იქმნა თავსაკიდურ, რომლისთვისცა ქრისტე სახარებისა იგავისა მიერ: „ლოდი, რომელი შეურაცხყვეს მშენებელთა მისთა, ესე იქმნა თავსაკიდურ და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუხროს და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი: „ჭეშმარიტად ცანი და ქუეყანა წარჯდენ, ხოლო სიტყვანი მისნი არა სადა წარხდენ“, რამეთუ ჰურიანი ეკუეთნეს ქრისტესა, კლდესა მას

ცხოველსა და შეიმუსრნენ და მოისპნენ, ხოლო ან ლათინნი წინა აღუდგებიან ბრძანებათა მისთა და თვით პეტრეს უჭმობენ კლდედ და მის გამო ყოველთა პაპათა და არა დასცხრებიან წინააღდგომად, ვიდრემდის დაეცეს მათ ზედა ლოდი იგი რჩეული და მით განანქრიოს იგინი, რომელი ქუემორე სიტყვამან განაცხადოს, რომელი მათთვის მოასწავებს ღმრთისმეტყუელი იოვანე გამოცხადებასა შინა, ხოლო ჩვენ სიტყვათა ვიტყვოდით: „რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს“, ესე ჰურიათათვის თქმულ არს: „ხოლო (42r) რომელსა ზედა დაეცეს იგი, განანქრიოს“. ესე ყოველთა პაპის მოსავთა ზედა არს თქმული, რამეთუ პეტრეს რა უბრძანა ქრისტემან: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“. არათუ პეტრესზედ აღიშენა ეკლესია თვისი, არცა პავლეზედა, არცა იაკობსა და იოვანესა ზედა, არცა სხუათა მათ მოციქულთა ზედა, არამედ თვით თავსა ზედა თვისა აღაშენა ეკლესია თვისი ქრისტემან და იგი თავად არს კლდე ცხოვრებისა და იგი თავ ექმნა ეკლესიასა თვისსა, რამეთუ სიტყვა იგი, რომელი თქვა პეტრემ „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“, იგი არს კლდე ცხოვრების, და ეკლესია მას ზედა არს აღშენებული, ვითარცა სხუანიცა ღვთისმეტყუელნი ესრეთ იტყვიან.

მოციქული პავლე იტყვის, რამეთუ: „ისრაელ სდევდა სჯულსა მას სიმართლისასა და სჯულსა მას სიმართლისასა ვერ მისწუდა, რასათვის მე, რამეთუ არა სარწმუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმეთგან სჯულისათა, რამეთუ შებრკოლდეს ლოდსა მას შებრკოლებისასა, ვითარცა წერილ არს: აჰა, ესერა დავსებ სიონსა შინა ლოდსა შებრკოლებისასა და კლდესა საცთურებისასა და ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა სადა ჰრცხუნეს“ (ჰრომაელთა 9,31). ამით ჩანს, რამეთუ ქრისტე არს კლდე და არა პეტრე, რომელსა ეკუთვნეს ჰურიანი და შეიმუსრნეს. რომლისა მოასწავა ესაია დადება სიონსა შინა და არა დადება ჰრომს შინა და მერმე ყოველთა მართლმადიდებელთა ეკლესიასა შინა.

იგივე მოციქული პავლე იტყვის: „არა მნებავს უმეცრება თქვენი ძმანო, რამეთუ მამანი ჩვენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს და ყოველნი ზღვასა განვიდეს და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ ილეს ღრუბელითა მით და ზღუითა და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს და ყოველთა იგივე სასუმელი სუეს, რომელ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“ (I კორინთელთა 10,1). იხილეთ, რამეთუ პავლე კლდედ ქრისტესა უწოდს და არათუ პეტრეს, ვითარცა იგი სხუასაცა ადგილსა იტყვის, რამეთუ იგი თავადი არს მშვიდობა ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და შუა კედელი ზღუდისა მის დაჯსნა, მტერობა იგი ჯორცთა მისითა, სჯული იგი მცნებათა მათ ბრძანებით (42v) განაქარვა, რათა ორივე იგი დაბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად ყოფად მშუიდობისა და დააგნეს ორნივე იგი ერთითამით ჯორცითა ღმრთისა ჯვარისა მიერ, მოილა მტერობა იგი მას შინა და მოვიდა და გახარა მშუიდობა თქუებ შორიელთა და მახლობელთა, რამეთუ მის მიერ მაქუს ჩუენ მიახლება იგი ურთიერთას ერთითა სუ-

ლითა მამისა მიმართ. „ამიერითგან უკუე არღარა ხარ თქუენ უცხო და მწირ, არამედ თანამოქალაქე წმიდათა და სახლელ ღმრთისა, აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთასა, რომლისა თავსაკიდურთა მისთა არს ქრისტე იესო, რომლითა ყოველი შენებული და შენანევრებული ორძის ტაძრად წმინდად უფლისა მიერ, რომელსა ზედა თქვენცა აღშენებულ ხართ სამკვიდრებლად ღმრთისა სულითა“.

ცხად არს, რამეთუ ქრისტე არს კლდე ცხოვრებისა და არა სხუა და იგი არს თავი ეკლესიისა და მას თავსა ზედააღშენებულ არს ყოველი ეკლესია, ვითარცა თვით მოციქული პეტრე იტყვის, უკეთუ: „გემო გიხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“, რომელსა იგი მოუწყედით ლოდსა ცხოველსა, რომელი იგი კაცთაგან შეურაცხ იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან და თქუენცა, ვითარცა ლოდნი რჩეულნი აღეშენებოდეთ სახლად სულიერად სამღდელოდ წმიდ<sup>25</sup>

(43r) რომელიმე ყურ, რომელიმე ჳელ, რომელიმე პირ და რომელიმე საყნოსელ, მსგავსად ხუთთა საგრძნობელთა ხუთნივე პატრიაქნი განენესნეს და სხუანი საეპისკოპოზონი სხუათა ასოთაებრ, რომლისა თავ მისა არს ქრისტე იესო სიტყვისაებრ პავლესი. ან ესერა დასხნა ღმერთმან ასონი იგი თითოეულად გუამსა მას შინა, ვითარცა ინება: „ხოლო უკეთუმცა იყო ყოველი ერთი ასო, სადამცა იყო გუამი იგი. ხოლო ან მრავალ არს ასოები და ერთი გუამი“, რომელ არს ეკლესია მართლმადიდებელთა და თავ მისა არს ქრისტე და არა პაპა, რამეთუ პაპი იტყვის, მე ვარ თავი ყოვლისა ეკლესიისაო. იქმნების რათამცა ერთსა გუამსა ორი თავი აქუნდა, რათამცა ხილულისა ეკლესიისა თავი პაპი იყოს და უხილავისა ქრისტე. ზეცას ქრისტე იყოს ღმრთაებად და ქვეყანასა ზედა პაპა და არა უფროსლა ქრისტე, რომელმან შექმნა ორივე იგი ერთად სიტყვისაებრ პავლესა და შუა კედელი ზღუდისა მის დახსნა, რათა ორივე იგი დაბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად მშუიდობისა და დააგნეს ორნივე იგი ერთითა მით ჳორცითა ღვთისა“. და თვითუე ბრძანებს მონაფეთა მიმართ, რამეთუ: „მომეცა მე ყოველი ჳელმწიფება ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“. ჩანს უეჭუელად, რამეთუ ქრისტე არს ჳელმწიფე ცათა და ქუეყანისა და არა პაპა და არცა არს ესე სჯულისდება პეტრესი, (43v) არცა პავლესი, არცა სხუათა მოციქულთა, რათამცა თავთა თვისთა ქადაგებდენ და არა ქრისტესა. ჩუენ ვართ საფუძველნი და თავნი ეკლესიათანი და არა იესო ქრისტე, ძე ღმრთისაო.

ვითარცა იტყვის პავლე და ერთჳმა არს სხუათა მოციქულთა თანა ესრეთ: „რამეთუ არა თუ თავთა თვისთა ვქადაგებთ, არამედ უფალსა იესოს, ხოლო თავთა ჩუენთა მონად თქვენდა იესოს ქრისტესთვის“ (II კორინთელთა 4,5), ხოლო პაპა ჰრომისა ყოველსა შინა სოფელსა ქადაგებს თავსა თვისსა მეორედ ქრისტედ და თავად ეკლესიისა და მონაფენი მისნი და მოსავნი ამისვე მქად-

<sup>25</sup> ხელნაწერში აქ აკლია ერთი ფურცელი

აგებელ არიან, რათა ყოველსა სოფელსა არწმუნონ პაპის ღმრთად აღსარება და შეაცთუნონ ყოველი კაცი, რამეთუ თვით თუალით მხილველნი მოციქულნი არა რად იტყვიან თავთა თვისთა, არამედ მონად ქრისტესასა და მსახურად. ვითარცა კუალად იტყვის პავლე კორინთელთა მიმართ: „რამეთუ რაჟამს ვინმე იტყოდის, ვითარმედ, მე პავლესი ვარ და სხუა იტყოდის, მე აპოლოსი ვარ, არა ჯორციელვე ხართა? რამეთუ რა არს პავლე, ანუ რა არს აპოლო, არამედ მსახურნი რომლეთაგან თქვენ გრწმენა და კაცად-კაცადსა, ვითარცა უფალმან მისცა, მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა. ან უკუე არცა დამსხმელი რა არს, არცა მომრწყუელი, არამედ აღმა(44r)ორძინებელი, ხოლო დამსხმელი იგი და მომრწყუელი ერთ არიან და კაცად-კაცადმან თვისი სასყიდელი მიიღოს თვისისაებრ შრომისა“. აქა სადღა ჩანს უაღრეს-უდარესობა, ანუ პავლესი, გინა პეტრესი, ანუ სხუისა მოციქულთა. ან რომელნი პეტრეს გამო იქადიან და ღმერთ ყოფენ პაპასა შრომისასა, პეტრესაც შეურაცხყოფენ და სხუათა მოციქულთა მაგინებელ არიან და ღმერთსა წინა აღმდგებიან, რამეთუ იტყვის მოსე წინასწარმეტყუელისა პირითა: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არავინ არს სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე. მე მოვაკუდინო და ვაცხოვნო, დავსცი და განვკურნო“. და ვითარ არა წინააღმდგომ არს ღმრთისა აწინდელნი პაპები, იგი ბრძანებს: „მე ვარ და სხუა არავინ არს ღმერთი ჩემსა გარეშე“. პაპა ბრძანებს, ქვეყნიერი ღმერთი მე ვარო. ქრისტე ბრძანებს, მე ვარ ლოდი თავსაკიდურთაო და პეტრე დასწერს ლოდად ცხოველად და პავლე იტყვის: „ხოლო კლდე იყო იგი ქრისტე“, დავით მოასწავებს: „ლოდი, რომელ შურაცხყევს მაშენებელთა მისთა, ესე იქმნა თავსაკიდურთა“ და დანიელ იხილა ცხადად მთისაგან უჭელოდ გამოკვეთილი ლოდი, რომელმან შეჰმუსრნა ყოველნი აღმალლებულნი მეცნიერებასა ზედა ღვთისასა და პაპა იტყვის პეტრეს გამო: (44v) „მე ვარ კლდე და მე ვარ ლოდი, თავსაკიდურთაო“. იხილეთ, ღვთისმოყვარენო, წინააღმდგომა ღმრთისა და მოციქულთა შეურაცხება და სჯულისა გარდამავლობა და ესრეთ თქუთ: „უფალი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“.

კუალად სიტყუა იგი: „მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი და ცათასანი, რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განწსნა ქუეყანასა ზედა, წსნილ იყოს იგი ცათა შინა. ჭემმარიტად ესე ესრეთ არს და არა იცვალეების ბრძანება მეუფისა და მტკიცე არს და უცვალეებელ აღუთქუმანი მისნი, არა მხოლო პეტრეს ზედა, არამედ ყოველთა მოშიშთა მისთა ზედა და მოყვარეთა სახლისა მისისათა, ხოლო ესე ბრძანება მაშინ პეტრეს მიმართ იყო, გარნა ესეცა და მერმე მათეს მიერ აღწერილი და კუალად ლუკას მიერ აღწერილი ბრძანებაცა, ესრეთვე, რომელი შეკრათ ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რაოდენნი განწსნათ, წსნილ იყოს ცათა შინა. ესენი ზოგად ყოველთა მოციქულთა უბრძანა, ვითარცა სხუანიცა ყოველნივე აღუთქუმანი და ნეტარებანი ზოგად უბრძანა ყოველთა. იგი

მათემ (45r) აღწერა, რომელი იტყვის: „რომელი შეჰკრა და რომელი განჰჰსნა ერთჯერ“, პეტრეს უთხრა და მათ მიერ სხვათა მათცა მოციქულთა. ხოლო კუალად მათემ აღწერა იგივე სიტყუა ათორმეტათვის, ვითარ მისცა ჯელმნიფება ყოველი ზოგად, ხოლო ესე ლუკა მახარობელმან, რომელი შეჰკრათ და რომელი განჰჰსნათ და ესე ორნივე მახარებელნი ერთჰმა არიან და ზოგად ყოველთა მოციქულთა ზედა იტყვიან და შემდგომთა მათთა ეპისკოპოსთა ზედა და არა მარტოდ პეტრეს ზედა და არცა მარტოდ ჰრომის პაპებსა ზედა, არამედ ყოველთა მართლმადიდებლობით ცხოვრებულთა ეპისკოპოსთა ზედა არს ბრძანება ესე, ვითარცა ცხოვრებასა შინა წმიდისა იოვანე ოქროპირისასა წერილ არს. რაჟამს იგი კურთხევად ანუევედენ და იგი არა ერჩდა. მაშინ გამოუჩდენ წმიდანი მოციქულნი იოვანე ღმრთისმეტყუელი დაპეტრე მოციქული და ეტყოდეს: „აჰა, მოგივლინეთ შენდა ღმრთისა მიერ“ და მისცა წმიდამან იოვანე ტომარი ერთი ქარტითა წერილითა სავსე და ჰრქვა: „მიიღეთ ესე, რამეთუ მივეყრდენ რა მკერდსა ღმრთისა სიბრძნისასა და მიერ ვისწავენ საიდუმლონი ზეცისანი“, ან შენდა მოუნიჭბიეს ღმერთსა, რათა გამოსთქუნე საიდუმლონი ზეცისანი და თარგმანებანი წერილთანი. ეგრეთვე მოციქულმან პეტრე მოართვნა კლიტენი და ეტყოდა, რამეთუ ჩუენ მოციქულთა, რაჟამს მოგვცა უფალმან შეკრვისა და განჰსნისა ჯელმნიფება: „მირე შეკრვისა და განჰსნისა ჯელმნიფება“, ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ ყოველთა მღდელთმთავართა აქვს ჯელმნიფება ესე შეკრვისა და განჰსნისა და არა მარტოდ პაპასა, ვითარცა არა მხოლოდ პეტრეს ესე ჯელმნიფება, არა(45v)მედ ზოგად ყოველთა მოციქულთა აქუს ესე ჯელმნიფება, ეგრეთვე არცა მხოლოდ პაპებსა ჰქონებია ჯელმნიფება ესე, არცა მარტო ანტიოქიისა პატრიარქსა პეტრეს თანა მოსაყდრეობითა, არამედ ყოველთა პატრიარქთა აქუს და შემდგომთა მათთა მღდელ-მთავართა ჯელმნიფება შეკრვისა და განჰსნისა, რამეთუ არა არს თუ-აღლება ღმრთისა თანა, არცა არს ბრძანება მისი ერთსა და ორსა ზედა, არცა ათსა და ასსა ზედა, არცა ასსა და ათასსა ზედა, არამედ ყოველთა მოშიშთა მისთა ზედა მიიწვეის ბრძანება ესე, ვითარცა თვით მეუფე ბრძანებს: „არა ამათთვის ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთავე, რომელთა ჰრწმენეს სიტყვითა მათითა ჩემდა მომართ, რათა ყოველნი ერთ იყუნენ“ და თომას რა ეტყოდა, რამეთუ: „მიხილე და გრწამ შენ, არამედ ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ჰრწმენენ“ და ესრეთ ყოველნი აღთქუმანი მისნი უტყუელ არიან და ჭემ-მარიტება მისი ჰგიეს უკუნისამდე.

(46r) ნათლისღებისათვის თქმული, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვიღებთ ჯელითა მღდელთა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაფლვითა, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ერისკაცთა და დე-

დათა მიერ ვინ დახვდეს.

ნათელმან სოფლისამან, ქრისტემან, ინება, რა ჴსნა კაცთა ნათესავისა, გარდამოჭდა უხრწნელთა წიაღთაგან დაუსაბამოსა მამისათა და იქმნა მსგავსად ჩუენდა, თვინიერ ცოდვისა და იხილვა, ვითარცა კაცი ორითა ბუნებითა ღმრთაებისა და კაცებისათა და ყოველივე თავს იდვა ჩვენი უცოდველნი საქმენი, რათა ადამ აღიყვანოს პირველსავე პატივსა და ჩუენ ყოველნი ადამის ძლით დასჯილნი გუაცხოვნენს, ხოლო პირველი მიზეზი გამოჴსნისა ჩუენისა და ცხოვნებისა, სხუა არა რა არს, არამედ ნათლისღება და მეორედ შობა წყლისაგან და სულისა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, რამეთუ თვინიერ ამისა არა იქმნების ცხოვნება ჩუენი. ამისთვის მან, თავადმან, ყოვლად უხრწნელად (46v) შობისა და ქუეყანასა ზედა ქცევისა მეოცდაათესა წელსა პირველად ესე მიიღო უცოდველმან მან და ყოველთა ბილწთაგან თავისუფალმან განბანა წყლითა და ნათელ იღო და განშიშულებული შთაჭდა იორდანესა შინა მდინარესა ჴელსა ქუჭშე იოანე წინამორბედისა და ნათლისცემისასა, რომელსა დაუსაბამო იგი მამა უხილავად ენამა ზეგარდამო და თქუა: „ეგე არს ძე ჩემი საყუარელი“, ხოლო ჴმა იგი დაამტკიცა ტრედის სახითა მოსრულმან სულმან წმიდამან და ჩუენ დაგუიდვა სახე ესე, რათა შიშუელნი შთავედეთ წყალთა შინა ჴელთა ქუჭშე მდღლისათა და სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა აღმოვიშუნეთ, ვითარცა იგი თავადი წყალთა შინა ჴელსა ქუეშე იოანესთა. და ვითარცა შიშუელნი ვიშვენით ჴორციელად დედის მუცლითაგან, ეგრეთვე მეორედ ვიშვენთ სულიერად წყლისაგან და სულისა.

ვითარცა იგი თავადი ეტყოდა ნიკოდიმოსს სჯულისმოძღვარსა: „ამინ, ამინ გეტყვი შენ, უკეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელენიფების ხილვად სასუფეველი ცათა. ჴრქვა მას ნიკომიდოს: ვითარ ჴელენიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თვისისასა შესლვად მეორედ და შობად? მიუგო იესუ (47r) და ჴრქვა მას: ამინ, ამინ გეტყვი შენ, უკეთუ ვინმე არა იშვის წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელენიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი ჴორცთაგან ჴორცი არს და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკვირნ, რამეთუ გარქუ შენ, ესე ჯერ არს თქვენდა მეორედ შობა სულსა, ვიდრეცა უნებნ ქრინ და ჴმა მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინა მოვალს და ვიდრე ვალს, ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან. მიუგო ნიკოდომოს და ჴრქვა მას: ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე? მიუგო იესუ და ჴრქვა მას: შენ ხარ მოძღვარი ისრაილისა და ესე არა იცია“. რასათვის ეტყვის უფალი ნიკოდომოსს: „შენ ხარ მოძღუარი ისრაილისა და ესე არა უწყია?“ ოდეს ეხილვა, ანუ ასმიოდა სჯულსა შინა ნიკოდიმოსს ძუელსა სჯულსა შინა ისრაილთა შორის ნათლიება, თვინიერ იოვანეს მიერ ნათლისმცემელისა, რამეთუ მასცა არა ჴელენიფებოდა მონიჭება სულისა წმიდისა, ვითარცა თვითვე თავადი ეტყვის ჴურიათა: „მე ნათელ გცემ თქუენ წყლითა, ხოლო



მოვალს უძლიერესი ჩემსა, მან ნათელ გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ და პავლე მოციქული მიიწია რა ეფესოდ, პოვნა მონაფენი და ჰრქვა: „უკეთუ სული წმიდა მიგიღებებს და გრწამს და მათ რქევს მას, არცაღა არს, თუ სული წმიდა გუასმიეს. ჰრქვა მათ პავლე: რათა უკუე ნათელ გიღებებს? ხოლო მათ რქუეს მას: იოვანეს ნათლისცემითა. ჰრქვა მათ პავლე: იოანე ნათელს სცემდა ერსა და ეტყოდა მომავლისა მისთვის, შემდგომად მისა, რათა ჰრწმენეს. ესე იგი არს იესუ ქრისტე, ხოლო მათ ვითარცა ესმა, ნათელ იღეს და დასხმითა ჯელთა პავლესითათა (47v) მათ ზედა, მოვიდა მათ ზედა სული წმიდა. იტყოდეს ენათა და წინასწარმეტყველებდეს“. ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ ნიკოდიმოს არა ეხილვა ისრაილთა შორის, არცა იცოდეს თვინიერ ნათლისმცემელისა და იგიცა ლიტონითა წყლითა სინანულად და არა სულისა წმიდისათა მონიჭებითა. რად ეტყვის ქრისტე: „შენ ხარ მოძღუარი ისრაილისა და ესე არა უწყია?“ არამედ უკეთუმცა ძუელითგანვე წინასწარმეტყუელთაგან მოსწავებით არ თქმულ იყო და იგავით და სახით არა ქმნილ იყო, არცა უფალი უბრძანებდა ნიკოდომოს: შენ ხარ მოძღუარი ისრაილისა და ესე არა იცია? და უკეთუ სხუებრ რადმე ქმნილ იყო ძუელსა სჯულსა შინა ნათლისღება, ვითარცა ლათინნი იქმენ მცირედისა წყლისა შეხებითა, გინა სხურებითა და არა შიშულივ წყალთა შინა აღმოშობა ძუელთა შჯულთა შინა ისრაილთა შორის. არცა უფალი უბრძანებდა, ესრეთ ჯერ არს თქუენდა მეორედ შობად, უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან, სულისა ვერ ჯელენიფების შესლვად სასუფეველსა ცათასა.

ან ვიტყოდით ძალითა სულისა წმიდისათა, რამეთუ მოსე დიდი იგი წინასწარმეტყუელთა შორის რაჟამს განიყვანებდა ეგვიპტით ისრაილთა და განავლო ზღუა იგი მენამული, არა ცხადი ნათლისღებისა სახე იყოა და წყლისაგან აღმოშობისა, ვითარცა სთარგმნის (48r) მოციქული პავლე და იტყვის ებისტოლეთა შინა თვისთა: „არა მნებავს უმეცრება თქუენი ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყუნეს და ყოველნი ზღუასა განვიდეს და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ იღეს ღრუბლითა მით და ზღუითა და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს, რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერსა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“. ესე არს ცხადი მეორედ შობა წყლითა, რამეთუ ესეოდენნი სიმრავლე ისრაილთა ფერჯით ვიდრე თავადმდე და მრავალ წილად უმაღლესად ზეშთა თავისა იყო წყალი და ესრეთ განვლეს მას შინა.

ეგრეთვე დავითის მიერ თქმული ფსალმუნთა შინა, რომელსა იტყვის: „უფალმან წყლით რღუნა, დაამკვიდრნის და დაჯდეს უფალი მეუფედ უკუნისამდე“. რა არს ესე წყლით რღუნა, რომელი უფალმან დაამკვიდრა? და ვითარ წარირღუნების ცოდვა და ვითარ იქმნების წყლით რღვნა, უკეთუ არა იშვეს კაცი წყლითა, ანუ ისხუროს, ანუ ერთ კერძო იცხოს და სხუა იგი დაშთეს წყლისაგან მიუახლებელი.

ეგრეთვე ელისეს მიერ სიღრმეთაგან წყლისათა რკინის აღმოღებად ცულის ტარისა ხისა მიერ არა ცხადი ნათლისღებისა სახე (48v) იყოა, რამეთუ წყალთა შინა შთასლვითა და აღმოშობითა ვიქმნებით შვილ ღმრთისა და არა გარეშე შეხებითა და სხურებითა, ეგრეთვე ნემან ასურისა იორდანესა შინა შიშვილვითა შთასლვა ელისეს სიტყვითა შვიდგზის და აღმოსლვა განწმედლისა კეთროვნებისა მისგან.

ესე და ესევეთარნი წარეკითხნეს ნიკოდიმოს და მეცნიერ იყო. ამისთვის ეტყვის უფალი: შენ ხარ მოძღვარი ისრაილისა და ესე არა უწყია? ამისთვის წმიდა იოვანე ნათლისმცემელი, შიშველთა ნათელსცემდა იორდანესა შინა ჰურიათა და ეტყოდა: „რომელმან მომავლინა წყლითა ნათლისცემად, მან მრქვა მე“. და შემდგომი. ეგრეთვე წმიდანი მოციქულნი შიშველთა ნათელსცემდენ წყალთა შინა სამგზის სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა. ვითარცა ფილიპესთვის წერილ არს, რაჟამს საჭურისსა მას ნათელსცა, რამეთუ წერილ არს: „შთაჴდენ ორნივე წყალთა მათ შინა ფილიპე და საჭურისი იგი“. ეგრეთვე წმიდა მოციქული პეტრე განშიშულებულთა წყალთა შინა, ვითარცა წმიდისა კლიმენტოზის ცხოვრებასა შინა წერილ არს, ვითარმედ: „მამა დედათა კლემენტოზისათა და სხუათა“<sup>26</sup>

(49r) ჭემარიტისა სჯულისმდებელისა მოძღვრებისაებრ, რამეთუ მანცა შიშუელმან შთასრულმან იორდანისა სიღრმეთა შინა ნათელ ილო ქუემე იოვანესა, რომელი იყო სამღდელოსა ტომისაგან თვით მღდელთ-მოძღურისა ზაქარიას ძე და არა სადა წერილ არს, არცა სმენილ, თუმცა თვინიერ ამისა, რომელი განანესეს წმიდათა ესრეთ, ვისმე ნათელ ელო, რომელსა ან იქმან მოსავნი პაპისანი და ესრეთ ყოველსავე სამეფოსა სჯულსა დაჴსნიან და გარდავლენ საზღუარსა მამათასა და არა გულისჴმაცოფენ ბრძანებასა უფლისასა, რომელსა იტყვის: „რომელმან დაჴჴსნას ერთი მცირეთა ამათ მცნებათაგანი სჯულისაგან და წინასწარმეტყუელთა და ასწავოს ესრეთ, კაცთა, უმცირეს ენოდოს მას სასუფეველსა ცათასა“. ესე იგი არს, ვითარმედ შეურცხ იქმნას და უპატიო და დაისაჯოს მეორედ მოსვლასა მას საშინელსა წინაშე საყდართა ქრისტესთა, რამეთუ სასუფეველად მოსვლა იგი თვისსა ბრძანა თარგმანებისაებრ წმიდისა ოქროპრისა. უკეთუ მცირეთა მეცნიერებათა დაჴსნისათვის ესეოდენი საშინელი სასჯელი განანესა მეუფემან, რომელი არს ამის უაღრესი (49v) და უპირატესი სჯულისდება, რომელი თვით თავადმან პირველად ესე აღასრულა, რაჟამს გამოუცხადა სოფელსა და საქმითა გუასწავა განშიშულებულთა წყალთა შინა ნათლისცემა და ნიკოდიმოსცა ესრეთვე სჯულუდვა და ჰრქუა: „უკეთუ ვინმე იშვეს წყლისაგან და სულისავე, რამეთუ ჴელეწიფების ხილვად სასუფეველი“. მას ყოველსა დაჴჴსნიან და გარდაჴდებიან და არა ეშინისთ სასჯელთაგან, არცა შეიკდემენ ესეოდენთა უწესობათაგან და იტყვიან, რომელსაცა ასოსა გუამისასა მიეხების წყალი, სრულიად განწმ-

<sup>26</sup> ხელნაწერში აქ აკლია ორი ფურცელი

ედილი შეიქმნებისო. ვაი სულისა მათისა, რამეთუ იზრახეს ზრახვა ბოროტი, „ჰგონებდეს ნავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს და შემდგომი“ (ჰრომაელთა 1,21). ვინათგან მეორედ შობა უბრძანებია ღმერთსა წყლისაგან, ვითარცა ყრმა იშვების მუცლისაგან დედისა თვისისა, ეგრეთ ჯერ არს ჩუენდა მეორედ შობა წყლისაგან ემბაზს შინა, გინათუ მდინარეთა შინა და არა ერთ კერძოსა ასოსა დაღტობა და სხუისა განწმობა იქმნებისა, რათამცა ერთი რომელიმე ასო იშვას, გინათუ თავი, ანუ თუ სხუა რომელიმე ასო დედის მოციქულითგან და სხუა იგი დაშთეს შინაგან, თუმცა სრული კაცი იყო იგი, ანუ თუ (50r) ყოვლად ითქმოდისლა კაცად, ვერცალა შემძლებელ არს სიცოცხედ მოსლვად. ეგერთვე არცა ესე იქმნების, თუმცა ერთსა ასოსა მიეახლოს წყალი და სხუა იგი დაშთეს ყოვლად განუბანელი და შეირაცხამცა იგი ძედ ნათლისად და შვილად სასუფეველისა. ესრეთ ყოველსა ყოველსა სჯულდებასა სამეუფოსა დაწსნიან და გარდავლენ წესსა და კანონსა მოციქულთა და მამათასა, არცა ემბაზსა შინა ნათელსცემენ სამგზის, არცა მარტოდ მღღლისა მიერ, არამედ უკეთუ მღღელი მუნ არა იყოს ერისაგანნი მამაკაცი, გინა დედაკაცი, ნათელსცემენ, ყოველნი თვინიერ მღღელისა, რომელი არა სადა სმენილ არს, არცა ხილული და თუმცა სადავე იშვით, სმენილ არს ერთგზის სადმე ეგევი-თარი იგი იშვიათი სადმე ქმნილი სჯულად არა დაიდების, არცა იქმნების, არამედ სჯულისდება ქრისტესი და წმიდათა მისთა მოწაფეთა და მოციქულთა და მობაძავთა მათთა ღმერთშემოსილთა მამათა არს მტკიცე და უცვალებელი, რამეთუ იგი ბრძანებს: „ცანი და ქუეყანა წარწდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა სადა წარწდენ“. ხოლო რომელიცა ბრძანოს და განანესოს ჰაჰამან, იგი უნდა იქმნეს, რომელი დღითი-დღე სცვალებს წესა და საზღუარსა მამათასა (50v) და თვისსა მას სჯულისდებასა გარეშე მოცემულისა მის კანონისა უმუძღურის ყოველთა, რამეთუ მათგან არს ახლად დადებული ესე კანონი, რათა არცა ემბაზსა შინა წყლითა ნათელსცემდენ სამგზის შთასლვითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა და მიერ აღმოშობითა ჳელითა მღღელთა, არამედ მცირისა წყლისა შეხებითა და უმღღელოსა კაცისა მიერ, გინა დედაკაცისა. ესე არს სჯულისდება მათი და სხუაცა მრავალი უწესობა.

და რაჟამს ვჰკითხოთ მიზეზი, თუ რად ესრეთ იქმთ, არცა შიშუელთა ემბაზსა შინა ნათელსცემთ სულისდებისაებრ სამეფოსა, რათა იქმნას და ეწოდოს მას მეორედ შობა წყლისაგან და სულისა, რამეთუ მირონითა დაბეჭდვა სულისა წმიდისა მონიჭებასა მოასწავებს და არცა მით აღბეჭდავთ, სადა არა იყოს ეპისკოპოზი, არცა დედათა მიერ დააყენებთ ნათლისდებასა. ხოლო იგინი მოგვიგებენ მათისა მის უწესობისა შემსგავსებულსა სიტყვასა და იტყვიან მირონის ცხება ეპისკოპოზისა განა რა იქმნებისო. და უკეთუ დედაკაცი სრულ იქმს ნათლისდებისა საიდუმლოსა, რასათჳს მღღელნი ვერ ცხებენ მირონთა, სადა პოვეს ესევითარი სჯულისდებაჲ, ანუ რომელმან კრებამან განანესა ესე, ანუ ვითარ იქმნების წყლისაგან (51r) და სულისა შობა, უკეთუ არა ეცხოს

მირონი და არა აღმოშვეს წყლისაგან. რამეთუ ყოველნი კრებანი ერთჴმა არიან, რათა მირონი არა შეიქმნებოდის, თვინიერ ეპისკოპოზისა, რამეთუ მღდელნი ვერ აკურთხევენ მირონთა, ვერცა დაამყარებენ საკურთხეველთა, ვერცა დაასხმენ მის ქუეშეთა ეკლისიისა მოყუასთა ჴელთა, ეგრეთვე ვერცა შეიქმნენ მირონთა, არამედ პირველ კურთხეულთა მირონთა მღდელ-მთავართა მიერ წყლისაგან აღმოშობილთა სცხებდენ განწესებისაებრ მამათასა, რომელსა ყოფენ ყოველნი მართლმადიდებელთა ეკლესიანი, ხოლო დასავლეთისა ეკლესიათა სხუათა უწესობათა თანა ესეცა აღუწოციესთ, რათა არა მიენიჭებოდეს მადლი სულისა წმიდისა ახალ ნათელღებულთა, ხოლო ჩუენ მართლმადიდებელთა ეკლესიისა წესი ესე არს ძუელითგანისა მოცემულისა საზღვრისაებრ, რათა წმიდა მირონი ახალ ნათელღებულთა, რაჟამს აღმოიშვას წყლისაგან, ეცხებოდის მღდლისაგან და თვინიერ მირონისა არა ეწოდების მას ნათლიღება. და უკეთუ სიტყვისაებრ მათისა იქმნების ნათლისცემა ყოველთა მამათა და დედათა მიერ. რასათვის მღდლისა მიერ არა იქმნების ცხება მირონისა, ვითარცა ვთქუ, რამეთუ ყოველი საიდუმლო მღდლისა მიერ სრულ იქმნებისა, და უკეთუ ჟამისწირვა იქმნების დედაკაცისა მიერ, ანუ თუ ერისკაცისა მიერ, ანუ სხუა რამე საიდუმლოთგანი ესეცა იქმნების, რათა მამანი და დედანი ყოველნი ნათელსცემდენ. და უკეთუ იქმნების ესე, რათა ერთითა ჴელითა, ანუ ერთითა ფერჴითა, ანუ თავითა იქმნას შობა ყრმისა, ესეცა იქმნების, რათა მცირედისა წყლისა შეხებითა, გინა სხურებითა თავსა ზედა, გინა სხუასა ასოსა ეწოდამცა ნათლისღება და მეორედ შობა. და უკეთუ იქმნების ესე, რათა თვინიერ სულისა წმიდისა სრულ იქმნეს შობა წყლისაგან და სულისა, ესეცა იქმნების, რათამცა თვინიერ მირონის ცხებისა იქმნეს (51v) მონიჭება სულისა წმიდისა. ვისნავეს ესე, ანუ რომლისა განწესებისაგან, ანუ რომლისა სჯულისდებისაგან მოიღეს ესე წესი, რათა მეძავნი დედანი, ანუ წიღოვანნი, გინათუ წმიდანი დედანი ნათელსცემდენ. დაღაცათუ წმიდათა ვისმე დედათაგანსა ექმნას ესე, იშუითად არცა ესე დაისხმის სჯულად, რამეთუ არცა ვისი გუასმიეს და არცა სადა ქმნილ არს წმიდათა დედათაგან საუფლოსა მსხუერპლისა შეწირვა, ეგრეთე არცა ნათლისღება. ვინ იყო წმინდისა და სანატრელისა დედისა ჩუენისა მოციქულისა ნინოს უწმიდესი და უსანატრელისი, რომელმან სხუათა საკვირველებათა და ზეგარდამოთა მადლთა მიერ მოციქულებისაცა მადლი სრულებით მიიღო, უკეთუმცა ჯერ იყო, ანუ სმენოდა, ოდესცა ანუ ძუელითგან მოსცემოდა, რათამცა დედანი ნათელსცემდენ. რომელმან სწავლითა თვისითა განანათლნა ესოდენნი ესე ერნი, რომელნი ფრიად წყურიელ იყუნეს და მოქენე ნათლისღებისა და ევედრებოდეს და ითხოვდეს მისგან ნათლისღებასა დაევედრებოდეს და ითხოვდეს მისგან, რათა არა ნათელსცეს, რასათვის არა ნათელ სცა და დააკლო ესოდენთა ნიჭთა.

რამეთუ ვიდრემდის არა ითხოვნა მღდელნი და დიაკვანნი საბე(52r)რძნე-

თით დიდისა კოსტანტინესაგან, მუნამდე ვერ იკადრა თავით თვისით ნათლის-  
ცემა. და ოდეს მოინივნეს მღდელნი, მაშინ სიმრავლემან ერისმან მეფემან  
და დედოფალმან და ყოველმან ჰასაკმან ნათელილეს მდინარესა შინა დიდსა  
მტკურისასა. არცა სხურებითა, არცა ცხებითა მცირედისა წყლისათა, არამედ  
სრულიად განშიშულებითა მდინარესა შინა სამგზის სახელსა ზედა წმიდისა  
სამებისასა, ვითარცა წერილ არს ცხორებასა შინა წმიდისა ნინოსასა და ვი-  
დრემდის საბერძნეთით მღდელნი მოინეოდეს. ვინა უწყის, რავდენნი ახალმო-  
ქცეულნი ესეოდენთა სიმრავლისაგან აღესრულნეს და წარვიდენ უნათლავნი,  
რასათვს ვერ იკადრა ღირსმან და სანატრელმან მოციქულებისა მადლისა  
ღირსქმნილმან ნინო, ვერცა ერთისა სულისა ნათლისცემა? არამედ ეშინო-  
და საზღუარსა წმიდათა მოციქულთა და მამათასა გარდასლვა, არცა ასმო-  
და ოდესცა ძუელითგან იშუით, სადმე არცა მსხუერპლისა შეწირვა, არცა  
ნათლისცემა დედათა მიერ, ანუთუ ერისაკაცთა მამათა მიერ და სმენოდა, ძუ-  
ელითგან ესეცა იქმოდა, რამეთუ ამისდა უმეტეს საჭმარ იყო და უფროსადცა  
(52v) საჭიროჲ, არამედ ვერ იკადრა, რამეთუ ასმოდა წმიდისა მოციქულისა  
პავლესგან, ვითარმედ: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი გახარებდეს თქუენ  
გარეშე მისა, რომელი მიიღეთ ჩუენგან, შეჩუენებულ იყავნ“. ხოლო ჩუენ  
ზედა მადლი და კურთხევა ქრისტესი და წმიდათა მისთა მოციქულთა და ნე-  
ტართა მამათა იყავნ და დაგუიციუნეს უფალმან ლოცვითა დედისა ჩუენისა,  
განმანათლებელისა ნინოსითა, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, რამეთუ  
ჩუენ ვართ შვილნი კათოლიკე ეკლესიისანი, რომელთა არა გარდაგუიქცევი-  
ეს, არცა დაგვიწსნიეს წესი და კანონი წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ  
დადებული და ვჰგვიეთ მასვე და ერთსა სარწმუნოებასა ზედა, რომელი მო-  
გუეცა წმიდისა ნინოს ქადაგებითა და ვიდრე აღსასრულამდე ნუცალა შევსცე-  
ლით და ნუცა მივდრკებით მცირედცა მართლისა აღსარებისაგან, რათა არა  
სირცხვილეულ იქმნეთ დღესა მას დიდსა სასჯელისასა.

(53r) განსანმედელისათვის თქმული, რომელსა იტყვიან მოსავნი პაპისანი.  
ერთი ესე არს მათ შორის წვალება შემოღებული მსგავსად წვალებისა მის  
ოროგინესა, რომელი იტყოდა ამასცა სხუათა მრავალთა წვალებათა თანა,  
ვითარმედ დასასრული იქმნების სატანჯველისაო და ეშმაკნიცა აღვლენ  
პირველსა პატივსაო და ეგრეთვე ცოდვილნი შევლენ და რავდენსაცა ჟამსა  
აქა უცოდავთ, ეგეოდენსა ჟამსა იტანჯებინ და მერმე გამოვლენო.

ეგრეთვე ესენი აღიარებენ და იტყვიან, ვითარმედ საუკუნო ჯოჯოხეთი  
სხუა არსო, რომელსა შინა იტანჯებიან უნათლავნი და ურწმუნონი და ქრის-  
ტიანენი, რომელნიცა ცოდვისაგან მოუქცეველნი და უაღსარებონი არიან. მუნ  
შევლენ და არღარა იქმნების გამოწსნა მათიო, ხოლო ერთი ადგილი არსო ცე-  
ცხლისა სატანჯველი ქრისტიანეთა, რომელთაცა აღსარება უთქუამსო და სინ-  
ანული არა დასცალეზია. იგინი შევლენ მას შინა ჟამ, რავდენმე იტანჯებიან და  
მერმე განწმედილნი გამოვლენო. და უფროსდა ჯერ არს ჭეშმარიტისა თქუმა,

უკეთუ არა იყოს მოწამენი და სრულნი წმიდანი, მერმე გამოვლენ განწმედილნიო, (53v) ხოლო აქეთგან არა რაჲ არს მათთვის სარგებელიო, არცა წირვითა, არცა ლოცვითა, არც მონყალებითაო, ვიდრემდის განჩინებულისა მათთვის ჟამსა იქ არ გარდაიწდიან და მერმე განწმედილნი გამოვლენო. ან ისმინეთ კეთილად და გულისწმა ყავთ, თუ რას ზრახვენ მეტყველნი იგი ამაოებისანი. ვისგან მოილეს ესე, ანუ ვისგან ისწავეს სჯულის დიდება ესე: მოციქულთაგან ანუ წინასწარმეტყუელთაგან, გინათუ კრებათაგან და ღმრთისმეტყუელთა და წმიდათა კაცთაგან. ნუ იყოფინ, ესე არა, რომელსა ეკლესიისაგან მოსცემიათ, არამედ თვით თქუეს ესე და ოროგინე მწვალებელისა და პლატონ კერპთმსახურისა წიგნისაგან მოილეს წვალება ესე და პაპის ბრძანებით დაამტკიცეს ესე. ხოლო ჩუენ წინააღუდგებით სიცბილთა მათთა და არა შევიწყნარებთ მწვალებელისა ოროგინეს მოძღურებასა, და უსჯულოს პლატონის ელინურსა სჯულისდებასა, არამედ მეთევზურთა და მეპრატაკეთა მოძღურებასა შეუდგებით და მასვე წმიდისა მოციქულისა პავლეს სულელმეტყუელებასა ვიტყვით: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ (54r) გარეშე მისა, რომელი გახარე თქვენ. შეჩუენებულ იყავნ, ვითარცა წინასწარ ვთქუ და ანცა ვიტყვი, უკეთუ ვიმნე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ თქვენ, შეჩუენებულ იყავნ“ (გალატელთა 1,8). ვკითხოთ მათ, ვისგან ისწავეს ესე წესი, ანუ ვისგან მოსცემია მათ, რათამცა არღარა ელხინა აქეთგან წარსულთა სულთა ჯოჯოხეთს შინა წირვითა და ლოცვითა და გლახაკთა წყალობითა, ანუ რომელი არს სხუა ჯოჯოხეთი, რომელსა შინა შევლენ პაპის მოსავენი და აქედგან მოწმარებლად ადრე განწმედილნი გამოვლენ. ისმინეთ ამის ცუდის მეტყუწლებისათვის სიტყვისგება, რამეთუ მრავალი მაქუს დასაყოფელი ამაოებისა მზრახველთა პირთა მათა საღმრთოთა წერილთაგან წამება, უკეთუ ისმინონ და შეიკდიმონ კეთილ და ფრიადცა კეთილ, ხოლო უკუეთუ არა შეიკდიმონ, არცა გულისწმა-ყონ, ჩუწნ ოდენ ვეკრძალნეთ და ნუ მიუპყრობთ ყურთა მათთა მათ ამაოებისა ზრახვათა.

პირველად ესე ვთქუათ, რომელი მეგულების თქუმად და მერმე შემდგომითი-შემდგომად სიტყუამან ყოველი დაფარული საძიებელი საცნაურ ყოს.

ვპკითხოთ მათ, უკეთუ არა იქმნების (54v) გამოწსნა ჯოჯოხეთით, რომელსა თქუენ საუკუნო ჯოჯოხეთად უწმობთ, ვითარ გამოიწსნა წმიდამან თეკლე ფალიკონილა, ასული იგი ქურივისა მის კერპთმსახურისა, რომელმან კეთილად შეინწყნარა, რაჟამს აწამებდეს იკონია ქალაქსა შინა, რამეთუ მას ოდენ ჟამსა აღსრულებულ იყო კერპთმსახურებასა შინა ქალი იგი და ამან ლოცვით გამოიყვანა ჯოჯოხეთით, ეგრეთვე წმიდამან მოწამემან გიორგი, მღდელი იგი კერპთა, ჯოჯოხეთით ლოცვით გამოიყვანა. ეგრეთვე წმიდამან მამამან მაკარი დიდმან ლოცვით აღმოიყუანა ჯოჯოხეთით მღდელი კერპთა და წარმოუდგინა მათ ცოცხალი ჯორცით, რომელთა არა ჰრწმენა აღდგომაჲ მკუდართა. იგივე წმიდა მაკარი, რაჟამს სული შიშისა ებრძოდა, შევიდა ძუ-

ელთა მეკერპეთა საფლავთა შინა და სამ წელ დაყო მას შინა და მერმე რაჟამს ინება გამოსლვა, აღდგა ერთი მკუდართა მათგანი, უპყრა სამოსელსა მისსა და არა უტევებდა გამოსლვად და ეტყოდა: „ნუ განხვალ მამაო წმიდაო, რამეთუ ოდეს შემოხვედ აქა, მიერიდგან დიდი ლხინება მოგუეცა ლოცვითა შენითა ჯოჯოხეთს შინა“ და არა განუტევა იგი, ვიდრე ზეგარ(55r)დამოსა ჳმისა მიერ დაიჴსნა მკუდარი იგი და მუნვე მიიძინა, სადაცა იყო პირველ მდებარე. ეგრეთვე დიდმან გრიგოლი პაპამან ჰრომისამან, რომელსა ეწოდა დიალოლონი, დღესა ერთსა მი-რა-ვიდოდა გზასა ზედა, მიინია ადგილსა მას, რომელი შეემზადა უსჯულოსა მეფესა ტრაიანეს განსასუენებელად მაშურალთათვის, და ილოცა წმიდამან გრიგოლი მისთვის. დაიჴსნა სული ტრაიანე, უსჯულოსა და მრავალთა მონამეთა სატანჯველისა, უკეთუ არა იქმნების გამოჴსნა ჯოჯოხეთით აქეთგან ლოცვითა და მოჴმარებითა, ვითარ იჴსნეს ესენი ჯოჯოხეთით, ვინ იყუნეს ამათსა უმნარესა და უძნელესა ჯოჯოხეთსა შინა, რამეთუ ზოგნი უსჯულონი და ქრისტიანეთა მტანჯველნი მეფენი იყუნეს და ზოგნი მღდელი კერპთანი და სხუანი კერპთმსახურნი და უსჯულონი, უკეთუ ესენი გამოიჴსნეს, რა დიდ არს, თუ ქრისტიანენი წასულნი სატანჯველთაგან აქეთგან ლოცვით გამოიჴსნენ ჯოჯოხეთით. და უკეთუ თქუან, ვითარმედ იგინი დიდნი წმიდანი იყუნეს და საკვრველნი კაცნიო მათგან, არარა საკვრველ არსო. ჩუენ მიუგოთ და ვთქუათ, უკეთუ იგინი დიდნი (55v) წმიდანი იყუნეს, მათგან გამოჴსნილნი ჯოჯოხეთით დიდნი ცოდვილნი, ურწმუნონი და კერპთმსახურნი იყუნეს. რა დიდ არს, ანუ რასაკვირველ, ცოდვილისა ქრისტიანისთვის, მართლმადიდებელმან მღდელმან შეწიროს მსხუერპლი, ანუ თუისნი მიცუალებულისანი მიცემითა გლახაკათა და ქუჭლის საქმითა გლახაკთა და ლოცვით ევედრნენ ღმერთსა და მრავლითა მით მონყალებითა მისითა იქმნეს გამოხსნა მათი ჯოჯოხეთით განწესებისაებრ წმიდათა მამათასა, რამეთუ ძუელითგან არს ესე მოცემულ ეკლესიათა და წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთაგან, რათა საწსენებელსა ჩუენგან მიცუალებულთასა აღვასრულებდეთ, ვითარცა დასწერენ წმიდანი ღმრთისმეტყუელნი: დიდი ბასილი, დიდი ათანასი, წმიდა იოვანე ოქროპირი და იოანე დამასკელი მიცვალებულთა საკითხავთა შინა, რათა მართლმადიდებლობით მიცვალებულთათვის მართალნი იყუნენ, გინათუ ცოდვილნი, სარწმუნოებით აღასრულებდენ ლოცვასა და ჟამისწირვასა და ძალისაებრ ქუჭლის საქმესა და სახიერებითა მრავალმონყალისა ღმრთისათა იქმნების ლხინება ცო<sup>27</sup>

(56r) ვედით ჩემგან და წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკათავის და მსახურთა მისთავს, ჯერეთ ესე ჳმა არა სმენილ არს, თუ წარვედით ჩემგან ცეცხლსა მას საუკუნესა, არცა თუ განმეშორენით ჩემგან, არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ და სხუანი მისაგებელნი ცოდვილთანი ფერად-ფერადნი, რავდენნი იგი წერილ არიან წმიდასა სახარე-

<sup>27</sup> ხელნაწერში აქ აკლია ერთი ფურცელი

ბასა შინა და საუკუნოდ სახელიდებიან დღისა მისთვის და ჟამისა. ამისთვის არა ითქუმის, ჯერეთ საუკუნოდ, ვითარცა ვთქუ, რამეთუ ვიდრე მეორედ მოსვლადმდე მოწყალებისა და ლხინებისა მომლოდინე არიან სულნი ამიერ წარსრულთანი, დაღაცათუ იტანჯებიან მწარედ, არამედ მხოლოდ სულნი ოდენ და არა ჯორცნიცა. ხოლო ოდეს შეემოსნენ ჯორცნი ესე, რომლითაცა აღასრულეს ცოდვა დღესა მას სასჯელისასა, მაშინ იქმნების უმწარესად და უსასტიკესად დასჯა სულით და ჯორცით საუკუნოდ ცეცხლსა მას შინა გეჰენისასა და სიტყვისაებრ საუფლოსა, რამეთუ მუნამდე არა არსს საუკუნო. ხოლო თვინიერ აქედგან მოჰმარებისა და ქუჭლის საქმისა და წირვისა სულსა ვერ ჰელენიფების გამოჰსნა და უკეთუ სიტყვისაებრ მათისა იქმნების (56v) სულსა ლხინება და გამოჰსნა. მაშა ეშმაკთაცა იქმნების გამოჰსნა წულალებისაებრ ორიგინესა, რამეთუ იგინიცა სულნი არიან და უსამართლო იქნების უკეთუ სულნი კაცთანი, რომელნი შეუდგან ნებასა ჯორცთასა და დაემორჩილნენ ეშმაკთა, თვინიერ აქეთგან მოჰმარებისა იქსნენ ჯოჯოხეთით და ეშმაკნი არა იქსნენ, რამეთუ იგინიცა სულნი არიან, ვითარცა ვთქუ, იხილეთ, ღმრთის-მოყვარენო, სადა მიიწვევის გმობა ესე, რამეთუ ეშმაკნი ამისთვის არა იქსნებიან, რამეთუ უჯორცო არიან და ერთგზის რა ცოდეს, მყის შინა დაისაჯნეს უჯორცოებისათვის, რამეთუ უძღურება არა თანა ედვა მათ და არცაღა იქმნების გამოხსნა მათი, რამეთუ არავინ აქუსთ მეხუაიშნედ უძღურთა ჯორცთა მქონებელი, ხოლო კაცთა ამისთვის აქუს მრავლთა ცოდვათა მიტევება, რამეთუ ჯორციელ არიან და უძღურება ზედა-აც და ამიერ წარსულთა სულთა მრავალნი ჯორციელნი მეხუაიშნენი და შემწენი ჰყვნან და უკეთუ ჯორციელნი შემწენი არა აქუნდეს, მარტო სულისა ჰსნა არლარა იქმნების, ვითარცა არცაღა ეშმაკთა.

და უკეთუ სულნი კაცთანი ჟამ რავდენმე იტანჯებიან ცეცხლსა (57r) შინა და მერმე განწმედილნი გამოვლენ და შევლენ სიხარულსა შინა, სწორნი ვიდრემე იქმნებიან და ერთ პატივინი სულნი ცოდვილთა კაცთანი და სულნი დიდთა მათ და სახელოვანთა წმიდათანი, მოციქულთა და წინასწარმეტყველთანი, მონამეთა და ნეტართა მამათანი და აწინდელთა ცოდვილთა კაცთანი, რამეთუ ცეცხლისაგან განწმედილთა და გამოჰურვებულთა არლარა გამოჰყვების ბინი რამე ანუთუ მწინკული, გინათუ ბრძილი რამე ცოდვისა.

ვითარცა იგი იქმან ჰელოვანნი ოქროსა მქანდაკებელნი, რაჟამს იხილონ ოქრო დაკლებული ბუნებითისა სიკეთისაგან, გამოჰურვებითა და გამოდნობითა ბრძმედსა შინა ცეცხლისათა, შეასწორებენ და მსგავს ყოფენ ფრიად რჩეულთა ოქროთა, ეგრეთვე იქნების სიტყვისაებრ მათისა, რაჟამს სულნი ცოდვილთანი წარვიდენ უნანულად, ცეცხლსა შინა იტანჯნენ და გამოიჭურნენ და სწორ იქმნენ წმიდისა ნათლისმცემელისა უზეშთაესისა მის ნაშობთა შორის დედათასა და სხუათა მათ დიდთა წმიდათასა და არლარა იქმნას მათ შორის უდარეს-უალრესობა, რამეთუ რავდენ უმეტესი ჰელოვნება აქუს და



ნამისყო(57v)ფასა მისა მორჩილობს ყოველნი არსნი უზეშთაესსა მას არსება-  
თასა ღმრთისა მოკვდავთა ამათ და მიწიერთა კაცთასა. ეგოდენ უმოსწრაფეს  
სცვალებს და შეასწორებს ბოროტთა და კეთილთა, მართალთა და ცრუთა  
და ვითარ იგინი ოქროთა, ეგრეთვე ღმერთი სულთა და რა სამართალი ესე  
ღმრთისა, ანუ მოწყალეა უსაზღვრო ცოდვილთა ზედა. არამედ ესე არს სჯუ-  
ლი ღმრთისა, რომელსა ვიტყვი, არა მე, არამედ დიდნი ღმრთისმეტყუელნი,  
რამეთუ მართალთა თანამდებობით მიანიჭებს სასყიდელსა შრომისა მათი-  
სასა, ხოლო ცოდვილთა სინანულისა მიერ და ამიერ წარსულთა აქეთგან  
მოჭმარებითა, მიჭვენს მოწყალეებასა, ვითარცა წერილ არს: „წყალობასა და  
სამართალსა გაქებდე შენ, უფალო“ რამეთუ ვითარცა მოწყალეა აქუს მიუწ-  
დომელი, ეგრეთვე სამართალი აქუს შეუცუალელებელი.

და უკეთუ ესე ესრეთ არა იყოს, ცუდიქმნების შრომა წმიდათა და ღუანლ-  
ნი და კეთილ იქმნენ ფერად-ფერადნი სატანჯველნი მონამეთანი და გემოთ-  
მოყვარება და მრავალფერნი უსჯულოებანი უღმრთოთანი, ვინათგან მერმესა  
მას ცეცხლსა გამოჭურვებითა და გამოდნობითა სწორ იქმნებიან ცოდვილნი  
და წმიდანი.

და ვინათგან გამოჭურვებითა და ცეცხლსა შინა გამოცდი(58r)თა განიწ-  
მიდებიან სულნი, მაშა არღარავინ დაშთების ცეცხლსა შინა და ნეტარ, თუმცა  
ესე ესრეთ იქმნეს, არამედ არა ჯერ არს ესრეთ რწმუნება, რათა არა უს-  
ამართლობა ითქუას ღმრთისათვის, რათამცა პაპის მოსავნი გამოვიდნენ გან-  
წმედილნი და ქრისტეს მოსავნი მუნ შინა დაშთენ შემწუარნი ცეცხლითა და  
უკეთუ ცეცხლსა შინა გამოჭურვება იქმნების და შესწორება მართლათა და  
ცოდვილთა, რასათვის ბრძანებს უფალი: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრ-  
ავალ არიან“, რამეთუ „სავანე მრავალი“ ესე არს საზომისაებრ მოღუანეთასა  
აქათა ამათ შრომათაებრ, რომელსა იმოქმედებენ კაცნი, რომელნიმე მცირედ  
და რომელნიმე დიდად და ეგრეთცა საზომისაებრ განეყოფის სამუებელნი  
იგი და კეთილნი საუკუნენი, რომელსამე დიდად და რომელსამე უდარეს-  
ად. ხოლო ესე მწუალებელთა ზედა არა იქმნების თარგმანებისაებრ წმიდისა  
მაქსიმე აღმსარებელისა და სხუათა მათ ღმრთისმეტყველთასა, არამედ მარ-  
თლმადიდებელთა მოღვანეთა ზედა, რამეთუ რომელნი წმიდათა მოციქულთა  
და შემდგომთა მათთა ღმერთშემოსილთა მამათა და შვიდთა კრებათა მიერ  
და(58v)დებულსა და დამტკიცებულსა სარწმუნოებასა ანუ შემატებს, გინათუ  
მოაკლებს, არა იქმნების მას სავანესა მიწვენა, არცა სახლსა მას უხილავისა  
მამისასა დამკვდრება. რამეთუ შეკრვისა და განწსნისა ჯელმნიფება მათ აქუს,  
რომელნი მოციქულთა და წმიდათა ღმრთისმეტყუელთა მამათა მოძღურებასა  
არა გარდაჰყდებიან სიტყვისაებრ პავლესა გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი  
ზეციით გახარებდეს თქვენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარე თქუენ, შე-  
ჩუენებულ იყავი, ხოლო რომელი მათ შეაჩუენეს და შეკრეს, ვინა არს რომელ-  
მანცა განწსნეს იგი, მაშა რომელი მათ მიერ დადებულსა სარწმუნოებასა

გარდაუქცევს და სხუებრ რასმე მოძღურის, ვითარ შევლენ იგინი მას სავანესა მართალსა, რავედნიცა ილუანონ, არამედ ვითარცა ვთქუ, მართლმადიდებელნი კეთილისა მოქმედნი დაიმკვიდრებენ მას სავანესა მართალთასა, ხოლო ცოდვილნი, რომელთა მართალი სარწმუნოება არა შეეცვალოს, აქედგან მოწმარებითა და კაცთაგან ხუაიშნითა ჰპოვებენ ცეცხლისაგან და სხვათა მათ მწარეთა სატანჯველთაგან ლხინებასა და მრავალმონყალისა ღმრთისაგან ღირს იქმნებიან განთავისუფლებასა.

(59r) ხოლო უკეთუ გუეცყოდნენ ეგე, ეგრეთ იყოს სიტყვისაებრ თქუენისა, აქედგან წირვითა და ქუელის საქმითა იქმნების ლხინება და თვნიერ ამისა რომლითა საქმითაო. მაშა მდიდარნი და მრავლის საწმარისა მქონებელნი აცხოვნებენ მათსა მიცუალეზულსა და გლახაკნი და უპოვარნი დაშთებიან ცეცხლსა შინა, რომელთა არარა აქუს, რამცა მისცეს. ჩუენ ესრეთ მოუგებთ წმასა მას სამეუფოსა რომელი ჰრქვა მონაფეთა თვისთა, ვითარმედ: „კაცთაგან შეუძლებელი ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“. არა თუ სიმდიდრესა და საფასეთა სიმრავლესა ზედა არს უსაზღვრო მონყალეზა ზემთა სახიერისა ღმრთისა, არამედ სარწმუნოებასა და გულისმოდგინებასა ზედა მორწმუნეთასა იქმნების განყოფა და მიფენა ღმრთისა აურაცხელთა მონყალეზათა და თუალუხვაობათა მისთა მსჯავრი, ვითარცა სახარებასა შინა წერილ არს, მრავალთა მდიდართა მოიღეს შესაწირავი ფასი საცავსა მას მრავალნი საწმარნი და შანთნი ოქროსა და ვეცხლისანი, ხოლო ქურივმან ვინმე მოიღო ორი მწულილნი, რომელ არს წულილი ვერცხლი ფოლისაგან უმცირესი. მიხედა იესო და თქუა: „ამინ გეტყვი თქუენ: ქურივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა, რამეთუ (59v) მათ ნამეტნავისაგან მათისა შეწირეს, ხოლო ამან ნაკლულოვანებისაგან მისისა რაცა აქუნდა, საცხოვრებელი თვისი შეწირა“. ესრეთ იქმნების საზომისაებრ სარწმუნოებისა და არა საწმართა და სიმდიდრისაებრ ვინ იყო ქურივისა მის უგლახაკეს, რომელსა არა რა ეპოებოდა და თვნიერ ორისა მის მწულილთასა, ვითარცა ბრძანა უფალმან, ვითარმედ: „ყოველი საცხოვრებელი შეწირა და სხუა არა რა დაუტევა თავსა თვისისა თანა, ხოლო მდიდართა ნამეტნავისაგან შეწირეს და უმრავლესი დაუტევეს თავთა თვისთათვის“. მიხედეთ მონყალეზათა ღმრთისათა და თვალუხუობასა მსჯავრთა მისთასა, თუ ვითარ შეასწორა და უმეტესადცა შერაცხა კნინი იგი და უნდო შესაწირავი მრავალთა მათ და დიდთა შესაწირავთა მდიდართასა, რამეთუ მდიდართა და პოვნიერთაგან დიდნი შესაწირავნი ჯერ არს შეწირვად ღმრთისა, ხოლო გლახაკთა და უპოვართაგან მცირედნი და კნინი, ძალისაებრ სარწმუნოებით დიდად შეწირვიან და უმეტეს მითუალავს მრავლითა მით წყალობითა და მსჯავრითა მით სიმართლისა ღმრთისათა, ვითარცა სიტყუა ერთი მცირე შეწირა ავაზაკისა ჯუარსა ზედა უმეტეს (60r) და უფროს მრავალთა ბრძენთა და ფილოსოფოსთასა, რამეთუ რა არს ერთისა მცირისა სიტყვისა უკნინესი და უუნდოესი? რამეთუ მას ჟამსა, ოდეს ჯვარსა

ზედა იყო ავაზაკი ქრისტეს თანა, არა რა აქუნდა და ვერცა არას სხუასა შემძლებელ იყო, თვნიერ სარწმინოებისა და სასოებისა, მეუფესა ხედვიდა ჯვარსა ზედა დამოკიდებულსა მონაფეთაგან დატევებულსა და ჯურიათაგან შეურაცხქმნილსა. მაშინ აღმოთქუა ერთი და დიდად შეინირა უფალმან და პირველ ყოველთასა სამოთხე დაიმკვიდრა და ქანანელისა იგი სიტყვა მცირე დსიდად შეინირაადა მეზუერიისა სულთქუმა და სიტყუა სიმდაბლისა დიდად შეინირა და ცოდვათა მიტევა მიილო, ეგრეთვე გლახაკნი, რომელთა არა რა ეპოებოდის საჯმარი და საფასე და შეინრებულ იყუნენ სიგლახაკითა და მიმძლავრებულ მოხარკეთა მიერ, რაოდენსაცა შესწირვიდენ სარწმუნოებით ძალისაებრ, გინათუ მსხუერპლისა შეწირვითა, გინათუ სანთელი და საკუმელი შეწირნა, ანუ თუ ერთი მშეირი განაძლონ, ანუ თუ სასმელი გრილ მიუპყრან მწყურვალთა და სხვისაგან კიდე ულონო იყუნენ. ყოველს (60v) დიდად შეინირავს უფალი და მრავლითა კაცთმოყვარებითა თვისითა მისცემს ლხინებასა მიცვალებულსა მას და უკეთუ ესრეთ აქეთგან არა ქმნას შეწენვა და ჯელის აპყრობა, არლარა იქმნების ლხინება ამიერ წარსულისა, არცა გამოჴსნა ჯოჯოხეთით, არცა მუნით გამოსლვა.

ამის პირისათვის დასწერს წმიდა გრიგოლი დიალოლონი, პაპა ჰრომისა, მის მიერსა თხრობასა შინა წიგნსა მას, რომელსა დიალოლონი ეწოდების, რამეთუ მას შინა აღწერილ არს და იპოვების ყოვლისავე დაფარულთა და ძნიად მისანდომელთა საიდუმლოთა გამნარტება, რომელსაცა ჰკითხავს პეტრე მთავარდიაკვანი, თვისი საყვარელი მონაფე და იგი განუმარტებს ყოველსავე ზედამინევით. მეოთხესა თავსა შინა წერილ არს ესრეთ: „ჰკითხავს პეტრე: მეუფეო, მაუნყე ამიერ, წარსრულთა სულთა იქმნებისა ცეცხლსა შინა მისვლა ანუ არსა ჯოჯოხეთს შინა სხუადასხუა რიგი სატანჯველი, ანუ დიდთა და მცირედთა ცოდვათა მოქმედნი სწორედ იტანჯებიან, ანუ არა ერთსახე არს ცეცხლი იგი გეჰენისა, ანუ მრავალსახე და სხუდასხუ? მიუგო წმიდამან გრიგოლი და ჰრქვა: „შვილო, პეტრე, (61r) ჯოჯოხეთი ქუესკენელსა შინა ქუეშე ქუეყანისასა არს და არაერთსახე, არა სატანჯველნი იგი, არამედ ზოგი ცეცხლი არს გეჰენისა, ზოგი ტარტაროზი არს სიცივისა განუტფობელი, ზოგი სიმყრალე და მატლი დაუძინებელი, ზოგი ბნელი გარესკნელი და საკვირველნი განუჴსნელნი და ღრჭენა კბილთა დაუსრულებელი, ვითარცა მოგვითხრობენ საღმრთონი წერილნი. ესე ყოველნი ცოდვილთათვის არს განწესებული, ხოლო ცეცხლი იგი გეჰენისა ერთი არს, რომელსა შინა შეითხვეიან ცოდვილნი, რომელთა არა შეენანოს, არამედ საზომისაებრ ცოდვათასა კაცად-კაცადი მიიღებს სასჯელსა დიდთა და მრავალთა ცოდვათა მოქმედნი დიდად იტანჯებიან და მცირეთა ცოდვათა მოქმედნი და უსუბუქესადო, ვითარცა იქმნების ხილულსა ამას შინა სოფელსა, ოდეს შემოჴდეს სენი რამე სასიკვდინე, არა ყოველთა სწორედ შეეხების სენი იგი, არამედ რომელთამე მსწრაფლ მოაკუდინებს, რომელთამე უგუიანესად, რომელთამე უსუბუქესად და რომელთამე

მცირედ და უადვილესად. ერთი და იგივე სენი ზოგად ყოველსა ბუნებასა კაც-  
თასა ამასვე ჰაერსა შინა და ამავე სოფელსა. ეგრეთვე (61v) იქმნების მასვე  
და ერთსა ჯოჯოხეთს შინა ზოგად ყოველთა ცოდვილთა კაცთათვის ესრეთ  
საზომისაებრ ცოდვისა იტანჯებიან ცოდვილნიო.

იხილეთ მორწმუნო, უკეთუმცა ყოფილ იყო განსანმედელად სხუა რამე  
ჯოჯოხეთი, რომელსა იგინი იტყვიან განსანმედელად და სალხინებელად,  
რასათვის არა თქუა წმიდამან გრიგოლი და არა აუნყა პეტრეს საყვარელსა  
თვისსა და თუმცა ყოფილიყო, რასათვის დაჰფარევდა და არა გამოაცხადებდა  
და უკეთუ არა არს განსანმედელი და ჭემმარიტად არცა არს და არცა სადა  
წერილ არს და არცა ვის წმიდათაგანსა უთქუამს. რასათვის მოიგონებს და  
ვითარ იტყვიან ესოდენთა ამოებისა სატყუათა. იგი სანატრელი გრიგოლი პა-  
პაცა იყო ჰრომისა და ცხადად სული წმიდა ზრახვიდა პირით მისით, რამეთუ  
მრავალგზის იხილიან სული წმიდა სახედ ტრედისა სპეტაკისა პირსა მისსა  
ზედა მფრინვალი, რაჟამს სწერნ იგი წიგნთა საღმრთოთა და ვინათგან მან,  
სანატრელმან, ვერ გულისჴმა-ყო და ვერცა აღწერა და აწინდელნი პაპები  
და კარდინელები, რომელნი ჰგმობენ სულსა წმიდასა, ურცხუნოდ იტყვიან  
და და(62r)ჰჴსნიან ყოველსა წესსა და კანონსა მამათასა და ესრეთ ზრახვენ.  
ჩუენ უმჯობესად გამოგვეცხადების და უმეტესად გულისჴმაგუეყოფიესო წმი-  
დათა მოციქულთა და ჭემმარიტთა მღვდელთმოდღუართათო და ეკლესიასა შინა  
მარადის უახლესა და უახლესა შჯულსა და წესსა გარდასცვლიან და სხუასა  
და სხუასა სარწმუნოებასა შემოიღებენ. მრავალგზის საწმარ არს მათთვის  
სიტყუა იგი პავლესი: „გინათუ ჩუენ, გინათუ ზეცით ანგელოზი გახარებ-  
დეს თქუენ, მისა გარეშე, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ“  
(გალატელთა 1,8), ვითარცა წინასწარ ვთქუ და ანცა კუალად ვიტყვი, უკეთუ  
ვინმე გახარებდეს თქვენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შეჩუენებულ  
იყავნ. შეჩუენება ესე და წყევა, რომელი აღმოთქუა მოციქულმან პავლე და  
ეგრეთვე სხუანი მოციქულნი იტყვიან: რომელი მათ განანესეს, არა თუ მათ  
ზედა არს, რომელნი არა დახსნიან მხარით მათსა საზღუარსა, არამედ მათ  
ზედა აღესრულების, რომელი ანუ მოაკლებს, ანუ შემატებს, ანუ დაჰჴსნის,  
ანუ სხუებრ რადმე იტყვის სიტყვისაებრ საუფლოსა: „რომელმან დაიჴსნეს  
ერთი მცირეთა ამათ მცნებათაგანი (62v) და ასწაოს ესრეთ კაცთა“. და შემ-  
დგომი. ვითარცა კუალად მისწერს ებისტოლესა თვისსა პავლე მოციქული  
ჰრომაელთა და ეტყვის: „გლოცავ თქუენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან,  
რომელნი იგი წუალებასა და საცთურსა იქმან გარეშე მის მოძღურებისა,  
რომელი თქუენ გისწავეს და განეშორენით მათგან, რამეთუ ეგევითარნი იგი  
უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თვისსა მუცელსა და  
ტკბილად მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკო-  
თანი“ (ჰრომაელთა 16,19). იხილეთ ძმანო, ცხადი წინასწარმეტყუელება და  
მოსწავება წმიდისა მოციქულისა პავლესი, რასა მიუწერს თვით ჰრომსა და

მას შინა დამკვიდრებულთა, თუ ვითარ სულითა წმიდითა ხედვიდა ადრევე ნუალებასა მათსა და აკრძალებს ყოველთა, რათა არავინ ერჩიდეს ნუალებასა და საცთურსა მათსა, არამედ მოძღურებასა მას მოციქულთასა შეუდგენ, რამეთუ იგინი არიან და არა სხუა ვინმე, რამეთუ სახელდებით მათ მისწერს და არა სხუათა მიმართ, არამედ ჰრომაელთა, რომელნი ტკბილად მეტყუელებითა და მუცლის მონებითა და გემოვნებითა აცთუნებენ გულსა უმან(63r) კოთა და წრფელთასა და ასწავებენ გარეშე მის მოძღურებისა, რომელი ანუ პავლესაგან მიიღეს, გინა თუ პეტრესაგან. ვჰკითხოთ, უკუე მათ, ვისთვის იტყვის მოციქული ამას, არა სახელდებით თქვენთვის ჳმობსა ჰრომნი არა თქვენ ხართ? ტკბილად მეტყუელებითა არა თქვენ აცთუნებთა ყოველთა, რამეთუ არა რასა საჭიროსა და არცა ინროსა გზისასა უმოძღურით კაცთა, რომელი ქრისტემან ჰბრძანა: „ინრო არს და საჭირველ გზა იგი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, ვითარ იგი ვრცელ არს და ფართო, რომელსა მიჰყავს წარსანყმედელად“, არცა პავლეს სიტყვათა, რომელი იტყვის მრავლითა ჭირითა გუიღირს შესვლად სასუფეველსა ცათასა, არამედ ყოველსავე ჳორცთა საშუებელსა და მუცლისა გემოვნებათა ასწავებთ კაცთა, რათა ძილითა და მრავალ მჭამელობითა ვლონ ვრცელი იგი და ფართო გზა, რომელი მიიყვანებს ჯოჯოხეთად. კუალად ესეცა ვჰკითხოთ: ესევეითარნი მწვალებელნი, რომელნი საცთურსა იქმან და ტკბილად მეტყუელებითა და მუცლის მონებითა აცთუნებენ მრავალთა, ვინათგან მოციქული ჰრომაელთა მისწერს: „ვინ არიან (63v) პირველად იყუნენ, თუ ან არიან?“ ანუ ამისა შემდგომად გამოჩინებად არიან იგი მწუალებელნი, რომელნი ჰრომს შინა გამოჩინებად იყუნეს ტკბილად მეტყუელნი და მუცლის მონანი და არა ქრისტეს მონანი. უკეთუ მოგვიგონონ და თქუან: ჰრომში ნუალება არა შესულა და არცალა შევალო, მაშა მოციქული ვის ეტყვის ამას, არა ჰრომაელთა მისწერსა და ამათ ეტყვის? „იგინი არიან ტკბილად მეტყუელნი და მუცელმერთნი, რომელთა ბუნებითი ჭამადი, რომელი ღმრთისა მოუცემია მადლობით მისალებელად და არცა სჯული აყენებს, არა კმა ეყოფისთ საჭმელნი, არამედ ყოველსავე არანმიდასა და ქუენარმავალსა, სისხლსა და დამშთურსა ურიდად ჭამენ და არა ეკრძალებიან და ჩუენცა ეგრეთ ვიტყვით, სხუა არა შესრულ არს, არამედ მუნითვე აღმოეცენნეს და მათგან გამოვიდეს და განეფინნეს ყოველსა ქუეყანასა. ვითარცა იგივე მოციქული პავლე აუნყებს, რაჟამს მიიწია მელიტონს, რომელ არს მალთა და მოუწოდა ხუცესთა და ეტყოდა: „აჰა, მე უწყი ესე, რამეთუ (64r) შემოვიდენ თქუენდა შემდგომად განსლვისა ჩემისა მგელნი მძიმენი, რომელნი არა ერიდებოდინ სამწყსოსა და თვთ თქვენგანნი აღდგენ კაცნი, რომელნი იტყოდიან გულარძილსა, რათა განადგინენ მონაფენი შემდგომად მათდა“ (საქმე მოციქულთა 20,29) და რამეთუ მოციქულნიცა ეგრეთ ჳმობს: „თვთ თქვენგანნი კაცნი აღდგენო, რომელნი არა ერიდებოდინ სამწყსოსა ქრისტესაო“, „თვთ თქვენგანი“ თქუა და არა გარეთ შემოსრულნი, რამეთუ მათგან და მათ

მიერ და მათ შორის აღმოეცენა ესე საცთური და წვალება და არა სხუთა მიერ ისწავეს, რომელნი ტკბილად მეტყელებითა და კურთხევითა აცთუნებენ მრავალთა და მუცლისა მონებითა და ყოვლითა გემოვნებითა მოჰძღურიან ყოველთა და დაუტყევებიესთ იწროსა მის გზისა სტადიონი, რომელსა შინა ვიდოდეს ყოველნი წმიდანი და მართალნი და ვლელან ვრცელსა მას გზასა ცოცხლად მიმყვანებელსა და ვერღარა ძალუც შრომითა და ჭირითა, მღუიძარებითა და მარხვითა და სხვითა მოლუანებითა ამავე სოფელსა განწმედა თავთა თვისთა და მოელიან ცეცხლსა შინა ჯოჯოხეთისასა განწმედასა და ესრეთ აცთუნებენ თავთა თვისთა, ხოლო ჩუენ, ძმანო, არა მოგუიდიეს ესე წესი, არცა გუისანეს მოციქულთაგან, არცა ნეტა(64v)რთა მამათაგან, რათამცა აქა მივსცენით თავნი ჩუენნი შუებასა და განცხრომასა ვნებათა და გემოვნებათა და მუნ ცეცხლსა შინა ველოდით განწმედასა, რამეთუ ამიერ წასრული სული ვერღარა შემძლებელ არს, ვერცა თავით თვისით სინანულსა, ვერცა ცეცხლისა მიერ განწმედასა, რამეთუ თქუმულ არს: „სიკუდილსა შინა ვინ მოგიხსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“, თვნიერ აქეთგან შეწევისა და ჳორციელთა კაცთა მიერ მოჰმარებისა, რათა ღმერთსა აურაცხელითა წყალობითა იქმნას ღმინება და მოტევება.

კუალად სიტყვასა მას ესაია წინასწარმეტყუელისა წინა გვიყოფენ და საცთურისა თვისისა მოწმედ მოიღებენ, რომელსა იტყვის: „და იყოს ნეშტი იგი ისრაილისა სიონს შინა და ნეშტი იერუსალიმს შინა და ეწოდოს წმიდა, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებას იერუსალიმს შინა, რამეთუ გამორცხას უფალმან მნიკული იგი ძეთა და ასულთა სიონისათა და სახლი იერუსალიმისა განწმიდოს შორის მისა, სულითა სასჯელისათა და სულითა შემწუველითა“. ამას განსანმედელზედ იმონებენ, ვითარცა წინასწარმეტყუელსა სიტყუანი ესე ეთქუნეს ჯოჯოხეთისა ცეცხლსა შინა განწმედისათვის სულთასა, ხოლო ჩუენ განმარტება ამის სიტყვისა ვთქუათ მად(65r)ლითა ღმრთისათა, ვითარცა მოგუცეს ჩუენ უფალმან სიტყუა, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყუელი: „და იყოს ნეშტი იგი ისრაილისა სიონს შინა და ნეშტი იერუსალიმს შინა და ეწოდოს წმიდა, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად იერუსალიმს“.

თარგმანი: ამას მათთვის იტყვის, რომელნი ჰურიათაგან მოიქცეს და იქმნეს მორწმუნე. იგინი არიან ნეშტნი ისრაილისანი და ნეშტნი იერუსალიმისანი, მათ ეწოდების ნეშტ, რამეთუ ჰურიანი ეკუჭთენეს, რა კლდესა მას ცხოვრებისასა ქრისტესა და შეიმუხსრნეს და განივინეს, ხოლო რომელნი მოიქცეს და იქმნეს მორწმუნე, იგინი არიან ნეშტნი მათგან დაშთომილნი, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად, რომელი ღმრთისმეტყუელმან იოვანე იხილა გამოცხადებასა შინა: „ესმა რიცხუი დაბეჭდულთა მათ ასორმეოცდა ოთხი ათასი ათორმეტთა ტომთაგან ისრაილისათა, თითოსა ნათესავისაგან ათორმეტი ათასი (გამოცხადება 7,4). რომელნი დაწერილ არინ წიგნსა მას ცხოვრებისასა და წინაშე საყდრისა ღმრთისა და კრავისა იხარებენ ზეცისა

იერუსალიმსა. ესე არს ნეშტი ისრაელისა სიონსა შინა და ნეშტი იერუსალიმს შინა და ენოდოს წმიდა, რომელნი დაწერილ არიან ცხოვრებად იერუსალიმს და ესევე წინასწარმეტყუელი ღალადებს ისრაილისათვის, დაღაცათუ იყოს რიცხვი იგი ძეთა ისრაილისათა, ვითარცა ქუიშა ზღუისა, ნეშტი ოდენ ცხონდეს.

წინასწარმეტყველისა: „რამეთუ გამოვცხეს უფალმან მნიკული იგი ძეთა და ასულთა სიონისათა“.

თარგმანი: ხოლო რომელნიცა მოიქცეს, ვითარცა ვთქუ ისრაილთაგანნი ნათლისღებითა და სისხლითა გამოვცხა უფალმან მნიკული მათი, რამეთუ წყალი არს ნათლის ღებისა განმრცხელ და წარმღუნელ მნიკულთა მათ სულისათა სიტყვსაებრ ფსალმუნისა: „უფალმან წყლით რღუნა დაამ (65v) კუიდრნის“, ხოლო სისხლი იგი ცხოველს მყოფელი არს მომტევებელ ბრალთა და უსჯულოებათა.

წინასწარმეტყუელისა: „და სახლი იერუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულთა შემწველითა“.

თარგმანი: მეუფე ქრისტე ბრძანებს: „სჯად სოფლისა ამის მოსრულ ვარ, რათა რომელნი არა ხედვიდენ, ხედვიდენ და რომელნი ხედვიდენ, დაბრმენ“, რამეთუ, სჯად სოფლისა ამის მოვიდა, რამეთუ რომელნი მოსეს სჯულითა იქადოდეს და იტყოდეს, ვითარმედ ვხედავთ მათ საბურველი იგი ძუელისა სჯულისა აღუძრცველად მდებრედ იყო. იგინი უმეტესად დაბრმეს და ვერ იცნეს ნათელი იგი სოფლად მოსრული და შეიყვარეს ბნელი უფროს, ვიდრელა რა ნათელი, ხოლო რომელნი იგი მარტივნი იყუნეს და წრფელნი და სულელად საგონებელნი, მათ იცნეს ნათელი იგი სოფლად მოსრული, მიხედეს და განათლდეს ნათლისა მისგან დაუსაბამოსა და იქმნენ კეთილად მხედველ და სუიმეონ მოხუცებულისა ამასვე მოასწავებდა, მიიქცა რა მწსნელი მკლავთა ზედა და ეტყოდა ღმრთისმშობელსა, ვითარმედ: „ყრმა ესე დგას დაცემად და აღდგინებად ისრაიელთა შორის“, ვითარცა თვითვე ბრძანებს უფალი, ვითარმედ „მამა არავისა სჯ(66r)ის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“. ესე არს სიტყვა იგი წინასწარმეტყუელისა, ვითარმედ სახლი ისრაილისა განწმიდოს სულითა სასჯელისათა“, ვითარცა ზემორე ითქუა წინასწარმეტყუელისა, ხოლო „სულითა შემწველითა“.

თარგმანი: ესე არს სულითა შემწველითა, რაჟამს ქორსა მას ზედა სიონისასა, რომელ არს სახლი შორის იერუსალიმისა, რომელსა შინა მოჰფინა ქრისტემან სული წმიდა სახედ ცეცხლისა და განუყვანა თითოეულსა ცეცხლისა ენანი და მით განწმიდა ყოველნი ვნებანი კაცთანი სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველითა, რამეთუ იგი სული წმიდა არს შემწველი ყოველთა მნიკულთა და ბილნებათა კაცთასა და მერმე მოციქულნი რა განიბნინეს პირსა ზედა ყოვლისა სოფლისასა, და რომელთაცა ნათელ სცემდენ და ჴელთა და ასხმიდენ, ცხადად მიაქუნდა სული წმიდა მსგავსად ცეცხლისა ენათა, ვითარცა მათ ხილულად მოიღეს, ეგრეთვე მორწმუნე ქმნილთა მიანიჭებდეს ჴუ-

რიათა და წარმართთა, ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს. ამისთვის ეტყოდა ქრისტე და ჰრქვა: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა, არამედ არა მნებავს, რათა აწვე აღეგზნას“. ესე ცეცხლი იყო, რომელი აღეგზნა ქუეყანასა ზედა, რომლისა მოფენად მოვიდა ქრისტე. ამას მოასწავებდა ესაია და იტყოდა: „განწმიდოს სახლი იერუ(66v)სალიმისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწუველითა“. ესე ცეცხლი მოფინა ქრისტემან გულთა შინა მორწმუნეთასა ცეცხლის სახედ და აღაგზნა სიყვარული ღმრთსა ჩუენ შორის, ვითარცა მოციქული იტყვის: „სიყვარული ღმრთისა განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა“, ცეცხლისა მისთვის საღმრთოსა იტყვის და არა არს მათისაებრ სიცბილისა, რომელსა იგინი ცეცხლისათვის გეჰენისა იმონმებენ, რამეთუ უპირულ არს სიტყვა მათი და უმსგავსო, ვითარცა იგი კუალად სიტყვას ამას პავლესა სხუად სახედ გარდააქცევენ და ამასცა განსანმედელზედ იმონმებენ, რომელსა მიუწერს კორინთელთა რამეთუ საფუძველი სხუად ვერვის ძალუცადადებად გარეშე მისა, რომელი იგი დადებულ არს, რომელ არს იესუ ქრისტე“ (პირველი ებისტოლე 3,11). უკეთუ ვინმე აშენებდეს საფუძველსა ამას ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკთა პატიოსანთა, ძელსა, თივასა, ლერწამსა, კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოცხადნეს, რამეთუ დემონმან მან გამოაცხადოს, რამეთუ ცეცხლი გამოჩინებად არს და კაცად-კაცადისა იგი საქმე, ვითარ რაჲ იყოს, ცეცხლმან გამოაცხადოს, რომლისა იგი საქმე ეგოს, რომელ აღაშენა, სასყიდელი მიიღოს, რომლისა საქმე დაინვას, და იზღვიოს, ხოლო იგი განერეს და ესრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან.

თარგმანი: უკეთუ ვინმე გულისწმისყოფით ისმენდეს სიტყვასა ამას მოციქულისა, არა ძნელ არს, არამედ – ადვილ, რამეთუ ამას ყოვლისა მერმისა მის ცეცხლისათვის იტყვის, რომელი გამოჩინებად არს წინაშე საყდარსა ქრისტესა, რომელი იგი გამომცდელი არს კაცად-კაცადისა საქმისა და არა მათისაებრ სიცბილისა, რომლისა აწვე განსანმედელად მოიღებენ იგინი. არამედ ესე იგი ცეცხლი არს, რომელი იხილა დანიელ წინასწარმეტყუელმან, ვითარმედ: „საყდარნი დაიდგენ და ძუჭლი დღეთა დაჯდა მას ზედა. ათასნი ათასთანი დგეს წინაშე მისა და ბევრნი ბევრთანი მსახურებდეს მას და მდინარე ცეცლისა დიოდა წინაშე მისა“, ვითარცა დავითიცა იტყვს: „უფალი ცხადად მოვიდეს, უფალი ჩუენი და არა დადუმნეს ცეცხლი მის წინაშე აღატყდეს და გარემოს მისა ნიავეპარი ფრიადი“ და შემდგომი კუალად სხვაჲსა ფსალმუნსა იტყვს: „სიმართლე და განკითხვა წარმართებაჲ საყდარსა მისისა, ცეცხლი მის წინაშე ვიდოდის და შეწუნეს გარემოს მხარნი მისნი“.

ამა ცეცხლისათვის იტყვის, წმიდაჲ მოციქული, ვითარმედ ცეცხლი გამოჩინებად არს წინაშე საყდარსა ქრისტესა, რომელმან გამოცადოს კაცად-კაცადისა საქმე, რამეთუ დღემან მან გამოაცხადოს შინა გაყოფინებაჲ, ხოლო რომელნი აშენებდეს საფუძველსა მას ზედა, რომელ არს იესო ქრისტე, ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკთა პატიოსანთა, ესე მართლმადიდებლობაჲ არს



და კეთილის საქმენი, რომელი უმოქმედებსა ამას სოფლისა მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა. იგინი გამოიცადნენ რაჲ ცეცხლისა მისგან, რომელი დიოდის წინაშე საყდარსა მას, არა დაინუნენ, არამედ ეგნენ შეუწველად და უბრწყინვალეს იქმნენ. და ესმას რაჲ მეუფეისაგან ჳმაჲ კურთხევისა, მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანო, განვლონ ცეცხლი იგი და გამოვიდენ სიტყვსაებრ ფსალმუნისა, „ხმაჲ მან უფლისამან განკუჭთის ალი ცეცხლისა“, ხოლო რომელი აშენებდეს ძელსა, თივასა, ლერწამსა ესე მწვალებელნი არიან და მოქმედნი ბოროტისანი, რომელთა უქმად გარდაიწადეს ცხოვრებაჲ ესე სანუთოსა, რომელი მოგუცა უფალმან სათნობისა სამუშაოკოდ და კეთილთა საქმეთა წილ იმუშაკეს და სანუჭლნი გეჰენისნი ჳორციელნი და წარმავალნი და შეექცნენ მსოფლიოთა ზრუნვათა. ჭეშმარიტად ამათი საქმე დაინუვეს და განქარდის, ვითარაცა ძელი და უფროსად თივა და ლერწამი და იგი განერეს და ესრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან. ესე იგი არს, ვითარმედ სული არა განილევის, არცა განქარდების ცეცხლსა მას შინა, რაჟამს ჳორცინიცა უკდავნი შეუმოსნენ და ეეგოს ცეცხლსა მას შინა უკვდავად და დაუსრულებლად. ესე არს სიტყვსა მის, ძალი, და არა მათისაებრ სიტყვისა, ცეცხლსა შინა განწმედა, რამეთუ იგი მეორედ მოსვლისა დღესა, რომელი გამოჩნდების მისთვის, იტყვის მოციქული რაჲთა დღემან მან გამოაცხადოსო, რამეთუ ცეცხლითა გამოჩინებად არსო და არა თუ განსანმედელისათვის, რომელსა იგი ჰგონებენ პაპის მოსაგნი.

არცა ძალუც ცეცხლსა მას გეჰენისასა განწმედა, არცა მიტევებად, არამედ სულსა წმიდასა, რომელი აღაგზნა ჩუენ შორის ქრისტემან ცეცხლის სახედ და მოფინა ჩუენ მორწმუნეთა ზედა. იგი არს განწმედეელი და მომტევებელი ცოდვათა ჩუენტა და უკეთუ ვინმე აქა არა ინებოს განწმედად თავთა თვისთა კეთილთა საქმეთა მიერ და შეწყნარებად სულისა წმიდაისა. მუნ ცეცხლსა შინა ნურღარას ლხინებას ელიან, თვინიერ აქეთგან მოჴმარებისა და შეწევისა, რომლისათვისცა უფალმან მართლმორწმუნენი მისნი მიჴსნეს ცეცხლისაგან გეჰენისა და დაუსჯელად ღირს მყუნეს წარდგომად წინაშე საყდარსა მისა საშინელსა და მიმთხუევად კეთილთა მას საუკუნეთა, ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის დიდება და პატივი მამისა თანა დაუსაბამოსა სულით წმიდითურთ ან და.

(67r) თავი. – ცილებისათვის, რომლითა იცილებიან ბერძენნი და ლათინნი, რამეთუ ლათინი იტყვიან სული კაცნი რა განვიდენ ჳორცთაგან, მოვლენ აწვე მიწევიან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა ადგილთა და არღარა ალოდინებენ მეორედ მოსლვასა, არცა ჳორცთა შემოსასა, არამედ მართალნი სასუფეველად მიიწევიან, ხოლო სულნი ცოდვილთანი ჯოჯოხეთს აწვე დაემკვიდრებიან და არღარა იქმნების მათი გამოყვანაო და მონანულნი სხუას ჯოჯოხეთში შევლენ და განწმედილნი გამოვლენო და იგიუნიცა პირველ-მეორედ მოსვლისა თვისთა განჩინებულთა ადგილთა დაენესებიანო და არღარა ალო-

დინებენ ჯორცთა შემოსასა. ესე არს ზრახვა მათი.

ხოლო ჩუენ ქართველნი წინა აღუდგებით და ერთჴმა ვართ ბერძენთა თანა შედგომილნი კუალსა წმიდათა მამათასა მოძღვრებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და მათ მიერ დადებულსა საზღუარსა არაგარდავცდებით, რამეთუ სულნი ამიერ წარსრულნი გან-რა-ვიდენ ჯორცთაგან, ჭეშმარიტად მიინვეიან მასვე ჟამსა შინა მართალნი კეთილთა მათ შინა ზეცისათა სავანესა მართალთასა ღირსებისებრ და საზომისა ადგილთა მათ შინა ნათლისათა, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთისა სატანჯველთა შინა. იგიცა საზომისაებრ კაცად-კაცადისა ცოდვისა, არამედ (67v) სულნი ოდენ და არა ჯორცნიცა, რამეთუ ვინათგან სული და ჯორცნი ერთად შეაუღლნა უფალმან და სულსა ვერარა ძალუც თვინიერ ჯორცთასა ვერცა, რამეთუ ჯერეთ ჴგებს სამსჯავრო იგი საშინელი მართლმსაჯულისა და მიგება ღირსებითი კაცად-კაცადისა საქმეთაებრ, რომელი ჯორცითა ამით იმოქმედეს და ვიდრე აღსასრულამდე გამოჩინებადთა წმიდათათვის, რამეთუ აღვსება ჯერ არს ზენა სოფლისა სიტყვსაებრ გრიგოლი ღვთისმეტყელისა.

იხილეთ, რასა ჴმობს პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ებისტოლეთა შინა და ესე ყოველნი იწამნეს სარწმუნოებითა და არა მოიღეს აღნათქვამი იგი, რამეთუ ღმერთმან ჩუენთვის უმჯობესი წინასწარ განიგულა, რათა არა თვნიერ ჩუენსა სრულ იქმნეს (ებრაელთა 2,39).

რამეთუ ღმერთმან, წინასწარმეცნიერმან ყოვლისამან, წინასწარ განიგულა უკანასკნელ გამოჩინებადთა წმიდათა და სათნო ყოფილთა მისთათვის და ალოდინებს პირველ ჩუენსა წარსრულთა წმიდათა, ვიდრე მეორედ მოსლვადმდე, რათა ერთბამად გვირგვინოსან-ყვენს და ერთად ადიდოს. ოდეს ჯორცნიცა ესე მოკდავნი სულსა თანა დამაშვრალნი შეემოსნენ და უმეტესი ბრ(68r)წყინვალება და დიდება მიენიჭოს და უმეტესადცა სირცხულეულ იქმნენ მათნი მტანჯველნი და შეურაცხის მყოფელნი, რაჴამს იგინი იდიდენ და ესენი დაისაჯენ, რამეთუ ჯერეთ აბელ მართლისა ჯორცნი ქუეყანასა ზედა მდებარე არიან, ეგრეთვე მომკულელისა მისისა კაენის. იგიცა ქუეყანასა ზედა არს და თითოეულად ყოველნი, რომელნი მოსწყდეს ღმრთისათვის და არღა მოუღიეს აღნათქუმი იგი, რათა არა თვნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ.

იხილეთ, რამეთუ ჯერეთ არა სრულ ქმნილ არიან წმიდანი, არცა მისაგებულ ღირსთა, განიცადეთ საქმენი ელიასნი, ვითარ აღიტაცა ჯორცითა ეტლითა ცეცხლისათა ზეცად და გებს მეორედ მოსვლისა უფლისასა ენუქის თანა, რამეთუ იგიცა ჯორცითა არს აღტაცებული, ვითარცა წერილ არს: „ენუქ სათნო ეყო ღმერთსა და არღარა იპოვა, რამეთუ გარდასცვალა იგი ღმერთმან“. ესენი კუალად მოსვლად არიან ჟამსა მას უკანასკნელსა და ეგულების წამებად, ვითარცა ქრისტე ბრძანებს: „ელია მოვიდეს და კუალად აგოს ყოველი“ და გამოცხადებასა შინა: იხილნა იოანე ორნი მოწაფენი, რომელნი მოვლენ მაშინ და უკეთუ იგინი ჯორცითა ამაღლებულ არიან და ესე კუალად წამებასა დას-

რულებას ელიან, მხოლოდ სულნი წარსრულნი ვითარ მოიღებენ

მისაგებელსა პირველ-მეორედ მოსლვისა, რამეთუ თვით ენუქცა იტყვის მის დღისათვის, ვითარცა კათოლიკეთა შინა იუდასთა წერილ არს: „წინას-წარმეტყუელა მაშინ მეშვიდემან ადამისითგან ენუქ და თქუა: „აჰა, ესე რა მოვიდა უფალი ბევრეულითა წმიდათა მისთათა ყოფად სასჯელისა ყოვლისა თვისვე და მხილებად ყოველთა უღმთოებათა მათთა, ყოველთათვის საქმეთა უღმრთოებისა მათისათა, რომელნი უშჯულოებდეს და შემდგომი“ (კათოლიკე იუდა 1,14).

აჰა, ცხად იქმნა, რამეთუ ჯერეთ არა ქმნილ არს მისაგებელი, არცა წმი-დანი ღირსად დიდებულან, არცა უღმრთონი ჯეროვნად დასჯილან, არცა უფალი მოსრულ არს ბევრეულითა წმიდათა მისთა თანა, არცა უღმრთოთა მხილებით სასჯელი მიგებია. და კუალად წერილ არს: „ვითარმედ ჯერ არს (68v) ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელება და მოკვდავისა ამის შემოსად უკვდავება“ (II კორინთელთა 5,10). და კუალად წერილ არს ვითარმედ ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რათა მოიღოს კაცად-კაცადმან ჯორცთა ამათგან, რაცა იგი ქმნა გინათუ კეთილი, გინათუ ბოროტი. ვითარმედ ჯერეთ არა წარდგომილ ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა არცა გახრწნადთა ამათ ჯორცთა შეუმოსია უხრწნელება, არცა მიგებია ჯორცთა ამათ მიერ ქმნილთა საქმეთა მისაგებელი, დაღაცათუ სულნი მართალთანი ჯელთა შინა ღმრთისათა არიან, და სიხარულსა შინა გამოუთქმელსა და ცოდვილთა სულნი სიღრმეთა შინა ჯოჯოხეთისათა, არამედ კერძობით და არა სრულებით, რამეთუ მართალნი ელიან უზეშთაესსა დიდებასა და ბრწყინვალეებასა, ხოლო ცოდვილნი უმწარესა დასჯასა და სირცხვილსა და ესრეთ ჯერ არს, რათა რაჟამს იქმნას საშინელი იგი მეორედ მოსლვა ქრისტესი და ცა და ქუეყანა, ანგელოზნი და კაცნი ერთად შემოკრბენ და მოკვდავმან ამან შეიმოსოს უკვდავება და ხრწნილებამან ამან – უხრწნელება. და წარსვდგეთ ღმრთის წინაშე, მაშინ იქმნას მისაგებელი მართლმსაჯულისა მართალთა და ცოდვილთა, ვითარცა (69r) იგავთა შინა წერილ არს: „მაშინ დადგეს მართალი დიდითა განცხადებულებითა წინაშე პირსა მაჭირვებელისა მისისა და ამხილებდეს პირისპირ“ და კუალად მოციქულიცა ესრეთ ჯმობს: „უკეთუ სამართალ არს ღმრთისა მიერ მიგებად მაჭირვებელთა თქვენთა ჭირ და თქუენ ჭირვეულთა ლხინი ჩუენ თანა, გამოჩინებასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ზეცით ანგელოზთა თანა ძლიერებისა მისისათა ცეცხლითა აღისათა მიგებად შურისგებისა“ (II თესალონიკელთა 1,16). ჩანს, რამეთუ ჯერეთ არა ქმნილ არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, არცა მაჭირვებელთა წმიდათასა ჭირი, არცა ჭირვეულთა მართალთა ლხინი, არცა არს ჯერეთ საუკუნო ჯოჯოხეთი, რამეთუ არცა ცოდვილთა სმენია ჯმა იგი, თუ წარვედით ჩემგან და წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნოსა, არცა მართალთა, ვითარმედ ინაჲ იდგმინენო აბრაჰამის თანა და ისაკ და იაკობის თანა სასუფეველსა მამისა

მათისასა, არცა თუ მოვედით კურთხეულნო და დაიმკვიდრეთ და შემდგომი. არამედ ან სულნი ოდენ არიან თითოეული თვისსა ადგილსა: ცოდვილთანი – ქუესკნელისა და მართალთანი – ზეცას. და მოელიან თითოეული ჯორცთა შემოსასა და მით სრულსა მისაგებელსა. ვითარცა დასწერს მახარებელი იოვანე: „ვიხილენ საკურ(69v)თხეველსა ქუეშე სულნი იგი სიტყვსათვის ღმრთისა და ნამებისათვის, რომელ აქუნდა და ჯმა ყვეს ჯმითა დიდითა და თქუეს, ვიდრემდის მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტ, არა სჯი სისხლთა ჩუენთა მკვიდრთაგან ქუეყანისათა და მიეცა თითოეულსა სამოსლები სპეტაკები და ითქვა მათდა მიმართ, რათა განისუენონ მცირედთა ჟამთა, ვიდრემდის აღესრულნენ მათ თანა მონანი და ძმანი მათნი და რომელთა ეგულეობდა სიკვდილი, ვითარცა მათ“ (გამოცხადება 6, 9). კუალად მასვე გამოცხადებისა შინა წერილ არს: „მოვიდა რისხვა შენი და ჟამი მკუდართა სჯისა და მიცემად მონათა შენთა სასყიდელი წინასწარმეტყუელთა და წმიდათა და მოშიშთა სახელისა შენისათა“ (გამოცხადება 11,18).

იხილეთ მართლმადიდებელნო შვილნო კათოლიკე ეკლესიისანო, რავდენი წამებანი წმიდათა წერილთანი შემოვიხუენ და უმრავლესი ამისა წერილ არს ჯამალლად ქადაგებენ და ცხადად და ჭეშმარიტად მოასწავებენ, ვითარმედ ჯერეთ არა არს მისაგებელი მართალთა და ცოდვილთა, არცა მისცემია სრულებით მისაცემელი შრომათა მათთა, არცა ცოდვილნი დასჯილად და სრულებით მიგებიეს მისაგებელი მათი. არცა ვიტყვით ამას, თუ არა იტან(70r) ჯებიან ცოდვილნი, ანუ არა იხარებენ მართალნი, არამედ ზოგებით და კერძოებით, რამეთუ შეუღლვილნი ჯორცნი მათნი, რომელი თანა ერთნება იყო კეთილისა და ბოროტისა საქმისა, ჯერეთ აქავე არიან აბელისა და კაენისა და სხუათა მათ შემდგომთა წინასწარმეტყუელთა და მათთა მომწყუედელთა, ეგრეთვე ნეტართა მოციქულთა და ლუანლმრავალთა მონამეთა და მტანჯველთა მათთა უღმრთოთა მეფეთა დაღაცათუ იგინი ზეცას იხარებენ და ესენი ქუესკნელს იტანჯებინ, არამედ მარტო სული ოდენ და არა ჯორცნიცა და არცა აღსასრული და მიგება, რამეთუ ჯერეთ ჯორცნი არა აღდგომილ არიან და არცა აღსასრული და მიგება კაცად-კაცადისა. რამეთუ კუალადცა გამოჩინებად არიან მართალნი და წმიდანი და ეგრეთვე ცოდვილნი და უღმრთონი, რათა ერთბამად იდიდნენ წმიდანი და მართალნი და ერთბამად დაისაჯნენ უღმრთონი და ცოდვილნი, ხილვისაებრ იოვანე ღმრთისმეტყველისა „და მრქუა მე ანგელოზმან მან, რომელი მიჩუენებდა ამათ ყოველთა: ნუ დაბეჭდავ სიტყუათა წინასწარმეტყუელებისა ამის წიგნისათა, რამეთუ ჟამი ახლოს არს, უსამართლო იგი უსამართლოებდინ ჯერეთ და შეგინებული იგი შეიგინებოდინ ჯერეთ და მართალნი სიმართლესა იქმოდინ ჯერეთ და წმიდა იგი წმიდა იქმნებოდენ ჯერეთ და აჰა, მოვალ ადრე და სას(70v)ყიდელი მივაგო საქმეთა მათთაებრ“ (გამოცხადება 22,10).

იხილეთ, სადა ჩანს აქა აწვე მისაგებელი უღმრთოთა და ცოდვილთა დასჯა

საუკუნოდ მართალთა და წმიდათა სრული სასყიდელი, არამედ გულისწმა ყავთ და ჭეშმარიტად უწყოდეთ, ვითარმედ პირველ აღსასრულისა და საშინელისა მეორედ მოსვლისა არა იქმნების სრული მისაგებელი არცა ცოდვილთა არცა მართალთა ვიდრემდის ჯორცნი ესე, რომელი დასაბმსა დამბადებელმან მისმან სულსა თანა შეაუღლნა, ვიდრე არა შეემოსნენ რომლითაცა სიმართლე ქმნეს, ანუ თუ ცოდვა სრულით მისაგებელი არა იქმნების. ხოლო ოდეს იქმნეს მეორედ მოსვლა ქრისტესი საყვირსა დაეცეს და მკუდარნი აღდგენ და ხრწნილებამან ამან შეიმოსოს უხრწნელება და მოკვდამან ამან უკვდავება, მაშინ მიეგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ, ვითარცა წამებენ ყოველნი ღვთივსულიერნი წერილნი წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთანი და წმიდათა ღმრთისმეტყუელთა მოსწავებანი და უწყებანი, ხოლო რომელთა ესე ესრეთ არა რწამს და ესრეთ არა აღიარებს, შეცთომილ არს გზისაგან წრფელისა და განვრდომილ არს მართლისა სარწმუნოებისაგან. მე ვგონებ, თუ ეშმაკთაცა უძვირეს არს, რომელი ესრეთ არა აღიარებენ და აწვე იტყვან პირველ განჩინებულისა მას ჟამისა სრულებით მიგებასა მართალთა და ცოდვილთასა, რამეთუ ეშმაკნი, რაჟამს განსხნა კაცთაგან ქრისტემან, ევედრებოდეს და ეტყოდეს: „რაჲ ძეს ჩუენი და შენი იესუ, ძეო ღმრთისაო, მოხვედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“ (მათე 8, 29), უწინარეს ჟამისა აღსასრულისათვის თქვა, რამეთუ მუნამდე არცა იგინი არიან შეწყუდეული, ხოლო მაშინ მათცა გარდაუწყდება და უძვირესად დაისჯებიან და შეიწყუდევიან სიღრმეთა შინა უფსკრულისათა და არღარა ექმნება ჴელმწიფება ქუეყანასა ზედა ქცევად, არცა ცდუნებად კაცთა. ამისთვის ვთქუ, ვითარმედ, ეშმაკთაცა უძვირეს არს კაცი იგი, რომელი ესრეთ არა აღიარებს და ესრეთ არა სწამს, უკუეთუ მოციქულთა და წმიდათა მამათა თქუმიული არა რწამს. მაშა ეშმაკთა ვიდრემე ირწმუნონ და თქვან, ვითარმედ უსწინარეს ჟამისა არა იქმნების მისაგებელი, არცა ითქმის საუკუნო ჯოჯოხეთი, რომელსა ესრეთ არა რწამსკვაცი იგი, არცა აღიარებს (71r) მკუდართა აღდგომასა, არცა მისაგებელსა მართალთა და ცოდვილთასა, არცა ჯორცთა უხრწნელ ყოფასა, რომელი დაბადა ღმერთმან კეთილად და დიდითა სიბრძნითა შე კეთილისათვის, გინა დაისაჯნენ.

და უკუეთუ აწვე იქმნების სრული მისაგებელი, რადღა მეორედ მოსვლა ქრისტესი, ანუ რადღა აღდგომა მკუდართა, ანუ რადღა შრომანი და მოღვაწეობანი წმიდათანი, უკეთუ ჯორცნი არა აღდგებიან და უკეთუ იქმნების აღდგომა მკუდართა და ჯორცთა ამათ შემოსა და უხრწნელ ყოფა, ვითარღა ერქმის საუკუნო ჯოჯოხეთი, ანუ ვითარ არღა იქმნების სულთა მათ ქუეყნელს დასჯილთა გამოსლვა და ჯორცთა შემოსა, ჭეშმარიტად იქმნების, რასათვისღა სახელს დებენ საუკუნო ჯოჯოხეთად და იტყვიან, არღარა იქმნების მათი გამოსვლაო. ესრეთ ყოვლითა ტყუილით სავსე არიან და გარდააქცევენ ყოველთა საღმრთოთა წერილთა და ესრეთ ნებავსთ, რათა ყოველი წინა აღ-

მდგომი თქუან და თვით შემოიღონ ყოველი ახალი სჯული გარეშე მოძღუ-  
რებისა წმიდათა მოციქულთა და მამათასა და ყოველთა ასწავონ ღმერთად  
(71v) აღსარება პაპისა და თაყვანისცემა და ამით შეაცთუნონ ყოველი კაცი და  
დაამორჩილონ ბრძანებასა მისა და ყოველი მისი განწესებული ითქუას ყოვ-  
ელსა ქუეყანასა და დაიწსნას ყოველი განწესება შვიდთა მსოფლიოთა კრე-  
ბათა და ნეტართა მოციქულთა და ღმრთისმეტყუელთა კაცთა.

კუალად ამასცა იტყუიან სხუათა თანა გმობათა, ვითარმედ ქრისტე მეუფე  
საუკუნოს ჯოჯოხეთში არა შთასრულ არს და უკეთუ მუნ შთასრულ იყო,  
ვერცალა იგი გამოვიდოდაო, ჰოი, დიდი გმობა და უსირცხვილო პირი, რომ-  
ელი ესრეთ ჳმობენ ჭეშმარიტად: სამარე – ზე აღებულ არს ჯორჯი მათი ენითა  
მათითა ზაკუიდეს“. სადა არს იგი საუკუნო ჯოჯოხეთი, ანუ რა არს, რომელსა  
შინა ქრისტე არა მიწვეულ არს და თუმცა მიწვეულ იყო, ვერღარა გამოვი-  
დოდა. ჯერეთ ეშმაკნი არა არიან მას შინა შეწყუდეულნი და ვერცა იპყრობს  
მათ და ქრისტე გარეშემოუწერილი იგი ძე და სიტყუა მამისა, თუმცა შთას-  
რულ იყო, ვერღარა გამოვიდოდაო. ეშმაკნი ლალადებდეს და იტყოდეს: „მოხ-  
უჭდ უწინარეს ჟამისა წარწყმედად ჩუენდა“ (მათე 8,29). ეშმაკნი უწინარეს  
ჟამისა არა არიან წარწყმედულ, ვითარცა თვთ აღიარებდეს (72r), არამედ  
ქუეყანასა ზედა იქცევიან, ხოლო თუ ქრისტე მიწვეულ იყო, ვერღარა ძალ  
ედვა გამოსვლად. ეშმაკნი, რომელნი დასაბამითგან ჩუენის წარწყმედის  
მიზეზნი არიან და აცთუნებენ კაცთა, იგინი ჯერეთ ქუეყანასა ზედა იქცევიან  
და სულნი კაცთანი აწვე შეიწყუდევიან საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა და ვერ-  
ღარა გამოვლენ. დაღაცათუ იუდა კათოლიკეთა შინა მოიწსენებს და იტყვის  
ესრეთ, ვითარმედ: „ანგელოზნი, რომელთა იგი არა დაიმარხეს თუისი იგი  
სამთავრო, არამედ დაუტევეს სამკვიდრებელი მათი სასჯელად დიდისა მას  
დღისა საკვირველებით მით სამარადისოთა წყუდიადსა ქუეშე დაჰმარხნა“  
(იუდა 1,6). ესენი, რომელნი მოციქულმან მოიხსენა, პირველნი მათგანი არიან  
მთავარნი უჯორცოთა დასთანი, რომელთა იზრახნეს პირველად განდგომილე-  
ბა. იგინი არიან წყუდიადსა ქუეშე დამარხულნი საკვირველებითა სამარად-  
ისოთა შეკრულნი სასჯელად დიდისა მის დღისა, ხოლო სხუანი მიმდგომნი  
დასნი მისნი ქუეყანასა ზედა იქცევიან და ზოგნი ჰაერთა შინა ვიდრე მეორედ  
მოსვლამდე. მაშინ მცირედ ჟამ იგინიცა განიწსნებიან და აღმოვლენ უფსკრუ-  
ლით, და სულნი ცო(72v)დვილთანი იქმნებისა, რათამცა არღარა გამოვიდა  
ჯოჯოხეთით, გინა თუ პირველ მეორედ მოსვლისა ლოცვითა და ქუელის  
საქმითა, გინა თუ დღესა მას მეორედ მოსვლისასა და უკეთუ იქმნებისლა  
გამოსვლა, სულთა, რათა ზოგად მიიღონ მისაგებელი სულთა და ჯორცთა.  
სადალა იყოს საუკუნო ჯოჯოხეთი სიცბილისაებრ მათისა, რომელსა შინა  
არცა ქრისტე მიწვეულ არს და არცალა იყოს სულთა მათ დასჯილთა გამოს-  
ვლა? რასათვის იტყვის წმინდა პეტრე მოციქული ქრისტესთვის: „მოკუდა  
ჯორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საპყრობილესა მას სულთა-

სა მივიდა და ქადაგა, რომელნი იგი ურჩ ოდესმე იყუნეს, რაჟამს ერთგვის თავსედეა სულგრძელობასა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოესთა შემზადებასა მას კიდობნისასა“ (I კათოლიკე 3,19). ამას არა მართალთა და ღირსთათვის იტყვის, არამედ ურჩთა და უარისმყოფელთათვის, რომელნი უშჯულოებათა შინა აღესრულნეს, რამეთუ პირველ წყლით რღუნის. ვინ იყუნეს მორწმუნენი, თვინიერ ნოესა, რომელსა ეტყოდა ღმერთი ვითარმედ: „შენ მხოლო იპოვე მართალ ქუეყანასა ზედა წინაშე ჩუენსა“, რამეთუ განხრწნილიყო ყოველი კაცი წინაშე ღმრთისა, ამისთვის ავოცა უფალმან ყოველი აღმდგომი (73r), ვითარცა წერილ არს, ხოლო ვინ იყუნეს მათსა უშჯულოესი, რომელთა იგი შექმნა და დაბადებამ შეინანა ღმერთმან, ვითარცა წერილ არს: და ვინ იყუნეს იმათ უუსჯულოესი, რომლისა დაბადება და შექმნა შეინანა ღმერთმან, ანუ „შევიანანე რამეთუ შევექმენ კაცი“, ანუ ვინ იქმნებოდა მათ უძნელესა და უმწარესა სატანჯველსა და ჯოჯოხეთსა შინა, რომელი მოიხსენა მოციქულმან მოესზე მყოფთა უშჯულოთა, რომელთა თანა შთასვლასა ვმობს ქრისტესა და საპყრობილედ სულთა უნოდს და მათ შორის ხარებასა. რომელიდა არს ამისა უძნელესი საუკუნო ჯოჯოხეთი, რომელსა შინა არა მისრულ არს ქრისტე, არცაღა იქმნების გამოყვანა სულთა მრავლითა მოხმარებითა და აურაცხელითა მონყალებითა ღვთისათა. უკეთუ ქრისტესა ღირსნი ოდენ და წმიდანი გამოეწსნა ჯოჯოხეთით, რა საკვირველი იყო, ანუ სასწაული უცხო, ანუ მონყალება უსაზღვრო მეუფისა, არამედ შთა-რა-ჯდა უფალი ქუესკნელთა შინა, მუნ შეყენებულთა მიფინა ნათელი და ახარა მყოფთა მათ შინა და ქადაგა ღმრთეება თვისი, ვითარცა ქუეყანასაცა ზედა, ხოლო რომელთა რწმენა, იგინი აღმოიყვანნა, ვითარცა წერილ არს: „რათა სახელისა მიმართ იესუ ქრისტესა ყოველი მუჭლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელი(73v)სათანი და ყოველმან ენამან აღუაროს“ (ფილიპინელთა 2,10). რასათვის იტყვის ამას მოციქული ქუესკნელთა შინა, ვითარ მოუდრეკენ მუჭლთა, ანუ ვითარ აღუარებელ უფალსა ვინათგან წერილ არს ფსალმუნთა შინა: „სიკუდილსა შინა ვინ მოგიწსენოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“, ხოლო და არა წინააღმდეგების მოციქული სიტყუასა წინასწარმეტყუელისასა, არამედ ფრიადცა დაამტკიცებს, რამეთუ ვიდრე ქრისტეს მოსვლადმდე არა იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსარება, არამედ იქმნა რა განწორციელება ღმრთისა სიტყუსა და ჯვარს ეცვა ბუნებითა ჩუენითა მტერი დათრგუნა, შთაჯდა პყრობილთა მიმართ ქუესკნელს და ქადაგა მუნ შინა. მაშინ აღუარეს და მოუდრკეს მუჭლნი ქუესკნელთა შინა მყოფთანი, ვითარცა ზეცისათანი და ქუეყანისათანი, ეგრეთცა ქუესკნელისათანი და რომელთაცა აღუარეს, იგინიცა აღმოიყვანა, არამედ არა ყოველნი, რომელნიცა არა მორწმუნე ექმნეს ამის სიტყვისა უვრცელესად განმარტება წმიდისა იოანე დამასკელისა მიერ თქმული ქუემორე აღვწერე, რათა თქუენ მიერ უმეტესად სარწმუნო იქმნეს. ხოლო ან პირველსავე სიტყუასა მივიდეთ, რათა მცირედი

რამე ამის პირისათვის ვთქვათ. და ვინ იყუნეს, რომელნი არა მორწმუნე ექმნეს, ვინათგან ნათელი იგი თუალთ შეუდგამი შთაჴდა პყრობილთა მიმართ ქუესკნელს ბნელთა და აჩრდილთა სიკუდილისათა და ქადაგა მუნ შეყენებულთა მიმართ, ვითარცა მოვიწყენეთ მოციქულისა პეტრეს მიმართ თქუმული: ვინ იყო სრულიად დაბნელებული და და ცნობა მიღებული ეგევითარსა სასჯელსა შინა მყოფი და არა შეინყნარებდა მისვლასა მისა, ანუ არა აღიარებდა ღმრთაებასა მისსა, არცა მოუდრეკდა მუჭლთა. ხოლო რამეთუ არა უჭმდა ქადაგებ აბრაჴამს, ისააკს და იაკობს, არცა ნოეს და იობს, არცა სხუათა მათ წინასწარმეტყუელთა და მართალთა, რამეთუ შორითვე ხედვიდეს იგინი მოსვლასა მისსა და ჯოჯოხეთს შინაცა მიწევნასა მათდა მიმართ და (74r) რადღა უჭმდა ქადაგება ანუ მუნ მიწევნულსა მათდა მიმართ, ვითარ არა იცნობდეს, ვითარცა თვითვე თავადი ბრძანებს: არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, რამეთუ მუნცა წოდებად ცოდვილთა შთავიდა და ქადაგა, რომელნი ურჩ ოდესმე იყუნეს ნოესზე შემზადებასა მას კიდობნისასა. ესე ვითარ უღთოთა შორის ქადაგა, რასათვის არა შეინყნარეს, არამედ მე ესრეთ ჰვგონებ, ვითარმედ ეშმაკნი მუნ შინა მყოფნი, რომელთა ჰყუვა პყრობილნი ადამისთგან და ვიდრე ქრისტესამდე, დიდად იქაღდა მათ ზედა და მასცა ასმიოდა წინასწარმეტყუელთაგან იგავით მოსვლა ქრისტესი და მუნ პყრობილნიცა მიელოდეს, ხოლო ეშმაკნი ტყუილისა მიერ და ბგერებისა წმათასა და ოცნებით ეტყოდეს მოსლვასა მწსნელსასა და შეაცთუნებდეს, რომელნი პირველვე ცთუნებულ იყუნეს მათ მიერ ურწნუმოებსა თანა სხუითაცა მრავლითა ბუნებისა გარეგანითა ცოდვითა. მით არღარა ისმინეს, არცა აღუარეს, არცა მოუდრიკეს მუჭლნი, არამედ უმეტესად დაბნელდეს და დაშთეს მუნვე ქუწსკნელთა შინა, ხოლო რომელნი მორწმუნე ექმნეს უღმთონი და ცოდვილნი და სახლნი განმამწარებელთანი პირველ წყლით რღუნისა ნოესზე და შემდგომად ნოესა კერპთ მსახურნი და მერმე შჯულსა შინა ისრაელთაგანნი, რომელ არიან განმამწარებელნი მისნი. ამათ, რომელნიცა დაღაცათუ უღმრთონი იყუნეს, არამედ ბუნებითა სჯულსა ყოფდეს და სიმრთელესა იღუნიდეს. მუნ მიწევნასა ქრისტესა გამოუბრწყინდა ნათელი, მუნცა ისმინეს ქადაგება ქრისტესი და მათცა მოუდრიკნეს მუჭლნი და მორწმუნე ექმნეს. იგინი აღმოიყვანნა სიღრმეთაგან ქუესკნელისათა, ვითარცა წიგნი ფსალმუნთა (74v) იტყვის: „რომელმან გამოიყვანნის კრულნი სიმწინთა თვისითა, ეგრეთცა განმამწარებელნი მისნი, რომელნი დამკვიდრებულ არიან სამარებსა“. და ვინ არიან განმამწარებელნი მისნი, არამედ სახლნი ისრაელთანი, რომლნი მრავალგზის განდგეს და მიიქცეს კერპთ მსახურებად და განამწარეს, ვითარცა ეზეკიელ წინასწარმეტყუელი ამხილებს და იტყვის: „თქუა უფალმან ჩემდა მომართ, ძეო კაცისაო, მიგავლინო შენ სახლსა ისრაილისასა განმამწარებელთა მათ ჩემთა, რომელთა განმამწარეს მე და მამათა მათთა შეურაცხმყუეს მე, ვიდრე დღეინდელად დღემდე და ძეთა მათ ქედფიცხ-



ელთა და გულფიცხელთა“ და შემდგომი. ესენი არიან განმამწარებელნი მისნი და ესევეითართა ვითარ იტყუის წინასწარმეტყუელი გამოყუანასა ჯოჯოხეთით და ვითარ იქმნა გამოჴსნა მათი შთასლვითა ქრისტესითა? თქუენ იხილეთ და კეთილად გულისჴმა ყავთ, წმიდა პეტრე მოციქული იტყუის, ვითარ ზემო ვახსენეთ: „საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და ქადაგა, რომელნი იგი ურჩოდესმე იყუნეს, რაჟამს ერთგზის თავს ედვა სულგრძელებასა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოესთა შემზადებასა მას კიდობნისასა და დავით წინასწარმეტყუელი იტყვის რომელმან გა(75r)მოიყვანის კრულნი სიმწნითა თვისითა, ეგრეცა განმამწარებელნი მისნი, რომელნი დამკვიდრებულ არიან სამარებსა. ამისთვის ვიტყვით, ვითარმედ შთასვლითა ქრისტესითა ჯოჯოხეთს შინა მრავალთა იქმნა გამოჴსნა არა ხოლო თუ ისრაელთაგანნი მართალნი და წმიდანი, არამედ პირველ წყლითრღუნისა და შემდგომად შჯულსა შინა განმამწარებელნი მისნი და წმიდა იოანე დამასკელიცა ესრეთ იტყუის, ვითარ აქაცა მოვიჴსენეთ და ნუ უცხოოდ აღგიჩნდების სიტყუანი ესე წმიდათანი, ხოლო სიტყუისა მისთვის წინასწარმეტყუელის, ვითარმედ: „ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ, წინასწარვე გუითქუმს, ვითარმედ საშინელ არიან შინებით თქუმანი ყოველთა მხედველისანი, არამედ მათ ყოველთა სძლევს კაცთმოყვარება მისი, რამეთუ შემდგომად სიტყვისა ამის თქუმისა წინასწარმეტყუელისა მიერ უკანასკნელიდა იქმნა ჯოჯოხეთს შინა აღსარება უეჭუელი მათ მიერ, ვიტყვი, რომელთა იგი ჰრწმენა მისი შთასრული იგი მათდა მაცხოვრება მეუფისა. რამეთუ არა ლიტონად ყოველნი აცხოვნნა მომცემელმან ცხოვრებისამან, არამედ ვითარ იგი თქუმულ არს, მუნცა მორწმუნენი ოდენ ან უკუე ვიეთნიმე იტ(75v)ყვიან, ვითარმედ მათ, ხოლო იტყვიან მორწმუნედ, რომელნი წინათვე მორწმუნეყოფილიყუნეს მისნი. ესე იგი არიან მამანი და წინასწარმეტყუელნი, მსაჯულნი და მეფენი და მათ თანა ადგილთ მპყრობნი და სხუანი ვიეთნიმე ერისაგან ებრაელ ებრაელთასა ადვილად აღსარიცხუელნი და ყოველთა დასაცნაურ ქმნილნი, ხოლო ჩუენ წინააღუდგებით ამისთა ესრეთ მგონებელთა და ვიტყვით, ვითარმედ არცა ნიჭი, არცა სასწაულ, გინა საკვირველება არს ამისი ესრეთ თქუმა, ვინათგან მხოლო მსაჯული სიმართლისა არს და ყოველი, რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არა დაეყენების და რა საკვირველ არს ქრისტეს მიერ ცხოვრება და ჯოჯოხეთისა კრულებათაგან გამოჴსნა შთასვლითა მათ და ყოველთა მეუფისა ღმრთისათა, რომელი ესე იქმნაცა წინა განსაზღურებულთა მით განგებულებითა მისითა.

არამედ მართლმსაჯულებით მიზეზითა ოდენ კაცთმოყვარებისათვის, რომელნი იგი არიან, ვითარ ესე მე ვგონებ, ყოველნი, რომელთა განწმედილნი ცხოვრება აქუნდა და ყოველსავე სათნოვებისა საქმესა აღასრულებდეს კეთილად ცხოვრებითა კრძალ(76r)ულებით და სინმიდით, ხოლო სარწმუნოვებისა სრულება და საღმრთოდ განბრწყინვება ყოვლად უსწავლელად დაშთომილ იყვნეს. ესენი ყოველთა საუნჯემან და მეუფემან მოინადირნა და მიზიდნა

ბადითა მით საღმთოთა წყალობითა, რამეთუ მათცა ყოველთა მუნ ჰრწმენა ყოვლად ყოვლითურთ მათ ზედა გამობრწყინებული იგი საღმრთო შარავანდედი, რაჟამს ქრისტემან უჩუენა მათ ნათელი ჭეშმარიტებისა. არა თავს იდვა ბუნებით თანა ლმობილმან ცუდ ყოფა შრომათა მათთა, რომელი იგი მოეგო მათ ცხოვრებ საჭირველი, სატკივარი და ინროე. ზესთა სიტყვისა თუით მპყრობელ ქმნითა ვნებათათა, რაჟამს განიყარეს ბინი გემოვნებათა, მოიღვანეს უპოვრება და მარხვა მღვიძარებითურთ და ერთბამად ყოველი კეთილ მოქმედებაჲ, დაღაცა თუ არა ღმრთის მსახურებით გარნა ექმნავე, ვითარ იგინი ჰგონებდეს ჯეროვნად მონებითა ზეგარდმოისა განგებულებითა, არამედ იგიცა ცთომილადვე და იყვნეს ვიეთნიმე, რომელთა საღმრთო იგი დიდება ყოვლად ძლიერისა სამებისა (76v) ეცნა რამე. დაღაცათუ ნუღილად და მცირედ, არამედ ეგრეთცა ცნობითვე და კუალად სხუანი იტყოდეს განწორციელებასა სიტყუისასა წმიდათა მათ ვნებათა და აღდგომასა მისისა.

ხოლო სხუათა შობაცა იგი მისი ქალწულისაგან წინათვე თქუეს სახელებითა რათმე, რამეთუ ბევრეულნი სახელნი თქუნეს ყოლად წმიდისა ქალწულისანი, კუალად სხუათა ვიეთმე წინათვე წარმოთქუნეს ზეშთა ბუნებისანი იგი საკვირველებანი ქრისტესნი: აღდგინება მკუდართა, განკურნება ყრუთა და უტყუთა, განრლუეულთა და ძნიად მეტყუელთა და ჳსნა ჳურვებათა ეშმაკეულებათა და წყლით მანკიერებათა, განმრთელება ჳელისა განწმელისა, სლვა ზღუასა ზედა, კურთხევა პურთა და თევზთა, წყლისა ღუინოდ გარდაქცევა, დაყენება სისხლის დინებისა, აღმართება ღრეკილისა. ესე ყოველნი სხუათა უმრავლესთა თანა წინა მოასწანენეს წინასწარმეტყუელებით, ვინაცა ესე ვითართა მათ ძლიერებამან საღმრთოსა სიტყვისამან არა თავს იდვა უგულებელსყოფა წარწყმედულებასა შინა, არცა წარწყმედა კეთილთა საქმეთა მათთა, რამეთუ მისდა ვასხებულსა რასმე ვერცა ერთი რაჲ შეაშთობს სიმრავ(77r)ლე წელთა, ვითარ იგი პირველვე ვთქუთ, არამედ დამარხულად უკუნსცემს ყოველთა კეთილად ცხორებულთა აღნადგინებითურთ.

ხოლო რომელნი ბოროტად ცხორებულ იყუნეს და არცა ერთი რაჲ ექმნა კეთილთა საქმეთაგანი, არცა რა ყოვლად მოეგო თესლთა, ანუ ნაყოფთაგანი, არამედ ცხორებითა და სიტყუათა და სარწმუნოებითა ყოველითურთ ცთომილ იყუნეს და არცაღა ზეცით გარდამოსრულნი იგი მათ ზედა წუჲმაჲ მიელო ჯერისაებრ საჳმარად, ვითარცა პირველ ვთქუ უღონოებითა თესლისათა, რომლისათვის არა აღმოუბრწყინდა მათ მზე დიდებისა. ამისთვისცა განწმეს, ვითარცა ყოვლად უნაყოფონი, რომელთა ყოლად არა სარგებელ ეყო მოსლვა იგი ქრისტესი, ესენი, ვითარ ჰგონებ, არა აღადგინნა მის თანა დაცემულებისაგან, ვითარცა ყოლად უღირსნი ცხოვრებისნი, ვინათგან არცაღა მაშინ ჰრწმენა მისა მიმართ, რამეთუ დაბრმობილ იყუნეს გონებანი მათნი და დაბნელებულ თუალნი გულისანი ბნელისაგან ამპარტავენებისა და ვეშაპისა მისგან ბოროტისა, რომელსა იგინი ჰმონებდეს პირველითგან, რათა ხილვით

იხილონ და ვერ გულისწმა ყონ, სმენით (77v) ესმოდის და არა იცნან, არცა ყოლად მოიქცეს, ხოლო სხუანი ყოველნი, რომელთა მათ შორის ქონებითა კეთილთა თესლთათა სარგებელ იყუნეს ნაყოფიერებისათვის მათ და აღმო-ბრწყინებული იგი მზე, ნაყოფი აღდგომისა მიენიჭა წუჲ მისა მიერ ზეგარ-დამოისა. იხილეთ, სადა აღმოიყუანნა სიტყუამან წინა ძლომითა თვისითა და მოიყვანა შეწვევითა ღმრთისათა აღმწსნელ და განბრჭობელ საქმესა კნინლა დაფარულსა, რომელი ესე ვთქუთ არა თუ განჩინებით ვერ ღირსებისათვის, არამედ გამოძიებით ძმათმოყვარებისათვის, ვითარმედ ესენი არიან ჯოჯოხ-ეთს შინა ცხოვნებულნი ქრისტეს მიერ, ვითარ ესე ვჭგონებ, ვინაცა თანა მოქმედებითა ქრისტესითა საცნაურ ვყავთ, ვითარმედ იქმნა ჯოჯოხეთს ში-ნაალსარება, ხოლო ამას რად ვიტყუით, არა თუ წინასწარმეტყუელებასა წინა აღუდგებით. ნუ იყოფინ, არამედ გამოჩინება გუნებავს ზეშთა სახიერებასა უფლისასა, რომელი იგი მარადის იძლევის თვისთა კაცთმოყუარებათაგან“ (იოანე დამასკელისა მიერ თქმული ესე ყოველი მიცვალებულთა საკითხავისა-გან). ესე სიტყუანი წმინდისა იოანე დამასკელისანი არიან, რომელი ესე რა ვრცელად აღვსწერეთ და ჩუენ მიერ თქუმული ზემოთგან მოწსენებულნი, რომელთა (78r) მონამედ მოგვიყაანიან წმინდანი მოციქულნი და წინასწარმ-ეტყუელნი, ვითარმედ იქმნა ჯოჯოხეთს შინა შთასვლა ქრისტესი აღსარება და გამოწსნა მუნ შინა პყრობილთა არა ხოლო თუ მართალთა და ღირსთა, არამედ უღირსთა და უღმრთოთაცა, რომელთა მცირედიცა რამე კეთილისა საქმე უძლოდა არა ხოლო თუ ისრილთა, არამედ კერპთმსახურთაცა და ნოეს ზე უღმრთოთა და რა საკურველ არს, ქრისტესგან აღმოყვანება ქუესკენელს დასჯილთა, ვინათგან წმიდათაცა მრავალთა ქმნეს ესე და აღმოიყვანნეს ჯოჯოხეთით უღმრთონი და კერპთმსახურნი, ვითარცა დიდმან გრიგოლი ტრაიანე მეფე, წმიდამან პირველმონამემან თეკლე ასულნი ფალკონილასი, წმინდამან გიორგი მღდელი კერპთა და დიდმან მაკარი – ძუელთა მეკერ-პეთა მკუდართაგანნი გამოიყვანნეს ჯოჯოხეთით სულნი მათნი და შეაერთნეს ჳორცთა და წარმოადგინნეს. ვინ იყუნეს ამათსა უძუირესა და უმწარესა ჯო-ჯოხეთსა შინა, ანუ რა არს სხუა საუკუნო ჯოჯოხეთი, რომელსა შინა ესენი არა იყუნეს? არამედ ესე არს ცილება და გმობა მათი, რათა დაამტკიცონ მათ მიერ მოგონებული და დადებული სჯული, ვითარმედ არს სხუა ჯოჯოხეთი ცეცხლისა სულთა გამსანმედელი და საუკუნო ჯოჯოხეთი სხუა, რომლისაგან არღარა (78v) იქმნების მუნით გამოყვანება და აწვე მიეგების მართალთა და ცოდვილთა საქმეთაებრ თვისთა პირველ მეორედ მოსლვისა. ჩანს სიტყვითა ამით, რამეთუ არა აღიარებენ აღდგომასა მკუდართასა და მეორედ მოსლვასა ქრისტესა, არცა განახლებასა ჳორცთასა, რათა მრჩობილ მიეგოს მისაგებელი სულისა და ჳორცთა. ღასა ეტყვიან წმიდასა მოციქულსა პეტრეს, რომელსა სიცრუვით იქაღიან და არა ემორჩილებიან სიტყუასა მისა, რომელსა კუალად იტყუის: „ხოლო აწ ცანი და ქუეყანა მითვე სიტყვითა დაუნჯებულ არიან

ცეცხლისა დამარხულნი დღედ სასჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაცთასა“ (II კათოლიკე პეტრესი 3,7). რასათვის არა დასწერა, უღმრთოთა აწვე მიეგებისო და არღარა ალოდინებენ მეორედ მოსლვასა, არცალა მიეგების მრჩობ მისაგებელი სულით და ჯორცით, არამედ ესრეთ, ვითარმედ ცეცხლისა დამარხულნი დღედ სასჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაცთასა. ესე და სხუანი მრავალნი წერილ არიან საღმრთოთა წიგნთა შინა ამის პირისა დასამტკიცებელი, ვითარცა პირველ აღგვიწერიეს და სხუაცა მრავალი, რომელი სიმრავლისათვის წერილთასა არა აღვსწერეთ, რათა გრწმენესთ, ვითარმედ პირველ – მეორედ მოსლვისა ვიდრემდის სულნი და ჯორცნი (79r) არა შეერთდენ და უხრწნელ იქმნენ, რომელთა ზოგად იმოქმედეს კეთილი, გინათუ ბოროტი. არა იქმნების სრული მისაგებელი და დასჯა, დაღაცათუ აწვე სულნი ცოდვილთანი გან-რა-ვიდეს ჯორცთაგან, შევლენ სასჯელსა შინა, ეგრეთვე სულნი მრავალთანი სიხარულსა შინა იშუებენ, არამედ კერძობით და დაკლებულად, რამეთუ ჯორცნი აქავე არიან და არღა ქმნილ არს აღსასრული, არცა არს ჯერეთ საუკუნო ჯოჯოხეთი, არცა ცეცხლი განმწმედელი, რომელსა იგინი ბოროტად ზრახვენ და არა შეუდგებიან მოძღურებასა წმიდათა მოციქულთასა და ნეტართა მამათასა, არამედ თვისსა მუცელსა და ტკბილად მეტყუელებითა მათითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი. ვითარცა წერილ არს: „ხოლო თქუენ შვილნი კათოლიკე ეკლესიისანი დაფუძნებულნი და აღშენებულნი საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთასა, რომელსა თავსა კიდურთა მისთა არს ქრისტე იესო – ლოდი რჩეული და კლდე ცხოვრებისა, ნუ დაუტეობთ საფუძველსა მას, ნუცა გარდავჭდებით საზღუარსა მამათასა, რათა მკუიდრ ვიქმნეთ ცხოვრებასა საუკუნესა ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანისცემა მამისა თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ!

(79v) ხოლო აწ მცირედი რამე ვთქუათ ლოცვისათვის, რომელი სრულად დაწსნილ არს მათ მიერ და აჯოცილ ეკლესიით, რამეთუ არა ისმენენ ბრძანებასა უფლისასა, რომელი მრავალსახედ და მრავალგუარად გუასწავებს სახარებისა იგავისა მიერ და თვით თავადიცა კაც იქმნა, რა ჩუენთვის ესევე წესი ეპყრა და მარადის ილოცვედის და ჩუენ სახესა მოგვცემდა მოუწყინებლად ლოცვისა და მღვიძარებისასა და წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა. ესე წესი ეპყრათ და მარადის ლოცვით იყო ცხოვრება და ქცევა მათი და ყოველნი წმიდანი ამას ქადაგებენ და ამას დაამტკიცებენ და ეკლესიასა შინა ესე განაწესეს, რათა მოუკლებლად ილოცვიდენ და ათევდენ ღამეთა, რამეთუ მეუფე ჩუენი ქრისტე ესრეთვე ჰყოფდა, ვითარცა წერილ არს წმიდა სახარებასა შინა: „და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევდა ღმრთისა მიმართ ლოცვითა“ (ლუკა 6,12). და კუალად ზემორე წერილ არს მისვე ლუკას თავისა სახარებათა შინა:

„ხოლო თავადი განვიდის უდაბნოდ და ილოცავნ“ (ლუკა 6,16) და კუალად წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა მათეს თავისასა: „და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თავისგან“ (მათე 14,23). (80r) და კუალად ეტყვის მონაფეთა თვისთა, რაჟამს იგი განჴადა ეშმაკი კაცისაგან, რომელი იგი ვერ შეუძლეს მონაფეთა მისთა, ვითარმედჴ „ესე ნათესავი არა რათა განვალს გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათე 17,21), რამეთუ მონაფენი ქრისტესნი ჯერეთ არა მიწვეულ იყუნეს საზომსა სრულებისასა, არცა დაჩუეულ მარადის ლოცვასა, არცა მიმყოვრებულსა მარხვასა, ამისთვის ვერცა შეუძლეს განჴდად ეშმაკთა და სასნაულთა საკვირველთა ქმნად, ვიდრემდის ესე არა ისწავეს. ამისთვის უფალი მარადის ასწავებდის ლოცვასა და მარხვისათვის იგავისა სიტყვითაცა და პირისპირ სწავლითაცა და მერმე თავით თვისითაცა ერუენის, რამეთუ ღამესა ათევედა მარადის ლოცვითა, ვითარცა ზემოთცა მოვიჴსენეთ, რამეთუ დაღაცათუ მას არა რა ეჴმარებოდა არცა მარხვა და არცა ლოცვა, ვითარცა არცა რა სხუა კაცობრივი საქმე, რამეთუ ღმერთი იყო ბუნებით, არამედ ვინათგან კაცთა ბუნება სრულებით მიილო, კაცობრივნი საქმენი ყოველნი სრულებით აღასრულნა თვინიერ ცოდვისა, ეგრეთვე კაცთა ბუნებისა საჴმარად მარადის ლოცვა სჯულგვიდვა თავისა მიერ თვისისა, რამეთუ თავადიცა მარადის ილოცვედის ღამე და დღე და მოციქულთაცა ამასვე ასწავებდის დაჩუენ სახესა დაგვიდებდის (80v), რათა მარადის ვილოცვიდეთ ღამე და დღე მოუწყინებლად თავისაგან მარტო და ეკლესიასა შინა, რომელ არს შესაკრებელი ერისა, რამეთუ თვინიერ ამისა არა რა კეთლთაგანი წარემართების არცა ამის სოფლისა და ჴორციელი და უმეტესადღა სულიერი და ზეცისა. დაღაცათუ ბრძანებს ქრისტე მეუფე: „რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრეთ, ვითარცა იგი ორგულნი, რამეთუ უყვარან შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედადგომა და ლოცვა, რათა უჩუენონ კაცთა. ამინ გეტყვი თქუენ, მიუღებთეს სასყიდელი მათი, ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუჯესა შენსა და დაჴაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათე 6, 5). ესე ბრძანება უფლისა მათ ზედა არს, რომელი თვისაგან განწესებულსა ლოცვასა, გინათუ საეკლესიოსა და უფროსლა თვისისაგან ლოცვისათვის ბრძანებს, რათა არა იყოს კაცთა საჩუენებელად და ჴემმარიტად ორგულთა არს საქმე ესე, რომელი ესრეთ ილოცვიდეს, რამეთუ ილოცავს კაცი, რათა მოილოს ღმრთისაგან სათხოველი თვისი და უჩუენოს კაცთა, რა მიილოს ქება და დიდება კაცთაგან და ორგულთა არს საქმე (81r) ესე და არა ერთგულთა და საკუთართა მონათა, რათამცა ღმრთისაგანი ითხოვდა წყალობასა და კაცთაგან ეძიებდა ქებასა. ნუ ეჴუ, რათამცა მო-რამე-ილო ღმრთისაგან ესე ვითარად მლოცველმან. ვითარცა იტყვის იაკობ მოციქული: „კაცი ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა გზათა მისთა, ითხოვდინ ხოლო სარწმუნოებით და ნუ ორგულებით, რამეთუ რომელი ორგულებდეს, მსგავს არს იგი ღელვასა

ზღუისასა ქართა აღძრულსა და მიმოტაცებულსა. ნუ ჰგონებ კაცი იგი, ვითარმედ მო-რამე-ილოს ღმრთისაგან“ (კათოლიკე იაკობისა 1,6). ხოლო უკეთუ არა საჩუენებულად იყოს ლოცვა და არა ეძიებდეს კაცთაგან ქებასა, ესევი-თარმან მლოცველმან გინათუ მარტო, გინა თუ კრებულსა შორის ილოცოს მოუწყინებელად შემუსრვილითა და მდაბლითა გონებითა, ჭეშმარიტად სათნო არს ღმრთისა და საყუარელ და ყოველსავე მოიღებს, რაოდენსაცა ითხოვდეს, ვითარცა თვითვე ბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და პოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ და შემდგომი“ (მათე 7,7). ესე ყოველი ლოცვისათვის უბრძანებიეს, რათა მოუწყინებელად ვილოცვიდეთ და სამა-რადისოდ ვრეკდეთ კარსა მონყალებისა მისისასა და სხუა უმრავლესი ამისა, რომელი ქვემორე აღვ(81v)წეროთ უვრცელესად. ხოლო თუ შევედ საუნჯე-სა შენსა და დაჯამ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად, ამას არა თუ კართა დაჯშულთა შინა ლოცვისათვის იტყვის, არამედ სიმდ-აბლით ლოცვისათვის ბრძანებს, ვითარმედ შევედ შინაგან საუნჯესა გულისა შენისასა, რამეთუ იგი არს დაფარული საუნჯე კაცისა, ვითარცა ქრისტე ბრ-ძანებს ესრეთ: „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოილოს კეთილი და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოილოს ბოროტი“. ესრეთ გული არს საუნჯე კაცისა და არა ხი-ლული სახლი. ამისთვის ბრძანებს, რათა შინაგან გულისათვის შევიდეს კაცი და დაჯშას შესავალი და არა რა კაცობრივი ქება და სილაღე შეუშვას გულსა შინა და არცა რა ცუდი და წარმავალი მსოფლიო საქმე განიზრახოს, არამედ სიღრმით ესე ვითარი ლოცვა გინათუ მარტო იყოს, გინათუ კრებულსა შორის, ყოველივე შენირულ არს წინაშე ღმრთისა და მსწრაფლ მოხედავს თხოვასა მისსა და უკეთუ არცა კრებულთა შორის და არცა თვისაგან ილოცვიდეს მათისა მათისაებრ სიცბილისა. მაშა რად განანესეს წმიდ(82r)ათა მოციქულთა საზოგადოდ ლოცვა? ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს: „და ოდეს შევიდეს, აჰედეს ქორსა მას, სადაცა იყოფოდეს პეტრე და იოანე, იაკობ და ანდრია, ფილიპე და თომა, ბართლომე და მათეოს, იაკობ ალფესი და სიმონ მოშურნე და იუდა იაკობისი. ესე ყოველნი იყუნეს განკრძალული ლოცვასა და ვედრებასა ერთბამად დედებითურთ და მარიამ დედით იესოსით და ძმე-ბითურთ მისით“ (საქმე 1,13). ესრეთ ზოგადად ერთ კრებულად ილოცვიდენ ყოველნი წმიდანი მოციქულნი და ძმანი, მამანი და დედანი ეკლესიასა შინა, რამეთუ ქორი იგი იყო მათი შესაკრებელი ეკლესია და სხვა არა აქუნდა მათ ეკლესია და წინასწარმეტყუელთაცა მარადის ლოცვა განგვიწესეს საიდუმ-ლოდ და საეკლესიოდცა. დავით იტყვს: „ილოცეთ და მიეცით უფალსა, ღმერ-თსა ჩუენსა“. და კუალად ეკლესიასა შინა ლოცვისათვის იტყვის, ვითარმედ: „ეკლესიასა შინა აკურთხევდით უფალსა“ და კუალად ზოგად საკრებულოდ ლოცვისათვის იტყვის: „კრებულსა შორის დიდძალსა აღვიარებ შენ“. და კუალად ჟამთა ლოცვისათვის იტყვის: „შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ

განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა“. და კუალად შუალამე ლოცვისათვის იტყვის: „შუალამე აღვდგი აღსარებად შენდა განკითხვათა“. და კუალად ეკლესიასა შინა ლოცვისათვის: „აქა აკურთხებდით უფალსა ყოველნი მონანი უფლისანი, რომელნი სდგათ სახლსა უფლისასა ეზოთა შინა სახლისა ღმრთისა ჩუენისა“. და კუალად ღამე ლოცვისათვის იტყვის: „ღამესა აღიპყრენით ჴელნი თქუენნი ნმიდად მიმართ და აკურთხევდით უფალსა“. და კუალად განთიად ლოცვისათვის იტყვის: „განთიად შეისმინო ჴმისა ჩემისა, განთიად წარვდგი და გეჩუენო შენ“ და კუალად „აღიმსთუეს თუალთა ჩემთა განთიად ზრახვად სიტყუათა მათ შენთა“. და მანვე წინასწარმეტყველმან დავით და ძემან მისმან სოლომონ განანესეს ტაძარსა შინა მარადის მგალობელნი და მეფსალმუნენი, რათა სამარადისოდ აქებდენ ღმერთსა, ვითარცა წერი არს წიგნსა მეფეთასა, რამეთუ განანყო ხორო მგალობელთა და მედღესასწაულეთა მწუხრი, დილეულ და (82v) სამხრად, ვითარცა თვითვე იგი იტყვის: „მწუხრი, დილეულ და სამხრად მოუთხრობდე და ვეტყოდი და ესმეს ჴმისა ჩემისა“. და კუალად იტყვის: „ილოცეთ და მიეცით უფალსა ღმერთსა ჩუენსა ყოველნი, რომელნი არიან გარემოს მისა“. და სხუანი ყოველნი წინასწარმეტყუელნი ლოცვასა სამარადისოდ აღასრულებდეს და არა დასცხრებოდეს ლოცვისაგან ღამე და დღე, ვითარცა დანიელისთვის წერილ არს, რამეთუ ოდეს იყო ტყუედ მიდეთს და კუიროს სპარსთა მეფისა მიერ, დიდად პატივ იცემებოდა, ამისთვის შურად აღუდგეს მთავარნი იგი მეფისანი, ხოლო ვერა რა ღირსი შესმენისა საქმე უპოეს, ვითარცა წიგნსა მისსა წერილ არს, არამედ მაშინ მოახსენეს მეფესა, რათა ვერა რომელი კაცი საბრძანებელსა მათსა ქუეშე მყოფი სამსა შვიდეულსა ვერცა ღმრთისაგან და ვერცა მეფეთაგან, ამისთვის ჰრქუეს ესე მეუფესა, რამეთუ უწყოდეს დანიელისთვის, ვითარმედ არა დასცხრებოდა ლოცვისაგან ღამე და დღე, მერემე ამისთვის მზერა უყუეს და შეასმინეს მეფესა და შთააგდეს მლუიმესა მას შინა ლომთასა. და ეგრეთვე ერემია წინასწარმეტყუელი მიუწერს ბაბილოვნით იერუსალიმს წარტყუენისაგან დანარჩომთა ისრაილთა, რათა სამარადისოდ ილოცვიდენ და ვედრებასა ყოფდენ ტყუეთა მათთვის და მეფისა ნაბუქოდონოსრისათვის და ძისა მისისა ბალტასარისათვის, რათა მშუიდობით იყუნენ და ადრე მიემთხვივნენ გა(83r) მოხსნასა“.

ესრეთ ყოველნი წინასწარმეტყუელნი და მართალნი ლოცვით და ვედრებითა მოქალაქობდეს და ჩუენცა გუასწავებდეს ამას, რათა არა უქმად გარდავიწდიდეთ დღეთა ჩუენთა, რათა მარადის ლოცვით შევიჭურნეთ მართოდცა და საეკლესიოდცა, რამეთუ თვნიერ ლოცვისა არა რა კეთილთაგან წარემართების, ხოლო თავადი რა ბრძანებს, შევედ საუფჯესა შენსა და დაწაშ კარი შენი, ვითარცა ზემო მოწსენეთ, ამას არა თუ კართა დაწუულთა შინა ლოცვისათვის ბრძანებს, არამედ გულის კარი ჯერ არს დაწმვა და დაფარულთა მწედველისა მიმართ სიღრმით გულისა ლოცვა სულთქუემითა სულისათა,

გინათუ თვისგან მარტო იყოს, ანუ თუ კრებულსა შორის და თუ ესრეთ არა ილოცვიდეს, არცა რას საუნჯეთა შინა ლოცვა სარგებელ ექმნების არცარა კრებულთა შორის.

პეტრე მოციქული და მართალი კორნილი ერდოთა ზედა ილოცვიდენ სახილველად ყოველთა, ვითარცა მათთვის წერილ არს, არამედ შეისმის ვედრებენი მათნი ფარისეველ და კაენ მარტო ილოცვიდეს. ანნა, დედა სამოელისა, ილოცვიდა, ბაგენი მისნი არა იძრვოდეს და შეისმინა დავით კრებულსა შორის, დიდძალსა და იგიცა შეისმინა ამპარტავნებით და ზუაობით არცარა კრებულისა, არცარა საიდუმლოდ, ასევე საძაგელ არს? ხოლო სიმდაბლით ყოველივეს შეწირულ და მე ვგონებ, უკეთუ გონება სიმდაბლით ეპყრას კრებულსა შინა, უმჯობეს არს. ამისთვის აღაშენეს ყოველსა შინა სოფლისა ვრცელნი და დიდნი ეკლესიანი. ამისთვის განაწესეს წმიდათა მოციქულთა და მღვდელთ-მოძღუართა ღამის თევა და ყოველი საეკლესიო წესნი.

ამისთვის მიუწერს ტიმოთეს პავლე ესრეთ: „გლოცავ, უკუე ყოვლისა წინა, რათა ჰყოფდე ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანისცემასა და მადლობასა ყოველთა კაცთათვის, მეფეთათვის და ყოველთა მთავართა, რათა მშვიდობით და მყუდროებით ვცხონდებოდეთ ყოვლითა ღმრთის მსახურებითა და სინმიდითა, რამეთუ ესე არს კეთლი და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა, რომელსა ყოველთა კაცთა ნებავს ცხორება და მეცნიერებასა ჭემ-მარიტებისასა მოსლვა“ (I ტიმოთე 2,1).

კუალად იტყვის: „მნებას, უკუე ლოცვა მამათა ყოველთა ადგილსა აპყრობად წმიდად ჳელთა თვინიერ რისხვსა და გულის სიტყვისა“.

უკეთუ არა ჯერ იყო და არცა წინასწარმეტყუელთაგან მოელოთ ესე წესი, ანუ ქრისტესგან არა ესწავათ, რასათვის თავს იდებდეს ესოდენსა შრომასა და ჭირსა, მღუიძარებისა და ლოცვისასა.

ხოლო უკეთუ ცუდის მეტყუელნი იგი წინა გუიყოფდენ სიტყუასა მას უფლისასა, ვითარმედ: „რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყუით, ვითარცა იგი წარ(83v)მართთაგანი, რამეთუ ჰგონებენ, ვითარმედ მრავლისმეტყუელე-ბითა მათითა ისმინოს მათი, ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რა იგი გივმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა მისგან“. ესე ბრძანებანი უფლისანი არა არს მათისა მის ცუდის მეტყუელები-საებრ, რათამცა არა ილოცვიდეს კაცი და მისცეს თავი თვისი უდებებასა და ძილსა და თუმცა ესრეთ ებრძანა უფალსა, ვითარცა იგინი გონებენ და ესრეთ განენესა, რასათვის ვერ გულისწმა ყუეს წმიდათა მოციქულთა და შემდგომთა მათთა მღვდელთმოძღუართა, რომელნი ღამე ყოველ და დღე ყოველ ილოცვიდეს და ყოველსა ეკლესიასა ესე განუწესეს და სჯულად დაუსხნეს, ვითარცა მოციქული პავლე დასწერს და იტყვის: „ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევდით ყოველსა ჟამსა სულითა და მებრვე, ამისთვის ილუი-ძებლით ყოვლითა კრძალულებითა და ვედრებითა, ყოველთა წმიდათათვის“



(ეფესელთა 6,18). და კუალად იტყვის: „ასწავებდით და მოძღუდით თავთა თქუენტა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა მადლითურთ უგალობდით“ (კოლასელთა 3,16). კუალად იტყვს: „ლოცვასა განეკრძალენით და ილუიძებდით მას შინა მადლობით. ილოცვიდით მისთანა და ჩუენთვისცა“ (კოლასელთა 4,2). ხედავთა, რამეთუ ყოვლადგე და ყოველსა ჟამსა ლოცვასა და მლუიძარებასა გუასწავებენმოციქულნი და არა ლიტონად და მცირედ, არამედ ფსალმუნ(84r)ებასა და შესხმასა და გალობასა პირითა და გულითა და არა უქმად და უდებად ნოლასა და ძილსა, რამეთუ იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისათვის წერილ არს, ვითარმედ მიმდებად ლოცვისა და ღამე ყოველ და დღე ყოველ მუჯლდრეკისაგან მოვლნი მისნი, ვითარცა მუჯლნი აქლემისანი იყუნეს და შუბლი ზედასზედა ადგილსა ზედა ცემისაგან დაკანებულნი აქუნდეს და ღვნო და თაფლუჭი არა ესუა და არცა რა მშუენიერი შესრულ იყო პირსა მისსა.

უკეთუმცა არა ჯერ იყო ესევეთარი ფიცხელი ცხორება. რად მოიპოვეს ესევეთარი წმიდათა მათ და რასათვის ილოცვიდეს ღამე და დღე და ყოველსა ჟამსა და არა ხოლო თუ ესე, არამედ თვით თავადი უფალი, მჯსნელი ჩვენი ესოდენ ილოცვიდა: „ვიდრელა იქმნეს უფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისა გარდამომავალი ქუეყანასა ზედა, ვითარცა წერილ არს სახარებასა შინა, რამეთუ მუჯლთა იდრეკდის“ და ესრეთ ილოცვიდის მისთვის (ლუკა 22,44). ესეოდენი ოფლი მოსდიოდეს, ვითარცა ცუარი სისხლისა და არა თუ უდებად და დაჯსნილობით ამით დაიყავნ ყოველი პირი უდებად დაჯსნილობით მლოცველისა და მათიცა, რომელი სძაგებენ, მხოლოდ დრეკასა და ლოცვასა, ეგრეთვე სხუანიცა წმიდანი მოციქულნი და წინასწარმეტყუელნი და ყოველნი წმიდანი სამარადისოდ ილოცვიდეს და მათი ცხოვრება და მოქალაქობა მარადის მლუიძარებითა და ლოცვით იყო და ჩუენცა ესრეთვე გვიმოძღურიდეს და სახესა და წესსა დაგვიდებდეს. ვითარცა პეტრესთვის წერილ არს, ვითარმედ: „პეტრე ცულ იყო საპყრობილესა მას შინა, ხოლო ლოცვა გულისმოდგინედ იყოფოდა ეკლესიათა მიერ ღმრთისა მიმართ მისთვის“ და უკეთუ არა იყო განწესებული ლოცვა ეკლესიათა შინა, ვითარ პეტრესთვის, თავისა მის მოციქულისა ეკლესიანი ილოცვენ. და ეგრეთვე პავლესთვის, წერილ არს, ვითარმედ: „შილა და პავლე შეიპყრნეს და მრავალი წყლულება დასდვეს და შესხნეს იგინი საპყრობილესა და ამცნეს საპყრობილის მცველსა მას კრძალულად დაცვა მათი და მან, ვითარცა ესევეთარი მცნება მოილო მათგან, შესხნა იგინი უშინაგანესსა საპყრობილესა და ფერჯნი მათნი დაკრძალნა ჯუნდსა შინა და შუალამესა ოდენ პავლე და შილა ილოცვიდეს და უგალობდეს ღმერთსა და ისმენდეს მათსა სხუანი იგი პყრობილნი“ (საქმე 16,23).

ისმინეთ ძმანო, პავლე, ჭური იგი რჩეული, სამ ცამდე აღწევნული და გამოუთქმელთა საიდუმლოთა მეტყველი და მის თანა შილა ჯაჭუითა და ჯუნდითა შეკრულნი, შუალამე ილოცვენ და უგალობენ ღმერთსა, ხოლო ჩუენ

რამე ვცოტ ცოდვათა შინა განფრდილთა, რომელნი მარადის განსუენებისა და ძილისათვის გუსურის და განათლებულსა და ბრწყინვალესა ეკლესიასა შინა ლოცვა და გალობა და მადლობა ღმრთისა მოგვეწყინების. არა ვისმენტ პავლესა, ვითარმედ: „მრავლითა ჭირითა გუიღირს შესვლად სასუფეველსა“. და ქრისტე იტყვს: „ინრო არს და საჭირველ“, არამედ პაპისა მოსავნი გვეტყვიან, ძილითა და განსუენებითა და მრავალ მჭამელობითა ჯერ არსო სათნო ყოფა ღმრთისა და იტყვიან, ლოცვა და ფსალმუნება და გალობა მრავალს მეტყველებად შეირაცხების და მათისა სიციბილისას ვისმენტ და არა ქრისტესა, არცა მოციქულთა მისთა და უკეთუ მრავლის მეტყუელებად შეირაცხების ღმრთისა (84v) მიმართ ლოცვა და ფსალმუნება და გალობა და დიდების მეტყუელება. რასათვის მოციქული პავლე ფსალმინითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა გუასნავებს ლოცვასა და ვედრებასა მარადის, ვითარცა ზემორე მოვიწყენეთ და ყოველთა წმიდათა ესე სჯულად დაგვიდუეს, და თვინიერ ამისა არა რა კეთილთაგანი წარემართების, რამეთუ თვინიერ ლოცვისა ვერცა მოტევებასა ცოდვათასა მივიღებთ, ვერცა ვნებათა მძლე ვექმნებით, ვერცა უხილავთა მტერთა განვერებით და ვერცა საუკუნეთა კეთილთა მოვემთხუევით. ხოლო იტყვის: „ნუ მრავალსმეტყუელებთ, ვითარცა წარმართთაგანი“, ესე არს მრავლის მეტყუელება, რაჟამს კაცი ილოცვიდეს და არა რას სულიერსა და მტკიცესა და წარუალსა ეძიებდეს, არამედ ყოველსავე ჯორციელსა და ცუდსა და წარმავლსა ითხოვდეს და წარმართნიცა ესრეთვე ილოცვიდეს, ყოველსავე განხრწნადსა და ჯორცთა საშუებელსა ეძიებდეს. ამისთვის ბრძანებს უფალი, ვითარცა იგი წარმართთაგანი, რამეთუ მრავლისმეტყუელება არს, რაჟამს კაცი ესევითართა ეძიებდეს და ითხოვდეს ლოცვათა შინა და არა ლოცვასა აყენებდეს და დიდების მეტყუელებასა მდაბლითა გულითა, ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა. არამედ ესრეთ ჯერ არს ლოცვა, ვითარცა წმიდანი მოციქულნი გვასნავებენ და თვთ თავადი უფალი სამეუფოსა მას ლოცვასა, რამეთუ რაჟამს მას ლოცვასა ვიტყოდით, ყოველივე სათნოება მას შინა გამოისხების და სამარადისოსა ლოცვისა და გალობისა და შესხმისა სულიერისა წესი მით მოესნავების, რაჟამს ეტყოდით, „იყავნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქუეყანასა ზედა“, რამეთუ ვითარცა დაუცხრომელად აქებენ ცათა შინა ანგელოზნი და საქმე არს მათი, რათა სამარადისოთ უგალობდენ და აქებდენ, ეგრეთცა ნებავს მეუფესა ქუეყანასა ზედა ჩუენ მიერ დიდების მეტყუელებითა და ფსალმუნებითა მარადის ქება და გალობა, რათა ვითხოვდეთ მისგან წარუალთა კეთილთა, რათა ხილულიცა ესე შეგუეძინოს ყოველი ვითარცა კუალად უფალი ბრძანებს: „პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოსთ თქუენ“ (მათე 6,23). არა თუ სრულად ულოცაობასა და ღამე ყოველ ძილსა და უდებებასა ბრძანებს უფალი, არამედ ფრიადსა მღუიძარებასა და ლოცვასა, ვითარცა ეტყოდა მოწაფეთა: „ილუიძებდით და ილო(85r)

ცვედით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“ (მათე 16,41). და მარკოზიცა ერთჴმა არს მათ თანა და იტყვის: „ილუიძებდით, უკუე რამეთუ არა იცით, ოდეს იგი უფალი სახლისა მის მოვიდეს მწუხრ ანუ შუალამეს, ანუ ქათმის ჴმობასა, ანუ განთიად ნუ უკუე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქუენ მიძინარენი, ხოლო ესე გეტყვი თქუენ, ყოველთა გეტყვი, მლუიძარე იყუენით“ (მარკოზი 13,35). და ლუკა მახარებელი ეგრეთვე დასწერს: „ილოცვიდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“. ხოლო უფალმან, მარადის მეძიებელმან ცხოვრებისა ჩუენისამან, ყოვლისა სათნოებისა თავად ესე ბრძანა და ყოვლისა მცნებისა, რომელიცა გვასწავა უმეტესი სახე და იგავი ამისთვის შემოიღო. ვითარცა ზემოცა გვითქუამს და ანცა ვიტყვით, რაოდენი ბრძანებანი და იგავნი გვიბძანა ლოცვისათვის და მლუიძარებისა: „იყუნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელი ათქუენნი აღნთებულ და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თვისსა, ოდეს მოვიდეს ქორნილისაგან, რათა რაჴამს მოვიდეს დაირეკოს, მეყსეულად განუღონ მას. ნეტარ იყუნენ იგი მონანი, რომელთა მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მლუიძარენი და შემდგომი ამისი“ (ლუკა 12,36). იხილეთ ძმანო, ვითარ ჰნატრის მლუიძარეთა და რომელნი მარადის მზა არიან ლოცვისა და დიდების მეტყუელებისათვის უფლისა და ვაებასა მისცემს, რომელნი არა მზა არიან ღამე და დღე ქებად და დიდებად უფლისა. კუალად სხუა იგავი ისმინეთ, რომელი ბძანა უფალმან მარადის ლოცვისათვის.

„და იყო ადგილსა, რომელსამე თავადი ილოც(85v)ვიდა და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგან მან, უფალო, გუასწავე ლოცვა, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თვისთა. ხოლო თავად მან ჰრქვა მათ, რაჴამს ილოცვიდეთ, თქუთ მამაო ჩუენო და შემდგომი“ (ლუკა 11,1) რამეთუ ყოველსავე ლოცვისა წესა და ვედრებისასა ლოცვა ესე სამეფო გამოსახავს, ვითარცა ზემოცა გუითქუამს და უკეთუ მარტო ესე ლოცვა ვთქუა უფალსა და ედვა წესად ლოცვისა და სხუ არღარა, ვითარცა ლოტრანი იტყვიან და უფროსლა მოსავნი პაპის მოსავნი, რათა სხვასა არღარას ილოცვიდენ, რასათვისლა შემოიღო უფალმან ესეოდენი სახენი და იგავნი მოუწყინებლად ლოცვისანი და თვითცა მრავალგზის ღამესა ათევდის ლოცვითა? ლომელი ძემო მოვიჴსენეთ ლუკა მახარებელისა მიერ თქუმული, ანუ სხუათა დიდთა ღმრთის მეტყელთა და ყოველთა წმიდათა, რასათვილა განანესეს ეკლესიასა შინა სამარადისო ღამე და დღე მოუწყინებლად ლოცვანი და ფსალმუნებანი, გალობანი და შესხმანი სულიერნი და არა მხოლო იგი მარტოდ სამეუფო ლოცვა „მამაო ჩუენოსა დაანესეს, რამეთუ რომელიცა ლოცვა და ფსალმუნება არის განწესებული ან წინასწარმეტყუელთაგან ანუ ღმრთის მეტყუელთაგან ყოველივე სამეუფო არს და სულისა წმიდისა მიერ თქუმული, რათა კაცნი მარადის მდა(86r)ბლითა და შემოსრვილითა გულითა ილოცვიდენ და ევედრებოდენ მოუწყინებლად უფალსა ღამე და დღე, რამეთუ ოდეს ლოცვა

იგი „მამაო ჩუენოსა“ ასწავა უფალმან მოწაფეთა, მასვე ჟამსა მკის ზედა დართო იგავი ესე მოუწყინებლად ლოცვისანი და ეტყოდა მათ: „ვის თქვენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შუალამესა და ჰრქვას მას: მეგობარო, მავასხენ მე სამნი პურნი, რამეთუ მეგობარი მოვიდა გზით და არა რა მაქუს, რაჲ დაუგო მას. მან მიუგოს მას: შინათ გამო და ჰრქვას მას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე, რამეთუ კარი დაჭულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა, ვერ ძალმიც აღდგომად და მიცემად შენდა. გეტყვი თქუენ: დაღაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთვის მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენი უჭმდეს მას, ხოლო მე გეტყვი თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და პოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ირეკდეს, განელოს“ (ლუკა 11,5). ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთოვდეს ძე პურსა, ნუუკუე ქვა მისცეს მას? გინათუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე თევზისა წილ გუელი მი(86v) სცეს მას, გინათუ კვერცხსა სთხოვდეს, ნუუკუე ღრიაკალი მისცეს მას? უკეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდა, რომელნი სთხოვდენ მას. და ვინცა იყო ესრეთ უგუნურ და უცნობო, რომელსამცა ესმოდის ცხოველსმყოფელნი ესე ბრძანებანი უფლისანი და აღთქუმანი იგი, რომელ აღუთქუნა მთხოველთა და მვედრებელთა მისთა და არა ეძიებდა მისგან წყალობასა და მოღებად ცოდვათა მოტევებასა, გინათუ მიმთხუევად ცხოვრებასა საუკუნოსა, ანუშცა არა ჰრეკდა ღამე და დღე მოუწყინებლად კარსა მონყალებისა მისისასა, რათამცა განელო მას, რამეთუ უტყუელ არს აღთქმათა შინა მისთა, რამეთუ მეძიებელთა მისთა მსწრაფლ ეპოების, ვითარცა იტყვის ესაიას მიერ წინასწარმეტყუელისა: „რაჟამს ღალადებდე, უფალმან ისმინოს შენი და ვიდრე თხოვადმდე შენდა გრქუას შენ, აჰა, აქა ვარ“. ესრეთ მსწრაფლ ისმენს უფალი თხოვათა მვედრებელთა მისთასა, უკეთუ ცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ და ბრძანებათა მისთა რაოდენ ძალ გვედვას აღვასრულებდეთ.

ხოლო უკეთუ არა ვის(87r)მინოთ მისი, და არცა მიუპყრათ ყური მცნებათა და ბრძანებათა მისთა, არცა მან ისმინოს ჩუენი, არცა მოყოს ყური მისი ჩუენდა მომართ. ვითარცა წერილ არს ლევიტელთა შინა, რაჟამს იგი უფალი ეტყოდა ძეთა ისრაილისათა და ჰრქვა: „უკეთუ ბრძანებათა ჩემთა ხვიდოდით და მცნებათა ჩემთა იმარხვიდეთ და ჰყოფდეთ მათ“, და შემდგომნი. ამათ ბრძანებათა ისმინეთ, თუ რავდენი წყალობანი აღუთქუა უფალმან, რომელი წერილ არს მას შინა და მერმე ჰრქუა მათ: „ხოლო უკეთუ არა ისმინოთ ჩემი, არცა ჰყოფდეთ ბრძანებათა ჩემთა, არამედ ურჩ ექმნეთ მათ და სამართალნი ჩემნი მოიწყინეს სულმან თქუენმან და არღარა ჰყოფდეთ ყოველთა მცნებათა ჩემთა და განაქარვნეთ აღთქუმანი ჩემნი და მეცა ეგრეთვე იგი გიყო თქუენ“. და შემდგომი ამისი. და კუალად უფალი აყუედრებს მნიგნობართა და ფარისეველთა და ეტყვის: „ვაი თქუენ და მნიგნობარნო და ფარისეველნო, ორ-

გულნო, რომელნი შეშქამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით, ამისთვის მიიღოთ უმეტესი სასჯელი“ (მათე 23,13). ამისთვის ვიტყვი და შემოვიღე ესე ბრძანებანი უფლისანი და სიტყუანი (87v) წინასწარმეტყუელთანი, ვითარმედ ღმერთსა სიმართლით მლოცველი უყუარს, რაჟამს მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ და ბრძანებათა მისთა ვყოფდეთ და ქუელის საქმითა და მოწყალებითა ჴელნი ჩუენნი სავსე იყუნენ და დავრდომილთა და ქურივთა და ობოლთა უსჯიდეთ. მაშინ ისმინოს ჩუენი და ვიდრე თხოვადმდე ჩუენდა გვრქვას: „აჰა. აქა ვარ“. და უკეთუ ესრეთ არა ვყოფდეთ, არამედ ანგარებითა და მოხუეჭითა და უსამართლოებითა ჴელნი ჩუენნი სავსე იყუნენ და სხვითა მრავლითა ბოროტითა შებლალულ, ვითარ ისმინოს ჩუენი, ანუ ვითარ მოყოს ყური მისი ვედრებასა ჩუენსა, არამედ ესრეთ გვრქუას ჩუენ: ერი ესე ბაგითა მათითა და პირითა მათითა პატივ მცემს, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან, უკეთუ თქუას ვინმე, ვითარმედ: ვაება იგი, რომელი რქვა მნიგნობართა და ფარისეველთა მიმართ ბრძანაო, რომელი შეშქამენ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვენ. ჴე, ჭემმარიტად მეცა ეგრეთვე ვიტყუი: მნიგნობართა და სჯულის მოძღუართა უმეტესად ეთხოვების მცნებათა მისთა და მარხვა და გარდამავალთა ბრძანებათა (88r) მისთასა დიდად მიეგების სასჯელი, ვითარცა იტყუის მოციქული პეტრე: „რამეთუ ჟამმან დანყებად სასჯელისა პირველად სახლისაგან ღმრთისა იწყოს, უკეთუ კულა პირველად ჩუენგან, რამე იყოს აღსასრული ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისათა და უკეთუ მართალი ძნიად განერეს უღმრთო იგი და ცოდვილი სადალა იპოოს“ (I კათოლიკე პეტრესი 4,17). ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ უკეთუ სხვითა ბოროტითა სავსე ვიყუვნეთ მარტოდ ლოცვისა და ეკლესიასა მისვლითა არარა გუერგოს და უკეთუ სხუათა ვნებათა ვეკრძალვოდეთ და ვისწრაფოდეთ ძალისაებრ დამარხვად მცნებათა მისთა, მაშინ კეთილ არს ფრიად ჩუენდა მარადის ლოცვა ღამე და დღე მოუწყინებელად, მარტოდ რა ვიყუნეთ და კრებულსა შორის, ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა და ადგილსა, კეთილ არს ჩუენდა ლოცვა და თვინიერ ამისა არა არს სხვით ცხოვრება ჩუენი და ყოველთა სათნოებათ ესე არს სამკაული და გუირგუინი. და თუმცა დიდად არა საწმარ იყო ესე კაცთათვის არცა მწსნელი ჩუენი ქრისტე, რაჟამს განკაცნა, ესრეთ გულსმოდგინედ აღასრულებდა მარადის ლოცვასა ღამე და დღე თვისაგან მარტი (88v) და კრებულსა შორის მოწაფეთასა და ღამესა ათევდის ლოცვითა, ვითარცა ზემოცა მრავალი აღგვიწერიეს ამისი პირისათვის და ჩუენ სახესა მოგვცემდა, რათა შეუდგეთ ბრძანებათა მისთა და მოუწყინებელად ვილოცვიდეთ და მარადის ვევედრებოდეთ ღამე და დღე, ვითარცა წერილ არს: „მოუკლებელად ილოცევდით, ყოველსა შინა, მადლობდით, რამეთუ ესე არს ნება ღმრთისა, ქრისტეს იესოს, მიერ თქუენდა მიმართ“ (I თესალონიკელთა 5,17). ესრეთ ყოველსა ჟამსა გვასწავებენ მოუკლებელად ლოცვასა და არა უდებებასა და მოწყინებასა და ამის პირისათვის სხუაცა

იგივი ისმინეთ, რომელი თქუა უფალმან:

„და ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ იგი ჯერ არს მათდა მარადის ლოცვა და რათა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა და იტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა და მოვიდის მისა და ეტყვიან: მისაჯე მე წინა მოსაჯულისაგან ჩემისა და არა ისმინის მისა, ვიდრე რომელად ჟამამდე. ამისა შემდგომად თქუა გულსა შინა თვისსა: დაღათუ ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მარცხუენის, ამისთვის, რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე მარადის ქურივი ესე. უსაჯო მას, რათა არა მარადის მოვიდოდის და მანყინებდეს მე. და ჰრქვა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა იგი მსაჯული სიცრუისა იტყვის, ხოლო ღმერთმან არა მეყოსა შურის გება რჩეულთა მისთა, რომელნი ღალადებენ (89r) მისა დღე და ღამე და სულგრძელ არს მათ ზედა“ (ლუკა 18,1). აჰა, ცხადი იგავი და სახე მოუწყინებულად ლოცვისა და დღე და ღამე ვედრებისა და ღალადებისა, რომელი გუესმა სახარებისა ბრძანებისა მიერ, რამეთუ მსაჯული სიცრუისა შემოილო იგავად, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა და არცა ბუნებითი მოწყალება აქუნდა, არამედ თავისა თვისისა წყინებისათჳს ისმინა ქურივისა მის და უსაჯა, რა ვთქუათ ბუნებით სახიერისა მეუფისა მის, რომელსა აქუს უფსკრული მოწყალებისა და კაცთმოყვარებისა და მზა არს შეწყნარებად ყოველთა, რომელნი ღალადებეს მისა დღე და ღამე, ვითარ ეგების, თუმცა არა ისმინა მათი, ანუ არა მოხედნა ვედრებასა მათსა, ანუ ვინ არს ესრეთ უსასო მოწყალებათაგან მისთა, რომელმან დაიცონოს ალებად პირისა და ვედრებად მისა, რომელი ჳმობს მარადის: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და პოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ“. ხოლო მოსავნი პაპისანი მოძღურნი მათგან შეცთომილთა ერთა და ეტყვიან: ღამე ძილისათვის მოუცია ღმერთსა, დღე – ჭამისათვის და საქმისათვის და არა ისმენენ ესეოდენტა მოძღურებათა უფლისათა და სიტყუათა საღმრთოთა წერილთასა, ვითარმედ ღამე მცირედ განსუენებისათვის (89v) არს მოცემულ კაცთათვის და უმეტესად ლოცვისა და მადლობისათვის და დღე კუალად პირველად ლოცვისა და მადლობისათჳს ღმრთისა და მერმე ძალისაებრ კაცად-კაცადისა შრომა და საქმე და კუალად ლოცვა და მადლობა ღმრთისა სიტყვისაებრ დავითისა: „მწუხრი დილეულ და სამხრად მიუთხრობდე და ვიტყოდე და ესმეს ჳმისა ჩემისა და კუალად შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ“. და ესრეთ ყოველნი წმიდანი, წინასწარმეტყუელნი და მოციქულნი და ყოველნი წმიდანი ძუელსა შინა სჯულსა და ახალსა აღთქუმასა ლოცვით განბრწყინდეს და თვით თავადი ქრისტე ამას ქადაგებს და ამას შჯულ გვიდებს, რათა მარადის ვილოცვიდეთ, ვითარცა იგი ილოცვიდის და მოწაფეთა ამას უბრძანებდის და უკეთუ მის მიერ და მისგან არა სმენოდა და არა ეხილვათ, ვითარ საპყრობილესაცა შინა შეკრულნი ჯაჭუთა და დაკრძალულნი ჳუნდსა შინა ღამე ყოველ უგალობდეს ღმერთსა,

ვითარცა ზემო მოვიწსენეთ პავლეს და შილასთვის და წმიდანი სამნი ყრმანი ცეცხლსა შინა დაუცხრომელად გალობდეს და აკურთხევდეს ღმერთსა და დანიელ – მლუიმესა მას შინა ლომთასა და იერემია – მწუირისა ჯურღმულსა შინა (90r) და იონა – მუცელსა ვეშაპისასა. ჩუენ რამე ვყოთ ცოდვათა შინა შობილთა და მას შინა აღზრდილთა და განფრდილთა მრავალთა ბოროტთა შინა, რომელთა გვცონის აღდგომად და ვედრებად უფლისა, ანუ ეკლესიად მისლვა, ანუ რა თქუან მათ, რომელნი ქუენვანან ლბილთა სარეცელთა ზედა და არა აღიხილვენ, ვიდრე მზისა აღმოსლვადმდე, არცა მივლენ ეკლესიად, უკეთუ წმიდანი იგინი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე ესეოდენტა ჭირთა და პყრობილებათა შინა, არა დაიცონეს გალობა და დიდება ღმრთისა. ჩუენ განათლებულსა და განწმედილსა ეკლესიასა შინა გუენწყინების დგომა და ლოცვა და ცუდისმტყუელებასა და უქმთა გულისიტყვათა შევექცევით და არა გუეშინის გულთა და თირკმელთა გამომეძიებელისა ღმრთისაგან. სამართლედ ითქუას ჩუენთვისცა: „ერი ესე ბაგითა მათითა პატივ მცემს, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან“. არამედ გულმოდგინედ შემოგვკრებთ ეკლესიად და მდაბლითა და შემუსრუვილითა გულითა ვითხოვდეთ ღმრთსაგან წყალობასა და მოტევებასა ცოდვათასა, რამეთუ წერილ არს: „სული შემუსრვილი და გული შემუსრვილი და დამდაბ(90v)ლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“, რამეთუ ყოველნი წმიდანი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე ყოვლისა სათნოებისა საუნჯენი და ჭურნი სინმიდისანი და თვით თავადი მწსნელი და მაცხოვარი ჩუენი, რაჟამს განკაცნა და ჩუენ ბუნება მიიღო, ესრეთ ჭირითა და შრომითა, მარხვითა და ლოცვითა აღასრულებდეს ცხორებასა თვისსა და ჩუენცა ესრეთ გუმოძღვრიან და გუასწავებენ და სჯულგუიდებენ და ძუელითგანვე ეკლესიასა შინა განწესებულ არს ესე, რათა ღამე და დღე შემუსრვილითა და მდაბლითა გონებითა აქებდენ ღმერთსა.

ხოლო რომელთა არა სცალს საჭიროთა საწმართათვს და ჯეროვნისა მიზეზისა, ვითარ არიან მუშაკნი და ჳელისანი და ჳორციელთა უფალთა ქუეშე მყოფნი, იგინი ვერ აღასრულებენ დაუკლებელად განწესებულსა ლოცვასა, არამედ კაცად-კაცადსა ძალისაებრ და მოცალებისა ეკლესიისა მოძღუართა მიერ აქუნდინ განწესებული ლოცვა, გინათუ თვისაგან, გინათუ საკრებულოდ, ხოლო მოწესენი და თავისუფალნი ერისაგანი, რომელნი მოცალებით არიან ცუდისა და ჳორციელისა განცხრომისა მიზეზითა ძლით, ნუ დააკლდებიან ეკლესიასა მისლვასა, ნუცა თვისაგან ვედრებასა და ლოცვასა. და ხოლო კუირიაკესა და საჩინოთა (91r) დღესასწაულთა მოწესენი და ერისაგანნი, დიდნი და მცირენი, მოცალებნი და მუშაკნი ყოველთავე თანა აც ყოვლისა საქმისაგან მოცლა და ეკლესიად მისვლად და ღამე და დღე ლოცვად და მლუიძარებად და ლოცვად, მადლობად და ქებად უფლისა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათასა. ხოლო ლათინთა, რომელნი ესვენ პაპასა, ვინ ასწავა ესე, რათა არა ილოცვიდენ, ვერცა შეი-

კრძალონ მუცელი, რომელმან წინასწარმეტყუელმან, ანუ რომელმან მუცი-  
ქულმან განუწესა ესე? ანუ რომელმან კრებამან სჯულ უდვა ესე? უკეთუ  
წმიდათა მარადის ევმარებოდა მარხვა და ლოცვა, ჭირი და შრომა. ჩუენ რა  
სიტყუა გუაქუს და თვინიერ ამისა ვერარა კეთილისა საქმე წარემართების.  
ხოლო ლათინთა ყოველივე მოსპეს ეკლესიით და დაჰწსნნეს მამათა საზღუარი  
და კაცად-კაცადი შეუდგა განზრახვასა თვისსა და დაემონეს ნებასა თვისსა  
და მოიპოვეს ყოველი დაწსნილობა და ჯორციელი და არღარა არს მათ შორის  
არცა საეკლესიო გალობა და ქება დიდების მეტყუელებად უფლისა, არცა  
განწესებული ფსალმინება და ლოცვა და არცალა თვისაგან ლოცვა თვინიერ  
მამაო ჩუენოსა და წირვისა და იგიცა უკრძალველად და თვინიერ მოცემუ-  
ლისა წესისა, რომელი თვისსა ჟამსა იგიცა აღვსწერო.

(91v) პირველი იგი სიტყვისგება აღვსწერეთ, რა ლოცვისათვის მადლითა  
ქრისტესითა და ვთქუთ, რა იგი ჯერ იყო. ან ვთქუათ წმიდისა ჟამისწირ-  
ვისა საიდუმლოსათვის და წმიდისა ზიარებისათვის, თუ ვითარ ჩუენ მარ-  
თლმადიდებელნი ყოველნი აღმოსავლეთისა კერძონი ძუელითგანისა მოცე-  
მისაებრ და წმიდათა მოციქულთა განწესებისა და შვიდთა კრებათა მიერ  
დადებულისა საზღურისა მიერ აღვასრულებთ, ხოლო იგინი არცა ერთსა  
განწესებასა შეუდგან, არცა მოციქულთა, არცა შემდგომთა მათთა შვიდთა  
მსოფლიოთა კრებათა.

არამედ თვით თავით თვისით შემოიღებენ და დაანესებენ ყოველსავე მათ  
მიერ შემოღებულსა და დაწსიან ყოველსა საზღურსა მამათასა, რათა ძუ-  
ელითგანნი წმიდანი არღარა იწსენებოდენ, არცარა მათგან დადებულნი საზ-  
ღურნი იყოს ეკლესიასა შინა, არამედ ყოველსა ქუეყანასა პაპა იწსენებოდეს  
(92r) და მისისა კარდინალებისა განწესებული იყოს ყოველსავე ეკლესიას  
შინა, რამეთუ სხუათა მათ უწესობათა თანა ესეც დაწსნეს და სხუებრ შემ-  
ოიღეს, რათა წმიდათა მოციქულთაგან განწესებული წირვა და თვით მეუფისა  
ქრისტესგან არღარა იყოს და მისთა ღმრთისმეტყუელთაგან, არამედ მათგან  
და მათ მიერ განწესოს ყოველი“,

რამეთუ მღდელნი მათნი მას ღამესა, რომლითაცა სასიკუდინოთა ცოდ-  
ვითა შეიგინნენ და დაეცნენ, განთიად ჟამისწირვასა აღასრულებენ, უკეთუ  
ოდენ თქუან აღსარება და სხვა არღარას იქმან სინანულსა უფროსა ჟამსა  
უაღსარებოდცა, რამეთუ მარტო მღდელნი მათნი მიმოვლენ შორთა სოფელ-  
თა ქადაგად, რათა პაპის დაამტკიცონ, სადა ეპოების მათ მღდელი, რათა  
აღუარონ ცოდვა, დაღაცათუ იყოს სადამე მღდელი და აღუარონ ცოდვა, ვი-  
თარ იქმნების მას ღამესა დაცემულთა მიერ ცოდვითა მსხუერპლისა შეწირ-  
ვად, ანუ მიახლება სინმიდეთა, რამეთუ ეკლესია სრულიად განწმედლისა  
ეძიებს სამღდელოსა კაცსა განწესებისაებრ შვიდთა მსოფლიოთა კრებათასა  
და არა თუ შეგინებულსა და დლითიდლე მცოდველსა და კუალად დლითიდლე  
მწირველსა, რამეთუ საშინელ არს განუწმედელთა მიახლებად (92v) სინმიდე-



თა სიტყვისაებრ გრიგოლი ღმრთიმეტყუელისა და სხუათა წმიდათა, რამეთუ მოსე რაჟამს აღვიდოდა მთად, ემცნო, რათა წმიდა ყოს ერი არა მიახლებად ცოლთა თვისთა და განცხრად სამოსელთა და სხუა რაოდენნი წერილ არს გამოსვლათა შინა განწმედისათვის და ესრეთ მიახლებად მთასა მას, რომელსა ზედა გარდამოჭდა ღმერთი. და ეგრეთვე ლევიტელთა რაჟამს ებძანა მსახურება კრავისა და შინაგან სინმიდეთა და წმიდასა მას წმიდასა, შესდგა თუ რავდენი კრძალვანი და პირად-პირადნი განწმედანი ემცნობოდეს და ებრძანებოდეს და თუ ვინმე უღირსად და წარმდებად მიახლის, არა მცირედი პატიჟი მიეჭადის და სხვა მრავალი ამის პირისათვის წერილ არს საღმრთოთა შინა წერილთა, რომელნი სახე და აჩრდილ იყუნეს ახლისა ამის საიდუმლოსა და მსხუერპლისა საუფლოსა და და უკეთუ აჩრდილსა და სახესა ესეოდენი კრძალვა უჭმდა, რავდენ უმეტეს თვით ჭეშმარიტებასა და ახალსა საიდუმლოსა, ხოლო იგინი არცა ძუელისა წესისაებრ, არცა ახლისა აღთქუმისა მოციქულთა მოცებისაებრ, არამედ უკრძალველად და თვინიერ განწმედისა შეგინებულნი მასვე (93r) ჟამსა მიიახლებიან და ერის კაცთაცა მეუღლეთა მათთა თანა ყოფილთა და დედათა ჟამსა წიდოვანებისასა და სხუათაცა მრავლითა ბოროტითა შეგინებულთა მასვე დღესა უკეთუ თქუან აღსარება, მისცემენ ზიარებასა და საკურთხეველადცა აღიყუანენ ჟამსა წიდოვანებისასა, რომელი ესე ცხადად დაყენებულ არს ძუელსაცა შინა სჯულსა და ახალსა უმეტესად და ესრეთ წინააღმდგომ არიან ყოვლისასაღმრთოდ სჯულისდებისა, რამეთუ წერილ არს სჯულის კანონთა შინა ესრეთ წიდოვნისა დედაკაცისა (დიონოსის ვასილიდის მიმართ ებისტოლისაგან, თავი 2):

„ხოლო დედობრივითა წესითა სისხლმდენარეთა დედათათვის, უკეთუ უღირს მათ ესრეთ, რა იყუნენ შესლვა სახლსა ღმრთისასა, ნამეტნავ ჰვონებ კითხვასაცა, რამეთუ არცა მათგან ვირწმუნებ, განკრძალულნი თუ იყუნენ, რათამცა კადნიერ იქმნენ, ბუნებითსა რა შინა იყუნენ ვნებასა, ანუ წმიდისა ტრაპეზისა მომართ მოსლვად, ანუ ჯორცისა და სისხლისა ქრისტესისა შეხებად. ხოლო ლოცვად, ვითარცა ვინ იყოს და ვითარითაცა ვნებითა უფლებული მოხსენებად მეუფისა და თხოვად მის მიერისა შეწევნისა. აროდეს (93v) დაიყენების, ხოლო წმიდათა მიმართ და წმიდასა-წმიდათასა შესლვად არა თუ ყოვლითურთ წმიდა იყოს სულით და ჯორცით, არა ფლობილ იქმნების“ (ტიმოთე ალექსანდრიელის კანონი 7): „დედაკაცი, რაჟამს წესსა ზედა თვისსა იყოს წიდოვანებისასა, არა უჭმს ზიარება, ვიდრემდის არა განწმდეს“.

(ლავდიკიის კანონი 44) ვითარმედ: „არა ჯერ არს დედათა შესლვად საკურთხეველად“. ესე ყოველი ესრეთ წერილ არს და მამათა მიერ და კრებისა განწმედებული, ხოლო ესენი დაჰჰსნიან ამას ყოველსა და აღიყუანენ დედათა საკურთხეველად ჟამსა წიდოვანებისასა და სინმიდესა მისცემენ.

კუალად ჟამისწირვისა დღესა შინა ერთსა ტრაპეზსა ზედა მრავალგზის წირვენ და ერთი მღდელი დღესა შინა მრავალგზის შესწირავს ერთსა ტრა-

პეზსა ზედა და სადაცა და ვითარსა ადგილსა დაემთხვიოს სახლთა შინა გინათუ სხუასა რომელსამე ადგილსა ჟამისწირვისა საიდუმლოსა, რომელი ესე ვითარი უწესობა არა სადა სმენილ არს, არცა სადა პოვნილ საღმრთოთა წერილთა შინა, არცა ცხოვრებასა შინა წმიდათასა, არცა მოცემულ კრებათა მიერ, არცა თუ იშვით ვისგანმე ქმნილ, უფროსლა დაყენებულ და განგდებულ მამათა მიერ რათა(94r)მცა დღესა შინა ორგზის, გინათუ უმეტესცა ეწირა ჟამი, გინათუ უეკლესიოსა ადგილსა, ვითარცა იგინი ექმენ, რამეთუ მღდელნი მათნი მრავალგზის სწირავენ ერთსა დღესა შინა, ვითარცა ვთქუ, რამეთუ ოდეს ვისმე მღდელი არა ყუეს, ანუ სნეულებისა ძალით, წარსლვა სადავე ვერ ძალედვას, მივალს მღდელი და სახლთა შინა მათთა უწირავს ჟამსა და ეგრეთვე იგივე მღდელნი მასვე დღესა შინა კუალად სხუასა სახლსა და დაბასა მივალს და სწირავს რავდენტა უჭმს, ვიდრე მწუხრამდე და უკეთუ მრავალნი მღდელნი იყუნენ და არა რა იყოს საჭირო თვინიერ საუფლოსა შობისა დღისა მრავალგზის არა სწირავს. ხოლო მას დღესა თანამდებ არს, რათა კაცად-კაცადმან მათმან სამ-სამგზის შეწიროს მსხუერპლი და სამგზისვე ეზიაროს თითუეული მათი, გინათუ ეკლესიისა შინა, გინა თუ სახლთა შინა, ესრეთ ყოვლითურთ უცხო არს კათოლიკე ეკლესიისაგან ესევითარი წესი და უცხო წესთაგან მოციქულთა და ღმრთისმეტყუელთა მიერ მოცემისა, რამეთუ მოციქული პავლე იტყვის: „უკეთუ ჯერ ვიდრემე იყო მისა მრავალგზის ვნებად სოფლის დაბადებითგან, ხოლო აწ ერთგზის აღსასრულსა ჟამთასა შეურაცხისყოფად ცოდვათა მსხუერპლითა თვისითა გამოჩნდა და ვითარცა წინა უც კაცთა ერთგზის სიკვდილი მისა შემდგომად სასჯელი, ეგრეთცა ქრისტე ერთგზის შეწირა, მრავალთათვის ავოცად ცოდვათა“ (ებრაელა 9,26). ვითარცა დიდი ბასილი დასწერს და იტყვის, ვითარმედ: „არა ჯერ არსო დღესა შინა ერთსა ერთისა მღდლისა მიერ ორგზის, გინათუ უმრავლეს ჟამისწირვა, რამეთუ ქრისტემან ერთგზის ივნო და ჯუარს ეცვა ცოდვათა ჩუენთათვის დღესა შინა ერთსა და არა მრავალგზის, ხოლო რომელი დღესა შინა ერთსა მრავალგზის წირავს, მას არათუ ერთ(94v)გზის ჯუარცმული ქრისტე რწამს, არამედ მრავალგზის ვნებული და ესრეთ დაცემულ არს მართლის სარწმუნოებისაგან და არს იგი ურწმუნოთა უძუირეს“. ესრეთ არა სადა სმენილ არს, არცა სადა წერილ, თუმცა ორგზის ვისმე ეწირა, არცაღა ერთსა ტრაპეზსა ზედა ჯერ არს, ერთგზის რა აღსრულებულ იყოს მსხუერპლისა შეწირვა, რამთამცა სხუასა მღდელსა მასვე ტრაპეზსა ზედა ეწიროს უკეთუ ესე არა იქმნების, რათა ერთსა ტრაპეზსა ზედა სხუისა და სხვისა მღდლისა მიერ ერთსა დღესა შინა წირვა. მაშა ერთისა მღდლისა მიერ მრავალგზის ერთსა დღესა შინა წირვა ვითარღა იქმნების. და უკეთუ დიდი იგი მნათობი და ზეცისა საიდუმლოთა გამომეტყუელი ბასილი ესრეთ დასწერს და ესრეთ უსჯულოდ შეჭრაცხ, რომელნი ერთსა ტრაპეზსა ზედა ერთი მღდელი დღესა შინა ერთსა ორგზის წირვიდეს. ვინ არს მათ შორის სჯულისმდებელი და ესრეთ უსჯუ-

ლოდ განმანესებელი, რომელმან დაჯსნა წმიდათა მოციქულთა მიერ განსაზღურებული სჯული და დიდთა ღმრთისმეტყუელთაგან და ჭეშმარიტებული წესი. ვჰკითხოთ მათ, რომელმან კრებამან განუწესა, ანუ რომელმან წიგნმან მოსცა ესევეთარი წესი, გუაუწყონ, არამედ არა არს მათ შორის ესევეთარი ბრძენი, ანუ ფილასოფოსი, ანუ სჯულის(95r)მეცნიერი, ვითარმცა გუიჩუენეს, თუმცა სადა ვისმე წმიდათაგანსა ექმნა ესე, ვითარცა იგინი აღასრულებენ ჟამისწირვისა განწესებასა.

კუალად ესეცა უმსგავსო საქმე მათ შორის და არა მოცემულ წმიდათაგან, რამეთუ სწირვენ უეკლესიოდ და სადაცა დახვდეს და ვითარიცა ადგილი იყოს, გინათუ სახლთა შინა, გინათუ უსახლოდ, რამელი არცა ესე გვისწავიეს მამათაგან მოცემულად, არცა კრებისაგან დამტკიცებული, არამედ უფროსლა წინააღდგომ მათისა განწესებისა ისმინეთ, რამეთუ ლაოდიკიას ფრიგუისისა შეკრებული კრება ორასთა მამათა ესრეთ დასწერენ რიცხუსა შინა 50, ვითარმედ: „არა ჯერ არს სახლთა შინა ქმნა ჟამისწირვისა არცა ეპისკოპთა მიერ, არცა ხუცესთა“. და უკეთუ ქმნილ იყო, ოდესცა სახლთა შინა საეროთა წირვა, ანუ მოციქულთაგან მოსცემულ იყო, ანუ კრებათაგან, ანუ სხვისა ვისმე წმიდათაგან სმენილ იყო ესევეთარი საქმე. ვითარლა იკადრებდეს ლაოდიკიას შეკრებულნი მამანი მისა დაჯსნად ანუ შეცვალებად? არამედ უმესლა ამას დაამტკიცებდენ, რამეთუ წმიდანი მსოფლიონი კრებანი ანუ თუ ადგილადგილ ქმნილი შეკრებულნი ღმრთისმეტყუელნი მამანი პირველ ქმნილსა კრებასა ვერცა რას შემატებდეს, ვერცა რას მო(95v)აკლებდეს, არამედ უფროსად დაამტკიცებდეს და თუ სადამე წუალება აღდგებოდა, ანუ შემატება რამე იქნებოდა პირველდადებულისა საზღვრისა ანუ დაკლება, მას უკუარღუევდეს და მოციქულთა მიერ დადებულსა კანონსა და პირველისა ნიკიისა კრებისა საზღუარსა ზედა დაამტკიცებდეს და ესრეთ ყოველნი კრებანი ურთიერთას ერთჯმა არიან და ერთი მეორისა დამამტკიცებელნი. ხოლო მოსავნი პაპისანი ყოველისა კრებისა და მათ მიერისა განსაზღურებისა წინა აღდგომად და დამხსნელ არიან, უკეთუ საეროთა სახლთა შინა იქმნების წირვა ჟამის, და სადა და ვითარიცა ადგილი იყოს. მაშა რადლა საჯმარ არს ეკლესია, ანუ რასათვის დაამყარნეს და დააფუძნეს ყოველსა ქუეყანასა ზედა კათოლიკე ეკლესიანი და ადგილ-ადგილ მცირენი და დიდნი ეკლესიანი და სახლნი სალოცველნი, რომელ არიან და აღმართნეს მას შინა საკურთხეველნი, თუმცა ქმნილ იყო წირვა საეროთა სახლთა შინა, და უკეთუ ვჰკითხოთ მათ, თუ რასათვის იქმთ ამას და გარდაჯდებით საზღუარსა მამათასა და წირვისა საიდუმლოსა აღასრულებთ საეროთა სახლთა შინა, ხოლო იგინი მოგვიგებენ, ვითარმედ, საჭიროთა საქმეთათვის ვ(96r)იქმთო ამას, სადაცა არა იყოს ეკლესია, მისთვის ვსწირავთო, არამედ ტყუიან ამას, რამეთუ სადაცა უმრავლესი ეკლესია იყოს, მუნცა უმრავლესად სწირვენ სახლთა შინა და სადაცა ენებოსთ და ესრეთ არლარა იქმნების განყოფილება მათ შორის ეკლესიისა და საეროსა

სახლებისა. და უკეთუ საჭიროებისათვის უეკლესიოსა ადგილისა იქმნების ჟამისა წირვა საეროთა სახლთა შინა. მამა ერისკაცთაგანცა იქმნების ჟამისა წირვა და სხუისა საიდუმლოებისა აღსრულება და უკეთუ ესე არა იქმნების, არცა იგი იქმნების. და უკეთუ სადა არა იყოს აღმართებული საკურთხეველი და მღვდელთმთავართა მიერ კურთხეულ, მასზედა იქმნების საუფლოსა მსხუერპლისა შეწირვა. ესეცა იქმნების, რომელსა ზედა კურთხევა არა მისრულ იყოს და მღვდელთმთავართა მიერ ჴელნი არა დასხმულ იყოს ერისკაცნი, მათგანცა იქმნების ჟამისწირვა, ვითარცა იგი არა იქმნების, არცა ესე იქმნების. მოედით და მისვე განმანათლებელისა ჩუენისა წმიდისა ნინოს ცხოვრება მოწამედ მოვილოთ, ოდეს საბერძნეთით ეპისკოპოზნი და მღვდლნი მოიწინეს ქართლად, მას ჟამსა ახალ(96v)მოქცეულნი ქრისტიანენი დიდად რასმე სურვიელ იყუნეს წმიდისა ჟამისწირვისა ხილვასა და ზიარებასა, არამედ ვიდრე მცირე იგი ეკლესია არა აღაშენეს და საკურთხეველი არა აღმართეს, ვიდრე დღეინდელად დღემდე შენ არს მცხეთას ზემოსა საეპისკოპოზოსა ეკლესიასა აღმოსავლეთით კერძო, მუნამდე ჟამისწირვისა საიდუმლო ვერ აღასრულეს, ვერცა ერნი აზიარნეს და უკეთუ მათ წმიდათა ესეოდენთა საიდუმლოსა მიმართ წყურიელთა ერთათვის უეკლესიოდ მსხუერპლი საუფლო ვერ შეწირეს, ვითარ ჴელენიფების მღვდელსა უეკლესიოდ სახლთა შინა საეროთა ჟამისწირვა. და ვითარცა იგი ვერ იკადრა წმიდამან ნინო ნათლისცემა ახალ მოქცეულთა მის მიერ, ვიდრე საბერძნეთით არა ითხოვნა მღვდლნი, ეგრეთვე ვერცა მათ იკადრეს უეკლესიოდ ჟამისწირვა, ვიდრე არა აღმართეს საკურთხეველი და დაამყარეს ეკლესია და თუცა ქმნილ იყო სადავე, ანუ სმენილ იყო პირველითგან, იგინიცა აღასრულებდეს. რამეთუ ოდეს ქართველთა შეიწყნარეს ნათელი ჭეშმარიტების წმიდისა ნინოს ქადაგებითა, მას ჟამსა (97r) იყო რიცხუი წელთა ქრისტეს აქეთ სამას ათურამეტი და მასვე ჟამსა ქმნილ იყო კრებაცა იგი პირველი ნიკიას სამას ათურამეტთა მამათა ღმრთის მსახურისა მეფისა კოსტანტინეს მიერ დიდისა. ამისთვის მოვიწსენე ჟამი იგი, რამეთუ უკეთუ მის ჟამისა წმიდათა ეპისკოპოზთა და მღვდელთა და სანატრელმან მოციქულმან ნინო ვერა რა უმეტესი განწესებულისა იკადრეს აწინდელთა კაცთა მიერ, ვითარ ეგების მოკლებად ანუ შემატებად მათ მიერ დადებულისა საზღურისა, რომელი წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა სულითა წმიდითა განსაზღურეს და ჩუენ სჯულად დაგვისხეს. ხოლო იქმნების მცირედი რამე საეკლესიოსა წესისა შეცვალება, გინა თუ გალობისა, გინათუ ფსალმუნებისა, ხოლო სარწმუნოებისა და შვიდთა საიდუმლოთაგანისა და უმეტესად წირვისა და ნათლისღებისა საიდუმლოსა შინა შემატება, გინა მოკლება სრულიად დაქსნა არს და განქარვება სჯულისა და სარწმუნოებისა. ვითარცა იტყვის ქრისტე: „რომელმან დაქსნეს ერთი მცირეთა ამათგანი და ასწაოს ესრეთ კაცთა“ და კუალად: „იოტა ერთი გინა რქა ერთი სჯულისაგან და წინასწარმეტყუელთა არა წარჯდეს“. ან ვის მოიყვანებენ მოწამედ მოცი-

ქულსა, ანუ წინასწარმეტყუელსა, ანუ ვისმე დიდთა წმიდათაგანსა ვერვის მოიყვანებენ, თუ იყოფი, ვერავის, რომელიცა შვიდთა კრებვათა შემდგომად მათ მიერ ანუ დაქსნილ არს, ანუ შემატებული. ხოლო ჩუენ, რომელი სარწმუნოება გვიპყრიეს, ანუ საიდუმლონი დიდნი ყოველივე ქრისტესგან და წმიდათა მისთა მოციქულთაგან მოგუცემიეს, ხოლო დამქსნელი ამისი, ანუ შემატებული ვითარ არა დაისაჯოს, ანუ ვითარ არა განკუეთილად შეირაცხოს, რომელი მათ წმიდათა დასაჯეს და განკუეთეს. კუალად უცომოთა სეფითა წირვა მათი ხედავთ, თუ ვითარ აღასრულებენ, რამეთუ გარეშე არს იგიცა საზღუარსა მამათა მიერ მოცემისაგან და უცხო წესთაგან მართლმადიდებელთასა, რამეთუ ქრისტემან ღამესა მას სერობისასა პური აკურთხა და არა უცომონი, ვითარცა წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა, რამეთუ ოთხნივე მახარებელნი, ვითარცა ერთითა პირითა ჴმობენ ქრისტეს სიტყუასა და იტყვიან: „მოილო პური, მადლობდა, აკურთხა და განტეხა და თქუა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი“ და შემდგომი (მათე 26,26; მარკოზი 14,23; ლუკა 23,19; იოანე 6-48,50,51,58).

რამეთუ პური დაწერეს ოთხთავე და არა უცომოი, არცა ერთმან მახარებელთაგანმან და თუმცა უცომონი განეტეხა (97v) და მოციქულნი მით ეზიარებინა, მახარებელნიცა უცომოსა დასწერდეს და არა პურსა, რამეთუ ცომიანსა პური ეწოდების და არა უცომო, და უსაფუფროსა უცომო ეწოდების და არა პური. და არცა იყო წესი ჴურიათაგან, მაშინ ღამესა მას, რომელსა შინა ქრისტემან სერობა იგი აღასრულა უცომოსა ჭამისა, რამეთუ უწინარეს პასექისა ყო ქრისტემან სერობა იგი, ვითარცა წერილ არს. რამეთუ მათე და მარკოზი მახარებელნი ესრეთ დასწერენ: „პირველსა მას დღესა უცომობისასა“ (მათე 26,17; მარკოზი 14,13), რამეთუ ჴურიანი მაშინ დაიწყებდეს უცომოსა ჭამად, ოდეს პასექსა აღასრულებდეს, ხოლო ქრისტემან უწინარეს პასექისა განტეხა პური, ვითარცა ვთქუ და არა თუ უცომო, რამეთუ არცა იყო წესი მას ღამესა უცომოსა ჭამისა და მოციქულნიცა ეგრეთვე ჴყოფდეს, ვითარცა ქრისტესაგან იხილეს და ისწავეს არა ჴურიათაებრ ძუელისა მის და უძღურისა აწრდილისა და ჩუენცა ეგრეთვე განგუიწესეს, ვითარცა აწ ყოველი აღმოსავლეთისა ეკლესია აღასრულებს და ძუელითგანნი წინასწარმეტყუელნიცა და მამათმთავარნი ესრეთვე მოასწავებდეს, პურსა იტყოდეს ახლისა ამის საიდუმლოსათვის და არა თუ უცომოსა, რამეთუ მეღქმისედეკ მეფემან საღმისმან, რო(98r)მელ არს სახედ ჴემმარიტ ქრისტესა, ოდეს შეემთხუია აბრაჰამს, ვითარცა წერილ არს: პური და ღუინო მოართვა აბრაჰამს და აკურთხა იგი, პური წერილ არს და არა უცომო“. ეგრეთვე ლევიტელთა შინა წერილ არს: „ღმერთმან უბრძანა ძეთა ისრაილისათა, ვაკურთხო პური შენი, ღუინო შენი და წყალი შენი“. აქაცა პური აკურთხა და არა უცომონი, ღუინო და წყალი აკურთხა და არა მარტოდ ღუინო, თვინიერ წყლისა. კუალად იგავთა შინა წერილ არს: „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუე შეუდგნა

მას შუიდნი სუეტნი და დაუკლა თვისი იგი საკლველი და განაზავა ტაკუკთა თვისი იგი ლუინოი და განუმზადა თვისი იგი ტაბლა და წარავლინნა თვისნი მონანი მონოდებად მალლითა ქადაგებითა ტაკუკთა მათ ზედა და ჰრქუა: რომელ არს უგუნურთაგანი, მოიქეცინ ჩემდა“ და ნაკლულევანთა გონებითა ჰრქუა: „მოვედით და ჭამეთ პური ჩემი და სუთ ლუინო, რომელი განგიმზადე თქუენ და დაუტევეთ უგუნურება და სცხოვნდეთ“. იხილეთ აქაცა ცხადი და ჭემმარიტი წმიდისა ზიარებისა და წირვისა წინათვე მოსწავება და ჭემმარიტი გამოცხადება, რამეთუ აქაცა პური უბრძანა ჭამად და არა უცომონი, განზავებული წყლითა ტაკუკთა შინა ლუინო და არა უწყლო, რამეთუ ჩუენ, მართლმადიდებ(98v)ელთა, ეკლესიანი ესრეთ აღვასრულებთ და ესრედცა მოგუეცნეს პირველითგანვე ქრისტესთუალით მხილველთა და ჳელით მსახურთა მოციქულთა მიერ და მათ, ვითარცა ესწავეთ თვით თავადისა ქრისტესმიერგან და წინასწარმეტყუელთაგან ასმიოდათ პურისა შეწირვა და არა უცომოსა და განზავებულისა ლუინისა და არათუ უწყლოსი.

ხოლო ვინათგან სიტყამან ღმრთისამან ბუნება კაცთა სრულებით მიიღო: სული, ჳორცნი და გონება ეგრეთვე სრული და უნაკლულო პური განტეხა მარილითა და საფუვრითა შეზელილი და არა უცომო და სახედ მკუდრისა უსულო და უგუნებო. და მისცა მოციქულთა და უწოდა ჳორცად თვისად, რამეთუ პური იგი, რომელსა ვაკურთხევთ ბრძანებისაებრ უფლისა, ჭემმარიტად ჳორცად, მისა შეიცვალეების სრულად და უნაკლულოდ, რამეთუ საფუარი სახედ სულისა გულისჳმა იყოფების და მარილი სახედ გონებისა. რამეთუ, ვითარცა წინასწარ მეცნიერმან ყოვლისამან, ქრისტემან, უწყოდა წუალება იგი, რომელი გამოჩინებად იყო აპოლინარისი და მიმდგომთა მისთა, რომელნი იტყოდეს ჳორცთა ქრისტესთა უსულოდ და უგუნებოდ. ამისთვის სრული პური განტეხა და არა უცომო და უსრული და ესრეთცა ჳერ იყო, რამეთუ უწინარეს სჯულიერისა მის პასექისა ქმნა, რამეთუ არა იყო ჟამი უცომოსა ჭამისა. ამისთვის მან ცომოვანი პური განტეხა და თქუა: „ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა“. (99r) ამას ყოფდითო, რომელი ჩემგან იხილეთ და გესმა, არა თუ იგი, რომელი ჩემგან არა იხილეთ, არა გესმა,

ამისთვის განენესა ეკლესიასა შინა მიერთგან და ვიდრე აღსასრულამდე სრულისა და უნაკლულოსა პურისა შეწირვა საფუვრითა და მარილითა შეცხო-ბილი და არა უცომო და უმარილო, სახედ მკუდრისა უსულო და უგონებო, ვითარცა წინათვე მოასწავებდა დიდი მამათმთავარი იობ და იტყოდა: „იჭამებისა პური თვნიერ მარილისა?“ იხილეთ, ვითარ განკვრევით იტყვს დიდი იგი პირის დასაყოფელად მათდა, რომელნი უცომოსა და უმარილოსა შესწირვენ, არა თუ ლიტონისა პურისათვს იტყვს, არამედ საუფლოსა მისთვს პურისა იტყვის. ვითარმედ არა იქმნების, თუცაღა პური საფუარითა იყოს უმარილოდ, რამეთუ უკეთუ ლიტონისა პურისათვს ეთქვა, ვითარ ეგებოდა, რამეთუ მრავალთა ადგილთა შინა უმარილოსა პურისა ჭამენ და უმჯობესად შეურაცხეს.

არამედ ვითარცა ვთქუ, საუფლოსა პურისათვის იტყვის, რომელსა შევსნი-რავთ და შეუძლებელ არს უსაფუვროდ და უმარილოდ შეწირვა და არცა ერქმის სრული პური, რომელსა მარკოზ მახარებელი დასწერს ქრისტეს ბრძანებასა და იტყვის: „ყოველი შესაწირავი მარილითა დაიმარილოს, რამეთუ კეთილ არს მარილი“ (მარკოზი 9,49). და რომელნი უცომოთა და უმარილოთა აღასრულებენ მსხუერპლისა შეწირვასა მათ ჩუენთვის, განწორციელებული უფალი უსულოდ და უგუნებოდ რწამს და არა სრულად კაცთა ბუნებისა მიმღებულად სიტყვისაებრ წინასწარმეტყუელთა, ღმერთშემოსილთა მამათასა, რომელთა ამის პირისათვის მრავალნი სიტყუანი აღსწერნეს და დაგვიტევეს და ჩუენ ნამეტნავად ვჭკონეთ უმრავლესისა აღწერა, რათა არა სიმრავლე წერილთა საწყინო თქუენდა იქმნეს. ხოლო დიდითა განკვირვებითა დაკვრე-ბულ ვარ ამას, თუ ვითარ იტყვან ლათინნი უცომოსათჳს, ესე წესი მოციქულ-თაგან მოგუეცნეს, რათა უცომოთა ვსწირვიდეთ და არა ცომოვანითა, არა უწყი, რათა აღმოსავლეთისა ეკლესიანი ცომოვანი პური განუწესეს და ჩუენ უცომონი. არა უწყი, რა ვთქუა. წმიდანი მოციქულნი შევრაცხნე მტყუვრად და წმიდანი ღმრთისმეტყუელნი, რომელთა ესრეთ განგვიწესეს, ანუ იგინი, რომელნი ესრეთ აღასრულებენ, ხოლო ესე არცა ეგებოდა, თუმცა სხვათა სხვა წესი დაუსხნეს წმიდათა მოციქულთა და სხუათა სხუა სჯული დაუწესეს, და თუცა ჭეშმარიტსა იტყოდეს პაპის მოსავნი უცომოსათჳს, ესეოდენნი ღმრთისმეტყუელნი და რავდენ სახედ აღსწერენ სამხილებლად უცომოსათჳს ბოროტად მადიდებელთა მიმართ სომეხთა, რამეთუ მაშინ დიდი ერთობა იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და ხუთნივე პატრიარქნი ერთ ჳმა იყუნეს და ერთი სარწმუნოება, ვითარცა იკადრებდეს წმიდანი მამანი უცომოსათჳს მხილებად და წინა აღდგომად? ანუ ვითარ არა განსამართლებულად ჰრო-მაელთასა იტყოდეს, ვითარმედ მათ ესრეთ მიეცნეს და ჩუენ ესრეთ, არამედ ჩანს, რამეთუ არა ჭეშმარიტსა ატყვიან იგინი, არამედ უკანასკნელ ესეცა დავსწუათ, ვითარცა სხუანიცა წესნი მართლმადიდებლობისანი. კმა არს უცო-მოსათვის ესეოდენი ჩუენი მტყუელება, ამისთვის აქა დავაყენეთ და ან სხუისა პირისა მიმართ ვინყოთ აღწერად და სიტყვისგებად მათ და მიმართ, რომელნი ყოველსა წესსა ქრისტიანობისასა დაწსნიან და სხუასა რასმე შემოიღებენ.

ვინათგან წმიდისა საიდუმლოსათვის ვინყეთ მტყუელებად და საუფლო-სა მსხუერპლისა შეწირვა, ცხადად საცნაურ ვყავთ, რომელი ქრისტემან მეუ-ფემან განგუინესა. ან კულად წმიდისა ზიარებისათვის ვინყოთ, რომელსა ჩუენ, მართლმადიდებელნი მოვიდ(99v)ებთ ჳორცსა მას საუფლოსა და სისხლ-სა მას ცხოველსმყოფელსა და რომელნი ღირსებით და სარწმუნოებით მოვ-ლენან, მათცა ეგრეთვე ვაზიარებთ ჳორციითა და სისხლითა საუფლოთა. ხოლო მოსავნი პაპისნი არა ესრეთ ყოფენ, არამედ მღდელნი, რომელნიცა სწირვენ, მით ეზიარებიან, რომელიცა აქუსთ წინა დაგებული და ერისკაცთა სხუითა სეფითა აზიარებენ და არა მით, რომელსა თვით მიიღებენ, ხოლო სისხლსა მას

არა მისცემენ, არამედ სხუასა ლიტონსა ღუინოსა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, არცა წართქუმულ არს მას ზედა ლოცვა და არა მოიხსენებენ სიტყუასა მას უფლისასა, რომელსა ჳმობს: „დღითიდღე მიიღეთ და ჭამეთ ესე არს ჳორცი ჩუენი თქუენტვის განტეხილი მისატევეებლად ცოდვითა“ (მათე 26,26), მერმე მოილო სასუმელი და აკურთხა და მისცა მათ და თქუა: „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა მრავალთათვის დათხეული“. და მარკოზ ესრეთ დასწერს: „და ჭამდეს რა იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და ჰრქვა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჳორცი ჩემი და მოილო სასუმელი, ჳმადლობდა და მისცა მათ და სუეს მისგან ყოველთა და ჰრქვა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა სჯულისა მრავალთათვის დათხეული“ (მარკოზი 14,22). ხედავთა, ძმანო, (100r) საიდუმლოსა ამის ძალსა, თუ რასა ჳმობს ქრისტე, ვითარცა წინასწარმეცნიერი ყოვლისავე, რამეთუ ვითარცა სხუათა მათ ნუალებათათვის წინასწარ მოასწავა და ჰრქუა, ეგრეთვე წმიდათა საიდუმლოთათვის ჰრქუა და მოასწავა, რამეთუ უწყოდა ესეცა ნუალება უკანასკნელ შემოსვლად, რომელსა ან ლათინნი ჰყოფენ, რამეთუ მისცემენ ჳორცსა და არა სისხლსა. უფალმან მისცა რა პური, ჰქუა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჳორცი ჩემი“, ეგრეთვე მარკოზიცა იტყვის: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჳორცი ჩემი“. ხოლო სასუმელი, რა მისცა, ესრეთ ჰრქუ: „სუთ ამისგანი ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი“ და არა თქვა, ვითარცა პურისათვის, არამედ სისხლისათვის თქუა „სუთ ყოველთა“. ყოველთა ბრძანა და არა მარტოდ მღდელთათვის, ვითარცა პირველადცა თქუა უფალმან. ჰურიათა მიმართ ამის საიდუმლოსათვის ეტყოდა: ჰრქუა იესო: „ამენ, ამენ გეტყვი თქუენ: უკეთუ არა სჭამოთ ჳორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენტთა, ხოლო რომელი ჭამდეს ჳორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა, რამეთუ ჳორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს და რომელი ჭამდეს ჳორცსა ჩემსა და სუმიდეს (100v) სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მისთანა“ (იოანე 6, 53-56). ესე არს ბრძანება უფლისა: ძმანო, რომელი ესე ააღვსწერეთ, რამეთუ ზოგადად ყოველთა მორწმუნეთათვის ბრძანებს, ვითარცა მიღებასა პურისასა, ეგრეთვე სასმელისასა ჳორცად და სისხლად თვისად, ვითარცა მღდელთათვის, ეგრეთვე ზოგად ყოველთა მორწმუნეთა ერთათვის, რამეთუ შეუძლებელ არს დაჳსნად სიტყუა უფლისა, ვითარცა წერილ არს: „იოტა ერთი, გინა რქა ერთი“. კუალად იტყვის: „ცანი და ქუეყანა წარვიდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა სადა წარჳდეს“. რამეთუ იგი ბრძანებს: „ესე არს ჳორცი ჩემი და ესე არს სისხლი ჩემი და სუთ ამისგან ყოველთა და უკეთუ არა სჭამოთ ჳორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდესთ ცხოვრება“, ხოლო იგინი ამასცა დაჳსნიან, ვითარცა სხუათა ბრძანებათა და სჯულისდებათა მისთა და წინა აღუდგებიან ბრძანე-



ბასა მისსა და შემოიღებენ სხუასა და სხუასა სჯულსდებასა და იტყვიან, ვინათგან ჯორცი ქრისტესი ცოცხალი არსო. ცოცხალსა ჯორცსა სისხლიც ექმნებისო. ჰოი, დიდი უნესოება და კადნიერი წინა აღდგომა უფლისა. მან ესრეთ ბრძანა, ვითარცა ესერა ვრცელად აღვსწერეთ და პაპის მოსაენი ესრეთ ჰყოფენ. მისცემენ სუეფისკუერსა და მასცა უცომოსა და არა პურსა ბრძანებისაებრ უფლისა და სისხლისა ყოლადვე არა, არამედ ლიტონსა ლუინოსა ლიტონსა. ქრისტემან არა იცოდა ჯორცისა თვისისა არსება და ბუნება, თუცა სისხლი არს მას შინდა, ანუთუ არა და უკეთუ მეცნიერ ყოფილ იყო მარტო, (101r) ხოლო ჯორცსა ბრძანებდა და არა სისხლსა, არცა მოწაფეთა მისცემდა სისხლსა და ეტყოდა: „სუთ ამისგანი ყოველთა“, არამედ მხოლოდ პურსა მისცემდა და მასცა უცომოსა და ეტყოდა: „ესე არს ჯორცი და სისხლი ჩემიო“. ხოლო ამათ ახალთა ღმრთისმეტყუელთა და თავით თვისით გულისწმისმყოფელთა და არა უფლისმდებელთა უმჯობესად გულისწმა-ყუეს, ვიდრე ქრისტემან და მოციქულთა მისთაგანცა უმეტესი მეცნიერება მოიპოეს და თქუეს: ჯორცი უსისხლოდ არა იქმნებისო და მოსპეს წმიდისა საიდუმლოსაგან სისხლი იგი ცხოველსმყოფელი. რამეთუ წინა დაგებული იგი პური და ლუინო, რაჟამს იქმნას სიტყვთა ღმრთისათა და კურთხევითა სისხლად და ჯორცად. მარტო პური არა იქმნების ჯორცად და სისხლად, არცა მარტოდ ლუინო იქმნების სისხლად და ჯორცად, არამედ პური იგი შეიცვალეების ჯორცად და ლუინო იგი შეიცვალეების სისხლად, ვითარცა ქრისტემან მისცა თვის-თ ისად, პურსა მას უწოდა ჯორცად და ღვინოსა სისხლად და ეგრეთ აზიარნა მოწაფენი თვსნი და სჯულად დაუსხნა პურისა უბრძანა: „ესე არს ჯორცი ჩემიო თქუენთვს განტეხილი“ და ღვინისა ბრძანა: „ესე არს სისხლი ჩემი თქუენთვს და მრავალთათვს დათხეული“. ყოველთათვს ბრძანა, ვითარცა ვიტყოდე და არა მარტო მღდელთათვს და უკეთუ ორივე ჯორცი და სისხლი ერთსა შინა არს სიტყვისაებრ მათისა, თანა აც მღდელთაცა, რათა არცალა იგინი ეზიარნენ სისხლითა ქრისტესითა, არამედ მხოლოდ სეფითა და უკეთუ ჯორცი უსისხლოდ არა იქმნების, არცალა ზედაშე იქმნების თვინიერ წყლისა, რამეთუ ყურძენი წყლითა მოიწვევილი და წუმითა განიპოხების და ესრეთ არა არს უწყლო და მოსპეთ წყალიცა წმიდისა ზიარებისაგან, ვითარცა სუეფისკუერი-საგან განაშორეთ საფუარი და მარილი და ჯორცისაგან სისხლი. ეგერთვე სისხლისაგან წყალი და იქმნენით უძუირეს ყოველთა მწუალებელთა და მე ვჰგონებ, ვითარმედ იქმნებისცა ეგრეთ, მცირედლა და მოისპოს წყალიცა სისხლისაგან (101v). რამეთუ რავდენსაცა თავით თვისით გულისწმა ყოფენ კარდინელები და აუნყებენ პაპასა, მასცა განანესებენ და სჯულუდებენ ერთა და კუალად სხუასა გულისწმებენ და სხუასა განანესებენ. ამისთვის აყუედრებს წინასწარმეტყელი ესაია, იტყვის: „ვითარცა თავით თვისით გულისწმისმყოფელთა და წინაშე მასთა მეცნიერთა“ და შემდგომი, რამეთუ მათ დაჰწესნეს ყოველნი საზღუარი მამათა და შეურაცხყვეს მოციქულთა მიერ

განსაზღვრებული კანონი, რომელი მათ ქრისტესაგან იხილეს და ესმა და ჩუენ სჯულად დაგუისხნეს და მოგუცნეს. ამისთვის მტკიცედ ჳმობენ წმიდანი მოციქულნი და იტყვიან: „გინათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი მიიღეთ ჩუენგან, შეჩუენებულ იყავნ“. ამის მიზეზისთვის, ვინადგან იხილეს მრავალთა მცნებათა და სჯულისდებათა სამეუფოთა დამჳსნელნი და ყოველსა საზლუარსა და კანონთა მამათასა შემცვალეებელნი, პაპადა ყოველნი მორჩილნი მისნი უმრავლესთა ქუეყანათა დასავლეთისათა დიდ-დიდთა სამეფოთა და თემთა არლარა დაემორჩილნეს პაპასა, არცალა შეინყნარეს სჯულისდება მისი, არამედ განიზრახეს და თქუეს, ვინათგან მათ შეურაცხყუნეს და დაჳნეს ყოველი კანონი და საზლუარნი მამათანიო, რომელნი მოგუეცნეს აღმოსავლეთით, ნუცალა ჩუენ დავემორჩილებით. ამისთვის გან(102r)დგეს და იქმნეს თავისა თვისისა სჯულისმდებელ, ხოლო სარწმუნოება წმიდისა სამებისა და განჳორციელება სიტყვისა ღმრთისა ორითა ბუნებითა, ვითარცა ძუელითგან ესნავა, იგივე უპყრიეს, ხოლო საზლუარნი და წესნი მამათანი მათცა სრულად დაჳსნეს, არცალა პაპისა სჯულისდება შეინყნარეს ზემო წერილისა მიზეზისათვის, არცა ძუელითგანსა წესსა ზედა დაადგრეს, არამედ ანცა იტყვიან: უკეთუ პაპა ჳრომისა ძუელითგანსა წესსა იპყრობს და შეერთების აღმოსავლეთისა ეკლესიასა, ჩუენცა მასვე წესსა ზედა ვეგებითო და დავემორჩილებითო პაპასაო. ხოლო უკეთუ იგი ურჩ არს, ჩუენცა ურჩ ქმნილ ვართ, არამედ მოსავნი პაპისანი იტყვიან: ერთმან მათგანმან მეფემან მეორისა ცოლისა შენდობა ითხოვა და პაპისაგან ვერ მიემთხუია შენდობასა და მისთვის იქმნა მათი განდგომილებაო. არამედ მე ვჳგონებ, ვითარმედ ნაცილ არს ესე სიტყვა, რამეთუ ზემო წერილისა მიზეზისათვის იქმნა განდგომილება მათი, უკეთუ ესე არა ვითარ მეფე ლალი და თავსუფალი ვითარ ითხოვდა ერთისა გულისთქუმისა ძალით შეპყრობილი მეორისა ცოლისა შერთვასა და არა მყის იქორწინებდა და უკეთუ იგი ითხოვდა შენ(102v)დობასა, ესენიცა მიანიჭებდეს, რამეთუ ყოველივე ადვილად შეურაცხიეს მათ წინაშე დასაჳსნელად, ვითარცა სხუანიცა სჯულისდებანი ქრისტესნი, არამედ ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, სადა იგი დაუტევეთ: რასათვის არა აზიარებენ ერთა, ვითარცა თვით მიიღებენ, ეგრეთცა ჯერ არს მათიცა ზიარება, რამეთუ ქრისტე მეუფე არა მარტო მღდელთა და ლევიტელთათვის მოვიდა, არამედ ყოველთა ერთათვის: დიდთა და მცირედთათვის, მართალთა და ცოდვილთათვის და უფროსად ცოდვილთათვის, ბრძანებისაებრ მისისა: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“. უკეთუ მართლად და უცოდველად შეურაცხეს ყოველნი ქრისტიანნი, რასათვის უჭერენ სისხლსა საუფლოსა და პირველად ერისკაცთა არა აზიარებენ, რამეთუ იგინი უმეტეს ღირს იქმნებიან, ხოლო უკეთუ ცოდვილ არიან, ღმერთმან ცოდვილთათვის და რადლა აყენებენ ზიარებად ახსარებისა და სინანულისა მიერ და უკეთუ დღესა სიკუდილისასა აზიარებენ, სისხლთაცა მაშა

სიცოცხლესა შინა რასათვისდა აყენებენ, ესე ტყუილ იქმნების და ურგებ და თუ ესე კეთილ არს და ჭეშმარიტ, იგი თურმე ნაცილ არს და ურგებ. არამედ მე ჰვეგონებ, ვითარმედ მოპოვნებულსა რასმე ღონესა იწუმევენ შე(103r)სა-ტყუებულად ერისა, რამეთუ ვერ ძალუც ვნებათა მიმართ დაპყრობად თავთა თვსთა, ვერცა მორჩილთა მათთა და ყოველთა უნესობათა მიმართ წარვსნილ არიან. ამისთვის მიუშვეს ყოველი კაცი ნებასა მათსა და ერთი რამე სახე ად-ვილი და უსრული განუწესეს გარეშე მოციქულის წესისა ქრისტესაგან და მოციქულთა მისთა შესატყუებლად ერისა, რათა არა იგინცა განდგომილ იქმნენ, ვითარცა სხუანი იგი ქუეყანანი და იქმნენ მტერ და მაგინებელ პაპისა, არამედ მხოლოდ ოდენ პაპისა ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღმსარე-ბელთა სხუა სჯულიერი და ქრისტეს ბრძანებანი არღარა ეთხოვებოდენ, არცა სრული ზიარება, არცა სრული ნათლისღება, არცა საზღუარი მარხვისა, არცა წესი ლოცვისა და არცაღა სხუა იწროსა და საჭირველისა გზისა საგრობანი ბრძანებისაებრ უფლისა მიმეყანებელი ცხოვრებად საუკუნოდ.

კულად ამისცა იქმენ სხუათა თანა უნესობათა, რამეთუ უსრულთა და უსაკოთა ყრმათა არა აზიარებენ. ვჰკითხოთ, რა ამის მიზეზისათვის გუეტყვან, ვითარმედ: უსრულოებისათვის ჰასაკისა ვერ გულისვმაყოფენო საიდუმლოსა ამის ძალსაო. ჰოი, დიდი უგუნურება და უმსგავსო სიტყვა მათი. მათ უწმობენ უგნურად და უჰასაკოდ და ამათ ჰასაკსა შინა სრულსა ცნობა (103v) მამაკაცობრივი ვერ შეიმოსეს, რამეთუ ღმრთისა ჩუენდა მომართ ურიცხუთა მონყალებათა და ზეშთა სახიერებათა თავი და დასაბამი ნათლის-ღება არს დიდთა საიდუმლოთა სრულმყოფელი, უკეთუ მას არა დააყენებენ, არამედ მსწრაფლ მიანიჭებენ, ვიდრე ჩჩუილიდა იყოს და ოდეს დაეყოვნოს საშოსა შინა დედისა გამოსლვაჲ, ვიდრე საშოსა შინა იყოს მუნ მცირესა წყ-ალსა ჰყურებისა მიერ, ანუ შეხებისა ნათლსცემენ. მან ვითარ შეერაცხოს ნათლისღებად, ხოლო ჩუენდა მოცემულ არს ძუელითგანითა განწესებითა, რათა ჩჩუილთა ყრმათა სამგზის დაფლვითა წყალთა შინა სახელსა ზედა მამი-სა და ძისა და სულისა წმიდისასა ნათელვსცემდეთ და ჭმნისა სიტყუასა და აღსარებასა სარწმუნოებისასა ყრმისა ნაცვლად ამქმელი იგი იტყვის სარწმუ-ნობით და ყოველი იგი თქმული ჩჩუილისა მის ყრმისად შეირაცხების. ეგრეთვე წმიდასა საიდუმლოსა ვაზიარებთ ჯორცსა და სისხლსა საუფლოსა და თანაზიარ ქრისტესა ჰვეყოფთ და ასოდ მისა განუკუთნებთ სიტყვისაებრ მოც(104r)იქულისა: „ძმანო, თქუენ ხართ ჯორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანი“ (1 კორინთელთა 12,27). ესრეთ ასოდ ქრისტესა იქმნების და ნუ გიკუირს ესე, რამეთუ უსრული არს და ვერ აგრძნობს, რამეთუ ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს და ესრეთცა ნებავს და ესრეთცა იქმს, რათა ყოველნივე ასო მისა იქმნენ: სრულნიცა და უსრულნი, ჰასაკოვანი და უსა-კონი, რამეთუ ჯორციელს შობასა თანამიანიჭებს სულიერსა შობასა წყლისა მიერ და სულისა, ეგრეთვე ჯორციელსა საზარდელსა თანამიანიჭებს სული-

ერსა საზრდელსა: ჴორცსა და სისხლსა თვისსა და იზიარებს სუფევასათჳს. ვითარცა იტყვის მოციქული პავლე: „აჰა, ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან, რამეთუ ყრმათაცა ეზიარა ჴორცითა და სისხლითა“ (ებრაელთა მიმართ 3,13), ამისთვისცა ჯერ არს უმეტესად უმანკოთა და ჩრჴილთა ყრმათა დაუბრკოლებლად ზიარებად ჴორცსა და სისხლსა უფლისასა, რათა თანა ზიარ ქრისტესა იქმნენ და ასო გუამისა მისისა, ვითარცა თვით თავადიცა შეინყნარებდა სიხარულით ჩრჴილთა ყრმათა, მკლავთა მიიქუმიდა და აკურთხევდა და ეტყოდა, რომელნი აყენებდეს მისა მიმართ მისლვად: „ნუ აყენებთ მაგათ ჩემდა მომართ მოსლვად, რამეთუ ეგევითრათა არს სასუფეველი ცათა“ და „უკეთუ არა იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე 18,16) და „რომელმან შეინყნაროს ესევითარი ყრმა, მე შემიწყნარებს“ (მარკოზი 9,36-327) და შემდგომი. ხოლო თქუენ რასათვის დააბრკოლებთ უმაკოთა ყრ(104v)მათა და არა ზიარ ჰყოფთ ქრისტესა თანა, არცა ასოდ მისა განუკუთვნებთ. არა გესმისთა ბრძანება იგი ქრისტესი: „რომელმან დააბრკოლოს ესევითარი ყრმა“ და კუალად: „ნუ აყენებთ მათ ჩემდა მომართ მოსლვად“, ხოლო თქუენ კეთილად შეგირაცხიესთ დაბრკოლება ყრმათა. არა გესმისთა: „ეგევითართა არს სასუფეველი ცათა“? ეგევითართა არსო უმანკოთა და უცოდველთა, არათუ ცოდვილთა და ბოროტთა შინა განფრდილთა და დაძუელებულთა. ამათ მისცემთ უხრწნელთა საიდუმლოთა და მათ კი აყენებთ მას ღამესა შინა, რომელსა შინა მრავალნი და დიდნი ბოროტნი ექმნენ, განთიად ზიარებასა მისცემთ და უმანკოთა და ჩრჴილთა ყრმათა დააკლებთ ზიარებისგან. მათი ჯერ იყო სინანულითა და მრავლითა ცრემლითა და ოფლითა განწმედა და მერმელა მიახლება საიდუმლოთა, ხოლო ამათი დაუბრკოლებელ ყოფა და მიცემა წმიდათა საიდუმლოთა. ამათთვის და მსგავსთა ამათთა ჴმობს ქრისტე ღმერთი: „რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მის თანა“, ხოლო მათთვის იტყვის მოციქული პავლე: „რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასმელსა ამ(105r)ას უფლისასა უღირსებით, უფლისა თანამდებ არს იგი ჴორცსა და სისხლსა უფლისასა, ხოლო რომელი არა ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასასჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს“ (1 კორინთელთა 11,27). ხედავთა, რამეთუ უღირსად ზიარება დასასჯელ არს და წარმწყმედელ და თანამდებ ყოფს ჴორცსა და სისხლსა უფლისასა. ამისთვის არა ჯერ არს განუწმედელთა მიახლებად სინმიდეთა და პირველ აღსარებისა და ჯეროვნისა სინანულისა ზიარებად წმიდათა საიდუმლოთა ჴორცსა და სისხლსა უფლისასა. ვითარცა სტომაქი სენიანი და ხამში ვერ შეინყნარებს სრულსა და მრთელთათვის შემზადებულსა საზრდელსა, არამედ უმეტეს აღმაორძინებელ სენისა და სიხამისა ექმნების, ეგრეთვე მრავალთა ცოდვათა მიერ დასნეულებული სული და თითო სახეთა ვნებათაგა შეპყრობილი და ძლეული, რაჴამს მიიახლოს ცეცხლსა საღმრთოსა უმეტეს დაისჯების და განუმრავლ-

დების ვნებანი, არათუ მოკლება იქმნება ვნებათა, არამედ განმრავლება. ვითარცა ექმნა იუდას, რამეთუ ვინათგან ბოროტი იგი ანგარება და სიყვარული საფასეთა, შური და ზაკუა გულსა ედვა და იგი არა განაქიქა, არცა შეინანა, არა(105v)მედ ესრეთ წარმდებად და ურცხუინოდ მიიღო ზიარება, ამისთვის განვარდა და უმეტეს დაისაჯა. ხოლო უმანკონი იგი და სანატრელნი წმიდანი მოციქულნი ეზიარნეს რა და ღირს იქმნეს მიღებად ჯორცსა და სისხლსა უფლისასა, უმეტეს განათლდეს და უზეშთაესთა მადლთა ღირს იქმნეს. ხოლო ვაი, უღირსად ზიარება და შეუნანებლად მიახლება საღმრთოთა სინმიდეთა. ვაი შორს ყოფა ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა და მისგან დაკლება, რამეთუ ორივე წარმწყმედელ არს და დამსჯელ: ერთი იგი უღირსად მიახლებისთვის, მეორე – უდებებით დამორებისათვის, რამეთუ ბოროტ არს უღირსად ზიარება, ხოლო უბოროტეს არს სრულიად მისგან დაკლება: ერთი იგი დასჯის და ცეცხლად საუკუნოდ წარავლენს, მეორე იგი სრულიად ცხოვრებისაგან დაკლებულ ყოფს. რამეთუ ქრისტე ბრძანებს: „უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი. არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენტა და რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა“. ამისთვის ძნელ არს მისგან დაკლება, რამეთუ თვნიერ მისა ცხოვრება შეუძლებელ არს, რამეთუ ვითარცა შეუძლებელ არს უნათლავათავს ცხოვრებაჲ, ეგრეთვე შეუძლებელ (106r) არს, ვითარცა ნათლისღებისათვის ჯმობს: „უკეთუ არა იშვეთ წყლისაგან და სულისა ვერ ჯელგენიფების შესლვად სასუფეველსა ცათასა“, ეგრეთვე წმიდისა ზიარებისათვის ბრძანებს: „უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენტა“. ხოლო პავლე მოციქული ჯმობს ქრისტესა მაგიერ: „რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასმელსა ამას უფლისასა უღირსებით უფლისა, თანამდებ არს იგი ჯორცსა და სისხლსა უფლისასა“. იხილეთ, რამეთუ ჯმობს მოციქული, თანამდებ არსო ჯორცისა და სისხლისა უფლისასა, თანა მდებარსო იგი ჯორცსა და სისხლსა უფლისასა, ვითარცა იუდა განმცემელი, რამეთუ მსგავსად მისა ზედა აც სისხლი და ჯორცი უფლისა და ვერღარა შემძლებელ არს საუკუნოდ გარდაჯდად, უკეთუ აქავე არა შეინანოს. ხოლო იტყვის, გამო-ლა-იცადენო კაცად-კაცადმან მან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმლისა მისგანი სუნ. ესე იგი არს, განიხილენ კაცად-კაცადმან თავი თვისი და გულისჯმა ყავნ ცოდვა თვისი ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვითნი და საქმითნი. აღუარონ ღმრთისა და მოძღუარსა და დაფარულნი გულისა თვისისანი განაქიქონ და წამალი სინანულისა შეიწყნარენ შემსგავსებული ცოდვისა მისისა (106v) და მერმელა შიშით და ძრწოლით და სარწმუნოებითა მჭურვალითა მიიახლენ საიდუმლოთა ქრისტესთა სისხლსა და ჯორცსა ცხოველსმყოფელთა. ხოლო მოსავნი პაპისანი იტყვიან, არათუ უღირსებასა ზედა იტყვისო ამას მოციქულიო, თუ სარწმუნოება აქუნდეს, ჯმა ეყოფისო, გინათუ

ცოდვილი იყოს, ანუ მართალი სხუა არღარა ეთხოვების რაო. ამას ჩუენცა ესრეთ აღვიარებთ, ვითარმედ: სარწმუნოება მტკიცე და უცვალებელი უწმს, რათა ჰრწმენეს კაცსა შეუორგულებლად, თვინიერ ყოვლისა იჭვისა ჴორცად და სისხლად ქრისტეს მეუფისა და ვითარმედ იგი არს თვით საუფლო ჴორცი მისი და თვით საუფლო სისხლი მისი და ვითარმედ ძალუც მოტევება ცოდვათა და მოვემა ცხოვრებისა საუკუნოსა. არამედ სარწმუნოება თვინიერ საქმეთა კეთილთა მკუდარ არს, ვითარცა იგი საქმენი კეთილნი თვინიერ სარწმუნოებისა სიტყვისაებრ იაკობ მოციქულისა: „რა სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკეთუ ვინმე თქუას, სარწმუნოება მაქუს და საქმენი არა ჰქონდინ. ნუ ძალუც მეა სარწმუნოებასა ცხოვრებად მისა“. და კუალად იტყვის: „შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთ, ღმერთი კეთილად იქმ და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მი(107r)სგან“ (კათოლიკე იაკობისი 2,14; 2,19). გნებავსა ცნობად, ჰოი, კაცო ამაოო, რამეთუ სარწმუნოება თვინიერ საქმესა, მკვდარ არს, რამეთუ არცა რად კეთილნი საქმენი საჭმარ არიან, უკეთუ არა სარწმუნოებით იყოს, არცა სარწმუნოება უსაქმო შემძლებელ არს რასამე, არამედ ორივე ჯერ არს მოგებად. სარწმუნოება სრული და საქმენი კეთილნი და ესრეთ მიახლებად და მოღებად ჴორცსა და სისხლსა ცხოველმყოფელთა. არა მარტოდ ჴორცისა, არამედ სისხლსაცა სიტყვისაებრ უფლისა: „უკეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი“. და შემდგომი. და კუალად: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი და სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი“ და მოციქული იტყვის: „რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასმელსა ამას უფლისასა“. და შემდგომი. და კუალად იტყვის: „სასუმელი ესე კურთხევისა, რომელ ვაკუთხეთ, არამე ზიარება სისხლთა ქრისტესთა არსა ამას, რომელსა განვტეხვთ, არამე ზიარება ჴორცთა ქრისტესთა არსა“ (1 კორინთელთა 10,16). და ესრეთ ყოველგან საღმრთოთა წერილთა შინა ჴორცი წერილ არს და სისხლი და არა მარტოდ ჴორცი, არცა სისხლი, არამედ სისხლი და ჴორცი, რომელსა ღირმსცა ვართ (107v) დაუსჯელად მოღებად მაღლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესოს ქრისტესითა, რომელსა შუენის ყოველი დიდება თანადაუსაბამოთ მამით და ყოვლადწმინდით სახიერით და ცხოველმყოფელით სულიერიითურთ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

კუალად ერთი ესე არს ჩუენსა და ლათინთა შორის საცილებელი და მიზეზი უმიზეზო, რამეთუ იტყვიან წმიდათა საიდუმლოთათვის, ვითარმედ რაჭამს იტყოდის მღდელი სიტყვასა მას უფლისასა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი და ესე არს სისხლი ჩემი. მყის შეიცვლების ჴორცად და სისხლად უფლისადო და არღარა საჭმარ არსო მღდლისა მიერ მოწოდება სულისა წმიდისაო, არცა კურთხევა და ჯვარისწერა. ხოლო ჩუენ ესრეთ ვიტყვით, რა არს ესეოდენი ცილება და წინა აღდგომა სამეუფოისა ბრძანებისა, ვის არა ჰრწამს ესრეთ და ვინ არა აღიარებს, ვითარმედ, სიტყვა იგი ღმრთისა არს

შემცვალელებელი ჯორცად და სისხლად, რომელი იგი მაშინ ქორსა მას დიდებულსა სიონისასა თქუა და იქმნეს, ბრძანა და შეიცვალნეს პური ჯორცად და ლუინო სისხლად. რამეთუ იგივე (108r) უფალი იყო, რომელმან თქუა დასაბამსა: „იყავნ ნათელი და იყო ნათელი“ და ყოველივე სიტყვითა უფლისათა იქმნეს, არამედ არა თვინიერ სულისა წმიდისად, ვითარცა წერილ არს: „სიტყვითა უფლისათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა წმიდითა პირისა მისისათა – ყოველი ძალი მათი“, რამეთუ რავდენსა მამა იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს, ეგრეთვე სული წმიდა და რაოდენსა ძე იქმს, მას მამა და ძე იქმს. განუყოფლობისათვის ბუნებისა და არსებისა ნებისა და განზრახვისა. ამისთვის მღვდელი, რაჟამს იტყოდის სიტყუასა მას ქრისტესა, მყის ხადის უხილავსა მამასა და მოუწოდს სულსა წმიდასა და აკურთხევს წინამდებარესა მას საიდუმლოსა, რამეთუ ქრისტეცა, რაჟამს ენება განტეხად პური იგი, მადლობდა ღმერთსა და მამასა და მოუწოდდა სულსა წმიდასა, ვითარცა წერილ არს სამთავე მახარებელთა მიერ, რამეთუ მოილო პური, მადლობდა, აკურთხა და განტეხა. ეგრეთვე სასმელსა ზედა ქმნა, რამეთუ ბუნებითა ღმრთაებისათა განუყოფელ იყო და განუშორებელი მამისა და სულისა წმიდისა, არამედ რასათვის მადლობდა და ვისა მიმართ (108v) ილოცვიდა, რომელი იგი მარადის მის თანა იყო განუშორებელად, ვითარცა მზისაგან ნათელი და ცეცხლისაგან სიტფო, ეგრეთვე მამისაგან ძე და სული, არამედ ბუნებითა ჩუენითა ილოცვიდა და მადლობდა და ყოველსავე ბუნებითა ჩუენითა იქმოდა და ჩუენ შეგვერაცხა მისი იგი ლოცვა და სახე და მაგალით გუექმნა, რათა ჩუენცა ვმადლობდეთ, რაჟამს სამღდელოსა მას მსახურებასა აღვასრულებდეთ, ღმერთსა და მამასა და სიტყუასა მას ქრისტესასა ვიტყოდით და მერმე სულსა წმიდასა მოუწოდდეთ, რამეთუ ესრეთ გვისწავიეს წმიდათა მოციქულთაგან და ესრეთ მოგუცემიეს ღმერთშემოსილთა მამათაგან. ხოლო პაპის მოსავთა ესეცა აწოცეს და დაწსნეს და არღარა ხადიან სულსა წმიდასა მსხუერპლსა მას ზედა საუფლოსა, რამეთუ რაჟამს ხადოს მღდელმან სულსა წმიდასა, მაშინ სრულ იქმნების და შეიცვალეების ჯორცად და სისხლად და ნუვინ იტყვის ამას, თუ ქრისტეს ბრძანება ვერ შესცვლისო და მღდლისა სიტყვა, ვითარ სრულ იქმსო. რასაკვირველ არს ესე, რამეთუ ქრისტემან მოსცა ესევეთარი ჴელმწიფება კაცთა, რათა ყოველსავე საიდუმლოსა ხილულად სიტყუა და ჴელნი მღდლისანი სრულ იქმოდენ (109r) ხილულად პირი და ჴელნი მღდლისანი იქმოდენ და უხილავად ბრძანება ქრისტესი და მადლი სულისა სრულ ყოფდეს სიტყუასა მასცა ქრისტესა: „მიიღეთ და ჭამეთ და სუთ ამიგანი ყოველთა“. ამასცა მღდელი იტყვის და მერმე სულს წმიდასაცა მღდელი მოუწოდს და სრულ იქმნების, რამეთუ რაჟამს ინება განჯორციელება სიტყუამან ღმრთისამან მუცელსა შინა ქალწულისა მარიამისა, ინება შემზადება ჴორცისა და სისხლისა თვისისა, მოუვლინა ჩაბრიელ ანგელოზი და ჰრქვა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა“. მიუგო მარიამ: „ვითარცა იყოს ესე ჩემდა,

რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი“, მიუგო ანგელოზმან: „სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა“. მყის იქმნა შემზადება ჯორცთა ქრისტესთა და ყოველივე საიდუმლო სრულ იქმნა. ესრეთ იქმნების მსხუერპლისაცა მას ზედა საიდუმლოსასა, რამეთუ მღდელი სახედ ანგელოზისა იტყვის სიტყუასა ქრისტესა და მოუწოდეს სულსა წმიდასა და სრულ იქმნების ჯორცი და სისხლი ქრისტესი. ამისთვის განანესეს წმიდათა მოციქულთა და სანატრელთა მღდელთმოდღვართა, ვითარცა ქრისტესაგან ისწავეს და ჩუენ მათსა წესსა ზედა ვდგევართ (109v) და მათსა კუალსა შედგომილ ვართ, ხოლო ლათინთა ყოველი დაუტევებიეს მათი განწესებული და არცალა მათი წირვისა წესი უპყრესთ. რამეთუ იაკობ მოციქული, ძმა უფლისა, მარკოზ მახარებელი, კლიმი ჰრომაელი, ბასილი და ოქროპირი. ესენი დაამტკიცებენ ბრწყინვალედ და ისმინეთ, თუ რასა იტყვიან ყოველივე ერთჯმობით და ვითარცა ერთითა პირითა. იაკობ უკუე იტყუის შემდგომად სიტყუისა მის საუფლოსა: „შეგვინყალენ ჩუენ ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, შეგვინყალენ ჩუენ ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, შეგვინყალენ ჩუენ დიდითა წყალობითა შენითა და გარდამოავლინე ჩუენ ზედა და წინა მდებარესა ამას ძღუენსა ზედა სული შენი წმიდა, უფალი და ცხოველსყოფელი და თანაარსი, შენ, ღმრთისა და მამისა და მხოლოდ შობილისა ძისა შენისა. ერთ ჴელმწიფობით თანასწორი, უხილავი, ვითარცა თქუეს სჯულსა შინა წინასწარმეტყუელთა, ხოლო ახალსა აღთქუმასა შინა გარდამოჴდა სახითა ტრედისათა უფალსა ჩუენსა ზედა იესუ ქრისტესა იორდანესა მდინარესა და დაადგრა მას ზედა, რომელი გარდამოჴდა მოციქულთა შენთა ზედა სახითა ცეცხლისა ენათათა წმიდასა და (110r) დიდებულსა სიონსა შინა, დღესა მას მეერგასესა. იგივე სული შენი ყოვლად წმიდა გარდამოავლინე მეუფეო ჩუენ ზედა და წინა მდებარესა ამას წმიდასა ძღუენსა ზედა, რათა დანერგვითა სულისა შენისა სახიერისა და დიდებულისათა განმწმდეს, დაჴყავ უკუე პური ესე ჯორცი წმიდა ქრისტეს შენისა და სასუმელსა ამას შენსა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა, რათა ექმნან ყოველთა, რომელთა მიიღონ ამისგან მისატევებლად ცოდვათა და საცხოვრებლად საუკუნოდ“. ხოლო სიტყუა ესე იაკობ მოციქულმან შემდგომად სიტყვისა მისისა უფლისა: „მიიღეთ და ჴამეთ და სუთ ამისგან ყოველთა“. ამისა შემდგომად ესე ლოცვა თქუა და მოუწოდა სულსა წმიდასა, ვითარცა სრულებით ზემო მოვიჴსენეთ და უკეთუ სრულ იქმნა მსხუერპლი იგი საუფლოთა მით სიტყვითა, რადლა ხადოდა ღმერთსა და მამასა და მოუწოდდა სულსა წმიდასა, რათა წმიდა ყოს მსხუერპლი იგი საუფლო და შესცვალოს ჯორცად და სისხლად ქრისტესა. ან ისმინეთ მარკოზ მახარებლისაცა, ვითარ იტყვის ერთჯმობით მათ თანა შემდგომად სიტყვისა მის საუფლოსა და იტყვის: „სიკუდილი მეუფეო, უფალო ყოვლისა მპყრობელო, მეუფეო ზეცათაო, მხოლოდ შობილისა ძისა შენისა უფლ(110v)ისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ვქადაგებთ და მესამესა დღესა სანატრელსა აღდგომასა მისსა აღვიარებეთ და ზეცად აღსლვასა მის-



სა ვირწმუნებთ და მარჯუენით ღმრთისა და მამისა დაჯდომასა და მეორედ საშინელსა და შესაძრწუნებელსა მოსლვასა მისა შევიწყნარებთ, რომელსა ნე-ბავს განსჯად ცხოველთა და მკუდართა და მიგებად თითუეულთა საქმეთა მათთაებრ სიმართლით. შენ, უფალო ღმერთო ჩუენო, შენსა შენდავე შევსწირავთ ძლუენსა წინაშე შენსა. გხადით და გევედრებით კაცთმოყუარეო, სახიერო, გარდამოავლინე მალლით წმიდით განმზადებულით სამკვიდრებელით შენით გარეშემოუნერელთა წიალთა შენთა, ნუგეშინისმცემელი იგი სული ჭეშმარიტებისა წმიდა უფალი, ცხოველსმყოფელი სჯულიერად წინასწარმეტყუელთა და მოციქულთა მიერ თქმული, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს და მოქმედებს თვით ჴელმწიფებით და განსწმედს არა მონებრ, არამედ ვითარცა სათნო უჩნს განგებითა თვისითა. შენი თანაარსი შენგან გამომავალი და თანამოსაყდრე მეუფებისა შენისა და მხოლოდშობილ(111r)ისა ძისა შენისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი ჩუენ ზედა და პურსა ამას ზედა გარდამოავლინე, რათა წმიდა ყოს ესე და განასრულოს, ვითარცა ყოლად ძლიერმან ღმერთმან და ყოს პური უკუე ესე ჴორც და სასუმელსა ამას შინა სისხლ ახლისა აღთქუმისა მისისა უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რათა ექმნას ყოველთა, რომელთა მიიღონ ამისგან. და შემდგომი.

ხოლო კლიმი კუალად ამისვე მსგავსად დასწერს განგებასა და წესსა წმიდათა მოციქულთასა საღმრთოსა წირვისათვის, რომელი იყო შემდგომი წმიდისა პეტრე მოციქულისა მის მიერვე კურთხეული პაპად ჴრომისა. ისმინეთ რასა იტყვის ამისთვის მერვესა წიგნსა განწესებისა მისისასა, შემდგომად საუფლოსა მის სიტყვისა: „მომხსენებელნი უკუე ვნებისა მისისა სიკუდილისა და მკუდრეთით აღდგომისა და ზეცად აღსლვისა და მეორედ მოსლვისა მისისა განსჯად ცხოველთა და მკუდართა და მიგებად თითუეულთა საქმეთა მათთაებრ, შევსწირავთ შენდა მეუფისა და ღმრთისა ჯერისაებრ პურსა ამას და სასუმელსა ამას. გევედრებით ამისთვის, ღირს მყუენ ჩუენ დაუსჯელად წარდგომად წინაშე შენსა მლდ(111v)ელობისა, ღირს ქმნულნი შენ მიერ. გარდამოიხილე წინამდებარესა ამას ძლუენსა ზედა, წინაშე შენსა, სავედრებლად შევწირავთ, შენ კაცთმოყარისა ღმრთისა, სათნო იჩინე ესე პატივად ქრისტეს შენსა და გარდამოავლინე სული შენი წმიდა მსხუერპლისა ამას ზედა მოწამედ ვნებისათვის იესოსა, რომელმანცა დაგვიტევა პური ესე ჴორცად ქრისტეს შენისა და სასუმელი ესე სისხლად ქრისტეს შენისა“. და შემდგომი. ხოლო კუალად დიდი და ზეცით გამობრწყინებული ბასილი რასა იტყვის, ისმინეთ შემდგომად საუფლოსა მის სიტყვისა: „შენ შეგივდრებით და გევედრებით წმიდაო წმიდათაო, სათნო იყავ სახიერებითა შენითა და მოვედინ სული შენი წმიდა ჩუენ ზედა და წინაშე მდებარესა ამას ძლუენსა ზედა, აკურთხე ესე და განწმიდე და გამოაჩინე და ჰყავ უკუე პური ესე პატიოსან ჴორც უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი, ხოლო სასუმელსა

ამას შინა პატიოსან სისხლ უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, შესცვალე სულითა შენითა წმიდითა, ხოლო ჩუენ ერთისა პურისაგან და სასუმელისა შეერთებითა“. და (112r) შემდგომი. ხოლო წმიდა იოანე ოქროპირი ისმინეთ, ვითარ მსგავსადვე მისსა იტყვის: „კუალად შევწირავთ შენდა სიტყვიერსა ამას და უსისხლოსა მსხუერპლსა და შეგივრდებით და გევედრებით და გხადით გარდამოავლინე სული შენი წმიდა ჩუენ ზედა და წინამდებარესა ამას ძლუენსა ზედა და ჰყავ უკუე პური ესე პატიოსან ჯორც ქრისტეს შენისა, ხოლო სასუმელსა ამას შინა პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა შესცვალე სულითა შენითა წმიდითა“. იხილეთ, რამეთუ ამათ ყოველთა ერთად თქუეს, ვითარცა ერთითა პირითა შემდგომად საუფლოსა მის სიტყვისა, რომელსა იტყვის მღდელი, მიიღეთ და ჭამეთ და სუთ ამისგან ყოველთა. მერმე ესე თქუეს წმიდათა მოციქულთა და სანატრელთა მღდელთ-მოძღუართა, ვითარცა აქა წერილ არს და უკუეთუ მაშინვე სრულ იქმნა ესენი, ვითარღა ევედრებიან ღმერთსა და მამასა და მოუწოდენ სულსა წმიდასა, რათა წმიდა ყოს და შესცვალოს ჯორცად და სისხლად, არამედ არა ვიტყვით, თუმცა ვერ ძალ ედვა სიტყუასა ქრისტესა შეცვალეზად, რამეთუ იგივე არს მთქუმელი, რომელი მაშინ თქუა ქრისტემან ქორსა მას ზედა სიონისასა და მისცა წმიდათა მის(112v)თა მოციქულთა და მოწაფეთა, არამედ არა თვინიერ სულისა წმიდასა, რამეთუ იგიცა ხადოდა ღმერთსა და მამასა და მოუწოდა სულსა წმიდასა, აკურთხა და განტეხა და მისცა და ეგრეთვე სასუმელსა ზედა ყო და მისცა და უბრძანა, რათა ჰყოფდენ ეგრეთვე, ვითარცა იხილეს მოსაწესენებელად სიკუდილისა მისისა და ჩუენ ესრეთ განგუინესეს წმიდათა მოციქულთა და დიდთა მათ ღმრთისამეტყუელთა წმიდათა მღდელთ-მოძღუართა, ხოლო ვთქუათ, თუ რაჲ არს მიზეზი პაპის მოსავთა, რასათვის დაჰწესნეს ესევითარი განწესება წმიდათა მოციქულთა, არამედ მე ვჰგონებ, სხუა არა რა არს, არამედ რათა გამოაჩინონ ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ პაპა ჰრომისა და მისნი კარდინალები მოციქულად და ყოველივე მათ მიერ განწესოს და არღარა იყოს განწესებული ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, არცა წმიდათა მისთა მოციქულთა, არცაღა მობაძავთა მათთა წმიდათა მღდელთ-მოძღვართა, ვითარცა არცა რა სხუა განწესებული და მათ მიერ დადებული საზღუარი იპოების მათ შორის, ვითარცა ესე რა წირვისა და წმიდისა სამღდელოსა მსახურებისათვის ვთქუთ. ეგრეთვე არცაღა ნათლისღება, არცა ლოც(113r)ვისა და მარხვისა და არცა რა სხუა რომელიმე განწესება წმიდათა მიერ, არამედ ყოველსავე მათ მიერ დადებულისა და განწესებულისა ნებაგსთ ყოველსა ადგილსა გაჰწვენაჲ და განმრავლება, რათა აღიწოცოს ყოველი საზღუარი მამათა, ხოლო თქუენ, მართლმადიდებელნი, შვილნი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანი, ნუ მიუპყრობთ ყურთა სიტყუათა მათთა, ნუცა უსმენთ ზრახვათა მათთა, ნუცა გარდაჯდებით საზღვარსა მამათა, ნუცა დახსნი სჯულისა ქრისტესა და წმიდათა მისთა მოციქულთასა, რამეთუ არა არს ესე,

მამათა, რასა იგინი ზრახვენ და იტყვიან...

კუალად ლოცვისათვის აღვსწერთ მაღლითა სულისა წმიდისათა და ვთქუთ საღმრთოსა და სამღმელოსა მსახურებისათვის წმიდათა საიდუმლოსა და არა წუწბულ ვიქმნენით შემდგომითი-შემდგომად აღწერად მაღლისაგან მისისა. ან კუალად აღმოსავლით ლოცვისათვის ვიტყოდით, თუ ჩუენ რასათვს და ვითარისა მიზეზისათვს ვილოცავთ აღმოსავლით კერძო მხედველნი და პაპის მოსავთა შორის არცალა ესე იპოების, არამედ ვითარ და სადეთცა დაემთხუიოს აღმოსავლით, გინათუ დასავლით, ჩრდი(113v)ლოთ ანუ თუ სამხრეთით, მუნით თაყვანისცემენ და საკურთხეველთაცა ეგრეთ აღმართებენ და არა იმარხვენ ამასაცა ზედა ძუელითგანსა მოცემულსა წესა წმიდათა მოციქულთასა და წინასწარმეტყუელთაგან მოსწავებულსა, ხოლო ჩუენ მრავალმადიდებელნი არა გარდავალთ მათ მიერ დადებულსა საზღუარსა, რამეთუ წმიდათა მოციქულთა აღმოსავლით განგუინესეს თაყვანისცემა და ყოველსა ქუეყანასა ყოვლით კერძო და ყოველსა შინა სოფელსა ეკლესიანი რა დაამყარნეს, მას შინა აღმოსავლით აღმართნეს საკურთხეველნი და ესრეთ განგუინესეს თაყვანისცემა და ლოცვა, რამეთუ არა სადა იპოვების, რომელსაცა ქუეყანასა მივიდიეს კაცი თვინიერ აღმოსავლეთისა სხვით კერძო დამყარებული ეკლესია, არცა მცირე და არცა დიდი. არა ვიტყვი მხოლო ჩუენ მართლმადიდებელთასა, არამედ არცალა სხუათა მათ ქრისტიანედ სახელდებულთა მწუალებელთა, მრავალთა ქუეყანათა, რომელნი განფენილთა ჰრომს შინა იტყვიან, რომელთამე ძუჭლითაგანსა ეკლესიათა ახლად მოქცეულთა და აღმოსავალისა ნაცვლად დასავალით, გინათუ სამხრით ანუ ჩრდილოთ კერძო საკურთხეველისა აღმართებულსა არა ძუელითგან, არამედ ახლად მათ მიერ შეცვალებულსა, რათა ამითცა განეყონ აღმოსავლისა ეკლესიასა და ყოველი მათი უცხო იყოს ძუელითგანისა განწესებისა მიერ, რამეთუ არცალა ამ(114r) ას ზედა დაიმარხეს წესი და საზღუარი მოციქულთა და ძუჭლითგანსა მოცემულსა წესსა ზედა არა დაადგრეს, ვითარცა ვთქუ წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა აღმოსავლით კერძო მხედველთა განგუინესეს ლოცვა პირველისა მისთვის მამულისა, რომელი წარწყმიდა ადამ, პირველმან მამამან ჩუენმან. მას მოვიწესებთ, ვინა გამოვვქუენით და მოველით მუნვე მოქცევასა პირველისა მიმართ საშუებელისა, ვითარცა დასწერს დიდი წინასწარმეტყუელთა შორის მოსე: „დაასხა ღმერთმან სამოთხე აღმოსავალით“ და დავით იტყვის წინასწარმეტყუელი: „მეფენი ქუეყანისანი აქებდით ღმერთსა და უგალობდით უფალსა, რომელი იგი ამალღდა ცასა ცათასა აღმოსავალით“ და კარავსა მასცა სანამებელსა აღმოსავლით აქუნდეს კრეტსაბმელი და სალხინებელი და ტომი იუდასი, ვითარცა უპატიოსნესი აღმოსავალით მდგომარე იყო. კუალად ესაია იტყვის წინასწარმეტყუელი: „აჰა, ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდინ სახელი მისი ევმანოელ, რომელ არს თარგმანებით – ჩუნ თანა ღმერთი. აღმოსავალ არს სახელი მისი“ და ეზეკიელ წინასწარმეტყუელთა

იტყვის: „და მომაქცია მე გზასა მას ბჭისა მის წმიდათასა გარემესა, რომელი ხედავს მზისა აღმოსავალად“ (114v) და სახელოვანსა მასცა ტაძარსა სოლომონისასა ბჭე უფლისა აღმოსავალით იყო და ზაქარია წინასწარმეტყუელი მამა იოვანე ნათლისმცემელსა იტყოდა: „მონყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისათა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მალლით“ და მოგუნი იგი რა მოვიდეს ბეთლემს შობასა უფლისასა იტყოდეს: „რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანისცემად მისა“, ხოლო მეუფე ქრისტე, რაჟამს ჯვარს ეცვა წსნისა ჩუენისათვის დასავალით მხედველი დამსჭუაღეს ჯვარსა, ვითარცა მოგვითხრობენ მამანი და ჩუენ პირისპირ მისა მიმართ მხედველთა აღმოსავალით თაყვანისცევით და რამეთუ ამალღებაცა მისი დიდებული აღმოსავალით იყო და ვითარცა იტყვის დავით: „რომელი იგი ამალღდა ცასა ცათასა აღმოსავლით“. განკურვებულნი მოციქულნი შიშით თაყვანისცემდენ, ვინცა ეტყოდეს ანგელოზნი მოციქულთა: „კაცნო, გალილეველნო, რასა ხედავთ და გიკვირთ? ესე იესო, რომელი ამალღდა თქუენგან, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალით ზეცად“, რამეთუ მეორედ მოსლვაცა იგი საშინელი აღმოსავალით იქმნების, ვითარცა ანგელოზნიცა ეტყოდეს მოციქულთა და თვით თავადი უფალი იტყოდა: „ვითარცა (115r) ელვა რა აღმობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანს ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთვე იყოს მოსლვა ძისა კაცისაჲ“ (მათე 24,27), რამეთუ მუნით იქმნების გამოჩინება მისი და ამისთვის თაყვანივცემით და ვლოცავთ აღმოსავლით კერძო თაყვანისცემა და წმიდანიცა ეკლესიანი ესრეთ არიან დამყარებულნი და არა სადა ჩანს სხუით კერძო. არა რომელსა ადგილსა, არცა ერთი თუ მცირე ეკლესია, არცა ეგიტერი, არცა საკურთხეველი, თუმცა დამყარებულ იყო და თვით ბუნებაცა ჩუენი ეგრეთ გუსწავებს და მიგვიზიდავს აღმოსავალისა მიმართ მხედველად, რამეთუ აღელის რა ცისკარი ყოველთა კაცთა ბუნებასა, ვითარცა მალნინტი რკინასა, ეგრეთ მიიზიდავს სახედველთა ჩუენთა, რამეთუ ვითარცა ხილულისა მიმართ მზისა სურის ყოველსა დაბადებულსა, ეგრეთვე უხილავისა მიმართ ნათლისა მოსურნე არს სულნი ჩუენნი. ვინათგან ნათელ არს ღმერთი ჩუენი და ნათლისა დამბადებულ. მუნითცა თაყვანისცევით. ხოლო ჩუენ ესეოდენი წამება გუაქუს საღმრთოთა წერილთაგან და ძუელითგანისა მოცემისა მიერ წმიდათა მოციქულთაგან, ვითარცა იტყვის დიდი ბასილი და წმიდა იოვანე დამასკელი ხოლო (115v) მათცა გუაუწყონ და გვითხრან, თუ რომლისა მიზეზისათვის არღარა თაყვანისცემენ აღმოსავალით, არამედ სადეთცა ენებოს და დაემთხუიოს, მუნითცა ილოცვენ. ვინ არს მათ შორის ამისი მონამე, ანუ დამამტკიცებელი ამისი: მოციქული, ანუ წინასწარმეტყუელი, ანუ წმიდათანი ვინმე? არა სადა ვერ ოდეს გვიჩუენებენ მონამესა ამისსა, არამედ იტყვიან, ვითარმედ ღმერთი გარემუენერელ არსო, ყოველგან არს და ყოველივე სავსე არს მისგანო, ხოლო ჩუენ მიუგებთ, ვინ არა უწყის ეგე, ვითარმედ ღმერთი გარემუენერელ არს, უხილავ

და მიუნდომელ, ყოველგანვე არს და ყოველივე სავსე არს დაბადებითა მისითა და არა არს ადგილი, არცა აღმოსავალი, არცა დასავალი, არცა ჩრდილო, არცა სამხარი, არცა ზესკნელი, არცა ქუესკნელი მისგან დაკლებული. თუმცა ყოველივე სავსე არა იყო მისგან, რამეთუ თქმულ არს წინასწარმეტყუელისა მიერ: „არა მე აღვავსება ცასა და ქუეყანასა და არა არს ადგილი ჩემგან დაკლებული“, არამედ ესე არს ადგილი ჩემგან დაკლებული, არამედ არა არს ესრეთ, რათამცა ვითარ ნისლი იყო ანუ ჰაერი განფენილ ყოველსა ადგილსა და არა აქუნდა ერთიმცა ადგილი სამკვიდრებელად არცა გუამოვნება და თვითება, რათამცა მცირედ რამე გონებისა ნულილად ისახედვითა არა იხ(116r)ილვებოდა და ესრეთ სრულად უცნაურმცა და მიუნდომელ, რამეთუ გონებაცა ჩუენი ვინათგან ხატად მისა დაიბადა მცირედ და აჩრდილის სახედ ემსგავსების, რამეთუ შინაგან ჩუენსა დამკვდრებულ არს და გარეშემოუნერელ არს. ყოველგან მიინვეის და ყოველსავე უხილავად განიხილავს და ვერა რომელი ადგილი შეიცავს მას, არამედ იგი შეიცავს ყოველსა, ხოლო შინაგან ჩუენსა არს დამკვდრებულ ერთსა ადგილსა. ეგრეთვე ღმრთისათვის უზეშთაესისა მის არსებათასა უხილავისა და მიუნდომელისა, გარეშემოუნერებელისა და უსაზღუროსავს მცირედ რამე გულისწმა-ვყოფთ გონებისა ხედვითა გუამოვნებასა და თვთებასა განუყოფელისა და შეურევნელისა წმიდა სამებისა ერთ ღმრთაებისასა სამკვდრებელად ცასა და საყდართა ზედა ჯდომასა, დაღათუ გარეშემოუნერელ არს და ყოველთა არსთა მიერ გარეშეუცავ, არამედ წინასწარმეტყუელნი მრავალსახედ და მრავალგვარად იტყოდეს ცათა შინა დამკვდრებასა მისა და ქერუბინთა ზედა განსუენებასა და გარემოს მისა მრავალრიცხუსა სერთაბინთასა, ვითარცა თითო სახედ ძალისაებრ და დატევისა, ვითარცა ვის ძალ ედვა და ვითარ დაეტევის, ეგრეთ ეჩუენებოდა, ვითარცა მოსესთვის წერილ არს, რომელმან იხილა მთასა ზედა სინასა. ალით გამოცეცხლისათ და ღრუბლითა ზურგით კერძო ღმრთისა. ეგრეთვე ელიას ეჩუენა და ესაიას საყდართა ზედა მჯდომარე და ეგრეთვე ეზეკიელს და დანიელს. მერმე ახალსა აღთქუმასა შინა ეჩუენა სტეფანეს მარჯუენით მამისა მჯდომარედ და სხუათაცა ვიეთმე ვის ძალედვა და ვითარ ღირს იყუნეს ეგრეთ თითო სახედ გამოუბრწყინდის და წმიდანი სამნი ყრმანი ცეცხლსა შინა აკურთხევდეს ღმერთსა და იტყოდეს: „კურ(116v)თხეულ ხარ შენ, რომელი ჰზი ქერუბინთა ზედა და ხედავ უფსკრულთა, კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა სუფევისა შენისათა, კურთხეულ ხარ შენ სამკვდროსა ზედა ცათასა“ და დავით იტყვს: „რომელი ჰზი ზედა ქერობინთა, განცხადენ“ და კუალად სხვასა ადგილსა იტყვის: „უფალი სუფევს, განრისხნედ ერნი, რომელი ზის ზედა ქერაბინთა, შეიძარნ ქუეყანა“, კუალად იტყვის: „უფალმან ზეცას განმზადა საყდარნი თვისი და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლებინ“. ესრეთ ყოველნი წინასწარმეტყუელნი მოასწავებდეს და იტყოდეს ქერაბინთა ზედა ჯდომასა და საყდართა ზედა განსუენებასა და ხილვაცა და ჩუენება კაცად-

კაცადსა, ძალისაებრ გამოუბრწყინდა, ვითარცა წერილ არს ჯდომა, ანუ დგომა, ანუ ზურგი და პირი მისი ესე ყოველი ჩუენგან მიუწდომელ არს და გამოუძიებელ, არამედ ჩუენ პირველთქმულთა მათ წმიდათა ხილვისა და მოსწავებისა მიერ გულისწმა-ვყოფთ და მათისაებრ გამოცხადებისა შიშით და ძრწოლით თაყუანისცემით და ვილოცავთ აღმოსავალით მხედველნი მიზეზითა მით პირველთქმულითა, რამეთუ პირველი მამული ჩუენი აღმოსავალით გვისწავიეს და მზედ სიმართლისად ითქუმის ქრისტე და ამალღება უფლისა აღმოსავალით ითქუმის და მე(117r)უფე ჩუენი ქრისტე განკითხვად სოფლისა მომავალი აღმოსავლით იქმნების გამოჩინება, ვითარცა ზემოცა აღვსწერეთ ესევითართა მიზეზთათვის განანესნეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა აღმოსავლით ლოცვა და არა სხვით კერძო, რამეთუ წმიდისა და საკვივრველთმოქმედისა ნიკოლოზის ცხოვრებასა შინა წერილ არს, რამეთუ სამისა დღისა ჩრუილსა ბანდეს რა წესისაებრ, ჴელნი განიპყრნა და დადგა აღმოსავალით კერძო დადგრა მყოვარ-ჟამ. მას ვინლა ასწავა, ანუ ვინ აუნყა ჩრუილსა სამისა დღისასა, უკეთუმცა სულსა წმიდასა არა განებრძნო და ჩუენდა სახედ არა ექმნა ღმერთსა და პირის დასაყოფელ უკანასკნელ გამოჩინებადთა მწუალებელთათვის, რომელნი შეურაცხყოფენ განსწავებასა მათსა, რამეთუ მათ დაწსნეს საზღუარნი მამათანი და არა შეუდგეს განწესებასა მოციქულთასა, არცა ბრძანებასა სახარებისასა, არამედ ყოველი წინააღდგომი ქმნეს წმიდისა კრებისა, რათა ნება თვისი დაამტკიცონ და თვით იყუნენ ყოვლისავე მომგონებელ და განმანესებულ: „იტყო(117v)დეს თავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს“, რამეთუ დაუბნელდა უგულისწმო იგი გული მათი სიტყვისაებრ მოციქულთასა და კუალად იტყვის: „ნუვინ თავსა თვისსა აცთუნებენ, უკეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თვისი ამას სოფელსა, სულელ იქმნენინ, რათა იყოს იგი ბრძენ, რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ წერილ არს, რომელმან შეიპყრნის ბრძენი სიბრძნითა თვისითა და კუალად იტყვის: უფალმან უწყნის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო“ (I კორინთელთა მიმართ 3,18). ამისთვის შესცთეს, რამეთუ უბრძანეს, ჰგონიეს თავნი თვისნი ყოველთა კაცასა და რად ვიტყვი ლიტონთა კაცთა თვით მათ სულითა წმიდითა განბრძნობილთა უწმიდესად და უბრძნესად შეჰრაცხნეს თავნი თვისი. ამისთვის არღარა დაადგრენ განწესებასა მათსა, ხოლო ჩუენ მართლმადიდებელნი არა გარდავჭდებით საზღუარსა მამათასა, არცა მივდრკებით მარჯულ, გინა მარცხილ, არამედ შედგომილნი საზღუარსა და განწესებასა მათსა სამეუფოსა გზასა ვალთ და ვადიდებთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა განუყოფელსა და შეურევნელსა ერთ ღმრთაებასა, რომლისა არს დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის.

(118r) მოვედით ქრისტეს მოყვარენო და აწ მარხვისათვის ვიტყოდით, რომელი ყოვლითურთ დაწსნილ არს მათ მიერ და არღარა არს მათ შორის მარხვა განწესებული მოციქულთა მიერ და ღმერთშემოსილთა მამათა და

თვით მის ქეშმარიტებისა მიერ, რამეთუ განჯორციელდა, რა უფალი და მკ-  
სნელი ჩუენი, ღმერთი იესუ ქრისტე და ბუნებითა ამით ჩუენითა პირველად  
სათნობად ესე აღასრულა, რამეთუ თვინიერ მარხვისა და ლოცვისა ვერა რა  
სათნობათაგანი წარემართების და ესე არს საჭურველი უხილავთა მტერ-  
თა მიმართ ბრძოლისა. ამისთვის იმარხა ქრისტემან ორმეოცნი დღენი და  
ორმროცნი ღამე. რამეთუ წინასწარმეტყველნიცა ესრეთ ჰყოფდეს და იმარხ-  
ვიდეს და მით არცხუნა მტერსა განსაცდელსა და ესრეთცა ჯერ იყო ვინათგან  
პირველი მამა ჩუენი ადამ საჭმლისა მიერ გარდაჲდა სამოთხით, და საჭმლისა  
მიერ შეიტყუა მტერმან ბოროტმან ეგრეთვე მეორე ადამ, ძე ღმრთისა, ექმნა  
რა კაც ჩუენთვის მარხვისა მიერ და სიმდაბლისა დასცა მტერი ადამისი და  
ჩუენცა ესევე სახე დავიდვა, რათა მარხვითა და სიმდაბლითა ვსძლოთ მტერ-  
სა მარადის განმცდელსა ჩუენსა, ვითარცა ბრძანებს თვთ უფალი: „ხოლო ესე  
სული არა (118v) რათა განვაღს გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათე 24,28)  
და წმიდანი მოციქულნი და სანატრელნი წინასწარმეტყუელნი ყოვლითურთ  
მარხვითა გარდაიწვიდეს დღეთა თვისთა, ვითარცა მოსესთვის წერილ არს,  
რომელმან ორგზის ორმეოცნი ღამენი და ორგზის ორმეოცნი დღენი იმარხნა,  
რამეთუ პირველნი იგი ორმეოცნი დღენი და ორმეოცნი ღამენი იმარხნა და  
მოიხუნა ფიცარნი იგი ღმრთივ წერილნი, ხოლო ისრაილთა განარისხეს რა  
ღმერთი ნაყროვანებითა და სიმთრვალითა, ვითარცა წერილ არს: „დასხდა  
ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად და უზორეს კერპსა მას  
მათ მიერ გამოდნობილსა“. იხილა რა ესე მოსე, აღძრა გულის წყრომად და  
შემუსრა ფიცარი იგი ღმერთის ჴელით მოღებული და ვითარცა შეინანეს ის-  
რაილთა, კუალად იწყო მარხვად წინასწარმეტყუელმან მოსე ორმეოცი დღე  
და ორმეოცი ღამე, აღვიდა მთად და მარხვისა მიერ განწმედილმან კუალად  
მოიხუნა ფიცარნი ღმრთივ დაწერილნი, ხოლო წინასწარმეტყუელთა შორის  
საკურველსა ელიას ცხოვრება სრულიად მარხვა იყო, რამეთუ ყოვლნი დღენი  
თვისნი მარხვითა აღასრულნა და ოდესმე ორმეოცნი სრულიად იმარხნის,  
ეგრეთვე სხვანი წინასწარმეტყუელნი მარხვითა (119r) იქცეოდეს, ვითარცა  
სამოელისთვის წერილ არს, რამეთუ სიჩოითგან მარხვითა აღიზარდა და ღუ-  
ინო და თაფლუჭი არა სუა და დანიელ დიდი იგი წინასწარმეტყუელთა შორის  
და სამნი იგი ყრმანი მარხვითა არასრულებდეს დღეთა თვისთა, რამეთუ არცს  
ღუინოსა და თაფლუჭსა სუმიდეს, არცა მშუენიერსა რასამე ჭამდეს: არცა  
ჯორცისა იერ შობილსა სძესა, ანუთუ კუერცხსა არა რასა გემოსა იხილვიდეს.  
არამედ პურსა ოდენ და მხალსა და თესლთაგანსა და ხილსა და ოდესმე ორსა  
და სამსა შვიდეულსა სრულიად უზმათა გარდავლიან, ვითარცა წერილ არს  
დანიელისთვის, რამეთუ მარხვითა განწმედილსა გამოეცხადა დაფარულნი  
იგი საიდუმლონი და ნინეველთა მოწვენადი იგი რისხვა არა მარხვითა და  
ტირილითა გარე წარაქციესა? და დავითის მიერი იგი სიტყუაცა მოვიხსენოთ,  
რომელმან მარხვითა და ტირილითა გარდაიწადა დღენი თჳსნი, რამეთუ ოდეს

აჭირვებდეს მას უხილავნი იგი მტერნი საჭურველად მარხვა იჯუმის, ვითარცა იტყვის: „რაჟამს იგი მაჭირვებდიან მე შევიმოსი ძაძა და დავიმდაბლი მარხვითა სული ჩემი“ და კუალად იტყვს: „მუჴლნი ჩემნი მოუძღურდეს მარხვისაგან და ჴორცნი ჩემნი იცვალნეს ზეთისა მიერ“, ხოლო დიდი იგი წინასწარმეტყუელთა შორის და უზეშთაესი ნაშობ(119v)თა დედათასა საშოთგან განწმედილი და დედის მუცელსა შინა სულითა წმიდითა აღვსებული არა უმეტეს მარხვითა აღასრულებდა ცხოვრებასა თვისსა, ვითარცა წმიდასა სახარებასა შინა წერილ არს და წმიდანი მოციქულნი შემდგომად ამაღლებისა უფლისა მარხვითა იქცეოდეს, რამეთუ პეტრე, თავი იგი მოციქულთა, მცირესა ქრთილისა პურსა ჭამდის, მასცა ნაკლულევანად და მცირესა წყალსა იწმევდის. და წმიდა იოვანე მახარებელი და ღმრთისაამეტყუელი მკერდსა სიტყვისასა მიყრდნობილი მცირედსა ფინიკსა მიიღებდის კუირიაკითი-კვრიაკედ და სხვისა არა რასა გემოსა იხილევდის, ვითარცა ცხოვრებასა მისსა წერილ არს. და იაკობ, ძმა უფლისა და პირველი ეპისკოპოზი იერუსალიმისა, არა რასა მშუენიერსა მიიღებდის არცა ღვინოსა და თაფლუჴსა, არამედ მცირესა პურსა და უგბოლელსა მხალსა, ეგრეთვე სხუანი წმიდანი მოციქულნი და შემდგომნი მათნი წმიდანი მღდელთმოდღუარნი და ღირსნი მამანი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, ყოველნივე მარხვითა აღასრულებდეს ცხოვრებასა თვისსა და ჩუენცა ესე განგუინესეს და სჯულ გუიდვეს ძალისაებრ და უკეთუ უჯერო იყო ესე და რად სავ(120r)მარ მარხვა, რად ესრეთ გულისმოდგინედ შეიტკბეს ყოველთა წმიდათა და სიჩხოითგან განწმედილითა და ჩუენცა რად ესრეთ განგვიწესეს საზღუარი მარხვისა, ანუ ოგინი, რომელნი ესვენ პაპასა, რასათვის ესრეთ სძაგებენ მარხვასა, უკეთუ ქრისტიანები არიან, რასათვს არა ისმენენ ბრძანებასა მისსა

და უკეთუ მოციქულთა საკუთრებასა იჩემებენ, რასათვის არა შეუდგებიან კუალსა მათსა, რომელნი უმეტესად ამას ქადაგებენ? რომელნი უმეტესად ამას ქადაგებენ და მე ვჴგონებ, ვითარმედ თავნი თვისნი მოუცემიან სასონარკვეთილებასა და აქა ვერლარა ძალუც სინანული და მუნ ცეცხლსა შინა მოელიან განწმედასა, ამისთვის სძაგებენ მარხვასა, რამეთუ თვნიერ მარხვისა და ლოცვისა არა რა კეთილთაგანი წარემართების, უმეტესლა – სინმიდე. ხოლო არა ვიტყუით, თუმცა მარხვა სხუათა სათნოებათა უაღრეს იყო, რამეთუ ყოველი სათნოება, გინათუ სინმიდე სთქუა, ანუ მონყალება, სიმშუიდე, სიყუარული და სიმდაბლე უზეშთაეს არს მარხვისა და უკეთუ ესენი არა აქუნდენ კაცსა, მარტოდ მარხვა ვერას შემძლებელ არს.

და უკეთუ მარხვა და ლოცვა წინა არა უძღუის ამათ ზემოთქუმულთ სათნოებათა იგინი არა რა წარემართებიან, რამეთუ მრავალმჭამელობითა და ძილითა ვერვინ მოიგებს სათნოებათა, ვერცა ქრისტეს სახარებისა ბრძანებასა დაემორჩილების. ამისთვის განანესეს წმიდათა მარხვა და თვითცა მარხვითა სტანჯვიდეს თავთა თვისთა. და ქრისტე ბრძანებს: „ნეტარ იყუნენ,



რომელთა შიოდეს და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ“ (მათე 5,6) და კუალად ლუკას თავისა სახარებასა შინა წერილ არს: „ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა გშის ან, რამეთუ განძღეთ“ (ლუკა 6,21) და კუალად: „ვაი, თქუენდა განძღ(120v)არნო, ან, რამეთუ გშოდისთ“ (ლუკა 6,25). იხილეთ, ვითარ ჰნატრის ქრისტე მმარხველთა და მშიერთა და მწყურვალთა და ვაებასა მისცემს მაძლართა და გემოთმოყუარეთა. და წმიდა მოციქული პეტრე იტყვის: „თქუენცა ესევე მოსწრაფება ყოვლითურთ მოიპოვეთ და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოება და სათნოებასა შინა მეცნიერება და მეცნიერებასა შინა – მარხვა და მარხვასა შინა – მოთმინება და მოთმინებასა შინა – ღმრთისმსახურება და ღმრთისმსახურებასა შინა – ძმათმოყუარება და ძმათმოყუარებასა შინა – სიყუარული, რამეთუ ესე, რაჟამს იყოს თქუენ თანა და გარდაგემატოს არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მეცნიერებასა, ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, ბრმა არს და ვერ ხედავს იგი, რამეთუ დაავინცდა განწმედა იგი პირველთა მათ ცოდვათა მისთა“. ესე არს პეტრე იგი მოციქულთა თავი, რომელსა იგინი ამაოდ იქადიან, ვითარ სხუასა სათნოებასა თანა მარხვასაცა მოძღვრის და იტყვის, რომელსა იგინი ამაოდ იქადიან, ვითარ სხუასა სათნოებასა თანა მარხვასაცა მოძღვრის და იტყვის, რომლისა თანა ესე არა არს, ბრმა არს იგი და ვერ ხედავს და რამეთუ დაავინცდა განწმედა ცოდვათა თვისთაო და ჭემმარიტად სინანული, თვინიერ მარხვისა არა იქმნების, არცა განწმედა პირველთა ცოდვათა, რამეთუ ნაყროვანება და ძილი დაავინცებს პირველთა ცოდვათა და დაავინცებისაგან იქმნების უნანელობა. კუალად კორნილიოზისთვის წერილ არს, ვითარ იგი ეჩუენა ანგელოზი და მოუწოდა პეტრეს და მიუთხრა ჩუენება იგი. ჰრქუა მას: „კორნილე, მეოთხით დღითგან, ვიდრე აქა ჟამამდე ვიყავ მე მარხული და მეცხრესა ჟამსა ვილოცევედ სახლსა შინა ჩემსა და აჰა, ესერა დადგა კაცი წინაშე ჩემსა სამოსლითა ბრწყინვალითა და მრქუა მე: კორნილე, შეისმეს ლოცვანი შენნი და ქუელის საქმენი შენნი მოიწესენეს წინაშე ღმრთისა“ (საქმე 10,30). გულისწმა ყავთ აქაცა, ვითარ ოთხ-ოთხით და ხუთ-ხუთით იმარხვიდეს და სხვათა სათნოებათა და ქუელი საქმეთა ლოცვა და მარხვა ფრთე ექმნა მისსა და აღიყვანა წინაშე ღმრთისა. და კუალად წერილ არს: „იყუნეს ვინმე ანტიოქას შინა მსგავსად კრებულისა მის წინასწარმეტყუელნი და მოძღუარნი: ბარნაბა და სუიმეონ, რომელსა იგი ერქუა ნიჭიერ და ლუკიოზ კვირინელი და მანანინ, რომელი იგი იყო ძუძუსმტე ჰეროდე მეფისა და სავლე და ვიდრე იგი ჰმსახურებდეს უფალსა და იმარ(121r)ხვიდეს ჰქუა მათ სულმან წმინდამან: გამომირჩიენით მე ბარნაბა და სავლე საქმესა მას, რომელსა მე უწოდი მათ. მაშინ იმარხეს და ილოცეს და დაასხნეს მათ ზედა წელნი მათნი და განუტევენეს“ (საქმე 14,22). აქაცა იხილეთ, ვითარ წმიდანი მოციქულნი ვითარ გულისმოდგინედ იმარხვენ და ილოცვენ, თვნიერ მარხვისა და ლოცვისა არა რას იქმან, ვერცა რასა შემძლებელ არიან. და კუალად

წერილ არს: „და განამტკიცებდეს სულსა მორწმუნეთასა და ილოცვიდეს მათ, რათა მტკიცედ დგენ სარწმუნოებასა ზედა და ვითარმედ მრავლითა ჭირითა ჯერ არს ჩუენდა შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ და უკურთხენეს მათ ეკლესიად-ეკლესიად ხუცესნი და ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრნეს იგინი უფალსა“ (საქმე 14,24). იხილეთ აქაცა, ვითარ ახალი მოქცეულნი იგი და ახალ წერგნი ქრისტიანენი ლოცვითა და მარხვითა შევედრნეს უფალსა და ესე ამცნეს და ესე დაუსხნეს სჯულად, რაღა სიტყუა აქუსთ მათ. და კუალად მოციქული პავლე მიუწერს ჰრომაელთა და იტყვის: „რომელიმე იმარხავნ დღე-გამოდებით და რომელიმე იმარხავნ ყოველსა დღესა, კაცად-კაცადი თვისითა გონებითა გულსავსე იყავნ“ (ჰრომაელთა მიმართ 14,5). აჰა, ცხადი პირისდასაყოფელი ჰრომაელთა, რამეთუ მათ მიუწერს მოციქული დღეგამოდებით და ზოგთა დღეყოველ მარხვისა და კუალად იტყვის იგივე: „ნარუდგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისმსახურთა მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა და ტანჯვათა, პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და მღუიძარებითა, მარხვითა და სინმიდითა“ (II კორინთელთა მიართ 6,4). რამეთუ ესე ვითართა რა მარხვასა და მღვიძარებასა ქადაგებდა მოციქული, ნუუკუჲ თვითცა არა იმარხევდა და (121v) არა აჭირვებდა თავსა თვისსა, რამეთუ იტყვის: „სხვათა მრავალთა და თითო სახეთაჭირთა თანა შრომითა და რუდუნებითა, მღუძარებითა, მრავალგზის შიმშილითა, წყურვილითა, მარხვითა მრავალგზის ყინვლითა და შიშლოებითა“ (II კორინთელთა მიმართ 12,27). რამეთუ ესრეთ სტანჯვიდეს თავთა თვისთა წმიდანი მოციქულნი და სხვათა მათ სათნოებათა თანა და დღითი დღე შრომათა და ჭირთა თანა მარხვასაცა ფიცხელსა შეიტყუბო და ამისთვის ჩუენცა კადნიერად მარხვასა სჯულგვიდებდა. კუალად ვისმინოთ მისივე, თუ რასა იტყვის: „ხოლო ნაყოფი სულისა არს, სიტვარული, სიხარული, მშუილობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება, უკეთუ არად საჴმარ იყო მარხვა, არცა რა სარგებელ. რასათვის იმარხვიდეს წმიდანი იგი და საკუირველნი კაცნი, ანუ ვითარ ჩუენ ესრეთ მტკიცედ სჯულგვიდებენ და ამას გუასწავებენ, რამეთუარა რომელი წმიდათაგანი არცა ერთი ითქუმის, არცა სადა სმენილ არს, თუცა მარხვისა მიერ არა განმედილ იყო და ესე არა იყო საჭურველად და საზომად სათნოებისა მათისა. და უკეთუ თითოეულად აღმენერა ცხოვრება მათი, ვერ დაიტევდა სოფელი ესე.

თუ ვითარ მარ(122r)ხვითა განბრწყინდეს წმიდანი იგი მოციქულნი და სანატრელნი წინასწარმეტყუელნი და ღმერთშემოსილნი მამანი და მწყემსნი, რამეთუ წმიდისა ნიკოლოზისთვის წერილ არს, ოდეს ჩჩუილ იყო, ოთხშაბათსა და პარასკევსა, ვიდრემდის არა დავიდის მზე, ძუძუსა არა სწოვდის. ვინ ასწავა ჩჩუილსა მას უსაკოსა ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვად? ანუ ვინ აუწყა მოციქულთა მიერ მოცემული კანონი? ჭეშმარიტად მადლმან სულისა წმიდისამან განაბრძნო სანატრელი იგი და სიჩჩოითგან გამოაჩინა

პირის დასაყოფელად ჰრომაელთა. ან რაღა სიტყუა აქუსთ მათ ოთხშაბათის უმარხვილობისა? რასათვის არა შეიკდემენ მისგან, რამეთუ წმიდანი ნაწილნი მისნი მათ უპყრიეს და დღესცა მირონი საკვირველი დამოსწუთის განჯმელთა ძუალთა მისთა. იგი არს დამბეჭდველი აღმოსვლით კერძო ლოცვისა და ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვისა, ხოლო პაპის მოსავთაგან ყოველივე დაჴსნილ არს და განქარვებულ. არცა შეიკდემენ წმიდისა ნიკოლოზისაგან, არცა სხვათა წმიდათაგან, არცა თვით მათისავე პაპისაგან, რომელი იყო კაცი საკუირველი და სასწაულთა მოქმედი. გრიგოლის ვიტყვი დია(122v)ლოლონსა, რომლისა პირით სული წმიდა ზრახვიდა. იგი რასათვისლა იმარხვიდა, რამეთუ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი მარხვითა იყო შექურვილი, რამეთუ მისთვის წერილ არს, არა სხვასა არა რასა იწუმევდა, თუნიერ დამბლისა ცერცვისა. ესე გრიგოლი პაპა იყო ჰრომისა და მწყემსი მათი, რასათვის არა დაადგრებიან სჯულისდებასა მისა, უკეთუ მოციქულთასა არა ისმენენ, არცა წმიდათა კრებათა განსაზღურებასა დაადგრებიან. ბარე მწყემსისა მათისა შეიკდემონ, რამეთუ მის მიერ აღწერილთა წიგნთა შინა მრავალი წერილ არს ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვისათვის. კუალად მოციქულთა კანონთა შინა წერილ არს თვით მის კლემენტოზის მიერ აღწერილსა. პაპა იყო ჰრომისა, შემდგომი წმიდისა პეტრესი: ვითარმედ, რომელმან ოთხშაბათი და პარასკევი არა იმარხოს წმიდათა ორმეოცთა თანა, ესე იგი არს, ვითარმედ ორმეოცთა დიდთა მარხვითაებრ ჯერ არსო მარხვა და რომელმან ესრეთ არა იმარხოს, უკეთუ ეპისკოპოზი იყოს, ანუ მღვდელი, ანუ დიაკონი განიკუეთესო, ხოლო ერისკაცნი უზიარებულ იქმნენო. ეგრეთვე ნიკის კრებისა კანონთა შინა წერილ არს სამას ათურმეტთა მ(123r)მათა მიერ, რომელნი დაამტკიცებენ მოციქულთა განწესებულსა ოთხშაბათისა და პარასკევისა მარხვასა. ხოლო შაბათსა, თუ ვითარ იმარხულობენ იგინი, მეექუსის კრებისა კანონთა შინა წერილ არს ესრეთ: გუესმა ქუეყანასა ჰრომისასა, რომელთამე კერძოთა შინა შაბათსა იმარხვენო, ვამცნებთ პაპასა ჰრომისასა, რათა უბრძანოსო მის ქუეშეთა სამწყსოთა, რათა რომელსაცა ადგილსა იმარხვენ შაბათსა, ამიერთგან ნურღარამცა უკადრებიეს მარხვა შაბათისა, რამეთუ არა ჯერ არსო თვინიერ ერთისა მის დღისა, რომელ არს დიდი შაბათი. მისა გარეშე, რომელმანცა იმარხოს შაბათი, შეჩუენებულ იყოსო. ხოლო ან ლათინნი შაბათსა იმარხვენ და ოთხშაბათსა არა იმარხვენ, არამედ ჳორცსა ჭამენ. ამითცა გარდაჴდებიან მცნებასა მოციქულთასა და საზღუარსა მამათასა, რამეთუ პარასკევი ჯვარცმისა და ვნებისათვის განწესა მარხუა, ხოლო ოთხშაბათი ამისთვის, რამეთუ მას დღესა შეკრბეს მღვდელთმოდვარნი და ფარისევლნი ეზოსა მას კაიაფასა და განიზრახეს და დაეზავნეს იუდას და დაამტკიცეს ჯვარცმა და სიკუდილი მჴსნელისა. ამისთჳს დაანესეს მარხვად.

ხოლო შაბათი ამისთვის არს ჴსნილი მათვე წმიდათა მ(123v)იერ განწესებული და ამისთვის არა ვიმარხვით, თვნიერ ერთისა მის დღისა, რამეთუ დღე-

სა მას, რომელსა შინა იყო საფლავსა, ჯერეთ ნათელი აღდგომისა არა აღმო-  
 ბრწყინვებულ იყო, არამედ ჴორცითა შაბათობდა და განისუენებდა საფლავსა  
 შინა, ხოლო სულითა შთაჴდა ქუესკნელთა შინა ქუეყანისათა და მიჴფინა ნა-  
 თელი ღმერთებისა და განანათლა მუნი იგი წყუდიადი ბნელისა და ახარა  
 ყოველთა საუკუნითგანთა მომწყდართა და ზე აღმოუწოდა პირველსა ადამს  
 და მის ძლით მის თანა დასჯილთა. ამისთვის არა ჯერ არს მას დღესა მარხვა,  
 თვინიერ ერთისა მის დღისა, რამეთუ ხუთშაბათიცა ყოლადვე ჴსნილი არს და  
 არა ვიმარხავთ თვინიერ ერთისა მის დღისა, ეგრეთვე შაბათი და უმეტესად  
 და უბრწყინვალესად შაბათი ჴსნილ არს, რამეთუ განსუენებისა არს დღე იგი,  
 რამეთუ მას დღესა განისუენა უფალმან შემოქმედმან ცათა და ქუეყანისამან  
 და აკურთხა დღე იგი მეშვიდე და წმიდა-ყო, ვითარცა წერილ არს. ხოლო  
 ახალსა ამას სჯულსა შინა, რაჟამს ჴორცშესხმული იქცეოდა ჴორცითა ქუეყა-  
 ნასა ზედა, ყოველნივე საკვირველნი საქმენი და სასწაულნი შაბათსა შინა  
 აღასრულნა, რამეთუ განრღ(124r)უეული იგი ოცდაათურამეტისა წლისა მდე-  
 ბარე შაბათსა შინა სიტყუით აღადგინა, ეგრეთვე შობითგანსა ბრმასა მას  
 შაბათსა აღუხილნვა, ჴელი განწმილი შაბათსა განკურნა და ძე ქურვისა მხ-  
 ოლოდშობილი შაბათსა აღადგინა და ლაზარე მომკუდარი და ოთხ დღე დამ-  
 არხული შაბათსა აღმოიყუანა ქუესკნელით და ცოცხალი წარმოადგინა და  
 ყოველნი საკუირველნი საქმენი შაბათსა შინა ქმნნა, ვითარცა ცხადად გუაჴ-  
 წყებენ წმიდაჲ სახარებისა ბრძანებანი. ამისთვის არა ჯერ არს მას დღესა შინა  
 მარხვა და არცა განწესებულ არს, არცა გვისწავიეს, ხოლო ოთხშაბათი და  
 პარასკევი მათვე წმიდათა მოციქულთა მიერ არს განწესებული. ხოლო სხვა-  
 ნია მარხვან, რაოდენნი ჩუენ მართლმადიდებელთა შორის არიან განწესებ-  
 ულნი დიდნი ორმეოცნი ანუ სხვანი მარხვანი. ისმინეთ და ყოველივე თითუეუ-  
 ლად გეუწყენ, რამეთუ დიდნი იგი მარხვანი ორმეოცნი პირველსავე სჯულსა  
 შინა პატივცემულ იყო მოსეს მიერ რაჟამს იმარხნა ორმეოცნი დღენი და  
 ორმეოცნი ღამენი და სჯული ღმრთივდანერილნი მოიხუნა. ეგრეთვე ყოველ-  
 ნი წინსწარმეტუელნი იმარხვიდეს და თვით თავადისა ქრისტეს მიერცა  
 იკურთ(124v)ხა, რაჟამს იმარხნა ორმეოცნი დღენი და ღამენი და მერმე წმი-  
 დათა მისთა მოციქულთა განგუინესეს და სჯულად დაგვისხნეს. ინყებიან ორ-  
 შაბათით ყუელიერისა კუირიაკით და აღესრულებიან ორმეოცნი დღენი ლაზ-  
 არობისა წინა დღით პარასკევსა და მსგეფსა მას ვნებისათვის ვიმარხავთ და  
 განვრდომისათვის ჴურიათასა. ხოლო სხვა იგი მიზეზი ესე არს დიდთა ამათ  
 წმიდათა ორმეოცთა მარხვისა, რამეთუ ვინათგან ღმრთისა მიერ ძუელითგან  
 განწესა ყოვლისა ათეულისა ღმრთისა შეწირვა. ესეცა ათეულად ყოვლისა  
 წელიწადისა ბრძანებულ არს შეწირვად, რამეთუ წლისა დღენი სამას  
 სამეოცდახუთნი არიან, ვითარცა უწყით, ხოლო დიდთა მარხვათა შაბათ-  
 კვირიაკენი დაღაცათუ მარხვა არიან, არამედ სრულად მარხვად არა აღი-  
 რაცხუიან სხუათა დღეთა თანა, ამისთვის, რამეთუ ორგზის ისერების და

ღუინო და ზეთი იჭუმევის, ხოლო ხუთნი იგი დღენი ყოვლადვე მწუხრამდე მარხვა არს, არცა ღუინო და არცა ზეთი იჭუმევის თვინიერ დიდისა უძღურებისა, არცა დღენი იგი ხუთნი განიჭსნებიან, ვიდრე მწუხრამდე, არა რომლითა დღესასწაულითა და არიან დღენი ესე ხუთეულნივე ვიდრე შაბათამდე ლაზარესა ოცდაათ და იქმნების სამასისა დღისა ათეულნი, (125r) ხოლო სამეოცდახუთისა დღისა ათეულად ვნებისა კუირიაკისა დღენი აღირაცხვიან ესრეთ, რამეთუ ექუსნი დღენი არიან ორშაბათით ვიდრე დიდისა შაბათამდე და ექუსნი იგი დღენი სამეოცისა დღისა ათეულნი იქმნებიან, ხოლო ხუთისა დღისა ათეულნი ნახევარი დღე იქმნების, ამისთვის განენესა წმიდასა და დიდსა შაბათსა აღსრულებასა და დღისასა და შემოსვლასა ლამისასა განსრულება წირვისა და პირისა ხსნა პურითა და მცირედითა ღუინითა. ესრეთ არს ათეულნი წლისა დღეთანი, ხოლო ვითარცა პირველ ვთქუ, პირველისაებრ რიცხუისა, ოდეს შაბათ-კვირიაკენი დათუალნე, იქმნებიან დღენი ორმეოცნი, ხოლო სხუანი იგი მარხვანი, რომელნი გუიპყრეს, არცა ესენი არიან გარეშე საზღურისა და განწესებისა წმიდათა მოციქულთა და მამათასა, რამეთუ ქრისტეს შობისა მარხვანი, იგიცა ორმეოცნი დღენი, არიან მათვე წმიდათა მიერ განწესებულნი, მისვე წინასწარმეტყუელისა მოსეს მიერ განწესებისაებრ, რამეთუ მანცა მეორენი ორმეოცნი იმარხნა შემდომად შემუსრვისა პირველისა მის სჯულისა და მერმე სხვანი მოიხუნა მეორითა მარხვითა განწმედილმან და ესე მარხვანი იწყებიან ათოთხმეტსა ნოენბერსა თვისასა და აღესრულებიან ქრისტეს შობასა და პატივისათვის ქრისტეს (125v) შობისა განენესა, ხოლო მარხვა იგი მოციქულთა, რომელსა სულის მარხვად უწოდენ, ესე იგი არს, ვითარმედ შემდგომად სულისა წმიდისა იწყებიან, რაჟამს მსგეფსი მისი აღესრულოს და განიჭსნების წსენებასა მოციქულთასა, მათვე მოციქულთა მიერ განუწესა, რამეთუ ოდეს დაემონაფნეს ქრისტესა, მყის საზომი მარხვისა ვერ აღიღეს, არცა ქრისტემან განუწესა ამისთვის ჯერეთ ფიცხელი ცხოვრება, ვინათგან ახალ ნერგ იყუნეს, არამედ მცირედ-მცირედ აღიყუანა საზომსა სისრულისასა. აყუედრებდეს ჰურიანი ქრისტესა, ვითარმედ მონაფენი იოვანესნი და ფარისევლთანი იმარხვენ, ხოლო მონაფენი შენნი არა იმარხვენ, ხოლო უფალმან მიუგო: ვერ ჯელენიფების ძეთა სიძისათა მარხვად, ვიდრე სიძე იგი მათ თანა არს, ხოლო ოდეს ამალღდეს სიძე იგი მათგან, მაშინ იმარხვიდნო. ამისთვის წმიდათა მოციქულთა შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა, იხილეს რა ამალღებული უფალი, მოიქცეს სიონად და მოელოდეს მოსლვასა სულისასა, მოიღეს რა აღქუმა იგი სულისა წმიდისა, მიერთგან განიბნინეს ყოველსა ქუეყანასა და იწყეს მარხვა, ხოლო იწყებიან მსგეფსა მარტუილისასა და აღესრულების დღესასწაულსა წმიდათა მოციქულთასა და ზოგჯერ განგრძელება და ზოგჯერ შემოკლება ამის მიზეზისათვის იქმნების, რამეთუ აღვსებისა რიგი და ზატიკისა მოიყვანს ესრეთ. ხოლო მარხვაჲ იგი ყოვლად წმიდისა ათოთხმეტი დღე უწინარეს მიცვალებისა მისისა განენესა

მარხვად (126r) პატივად დაძინებისა მისისა მეშვიდისა მსოფლიოსა კრებისა მიერ, არამედ სხუათა მარხვათა უკანასკნელ, რამეთუ პირველ სამისა დღისა კუალად თვინიერ არა იყო, ხოლო სხვანი მარხვანი ოთხშაბათ-პარასკევისა თანა უძუელესნი არიან მათვე წმიდათა მოციქულთა მიერ განწესებულ და შაბათი წსნილად მოგუეცა ზემო წერილისა მის მიერ მიზეზისა და არა ჯერ არს განწსნა ოთხშაბათისა და პარასკევისა, არცა მარხვა შაბათისა, ხოლო განიწსნების ოთხშაბათი და პარასკევი წელიწადთა შინა ექუსა შვიდეულსა მათვე წმიდათა მიერ განსაზღვრებითა ესრეთ შობითგან ვიდრე განცხადებისა დღედმდე და მას დღესაცა ყოვლითურთ წსნილ არს, თვნიერ წინა დღით განცხადებისა, იგი დაღაცათუ შაბათი ანუ კუირიაკე იყოს, ყოვლად მარხვა არს, ხოლო შურისა კუირიაკე და ყუელიერისა, მსგეფსი იგიცა, ყოვლითურთ წსნილ არს მწუალებელთა არა თანა ზიარებისათვის, რამეთუ რომელთამე მწუალებელთა შურის კუირით იწყიან მარხვა და დიდთა მარხვათა ზედა დაურთიან, სხვათა მწუალებელთა ყუელიერისა მსგეფსი შემატიან მარხვათ და მათისა შურისათვის წმიდათა მამათა, განწსნეს არა მწუალებელთა თანა მარ(126v)ხვად შეგუერაცხოსო. ეგრეთვე აღვსებისა მსგეფსი და სულისა წმიდისა მსგეფსი პატივად დიდთა მათ დღესანაულთა წსნილად განეწესა, ხოლო სხვა თვინიერ ამისა ოთხშაბათი და პარასკევი არა რომლისა მიზეზისათვის განიწსნების, არცა შაბათი იმარხვების თვნიერ ერთისა მის დღისა, ხოლო ლათინთა არაოდეს არცა ქრისტეს შობისა და განცხადებისა, არცა აღვსებისა მსგეფსა პარასხევსა, არცა შაბათი განწსნის არცა ოთხშაბათს იმარხვენ, რამეთუ მათთა განწესებასა და რიგსა შინა შობა და ნათლისღება და დიდი პარასკევი ერთი არს, პარასკევს თუ მიხვდა შობა და ნათლისღება, ღვინოსა და თევზსა იწმევენ, არცა არს დიდი პარასკევი მარხვა, არცა შობა და განცხადება, რამეთუ წსნილი, რომელსაცა მას დღესა იწუმევენ, მასცა მას დღესა. ეგრეთვე დიდთა მარხვათა ყოველი დღე ერთ დღედ არს მათ მიერ შერაცხული, ვითარცა პარასკევი, ეგრეთვე კუირიაკე არცა იგი არს წსნილი, არცა იგი არს მარხვა. ხოლო პირველსა მსგეფსა წმიდათა მარხვისასა ორშაბათსა და სამშაბათსა ჯორცსა ჭამენ და ოთხშაბათსა იწყებენ მარხვად და ბზობამდე ორმეოცად აღრიცხუენ, არამედ ვითარცა ვთქუ თვნიერ ჯორცისა არა რასა იმარხვენ, არა რომელსა მარხვასა მასცა ზოგნი ვინმე მონაზონნი, რამეთუ მრვალ(127r)რიცხუი მონაზონებისა სახე არს მათ შორის სხვისა და სხვისა სახისა და წესისანი და ამით სახითცა განეყენენ აღმოსავალისა ეკლესია, რათა ყოვლითურთ უცხოოდ გამოჩნდენ მამათა საზღურისა მიერ, ხოლო ამათ არა ყოველთა აქუსთ მარხვა და თუ რომელთამე აქუსთ მარხვა, მასცა თვინიერ ჯორცისა არა რა მარხვა აქუსთ განწესებული, ყოველსავე ურიდად სჭამენ. ხოლო პაპასა და ეპისკოპოზთა ყოლადვე არა რა აქვსთ მარხვა, არცა დღე ერთი და არცა ერისკაცთა ოც წლამდე, არცა სამეოცისა წლისასა, არცა მუცელქმნილთა დედათა, არცა მგზავრობასა შინა მყოფთა, არცაღა სნეულე-

ბასა ძლით. კნინლა და არლარა არს მათ შორის მარხვა, რამეთუ სრულიად დაწსნილ არს და მოსპობილ მათ მიერ, არამედ ყოველსავე წარწსნილობით ჭამენ, არა ხოლო თუ ჯორცსა და შენდობით მიცემულსა ჭამადსა, არამედ ყოველსა არა წმიდასა და დაყენებულსა ჭამადსა ურიდად იწუმევენ და იტყვიან: არა რა პირით შემავალი შეაგინებსო. ხოლო რა არს ესე სიტყუა, უკეთუ ჭემმარიტ სიტყუა მათი და მრავალმჭამელობასა ზედა არს თქუმული ესე, რასათვისლა იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე, ანუ წმიდანი მისნი მოციქულნი და შემდგომი მათნი ჭემმარიტნი მღდელთმოდღუარნი და ჩუენცა ესრეთ სჯულად დაგვისხნეს და არა უფროსად თვიცა არა მისცნეს თავნი თუსნი მრავალმჭამელობასა და გემოთმოყუარებასა, უკეთუ არარა სავნებელი აქუნდა პირით შემავალსა და რად ჩუენცა ესრეთ არა გვანვევენ და ნაყროვანებისა სჯული არ დაგვისხნეს, ხოლო პირით შემავალისა არა შეგინებისათჳს და არა წმიდისა ჭამისათჳს.

ქვემორე უვრცელესად აღვსწეროთ. ხოლო ესე არა უწყუ ვისგან ისწავეს ანი ვისგან მოიხვენეს ესევეითარი უწესობა, ანუ წესი ოთხშაბათისა ჭამა, ანუ (127r) ანუ შაბათისა მარხვა. მე ვჭგონებ, არცა მათ უწყიან, თუ ვისგან მოეცნეს, ვერც გვიჩუენებენ წერილთა შინა ამის მონამესა, ვერცა ზეპირით უწერელად გუაუწყებენ, რამეთუ არა რომლისა კრებისაგან მოსცემია ესე, არცა ვისგან უსწავიესთ, არამედ უფროსლა წინააღმდგომი მათისა უწესებისა ესმის წმიდათა მოციქულთაგან და შვიდთა კრებათაგან. გინათუ ჩუენ, გინათუ ზეცით ანგელოზი გახარებდესთ თქუენ გარეშე მისა, რომელი მიიღეთ ჩუენგან შეჩუენებულ. არა ჰრცხუენისა ნეტარისა და საკვირველთმოქმედისა ნიკოლოზისგან, რამეთუ ჩრუილ რა იყო, ოთხშაბათსა და პარასკევსა სძესა არა მიიღებდა, უკეთუ ჩრუილი ძუძუსმწოვარი ოთხშაბათსა და პარასკევსა ესრეთ პატივსცემდა და მარხვისა წესსა სიჩრითგან შეიტკობდა. რა თქუენ მათ, ანუ რა სიტყუა მოიპოვონ ახალგანჩინებულთა მათ და ახლის სჯულისმდებელთა? ანუ რა იყო მიზეზი წმიდისა მის ჩრუილისა მარხულობა, რასათვის იმარხის ოთხშაბათი, უკეთუ არა პიეველივე იყო განწესებული და უკეთუ წესი იყო შაბათისა მარხვა, რასათვისლა იგიცა არა იმარხის? არამედ პირის დასაყოფელად უკანასკნელ ამათ (128r) გამოჩინებადთათვის საშოთგანვე განბრძნო სულმან წმინდამან და აღადგინა ესრეთ მმარხველად ოთხშაბათისა და პარასკევისა და არა თუ შაბათისა და მერმე აღმოსავლით ჴელგანპყრობით მლოცველად იხილვებოდა, რამეთუ პირველიცა მოვიწსენეთ, სამისა დღისა ჩრუილი დადგა აღმოსავლით მხედველი, მყოვარჴამ ჴელგანპყრობილი და ამითცა გამოაჩინა მადლმან სულისა წმიდისამან საკდემელად მათდა და სასჯელად, რომელნი აცილობენ აღმოსავლით მლოცველთა, რამეთუ ჩუენნი წესნი და კანონი, რომელნი გუიპყრიეს, ყოველივე წმიდათა მოციქულთა მიერ არს განწესებული და შვიდთა მსოფლიოთა კრებათა მიერ დამტკიცებული, ხოლო მათნი ყოველნივე ახლად შემოღებულნი და ახლად განწესებულნი,

რამეთუ წმიდათა მათ და სანატრელთა მოციქულთა, რომელთა თუალითა იხილნეს და ჴელითა მსახურნეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა, მათთა განწესებულთა და დიდთა ღმრთისმეტყუელთა მიერ განსაზღვრებულთა წესთა და კანონთა ყოველთავე იწყეს შლად და დარღუევად და ახალთა რათმე და უცხოთა წესთა შემოღებდ, რათამცა თვით იყუნენ მოძღვარ და განმწესებულ და იგინი იჴსენებოდენ ყოველსა სოფელსა და სხვანი, პირველ გამოჩინებულნი მნათობნი სოფლისანი (128v) და სუეტნი ქრისტეანობისნი, არღარა იჴსენებოდენ და დადუმდენ მათნი სიტყუანი და ჰრომით და იტალიით განეფინოს ყოველი უწესოებისა სიტყუა. არა იჴსნებენ სიტყუასა მას წინსაწარმეტყუელისასა, ვითარმედ სიონით გამოვიდეს სჯული და სიტყუა ღმრთისა იერუსალიმით და სჯიდეს შორის თესლებსა და ამხილებდეს ერსა მრავალსა, რამეთუ მუნით გამოჩნდეს წინასწარმეტყუელნი და გამობრწყინდეს ნეტარნი მოციქულნი და თვით თავადი მეუფე ჩუენი ქრისტე, ძე და სიტყუა ღმრთისა თანასწორი მამისა და მისგან მოგვეცნეს სჯული და წესნი და მათგან განეფინნეს ყოველსა ქუეყანასა და არათუ დასავალით და იტალიით და არცა ჰრომით და ფრანციით და უკეთუ ესრეთ ყოფილიყო, ეთქუამცა ვისმე ერთსა წინასწარმეტყუელთაგანსა, ვითარმედ ჰრომით გამოვიდეს სჯული და სიტყუა ღმრთისაჲ იტალიით. ან თქუენ ქრისტეს მოყვარენო ერნო, საჯეთ, სამართალი ჯერ არსა, რათა ვისმინოთ იტალიელთა, ანუ ჰრომაელთა, რომელთა შორის არა გამოჩინებულ არს წინასწარმეტყუელნი, არცა სადა აღმოცენებულ არს მოციქული, არცაღა სადა ქმნილ მათ შორის მსოფლიო კრება, არამედ უფროსღა იერუსა(129r)ლიმით და აღმოსავლეთით მიფენილ არს მათ შორის ნათელი მეცნიერებისა, სჯული და სარწმუნოება და ან ყოველი დაჴსნეს და განაქარვეს და ყოველთა კაცთა ანუევენ შედგომად კუალთა მათთა და ასწავებენ, რათა ჰაჰა ოდენ აღიარონ ღმერთად ქუეყანსა ზედა და სხუა რაცა ენებოს, მას იქმოდენ და ეტყუიან ძილითა და განსუენებითა, მრავალმჭამელობითა და ჴორციითა სიზრქითა განსუექებულნი უმჯობეს არიანო მმარხველთა და მღუიძარეთა და ინროსა გზისა მავალთაო და სხვასა მრავალსა წინააღმდგომსა იტყუიან დასარღუეველად და დასახსნელად სჯულსა ღმრთივ მოცემულისა, არამედ ჩუენ, ღვთისმოყუარენო ერნო, დაფუძნებულნი და დამტკიცებულნი საფუძველსა ზედა წმიდათა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთასა და ნეტართა მამათასა, რომლისა თავსაკიდურთა მისთა არს ქრისტე, ნუ შევირყევით ქართაგან წვალებისათა, არამედ მტკიცე ვიყუნეთ და შეურყეველ და აღვაშენებდეთ თავთა თვისთა ქვად ჰატიოსნად კლდესა ზედა ქრისტეს მცნებათასა, რათა მის თანა ვსუფევდეთ დაუსრულებელთა მათ შინა საუკუნეთა კეთილთა და ვადიდებდეთ მამასა.

(129v) პირველსა მას თავსა შინა მარხვისათვის ვთქუთ, რა იგი ვთქუთ უმეტესისა მენება თქუმა, არამედ უძღურებისათვის გონებისა ჩემისა და დაჴსნილისათვის ცხოვრებისა უდებ ვიქმენ და მცონარე, რომელსა არა მომიგეს



ჭემმარიტი მარხვა. ამისთვის ვერ სრულ ვყავ მარხვისათვის მეტყუელება, არამედ მცირედი აღვსწერე და უმრავლესი დაუტყვე. ან კუალად ვთქუა არა წმიდათა და დაყენებულთა ჭამადთათჳს, რომელსა იგი არა კმა იყოფენ მოსავნი პაპისანი არცა ბუნებითა და შენდობილთა მიცემულთა ჭამადთა, არამედ უწესოდ იწუმევენ და ურიდად ჭამენ ყოველსა არა წმიდასა პირუტყუთა და მფრივნელთა და ქუენარმავალთა და უკეთუ არა იყოს მავნებელი სხეულისა ანუ მაკუდინებელი ყოველსავე სჭამენ. ამას თანა სისხლსა და დამშთვარსა და ნამწეცავსა, რომელი ესე მტკიცედ დაყენებულ არს ძუელსა სჯულსა შინა და უმეტესად ახალსა აღთქუმასა შინა წმიდათა მოციქულთა მიერ და ყოველთაგან საძაგლად შერაცხულ არს. ამას ყოველსა ურიდად იწუმევენ და მიზეზად მოიღებენ სიტყუასა მას უფლისასა, რომელსა ბრძანებს, ვითარმედ: პირით შემავალი არა რა შეაგინებსო, არამედ განსავა(130r)ლით განვალს და განსწმედსო. და მოციქული იტყუისო: ყოველი დაბადებული ღმრთისა კეთილ არს და არა რა არს განსავადებელ, არამედ ყოველივე წმიდა არს წმიდათათვისო. ესე სიტყვები აქუსთ თავის განსამართლებელად და მიზეზად უწესობისა მათისა. რამეთუ სიტყუასა ამას უფალი ჩუენი იესო ქრისტე და წმიდა მოციქული მისი არა თუ ამას ზედა ბრძანებენ, რათა ყუავი და კაჭკაჭი, ძერა და ძერძერუკი, ძალი და მაჩუი, მგელი და დათუი და ყოველი ქვენარმავალი და მერმე სისხლი და დამშთვარი ურიდად ჭამეთო. ნუ იყოფინ. და უკეთუ ჯერ იყო და ესრეთცა ეთქუა, ვითარცა იგინი მოიღებენ მუცელღმრთობისათვის, მაშ, წმიდანი მოციქულნიცა იწმევდენ, რამეთუ მათ რაცა თქვეს, საქმით გუასწავნეს, რაოდენიცა მცნებანი მოგუცნეს და არა თუ სიტყუით, არა ამისთვის იტყუიან წმიდანი, არამედ ისმინეთ და მე ყოველივე კეთილად გაუწყო. რამეთუ მაშინ ჰურიანი და უმეტესად ფარისევლნი მრავალ სახედ და მრავალფერად განკრძალულ იყუნეს რეცხასა და ბანასა და ჭამადთა ვნებისა და თითო სახეობისათვის. მოძღვრებისაებრ ხუცესთასა და არა სჯულისდებისაებრ მოსესა და წინასწარმეტყუელთასა, რამეთუ მოსე ღმრთის მხილველი და სხვანი წმიდანი წინასწარმეტყუელნი, (130v) ვითარცა წიგნთა მათთა შინა არს, ყოველსა არა წმინდასა ფრინველსა და ოთხფერწსა და ქუენარმავალსა აყენებდეს ჭამად, ვითარცა ნოესცა უბრძანა განრჩევა წმიდათა არა წმიდათაგან ჟამსა მას წყლით რღუნისასა, რათა წმიდათაგან მფრინველთა და ოთხფერწთა შვიდ-შვიდი შეიყვანოს კიდობნად და არა წმიდათაგან ორ-ორი. ეგრეთვე მოსე დიდი იგი წინასწარმეტყუელთა შორის დასწერს თითუეულად გუარსა და სახესა ჭამისა და არა ჭამისასა და ახალსაცა ამას სჯულსა შინა ყოველივე ძუელითგან განწესებული ჭამად და არა ჭამად, ვითარცა მაშინ, ეგრეთცა ან დამტკიცებულ არს ყოველთა ქრისტეანეთა მიერ და ყოველი არა წმიდა დაყენებულ არს თუინიერ ღორისა, რამეთუ იგიცა სხუისა მიზეზისათვის არს შენდობით ჭამად და არათუ წარმდებად და ჭამისათუის, მერმე ყოველნი წარმართნი დალაცათუ სხვასა არა წმიდასა ზოგსრე

ეკრძალებოდეს, არამედ ღორსა, ხოლო ზოგად ყოველნი წარმართნი ჭამდეს, ვინათგან მოციქულთა მიერ იცნეს გზა ჭეშმარიტებისა, არღარა უბრძანეს დაყენებად, არამედ შენდობით უბრძანეს ჭამად და უკეთუ სხვაცა რამე უბრძანა მოციქულთა სჯულისაგან დაყენებულთაგან, (131r) მასცა იქმოდენ და იგიცა იქმნებოდა და დაემტკიცებოდა ჩუენ შორის, ვითარცა წინადაცუეთაცა პირველად ბრძანა ღმერთმან აბრაჰამის მიმართ ბეჭდად სარწმუნოებისა და განყოფად სხვათა წარმართთაგან. უფალმან თქუა და იქმნეს. მერმე ბრძანა და დაეყენა, და ეგრეცა ღორი ბრძანეს და იქმნა და ესეცა ამისთვის, რამეთუ ჰურიათა უმეტესად ესე აქუნდა საძაგელად და შემდგომად მათსა სარკინოზთა და აგარიანთა დიდად რადმე საძაგლად აღუჩნდათ და ვითარცა წინასწარ მეცნიერთა სულითა წმიდითა არღარა დააყენეს ჭამად, ჩუენ ქრისტიანეთა შორის, რათა ჩნდეს ქრისტიანეთა და ჰურიათა და აგარიანთა შორის, ვითარცა სჯულითა და სარწმუნოებითა, ეგრეთცა წესითა და ჭამადითა, ვითარცა წინადაცუეთითა და დაუცუეთელობითა, რამეთუ იგიცა წინასწარმეტყუელთაგან არს მოცემულ ბრძანებითა ღმრთისათა, არამედ მოციქულთა დააყენეს ბრძანებითა ქრისტესითა განყოფისათვის და განშორებისა ჩუენ და ჰურიათასა და მის წილ მოგუცნეს ნათლისღება, ხოლო მოციქული პავლე რა დასწერს და იტყუის: „ყოველივე წმიდა არს წმიდათათვის და არა რა არს (131v) განსაგდებელ მაღლობით მიღებული და არცა შეგინებული, არამედ უკეთუ ვინმე შერაცხოს იგი შეგინებულად, არამედ განიწმინდების იგი კურთხევითა და სიტყუით ღმრთისათა. ამას ყოველსა მოციქული, ვითარცა წინასწარმეცნიერი სულითა წმიდითა უკანსაკნელ გამოჩინებადთა მწუალებელთათვის იტყუის, ვითარცა მიუწერს ტიმოთე: ხოლო სული წმიდა ცხადად იტყუის, რამეთუ უკანსაკნელთა ჟამთა გან-ვინმე-დგენ სარწმუნოებისაგან და ერჩდენ იგინი სულთა მათ მაცთურთა და მოძღურებასა მას ეშმაკათასა ორგულებითა და სიტყუითა ტყუილისათა შემწუარნი თუისითა გონებითა აყენებდნენ ქორწილსა და განაშორებდენ საჭმელთა, რომელნი ღმერთმან დაჰბადნა მისაღებელად მაღლობით მორწმუნეთათვის და რომელთა იციან ჭეშმარიტებით, ყოველი დაბადებული ღმერთისა კეთილ არს და არა რა არს განსაგებელ მაღლობით მიღებული, რამეთუ განიწმინდების სიტყუითა ღმრთისათა და ლოცვითა. ამას სიტყუასა მოიღებენ მიზეზად უწესობისა მათისა და ჰგონებენ, თუმცა ჩუენ სიტყუა არა რა გუაქუნდა, არამედ ნუ ზედა დამესხმით, მცირედ (132r) მელოდეთ და ადვილად დაიწნას უმიზეზო იგი და ცუდი მიზეზი მათი. რამეთუ შემდგომად ორას ოცდაათისა წლისა გამოჩნდა ნავატ ფილასოფოსი და სხუანი მრავალნი კაცნი მწუალებელნი მიმდგომნი და თანაზიარნი მისისა წვალებისანი, რომელნი თავთა თვისითა განწმედელად უჭმობდეს. ესენი ცხადად აყენებდეს ქორწილსა და იტყოდეს, ცოლიერი კაცი და ჯორცისა მჭამელი და ლუინის მსუმელი ცხოვრებას ვერ მიემთხუევისო, ვერცა შემდგომად ნათლისღებისა ქმნილი ცოდვა მიეტევებისო. ამისთვის იტყუის

მოციქული, ვითარმედ: უკანასკნელთა ჟამთა გან-ვინმე-დგეს სარწმუნოები-საგან და აყენებდენ ქორწილსა და განამორებდენ საჭმელთა და წინსანარ განაკრძალებს მორწმუნეთა და ეტყუის, ღმრთისაგან კეთილად დაბადებული მადლობით მიმღებელთათვის არა რა არს განსაგდებელი, არცა ჯორცი, არცა ლუინო, არცა სჯულიერი ქორწინება არს დამსჯელი და რომელი მოლუანებისა ძლით განეყენების, ანუ ჯორცსა, ანუ ლუინოსა, ანუ ქალწულებასა შეიტკობოს, ესე უმჯობეს არს და ფრიადცა კეთილ. ხოლო რომელი არა მოლუანებისა ძლით იმარხევდეს ლუინოსა, ანუ ჯორცსა, სძაგებდეს იგი,მ უარისმყოფელი არს და მწუალებელ და შემწუარი თვისითა გულისსიტყუითა, ხოლო მოლუ-ანებისა ძლით წსნილ, ვითარცა თვითცა ქალწულებასა იმარხევდა, ვითარცა (132v) იტყუის: „აღვიკრძალავ ჯორცთა ჩემთა და დავიმონებ მათ, რათა არა სხვასა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიპოო“ და კუალად იტყუის: „რამეთუ მნებავს ყოვლისა კაცისა ყოფად, ვითარცა თავი ჩემი, არამედ კაცად-კაცადსა თვისი მადლი აქუს ღმრთისაგან, რომელსამე ესრეთ და რომელსამე ეგრეთ ვიტყუი უქორწინებელთა მათ და ქურივთა, კეთილ არს მათდა, უკეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე, ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინონ“.

ეგრეთვე მარხვისათვის იტყვის მრავალგზის და გუასწავებს, რათა მარხვა შევიტკობთ და კრძალულება, რომელი თითოეულად აღვსწერეთ მარხვისა თავსა შინა და ტიმოტესცა ამასვე მიუწერს: ნუ ზედა-ზედა წყალსა სუამ, არამედ მცირედ ლუინოცა იწუმე სტომაქისათვის და ზედას-ზედა უძღურებისა შენისათვის. ხედავა, ვითარ ეკრძალებოდეს მოციქულნი და მარადის მარხ-ვითა და მოლუანებითა თავითა თვისითა სტანჯვიდეს და რამეთუ წმიდა ტიმოთეცა მოციქული ფრიად დასწეულბული ლუინოსა არა სუმიდა, ვიდრემ-დის დიდი იგი მოძღუარი ყოვლისა სოფლისა, პავლე, შენდობით მცირედისა ლუინისა სუმასა მიუწერდა და იგიცა არა უწყით, უკეთუ იწუმა, ანუ არა (133r) ამისთვის იტყვის მოციქული: ყოველივე წმიდა არს წმიდათათვის და ვითარმედ არა რა არს განსაგდებელ მადლობით მიღებული. ხოლო ვითარცა ვთქუ, ჰუ-რიანი, მწიგნობარნი და ფარისევლნი მრავალსახედ განკრძალულ იყუნეს უბანელითა ჯელითა არა ჭამასა და რეცხასა და ბანასა ქუაბებისა და სტამ-ნებისა და ცხედრებისასა, ვითარცა აყუედრებს უფალი და ეტყუის: უბანელი-თა ჯელითა ჭამა არა შეაგინებსო და სხვასა მრავალსა ჯორციელსა სინმიდესა ეძებდეს და გარეშისა ბანისა და რეცხისა მეძიებელთა შინაგანი განწმედა სრულიად დაეტევათ და რეცხდეს მიმდემად სამოსლებსა და სარეცლებსა, ქვაბებსა და ჭურჭლებსა და ვიდრემდის იდაყუითგან არა იბანიან, არა ჭამი-ან, ვითარცა ვრცელად წერილ არს წმიდასა სახარებასა შინა და კუალად არცა იგი ჭამიან, უკეთუ მღდელთა მიერ დაკლული არა იყუის და იგიცა ძარღუთა მიერ გამოცლილი და კუალად მათგანი რომელნიმე მხალსა და ხილ-სა, რომელნიმე მტილსა შინა იყუის, ნეხვითა განპოხებული არა სჭამდეს, (133v) ამის მიზეზისთვის ველურსა მხალსა და ხილსა და ეგვიტარსა ჭამდეს,

ამისთვის მოციქული იტყვის: უძლური იგი სარწმუნოებით შეინყნარეთ და ნუ ორგულობით და გულისიტყუით, რომელსამე ჰრწამნ ჭამა ყოველი, ხოლო უძლური იგი მხალსა ჭამნ, მჭამელი იგი არა მჭამელსა ნუ შეურაცხჰყოფნ და არა მჭამელი იგი მჭამელსა მას ნუ განიკითხავენ. ესე იგი არს, მტკიცე გონებითა და სრული სარწმუნოებითა – ჭამნ ყოველსავე, ოდესცა ჯერ იყოს და რაცა იჭამებოდეს და არა განიკითხავს, ვითარმედ ესე უბანელთა ჴელთა მიერ არს შემზადებული და იგი განურეცხელსა ჭურჭელსა შინა არს შემგბარი და ამა პირუტყუსა ესე, რამე უჭამიეს და მას პირუტყუსა მწუროისა წყალი უსუამს, ვითარცა ქათამნი ჭამნ მრავალსა არა წმიდასა და ცხოვარი და ზროხა ყოველივე იწუმევს ქუენარმავალსა და სუმენ, სადაცა დახუდენ მწუირესა. ხოლო მტკიცეთა სარწმუნოებითა უწყიან, ვითარმედ ამათი ჭამა არა რას შეაგინებს, რამეთუ განწმდების სიტყუითა ღმრთისათა და ლოცვითა, ხოლო უძლურნი გონებითა და ვერ (134r) მტკიცე სარწმუნოებითა ამას ყოველსა ეკრძალებოდეს, ვითარცა ვთქუ და ველურსა მხალსა და ხილსა და ეგევი-თართა რასმე ჭამდეს. ამისთვის იტყვის მოციქულიცა, ვითარმედ: უძლური იგი სარწმუნოებით შეინყნარეთ და ნუ ორგულობით და გულისიტყუით და ნუცა განიკითხავთ და ვითარმედ ყოველივე წმიდა არს წმიდათათვის და არა რა არს შეგინებულ, არათუ ვინმე შერაცხოს იგი შეგინებულად და ვითარმედ განწმდებისო სიტყუითა ღმრთისათა და ლოცვითა. ამას მოციქული არათუ ესრეთ იტყვის: ყოველი ქუენარმავალი და არანმიდა მვეცი და დამშთვარი და სისხლი ჭამეთო და ჯვარისწერით ყოველივე არანმიდა და ბილნი განწმდები-სო. ნუ იყოფინ, არა სადა წერილ არს, არცა თქუმულ არს ესე, თუმცა ვისმე წმიდათაგანსა ძალლი და მგელი და დათუი და ესევითარი, ანუ ძერა, ქორი და ყორანი და სხვა ესევითარი, ანუ კუ, ბაყაყი და გუელი და სხვა ესევითარი ეჭამოს, ანუ ჯუარისწერით და ლოცვით ვისმე წმიდა ეყოს და ქრისტიანეთა-განსა ვისთვისმე ეჭამოს, არამედ ესე ყოველი დაყენებულ არს და არა შენდობილ ჭამად, არცა ქრისტესა უბრძანებია, არცა მოციქულთა გან(134v)უნესე-ბიეს, არცა სჯულსა შენდობილ არს, არცა კრებასა დაუმტკიცებიეს, არამედ უფროსდა ყოველსავე დაუყენებია. უკეთუ თქუან, ვითარმედ ძუელსა სჯულსა შინა იყო დაყენებული, ხოლო ახალსა შინა არა რა არს დაყენებული, არამედ ყოველივე შენდობილ არსო. მეტყუელნი ამისნი არათუ სჯულისდებასა ქრისტესა შეუდგან, არამედ სხვისა ვისმე მათ მიერ სახელდებულისა ქრისტე-სა, უფროსდა ანტიქრისტესა, შედგომილ არიან. ქრისტე მეუფე ბრძანებს: არა მოვედ დაჰსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად, რამეთუ მას არა რა დაუჰსნიეს სჯულისაგან და წინასწარმეტყუელთა, არამედ უფროსდა აღუს-რულებიეს და ზეშთა აღუმატებიეს. ისმინე ჩემი და ყოველივე გაუწყო. სჯულ-მან თქუა: ნუ კაც კლავ. ქრისტემან ბრძანა: ნუცალა აგინებ ძმასა და ცუდად ნუ განურისხდებიო. სჯული იტყვის: ნუ იმრუშებო. ქრისტემან ბრძანა: ნუ-ცალა მიხედავ გულისთქმათაო. სჯულმან თქუა: ნუ იტაცებ სხვისასა. ქრისტე-

მან ბრძანა: რომელი კუართსა მიგიღებდეს, სამოსელიცა მიუტევეო. ეგრეთვე სჯული წინადაცუეთისათვის ნათლისღება განაწესა და პირუტყუთა ჭამად-თათუს თვისი ცხოველსმყოფელი სისხლი მოგუანიჭა, ეგრეთ(139r)ვე<sup>28</sup> ჭამად-თათუს გულისწმა-ყავ. სჯულმან თქუა: ძერასა, ყუავსა და თაგუსა და ეგევი-თარსა ნუ სჭამო. რომელიცა წერილ არს: ხოლო ქრისტე ორმეოც დღე და ორმეოც ღამე პურისა გემოცა არა იხილა და ეგრეთვე წმიდანი მისნი მოცი-ქულნი მარხვასა ქადაგებდეს და ღვინოსაცა მცირესა სნეულთა ძლით შეუნ-დობდეს, ვითარცა ტიმოთეს მიუწერია. ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ: სჯუ-ლისაგან განწესებული არათუ დაწსნა ქრისტემან, არამედ უფროსად ალაორძინა და უზემთაესა წარმატებასა ზედა აღიყუანნა. ჭემმარიტად იგინი არიან დამწსნელნი სჯულისანი და შეურაცხისმყოფელნი ყოველთა წმიდათა განწესებათანი და არა ქრისტე არათუ ამისთვის მოვიდა, ძე ღმრთისა, რათა ყოველი უწესობა იქმნას და ყოველი სჯული დაიწსნას და ყოველი გემოვნება და მუცელღმრთოება და არანმიდობა იქმნას და არა უფროსად სინმიდე და სიმართლე და ყოვლისა ჯორციელისა გემოვნებისა დათრგუნვა და შეურა-ცხყოფა, ვითარცა ყოველთა წმიდათა ესე შეიყვარეს და ესე გამოირჩიეს და არათუ ჯორციელი გემოვნება და განსუენება, ხოლო ამისთვის რაღა თქუან, ანუ რა (139v) მიზეზი მოიპოვონ, რომელნი სისხლსა და დამშთვარსა ჭამენ და არა შეიკდემენ წმიდათა და სანატრელთა მოციქულთაგან. ვჰკითხოთ მათ: წმიდაჲ პეტრე მოციქული, იაკობ და იოანე, პავლე და ანდრია და სხვანი ყოველნი მოციქულნი უბრძნეს იყუნეს და უწმიდეს, ანუ უმახლობელეს ქრისტეს მეუფესა, ანუ აწინდელნი პაპები და მისნი კარდინელები? რამეთუ მაშინ წმიდათა მათ მოციქულთა ერთი კრება ქმნეს იერუსალიმს წმიდასა ია-კობ მოციქულისა წინაშე, რომელ არს ძმა უფლისა და პირველი მღდელთმოძ-ღუარი და მწყემსი იერუსალიმელთა და ბრძანებითა მისითა წარავლინეს პავ-ლე და ბარნაბა, იუდა და შილა ანტიოქიას ვითარცა საქმესა მოციქულთასა წერილ არს და მიუცნეს ახალ მოციქულთა ქრისტიანეთა ესრეთ: „მოციქულნი და ხუცესნი და ძმანი, რომელნი ეგე ანტიოქიათ ასურეთით და კილიკიათ კერძო ძმანი ხართ წარმართთაგანნი, გიკითხავთ, გიხაროდენ, ვინათგან გუეს-მა ჩუენ, რამეთუ ჩუენგანნი ვინმე განვიდეს და აღგრძნეს თქუენ სიტყუითა და აღაშფოთებდეს სულთა თქუენტა და გეტყოდეს და გეტყოდეს (135r) წინა-დაცუეთად და დამარხვად სჯულისა, რომელი ჩუენ არა გუემცნო. ან უკუე ჯერ გვიჩნდა კრებულსა ყოველსა ერთბამად გამორჩევად კაცთა მათ და მივ-ლინებად თქუენდა პავლეს თანა და ბარნაბას საყუარელთა ჩუენტა წარმო-უკუე-გუეველინებიან იუდა და შილა და მათცა სიტყუით გითხრან ესევე, რა-მეთუ ჯერ უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რათა არა უმეტესი ტვირთი დავდვათ თქუენ ზედა, გარნა რომელნი ესე სასწრაფო არიან განშორებად თქუენდა ნაკერპავისაგან სისხლისა და დამშთვრისა და სიძვისა, რომელთაგან

<sup>28</sup> ხელნაწერში ჩანს ადრეული რესტავრაციის კვალი, როცა დაირღვა პაგინაცია

დაიძარხნით თავნი თქუენნი, კეთილსა იქმოდეთ და ცოცხლებით იყუენით“. ეგრეთვე სხვასა ადგილსა წერილ არს: „ხოლო მორწმუნეთა წარმართთათვის ჩუენ მივსწერეთ და უბრძანეთ, რათა არა რას ეგევითარსა იძარხვიდენ იგინი, არამედ რათა ეკრძალნენ კერპთა კლულისაგან და სისხლისა და დამშთვრისა და სიძვისა“. ან რალა სიტყუა აქუსთ ურცხუინოთა მათ, ანუ რა მიზეზი მოიღონ, რამეთუ კრებულნი წმიდათა მოციქულთანი, ხუცესნი და ძმანი, ყოველნივე შეკრბეს (135v) ერთად ჯერჩინებითა და დამტკიცებითა სულისა წმიდისაჲა წინაშე იაკობ ძმისა უფლისა პირველისა მწყემსისა და არა თუ წინაშე წმიდასა პეტრესა, რომელსა იგინი მიზეზობენ ყოველთა ზედა თაობასა და უფროსობასა. ან იხილეთ, ვინ არს ამათში თავი და უფროსი, ვის ჰკითხეს და ვის წინაშე შეკრბეს და ვისი სიტყუა დაამტკიცეს. ანუ ვინ წარავლინნეს მოციქულად. ამას არა ვიტყუი, თუ იაკობ, ანუ იოანე, ანუ პეტრე და პავლე ერთიმანეთზედ მეტნი იყუნენ ანუ უფლება რამე ჰქონდათ ერთი ერთსა ზედა, არამედ ათორმეტნივე ურთიერთარს სწორნი იყუნეს და სწორი მადლი და ნიჭი მიიღეს ქრისტესგან და რაცა უბრძანა ზოგად უბძანა ყოველთა და სწორი ჴელმწიფება მისცა და სწორად წარავლინნა ყოველნი. მერმე საზომისაებრ სათნოებისა იქმნნეს წარჩინებულ სულიერად, არათუ ჴორციელად და კაცობრივ. და თუ იგინი პეტრეს დაადგენენ თავად და უფროსად ყოვლისა ქუეყანისა, ჩუენ ანდრიას, რამეთუ ძმა იყო პეტრესი და პირველი მოწაფე და ამის მიერ იყო პეტრე დამონაფებუ(136r)ლი ქრისტესა, ვითარცა წერილ არს, რამეთუ ამან მოიყვანა იგი იესოსა. იოვანეს ეფესოელნი იტყუიან თავად და უფროსად, ბართლომეს – დიდი სომხითი, სიმონ კანანელსა — აფხაზნი, რამეთუ მუნ აღესრულა, მარკოზს – ალექსანდრია და თომას — ინდოეთი, ვითარცა იაკობს – პალესტინელნი და იერუსალიმელნი და ესრეთ აღვძრათ შური და მტრეობა წმიდათა მოციქულთა შორის და რომელი რომლისა მწყემს ყოფილ იყოს, იგი დავამტკიცოთ მწყემსად და თავად მოციქულთა და ყოვლისა სოფლისა და მეორედ ქრისტედ და რამეთუ იერუსალიმელთა უჯეროვნესი მიზეზიცა აქუსთ იაკობისთვის, რამეთუ პირველად მწყემსად ქრისტეს მიერ იგი იკურთხა და ვიდრემდის სხვანი მოციქულნი განიბნეოდეს კაცად-კაცადისა წილხუედრებულსა მათ ადგილთა, თვინიერ იაკობისა ვერა რა თქუიან, ვერცალა დაამტკიციან, რამეთუ იგი იყო თავი მათდა და მის წინაშე შეკრბიან და მისგან მიიღიან ბრძანება, ვითარცა ანცა მოვიწესენეთ. და მათ პავლე და ბარნაბა და იუდა და შილა წარავლინეს და სულის წმიდით ესე დაამტკიცეს, რათა ეკრძალნენ და განეყენნენ კერპთა ნაზორევისა, სისხლსა დამშთვრისა და სიძვისა. ხედავთა, რამეთუ კერპთა ნაზორევისა დასიძვასა თანა სისხლსა და დამშთვარსა განაყენებენ და აკრძალებენ და რამეთუ წმ(136v)იდანი კრებანიცა პირველი ნიკიასა და სხვანი შემდგომნი კრებანი ესრეთვე დიდითა კრძალულებითა დაამტკიცებენ სიტყუასა ამას მოციქულთასა, რათა განეყენნენ სისხლსა და დამშთვარსადა რამეთუ მჴუმეველთა ამისთა

სრულიად განჰკუეეთენ და უზიარებლობითა დასჯიან, ხოლო პაპის მოსაგნი ამას ყოველსა დაჰსნიან და გარდაჰდებიან, არა ემორჩილებიან მოციქულთა სჯულისდებასა, არცა წმიდათა კრებათაგან დამტკიცებასა, არცა იჰსენებენ სიტყუასა მას საღმრთოსა წერილსასა, რომელი ჰრქუა ნოეს შემდგომად წყლით რღუნისა, ვითარმედ: „ჯორცსა სისხლითურთ ნუ სჭამთო, რამეთუ თქუენიცა სული ჯელთაგან თქუენთა გამოვიძიო“, რამეთუ სული პირუტყუსა სისხლი არს, ხოლო იგინი ამის ყოველსა დაივიწყებენ და სჭამენ ჯორცსა სისხლითურთ და დამშთვარსა, სადაცა დაემთხუიოს და თვითცა ჯელითა მოაშთობენ და ეგრეთ სჭამენ წარმდებად ყოველსა არა წმიდასა და კერპი არღარა სადა იპოების და თუცა იპოებოდეს, არცაღა კერპთა ნაზორეგსა დაერიდებიან და კუალად სიძვასაცა ურიდად ერევიან და არა არს მათ შორის ყოლადვე დაყენებუ(137r)ლი არცა ერისკაცთაგან, ვჰგონებ, არცაღა სამღდელოთაგან, რამეთუ ქალაქსა შინა ჰრომისასა, რომელსა შინა პაპა მჯდომარე არს, ორი დიდი და ვრცელი სამეძავო განწესებულ არს პაპის შენდობით და რომელსაცა ენებოს შესლვა, არა დაიყუნების, ხოლო მიზდი იგი მისი თვით პაპასა მიერთმის, ანუ ვერღა იქმნას დაყენება, ვინათგან მღდელნი წირვისაგან და ერისკაცნი ზიარებისაგან არა განეყენებიან, რომლითაცა მძიმითა ცოდვითა სცთენ და დაეცნენ მას ღამესა, არამედ დღე ყოველ სწირვენ და ეზიარებიან. ხოლო ვრქუათ რა და ვჰკითხოთ, ვითარმედ რასათვის ესრეთ უწესობთ და ვისგან ისწავეთ ესე წესი, ხოლო იგინი მოგვიგებენ, უკეთუ არა ვეზიარნეთო და მღდელთა მსხუერპლი არა შეწირონო. ჩუენ, ყოველთა, ცოდვა ყოველთა შორის, საანმჯნო იქმნებისო. ჰოი, დიდი უწესობა და სიბრმე გონებისა მათისა. ქრისტეს ჯელით მსახურთა და თუალით მხილველთა მოციქულთა ესრეთ საძაგელად შეჰრაცხნეს და ოდეს ჯერეთ ახალ მოქცეულნი იყუნეს ქრისტიანენი და ახალ ნე(137v)რგნი და ჩრუილნი სხვა ვერა რა მძიმე და სრული წესი განუჩინეს, თვნიერ ესენი. დიდად სასწრაფოდ და მტკიცედ დასამარხავად განშორებად სისხლისა დამშთვარისა, სიძვისა და კერპთა ნაგებისა, ხოლო ამათ ესე ყოველი დაჰსნეს და უკრძალველად აღერივნეს. იტყვიან, ვითარმედ სიძვა და კაცის კლვა ცოდვა არსო და სხვანი უწესონი საქმენი, ტყუიან და არა არს მათ ორის ჭეშმარიტება, არცა ცოდვა ცოდვად შერაცხილ არს, რამეთუ მღდელნი მსხუერპლისა შეწირვასა და ერისკაცნი ზიარებისაგან მას დღესა არა დაეყენებიან და ვითარღა იყო ესე მათ შორის ცოდვად და უკეთუ ცოდვად შერაცხულ არს, რასათვის არს მათ შორის საკრებულოდ და ყოველთა წინაშე განღებული სამეძავო იგი სახლნი და ურიდად შევლენ მათ შინა და ვრქუათ რა, ვითარმედ რასათჳს ესრეთ იქმთ და არა აღიღებთ სახლებსა მას სამეძავოსა, რათა მოისპოს თქუენ შორის საქმე იგი უშუერი. მოგვგებენ: ცუდთა და უჰმართა სიტყვათა უფროსღა პირთა მათთა დასაყოფელთა ესრეთ, ვითარმედ უკეთუ კაცთა გარე განსავალი სახლი დაუჰმასო, მერმე სახლთა შინა სასუენ(138r)ებელთა განსთხევენ ბუნებითა განსვლათაო და ორ-

მან პაპამან დააყენა უნესო ესე საქმედა და დედაკაცისა ვერ მპოვნელთა სხვისა მრავლისა უნესოსა და ბუნებისა გარეგანისა საქმისა მოქმედ იპოვნესო. აჰა, ცუდი მიზეზი საკდემელი და დასასჯელი მათი, ვითარ იქმნების ამით გარდაკუეთა ცოდვისა, ანუ დაწსნა უნესოებისა და არა უფროსლა აღორძინება და განმრავლება ცოდვათა, რამეთუ რაჟამს მიედევნოს კაცი უძღვებთა გულისსიტყუათა და მერმე არცალა დაყენება იყოს და ადვილადცა იშოვებოდის, უმეტესად სხვისა და სხვისა მიმართ გული უთქუამს, ვითარცა კაცი მღიერანი რავდენცა იფხანს, უმეტესა ნყლულებსა შეიძენს და ვერცა გარდაჰკუეთს ქავილსა და ჴელნი რა დაშვრიან, სხვა რაჟმე მოიპოვიან, ანუ ხე, ანუ ქვა და მით იწყიან ფხანად და ქლებად, ვიდრემდის სრულიად იწყლიან და სისხლი მძაფრი დასდინ, ეგრეთვე ცოდვა გულისჴმა-ყავ, ერთისა ცოდვისა მიმართ წარჴსნილი, სხვისა მოსწრაფედ მიმართ მირბიედ, მიხილვიან კაცნი უცოლონი სინმიდისა მმარხველად, დაისხნეს რა ცოლნი, უმრავალნილეს განუმრავლდა გულისთქმა და სხვისა უნესოებისა მიმართ დაუმჭირველ იქმნეს. ან უკუე იშვითი და დაბრკოლებული ცოდვა უმძიმეს არს, ანუ შენდობილი და უსირცხვილოდ ყოველთა შორის სჯულთაებრ განწესებული და საანმჯნო ქმნილი ცოდვა. ჰე, ჴემმარიტად ესევითარი ცოდვა უმძიმესცა არს და დაუყენებელცა, რამეთუ დაყენებული და ყოველთა მიერ საძაგლად შერაცხილი ცოდვა, ვითარცა სჯულიცა, ესრეთვე ბრძანებს და ყოველი წმიდანი: იშვით, სადამე იქმნების შიშისა და სირცხვილისა ძლით და ძნად საპოვნელობისა, ხოლო უკეთუ ვისმე უბურკმეს საბრჴითა ეშმაკისათა, მსწრაფლი იწყებს სინანულად და აღსარებად და ვითარცა შეგინებული ჟამ რავდენმე განეყენების წმიდათა საიდუმლოთა, ვიდრემდის განწმდეს აღსარებითა და სინანულითა და მჴურვალედ ტირილითა და მერმე შიშით და ძრწოლით შეეხების სინმიდეთა განწესებაებრ წმიდა(138v)თა მოციქულთა და ნეტართა მამათასა.

ეგრეთვე დედანი მათნი, ოდეს მიდგომილ იყუნენ ქმართა მათთა, რად ვიტყვი ქმართა, ანუ თუ სხვა მრავლისა უნესოებისა მოქმედ, ანუ ბუნებითითა წესითა სისხლ მცენარეობდენ, არა დაეყენებიან საკურთჴველად მიმართ შესვლისაგან და წმიდათა საიდუმლოთა ზიარებად. აჰა, ესერა ესეცა დიდი უნესობა და წინააღდგომა სჯულისა. უკეთუ ძუელისასა არა ისმენენ მოსეს მიერ და ღმრთისასა განწესებულსა, რამეთუ მან რაცა თქუა ღმრთისაი მიერ, მოილო და და ყოველთა წმინდათა წინასწარმეტყუელთა დაიმარხეს ესე. ახალსა ამას სჯულსა შინა რად ესრეთ იქმენ? რამეთუ ამითცა გარდავლენ საზღვარსა მამათასა და შორის ყოფენ თავთა თვისთა ყოვლისა სჯულისდებისა და მოძღვრებისა მათისაგან. რამეთუ კანონთა შინა სჯულისათა წერილ არს, ვითარმედ: „არა ჯერ არს დედაკაცისა შესვლად საკურთხეველად“. და კუალად მასვე სჯულის კანონთა შინა წერილ არს დიონოსის ვასილიდის მიმართისა ებისტოლისაგან: „ხოლო დედობრივითა წესითა სისხლ მცენარეთა დედათათვის, უკეთუ უღირს მათ შესლვად ...



## 2. რომის განდგომისათვის, ვითარ განდგას მართლმადიდებლოებისაგან სარწმუნოებისა და წმინდისაგან ეკლესიისა. აჲინ! (საეც. 1-52)

(1r) ვინათგან უკუჴ დასაბამითგან არა დასცხრების მრავალთავი იგი ვეშაპი და გველი თვისისა მის ბუნებითისა განთხზულისა გესლისა წარმოთხევად, ვითარცა იგი მამასა ჩუენსა პირველშექმუნლსა ზედა მიიღო მზაკვარმან მან, შეგრძნა გრძნეულმან მან, ბოროტისა მის ღმრთისაჲ ურჩებისა ხისა მის შეხებაჲ კეთილსახედველ იყო, რამეთუ არათუ პირველსა მას კაცსა ადამს მიუთხრა პირველად, არამედ ჭურჭლად იჴმია გუჴლი დასაბამისა გველმან მან სატანა და საუკუნო გესლი და მუცლითა ცორვა და მინათა შინა ძრომა და შიში და უშვერებჲ და ზარი და კაცთა შორის მტერობჲ და ფიცხლად სიკუდილი და წყევა დამბადებელისა თვისისა დაუმკვდრა პირუტყვისა მას შვენიერსა უშვერმან მან და განლიგებულმან სატუხელად მოშურნემან და მტერმან (1v) ჭემარიტებისამან სატანა და შემდგომთა მისთა არანმიდათა ლეგეონთა ბილნთა, რომელი ესე ვითართა პატივთა და ნიჭთა მიანიჭებს მორჩილთა ყოველთა ნებისა მისისათა და შემწყნარებელთა სიტყუათა მისთასა.

და მერმე გუჴლისა მიერ დედაკაცსა მას ევას, რათა ვერ აგრძნას ადამ მანქანებითი იგი იხილაჲ ეშმაკისა ბოროტ ბრძნისა და მტერისა და პირითა მეუღლისა მისისათა ეზრახა ადამს, რათა კეთილად აღუჩინოს ნაყოფი სიკვდილისა და დაკლებაჲ სამოთხისა მის ფუფუნებისა და შევება ანგელოზთა თანა და ვითარმედ მეგობრისაცა სიტყუჲ სარწმუნო არს, და ოდეს ისერეს, კეთილ აღჩენილი იგი ბოროტი მტერისა მიერ ბოროტისა მეყსეულად გამოაძო ღმერთმან სამოთხისა მისგან სანადელისა ჭენებითა ანგელოზისათა და რისხვთა საშინელითა და მნუხარებითა საღმობიერთა ქუჴყანას მას (2r) მწირსა და უპოვარსა და უნაყოფოსა, ვინათგან განშიშვლდენ მადლისაგან განუძლომელისა და სამოსლისაგან ნათლისა, ეჴმარებოდათ ყოველივე საჭირო ჳორცთა საზრდელი და სამოსელი და სადგური განსასვენებელად და დაესაჯათ ზრუნვა და მნუხარება მოუთხრობელი და წყევა ღმრთისაჲ მიერი სიცოცხლესა შინა და სიკვდილი ჳორცთა და სულისა შვილითი-შვილადმდე და სიმწართ და ტკივილით შობაჲ და ოფლითა ჭამად პურისა და მინადვე მიქცევა სიტყვითა ღმრთისაჲთა, ვითარმედ მინა ხარ და მინადვე მიიქცე და აღილო მაცთურმან ჴელითწერილი მისი და დაიუნჯა და შთანერა გუჯართა შინა არა ძალობისა თვისისათა და ოდეს მოკვდა ადამ და ევა განავლო უფსკრული იგი ბნელისა ჯოჯოხეთსა შინა, შეანყვდინა წყვდეულმან მან და წყეულმან და წარუყარნა მ(2v)ოქლონნი საუკუნენი და აღუნთო ბნელსა მას შინა ჯოჯოხეთისასა სანთელი ცეცხლისა უშრეტისა, რომელი შესწვიდა მას სასტიკად. დაუგო მას სარეცელი მატლისა დაუსრულებელისა, მოართვა მას საზრდელი სიმყრალისა მოუთმენელისა და ოდეს იგი სამოთხესა შინა თუალნი მისნი განიცდიდეს შვე-

ნიერებასა და ჰაეროვნებასა და ყურნი მისნი ისმენდეს გალობასა ანგელოზთასა, მის წილ ბნელი მიუთხრობელი მოხვია თუალთა მისთა და ყურთა მისთა ასმინა კვნესა და კმინვა ღორთაებრ ეშმაკთა მთავართა მათ ბნელისათა და კარნი მისნი დაუკლიტნა და ესრეთ პყრობილ-ჰყო, რომელი ესევითართა ნიჭთა მიანიჭებს მორჩილთა და ნებისა მყოფელთა ნებისა მისისათა.

რამეთუ ღმერთმან ესრეთ განაგო, რათა ჯორციელი ჯორციელსა ზრახვდეს და უჯორციონი და უხილავნი უხილავსა მსახურებდენ და შეწეოდენ კაცთა უხილავად ბრძანებითა ღმრთისათა, (3r) რათა არა იყვნენ აღრეულ ხილულნი და უხილავნი, ანგელოზნი და კაცნი და ვიტყვი ეშმაკთაცა, არამედ ანგელოზნი ანგელოზ, და კაცნი კაც, და ეშმაკნი ეშმაკნი, ანგელოზნი ნებისყოფელნი ღმრთისანი და ეშმაკნი წინააღმდგომნი ყოვლისა ჭეშმარიტებისანი და კაცნი პირმეტყველნი ქუეყანასა ზედა, ესე ყოველნი ქმნულნი ღმრთისანი და ჯერ არს ჩუენ, კაცთა შეწყნარებად მცნება ღმრთისაჲ და არა ეშმაკთა სული ღმრთისაჲ და არა სული ეშმაკთა, რამეთუ ღმერთი არს მშვიდობისა და ეშმაკი შფოთისა, ვითარცა იტყვის უფალი წმინდა სახარებასა შინა და გვასწავებს და იტყვის: „ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ გვიჴსენ ბოროტისაგან“, რომელ არიან ეშმაკნი, რათა ვივლტოდით მცნებათა და სულისა მისგან ბოროტისა, რამეთუ არს სული წმიდაჲ და არს სული არანმიდაჲ, რამეთუ წმიდაჲ სული არს წმიდათა თანა და არა წმიდაჲ სული არა წმიდათა თანა და იქმნებიან ძალნი და წინასწარმეტყუელელებანი და მადლნი წმიდისჲ სულისაგან და იქმნებიან საკვირველებანი და ჩემებითნი, (3v) რეცა სათნოებისა და სიმართლისათჳს მოძღვრებანი, ვითარ რეცა იგიცა თჳთ ანგელოზად ნათლისად შეიცვალების და არა საკრველ არს, თუ მსახურნიცა მისნი ღმრთის მსახურად გეჩვენოს.

რამეთუ არიან სულნიცა საეშმაკონი მოქმედნი სასწაულთანი მიშვებითა ღმრთისაჲთა, რათა გამოჩნდენ მონანი ღმრთისანი და მონანი ეშმაკისანი, ვითარცა იგი წერილ არს ანტეს მოსლვისა ჟამსა, რომელი წერილ არს წმიდა შინა სახარებასა, ვითარ უკეთუმცა კნინლა შეუძლეს ცთუნებად რჩეულთა მათცა ესე ვითართა გრძნეულობათა მოქმედებითა, რომელი მოვალს შეწევნითა ეშმაკისათა, რაჲ არს მძლავრობაჲ ესე ეშმაკთა და მრავალ თავთა ლეგეონთა, რამეთუ იგი ძედ ღმრთისად იტყვის თავსა თვისსა, ძე იგი ეშმაკისა და შვილი წარსაწყმედელისა, ვითარ პირველ და შემდგომად და ანცა იყვნეს და არიან კუალადცა მომავალ არიან მოგვნი და ვარსკვლავთმრი ცხველნი და გრძნეულნი, რომელნი ზმნითა, ბედიითა, ჟამთა და ვარსკვლავთა (4r) და მთოვარისა მოქცევთა შობასა კაცისასა და ყოველსავე ჟამთა ქცევასა და ყოფათა, თოვლთა, წვმათა, დართა და სიცოცხლესა და სნეულებასა და სიკუდილსა მიაჩემებენ. ნივთიერთა მათ ქცევათა, თანაშენევნითა ეშმაკისათა, რამეთუ არცა არიან სრულიად მათისა ქცეულებისაგან ყოველნი, არცა სრულიად ცალიერ არს ფილოსოფოსთა და ბრძენთაგან აღწერილნი ფილოსოფოსობა-

ნი, და არიან იგინიცა განყოფილ ორად, სხუა არს ფილოსოფოსთა და სხუა გრძნეულთა ფილაფოზთა, ერთი არს ვარსკვალავთმრიცხველობითა ცნობაჲ, ვითარ იგი დიონოსი ბრძენთმთავარმან იცნა ჟამნი იგი ქრისტეს ჯვარცმისა, მას ზედა ჯუარცმული ძედ ღმრთისა ქადაგებასა მას პავლესსა ესევეითარად მოწმარებული სიბრძნე არა არს დასაბრკოლებელ, ხოლო მეორე იგი, რომელი ყო ტაბითა ჟამთა წმიდათა მოციქულთათა, რომელი შეუდგა პავლეს და ეტყოდა ერსა მას რწმუნებად სიტყუათა მათ მის პავლესთა, რომელსა (4v) სარენავი დიდძალი შეუვიდოდა მისნობითა მისითა, რომლისა შერისხნა მოციქულმან და განდევნა სული იგი არა წმიდაჲ, რომლისა თვსად ჭურჭელ ექმნა ეშმაკსა წარსაწყმედელად მრავალთა სულთა, ხოლო განიდევნა რა ეშმაკი იგი, არცა მაშინ დასცხრა მაცთური იგი ბრძოლად ღმრთისაჲ, რამეთუ არწმუნა ერსა მას გ-ვე-უჴმა მოციქულისა დაღაცათუ მართალი წარმოუთხრა ერსა მას, რაჲთა ჰრწმენეს ყოველთა ქადაგებაჲ პავლესი, მართალი იგი არა შეიწყნარა მოციქულმან, იცოდა რამეთუ პირველთაგან იწყებს ეშმაკი სამართლისა გზითა ბრძოლად და ცთუნებად კაცთა, ხოლო უკანასკნელი მისისა სიმართლისა და მოძღვრებისა ფსკერი არს წარსაწყმედელისა და სახედ მოგვცა ჩუენცა, რაჲთა უკეთუ ვინმე სახითა და სიტყვითა თვნიერ კეთილთა საქმეთასა მოძღრობდეს მართალ, თუმცა იყოს, არა ჯერ არს შეწყნარებად იგი, რამეთუ ასწავებენ კაცთა მოძღვრებასა და თვთ უარყოფა თავი თვისი დაკლებულთა ცხოვრებისაგან. (5r) ესე არს ნაყოფი სულისა არა წმიდისაჲ სიმრავლისაგან მათისა ერთი რამე წილი, ვითარცა ზღვისაგან ცვარი აღგვიწერა და კმა იყავნ სულთა მიმართ მაცთურისათა სიტყუაჲ ჩუენი.

ხოლო სულისა წმიდისაჲ მიერ თქმული და ქმნილი წამებენ აღვსებულნი მოსე წინამძღუარი ისრაელთა ერისა, რომელმან განაპო ზღუე მენამული და განასხნა ისრაელნი სახედ ნათლისღებისა ქრისტესისა და დაანთქა ფარაო, მდევარი სახედ მდევრისა ჩუენისა ეშმაკისა, რომელი დაანთქა ქრისტემან ფერწთა ქვეშე ნათლისღებასა და უდაბნოსა მას სიცხისასა ღრუბლითა ნათლისათა აგრილობდა. სახე იყო სულისა წმინდისაჲ მოფენისა წმინდათა-მოციქულთა ზედა, ხოლო აღმართა კარავი იგი სანამებელისა და მოიხვნა ათნი იგი მცნებანი ძეთათჳს ისრაელისათა სახედ ეკლესიისა ამის ახლისა აღთქმისა, კუალად აღმართა ძელი და მოკიდა გველი იგი რვალისა სახედ ჯუარცმისა მის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა, (5v) ნაკებნთა გველისათა კურნებდა, ხოლო ქრისტე ღმერთი ჩუენი ჩუენთა ცოდვისა წყლულებათა ჰკურნებს, ეგრეთვე სხუანი წინასწარმეტყუელნი: ელია, რომელმან დაჴშა ცანი არა წჳმად და მერმე ლოცუად და მოცემად წჳმა პირსა ქუეყანისასა და იონა, რომელი იყო სიღრმეთა შინა ზღვსათა, მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე სახედ ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა დაფლვისა და აღდგომისა. სამოელ, ესაია, იერემია, დავით მეფეცა და წინასწარმეტყუელიცა, რომელსა ზედა უზეშთაეს გარდაემატა მადლი ყოვლად წმიდისაჲ სულისა, ვითარცა ყოველსა

ქუეყანასა განეფინა ფსალმუნთა და გალობათა მისთა ქებაჲ ყოველთა სხუათაცა მრავალთა წინასწარმეტყუელთა, თითო სახედ წინასწარ მოასწავეს ყოფადი განგებულებაჲ, რომელთა სიმრავლისათჳს წერილთასა დავიდუმეთ, ამათ სახე აქვნდათ ღმრთივ შუჭნიერად, რამეთუ თმითა და წვერითა შემოსილ იყვნეს მღდელნიცა და ვგონებ, ვითარმედ ერნიცა, ვითარცა იგი დიდისა იოანე ნათლისმცემელისათჳს (6r) წერილ არს ყოველთა ნაშობთა უმეტესისა, ვითარმედ საპარსველი არა აღსრულ არს თავსა მისსა, არცა მამისა მისისა ზაქარიასა, არცა ელიასა, არცა სხუადათა ყოველთა, რამეთუ ყოველნი წინასწარმეტყუელნი და მღუდელნი მოსილ იყუნეს თმითა და ნუჭრითა, ეგრეთვე მამადმთავარნი, ვითარცა წერილ არს: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოსცა მადლი ესე მღდელთა მისთა, რომელი გარდამოვალს წვერთა ზედა, წვერთა ზედა ჰარონისათა და მელქისედეკცა, ეგრეთვე დიდი აბრაჰამ მამადმთავარი, რომელმან შეწირა ისაკ ძე თჳსი ღმრთისაჲ სახედ ქრისტესა ღმრთისა ჩუენისა სახითა წვერმოსილიყო და ყოველნი ლევიტელნი ნათესავნი მღდელთანი: მართალი ნოე, მეორე მამა ნათესავთა, რომელმან განარინა ყოველნი ცხოველნი წყლის რღვნისაგან, ესეცა მსხუჭრპლისა შემწირველი ერთგზის დღესა შინა და არა ორგზის, არცა სამ და ოთხგზის, თმითა მვეციითა, პატროსნად და ღმრთივ შუჭნიერად და ესე (6v) ძველსა სჯულისა შინა. ხოლო იაკობცა ვაჟსენოთ და ათორმეტი ძენი მისნი, რომელთა უმრწემესი ძმა მათი განყიდეს ძმათა მისთა, რომელი იქმნა სახედ ქრისტეს ღმრთისაჲ ჩვენისა, ძველსა რომელთა სცხებდა ღმერთი საცხებელსა და თანა მადლთაცა მიანიჭებდა სულისა წმიდისათა, ესე ესრეთ.

ხოლო ახლისა ამის აღთქმისა სჯულსა შინა უთვალავნი და ურიცხვნი, თვთმეუფჳ ჩუენი იესო ქრისტე, ათორმეტნი იგი მონაფენი მისნი წვერითა და თმითა მოსილნი იყვნეს და სამოცდაათნიცა იგი მონაფენი ეგრეთვე და მღდელთმოძღვარნი: დიდი ღვთისმეტყველი გრიგოლი, დიდი ბასილი, კესარიისა მთავარეფისკოპოსი, იოანე ოქროპირი, პატრიაქი კოსტანტიპოლისა, წმიდაჲ ნიკოლოზ მირონ ლუკიის ქალაქისა მთავარეფისკოპოსი, საკრველთმოქმედი, დიდი ათანასი და კირილე, სფირიდონ საკრველთმოქმედი, ამათ ყოველთავე ერთგმოვანებაჲ, ერთი ჭეშმარიტი წესი და სარწმუნოება (7r) ეპყრათ, ერთი წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულო ეკლესია. ერთჳმა იყვნენ და ერთსამწყსო და რომელთაცა შვიდი მსოფლიო კრებაჲ ქმნეს მართლმადიდებელთა მეფეთა ზე და შემოკრიბნეს ყოველნი წმიდანი და ნებისყოფელნი ღმრთისა ყოვლისა ადგილისაგან რჩეულნი და ჭეშმარიტად და მართლიად და სამართლად სავსენი სულისა წმიდისაჲ მადლითა და სიბრძნითა, კაცნი ჳორცთა შინა ანგელოზნი სასწაულთაცა მოქმედნი და მტკიცენი სულითა მოიღეს წინაშე მეფისა დიდისა ქალაქისა ბიზანტიისა, პალატსა შინა დიდსა გამოიძინეს ძველი და ახალი წიგნნი თჳსითა თარგმანებითა, ყოველი სავნებელი განაგდეს და განკვეთეს და შეაჩვენეს წყევითა საუკუნოთა, ხოლო ყოველი ჭეშმარიტებაჲ და ნებაჲ

ღმრთისაჲ დაამტკიცეს და დაწერეს ძეგლი მართლმადიდებლობისა საუკუნო.

ოდესმე ქორსა მას შინა შეკრებულ რაჲ იყვნეს მოციქულნი და მოელოდეს ალექსანსა მას ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისასა და (7v) მეცხეულად იქმნა მოწევნა, ვითარცა ქარისა სასტიკისა ოხრაჲთა და რამეთუ იოხრა ჳმაჲ საწადელი და სახარულევანი, რომლისა უსაწადელისა და უტკბილესი არა რაჲ არს, არცა ცათა შინა, არცა ქუეყანასა ზედა და რაჲ იგი იოხრაჲ, რომელი ჯერ იყო თქმად, წერილი დაუტევეს ყოველსა სოფელსა, არა განსარყვენლად, არამედ შიშით და ძრწოლით და სიხარულით აღსრულებად მცნებათა მისთა არა განწვალებად, არამედ ერთგმისყოფად არა ერთსა ადგილსა ქადაგებად, ანუ ათსა და ათასეულთა, არამედ ყოველისა სოფლისა, საზოგადოდ, ჰურიასა პირველად და მერმე წარმართთა, მართალთა და ცოდვილთა, მოქცეულთა ცხოვრებად, ხოლო ურჩთა და გარდამავალთა სჯულისათა რისხვა და გულისწყრომა საუკუნო.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუაჲსა მოვიდეთ. ოდეს მოწევნა იქმნა პაემანისა, აღივსნეს წმიდანი მოციქულნი სულითა წმიდითა და ყოველნი ადგილნი და სახლნი, სადა იგი მსხდომა(8r)რე იყვნეს უზესთაესისა თანა სერაბინთასა და უპატისონესისა ქერაბინთა, წმიდისაჲ ღმრთისმშობელისა მარიამის თანა. აღივსო ყოველი ჰარე სურნელებითა და მადლითა გამოუთქმელითა და მიუწდომელითა და ეჩვენეს მათ განყოფანი ენათანი და იტყოდეს დიდებასა ღმრთისსაჲ კაცად-კაცადი წმიდანი მოციქულნი ყოველისა თესლებისა განყოფილთა ენითა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ და ვითარმედ მთვრალ საგონებელ იყვნეს და იტყოდეს ერნიცა, ვითარმედ ტკბილთაგან სავსე არიან და კუალად იტყოდეს, ვითარ უკუჲ კაცნი ესე გალილეველნი უსწავლელნი და უნიგნონი ჩუენითა ენითა იტყვიან დიდებასა ღმრთისასა, რომელნი ვართ პართნი და მიდნი და უჟიკნი, ელამიტელნი და მოსრულნი რომნი, ვითარ კაცად-კაცადსა გვესმის თვისი ენა იტყვიან რაჲ იგინი.

ყოვლად სადა სული ღმრთისა არს მუნ არს აზნაურებაჲ, სადა სული ღმრთისაჲ არს, მუნ (8v) თქუა უფალმან: „მდინარე მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი. ცხოველი არა მოკუდების, ვითარცა იგი მდინარე არა დასცხრების დინებისაგან, სად სული ღმრთისაჲ არს, მუნ დაცემულითა განახლებაჲ, აღდგომა, ცხოვრებაჲ და სიხარული დაუსრულებელი საუკუნო; სადა სული ღმრთისაჲ არს, მუნ სიმტკიცე ჭეშმარიტებისა, სადა სული ღმრთისაჲ არს, მუნ მშვიდობაჲ, მყუდროება, წყალობაჲ და სიყუარული და უზრუნველობაჲ ყოველთა ნივთთა სოფლისათა და სადა არს დღე, მუნ არა არს ღამე, სადა ბრწყინვალებაჲ მზისა არს, მუნ ღრუბელი და ნისლი განქარვებულ არს, რომელ არს ყოველი სიბოროტე, რომელნი მეფე არიან და არა არიან ჭეშმარიტნი მეფენი, რომელნი მღვდელთმთავარნი არიან და არა არიან ჭეშმარიტნი მღვდელთმთავარ, რომელნი მღვდელნი და დიაკონნი არიან და არა არიან ჭეშმარიტ, რომელნი წინამძღუარ არიან და არ არიან წინამძღუარ,

რომელნიმე მოძღვარ და არ არიან მოძღვარ ჭეშმარიტ, რომელნი (9r) მეცნიერ სჯულისა და ფილოსოფოსობისა და უმეცარ ჭეშმარიტებისა, რომელთაგან განშორებულ არს სული წმიდა და შესრულ არს მათდა სული არა წმიდა.

ხოლო სადა სული არა წმიდა არს, მუნ დაუნყნარებლობა და დაუდგრომელობა ერთსა წესსა ზედა, არამედ სიტყვითი-სიტყუად ცვალებად და საქმითი-საქმედ მივლტოლა, გამოძიება გამოუძიებელისა, მზაკვარი ანბორი და მოკითხვა იუდასი, პირით მეტყველება სხვისა და გონება მკლველებრივი, შურითა სავსე და არძანგებითა, რამეთუ ტკბილი მისი მწარე არს, სადა სული არა წმიდა არს, მუნ შფოთი და სიბნელე და სიყუარული და შემსჭვალვა წარმავალისა ამის სოფლისა, ვითარცა წინასწარმეტყუელიცა სწყევს და იტყვის, ვინა მათდა, რომელნი ღრმა ჰყოფენ გონებასა, ვითარ იგი უფალნიცა ვაება მისცა მოძღვრით ხდასა და ზემო ჯდომისა და უბანთა ზედა მოკითხვისა, რომელი სახლებსა ქერივთასა შესჭამენ და (9v) მიზეზით განგრძობილად ილოცავთ. ამისთვის მოიღოთ უმეტესი სასჯელი, სადა სული არა წმიდა არს, მუნ არს წყარო ბილნებისა და შეგინებისა და დაცემისა განსაკრთომელისა შერევისა და შებილნებისა და ყოვლისა საძაგელისა მოქმედობისა და ტყუილისა.

ყოველთა უწყით, ვითარმედ პირველ სულის წმიდისა მოსლვისა წმიდათა მოციქულთა ზედა იყვნეს წმიდანი მოციქულნი ულაღველ, უშფოთველ, მყუდრო და მშვიდ და მდაბალ, რამეთუ ქუეყანისაგანცა არა მდიდრისა მეთევზურნი და მებადურნი და მეპყრატაკენი, უნიგონი და არა ფილოსოფოსნი, არცა გამომეძიებელნი ღრამმატიკთა და რიტორიკთა ენამჭევრობითთა, აღზავებულთა სიტყუათა წმასნად, ვითარცა თვთ იგი ჭური რჩეულ პავლე იტყვის: „ნუ მაღალსა ზრახავთ, არამედ მდაბალსა მას შეეყვებით, და კუალად სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა“.

ამისთვის პოვნა უფალმან ჭურნი რჩეულნი და აღ(10r)ავსნა მადლითა და სიბრძნითა, რომელნი ყოველთა ბრძენთა და ფილოსოფოსთა გარდაემატნეს ღვთისმეტყუელებითაცა და მსოფლიოსა სიბრძნითაცა, ვითარმედ უფალმან მათმან და მოძღვარმან და ღმერთმან ჩუენმან ყოველთამან, ძემან და სიტყუამან ღმრთისამან, იესო ქრისტემან ყოვლისა სოფლისა მოძღვრად ჯელნი დაასხნა და აკურთხნა და აღუთქვა ათორმეტთა საყდართა ზედა სხდომა, მის თანა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა, არამედ და ყოვლისა სულისაცა. ზ, სათნოება, ზ, ღირსება, ზ, სიბრძნე, ზ, ჯელმნიფება, ზ, მთავრობა. ვინ შეუძლოს ღირსად გამოუთქმელსა მას პატივისცემასა თქუენსა, რა არს საქმე ესე საკრველი, რამეთუ მეფენი და ჯელმნიფენი წარდგებიან ბორკილითა და მთავარნი მათნი ჯელბორკილითა რკინისათა, ხოლო გლახაკნი და უპოვარნი მოციქულნი, თვთ ბუნებით ჯელმნიფესა და ღმრთისა ყოვლისა მპყრობელთან მენაჯეობენ და ანგელოზთა კრებულნი მსახურებრივისა სახითა და (10v) საყდართა განუმზადებენ, თიჯანი იყუნეს უჴმარნი და სულმან

წმიდამან გამოაჯურნა სინმიდითა, ჭურჭელნი უჭმარნი ჭურჭლად საჭმარ-ყო სულმან წმიდამან, ვერცხლი იყვნეს აღრეულნი მინათა თანა და მადლმან სულისა წმიდისამან გამოადნო ბრწყინვალედ, ოქრო იყვნეს გარნა უჩინარ, ხოლო სასანთლედ გაჭედნა სულმან წმიდამან და აღუნთნა სანთლად ყოველსა ქუეყანასა, ვიდრემდის ყოველსა ქუეყანასა განჯდა ჳმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუაანი მათნი შეინყნარეს.

კუალად მანვე სულმან წმიდამან აღადგინნა მეფენი მორწმუნენი და ერთ სამწყსო ყო ძველი რომი და ახალი რომი ბიზანტია, იერუსალიმი და ყოველი ევროპა გამოაჩინნა ღმერთმან შემდგომად მოციქულთა მღვდელთმოდღვარნი და ღირსნი მამანი და მათ თანა ღუანლისა მძლენი მონამენი არა ხოლო თუ მამანი, არამედ დედანიცა ღირსნი სასწაულთმოქმედნი და მოკლედ წარმოვთქვათ არათ უნაკლულესნი მოციქულთა ყოვლითა სათნოებითა და სასწაულთმოქმედებითა.

(11r) ხოლო წინასწარმეტყუელებაჲ თვთ უფლისაჲ აღესრულა, რომელ თქუა: კაცი ვინმე სამეუფო განვიდა აგარაკსა თვისსა თესვად თესლისა თვისსა და ოდეს დასთესა, მოვიდა მტერი და დასთესა შორის იფქლისა ღვარძლი და წარვიდა, ხოლო ოდეს მოინია სამკალად, იხილა ღვარძლი თანა აღორძინებულად იფქლისა და უბრძანა მომკალთა მომკა მათი და ძნეულად შეკრვა, განლენვად იფქლისა და საუნჯეთა მისთა შეკრებად, ხოლო ღვარძლისა მის დანვად ცეცხლითა უშრეტითა, სადა იგი მატლი მათი არა მოაკლდების და ცეცხლი არა დაშრტების.

არა დასცხრა დასაბამისა იგი ვეშაპი და მრავალთავი გველი, მტერი ჭემარიტებისა ბელიერ, რომელსა სწყურის წარწყმენდა ჩუენი, ვინათგან მისტაცეს ყოველი სოფელი კერპთაგან და შეიმუსრა ძალი მისი ქრისტეს გამოჩინებითა და წმიდათა მისთა, რომელთა სძლეს ძალსა მისსა, რომელთამე წამებითა, რომელთამე განშორებითა (11v) შფოთთაგან სოფლისათა, რომელთამე წამებითა და თითოეულმან წმიდამან თითო სახითა სათნოებითა და ყვაოდა წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიანი ქრისტესნი მართლმადიდებლობითა, გალობითა, შესხმითა და ლოცვითა სულთა საცხოვრებელითა და წმიდათა ხატთა მიერ, ვითარცა შროშანი აღყვავებულ იყო, სადა იგი განეგებოდა წესნი საეკლესიოანი, რომელნი მოციქულთა ქადაგეს და მღვდელთმოდღვართა დაამტკიცეს და მონამეთა აღიარეს, მთავარმან ბნელისამან მოშურნემან სატანა პოვა ჭურჭელი ცარიელი კეთილთაგან შემსგავსებულნი თვისსა უკეთურებისანი, კაცნი სამღვდელონი, რომელსა პირველითგან ჩვეულებაჲ აქეს, უფროსა სამღვდელთა და სამღრთოთა თანა შესლვად, ვითარცა იუდასა გულსა შევიდა და განყიდა დაუფასებელი იგი მარგალიტი ოცდაათ ვეცხლად და შიშთვილობა.

ეგრეთვე შევიდა ვიეთმე გულსა რომელთამე მეფენიცა და მღვდელთმოდღვარნი აღძრნეს წვალებად თითო სახედ (12r) არა ერთ სახედ, განრყვნა და შეცვალნა და მრავალი ჭირი და განსაცდელი მოანია ეკლესიათა ზედა

და წმიდათა კაცთა, რამეთუ განიყვნეს და განიწვალნეს, რომელთა კუალად შემდგომად კრებითა დაამტკიცეს, არამედ არცა მაშინ დაყუნდნა ლელვა იგი მწუალებელთა, რასა იგი მოაგონებდა ეშმაკი, რამეთუ არა ყოველთათვის არს აწინდელი ესე სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ ნებსით დავიდუმეთ თითო სახეობაჲ წვალეებისა მათისა და წმიდათა კრებათა, რათა არა სიმრავლე წერილთა იქმნას საწყინოდ, არამედ მარტოდ ხოლო რომაელთა და ლათინელთათვის ვიტყოდით, ვითარცა ესე წინამდებარემან სიტყუამან ცხად-ჰყოს.

### **მეფოზასა კოსტანტინესსა და დედის მისისა ირინესსა.**

იყო რომეს შინა პაპაჲ ანდრიანე, რომელი იყო მსოფლიოსა კრებასა შინა დამტკიცებად პატიოსანთა ხატთა თაყუაინისცემად. ხოლო შემდგომად ანდრიანესა იქმნა რომს პაპად ლეონ, ხოლო ამას ლეონს მოშურნე ექმნეს ნათესავნი ანდრიანესნი და განაძეს იგი, (12v) საყდრისა თვისისა და ქალაქისაგანცა რომისა.

ხოლო პაპამან ლეონ წარავლინა მოციქული კოსტანტინოპოლეს, მეფისა კოსტანტინესდა დედისა მისისა თანა, რამეთუ ითხოვდა მათგან შემწეობასა და ვერა ჰპოვა ამისთვის, რამეთუ კოსტანტინეპოლის მას ჟამსა შინა მეფისა და დედისა მისისა შორის შფოთი რაჲმე აღდგომილ-იყო და სხუაჲნიცა მრავალნი აღდგომილ იყვნეს კოსტანტინოპოლეს ზედა, ამისთვისცა პაპა მივიდა ფრალისა ფრალის მთავრისა კარულის თანა, ხოლო კარულმან მისცა შემწედ ძალი დიდი და კუალად დაადგინეს პაპად რომისა და დასვეს ტახტსა ზედა.

ხოლო პაპამან ლეონ ზრახვა-ყო ღირსთა კაცთა და მთავართა თანა რომისათა, რათა დაადგინონ რომს შინა მეფე მორწმუნე, რათა მეფობაჲ, კუალად რომისაგან იწყოს, ხოლო მან შემწეობითა კარულისათა მოიხმო უკუჲ პაპა(13r)მან კარული იგი მთავარი, წმიდამან ლეონ და ბერძულის რჩულითა გვრგვინოსან-ყო იგი მეფედ რომისა, არამედ საჲმარ-ყო ძველიცა რჩული და არა უწყი, რომლისა განზრახულებითა თავითაგანვე ფერჲთამდე მირონი სცხო მას. ესრეთ უკუჲ შეთხზულებაჲ პირველი მოქალაქეთა განიკუჲთა, ვითარცა დედის და ასულის შორის შე-რა-ვიდა მახვლი განმყოფელი და განმკვეთელი რისხვისა მახვლითა ქალწულებისა კეთილ ბუნებრივისა ახალი რომი სამეფო ქალქი ძველისა რომისაგან.

ხოლო კარული პაპითგან და მამითგან ქრისტიანედ სახელ იდებოდა და აღირაცხოდა ქრისტიანეთა შორის, არამედ მოიყვანნა თვსთანა აღრეულნი და სწავლულნი, რომელთა ჰქონდეს წვალეზანი ფარულად აპოლინარისა და მაკედონისა და სევერისა და დიოსკორესა და ორიგინესი და ევ(13v)ტუქისა და იწყეს მოქცევად ერისა უფლისაჲ და სწავლად თვსთა წვალეზათა არა ყოვლად ფარულად, არამედ ცხადადცა, ვითარ მეფისაგან შემწე ყოფითა და იტყოდეს,



ვითარმედ მამისა და ძისგანცა გამოვალს სული წმიდაჲ და უცომოთა წირვა და სხვანი მრავალნი წვალეზანი. და ხედვიდა პაპა ლეონ ერსა ღმრთისაჲსა წარწყმენდილსა, ამისთვის, რამეთუ ტკბილად მიიღებდეს სწავლასა მათსა, რამეთუ არა იყუნეს რომსა შინა ბრძენნი და მეცნიერნი, რათა განეგდოთ ეგევიტარი სწავლითა ბოროტთა წუალეზათა და ინება წარგზავნა კაცთა კოსტანტინოპოლეს ქალაქსა ბრძენთა და სულიერთა კაცთათვის და ვერ ძალედვა ამისთვის, რამეთუ მას ჟამსა შინა კოსტანტინოპოლეს ხატომბრძოლნი იყვნეს მეფის თეოფილესაგან.

ხოლო პაპამან წარგზავნა წიგნი იჭრუსალიმის პატრიარქისა თომასა, რათა მოუვლინოს კაცნი სიტყვიერნი, რომელთაცა ძალედ(14r)ვას შემუხრვაჲ და განდევნა ეგევიტართა წვალეზათა და ოდეს მივიდეს მოციქულნი და ისმინა პატრიარქმან მცნებული, წმიდაჲმან თომა გამოარჩინა და წარავლინა კაცნი დამტევნილნი ყოვლისა ჭეშმარიტებისანი, სულიერთა, გინა ჯორციელთა, რომეს შინა პაპისა ლეოსა. მიხაილ პროტოსინღელი დიდისა საყდრისა და მონაფენი მისნი თეოფანე და თეოდორე ერთმანნი და იობ და იგინი მიმავალნი წარვიდეს.

ხოლო ინებეს წარსლვად კოსტანტინოპოლეს მგზავრ პირველ რომისა, რათა სიტყუაჲ უგონ მეფესა თეოფილეს და შემუხრვად ხატომბრძოლობისაგან და დამტკიცებად ერისაჲ ღმრთისაჲ პატიოსანთა ხატთა თაყუანისცემასა და მრავალნი მოაქცინეს კეთლმორწმუნეობად და იწყეს წინააღდგომად მეფისა, ხოლო მეფემან თეოფილე არღარა დაითმინა ერისა (14v) მის სწავლა და მოქცევა წმიდათა ხატთა თაყუანისცემად მიხაელ, თეოფანე და თეოდორესაგან. ბრძანა წარყუანება მათი და წამებად ტყავთა მისთა გვამისათა განჭლად და ძარღვთა დაძრომა, ხოლო წმიდაჲ მიხაილ და მის თანა იობ, წმინდანი სულნი თვისნი მათვე წამებათა შინა ჴელთა ღმრთისაჲთა შევედრნეს, ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლეს, ხოლო წმიდასა თეოფანეს და თეოდორეს მრავალი ვნებაჲ შეამთხვიეს და სხეულნი მათნი დასწვეს ძვალეზადმდე, განაკეთეს ფიცარი რკინისა ესრეთ სახედ და დასწერეს იამბიკონი, ხოლო ჰქონდათ სახენი განრთხმულნი ყოველსა მონადესა მისლვად ქალაქად ამად. ესე არს იჭრუსალიმით, სადა პატიოსანნი ფერჴნი დადგნეს, გამოჩნდეს ამა პატიოსნისა ადგილისანი, ჭურჭელნი ბოროტნი ბოროტ, ეშმაკეულნი, მაცთურნი ესე სახელ იდეზიან წმიდაჲდ მიხაილ, თეოფ(15r)ანე და თეოდორე, ხოლო მათ მრავალი ურწმუნეობაჲ-ყვეს და ბოროტი თვისითა ბოროტ ბრძნობითა შორს განდევნილ არიან, ვითარცა განდგომილნი ესე არიან იერუსალიმით და ამას სამეუფოსა ქალაქსა კოსტანტინოპოლის, არამედ არა დასცხრენ თვისისა ბოროტად სწავლისაგან ერისა და მათ დავანერეთ სახეთა ზედა, ვითარცა ბოროტისა მოქმედთა, განიკიცხვიან და განიძებიან ამიერ და წარვგზავნეთ იგინი ექსორიად, ხოლო მუნვე მიიცვალა წმიდაჲ თეოდორე, ხოლო ჟამსა მისისა აღსრულებისასა ისმოდა ანგელოზთა გალობაჲ სანადელი და იგიცა მგალობელად მათ თანა ის-

მინეს, ხოლო თეოფანე ცხოვრებდა განძებულად ვიდრე სიკვდილამდე თეოფილისა მიერ.

ესრეთისა უკუჴ მიზეზითა წმიდაჲ მიხაილ პროტოსინღელი წმიდისაჲ იერუსალიმისა საყდრისა და მონაფენი მისნი არცაღა ერთიღა (15v) მიინია რომედ, ხოლო პაპა ლეონ ხედვიდა ერსა ღმრთესასა წარწყმედილსა პირველჴსენებულთა მწვალებელთაგან კარულისათა და შემწენი არა სადათ ეპოვნეს და ვერღარა გულისჴმაჲ-ეყო. რაჲ ვითარ ეყო, ამისთჴს დასწერა ფიცართა ზედა აღსარება მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა და აღაკრნა კედელსა ზედა ეკლესიისათა, რათა მხილველნი აღმოიკითხვიდენ და აღიარედენ ძესა მამისაგან შობილსა და სულსა წმიდასა მამისაგან გამოსულსა, ესე ქმნა დამტკიცებისათჴს მორწმუნეთა და შემუხსრვისათჴს წვალებათა კარულისათა.

ხოლო შემდგომად მიცვალებისა ლეონისა იქმნა პაპად ვენედიკტე, ესე იყო ნათესავით ლათინელი და იყო ორთავე ენათა და წიგნთა სწავლულ, ლათინთა და ბერძულისაცა, ეგრეთვე (16r) ორითავე ენითა აღსწერა აღსარება მართლმადიდებლობისა სჯულისა, რომელ არს „მონამს ერთი ღმერთი“ და უბრძანა ყოველთა ქრისტიანეთა თქმად, ბერძენთა და ლათინთაცა, შესამუსრველად პირველ თქმულთა მწვალებელთა და საცთურიანთა სწავლათა მათთა არა სმენად, ხოლო მისწერა პაპამან ვენედიკტე სამთა პატრიარქთა – კოსტანტინეპოლისასა, ალექსანდრისასა და იჴრუსალიმისასა, რათა შემდგომად მიცვალებისა მისისა არღარა მოიხსენონ მოსახსენებელთა შინა წმიდათა ეკლესიათასა რომისა პაპა პაპად და უფროსად, ვიდრემდის არა აღიარონ მართალი და ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ, ვითარ რწამთ, რამეთუ დაფუნძდა რომესა შინა ბოროტი წვალებაჲ და ყოველნი წარსაწყმედელსა შინა მიეცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ განირყვნეს და ბინი ქმნეს მწამე(16v)ბელნი სულისა წმიდისაჲნი იტყვიან, ვითარმედ: „მამისაგან და ძისაგანცა გამოვალს სული წმიდაჲო“ და უცომოთა ჴმიაღითა სწირვენ და უმრავლესნი სხუანიცა წვალებანი არიან. ხოლო პირველად ვენედიკტესა იყო პაპად რომისა პირველი ანდრიანე, მეორე ლეონ, გ. სტეფანე, დ. პასხალ, ე. ვგენი, ვ. ვალენტინე, ზ. გრიგოლი, ჴ. სერგია, თ. ლეონ, ი. იოანე ანგილიანე, ია. ვენედიკტე, (ია) მეათორმეტე ნიკოლა პატრიარქი, ხოლო კოსტანტიპოლეს მას ჟამსა შინა იყო ფოტი პატრიარქი, რომელი იყო მეფობასა ვასილი მაკიდონელისასა, მეცამეტე ანდრიანე, მეთოთხმეტე იოანე, მეთხუთმეტე მარტიანე, მეთექვსმეტე სხუაჲ ანდრიანე, მეჩვიდმეტე სტეფანე. ესე ყოველნი მართლმადიდებელნი და ერთჴმანი ოთხთა მსოფლიოთა (17r) პატრიარქთა თანა.

ხოლო შემდგომად პაპა სტეფანესა მეფობასა მეფისა ლევისასა, ბრძნისა ბასილის შვილისასა, იყო რომს შინა პაპად ფორმოსი, გალატიითგან მოსრული და ჴქონდა მას ნუალება აპოლინარისა და მაკედონისა და ორიგინესი და სხუაჲნი წვალებანი შეერთებულნი კარულისა ნუალებისანი. ხოლო ერმან მართლმადიდებელმან არა უწყოდეს მას შინა ფარულად დამკვიდრებული გესლი

შემჭმელი წვალეებისა და შეინყნარეს პაპად რომისა, ხოლო მან დასწერა აღსარება მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა ზაკვითა და მაცთურებითა და წარუგზავნა ოთხთა პატრიარქთა მიმართ, მოქმედთა მართლისა სარწმუნოებისათა, მიიღო პური იუდა ჯელთაგან დამბადებელისათა (17v) და შევიდა გულსა მისსა ეშმაკი და განვიდა და იყო ღამე, მიიღეს რაჲ წმიდათა პატრიარქთა სავსე მზაკვარებითა აღწერილი წიგნი მისი, აუფლეს იგი პაპად და ჯელთ-უდვეს რომი და ევროპი და მან მიიღო მსგავსად იუდასა, ხოლო ვიტყვით სახისმეტყუელებით პურად ერსა ღმრთისაჲსა და შესლვასა ეშმაკისასა გულსა მისსა, წინა აღმდგომობასა ღმრთისასა, განსლვასა გარეგან მართლისა სარწმუნოებისაგან, ვითარცა ნასხლევი ქრისტეს ვენაჴისაგან მოკვეთილი და განწმელი, ხოლო ღამედ სიბნელესა და ჭეშმარიტად ღამესა წვალეებისა მისისათა და ვიტყვი შიშთვილისაცა, რამეთუ ვითარცა იუდა ნებსით თავი თვისი მოიშთო და არა სადა წერილ არს ჴსნა მისი, არამედ დაუსრულებულად და საუკუნოდ დაესაჯა მიცემა ჯოჯოხეთისა, ეგრეთ ფორმოს, გარეგან ცხოვრისა (18r) ტყავითა მოსილმან და შინაგან მგელმან მტაცებელმან, მიიღო საუკუნო სატანჯველი, რომელი დასაბამ იქმნა წვალეებისა და ოდეს მოვიდეს უფალი სავენაჴისა, რომელი ალაოჴრა ბნარგვმან და ეშვმან მძვნვარემან, ჯელთა მისთაგან იდიოს სისხლი სულისა მათისა, ხოლო ჩუენ პირველისავე სიტყუაჲსა მოვიდეთ.

ხოლო ოდეს დაადგინეს იგი პაპად, იწყო მან სწავლად ერისა ეგვიპთართა წვალეებათა მიმართ მორწმუნეთა და იტყოდა სულისა წმიდა მამისაგან და ძისაგან გამომავალსა და ბრძანა უცომითა წირვა. ესე იგი არს სეფისკვერთა შინა ცომისა და მარილისა არა შთადებად, არცა აღრევად ჰურიათა სარწმუნოებისაებრ, გინა, ვითარცა ურწმუნოსა აპოლინარისაებრ უსულოსა და მკვიდრისა ჴორცითა წირვა, ხოლო ჩვენ ესრეთ ვიტყვით, რომელი უკუჴ არა არს (18v) წაყენებულ, იგი არცათა აფუენებულ არს, ხოლო უმარილოდ ესე არს, ერთი კაცი სრული გვამითა და სახითა, გარნა უჭკო და უცნობო.

ხოლო სხუაცა მცნება ჰქადაგა რომაულად, სახელისდვა, პურლატორიემ, რომელი გამოითარგმანების განსანმედელი ცეცხლითა, ვითარ თუმცა ცოდვილისა კაცისა სული შთაჴდა ცეცხლსა ჯოჯოხეთისასა და დაიწო იგი და იტანჯა რომლად ჟამადმდე, გარდაიჴადა ცოდვათა თვისთა ვალი და თანამდები და განერა და ესრეთ განერა, ვითარცა ცეცხლისაგან განწმედილი ოქრო, გინა ვეცხლი, ესე მოიღო ორიგენიეს წვალეებათა უაღრესისაგან და ბრძანა ყოველსა სამწყსოსა თვისსა და ერსა ზედა სწავლად, ვითარმედ სულთა განწმედად ცეცხლითა განსანმედელითა და ჯოჯოხეთითგან სამოთხედ მოსლვად და მართალთა სულთა თანა შერთვად, რამეთუ დაივიწყა (19r) ჴმაჲ წმიდისაჲ სახარებისა, გლახაკისა ლაზარესთჴს და მდიდრისა აბრამისა სიტყვისა წამებითა, ვითარმედ დანახეთქი საუკუნო და ვერ შეძლებად შორის მათსა წილსლვა ურთიერთას გამოაცხადებს შორის მართალთა და ცოდვილთა.

ცოდვილთა გამოსლვად კუალად და მისლვად ჯოჯოხეთითგან სამოთხედ და არცა ძველისა სჯულისა წერილთა შინა, სადა წერილ არს, თუცა სადა ითქმის სიკვდილი მეყსეულად საუკუნოდ და არა ჟამისად ცხოვრებისაცა და წარწყმედისაცა, ვითარცა იგი უფალი და ღმერთი ჩუენი იესო ქრისტე მრავალგზის ბრძანებს ახლისა აღთქმისა სახარებასა შინა დაუსრულებლად და საუკუნოდ ტანჯვასა ცოდვილთა უნანელთასა, რომელი წერილთა სიმრავლისათჳს მონამენი დავიდუმეთ, არამედ ვინყოთ მისივე ზემო წერილისა სიტყუაჲდ. ხოლო სწავლა იგი ფორმოსისა პაპისა ყოველივე კეთილად შეინყნარეს ბოროტი იგი სწა(19v)ვლა, ხოლო აქეთგან განემორნეს სრულიად საბერძნეთისა მართლმორწმუნეთა ეკლესიისა სარწმუნოებისაგან და წმიდათა ოთხთა პატრიარქთა ერთჯმობისაგან.

ხოლო შემდმომად ამის პაპისა ფორმოსისა, რომელი დასაბამ ექმნა და მწვალებელთა უაღრეს იყო, იქმნა მეორედ ვონიფანტი, მესამე რომანოზ, მეოთხე სტეფანე, მეხუთე თეოდორე, მეექვსე იოანე, მეშვიდე ვენედიკტე, მერვე ლეონ, მეცხრე ქრისტეფორე, რომელნი იყვნეს ერთჯმანი ფორმოსისა მწვალებელისანი და ოთხთა პატრიარქთა ესრეთ სწერდეს და სჯულად დადგეს, ვითარმედ სული წმიდაჲ მამისაგან და ძისაგან გამოვალს და უცომოთა ჯერ არს წირვა და სხუანი მრავალნი და ბოროტნი წვალებანი, ვითარცა წყეულმან ფორმოსი უმოძღვრა განლიგებულმან ეშმაკთაგან.

ხოლო მეშვიდესა მსოფლიოსა კრებ(20r)ითგან ვიდრე ქრისტეფორემდე წელნი ორას ორმეოცდათექვსმეტი პაპად რა დასვეს იგი. ხოლო მეფობასა ვასილი ბოლღარ წარწყმედულისასა იყო კოსტანტიპოლეს პატრიარქი სერგი, წელსა ექვსი ათას ექვსას ორმეოცდაათორმეტსა, ამან განაძო წერილთა პაპა რომისა განზრახვითა სამთა პატრიარქთათა, საღმრთოსა წერილთა, რაჲთა მოიქცეს პირველსავე წესსა მართლისა სარწმუნოებისათა.

ხოლო იგინი დამტკიცდეს თვისთა საცთურთა ზედა და არა ინებეს მოქცევა, არამედ განდგეს ბერძნისა წესთაგან და ოთხთა პატრიარქთაგან მართლმადიდებელთა. და იწყო რომმან ცვლა წესთა და იყვნეს მტერნი ბერძენტანი უკანასკნელამდი ყოველთა მართლმორწმუნეთა მდევნელ და მრავალნიცა სხუანი ქუეყანა(20v)ნი და ქალაქნი აცთუნეს თჳსითა საცთურითა, რომელ არიან პიონნი, რომელი სახელიდებიან უღრნი.

ხოლო იხილეს, ვითარმედ მიიღეს პარსთა, წარმართთა რუსთა წმიდა ნათლისღება და ნათელს-იღეს, მივიდნენ სამნი მთავარნი უღრისანი კოსტანტიპოლეს, რომელნი ითხოვდეს წმიდა ნათლისღებასა. ნათელს-ღეს და მიიქცნენ თჳსად ქალაქად, ხოლო მღდელთმოძღვარი ბერძენთა ვერლარა მივიდა ქუეყანასა მათსა ბარბაროზთა აღდგომისათჳს კოსტანტინოპოლესა ზედა, რათამცა განესწავლნა იგინი და მიეცა საღმრთოჲ წერილი, ამისთჳს თჳსითა ენითა უღრთა არა ჰქონდათ წერილნი და შემდგომად ამისსა ერთმან მთავართაგანმან, სახელით სტეფანე, შეავედრა სული თჳსი უფალსა, რომელსა

ექმნეს მრავალნი კეთილნი.

რამეთუ ხედვიდეს ლათინნი უძლურებასა ბერძენთასა და მივიდეს რომით(21r)გან უღრად და აცთუნნეს იგინი. და შეიერთნეს იგინიცა ლათინელთა წვალებასა და ეგრეთვე სიახლოესა მათსა მყოფნი წარმართნი: უდნი, პიდნი, ფრაგნი, პოლიაკნი, ლიხნი, ჩეხნი, და სხუანი წარმართნი მიაქციეს რომაელთა და შეიერთნეს იგინი თჳს თანა მაცთურთა. ხოლო სერგია პატრიარქმან და სხუათა პატრიარქთა სოფლისათა პაპა რომისა არა საყდართა შინა, არამედ პირადცა არღარა ახსენებდეს, არამედ განაძეს იგინი და წყევა მიაგეს მათ. ხოლო მეფობასა მიხაილ პეფლალონისასა ბერძნისა მეფისა იყო პატრიარქი კოსტანტინეპოლის კირლარი. ხოლო მანცა ეგრეთვე წყევა ლათინნი, რომელნი იქმნეს ცხადად მწვალებელნი, ვითარცა უგუნურნი და უმეცარნი და ვითარცა უცებნი განბრჭობისანი, არამედ ბოროტ მბრძნობელობითა თჳსისა ავ ცნობილობისაგან ამპარტავან (21v) იქმნეს და მრავალნი, კეთილისმყოფელ ღმერთი მათგან განვიდა.

ხოლო შემდგომად პეტრე ღუღნივმა მიიღო საყდარი რომისა, ხოლო ამან მორწმუნეობით ნაკლულევანმან სრულიად ბოლომდე აღმოფხვრა სჯული მართლმადიდებლობისა და სრულიად იტალია აღაშფოთა და მრავალნი ბოროტნი წვალებანი დასთესნა. მდდელთა უბრძანა შვიდ-შვიდგზის ცოლთა ყოლება და ხასანიცა, რაოდენიცა, რომლისა რაოდენი უნდეს ცოდვად, არა შეერაცხვად. ხოლო ორღანთა, ტინპანთა და მუზიკთა ბრძანა ეკლესიასა შინა დაკვრად, წვერთა და უღვაშთა ყოველთა მოპარსვა, ვითარცა კაცთა, ეგრეთვე ქალთა უაღსარებოდ და უნანელად შენდობა ცოდვათა და სხუაჲ ჟამთა ცოდვათა არა დაკვეთა.

ხოლო სვინაქსარი ესე არს წმიდათა სამარადისოდ სახსენებელი და დღესასწაულნი სხვისა წესითა შეცვალნა და სხუასა ჟამსა დაანესნა და ცხ(22r) ოვრებაჲ ყოველთა წმიდათა აღწერა შემსგავსებულად ეშმაკეულობისა თჳსისა სჯულისა, რომელ განანესა და სრულიად განრყენა განრყენილმან და მსგავსად სამარისა დაყროლებულმან და შაბათისა მარხვა ჰურიათაებრ დასდვა და ეგრეთვე ნათესავთა შერევა, რამეთუ ურთიერთას ქორწინებად შეუნდობდა, ვითარცა იგი და უჟამურსა ცოდვასა და ძალლთა და კაცთა ერთსა ჭურჭელსა შინა ჭამა და სხუაცა მრავალი ურჩულოებაჲ დასთესნა, რომელი არა ჯერ არს თქმად წვალებანიცა და წესნიცა და შეგინებული პირი თვისი ალალო დამცირებად უსახობასა თჳსისა ბოროტ ბუნებისა და ლირბად მცოდველმან წმიდათა ეკლესიათა ღმრთისათა. ხოლო უწინარეს ამისა დარღვეულ იყვნეს მრავალნი წვალებანი, რამეთუ ლათინნი განყოფილ იყუნეს ეკლესიისაგან და შეყენებულ (22v) წყევასა ქვეშე.

ჟამსა მეფისა კოსტანტინე მანამახისა პატრიარქმან მიხაილ კრებაჲ ქმნა ეკლესიათა და წმიდათა განზრახვითა და ეგრეთვე პაპა რომისა და ყოველნი მწვალებელნი დასწყევეს, რათა იყვნეს იგინი წყეულნი და შეკრულნი, ხოლო

პაპა მრავალჯერ ლათინთაგან დაიდგინა მეფედცა რომისა და არა ინებეს სმენად მეფისა, არცა პატრიარქისა და ერთჴმათა წმიდათა მათ.

რამეთუ პაპამან ზრახვა ჰყო რომაელთა თანა და ესრეთ განიზრახეს, ვითარმედ წარვგზავნოთ ბრეტანიას მთავარსა ლამანკოვთან. ესე არს ფრანგთა შერიგებისათჴს, ამისთვის, რამეთუ ბრიტანიის ჭალაკსა შინა, დიდის მეფის კოსტანტინეს ჟამთა მიეღოთ წმიდაჲ ნათლისღებაჲ, ხოლო წიგნნი თჴსისა ენასა ზედა თარგმნილნი არა აქვნდათ, არამედ ლათინურისა ენითა აქვნდათ და სამარადისოდ მტერ იყვნეს (23r) რომაელთანი, ხოლო პაპი შერიგდა მათ და დაუმტკიცა დიდისა წყევითა, რაჲთა იყვნეს მარადის ალამანოვისა შერიგებულნი და სწამდეთ ერთი სარწმუნოებაჲ და მისთვის დაჰპირდა ვრიტანიის მეფის დასამასა, ხოლო მათ მეფობისა სახელისათჴს და მისთვისცა, რამეთუ აქვნდათ მათ წიგნნი ლათინთა ენასა ზედა და შერიგდეს რომაელთა, ხოლო პაპამან აცთუნნა იგინი თჴსითა სწავლითა და ასწავნა მათ თჴსისა ეშმაკეულებისა წვალებანი ყოველნი და მოიწმო რომედ მთავარი მათი უაღრესებითურთ და დაადგინა იგი მეფედ და დაწერა სჯული, რათა ლათინელთაგან დაისმოდეს პაპა რომისა და ბრიტანიას მეფე ალამანისაგან. ადგილად ბერძენთ მეფისა და ეგრეთვე დიდთა ქალაქთა შინა ოთხთა წმიდათა პატრიარქთა წილ და მართლმადიდებელთა თჴსსა სამწყსოსა ოთხნი პატრია(23v)ქნი, ხოლო და სახელითა ცალიერნი ყოვლისა კეთილისაგან, რომელსა იტყჴს მოციქული შემდგომად ჩუენსა და თქუენსაო, ეტყვის მართლმადიდებელთა, ვითარმედ შემოვიდნენ მგელნი მძიმენი, რომელი არა ერიდებოდნან სამწყსოსა თქუენსაო. მძიმენი და მგელნი ჭეშმარიტად, რამეთუ დაუმძიმდა წმიდა ეკლესიასა მართლმორწმუნეთასა. ვიკადრებ, თჴთ ქრისტესა თანა მამით და სულით წმიდით, მგლად შეცვლა მათი და განხეთქილობაჲ სამწყსოსა თჴსისა, რომელი მათ ყვეს წვალეებითა თჴსითა, ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე და განარისხეს სჯულის მომცემელი ღმერთი, ვითარცა მოსე ისრაელთა და არა ისმინეს მისი, ხოლო მან შემუსრნა ფიცარნი სახედ ლათინთა, რომელთა არცა წმიდათა ისმინეს, რომელთათჴს შეიმუსრა ფიცარი იგი მართლმადიდებლობისა და მისცნეს თავნი თჴსნი ნებსით წარსაწყმედელსა, ხოლო მოსე კუალად მოიხვნა (24r) მეორენი მცნებანი დასამტკიცებელად ისრაელთა, რომელიცა განამტკიცენეს, ხოლო რომაელთა და ლათინთა ორივე მცნებისა ფიცარნი შემუსრნესცა, არცა დაიმარხნეს, ხოლო ისრაელთა აქვნდა სჯულისა იგი კიდობანი სავსე სამსახურებელითაცა წმიდისაჲ წმიდათასა და ფიცარნიცა მას შინა, ხოლო ლათინელთა კიდობანი ცარიელი აქვსთ, რამეთუ რომელი ახლად ისრაელად განანესეს და სახელს დევს ქრისტიანედ წმიდათა მოციქულთა ნიშებ შემოსილთა წმიდათა მართლმორწმუნეთა კრებათა, ჳმისა არა ისმინეს, არამედ განდგეს-ყე და წინააღმდეგომ იქმნეს თჴსისა მუცლისა მეზღაპრეობითა, ქმნეს ესე ყოველი ბოროტი და ანტაკრად წინა აღუდგეს სულსა წმიდა, ამისთვის ჭეშმარიტად არცა პირველისა სჯულისა მცნებათა თანა აქვს ნაწილი, არცა ახლისა, რამეთუ ორთაგან

ცალიერ არიან მინდობილნი მსოფლიოსა (24v) წარმავალისა და გცევადთა საწუთოსა სიბრძნისა ბრძნობისა, გინა არსებისა მყოფისა, უმყოფისა, მყარისა და ცვალებადისა უცვალებელისა, მკურნალობისა, მწამლელობისა, ყოვლისა სოფლიოსა ჯელოვნებისა, მზომელობისა, აღრიცხვისა, ვარსკვლავთ მრიცხველობისა. მოგვობისა, მთვარის და მზისა მოქცევთა და წყალთა ბუნებისა, ნოტიობისა და სიწმელისა, ცეცხლისა ბუნებათა, ნებებათა და მოქმედებათა, შობისა უშობელისა, დაღაცათუ ჟამსა ამათგანი, რომელიმე საჭმარ არს. ესე ყოველი მსოფლიო და წარმავალი არს სამისა და მადლისაგან ცალიერი კიდობანი რომთა ლათინთა და ესრეთ ჰაერად განიბნევის მადლი და ცხოვრება მათი და გარეგან ვენაჴისა მის უფლისაჲ საბოოთისა იპოებინ.

ხოლო ჩუენ ახლისა ამის ისრაელისა მართლმორწმუნეთა და (25r) მორჩილთა ნებისა ღმრთისაჲთა და სულითა განათლებულთა და მადლითა ღმრთისაჲთა და სულისა წმიდისაჲ აღესებულთა, წმიდათა მსოფლიოთა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან მოცემული სარწმუნოებაჲ ქრისტესი გვიპყრიეს და შეგვიმოსიეს ქრისტე პირველითგან უკანასკნელადმდე. მოვედით, ზ, განდგომილნი შვილობისაგან და შეწვენისაგან ღმრთისაჲ და წმიდისაჲ ეკლესიისაგან, შვილნი და მორჩილნი ეშმაკისანო, ლათინნი, ფარმოსიანნი და ლულნიანნი და ლულა შემოსილნი და არა ქრისტესი, გიჩვენოთ ჩუენი რჯულის კიდობანი საგვს მადლითა და ჭეშმარიტებითა, რომლისა ბრძენთა ენასა ვერ ძალუც გამოთქმად ქებულებისა მისისა თქმად და არცალა გონებისა მინდომად სიკეთისა მისისა და სინმიდისაჲ, რომელი წინასწარმეტყუელთა პირველივე მოასწავეს ტაკუკად ოქროსა მტკრთველად მანანასა, ტაბლად პუ(25v)რისა მის ცხოვრებისა და ბჭედ აღმოსავალისა ოქროსა დაჴშულად და მშობელად ევმანოელისა, რომელ არს „ჩუენ თანა არს ღმერთი“ და „ქრისტე ძე ღმრთისაჲ“, ხოლო თქუენ თანა ფორმოს, ლულნი და ეშმაკი და მეოთხე ნაწილნი მათი თქუენ აწინდელნი პაპნი და ერი მისი, რამეთუ არცა ხოლო მარტო ოთხნი, არამედ ერიცა თქუენი სიტყვისა თქუენისა მორჩილნი, ვითარცა ცხოვარნი შეჭმულნი თქუენ მგელთაგან.

ესე კიდობანი სჯულისა წინასწარმეტყველთაგან მოსწავებული, მოციქულთაგან მსახურებული, მლუდელთ-მოძღვართაგან დამტკიცებული, მონამეთაგან აღსარებული, მამათაგან ძრწოლით თაყუანისცემული, მამადმთავართა სიქადული, რამეთუ თესლისა მათისაგან აღმოსცენდა უბინოდ მშობელი ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა, რომლისაგან ძრწიან სერაბინნი და პირთა მათთა დაიფარვენ ქერაბინნი, (26r) ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ დაიგია კიდობანმან მან სჯულისამან, ყოვლად უხრწნელმან და უბინომან, გულისსიტყუათა უაღმან, უვრცელესმან ცათამან, უდიდებულესმან ქერობინთამან, უწმიდესმან ყოველთა ზეცისა და ქუეყანისათამან, ღმრთისმშობელმან მარიამ, რომლისა მშობელიცა და შობილიცა მისი გვრწამს, შობილი ძედ ღმრთისად და მშობელი ღმრთისმშობლად, რომელი თქუენ განუდეგით და მტერ და წინააღდგომ

ექმენით ყოველთა მცნებათა მისთა და შესცუალეთ სჯული და ყოველი წესი სულისაგან წმიდისა და წმიდათა კრებათაგან დამტკიცებული, ესე იგი არს მართლალსარება წმიდისა სამებისა და მცნება სახარებისა და ჭეშმარიტად ძველისა და ახლისა სჯულისაგან განვრდომილნი, ვითარცა თივა, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნების.

ოდეს დასცეს საყვირსა ბრძანებამან ღმრთისამან მთავართანგელოზისა მიერ, აღდგენ მკვდარნი, უმეტესად მაშინ სცნათ (26v) უბადრუკება თქუენი. ამიერ ვიწყით პირველთავე სიტყუათა და დაუტეოთ სიტყუა სიგრძისათს ნერილისა და ვიტყოდით ოთხნი პატრიარქნი დაადგინნა, რომელსა სახელსდებენ კარდინალად და ესრეთ სრულიად ვიდრე აქამომდე განემორნეს მართლმადიდებლობისა სჯულისაგან და მტერ იქმნეს ბერძენთა და მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა კათოლიკე ეკლესიისა. ამინ!

### **ჰუალად გაითვსვე ლათინთა წუალეგათათვს.**

ხოლო შემდგომად ამისა პაპამან სამან მოუვლინნა მოციქულნი, რომლისა სახელი სერგი კოსტანტილოპის მეფისა ანდრონიკესა თეოლოღელისა. წარვიდეს კარდინალი იოანე აზიმიტი და მის თანა ლათინელთა მოსწავლენი, ფილოსოფოსნი და მივიდეს კოსტანტიპოლის და მოართვეს მეფესა ცხენი შეკაზმული და აღვირითა და სახე პაპისა ეტვრთა კარდინა(27r)ლისა და ბეჭედი ეცვა ცერსა მისსა.

ხოლო მეფე გარე განვიდა ბჭეთა პალატისათა და თაყუანისცა სახესა პაპისა მოადგილისასა და თქუა: „მრავალჟამიერ იყოს მეუფეო წმიდაო“, ეგრეთვე თაყუანისცა კარდინალმან მეფესა და სხუათაცა მოსწავლეთა და ფილასოფოსთა ლათინელთა და იტყოდეს: „მრავალჟამიერ-ყოს ღმერთმან მპყრობელობა შენი, წმიდაჲ პაპა გრიგოლი აკურთხებს სამეფოსა შენსა“ და აქვს იგი კარდინალმან და სხუათაცა და მიიღო მეფემან საჯედარი შეკაზმული და წარიყვანეს თვსად და თქუა მეფემან მათდა მიმართ: „უაღმატებულობაჲ რომისა სამოციქულოსა ტახტისა, პაპა მრავალჟამიერ-ყოს უფალმან“ და შერა-ვიდა მეფე პალატად, იყვნეს მუნ შეკრებულ ყოველი მართლმადიდებელი ერი და ფილასოფოსნი.

(27v) ხოლო მათ შორის პირველნი დიდი ლოლოფეტეფეოს, თეოდორე ნკანდილე და ნათესავი მისი პაპილე და იოსებ, რომელი იყო მას ჟამთა შინა მღუდელთმთავარი და ამათ თანა სხუანიცა მრავალნი ადგილისანი ქრისტიანენი, ხოლო მათ თანავე იყო იოულე, რომელსა ესხნეს მონაფენი სამას ოცდაეთექვსმეტი. და იწყეს კარდინალისა თანა სიტყუად სჯულისა, შემდგომად სიტყვისა მათისა აღდგა ერთი ფილასოფოსი ბერძენი, კოსტანტინეპოლისა პანალიოსი და დადგა წინაშე მეფისა შორის ყოველთა. მუნ შეკრებუ-



ლისა ერისა სიტყუად განემზადა, პირველად აღიპყრნა ჴელნი თჳსნი უფლისაჲ, ღმრთისაჲ მიმართ და თქუა: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისათა და ქალწულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისათა დაამტკიცე გული ჩემი მეუფეო და გონება ჩემი გონიერ ჰყავ. მომეც მე სიტყუად სიბრძნისა, რათა არა სირცხვილე(28r)ულ-ჰყონ სჯულისი მართლმადიდებლობისა, არამედ რათა სირცხვილეულ იქმნენ ყოველნი მტერნი შენნი“, ესე ვითარცა თქუა.

ესრეთ ჰრქუა აზიმიტისა: „თქუ აზიმიტ მწვალებელო, დაბნელებულო, ბოროტად დიდებულო, რასა ითხოვ, გინა რასა ეძიებ, პირველად შენ გკითხავ, რომელიცა გნებავს, მაუწყე მე“.

ჰრქუა აზიმიტმან: „რაოდენსა ბუნებასა აღიარებ, რაოდენთა გუამთა, რაოდენთა სულთა?“

პანალიოს თქუა: „პირველ შობისა იკითხავ, ანუ შემდგომად შობისა?“

აზიმიტი: „შობითგან“

პანალიოს: „ორსა ბუნებასა, ღმრთაებისა და კაცებისასა, და სამსა გვა-მოვნებასა: მამასა, ძესა და სულსა წმიდასა, სამებასა ერთარსებასა“

აზიმიტი: „სადა განისვენებს ღმრთაებაჲ?“

პანალიოს: „ღმრთაებაჲ მისი განისვენებს სულსა შინა კეთილთა კაცთასა, ვითარცა განისვენებდა წმიდათა მოციქულთა ზედა და ეგრე(28v)თვე განისვენებს მოწყალეთა და კეთილისმოქმედთა თანა, ხოლო სული არანმიდებისა იმყოფების, კაცთა შინა ბოროტთა და სისხლისა დამტკიცეთა და უმონყალოთა, ვითარცა თქუენ ფრასთა და ლათინთა შინა იმყოფების სული არანმიდებისა“

აზიმიტმან: „ანგელოსნი სადა არიან?“

პანალიოს: „სადაცა ბრძანებაჲ მიცემულ არს მათდა ღმრთისა მიერ, წინაშე საყდართა ღმრთაებისათა და ყოველთა ზეცისა მწედრობათა შინა და სადაცა მიიწვიან ბრძანებითა დამბადებელისათა“

აზიმიტი: „მოციქულნი სადა არიან?“

პანალიოს: „სადაცა დადგინებულ არიან, მუნვე არიან“

აზიმიტი: „მართალთა სულნი სასუფეველსა შინა არიან და ცოდვილნი ჯოჯოხეთსა შინა?“

პანალიოს: „არა, მართალთა სულნი უკუჴ ადგილსა ნათლისასა, ხოლო ცოდვილთა სულნი ადგილსა ბნელსა მოელია(29r)ნ მართალსა და დიდსა დღესა განსჯისასა, მართალნი უკუჴ იხარებენ და განისვენებენ, მომლოდნელნი წყალობისა ღმრთისაჲ, ხოლო ცოდვილთანი დათრგუნვილ არიან, იჭმუნვიან და ტირიან მომლოდნე განსჯისა საუკუნოსა, ვითარცა თქუენცა წყეულნი ლათინნი“.

აზიმიტი: „რომელი შექმნა უფალმან უწინარეს, ცაჲ ანუ ქუეყანა?“

პანალიოს: „ცაჲ, მისთვის ოქროპირი განკვრევებით იტყვის, რამეთუ შემოქმედი პირველად დააფუძნებს და მერმე დაფარავს, ეგრეთვე ღმერთმან ცაჲ

პირველად დააფუძნა, ქუეყანა და დაფარნა მით“

აზიმიტი: „რომელი უფროსი არს, ცა ანუ ქუეყანა?“

პანალიოს; „ცა, ამისთვის, რამეთუ ყოველი საფარველი, უფროს არს საფუძველისა, როდეს ქალაქი არა იყოს დაფარულ, ნარჯდების საფუძველი მისი და დაირღვევის“

ხოლო ჰქონდათ მათ მრავალნი მეტყველებანი (29v) ღმრთისა და ნივთთა, მზისა და ქუხილისა და საღმრთოთა წერილთა, ფილასოფოსისა და რიტორებისა.

და კუალად პანალიოს ფილასოფოსმან ჰრქუა აზიმიტსა: „რომლისა მიზეზისათვის ხუცესნი თქუენნი და ყოველნი მოსაყდრენი იკვეცენ წვერთა მომიგე მე?“

აზიმიტი: „რამეთუ მოვიდა ანგელოზი უფლისა, ღმრთისა პაპისა თანა და ჰრქუა მას: უკეთუ გნებავს ანგელოზებრივი ყოფა, აღიპარსენ წვერნი შენნი და თმანი, ამისთვის, რამეთუ ანგელოზნი უწვეროდ წინაშე ღმრთაებისა ტახტისა მდგომარე არიან“.

პანალიოს: „არა არს ეგრეთ, არამედ არა ჭეშმარიტებით სთქუ ეგე. ისმინე ჩემი, აზიმიტი, რომელი ესე ჭეშმარიტსა გითხრობ შენ, ამისთვის, უკეთუ თქუენ დაიდუმოთ. წერილ არს, ქუეყანიცა იწყებენ ლალადებასა.

პაპასა თქუენსა ნებვიდა, რათა ყოლოდა მას ცოლი და გაუგზანა რომელისამე (30r) მიმართ ქალისა ქმნილ კეთილისა, რათა მივიდეს სარეცელსა მისსა ზედა, ხოლო ქალმან მან შეუთვალა მას, უკეთუ გნებავს, რათა მოვიდე სარეცელსა ზედა შენსა, მოიპარსე წვერი შენი, ხოლო პაპამან ისმინა მისი და მოიპარსა წვერი თვისი და მის ზედა თმანი და წარუგზავნა მას მსწრაფლ და მიუმცნო, აჰა, აღმიპარსავს თმანი ჩემნი, მოვედ ან სანოლსა ზედა ჩემ თანა, ხოლო მიუგო ქალმან მან, რამეთუ მოიპარსენ წვერნი შენნი და ყოველთა მიმართ სარცხვენელ იქმენ და ნებსით თვისით წარსწყმიდე სული შენი და პატივი შენისა მლუდელთმთავრობისა დასთრგუნე, საცინელ იქმენ ეშმაკთა ჩემ უზადრუკისა და შეურაცხისა ქალისათვის და ჩემისა მუცლისა ქვეშეთისა ბალნისა ნაცვალ ჰყავ წვერი შენი. ცხოველ არს უფალი ღმერთი, (30v) მე არა მნებავს მოსლვა შენ თანა სანოლსა შენისა სიბილნისასა. მაშინ იყო პაპა თქუენი დიდსა მწუხარებასა შინა და ზრუნვასა თუ რამე ყოს, გულისწყმაცყო, რამეთუ ქმნა ბოროტად და განიზრახა პაპამან, რათა მოგუარონ მას ორ ჯუნდნი ტრედთანნი, ესრეთ განსწავლნა იგინი, სადა წარვიდის პალატად, ანუ სენაკად თანაჰყევბოდეს მას, რამეთუ აჭამის მათ ყურთა შინა თვისთა, ამისთვის მწართა დაასხდიან, ვითარცა დედასა, ეგრეთ ეგრე ეთაყვანიან, ხოლო საქმისა ამისთვის ფრიად უხაროდა პაპასა თქუენსა, რომელი იჯდა სენაკსა თვისსა, უშვერისა საქმეთა ქმნისათვის.

განაზრახა ეშმანმან სხუად უბოროტესი განზრახვა და შესძინა მრუშებასა კაცთა დაბრკოლებად, რამეთუ ჭეშმარიტად ემრუშა ქრისტეს ეკლესიასაცა,

შეერთო მრავალსა წვალებასა.

წარგზავნა ეპისტოლენი ყოველსა ქალაქსა და სამწყსოსა თქსსა, ყოველსა (31r) ადგილსა, ყოველთა ეპისკოპოსთა და მღუდელთა თანა და დიაკონთა და შემოკრებს ყოველნი მისსა.

ხოლო პაპამან შეკრიბნა იგინი ეკლესიასა შინა და წარემართა პაპი და შევიდა ეკლესიასა შინა, ხოლო ტრედნიცა იგი შეყვნეს მას ეკლესიად და დასხდეს ტრედნი მწართა ზედა მის პაპისათა და კორტნიდეს ყურთა მისთა, ვითარცა ჩვეულ იყვნეს ჭმევად ყურთა შინა მის პაპისათა. ჰრქუა პაპამან ყოველთა ეფისკოპოსთა მღდელთა და დიაკონთა: „მშვიდობა თქუენ თანა, ისმინეთ ძმანო და შვილნო ჩემნო და ეკლესიისანო, ვითარმედ მნებავს რამედ თქმად თქვენდა მომართ, სიყუარულისა და მშვიდობისა თქუენისათს, რამეთუ ცნობილ ვიქმენ მე ცხოვნებისათს თქუენისა, მოავლინა ღმერთმან ანგელოზი თქსი ჩემდა ამა ეპისტოლითა სახითა ტრედისათა და მრქვა მე, უკეთუ გნებავს შენ და შვილთა შენთა ყო(31v)ფად, ვითარ ანგელოზნი ღმრთისანი, რომელი მდგომარე არიან წინაშე საყდარსა ღმრთისაჲსა, აღიპარსენით წვერნი თქუენნი, ვითარცა ესე მე. ამისთს, რამეთუ ანგელოზნიცა უწვეროდ მდგომარე არიან წინაშე საყდარსა ღმრთისაჲსა და მეცა, შვილნო ჩემნო, ბრძანებული ღმრთისაჲ აღვასრულე და თქუენცა, შვილნო ჩემნო, ესრეთ ჰყავთ, ვითარ მეცა, რათა ღირს იქმნეთ ანგელოზისა წესისა“, ხოლო მათ რაჲ ისმინეს, წარვიდეს თსაგან და მსწრაფლ აღიპარსნეს ყოველთა წვერნი თქსნი, ხოლო პაპამან იხილა რაჲ თავი თქსი, რამეთუ არა შეიმუსრა და აღასრულესცა ბრძანებული მისი, განიხარა სიხარულითა დიდითა და ესრეთ თქუენცა ვიდრე დღეინდელად დღედმდე იპყრობთ ამასვე საცთურსა, რამეთუ დედაკაცმან სირცხვილეულ გყო თქუენ და იპარსავთ წვერთა თქუენთა, ფაჩრისათს დედაკაცისა, რამეთუ რაჟამს იხილოს პირი თქუენი, ქერაბინმან გცეს თქუენ მახვლი (32r) და ორად განკვეთილ გყოს თქუენ და ნაწილი თქუენი დადვას ორგულთა თანა, მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა.

და კუალად ფილოსოფოსმან კითხა აზიმიტსა და ჰრქუა: „კუალად გკითხავ შენ ათცხრამეტთა წვალებაჲთა თქუენთა, მომიგე მე, ვითარ თქუენ ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელისა არა ღმრთისმშობლად სახელსდებთ, არამედ იტყვით, ვითარმედ წმიდაჲ მარიამ, მას წმიდაჲ ჰყოფთ, ვითარცა ერთსა დედათაგანსა, ხოლო ჩუენ ქრისტიანენი ღმრთისმშობლად ვქადაგებთ, ცისა და ქუეყანისა დედუფალსა და მეუფჴსა ყოველთასა, ამისთს, რამეთუ ღმერთი იშვა მისგან და კუალად გკითხავ, რასათს სამთა თითთა არა შეაერთებთ მარჯვენისა ჴელისათა, არამედ შუბლსა ოდენ შეიხებ და მუცელსა შენსა და გამოისახავ ჯუარსა უფლისასა, ისახავ ორისა თითთა, უკანასკნელისათა და არა შეიჭურები ჯუართა ქრისტესითა, არამედ დასახვა ჯუარსა თქუენისა გარეთ ხედავს და (32v) არა შინათ, ვითარ ესე ჩუენ მართლმადიდებელნი შევიმოსებით და ვგმობთ თქუენ ცხოველისყოფელსა ჯუარსა და კუალად

რასათჳს წმიდათა ხატთა არა თაყუანისცემთ და არა ემთხვევით სიყუარულითა და შიშითა, რომელი თვთ მეუფემან და ღმერთმან ჩუენმან იესო ქრისტემან დაანესა, ოდეს ავგაროზს წარუგზავნა ტილოსა ზედა პატიოსანი სახე თჳსი დასახული და აკურთხა მცირე ქალაქი მისი ედესი, ხოლო ავგაროზ დაუსვენა კარსა ქალაქისასა და ყოველი ერი შიშით თაყუანისცემდა და თვთ წმიდასა ღმრთისმშობელ მარიამს ქრისტეს ამალღებისა შემდგომად ესვენა ძისა და ღმრთისაჲ მისისა ქრისტეს ხატი და თაყუანისცემდა და მსახურებდა აღნთებითა სანთელთათა და კმევითა საკმეველისათა, თაყუანისცემითა, ეგრეთვე წმიდანი მოციქულნი, რამეთუ ლუკა მხატვარი იყო და გამოხატა ხატი წმიდასაჲ ღმრთისმშობელისა, მტკრთვე(33r)ლი ყრმისა, უფალი და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი და თაყუანისცემდენ ყოველნი მხილველნი შიშით და სურვილით. შემდგომად მისა აღივსო ყოველი ეკლესია წმიდათა და პატიოსანთა ხატთა მიერ და ყვავის, ვითარცა შროშანი, რამეთუ მას ზედა გამონერილ არს ყოველი განგებულება ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა და დედისა მისისა და უფალთა ჩუენტა მთავარანგელოზთა და ანგელოზთა. მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა, მღუდელთ-მოძღვართა, ქალწულთა, მონამეთა და ნეტართა მამათა, რომელთა ჩუენ მართლმორწმუნენი თაყუანისცემთ ხატთა მათთა და აღვამალღებთ გონებითა ჩუენტა მათდა მიმართ სიტყუსაებრ დიდისა ბასილისა, რომელსა იტყვის, ვითარმედ პატივისცემა ხატისა თვთ პირმშოსა მის სახისა აღიწევს, არამედ თქუენ მოიდრეკთ მუწლთა ეკლესიასა შინა და მასცა განრყენილსა თქუენ მიერ და გამოსახავთ მიწათა ზედა ჯუარსა ორისა თითითა და ჩურ(33v)ჩნითა ძრავთ პირთა და შემდგომად აღსდგებით და ფერწითა დასთრგუნავთ მიწასა მას, რომელსა იგი დასახავთ ჯუარსა და იქმნებით მბრძოლ ჯუარისა და კუალად მოშთობილსა და უსისხლოდ მკუდარსა სჭამთ და დამშთვარსა და კუალად შთააფსამ მიწასა შინა და კუალად განრეცხ და კუალად სახმარ-ყოფ სასმელად და კუალად ძალთა აჭმევ ჭურჭელსა შენსა შინა და კუალად განრეცხ და სჭამ მას შინა; და კუალად განიბანთ თავთა თქუენტა ვარცლთა, პურთა, საყენტა შინა და ეგრეთვე სამოსელთა თქუენტა შეგინებულთა განრეცხთ და კუალად შთააყენებთ პურთა ვარცლსა მას შინა და სჭამთ და კუალად სჭამთ ნალველსა, ბუსტსა და სხუათა შეგინებულთა ნანღევთა“.

აზიმიტი: „ოდეს პეტრე ილოცვიდა, მაშინ ტილოსა ზედა გამოსახული იხილა ყოველი არა წმიდაჲ, ხოლო ანგელოზმან ჰრქუა მას, რომელი ღმერთმან წმიდაჲ-ყო, შენ ნუ შეგინებულ გიჩსო“

პანა(34r)ლიოს: „ეგე იგავად წარმართთა იყო მოქცევაჲ და სწავლად მის მიერ და არა არს ეგრეთ, არამედ პეტრე ღუღნივმან და პავლე სამოსატელმან მათ ყვეს ნვალებანი ეგე და თქვენ მოგცნეს შეგინებულნი ნვალებანი თჳსნი წყუელთა მწვალებელთა მათ და თქუენ ჰყობთ ნვალებათა მათ, ვიდრე დღეინდელად დღედმდე“

და კუალად პანალიოს: „რასათჳს ორშაბათსა და სამშაბათსა პირველსა კვრაკესა დიდსა და წმიდა მარხვისასა შეაგინებთ, ოდეს ეშმაკნი ძრწიან და ანგელოზნი იხარბენ და ჩუენ ქრისტიანენი ვიმარხავთ. მაშინ თქუენ სჭამთ ჴორცსა და ერბოსა და სრულიად ორმოცეულსა დაარღვევთ?“

აზიმიტი: „ჩუენ არა ეგრე გვაქუს, არამედ დედუფალი თეოდორა ქურივი იმარხევდა ფრალითურთ ძისა თჳსისა, რომელი შვა და იგიცა ესრეთ ჴყოფდა ამას“

პანალიოს: „არა ეგრეთ (34v) არს, არამედ ორითა დღითა თქუენ ურწმუნონი თქუენითა წვალებითა დაარღვევთ სრულიად ორმოცეულსა და კუალად ოდეს იმარხავთ, მაშინ ალილუიასა არა გალობთ, ვიდრე დიდს პარასკევადმდე და ჯუარსა დამალავთ და იტყვით, ვითარმედ წარვიდა ჯუარი იწრუსალიმადო, ხოლო ოდეს მოინვეის დიდი პარასკევი, მაშინ გამოაჩინთ და მოუდრეკთ მუჴლთა თქუენთა მის წინაშე, ეტყვიდ ერსა, წარვიდა ჯუარი იწრუსალიმს და კუალად მოვიდაო. და კუალად დიდსა შაბათსა დედანი თქუენნი სჭამენ ყველსა, კვერცხსა, სძესა და ერბოსა, ვითარ თუმცა ჴორცსა იმარხვენ, ხოლო სხუათა დღეთა შაბათსა იმარხვთ ჴურიათაებრ, ხოლო მღდელთა თქუენთა უვის ცოლი. ჭეშმარიტად იტყვის წმიდაჲ ბასილი: „არავინ არს ღირს შეკრული ჴორციელთა გულისთქმათა და გემოთა მიერ წარდგმად, (35r) გინა მიახლებად, ანუ მსახურებად მეფეო დიდებისა, არამედ ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან და სულისა წმიდისაჲ მადლთა სავსემან წმიდამან კრებამან შეუდგევს ერთისა ცოლისა ყოლად, მღდელთა და დიაკონთა და შემდგომად სიკუდილისა მისისა არღარა აუფლეს სხვისა შერთვად უძღურებისათჳს ჴორცისა და უდებებისათჳს გვამისა. ბრძანებს ქალწულისა შერთვად, რამეთუ ქალწულნი პირველად განიკითხვან, რამეთუ ქალწულებად სახელ-იდების საყდარი ღმრთისაჲ და საკურთხეველი და რამეთუ საყდარსა ღმრთისასა შეიყუანებიან, ხოლო საყდარი არს სასუფეველი ქუეყნიერი, სადაცა ღმერთი ზეციერი განისვენებს და დამკვიდრებულ არს მას შინა, ამისთჳს არა შეაგინებს მლუდელთა ცოლისა ყოლა.“

ხოლო თქუენთ შეგინებულთა მღდელთა არა უვის ცოლი, არამედ ჴყვანან ხასანი და წარგზავნის მსახურსა თჳსსა და იგი (35v) მოგვრის მას და პირველად დაწვება იგი ფერჴითთ მისა და შემდგომად ერთბამად იყოფებიან ყოვლითა არანმიდებითა განთიადმდე, ხოლო განთიადსა ჴყოფს ეკლესიასა შინა წარსლვასა და და ეტყჳს ერთსა მლუდელთაგანსა სახელდებულსა, ანუ ვიეთმე შემინდევით ძმანო, რამეთუ ჩვენებაჲ რამე ვიხილე მე და ვცდი ღამესა ამას, ხოლო მიიღებს შენდობასა ბრმა ბრმისა წინამძღვარი და ორნივე მთხრებლისა შთაცვივიან წარწყმედისასა. მივალს მეყსეულად განწესებულსა ტრაპეზსა წვალებისა მათისასა და სწირავს ორითავე გოჯითა მკელობელი წვალებისა და მრუშებისათა და შთაიდებს ზიარებასა ჯიბეთა შინა და განვალს გარე და ყოფს ცოდვასა მას კუალად სანოლსა ზედა და კუალად სვამს ღვინოსა და

შევალს და სწირავს და იტყვის: „არა მაქვნდა წყალი და არა რცხვენის წირვად (36r) ესევეითარსა.

ხოლო ერთსა შინა დღესა ხუთ და ექვსგზის გინა შვიდ და რვაგზის სწირავენ ერთსა ზედა ტრაპეზსა და ერთსა შინა ეკლესიასა, ერთი ხოლო განვალს და მეორე შევალს. და უკეთუ რომლისამე მღდელსა შეემთხვიოს გარე განსლვა, მწირველსა გაიხდის შესამოსელსა თვისსა, განვალს გარე და კუალად შემოვალს და ეგრეთ შეიმოსების და აღასრულებს წირვასა. ხოლო რომელნიმე მღუდელნი სწირვენ უდაბნოთა ადგილთა უეკლესიოდ და სახელ-ედების მათ მიერ უდაბნოსა მღდელი უწიგნო.

აზიმიტი: „ქუეყანაა გუაქუს, რომელსა ზედა არს ბეჭედი მთავარეფისკოპოსისა ჩუენისა, ვითარ თქვენცა გაქუსთ არა ქრისტეს ღმთისაჲ თქუენისაგან და მწყემსისა თქუენისა ოდიკნი, ეგრეთვე ჩუენ გუაქუს ქუეყანაჲ, ხოლო ოდეს სადამე შეგვემთხვევის დადგრომაჲ, დავდებთ ქვასა მას და ვწირავთ, ხოლო თქუენ ბერძენნი დასწვებით (36v) მეუღლეთა თანა თქუენთა მას დღესა შინა, მეუღლენი თქუენნი ჰყოფენ სეფისკვერსა.

პანალიოს: „მტყუარ და არა ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ შენი. არა არს ეგრეთ და თვთცა არა უწყი, რასა იტყვი, არამედ რომელსა დედაკაცსა თანა ეყოფოფის ქმარი იგი, არა ჰყოფს სეფისკვერსა, არამედ სხუაჲ დედაკაცი, რომელსა არა უვის ქმარი და ქვრივად იყოფების, უკეთუ რამე ცოდვა შეემთხვიოს, აღიარებს წინაშე მოძღვრისა და მიიღებს მისგან კანონსა, დედანი ჩუენნი ესრეთ ჰყოფენ და უკეთუ მათ შორის უბრალოდ დაბრალდეს, განიბანების იგი წყლითა და იცვლის სამოსელსა და ეგრეთ ჰყოფს და ქრისტეს ემბაზითა ნათელცემული და მირონითა ქრისტეს მისითა ცხებულ არს, მით განიწმინდების სეფისკვერი, დაბეჭდავს მახვლითა ქრისტეს ჩემისათა და ცეცხლითა გამოჭურდების და წარიღებს მას ეკლესიად და მღდელი აკ(37r)ურთხევს შემოსილი საღმრთოთა შესამოსლითა და იტყვის მას ზედა ლოცვათა და წმიდაჲ იქმნების სეფისკვერი ესრეთ შეგინებულ, თუ განიწმინდების და წმიდაჲ არა შეგინებულ იქმნების.

ხოლო თქუენ, რომელსა ნათლისღებასა და რომელსა მირონსა საწმარ ჰყოფთ წმიდა ნათლისღებასა შინა, არამედ შთაიდებთ ნაქვრცენსა მარილისათა და პირთა შინა თქუენთა და ნერწყვთა მარილწყალსა გააკეთებთ და ინერწყვავთ ჳელთა ზედა და სცხებთ ყრმასა და როდეს ნათელსცემთ, არა იტყვიოთ: „ნათელს იღებს მონა ღმრთისა სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისაჲთა“, არამედ ესე არს მირონისგან ქრისტეს ჩემისა და შენ ნათელ-სცემ და ჰყოფ თავსა შენსა ღმერთ.

აზიმიტი: „მითხარ მე, რაოდენითა ნაწილითა შეზავებულ არს მირონი და კაცი და ყოველი სიკვდილი და კალენი?“

პანალიოს: „ცეცხლისა, წყალისა და მიწისაგან, უკეთუ ძალ-გიც ცეცხლისა აღნ(37v)თებაჲ უქაროდ და უნუგუზლოდ და უნახშიროდ, უკეთუ კვესითა

აღანთებ და უქარებ პირითა, რაათა გამოვიდეს ქარი, ხოლო შეუბერავად არა იქმნების აღნთება და ეგრეთვე ყოველივე ოთხითა: ცეცხლითა, წყლითა, მინითა და ჰაერითა და ეგრეთვე ჩუენ შევაზავებთ ოთხთა ნივთთა სეფისკვერსა: ფქვილი, წყალი, ცომი და მარილი და ამა ოთხთაგან ნივთთა შეზავდების სეფისკვერი. ხოლო თქუენ აზიმიტი ჰყოფთ მარტო ფქვილითა და ცივითა წყლითა აღზელთ, რომელ არს მკვდარი, ხოლო ნმიდაა სფირიდონ იყო რაჲ კრებასა შინა ნიკიისასა, ოდეს იგი მოილო აგური ჴელითა, დაიმჭირნა რა, ზე აღვიდა ცეცხლი, რომელ არს ღმრთაება და შთავიდა წყალი, რომელ არს სული ნმიდაა, ხოლო ჴელთა შინა დარჩა მტვერი სახედ ქრისტეს ძისა, ღმრთისა განკაცებისა, ესრეთ ქადაგა ნმიდაა სამება და სირცხვლეულ ყუნა მნუალეებელნი.

კუალად ჰრქუა ფილას(38r)ოფოსმან: „მითხარ მე აზიმიტე, ჩემი რაოდენი იტვრთა, ცოცხალ არს ანუ მკვდარი?“

აზიმიტი: „ცოცხალ არს, რამეთუ აღდგა“.

პანალიოს: „რასათვს ჰყოფთ მას მკვდრად, რამეთუ არა შთაასხამთ ღვწო-სა ბარძიძისა შინა მოსახსენებელად ქრისტეს, ღმრთისაჲ ჩემისა და არცა მასვე შინა შერთავ მდუღარებასა ორთქლოანსა, რათა აღვიდეს სული ორთქლისა, არამედ შთაასხამთ ცივსა და ჰყოფთ მკუდრად და არა ცხოველად, ამისთვის, რამეთუ ყოველი ტბილი ცოცხალ არს, ხოლო ცივი მკუდარ, ჰაეროვან არს, რამეთუ ქრისტემან ჩემმან თქუა: „მზგავს არს სასუფეველი ცათა ცომსა, რომელი მოილო დედაკაცმან და შერთო ფქვილსა სატირი სამი, ვიდრემდის აღფუნდა სრულიად. დედაკაცი სახელ-იდების ღმრთივ აღწერილი სიტყუაჲ, ხოლო ცომი ეკლესია ღმრთისაჲ არს და ნმიდაა ღმრთისმშობლისა, ხოლო სამი სატირი ნმიდაა სამებისა სახე და ქრისტეს მესამისა დღისა აღდგომისა, რაათა შეიერთნეს მამა, (38v) ძე და სული ნმიდაა“.

და კუალად ფილოსოფოსმან ჰრქუა აზიმიტისა: „დახატავთ თქუენ ქრისტესა, ვითარმედ ფერწნი მისნი ამონწულ იყვნეს ჴამლთა მაგიერო და თმანი და წვერნი აღპარსულო, რამეთუ საპარსველი არა აღსრულ არს თავსა ზედა, თავისა მის ცხოვრებისა ქრისტეს ღმრთისაჲ ჩემისასა, ვითარცა იგი არცაღა ყოველთა ნმიდათა აქვნდათ, ვითარ თქუენ ლათინნი და ფრასნი უწვერულ საკიცხელ ეშმაკთა და სანადელ მსახურთა მისთა, არამედ თქუენ ლათინო კრულ ჰყავთ თავი თვისი ქრისტესაგან და განეშორენით სინმიდისაგან და ჭემ-მარიტებისა, რამეთუ შევნიერი და პატიოსნად და სიბრძნით სახილველი უმ-ჯობეს არს და ღმრთის კერძ, ვიდრელა უშვერად და უპატიოდ და უბრძნოდ და ყოველთა თუალთა დასაბრკოლებელად სახილველსა, რამეთუ აწინდელნი ეგე სახენი და სამოსელნი თქუენნი არა მარტო უშვერ არს, არამედ კაც-თა ბუნებისაგან უცხო და (39r) საკვირველ, რამეთუ წერილთა სიმრავლე-მან დააყენა ჴელი ჩემი, თითოეულად აღწერა მან მითხრობაჲდ უშვერებისა თქუენისამან, არამედ მცირედსა გითხრობ შენ, რამეთუ თვთ მონამე ხართ

ყოველნი, რამეთუ ყოველი განმცხრომნი და მროკველნი და თითო სახისა სახიობისა მოქმედნი, მგოსანნი და მასხარანი თიატრონთა შინა არათუ მორწმუნეთა შინა ხოლო, არამედ ყოველთა ურწმუნოთა და ყოველთა ადგილთა იპოებიან განცხრომანი, პირველი განცხრომისა ყოველთასა და სიცილად დაწყებისა სახე არს აღპარსვა თავთა, წვერთა და უღვაშთა, რამეთუ არა რაჲ არს უსაკიცხველეს ამისსა სხუაცა.

მეორედ, რამეთუ სამოსელსაცა მათსა საკიცხველ ჰყოფენ, ვითარცა ეგე თქუენი არს ჭეშმარიტად საკიცხელ და საცინელ პაპითგან მონაზნით, ხუცით დიაკვნადმდე და მეფით, მთავრით ერადმდე და სავსე უშვერებითა. უმეტესად დედანი და აწინდელი ეგე ქცევა თქუენი მსგავს არს თეატ(39v)რონთა და განსაცხრომელთა და სამგოსნოთა და სამეძაოთა შინა შეკრებულთა, მაშკარადთა, რამეთუ წარმართთა, რომელთა ღმერთი არა იციან, საკდემელ არს წინაშე მათსა ქცევა თქუენი, რომელი ეშმაკთა აქვსთ შეცვლილად სახე მათი და იგი უნებლიედ რისხვითა ღმრთისაჲთა ღმერთ თნებისათჳს, ხოლო თქუენ ნებსით შეიცვალენით სახენი თქუენნი, ამისთჳს ეშმაკნი ჭეშმარიტად უმჯობეს არიან თქუენსა, იგინი იტყვიან: „შეესცოდეთ ღმერთსა და ესრეთ შევიცვალენითო“ და ძრწიანცა ღმრთისაგან, ხოლო თქუენ იტყვიან: „ჩუენი ესე შეცვალეზაჲ კეთილ არსო“ და არცალა სძრწით, არამედ წარმდებაჲ სცოდავთ, ამისთჳს ეშმაკნი უმჯობეს არიან თქუენსა ჭეშმარიტად, რომელთა ყოველი სჯული და ყოველი წესი მართლმადიდებელთა განრყვენით, დასაბრკოლებელ იქმენით ყოველთა, ამისთჳს უმჯობეს არს თქუენდა, რათა ემსგავსნეთ პეტრესა მოციქულსა, მწყემსსა თქუენსა, რომელმან უარისყოფა ქრისტესი შეინანა, რაჲთა თქუენცა შეინანოთ და (40r) მიილოთ ქრისტესგან შენდობაჲ განდგომილებისა თქვენისა და არა ემსგავსნეთ იუდას ისკარიოტელსა, რომელმან განყიდა მოძღუარი და ღმერთი თჳსი, რომელმან არა შეინანა, არამედ შიშთვილობა და თქუა: „ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი და არა ერგო მას, ნუუკუჴ თქუენცა სადამე სთქუათ ეგრეთ და არას გერგოთ, რამეთუ ყოველნი წმიდანი სწირვენ შეუგინებელად ტაძართა შინა, ხოლო ეფისკოპოსი თქუენი სწირავს ბეჭდითა და გვრგვნითა და შემოცმულითა ჳელის ჯაგითა და პაპასა თქუენსა მარჯვენასა ჳელის ჯაგსა ზედა გამოსახული ქრისტე, ხოლო მარცხენესა ყოვლად წმიდაჲ ღმრთისმშობელი“.

აზიმიტი: „ბეჭედი არს წინდი, და სხუანი იგი სამთავარეფისკოპოსო“.

პანალიოს: „ბეჭედსა, ვითარ წინდად ჰქადაგებ?“

აზიმიტი: „იყო ვინმე კაცი და ჰყვეს მას ორნი შვილნი“

პანალიოს: „ვინ არს შორის მათსა უხუცესი მამა ანუ შვილი?“

აზიმიტი: „მამა არს ღმერთი უხუცესი, ძე მართალნი მო(40v)ნებენ უფალსა, ხოლო უყრმესნი არიან ცოდვილნი“

პანალიოს: „არსა ეგრეთ, დამტკიცდია მას ზედა?“

აზიმიტი: „ვითარ შენ იტყვ“



პანალიოს: „ქრისტე ჩემი იტყვის: „არა უწმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან“ და კუალად იტყვის: „მართალი შვიდგზის კურთხეულ იქმნების, ხოლო და ცოდვილთა მიტევებაჲ სამეოცდაათ შვიდგზის“ და კუალად არა ნება ასნი მართალნი შორის ერთისა მონანულისა ცოდვილისა და კუალად არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთათჳს მონანულთა, არამედ იტვირთა ღმრთაებაჲმან კაცება, რომელმან იტყურთა ჯუარი და სიკვდილი დაითმინა, რომელმან აიხვნა ცოდვანი სოფლისანი, არა მართალთათჳს, არმედ ცოდვილთსთჳს, ვითარ იგი ცოდვილნი განმართლებულ არიან თითოეულ საქმეთა და ცხოვრებათა თჳსთა მიერ არამედ ჭემარიტად წარწყმედულთა მოძიებად მოვიდა ღმერთი“

და კუალად ფილასოფოსმან ჰრქუა: „ისმინე აზიმიტე, მას ჟამსა განემორენით (41r) სამეოცდაათ წელ მამისა თქუენისაგან და ჩუენ ძმათა თქუენთაგან უნინარეს ცომოანითა სწირევდით ჩვენთა ოთხას ორმეოცდაოთხ წელ, ხოლო ჩუენ და ფრასთა ენა განიყოფოდა, არამედ სხვითა ყოველითავე ერთ ვიყავით, რომელთა მამა არს ღმერთი, ხოლო ძე უხუცესი ჩუენ ვართ ქრისტიანენი და მართლმორწმუნენი, ხოლო უყრმესი ძე თქუენ ხართ ლათინნი დაბრმობილნი დ განშორებულნი სარწმუნოებისაგან, რომელი განემორნით ჩვენსა ზიარსა ცხოვრებასა, მამისა და ღმრთისასა და მიეყრდენით ერთსა ეშმაკსა, რომლისა მიერ წარმოგზავნილ ხართ სოფლად მწყემსად, ორნი და სხუანი ეშმაკნი შეგინებულნი, მლუდელნი თქუენნი, რომელი ყარან და ბოროტი გონებაჲ თქუენი და ბოროტ რჩული თქუენი ლათინთა მწუალებელთა, სახელდებულნი ღორნი და ეშმაკნი, ბოროტ არიან მონყალებანი თქუენნი და ეგრეთ პატივის-ცემენ ეშმაკნი (41v) პატივისცემელთა თჳსთა და მისცემენ მოყუარეთა თჳსთა. ამას იტყვის სოლომონ, წინასწარმეტყუელი, რომელი ბოროტად შეგინებულ ხართ წინაშე ღმრთისა“.

ხოლო აზიმიტ თქუა „ჭემარიტად, ან ვსცან ღმერთი ცხოველი და გულისკმა მიყოფიეს, რამეთუ ღმერთი თქუენ შორის არს, და წმიდაჲ არს სჯული ბერძენთა მართლმორწმუნეთა და შეურევნელ, მტკიცე და შეურყეველ. ჭემარიტად ბეჭედი სარწმუნოებისა თქუენისა; დატვფდა გონებასა ჩემსა დიდებულ იყავ, ზ, ფილასოფოს, არამედ ჩუენ ხოლო მოციქულნი და ქრისტე მტყუარნი, წარმომგზავნელნი და ესრეთ განიყარნეს და მხიარულ იქმნა მეფე და ყოველი ერი სიტვისგებასა მის ფილოსოფოსისასა. ამინ!

### 3. კრიზა ფლორენცისა (ხეც. A-1443)

(2r) დაჯდა იოანე პალეოლოლო მეფე კოსტანტინეპოლისა.

იოანე პალეოლოლო დაჯდა ტახტსა თქსსა კოსტანტინეპოლისა, ხოლო მეფობდა ესე რჯულითა ბერძენთათა და იყვნენ ესე და სულთან მურად მშვიდობით ურთიერთარს, რომელიცა იჯდა სულთანი ანდრიანეპოლისა და იოანე პალეოლოლო კოსტანტინეპოლისა. ამისა შემდგომად ინება სულთან მურად გალაშქრება თესალონიკესა ზედან და მიუძცნო მეფემან, ვითარმედ: „უკეთუ ერთობა გვაქუს და ურთიერთარს მშვიდობით ვართ, რასათვის გინებს დალაშქვრა თესალონიკისა?“ ისმინა რა ესე სულთანმან მიუწერა, ვითარმედ: „უკეთუ შენი არს თესალონიკი, არა წახვიდე, არამედ არა არს შენი, ვენედიკისა არს, რამეთუ მანველ კეისარს ესვენეს ძენი და უმრწემესა ძესა მისსა ანდრონიკეს უბოძა საზღო მისთვის და დაყოფასა შინა მისსა თესალონიკეს შეემთხვია სნეულება. ფრიად და უძლურება ინება, რათა მიჰვდოს თესალონიკე ვენედიკს და თვთ წარვიდეს მთანმიდას და ყო ეგრეცა, რამეთუ მოჰვდა თესალონიკე ვენედიკს, ვიდრე ორმოცდაათათას დრაჰუნად. ამისა შემდგომად საფასისა მისგან ზოგი რომელიმე განაბნინა მეგობართა თქსთა თანა და ზოგი წარიღო მთანმიდას. მიიწია მონასტერსა ვათოპეტს და იქმნა მონაზონ და სახელ იდვა ანტონი მონაზონი და იყიდა მეტოქი ერთი მითა და იგიცა მასვე მონასტერსა შესწირა, რომელიცა დღესეცა არს და სხვასაცა მრავალსა შესწირვიდა, ბარძიმი ერთი შესწირა იასპისა ძვირფასისა, რომელი წამალი არს ეშმაკეულებისა და სხვა ბარძიმი ძვირფასისა შესწირა ბროლისა ოქროქანდაკებული და კრეტსაბმელი ძვირფასისა და არწივი ოქრონამკობი და სხვა მრავალი დაფარდა ყოვლად წმიდისა აკათისტო მონერილი და სხვანი ეკლესიისა საჭმარნი მრავალნი. წარვიდა სულთან მურად თესალონიკესა და დაიპყრა ქრისტეს განწორციელებითგან ათას ოთხას ორმოცსა, ამოსწვტიტა მრავალნი ქრისტეანენი, ვინათგან არა ენებათ თაყვანისცემა მისი, ხოლო მცველთა ფრანგთა, ვითარ ცნეს მისვლა სულთანისა, მალვით წარვიდენ, ხოლო თესალონიკელნი მრავალსა რას ჯელოვნებდეს, არამედ უქმ იქმნა და ამას ჟამსა ვერ აიღეს, არამედ სხვანი ქალაქნი აიღო და მიიქცა ანდრიანეპოლისი. იყვნეს წელნი ადამს აქეთ ექვსი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი. არა იყო შემძლებელ სულთანი აღებად თესალონიკისა, არამედ ისმინეთ, თუ ვითარ აიღო, რამეთუ მდინარესა, რომელსა სმიდენ, იგი გამოუღო სულთანმან, რომელიცა კუალად შემოადგა და მრავალსა საფასესა უქადებდა და მონასტერსა ვალანდელსაგან მიუწერა წიგნი, ვითარმედ: „უფალმან ღირს გუყოს თაყვანისცემად შენად, რათა კოსტანტინეპოლიცა დაგეპყრას და მემცნეს ესე მონასტრისა ბერთა, უკეთუ გნებავს აღება თესალონიკისა, წყალი მომდინარე, სასმელი ჩვენი მიგვიღე და აღიღებ ქალაქსა“. ესმა რა ესე სულთანსა, განიხარა ფრიად და მოსწყვიდა წყალი. ესე არა უწყოდენ თესალონიკელთა, თუცა მონ-

აზონნი ამას იქმენ, არამედ მოუთმენელისა მისგან წყურვილისა მისცეს ქალაქი და ალაოჭრა მრავალი, რამეთუ არა ნებითა მომეცით, არამედ ძალითა აღვილე, რამეთუ მონასტერსა არა რა ავნეს, არამედ მცველნი დაუდგინეს და დარჩა სახელი მონასტრისა, ვიდრე დღეინდელად დღედმდე მონასტერი ჩაუ-მირა და კვალად პატივსცა მონასტრისაგანთა და არა რა საწელმნიფო დასდვა მათ ვიდრე დღეინდელად დღედმდე და დაიპყრა მრავალი დასავლეთისაკენ: სერბია, ბელლარი ცოდვათა ჩვენთაგან და აღილო ვრიაცა ქრისტეს აქეთ ათას ოთხას ოცდაათვრამეტსა და ბერძენთ მეფე იქმნა შეუძლებელ და სულთან მურად აჩვენებდა. ვითარმედ არა ნებითა ჩვენითა არს ესე და განიზრახა მეფემან ერთობა იტალიელთა თანა და იქმნა კრებისა ერთობა პაპისა, რათა შემწე ეყონ და განათავისუფლენ ქრისტიანენი და მისწერა პაპასა ერთობა, ხოლო პაპამან ინება და მოსცა ხარჯი საზღო და ხომალდი და სუროდა დიდად პაპასა გაერთება ეკლესიისა, მრავალგზის ეწადა, არამედ ვერა ყვეს. მაშინ ყვეს პაპა ევგენიოზ, რა იხილა ბერძენთა ეკლესიათა სიკნინე, მაშინ ერთობა მოახსენა და ინება გაერთება ეკლესიათა, რამეთუ რაოდენსაცა ვიტყვით, ის-მენენ ბერძენნი ჩვენსა, ხოლო მეფემან უბრძანა ყოველსა აღმოსავლეთისა ეკლესიასა მიტროპოლიტთა და მოვიდნენ კოსტანტინეპოლისა, ტრაპეზუნ-ტისა ეპისკოპოზნი, რომელი იყო ფილასოფოსი და ამიურჯისა და ნიკიისა ბესარიონ, რუსეთისა ფილასოფოსი გიორგი სხილარიოსი და სხვანი მრავალნი მიტრაპოლიტნი და პატრიარქნი ცხოვრებდა უფალი იოსებ და შეკრიბნა პატრიარქმან სიმრავლესა თანა მღდელთმთავართა და მრდელთასა საშინელსა საყდარსა ღმრთისა სიტყვისასა (2v) სოფიას იყვენენ არქიერნი და მთავარნი ამისი და აკურთხეს მას დღესა მარკოზ, ევესოსა ეპისკოპოზი, თავად კრებისა და ინებეს კრება და განემზადნენ და შევიდნენ ლიმონას ნავსა შინა და წარვიდენ ხომალდებითა. იყო ზამთარი და მრავალიცა ნეფხვისაგან ქირი და ინროება გამოსცადეს, არამედ ძალითა ღვთისა და მიიწინეს ფარენძას, რომელი მორავს ვენედიკისა მილითა ასითა და თებერვალსა შვიდსა აღდგენ ფარენძიდამე ყოველნი ნავნი, რამეთუ სამეფო ხომალდი წინა იძღვანებოდა და მიიწია ვენედიკს წმიდისა ნიკოლაოზისა ლიონისასა რვასა თებერვალსა. პატრიარქისა და ყოველთა მიტროპოლიტთა და მთავართა ხომალდნიცა მიი-წინენ დღესა ოთხშაბათსა, ხოლო ესმათ რა, ესე ვენედიკტს მოეგებოდნენ მთავარნი და დიდებულნი ნავებითა ნიკოლაოზს. ესეოდენი იყო სიმრავლე, ვიდრე ზღვა არღარა გამოჩნდებოდა. ევედრნენ მეფესა, რათა მოენითგან ვიდრე ხვალემდე არა აღდგეს. მეფე რათა მოეგებოს პრინციპა წინაშე შესაკადრად ჯელმნიფობისა მათისა და მჯდომარესა მეფესა თავსა ზედან ტახტსა, თაყვანისცეს მეფესა. თავშიშველი მდგომარე იყვენეს და მცირედ განშორებით იჯდა უფალი დიმიტრი, ძმა მეფისა და პრინციპა, მარცხნივ მეფისა და მოწლედ მოიკითხეს და ზრახვიდნენ ამისა და სხვასა საიდუმლოსა და მოახსენა პრინციპამ, ვითარმედ ხვალისა გვინებს თაყვანისცემად და ჯე-

როვანი სამსახური თქვენი და წინა მოგებებით, რათა ვენედიკს მობრძანდეთ და ხვალისა შეკრბენ ყოვლითა საბრძანებელითა მისითა და განწყობილებითა მრავლითა, პრინციპა თომა, გვარად მოძაგენი. კვირიაკესა დღესა ჟამსა მეხუთესა მოვიდა პრინციპა დიდისა დიდებითა და განწყობილებითა და იდგნენ ბუჩინტორს ყოველნი ერნი და სამყოფესა წითელ ოქროცურვებულსა, რომელსა ლომნი ოქროსანი უდგნენ წინაშე მისა და ნავნი მრავალნი იყვნეს შემკობილნი ბრწყინვალედ და უკრავდნენ ამითა საკრავთა ორლნოთა და წინილთა და აღკაზმეს საჯელმნიფოდ ნავნი ქვეშე მენიჩბენი ოქროქსოვილითა მოსილნი და ანდრიანტნი ოქროცურვებულნი კაცთა სახენი იდგნენ წინაშე მეფისა და სხვანი უცხონი ერნი უცხოთა მოსილნი წარმოვიდოდეს და კაცნი მალაღნი და თავსა ტრაპეზი ორნი იმიერ და ამიერი საჭურველითა მოსილნი, ვითა მზე, ეგრეთ მობრწყინვალე და ორნი შვენიერნი ყმანი მსგავსად ანგელოზისა და ფრთენი ესხნეს ერთი იქით და ერთი აქეთ მეფისა, არა იყვნენ ესენი ველოვნებით, არამედ კაცნი მრთელნი ლომნი ორნი და ორთავნი არწივნი შორის მათსა და სხვაცა მრავალი, რომელი შეუძლებელ არს აღწერად და სხვანი ფერად-ფერადნი საკრავნი და ნავნი მდგომარე იყვნეს და მოინია, თაყვანისცა პრინციპა დავიდ მეფესა და ძმასა მისს და შეუძღვნენ მეფესა ვენედიკს უცხოთა მას ქალაქსა ოქროთა და საჭმართა მიერ უცხოთა სავესებად ბრძენსა მას და პირად-პირადად შემკობილსა, ვით ახალსა სძალსა, ჭემმარითად ქვეყანა არს აღქმისა, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი, რომელსა ზედან იტყვის დავით: „ზღვასა ზედან დააფუძნა იგი“, ვინამცა უძლო შვენიერისა მის ქალაქისა და უცხოდ მორთულობისა აღწერად, ხოლო აცმადმდე მეხუთედ ძვილ მიიწივნენ ვენედიკს და მრავლისა მის საკვირველისა მორთულობისა პატივისცემით იქმნა შეყვანა მეფისა, ვიდრე დასლვადმდე მზისა და შევიდნენ წმიდასა ტაძარსა მოციქულისა მარკოზისასა და თაყვანისცეს პალატსა პრინციპასასა, შევიდეს და თაყვანისცემდენ რა, განკვირდენ განწესებასა მას. იგონებდენ, ვითარმედ ცაჲ, ქვეყანა და ზღვა შეერთებული იძვრის და ვინცა იხილვიდენ, განკვირდებოდენ მოგებებასა მეფისასა და მიიწინენ და შევიდენ მარკოზისა პალატსა თვესა ფებერვალსა, დღესა კვირიაკესა. წარვიდა პრინციპა მეფესთანა და თაყვანისცა მეფესა და იუბნეს მრავალი კრებისთვის და იტყოდა მეფე, რათა ერთ ვიყოთ ეკლესია, ხოლო ისმინა რა ესე პრინციპამ, განიხარა ფრიად მანცა და ერმან მისმან და ევედრებოდა მეფესა, რათა ვენედიკს იქმნას კრება და საჭმარსა და საფასესა ჩემსა მოგიძღვანთ. ხოლო მეფე უარობდა, ამისთვის, რამეთუ რაოდენსა შინაგან წარვლით საფრანგეთისა ეგოდენსა შეწვენასა მომცემს პაპა, ვინათგან არა-ყო მეფემან ესე, ფრიად დაუშმიძდათ და აწვიეს პატრიარქნი არქიერნი და მღვდელნი და დიაკონნი და სწირავს ჟამი ეკლესიასა წმიდისა მარკოზისასა ფებერვალსა ათექვსმეტსა დღესა კვირიაკესა და ვინმცა უძლო მას ჟამისა წირვისა განწყობილებისა წარმოთქმა, რამეთუ პატრიარქი დაჯდა რა საშუალ ეკლესიისა და მსგავსი

კოსტანტინეპოლისა ხატი წინა ედვა და დიაკონნი ლამპრებითა იყვნენ განწყობილ და მღვდელთმთავარნი, მსგავსი ქრისტესი და მოციქულთა, რამეთუ არქიერი არს მსგავსი ქრისტესი და ნათელი, ამისთვის აღანთებენ ლამპარსა წინაშე (3r) მისსა. მღვდლნი დგენ წინაშე მისა და დიაკონნი განწყობილ იყვნენ და მაგლობელნი გალობდენ „შენ გამოგირჩიოსა“ სიტყვასა წინასწარმეტყველისასა და აღასრულეს ჯერისაებრ წირვისა საიდუმლო და შეიყვანა შინაგან პრინციპამ ტრაპეზსა და იყო გასული ჟამი ათი და იყო დღე სიხარულისა და აღდგენ მეფე და პატრიარქი ფებერვალს ათასა მუნ. წარვიდენ ოცდარვასა ვენედიკიდამ გზასა ფერარისასა და დაშთა პატრიარქი მუნ, ხოლო მეფე მიიწია ქალაქსა ფრანგულისასა და მოიწია მოციქული პაპისა და ასწრაფებდა წარსვლად მეფესა და შემდგომად ითხოვა მეფემან წმელეთით წარსულა და მისულა ყოვლად სანატრელსა პაპასთანა და განემზადა პაპა კარდინალებითურთ, რათა მიეგებნენ მეფესა და მიიწია მეფე ფერარას თჳსითა დიდებულებითა და იყვნენ მეფესა თანა პაპისა ეპისკოპოსნი და მარკოზ, პატრონი ფერარისა და მოძღვარი მეფისა, გრიგოლი და თაყვანისცეს მეფესა ერთა ფერარისათა. მეფე ჯდა შავსა ცხენსა ოქროთა შეკაზმულთა თავდაბურვილი გვირგვინითა და მოაგებეს მეფესა ცხენნი თეთრნი შუბლი ოქრო არწიოსანნი და წმიდა პაპა პალატსა ჯდა თჳსითა კრებითა და მეფისა ძმა წინა მიეგება პაპასა და მეფე მჯდომი ცხენსა შეიყვანეს კარსა და პაპამ რა ცნა მოსვლა მეფისა, აღდგა და გამოეგება და შთამოხდა რა, მეფე ფეხზედ მდგომსა იახლა პაპი, ხოლო მეფემ ინება თაყვანისცემა, არამედ არა-ყო ესე პაპამან და მოეხვია მეფესა და მეფემ უამბორა ჴელსა და დაჯდა პაპა და მეფე მარცხნივ დაისვეს და კარდინალნი ფერვთა ქვეშე მათსა მჯომარე იყვნეს და იყო ამბორი ურთიერთას და მეფე და პაპი მდუმარედ უბნობდენ მშვიდობისათჳს და ერთობისა ამისა. შემდგომად წარმოვიდა მეფე და წინა უძლოდენ ორღანნი და საკრავნი და მოვიდა პალატსა თჳსა, ხოლო წარმოვიდა ვენედიკით პატრიარქი და წარუგზავნა ნავი ოქროთა ცურვებული და შთაჯდა პატრიარქი, ხოლო ნავი პატრიარქისა მსგავს იყო კიდობანსა ნოესსა, ზეითგან ოქროქსოილითა გარდაფენილ და შინაგან პალატნი სკამნი და კიბენი და მუნით მიიწია პატრიარქი ფერარას, ხოლო ვენედიკითგან პაპასა მომკითხავად წარმოუგზავნა პატრიარქმან ორი არქიერი, ირაკლისა და მონეემასისა და შესთვალეს, თუ ვითარ შემოვიდეს ქალაქსა, ხოლო პაპამან განიზრახა თვისთა კარდინელებთა თანა, თუ ვითარ შემოიყვანნა და დაშთა ღამესა მას მასვე თავსა შინა და დილასა ადრე წარმოგზავნა პაპამან ოთხი კარდინალი და ოცდახუთი ეპისკოპოზი და მარკოზ ფერალელი და სხვანი მთავარნი ცხენსა მჯდომი და წარუგზავნეს პატრიარქსა ცხენნი და ჯორები და შეჯდენ ცხენსა და მივიდენ ხილვად პაპისა. ორთა კარდინელთა ეტვირთა მკლავნი პატრიარქისანი და მიეახლნენ პალატსა. შთამოჭდა პატრიარქი და შევიდა და იხილა ზემდგომი პაპი და უამბორეს ურთიერთას და ყოველთა უამბორეს პაპასა და

იუბნეს და გამოვიდნენ პალატსა განმზადებულსა თვისა. ესე პატივი მოიპყრო მეფესა და პატრიარქსა პაპამან და ხვალისა იყო კვირიაკე და წირეს ეკლესიისა პალატსა და მარკოზ ფერარელი განკრძალვით ისმენდა. წარვიდეს დღენი რაოდენნიმე. პატრიარქმან შესთვალა, ვითარმედ იქმნა კრება ყოვლისა სოფლისა არათუ მარტო ეპისკოპოზთაგან, არამედ მთვართა ათასისთავთა და სპასალართაგანცა. და უკეთუ ვერვინ შეუძლოს აქა მოსვლად, პოტორიტინი წარმოგზავნეს, რომელი არს მაგიერი თვისი, ხოლო ესმა რა ესე პაპასა, შესთვალა მეფესა, ვითარმედ დრო მიეცა ვიდრე ოთხისა თვისა, რათა შემოვკრიბნე სამწყსონი ჩემნი და წარმოგზავნეს წიგნები ყოველსა ადგილსა, არამედ წარვლო ჟამმან და არავინ იქმნა მომსვლელი და მეფეც იტყოდა: „იქმნას მიზეზი ყოვლისა სოფლისა ამის კრებისა“ და განვიდა ჳმა აპრილისა ცხრასა, ოთხშაბათსა პირველსა მარხვისასა და შეითქუნენ სიტყვად და დიდებად ღვთისა და სადა შეკრება იქნებოდა, მისთვის ცილობა, თუ სადა და ვითარ დასხდენ კრებასა აღმოსავლეთისა და დასავლეთისანი, ხოლო ენადა პაპასა, რათა ეკლესიასა შინა ერთსა მწარესა დაჯდეს პაპა და მისი კარდინალი და კრებანი, სხვასა მწარესა მეფე და პატრიარქი და კრებანი მათნი და იტყოდენ: „დაჯდეს პაპა შუაში“, ხოლო მეფე იტყოდა: „ესე მეფეთა არს საქმე და არათუ პაპისა და პატრიარქისა“. ამისთვის მრავალი სიტყვა შემოჴდა და მოიღეს მატინე ეტრატკონისა, თუ ვითარ ჯერ არს მეფეთა ჯდომა და პატრიარქთა და განაჩინეს, ვითა ზემო ერთსა მწარესა პაპა მისის კრებითა და მეორესა – მეფეს და პატრიარქი მისის კრებითა და დგეს პაპისათვის ოთხს მწარსა ტრაპეზს დაცილებით და პაპის ტახტსა ერთს მწარს ქვეით დადგეს ალამანის მეფის ტახტი სახელისათვის მისისა და შემდგომად დასხდენ კარდინალები და ამას ქვეშ არქიეპისკოპოზნი, მღდელნი და დიაკონნი უთვალავნი და ამათ ქვემოთ თავადნი, ეგრეთვე მარჯვნივ განმზადდეს მეფისათვის ტახტი წითლითა ოქროქსოვილითა და ამისა შემდგომად პატრიარქისა ტახტი (3v) და ამისა შემდგომად სხვათა პატრიარქთა პოტირიტებისა და შემდგომად მიტრაპოლიტთა და ეპისკოპოზთა და მღდელთა და კრებათა ამისა შემდგომად თავადნი და სპასალარნი ესრეთ არჩიეს და განაჩინეს და პირველსა ოთხშაბათსა, ვითარცა ვთქუთ, შეკრბენ ეკლესიასა დიდსა მონამისა გიორგისასა. მოვიდა პაპა დაჯდა მარცხნივ თვისსა ტახტსა, ეგრეთვე მეფე და პატრიარქი დასხდენ და მარჯვნივ მეფისა ოთხმტკაველს ქვემოთ, ძმა მეფისა, დიმიტრი, ეგრეთვე პატრიარქი დაჯდა ტახტსა მაღალსა, ხოლო პოტირიტინი იყო ირაკლიელი ანტონიოს და იყო ანტიოქისა უფალი მოძღვარი გრიგოლის და ეფესელი უფალი მარკოზ და რუსი, კიევისა უფალი ისიდორე და ონომვასისა უფალი დოსითეოს, სარდისა უფალი დიონოსიოსი. დაჯდა ხორო, ვითა იყო წესი, რომელი იყუნენ ესენი ტრაპეზუნტისა დორეთეოს კეისარის კვიზირელი და ანეკირიისა და ბესარიონ და ნიკომდისა მაკარიოს, ლაკიდემონისა – მეთოდის, თარნენელი ეგნატი და დოროთეოს ამასიისა, იოასაფ ორდოვლახელი, დამიანე სტავროპოლელი და

მიტროპოლიტი და სხვანი მრავალნი ეპისკოპოზნი და წინამძღვარნი მთაწმიდისანი და სხვანი ჯვარშემოსილნი კრებანი და ამისა შემდგომად მთავარნი თვისად განწესებულსა ადგილსა ისხდეს და სანატრელისა პაპას ქვეით აღამანის მეფის ტახტი და შემდგომად ისხდენ კარდინალნი და პაპის ძმისწული, უფალი კლიმენტოს და შემდგომად მარკოზელი იორდანე, სვენჩის ეპისკოპოზი კარდინელი ურშინისა და ანგელოზელი ივლიანე და ჯვარწმინდელი პლაკედია, ფორმანოს პოლიმონიელი, პონიოსელი ეპისკოპოზი და ეფისკოპოზნი ორასნი, ილუმენნი და არქიმანდრიტნი და მრავალნი მწყემსი ეკლესიისა და მონასტრისა იჯდა ამათ მხარს, ხოლო პატრიარქი უძღურებდა და არა ენადა ჯდომა კრებასა და სარდიელიცა იყო სწეული და მოიღეს შუა ამათსა ტახტი უფლისათვის ჩვენისა იესო ქრისტესა, მართლმსაჯულისა დიდისა მღვდელმთავარისა, წმიდა სახარება დადვეს მას ზედან და სახარებისა იმიერ და ამიერ პეტრესი და პავლესი თავნი და ლამპარნი მრავალნი მდგომარე იყუნეს და ვინცა იხილვიდა საკვირველსა ამას კრებასა, ემსგავსებოდა ზეცისა განწყობილთა, ცანი ბრწყინვიდეს და ეკლესია განათლდა და ლაღადებდნენ ერთობით: „დაამტკიცე უფალო სარწმუნოება ესე“ და იყუნენ ყოველნივე შემოსილი, ვითა მეშვიდეს კრებას და იქმნა დიდი მღუმარეობა. მაშინ აღდგა პაპა და დადგა ფეხზედან ყოველნი მისნი კრებულნი და ჳმა-ყო პაპამან: „კურთხეულ არს ღმერთი“. მაშინ მღვდელმთავარნი და დიაკონნი სამღვდელონი და ერისაგანნი ევედრებოდეს ღმერთსა, რათა გაერთდეს ეკლესია და აღვოცონ განხეთქილება ეკლესიათა, ხოლო რა დასრულდა ესე ვედრება, დასხდენ ყოველნივე. მაშინ ბრძანეს აღწდენა ანბიონსა, რათა წარიკითხონ საქმე ამა კრებისა და პატრიარქისა. დიაკონმა თქუა აღმოკითხვა სახელისა წმიდისა დაუსრულებელისა სამებისა – მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა და ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა დღეს ერთ იქმნენ და წმიდა ყოვლისა სოფლისა კრება აღიარონ. ევგენიოს, მონა ღმრთისა, ამის საქმისათვის ვწერ, რათა მტკიცედ იყოს დიდსა ღმერთსა ჭეშმარიტად ვმადლობდეთ, რამეთუ არა დაივიწყა ღმერთმან თვისითა მოწყალებითა, რათა განამრავლოს დიდება, ერთობა მართლმადიდებლობისა, რამეთუ ირყეოდა ეკლესია და მრავალი შფოთი, ხოლო ღმერთმან ერთობით შეგვაერთა. ნება არს ღმრთისა, რომელიცა არს გულმოდგინედ სულიერი შვილი ჩვენი. იოანე პალეოლოგს, მეფე ბერძენთა და ღვთისმოყუარემან ძმამან ჩვენმან, კოსტანტინეპოლისა პატრიარქმან და სხვათა პატრიარქთა, პოტირიტები კუალად სხვანი არქიერნი, მთავარნი და დიდებულნი ყოველნივე მოიწვივნენ ვენედიკს ფებერვალსა, რათა ჩვენთანა ერთობით იყუნენ და ინებეს აქა, ფერარას, კრება და ამოვნერეთ ყოველთა მთავართა და დუკთა, რათა შეიკრიბნენ და ერთ იყუნენ ჩვენთანა და ეგრეთვე იქმნა და ყოველთა სიმშვიდითა კრება ვქნათ და ერთ ეკლესიანი ნებითა ღმრთისათა და გვასწაოს სიყუარული, რათა იდიდებოდეს პირველად ღმერთი და აპრილსა ცხრას, განვორციელებიდან ათას ოთხას ოცდათურამეტ-

სა ზეით წერილნი წიგნნი წარვიკითხეს. აღდგა ერთი კაცი ფრანგთაგან და თქუა: „იტყვიან ფრანგთა შორის სარწმუნო ხართ ძმანო, ამას დღეს აღმოკითხულსა წინაშე თქუენსა“. მაშინ ყოველთა სიტყუა უგეს ერთგობით: „ვითარმედ სარწმუნი ვართ და აღვიარებთ“ და დაწერეს ყოველთა აღვიარება ესე და შეიქმნა კრება და თქუეს დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ვინცა შეუძლო თვითეულად მაშინდელი წესი და განგება და დაიხსნა მას დღესა კრება და წარვიდენ თვისსა ადგილსა და ეკლესია ფრა(4r)ნგთა ევედრებოდა მეფესა, რათა არა წარვალსო დღე ცუდათ, რათა გარიგდეს და გამოიკითხონ საიდუმლო, რომელიც არს მათ შუა და ბრძანეს განსანმედელისათვის და უცომოსათვის და სხვათა საქმესათვის. ამათ საძიებლად კაცნი ბრძენნი სარწმუნონი და გამოარჩიეს ფრანგთა კარდინალი ორნი, ეპისკოპოზნი ორნი და მწერალნი ორნი და ეგრეთვე ბერძენთა ორ-ორი, ვითა მათ ესენი გამოარჩიეს და თვისითა სიტყვის მგებელობენ და ეგრეთვე მოვიდნენ ეკლესიასა ფრანჩისკოსა და იქმნებოდა სიტყუა მათ შორის და ოთხსსა ივნისსა დასხდენ კრებასა, იწყეს ფრანგთა მრავალთა მიზეზთა თხრობად და მიუგო მარკოზ ეფესელმან: „ვითარმედ აღსწერეთ წადილი და უმჯობესი თქუენი თვითეულად და მოგიგებთ სიტყუასა.“ ეგრეთვე ესე რა მოისმინეს ფრანგთა, განიხარეს და მადლობა შესწირეს ღმერთსა და აღდგენ კრებითგან და დაწერეს თავად თავითი ნება ფრანგთა და თოთხმეტსა ივნისსა კუალად შეკრიბენ კრებანი და დაკრძალეს კარი ეკლესიისა, რათა არა შეწუხდენ ერისაგან და მიუგო ბესარიონ, ნიკიისა მიტროპოლიტმან, თავად სიტყვისაგან თითოეული. პირველად იტყოდნენ ფრანგნი განსანმედელისათვის, რამეთუ არს ცეცხლი განსანმედელი, რომელ ცოდვილნი განვლიან ცეცხლსა და განიწმინდებიან და მიუგო ბესარიონ: „სული ცოდვილისა წარვალს ადგილსა ბნელსა და მწუხარებისასა და სწადისთ ნათელი ღმრთისა, არამედ სოფელსა ამას ოდეს შესწირვენ მღდელნი მსხვერპლსა და იქმნენ მოწყალებასა, მით განიწმინდებიან მუნ სულნი, განთავისუფლდებიან ბნელისაგან და მწუხარებისაგან, გამოვლენ და წარვლენ სასუფეველსა ცათასა არა თუ ცეცხლისაგან იქმნება განწმედა და არცა აღვიარებთ, ვითარცა ვიტყვით ჩვენ ამას, რამეთუ ლოცვა და მოწყალება და ვედრება განათავისუფლებს სულსა ბნელისა მისგან გარესკნელისა. და კუალად მიუგო სულისა წმიდისა გამოსვლისათვის და უცომოსა და სხვათათვის. ისმინეს ფრანგთა სიტყუა ბესარიონისა და მიუგეს მსწრაფლ სიტყუა და მრავალი იზრახეს ურთიერთას და დაიხსნა კრება და ივლისსა ათექუსმეტსა, დღესა ოთხშაბათსა ბრძანა მეფემან, რათა მიიწიენენ ყოველნი და შეკრბენ პალატსა პატრიარქისასა და მეფეცა მიიწია და დასხდენ ტახტსა თვისსა და მუნ იზრახეს მრავალი დილითგან, ვიდრე ექუს ჟამამდე და მეფემან ყოველივე განზრახულობა მათი შეისმინა და თქუა ბერძენთა წერილთა და ბრძანა შეყრა ყოველთა ხვალისა, ათჩვიდმეტთა. ამის თვისისა ორსავე ხოროსი და შეკრბენ ორნივე და იტყოდენ ფრანგნი და ბერძენნი მრავალსა. უფალი არა რას იტყ-



ვის სარწმუნოებისათვის მთავართა მოლოდებისათვის, ვინათგან ოთხთა თვეთა მოსვლისა პაემანი მიეცა ბერძენთათვის. ელოდენ მეფეთა დუკთა და მთავართა კრებასა. ენებათ მისვლა, ვინათგან არა მოვიდნენ და იყუნენ ბერძენნი მონყენილ არა მოსვლისათვის ამათისა და რა დასრულდა და იყუნენ მწუხარე, რომელი გამოჩნდა ჟამსა და სხვანიცა სასიკუდინენი სნეულებანი და შეშინდეს დიდათ და შეიქმნა სარდისა დიდებითა, მოვიდნენ მომავალნი მეფენი და დიდებულნი ფრანგნი. ხოლო დაიყუნენ მჭმუნვარედ და ეტყოდა: „ძმანო, რასა იურვით? მე მეფესა და პატრიარქთა ნავარსა და ცარს ყოვლისა სოფლისა მართლმადიდებელთა კრება და სხვათა პატრიარქთა, პოტირიტები და ჩვენნი არქიერნი და კარდინალები არს კრება მზათ, ჯერ არს, რათა ვინცოთ ხვალისა სიტყუად“ და მოიღეს სიტყუა მონმობით. იყო მას ჟამსა ოკდომბერი რვა, ინდიკტიონი ორი, დღე ოთხშაბათი და დაიწყეს სიტყუა და კრებამან, რამეთუ პაპა სნეულებდა მიკრისითა სნეულებითა, ვერ მიინია კრებასა, სადაცა იყო ტახტი პაპისა და მეფისა და სხვათა, რამეთუ კრება ევინეს იყო პალატსა და მუნცა პალატსა პაპისასა თანა წარჰყუნეს ტახტნი, ვითა ზემო ვთქუთ, განწესებით ეგრეთ და შორით მოსულნი არ მოსულიყვნენ პალატსა მას და დასხდენ წესისაებრ, ხოლო ვინათგან პაპასა და მეფეს სწორე სიმაღლე აქუნდა წითლითა შემოსილი, აგრეთვე პატრიარქსა ოთხმტკაველ-ოდენ, ვინათგან უმცროსი იყო პატრიარქი პაპისა და პალატსა შინა ტრაპეზს წინ დადგნენ ექუსნი ბერძენნი და ექუსნი ფრანგნი სასაუბროთ სჯულისა და თავნი მოციქულთანი პეტრესი და პავლესი იყო მუნ. ხოლო ექუსნი ესენი არიან: ეფესელი მარკოზ, რუსიელა ისიდორე, ნიკისა ბესარიონ, სკეოფილაქსის ქათთუპოლოს, ხარტოფილაქსი ვალსამონ და უფალი გიორგი. გამორჩეულნი ფრანგთაგან ესენი არიან: კარდინალნი ორნი ანგელოზელნი ივლიანე, ფარნაოზ, მთავარეფისკოპოზი როდელი ანდრია ფოროლი, ვენესელნი ეპისკოპოსი ორი ღვთისმეტყუელი მღვდელმონაზონნი კაცნი ბრძენნი. იწყეს სიტუად და აღდგა ნიკიელი ბესარიონ და იწყეს ჳელმოჭიდობით ქება პაპისა, მეფისა და პატრიარქისა და იწყეს მამისა და ძისა და წმიდისათვის და კუალად ერთარსებისა და განკვირდენ და ცრემლითა აფრქვევდნენ იატაკსა (4v) ვიდრე შთასვლადმდე მზისა და დაიწსნა კრება და აღუთქვეს შაბათისათჳს კვალად კრება და მოინია რა შაბათი და შეკრბენ კრებანი პალატსა პაპისასა და როდელმან ანდრიამ, იწყეს შემკობად ყოვლად სანატრელისა პაპისა და მეფისა და ყოველთა კრებათა ვიდრე მწუხრადმდე და დაიწსნჯა კრება და გაისმა სამშაბათისათჳს, რათა იწყონ კრებად. კუალად შეკრბენ სამშაბთსა, ოკდონბერსა ათოთხმეტსა ტაძარსა და პალატსა პაპისასა კრებანი და თქვა ეფესელმან, ვინათგან მოვედით და შევკრბით ძალით ღმრთისათა, ვინა გვაქეს ერთობისა სიყვარული, შევერთდეთ ორნივე ეკლესია ერთად და რა არს სანადელი თქვენი, ურთიერთას სიყვარულით ვისმინოთ და ნუ ვინმე გულმწყრალად იტყვის სიტყვასა, არამედ სიმშვიდით ისმენდეთ და ეგრეთ ჩვენცა თქვენ მიერსა და ეფესელსა სიტყვა

უგო ფრანგმან როდელმან ეფისკოპოზმან, ვითარმედ გევედრებით ჩვენცა ურთიერთას სიყვარულსა, რამეთუ თვთ ქრისტეს სიყვარული არს, რამეთუ სიყვარული და მშვიდობა და ჭეშმარიტება თქვა ქრისტემან: „მე ვარო“, ხოლო გულმწყრალსა შევრისხავთ და გევედრებით, რაცა გითხრათ, სიტყვა მოგვიგოთ წმიდათაგან გამორჩევით და ნუ იტყვით სხვისა ლექსისაგან სიტყვასა უსიბრძნისა და ნუცა ცუდსა იკადრებთ თქმად. და სიტყვა უგო ეფესელმან ფრანგსა ანდრიას, ვითარმედ: „ჩვენ აღმოსავლეთისა ძმათა სიტყვა გვაქვს და მოგიგებთ თავად-თავედად“ და დაიჯსნა კრება. და კრება იქნა ოკდონბერსა ათუთხმეტსა და იტყოდენ, რათა „პირველთა კრებათა წერილნი მოვილოთ და გამოსვლისათვის სულისა წმიდისა“ და დაიჯსნა კრება მრავლისა სიტყვისაგან და კვალად ოკდომბერს ათექვსმეტსა შეიქმნა კრება, მაშინ ეფესელმან იწყო და მოახსენა პაპასა, რათა „წარიკითხონ ყოვლისა სოფლისა კრებანი წესისაებრ, ეგრეთვე პირველისა კრებისა და მეორისა, რომელიცა არს საფუძველი ეკლესიისა და სარწმუნოებისა, რათა გამოჩნდენ საქმენი ჩვენნი მუნით და სასოება, რომელიცა გვაქვს ერთობისა და მათი მაღლი მოვილოთ, რათა აქა შეკრებულნი დავმტკიცდეთ, ვინა არა გვაქვს წიგნები პირველისა და მეორისა კრებისა, უკეთუ ბრძანეთ, წარიკითხონ“. მაშინ მიუგო კარდინალმა იოანემ: „მამანო სარწმუნონო, ბრძანება არის ყოვლად სანატრელისა პაპისა, რათა სწორედ დავიცვათ მამათა ერთობა“ და უფალი მარკოზ ეფესელი იტყოდა რა ამას, მოემზადა როდელი მაშინ, სიტყვა უგო კრებასა, ვითარმედ: „ვითა პირობა არის მამათა მიერ ვიპყრათ და უკეთუ გნებავსთ აღმოიკითხომცა თქვენად გასამართლებლად, არათუ ჩვენისა ნებისაებრ, არამედ ორთავეთათჳს“, ხოლო ეფესელმან მარკოზ მიუგო და ჰრქვა: „წარიკითხონ კრებისა, რომელიცა საჭმარ არს“ და აღმოიკითხეს ნიკიის კრებისა განწესება სამას ათვრამეტსა მამათა, მეორისა და მესამისა. აწ ყავით ნიკიისა კრებისა განწესება, ამათ წინააღმდეგომნი ეპისკოპოზნი განიკვეთებიან და ერისგანი შეიჩვენებიან. მაშინ იწყეს სულისა წმიდისა გამოსვლისათვის, რამეთუ ფრანგნი იტყოდეს: „გამოვალს სული წმიდა მამისა და ძისაგან“ და ბერძენნი იტყოდეს: „მამისაგან გამოვალს და არათუ ძისაგან“ და იტყოდეს მრავალსა ამისთჳს ფრანგთა და ბერძენთა ფილასოფოსნი და მონამედ მოიყვანეს კირილე ალექსანდრიელი, რომელმანცა მისწერა პატრიაქსა ანტიოქისასა, რომელიცა მაშინ იტყოდენ სარწმუნოებისა ჩვენისათვის, რომელიცა ამა ლექსსა არცა მოაკლდეს და არცა მოემატოს. არა იტყოდენ ისინი, არამედ სული წმიდა იტყოდა მათ შორის. ამისთვის გამოვალს მამისაგან, რამეთუ მხოლოდშობილი სიტყვა არა არს განშორებული მამისაგან, ხოლო მარკოზ ეფესელი იტყოდა: „ისმინეთ სამლთოსა კირილესთვის, თუ რასა იტყვის, ვითარმედ „არცა შემატოს ამას სარწმუნოებასა და არც დააკლდეს და გევედრებით, რათა წარიკითხოთ მეოთხისა კრებისა პირველი და დასასრული სარწმუნოებისა“, ეგრეთვე წარიკითხეს და იტყოდა: „პირველი წმიდა და ყოვლისა სოფლისა მეოთხე კრება ხალკი-

დონისა მადლითა ღმრთისათა და ნებითა მეფისა ჩვენისა მარკიანესით იქმნა კრება სამწყსოსა ბირთვინისასა მოწმობით წმიდისა მოწმისა ეფემიასითა“ და ბრძანეს მდაბლად და დაამტკიცეს, ვითა რაოდენი იქმნა პირველსა კრებასა და მეორესა და მესამესა ბრძანებით ღვთისათა და პირველსავე და შემდგომად აღმოიკითხეს და დასასრულსა პირველისაებრი სარწმუნოება, რომელ არს „მრწამს ერთი ღმერთი“ და შემდგომნი ამისნი, რათა ეგოს შეუძრველად და არა რა შემატება ექმნას და აღმოიკითხეს კვალად სიტყვანი წმიდისა ყოვლისა სოფლისა კრებისა მეხუთისა იოანეს პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა, ვითა მოგვეცა წმიდათა მამათაგან, რათა არა შეირყოს და იდგეს მტკიცედ და იქადაგოს იესო ქრისტეს მიერთა ბრძანებითა, უნაკლულად დაიცვებოდენ მრწამსი და ჳმა-ყო წმიდამან ამან და ყოვლისა სოფლისა კრებამან ნიკიას ჟამსა ღვთისმოყვარისა კოსტანტინესზე, რომელიცა ამანვე დაამტკიცა და მეორე და მესამე და მეოთხე კრებამ, ვერავინ შემძლებელ არს ამათსა შერყევასა, რომელი დაამტკიცეს. ესე რჯული შეურყეველად დავიცვათ უეჭველად და ყოველი ბოროტი და ამპარტავნება განვიშოროთ ერთით პირითა წ(წ)მიდისა სამებასა თავიანთსავედეთ, არს კუალად სარწმუნოება, რომელი შეკრება კოსტანტინეპოლის ას ორმოცდაათთა წმიდათა მამათაგან, რომელიცა კუალად ემსგავსნეს ნიკიას შეკრებულთა წმიდათა მამათა და გვასწავეს ჩვენ სარწმუნოება წმიდა და შეაჩვენეს არიოზ უღმრთო და მეორესა კრებასა რომელი შეკრებენ კოსტანტინეპოლის ას ორმოცდაათნი წმიდანი მამანი გამომთქმელნი სარწმუნოებისანი და მრწამსისა და განაჩინეს სულისა წმიდისა ღმრთაება და წვალება მაკედონისა სულისა წმიდისა მტრისა და აპოლინარისა უღვთოსი შეაჩვენეს და შევიწყნარებთ მესამესა კრებასა ორასთა მამათა შეკრებულთა ეფესოსა, ეგრეთვე მათცა დაამტკიცეს ესე სარწმუნოება და შეაჩვენეს ბილწი ნისტორ, უსჯულო და საძაგელი მისი და მათ თანა ერთჴმა ვართ ჩვენ და კვალად ხალკიდონს ექვსას ოცდაათთა წმიდათა მამათა და სამთა მათ კრებათა თანა ესეცა ერთჴმა იყო, მათი, რომელთა აწინდელი ესე მრწამსი თქვეს და შეაჩვენეს ერთისა ბუნებისა მეტყველნი, ხოლო ამისა შემდგომად იწყეს ბერძენთა მრწამსი თარგმანებითურთ მისით და იყო დიდი სიტყვისგება ურთიერთას შორის და მოიღებდნენ მოწმად მრავალთა სამღრთოთა წერილთა ორნივე და მოიღეს მეშვიდის კრების განწესება.

შეკრებულთა წმიდათა და ყოვლისა სოფლისა მეშვიდისა კრებისა, რომელიცა შეკრებენ მეორედ ნიკიას წმიდა და ყოვლისა სოფლისა დიდი კრება მადლითა ღმრთისათა ქებული მართლმადიდებელთაგან და მართლმადიდებლისა და მოყვარისა ჩვენისა მეფისა კოსტანტინეს და ირინე, დედისა მისისა, რომელიცა შეკრიბნეს მეორედ ნიკიას ბრწყინვალესა პოტოთრონსა სამწყსოსა ბითვინისასა ამა წმიდასა ღვთისა ეკლესიასა, რომელსა ეწოდება სოფია. იწყეს მოცემულისა სამძღვრისა განახლება. კათოლიკე ეკლესიისა ბრძანება პირველისაებრ განწესებისა, რამეთუ ნათლითა მისითა განვნათლდით და მეც-

ნიერება მისი ჩვენ მოგვენიჭა და ბნელისა მისგან ეშმაკთასა სალტოლოვილი-სა განგვაშორვა ქრისტემან, ღმერთმან ქვენმან, ვიდრე აღსასრულადმდე და აღსასრულეს ბრძანება ესე საღვთო მამათა მეშვიდისა კრებისა თქვეს არცა რათურთით მოკლება, გინა შემატება, რომელიცა აღწერილ არიან და დაბეჭდილ წმიდათა და ყოვლისა სოფლისა მეექვსისა კრებისათა და დავიცვათ მართლალსარებითა, ვითა ზღუდესა მტკიცესა უკუნისამდე. ამან წმიდამან კრებამან ისმინეს რა, ყოველთა ერთობით აღიარეს, ესრეთ გვრწამს და ყოველნი ამას ვეძიებთ და ყოველნი ერთითა პირითა და ერთითა სიტყვითა დავენერეთ: „ესე არს სჯული მოციქულისა, ესე არს სჯული მამათა, ესე არს მართლმადიდებელთა, ესე არს სჯული ყოვლისა სოფლისა და ქადაგათ: „მრწამს ერთი ღმერთი“, ვაქებთ სამებასა და წმიდათა ხატთა უამბორებთ და მისი აღმსარებელნი არა მორწმუნეთა შორის განვადებთ ეკლესიისაგან, ხოლო ჩვენ პირველსავე კათოლიკე ეკლესიისა აღსარებასა ზედან ვდგათ და მათსა შეკრებულსა ვიმარხავთ და ვინცა მოაკლებს და ანუ შემატებს ეკლესიისაგან, რომელიცა აღიარეს შვიდმან კრებამან ღვთისაგან. ამათ წინააღდგომთა შევაჩვენებთ და ესენი რა აღმოიკითხეს ბრძანებანი მეშვიდისა კრებისანი, მოიტანეს ერთი წიგნი ძველი და ეწერა ამა შვიდისა კრებისა ბრძანებანი და იპოვეს ღმრთისმეტყველებით წმიდისა სულისა მამისაგან გამომავლობით და ძისაგან, ვითარცა ფრანგნი აღიარებენ, მრავალი სიტყვა შემოჭდა და გრძელი აჩვენებდნენ, ვითარმედ ძველი წიგნი ფრანგნი ამა წიგნითა ფრიად იქადონენ და მრავალსა იტყოდნენ და ბერძენთა არცა ერთი სიტყვა მისცეს მისთვის, ამისთვის, რამეთუ ჟამი აღარა იყო საუბრისა და მას დღესა დაიწსნა კრება და წარვიდნენ.

და კუალად ოკდომბრისა ოცსა, დღესა ოთხშაბათსა, შეკრბნენ კუალად კრება წმიდასა ტაძარსა ფრანჩისკოსასა და თქვეს აღმოსავლელთა: „ისმინეთ მამათა ღირსთა ეპისკოპოზთა და ბრძანეს სათნოთა ღვთისათა მამათა ყოვლისა სოფლისა ამის სარწმუნოებისათვის, დაბეჭდეს და დაიმტკიცეს და ჩვენ სასოებითა მამათა ჩვენთათა მათ მიერი ბრძანება დავიმარხეთ და მათ მიერისა შეჩვენებისაგან ჩვენ ვიშიშვით. ვერ შემძლებელ ვართ რწმუნებად თქვენ მიერსა თქმულსა, რომელიცა იტყვით წმიდისა მონამისა შორის“. მაშინ თქვეს დასავლეთისათა ამაღლებულთა: „მეფეო, ესე წიგნი, ჩვენ მიერ მოტანილი წმიდისა მეშვიდისა კრებისა, არს წიგნი ფრიად ძველი და არს შეუძლებელ თარგმნად, რომ შეიტყოს კაცმან, რამეთუ არა რა წინა აღმდგომნი არს წიგნსა ამას შინა და არს ჩვენდა მეცნიერი კაცი ძველი და ბრძენი და მრავალთათვისა დასწერს და ამა მრწამსისა თავს დაუწერა, რომე მეშვიდეს კრებას ესრეთ დაუწერია, ვითა ამა ძველსა შინა წიგნსა ძეს, რომელიცა საჯაროდ აღმოიკითხეს“. ამისთვის იწყეს ზრახვა აღმოსავლეთისათა და დასავლეთისათა და ეძიებდნენ გამოსვლისათვის სულისა წმიდისა და აღიხსენეს ღმრთისმეტყველისათვის გრიგოლისა კლიდონისა ებისტოლესა შინა აღმოკითხული და

იოანეს სახარებისაგან და კირილეს მიერ აღმოკითხული, ვითარმედ: „ვკითხო მამასა ჩემსა და სხვა ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქვენ“ და დაესრულა და წარმოიღეს დიდისა ბასილისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა და სხვათა ეპისკოპოზთა და მრავლად იუბნეს და გაიყარა კრება.

და კუალად ოცდახუთსა ამასვე თვესა, დღესა შაბათსა, შეკრბა კრება (5v) შეიყარნენ და თქვეს კუალად გამოსვლისათვის სულისა წმიდისა, მოიღეს ნეტარისა აგვისტინეს წიგნი და საღმრთო აბროსისი მღვდელთმთავრისა მედიოლანელისა და ილარიონისი და მოიღეს ბერძენთა დიდისა ათანასესი და დიდისა ბასილისი და საღმრთოსა ოქროპირისა და სამღრთოსა ანასტასიოსი, ღმრთისა ქალაქისა დიდისა ანტიოქისა, მთით სინით აღმოსრულისა და ეპიფანე ეპისკოპოზისა კვიპრიელისა და სხვათა მრავალთა თქვეს და განარჩევდეს ურთიერთას სმენითა და სიტყვითა მიგებითა. კუალად შეკრბენ ნოემბერსა პირველსა, დღესა შაბათსა და კუალად მეოთხესა ნოემბერსა სამშაბათსა, კუალად ნოემბერსა რვასა და კუალად ნოემბერსა იწ (18), რაოდენიცა ითქმოდა, შეკრბებოდნენ, იტყოდენ მხოლოდ სულისა წმიდისათვის, მოვიდნენ პოტირიტები მთვარისა ვორონდისანი ფრანგნი, კრებაში წარვიდნენ და თაყვანისცეს მხოლოდ პაპასა და უამბორეს მარჯვენასა მჯდომარესა ინაჯთ მეფისა და თანა წარჯდენ პატივსა ჳელმწიფისასა და არა რა ჳეროვანნი პატივი მისცეს კრებასა და აღმოკითხეს ენისაებრ მათისა, ხოლო მეფეც და მისნი კრებულნი ვერ ისმენდეს მათსა, რამეთუ არა იყო ელენებრ, არამედ ფრანგულებრ და აღდგა მეფე და დაიწსნა კრება და მწუხარე იყო მეფე და თვისად შეურაცხებად შერაცხა პოტირიტებისაგნ მეფობისა მისისა თაყვანისუცემელობა წესისაებრ დაკლება და იტყოდა: „არლარა წარვიდე კრებისა და არცალა ვყო კრება ამისთვის, რომელ შეურაცხ ვიქმენ და სირცხვილეულ არა თაყვანისცემისთვის“, ხოლო ისმინა რა ესე პაპამან, წარუგზავნა ვედრებად კაცი მაგიერათ მისად, რათა ქმნას კუალად კრება, ვითარმედ დუკსა მოუწერა: „არა რწმუნება ბერძენთა კრებისა, არამედ ჩვენ შორისი ქმნას კრება და ამათცა ამა ერთობითსა სარწმუნოებაზედ მოვიყვან, რათა ერთ იყვნენ ყოვლისა სოფლისა ეკლესიანი“ და მეფემან ისმინა პაპისა და ოთხსა დეკენბერსა, დღესა ხუთშაბათსა შეიყარნენ კუალად კრებანი და იქმნა ჳდომა მეფისა და სხვათა კრებულთა და მოვიდნენ პოტორიტები დუკასნი და თაყვანისცეს მეფესა და არავითარ ჳერ არს მეფეთა ეგრეთ და ძალითა ითმენდა ამას მეფე და ბრძანა მეფემან, ვითარმედ გამომავლობისათვის სულისა წმიდისა, ვიდრე მწუხრადმდე და შემდგომად გაიყარა კრება.

და კუალად რვასა დეკენბერსა და შექმნეს პირველად სიტყვანი მრავალნი და დაშვრენ საუბრითა და შეწრფენ, ხოლო ეპისკოპოსნი და კლირიკოსნი და ყოველნივე მყოფნი კრებისანი იტყოდენ თვისთა თავთა შორის: „რა არს ესე ლიტონი სიტყვა, რომელ გვესმის, არცა მათ ძალუც ძლევა ჩვენი და ვერცა ჩვენი შემძლებელ ვართ ძლევად მათდა, ამისთვის ჳერ არს, რათა წარვიდეთ

ქალაქსა ჩვენსა, ხოლო მეფე იყო კაცი სულგრძელი დიდად და ყოველსავე მოითმენდა და წინასწარსა საქმესა გამოარჩევდა ორთავე შინა კრებათა. შთავარდა მეფე ზრუნვასა შინა მსგავსად მძინარისა და პატრიარქიცა იყო სნეულებასა შინა სრულიად შეუძლებელ სიტყვისა და სმენისა. გამოჴდა დღე ათექვსმეტი და პატრიარქი მცირედრე უკეთ იყოფებოდა და მივიდნენ კრებანი, კერძო ბერძენთა პატრიარქსა თანა და ევედრნენ პატრიარქსა და დასვეს ტახტსა ზედან და მიიყვანეს წინაშე და იყოფებოდა მის თანა ვიდრე ორდღე და განიზრახვიდნენ მეფეც და პატრიარქი. მსწრაფლ მიიწინენ ეპისკოპოსნი და ყოველნი კრებანი. იტყოდნენ ბერძენნი და კრებანი რაოდენიცა ქმნილ იყო პალატსა მეფისასა და მოწყინე იქმნა მეფე და თქვა: „ჩვენ ეკლესიისა გამოჩენა გვინებს, ამისთვის დაუტყვევთ სამყოფნი, ჩვენნი მამულნი და მოვედით ფრიადითა შეჭირვებითა და დავმაშურაღდით. ვითხოვ ეკლესიისა წარმოჩენასა, დასცხრეს ეკლესიისა განხეთქილება ორთავე შუა და თქვენ ყოველნი მოხვიდეთ ამა საქმისათვის და მოიწინეთ შერყეულისა ეკლესიისათვის და მთვარნი მართლმადიდებელთა სჯულისანი. დაიმედებულ ვიყავ კლირიკოსთა, მე ერთისა სახეობისათვის ვიჭირავთ, რათა ცოდვილმან რამე მოვილო ღმრთისაგან შენდობა, ამისთვის არცა ვისმენდით, არცა ვეძიებთ სხვასა დიდებასა, არამედ ამისთვის წესი არს თქვენ მიერ გამოჩინებად ერთობისა წმიდისა ეკლესიისა და უმეტესად, რომე მოვიქცეთ მამულსა ჩვენსა დიდებითა და ქებითა, არამედ მივიდეთ სირცხვილეულად“. ესე სიტყვანი ითქვენეს მეფისა მიერ წინაშე სინოდისა. თქვა: „რამეთუ პაპამან მომიტხრა ჩვენ, ვითარმედ ჯერ არს აღდგომად აქა ფერარათგან და წარვიდეთ ფლორენციასა და მუნ აღვასრულოთ კრება, ვითარ უკლებ კეთილ არს სიტყვა ესე ჩვენდა, ანუ არა“ და სიტყვა უგეს ეპისკოპოსთა მეფესა: „ჩვენ, ჴელმწიფეო, გვენბავს არაოდეს არ წარვიდეთ აქა ფერარათგან. ამის მიერ შეიქმნა გამოჩინება, რამეთუ აღსრულდეს აქა კრებანი, არათუ სხვასა ადგილსა ჯერ არს ჴელმწიფობისა შენისათა, რათა გამოჩნდეს, თუ რასათვის წარვიდეთ ფლორენციასა? არა ჯერ არს აქათგან წარსვლა ჩვენი, რამეთუ არა ჯერ არს სხვასა ქვეყანასა სხვი(ნ)თა მივიდეთ“ და თქვა მეფემან: „ვითარ ვსთხოვოთ ნავნი და ხარჯნი, უკეთუ უკანვე ვიწყოთ სლვად და იყვნენ საფასესა ზედან ხარჯსა იწროდ“ და იტყოდა ყოვლად სანატრელი პაპა კრებისა მიმართ ბერძენთსა: „უნყოდეთ მართლიად, რამეთუ არა რა მაქვს ფორერას, რათამცა ნუგეშინისგეც ხარჯისაგან და მოგეც. არს ესე ადგილი ვოონნიასი არს, არს ჩემი რაოდენიცა გინებს და მოგეც ფორორეთგან ორმოცდაათს დრაჰკანს, რომე გამოვიდეთ ფორარი კრებანი ფორართგან და წარვიდეთ ფლორენციას. ისმინეთ და მომდევედით მე, ვიდრე ფლორენცადმდე და აღვითქუამ, რათა მოგცემ კოსტანტინეპოლისა შეწევნისათვის თორმეტი ათასი დრაჰკანი და ხომალდნი, ანუ თქვენი რა მაცს ვალი გარდასაწდელი, არამედ ხარჯი რაოდენიცა აღვითქვი, აღილებდეთ თვეთა თვემდის, ვითა ჯერ არს, ეგრეთ დადებული, მოვედით და წარვიდეთ ფლორენციას. იყოს

ვადა სამისათვის ანუ ოთხისა გქონდეს დიდება, რომელიცა მიგცეთ ქვეყანასა თქვენსა, უკეთუ გინებსთ, ერთად აღვიარნეთ და ვიყოთ სწორათ.

ეპისკოპოსთა, ვითარცა ისმინეს ესე, ფრიად შენუხდენ, ამისთვის, რამეთუ საზრდო არა რა ჰქონდათ, რათა ქმნან კრებანი. ბრძანა, ანუ მიყვნენ სიტყვასა პაპისასა, მივიდნენ ფლორენციას, უკეთუ არა შეკრეს პირობა, რათა მიყუნენ, რომე იყუნენ შეჭირვებულნი და ესრეთ მიუმცნო მეფემან პატრიარქსა, სადაცა იყოფებოდა უძღურებით და რჩევა ეპისკოპოსთა დაამტკიცეს, რათა წარვიდენ ფლორენციას. დღე იყო პარასკევი. ფრიად ურვიდენ მეფე და პაპა გზასა ფლორენციასა. ოდეს მოინია დღესასწაული ნათლისღებისა, კუალად შეკრბენ კრებანი და თქვა პაპამან: „უკეთუ ნებსით აღვილო სახარჯო, რათა წარვიდენ ფლორენციას“. მაშინ ბრძანა მეფემან: „სჯული არს ფრანგისა, არა თუ შეცთუნებით, არამედ გამოირჩიოს ყოვლისა სოფლისა კრებითა განუმორებელად სრულითა საქმითა და პირობითა და კრებითა ამა საქმისაგან ერთი, უკეთუ შევიდე პირველი, თუმცა არს სიკუდილი; მეორე – თუმცა არს შიმშლი; მესამე – აღდგომისა მტერი თუ არს, მას თუმცა ებრძოლონ, არამედ ჩვენცა გვენბავს გამოსვლა აქეთგან, წარვიდეთ ფერართგან და ექნათ კრება სხვასა ადგილსა და შეიქმნა მიზეზი, რამეთუ სალმობაა ჟამისა“ დაამტკიცეს მეფემან და პაპამან, რომე განცხადდეს საერთოდ მიზეზი ამა კრებისა, რომე გამოვა ფერართგან და წავა ფლორენციას და შეკრბენ ყოველნი კრებანი ეპისკოპოსთანი და დაჯდა მეფე და პაპა და ყოველნივე კრებულნი ბერძნისა და ფრანცისა და პატრიარქი არა იყო მუნ, რამეთუ უძღურებდა და შთაიცივეს შესამოსელი ნეოპოლისა ეპისკოპოსმან და სწირა ჟამი და შემდგომად წირვისა დაიწყო ლიტანია და ვედრებად ეპისკოპოსმან, ვითარცა ჰქონდათ ჩვეულება. მოვიდა სანატრელი პაპა, ჩაცმული და შემოსილი და მათ თანა კარდინალნი და არქიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი შემოსილნი ყოველნი და დასხდენ. მაშინ უბრძანა პაპამ არქიეპისკოპოსსა, რომელსა ერქვა ღრადენსინ და მეფემან მთავარეპისკოპოსსა მიდილინისასა, რომელთაცა აღიარეს მსოფლიო ყოვლისა სოფლისა კრება და აღვიდენ მაღლად ანბიონსა ზედან და წარიკითხეს ღარდენიოს ფრანგჯულად და მიდილინისამან ელინურად, ვითარ დაამტკიცდეს კრება ფლორენციასა. ჴმითა დიდითა იტყოდენ: „ეგგენიოს, მონა მონისა ღვთისა მარადის მოხსენებული და შეიქმნა ყოვლისა სოფლისა კრება ფერერას და წეს იყო, რათა ფერერასვე აღგვესრულებინა და ვინათგან ჟამისა სალმობა შეიქმნა და ზამთარიცა არს ფრიად ნუუკუჴ და გზა არღარა მოგვეცეს ნეფხვისაგან ზამთრისა და ვიდრე ზაფხულადმდე დავშთეთ აქა. რჯულისაებრ კანონისა დავსხენით ან კრება ფერარისა და წარვემართენით ფლორენციას.“ ესე სიტყვანი აღმოიკითხეს მთავარეპისკოპოსთა და აღწერეს მნიგნობართა დაჯსნა და გაიყარა კრება. თვესა იანვარსა თერთმეტსა მიეცა ბერძენთა სახარჯო სანატრელისა პაპისაგან, არათუ მხოლოდ ამათ ოდენ მიეცა ხარჯი, არამედ კოსტანტინეპოლისაცა შესანევენელად ცხრამეტი ათასი დრაჰკანი და ინყეს

კეთება გზისა, რაჟთამცა წარვიდენ ფლორენცას, ხოლო იანვარსა ათექვსმეტსა გამოვიდა პაპა თვისით პალატით დიდითა დიდებითა, ცხენი უძლოდენ თეთრნი თორმეტნი ბრწყინვალედ შემოსილნი, ხოლო ცხენსა ერთსა დაადგერს ზურგსა მცირე კიდობანი, რომელსა შინა იდვა ჯორცი ქრისტესი, ხოლო გარემო მისა შემოსილნი კაცნი ორმოცდაათი ლამპრებით და მეორესა ცხენსა ამჯედრდა პაპა და ეხურა მიტრა თავსა ზედან და პატრონი ფერარისა მარკოზ ქვეითად სადავე ჳელთდებით წინა უძლოდა პაპასა ვიდრე ქალაქით გარემდის, ეგრეთვე ძეცა ამისი და სხვანი ცხენნიცა რიელნი წინამძღვანილ იყუნენ და უკანა შეუდგენ კარდინალები და ეპისკოპოსნი ყოველნი ცხენითა უკანა შეუდგენ და სხვანი მრავალნი ერნი ესეთითა წესითა გამოვიდა და გამოვიდა პაპა ზღუდეთა ფერარისათა და მიიწია მონასტერსა მამისა ანტონისასა მწუხრად, რამეთუ დღესა მას იანვარსა ათექვსმეტსა იმა მონასტრ(სv)ისა დღესასწაული იყო. ესე მონასტერი განშორებულთა დედათა იყო, ფრიად კეთილი და განუშორებელად აქვს პალატები და მრავალი განსვენება. ოდესცა მოიწვიენ მთავარნი ანუ სხვანი ვინმე, მუნ განისვენონ და ვითარცა პაპა მიიწია მუნ, ამისთვის, რამეთუ წყალი დიდი ახლდა მონასტერსა და მუნით განვიდოდა, რაჟამს გამოვიდეს საყდრით, განვიდეს წყალსა და მივიდეს სოფელსა მოდენას, არს ციხე მოდენასა და ფლორენცას შუა, რა მიახლოვდა მოდენას მწუხრად, დარჩა მონასტრის პალატებში და მუნით შთასხდენ ნავსა იანვარსა ათჩვიდმეტსა და წარვიდენ პაპა და მიიწინენ სხვად მდინარედ და მისდევდა მათ ფერარისა პატრონი მარკოზ. მივიდენ როდენსა ჟამსა დღისასა და შემდგომად შთავიდნენ ფლორენცასა და შემოეყარნენ კრებულნი თვისნი და უმრავლესნი მიტრაპოლიტნი წინათ წარვიდნენ და ზოგნი პატრიარქისა თანა მიჰყვებოდეს და ათცამეტსა ფებერვალსა ინება პატრიარქმან შესვლად ფლორენცასა და მოეგებნენ ორნი კარდინალნი, ათი მთავარეპისკოპოსი და ოცდაათი ეპისკოპოსი და მრავალნი ერნი მიეგებნენ და შეიყვანეს ფლორენცას და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა მეფეცა, ვინმცა შემძლებელ არს აღწერად მის დიდებისა, რომელიცა მიგებებასა მეფისასა იქმნა და მთავარნი მიუძღვნენ ვიდრე ზღუდედმდე ქალაქისა და მოვიდნენ ყოველნი კარდინალები და ყოველნი განწყობილნი ხორონი ბრწყინვალეებითა შემოსილ იყვნეს და მრავალნი მდგომარენი იკითხვიდენ, ვითარმედე: „ვინ არს მომავალი ესე“ ციხენი და ქალაქნი შეძრწუნდნენ, ხედვიდენ რა მეფესა დედანი და მამანი „ესე არს რიგი ფლორენცისა“, ვითა შევიდა მეფე ფლორენცას, დღე იყო კვირიაკე და ორშაბათსა ევედრნენ მისლვად პალატად ბრწყინვალედ, რათა იხილოს მრავალფერი შესაქცევი და საკვირველება, სერი ბრწყინვალე და რბევა ცხენთა ურაკპარაკთა შორის, ესევითარსა პალატსა დღესასწაულსა ისერებდენ და მივიდა მეფე და იხილა ესეოდენი განცხრომა და ოდეს განვიდა ალება კრება ყოვლისა და პირველსა მარხვისა ოთხშაბათსა ბრძანა მეფემან, შეკრბენ პალატსა პაპისასა და საჯდომელი წესისაებრ და განვლო წმიდამან კვირამან



მარხვისამან, ხოლო პატრიარქი ფრიად უძღურებდა სიმსივნითა ფეჭათა და ესე იტყოდენ, ვითარმედ პირველსა კრებასა არა მოვიდეს პატრიარქი, არა ჯერ არს, ხოლო იგი მიზეზობდა შეუძლებლობასა და ფებერვალსა კვ (26), დღესა ხუთშაბათსა მეორისა შვიდეულისა მარხვისასა შეკრბა პირველი კრება ფლორენცისა და შეკრბენ მიტრაპოლიტნი მეფითურთ პალატსა პაპისასა, რომელი იყო მზა და დასხდენ წესისაებრ. მაშინ იწყეს სიტყვანი დიდ-დიდნი და საშინელი და იცოდენ სიტყვასა კუალად გამოსლვისათვის სულისა წმიდისა. იტყოდენ ლათინნი: „რამეთუ მამისაგან გამოვალს და ძისაგან ორისაგანვე სული წმიდა“ და ბერძენნი იტყოდეს: „მამისაგან გამოვა მარტო“, ვითარცა მოიტანეს ძველსა მონამესა წიგნთა დიდრუანთა და წმიდათა მოძღვართა, არამედ მრავლისა საუბრისაგან დაიჭსნა კრება.

ხოლო შემდგომად მარტსა ხუთსა კუალად შეიქმნა კრება და შეკრბნენ პალატსა პაპისასა და დასხდენ ამისთვის და ამგუარი იუბნეს მრავალი ორსავე კერძოსა ფრანგთა და ბერძენთა და სძლევედენ ძლიერად სიტყვასა ფრანგთა დიდთა მონშობათა მიერ დაიჭსნა კრება და კვალად მარტსა ათორმეტსა და ჩვიდმეტსა, ოცსა და კვალად დღესა შაბათსა შეკრბენ კუალად ყოველნი და კვ (27) ამ თვისასა კუალად იყო სიტყვისგება და კრებასა რა ისხდეს არა სრულობით სიტყვა მგებელობდენ სხვისათვის, არამედ სულისა წმიდისათვის.

კუალად მარტსა კთ (29) და ღია შეკრბენ და რაოდენსაცა იტყოდენ მონშობითა მრავალთა სამღთოთა მამათა და მოძღვართა აღმოსავლეთისა და დასავლეთისათა მამანი იტყოდენ: დიდი ბასილი, დიდი გრიგოლი, სამღვთო ოქროპირი, დიდი ათანასი, დიდი კირილე, დიდი მაქსიმოს, დასავლეთისა – დიდმან აღვისტინემ, იერენიმოს, სამღვდელომ ილარიონ, დამასოს ლეონ მრავალრიგად იტყოდენ სულისა წმიდისათვის. გიორგიოს ბერძენმან იგავად იწყო, სამისა სიტყვისა მაშვალობისათვის ეტყოდა ბერძენთა, რათა ერთ იყვნეთ ფრანგთა თანა და წარვიდოდეს დღენი და ჟამნი არა მცირენი. იტყოდა მეფე დაფარვითა კრებულთა თანა ამისთვის და პაპა თვისთა კრებულთა თანა და კუალად დაიხსნა კრება და კუალად დასხდენ ორნივე კერძონი და სიტყვას მგელობდენ და არა რა ერთობა იქმნებოდა.

მოიწია სულისა წმიდისა კვირიაკე და მოუთხრა პაპამან მეფესა და ევედრებოდა, ვითარმედ ვიუბნათ ამა კრებისა ერთობისათვის და მივიდა ეკლესიად მწუხრად მუჭლმოდრეკით და შემდგომნი მიტრაპოლიტნი და უბრძანა მრავალი მეფემან ამა საქმისათვის, რათა ირწმუნონ, ვითა (7r) იტყვიან ფრანგნი და გაერთდენ. რა მეფემან ისმინა თვისთა კრებულთგან, მივიდა დღესა ხუთშაბათსა სულისა წმიდისა მოსვლისასა მიტრაპოლიტებით. იწყო და ეტყოდა მათ მღუმრად: „ჩვენ, მეუფენო და მიტრაპოლიტ-მთავარეპისკოპოზნო, ჩვენ ამა საქმისათვის სხვასა ქვეყანასა ამისთვის მოვედით. ვიქადოდით ძიებასა ეკლესიისასა და დაგვეყოვნა თვესა ათხუთმეტსა და არა რა პატივი გვაქვს და სახლი ჩვენი იტყვევის. ყოველთა მაუწყეთ, თუ რასა იტყვით“, ეს-

რეთ იტყოდა მეფე და სხვასა მრავალსა სიტყვა უგეს მიტრაპოლიტთა და თქვეს: „ესე რომელსა არა სურის შვილობა ეკლესიისა, იგი არს შეჩვენებულ, არამედ სარწმუნოებითა ყოველთა ეპისკოპოსთა“ და რუსთა მარტო თქვა: „ძმანო, წარვიკითხოთ წიგნები დასავლეთისა და აღმოსავლეთისა წმიდათა მამათა, რომელიცა გვემონმოს მათი ბრძანება ჩვენდა, ამა თქმულსა, ვინათგან არს მშვიდობა, ვისმინოთ სიტყვა ესე“ და მიუგეს სიტყვა ეპისკოპოსთა. თქვა ნიკიისა მიტრაპოლიტი: „უკეთუ ჩვენის სიტყვის მოწამენი არიან წმიდანი იგი, რასათვის არა გრწამსთ გამოსვლა ძისაგან. ისმინეთ სიტყვა ესე“ იტყოდა ნიკიისა არქიერი, ვითა ბრძენი ფილასოფოსი იტყოდა: „არა ირწმუნეს მისი“ და დადუმდენ. არა იტყოდენ მისი გულისთქმა, თავი მოუდრიკეს და იქმენ ნაქმარსა მათსა. მსწრაფლ იქმნა წმიდის კირილესგან თქმულისა, თავისაგან იოანესი და წიგნისაგან წმიდისა ეპიფანეს, რომელსა ეწოდება ანგიროტოს საუნჯისა მის ძვირფასისა და აღმოიკითხეს მრავალთა. მიდილელამა თქვა და მოილო ყოველივე დასავლეთისა წმიდათა წერილი და აღმოიკითხეს და ყოველივე დადუმდენ და თქვეს ყოველთა: „არა უწყით დასავლეთისა წმიდანი, არცა მაშინ აღმოიკითხულა“ და მიუგო ნიკიისა ეფესკოპოსმან ბესარიონ, რომელიცა მიმდგომ იქმნა მათი და თქვა აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა წინა, ვითარმედ: „ან რასა იტყვით და რას მომიგებთ“ და მსწრაფლს მიუგეს სიტყვა: „ან ვიხილით და განვიცადეთ და აღვიარებთ, ვითარმედ სარწმუნო არს“, მაშინ ბრძანა მეფემან: „უკეთუ აღიარებთ, მომეცით მე გულისწორე და მართლიად სიტყვა“ და ირწმუნეს ყოველთა, ვინათგან ერთი აღმოითქვა, აღსრულდა ნება მათი და დაიწსნა კრება და წარვიდენ თვისა სახლსა, ხოლო ნიკიელი აჩვენებდა ერთობასა ბერძენთასა და ვითა ფქვილი დაუდგრომელი ცხრილსა გარეთ იქცეოდა და ბერძენთა აღიარებდენ დიდად მესაიდუმლედ და ვერა ცნეს გულისა მისისა ნება და არა უწყოდენ, ვითარმედ თავყანისმცემელი არს მათი და იტყვის ამას და შემდგომად განთიად შაბათსა შეკრბენ ყოველნივე მიტრაპოლიტნი და კრებანი კოსტანტინეპოლისა ეკლესიისანი მეფესა სახლსა თანა პატრიარქისა, რამეთუ იყოფებოდა სნეულებით, ვითა ზემორე ვთქუთ. და მოვიდა უფალი გიორგიოს სხოლარი და მოახსენა მეფესა და მისცა ნება გულისა და კვალად წარვიდა. აღმოიკითხეს მიტრაპოლიტელთა, თუ რა არის წადილი გულისა მათისა, ხოლო მათ წარმოაჩინეს ერთობა მათი. ვინათგან პატრიარქიცა ნებასა ლათინთასა იყო და სარწმუნონოებასა მათსა. მაშინ თქვა პოტირიტიმან ანტიოქიისამან ისიდოროს: „მეცა ეგეთვე აღვიარებ და ვქადაგებ წინაშე ღმრთისა და წინაშე ჩვენსა“ და სიტყვა უგო ბესარიონ ნიკიელმან პოტირიტსა: „აღიარე, ვითა პირველსა სიტყვასა და აღიარე, ვითარმედ ასეულად და ორასეულად“, რამეთუ დიდად აღიარებდენ ფრანგნი მას და ყოველთა თითოეულად განიკითხებდენ ამა სარწმუნოებისათვის და სიტყვად წარმოათქმევინებდენ, ხოლო ირაკლისამან ანტონიოს და ეფესელმან მარკოზ და მონომვასელმან დორითეოს და ახსელოსამან სოფრონიოს. ესენი

იყვნეს მომშლელ გაერთიანებისა და წინ აღუდგენ მათსა გულისა განზრახვასა, ხოლო მიდილინისამან დორეთეოს ინება და აღიარა სიტყვანი ფრანგ-თანნი. ჰკითხვედენ სხვანი მიტრაპოლიტნი განზრახვასა მათსა და მრავალნი იტყოდენ გულისა განზრახვასა გამოჩენით, რომელიცა მათ ენება და ზოგნი სიცბილითა მიუგებდენ მათ და შეკრეს ათთა მიტრაპოლიტთა პირი და სიმტკიცე ერთად შემწეთა ფრანგთაგან, რომელ არს ესენი: რუსმან, ნიკიელმან, ლაკედემონისა, მიდილინისა, როდუსი, ნიკომიდისა, დრისტის, ლანუდრამას, მელინიკუ და დიდმან პროტოსინგელოს და მოძღვარმა, უფალმან გიორგიოს და პოტირიტიმან ალექსანდრისამან და წინამძღვრებმან და მღვდელ-მონოზნებმან და უფალმან პახუმიოს. ამის შემდგომად მოვიდა კვიზიკელი, ტრაპეზუნტელი, მონოვრელი და პოტირიტი იერუსალაიმის პატრიარქისა. მაშინ მეფემან, ვითა იყო მეცნიერ, რა იყო, იხილა რამე, თუ იქნება შეერთება კოსტანტინეპოლისა და ფრანგთა და იპყრო საქმე, ვითა სიბრძნეცა ჰქონდა სხვარიგათ. პირველ შექმნეს და აღვიღეთ. ჴელით წერილი მიტრაპოლიტთა იხილა ორლან მეფემან, ფრიად კეთილი და რიტორი ეპისკოპოსმან რუსისა წარგზავნა პაპასთან და ეგრეთვე წარავლინა, ვითა თვისი პირი და მოახსენა სანატრელსა პაპას: „თუმცა ბრძანებთ, ყავით შეწევნა ჩვენი და ქრისტიანთა, ვითარცა დამპირდი საიდუმლოდ და გაცხადებულ და კრებისა (7v) წინაშე მოწმარებისა, ხოლო პაპმან მოციქული კუალად უკანვე წარგზავნა დიდებითა და გულის მონყალებითა და ორშაბათსა ყოველთა წმიდათასა წარუგზავნა სამნი კარდინალნი მეფესა, ვითარცა პირი თვისი. რომელსაცა ესენი პირობითა შეიჯერონ. მეფეც, მართლიად უწყოდეს მეფემა, ვითარმედ აღსრულდება, ხოლო ჰკითხა მეფემან კარდინალებსა: „სარწმუნო ვართ თქვენ მიერ პირობასა, ვითა პაპასასა, ვითა შეწევნასა ილუნის და სახელსა ქრისტიანობისასა“ და მიუგეს მათ მეფესა და ჰრქვეს: „ამხელადამა ბრძანებისამან მოგცეს სახარჯო ზოგი ერთი და ხომალდი, რომე წარვიდენ ერნი შენნი ეკლესიასა აღმოსავლეთისასა“, მისცეს სამასსა მჭედარსა, რომე იქ იმყოფებოდნენ თვისითა ხარჯითა მცველად კოსტანტინეპოლისა, რამეთუ სახარჯო მათი იქ მნებავს ორნი ხომალდნი მცველად, რათა უფიქროთ დაიცვან კოსტანტინეპოლი, რათა შეიქმნას თაყვანისსაცემელი იერუსალემი კოსტანტინეპოლისა და დიდ-დიდნი ხომალდნი, რომელიცა მივიდოდნენ თაყვანისსაცემელად ცხოველსმყოფელსა საფლავსა ერთითურთ მიინეოდენ კოსტანტინეპოლის, ოდეს ჴელმწიფეც ხომალდებს აღაშენებს შესანევენელად თქვენდა, ოცსა ხომალდსა მოგანიჭებს თვისისა განწყობილებითა, რომე იმყოფებოდეს თქვენ თანა ექვს თვეს, უკეთუ გნებავსთ, თავი თვისისა ხარჯით იმყოფებოდეს თქვენ თანა წელიწადსა ერთსა, უკეთუ საჭმარ არს თქვენდა და ინებებთ ჴმელით ხარსა წარმოგზავნის ნათესავსა ქრისტიანეთსა შესანევენელად ქრისტესა“, ესენი მოახსენეს კარდინალთა მეფესა. ოდეს ისმინა მეფემან სიტყვანი ესე, განიხარა და უბრძანა კარდინალებსა: „რაოდენი ვთქვით, მოგვეცეს მაგიერად მისად და თქვენგან

სამი ხაზინა ვენედიკითგან იენუადამ და ფლორენციდამ, რომე აღვილოთ ამა ქალაქებითგან, რაც, რომე შემოვალს“, ესე თქვეს და იუბნეს და წარვიდენ სამშაბათს, ივნისის ორს. ამასვე თვესა სამსა, დღესა ოთხშაბათსა შეკრბნენ არქიერნი და მეფე სახლსა პატრიარქისასა, რამეთუ უძღურებდა. ყოველნივე იყვნეს შემოსილ. იუბნენ ფილასოფოსნი ერთად, კრებულნი შეთქმულნი ერთპირად. აღმოსავლეთისა მიტრაპოლიტთ უბრძანა რამეთუ: „მე ამა წარსულისა კრებებისა წადილი ყოველთავე ვისმინე და ყოველთავე თქვენი საწადი აღიარეთ. რასა იტყვით?“ და მიუგეს ყოველთა ერთისა განზრახვითა და გონებითა გვინებს, რათა პატრიარქმანცა მოგვცეს, თუ რა მნებავეს ამათთვის, ხოლო იხილა რა პატრიარქმან ნება მათი და მისცა მანცა ნებისაებრ მათისა, რამეთუ „შევერთდები თქვენ თანა, ვიქნები მეცა ერთი ამა ლათინთაგანი“ და რაოდენი იხილეს ეპისკოპოსთა პატრიარქისა გულისა სიტყვანი, ყოველნივე ერთად შეითქვენ და მისცეს გონებანი მათნი განზრახვასა პატრიარქისასა, ხოლო ირაკლიას და ეფესოს და სტავროპოლის და აქილევისა არა ეწადათ მიდევნება მათი, არცა ერთი რა ნება ქმნეს მათი, რომე ერთ იქმნენ ლათინთა თანა, არამედ მეფემან და პატრიარქმან, რომე მათი საწადელი ნება მისცეს და დაამტკიცებდენ, რაოდენცა იტყოდენ ფრანგნი და დაიწსნა კრება.

ხუთშაბათსა კუალად შეკრბნენ მეფე და არქიერნი და ყოველნივე მიწვედენ პალატსა პატრიარქისასა და მისცეს ნებისაებრ მათისა სიტყვა ნებითა, თუ ძალითა, თუ განგებულებითა, სრულისა გონებითა და დაამტკიცეს უცვალებლობა ამა კრებისა, ხოლო პატრიარქი და მეფე და ყოველნი არქიერნი და სრულად კრებანი, თვინიერ ეფესელისა მარკოზისა, არა ინებებდეს სათნო ყოფად განზრახვისა ამათისა, არცა ნება ურთო თქმულთა ფრანგთასა. ამისთვის მრავალჯერ საფრზე უყვეს კნინდა, ვიდრე სიკუდიდმდე. რაჟამს მისცეს მიტრაპოლიტთა გულისაებრ მათი სიტყვა არქიერთა და მეფემან პატრიარქსა და შეიქნა პირობა ერთნი და დასწერეს ესე დავთარსა ეკლესიისა ჰრომისასა და იქითგან აღმოიწერა სამი წიგნი პირობისა. ერთი წარილო პაპამა, ერთი – მეფემან და ერთი – პატრიარქმან და დაიწსნა კრება.

პარასკევი რა მოიწია, მოილო პაპამან ესე ერთობისა წიგნი და სთნდა ფრიად და შეკრბნენ კარდინალნი და იხილეს რა, მათცა სთნდა და დადვეს პირობა, ვითარმედ ხვალისა დილას ადრე შაბათად გამოირჩიონ ათი ერთ კერძო და ათი მეორე კერძო, რომე აღასრულონ ამა წიგნისა საქმე, რომელ აღწერონ, რაოდენიცა სათნო არს ფრანგთა განსაწმედელი, რომელ არს ცეცხლი, პორლოტორიონ და უცომოებისა და პაპისა მთავრობისა და კვალად სხვა მრავალი. გამოვიდა კვრიაკე და ორშაბათს განთიად, ივნისსა რვასა მოვიდნენ ესე ათნი ბერძენნი სიტყვისა საგებულად წინაშე პაპისა (8r) და აღმოიკითხეს ჴელითწერილი კრებისა და სარწმუნო იქმნენ და აღდგენ მუნიტ მსხდომნი და ამბორს უყვეს ურთიერთას და მრავალი სიხარული იქმნა და ვითარ მოიწია ჟამი სამწრობისა, აღდგენ ათნი ბერძენნი და წარვიდენ სახლსა თვისსა

და დავედრა პაპამან ამათ, ვითა უჴმო, იქცენ ჟამსა ოცსა. ნუუკუჴ აღვწ-  
ეროთ წიგნი ესე ენისაებრ ჩვენისა, რათა აღმოიკითხონ წინაშე ერისა ამის  
ჩვენისა. ესრეთ შეიქმნეს, ესე ვით იქმნა, განვიდა რა ჟამი ოცი, შევიდნენ და  
აღმოიკითხეს ერთობა ელენურად და ფრანგულად და იქმნენ სარწმუნო და  
კუალად იამბორეს ურთიერთას მთელითა ამბორითა და წარუგზავნა პაპამან  
მეფეს ვალესან კრონელი, ხორიტოურე და თომა დიდასკალი და თქვეს ამათ  
აღმოიკითხვა მათი და შეიქმნა დიდი სიხარული და სამშაბათს დილას შესთ-  
ვალა პაპამან მეფესა და თქვეს, რომელიმე ეპისკოპოსთა იუბნონ პაპას თანა  
და ინება რუსმან, ნიკიელმან, ტრაპეზუნტელმან, მიდიელმან და მივიდნენ  
და თაყვანისცეს მათ და თქვეს მათ წინაშე: „ჩვენ მადლით ღმრთისათა ერთ  
ვიქმნენით და ერთ განზრახვა, რომელიცა გვაქვს სულისა წმიდისა გამოსვლა  
და აწ ვიტყვიოთ, რომე ერთი ნება ვიქმნეთ ამას ტახტსა ზედან სამოციქულოსა  
ძველისა და უცომოებისა და განსანმედელი ცეცხლისა და წარვიდეთ მეფესა  
თანა და კრებასა და თქვენისაებრ სამართლისა აღიარეთ და ჩენცა გვაუ-  
წყეთ ეგერეთ“, გამოვიდნენ რა პაპისაგან და მოახსენეს მეფე-პატრიარქსა  
და კრებასა და მწუხრად ოთხშაბათად მოვიდა მსწრაფლ სიტყვა, ვითარმედ  
მიიცვალა პატრიარქი და შეიქმნა გლოვა და მიინივნენ ხილვად და მიზეზი  
მიცვალეებისა მისისა გამოიკითხეს. მოახსენეს, ვითარმედ ისერებდა რა და  
შევიდა სენაკად, ვითა ჰქონდა ჩვეულება, აღილო ქალაღი და კალამი და  
დანერა და წერაში ათრთოლდა ჴელი მისი სნეულებისაგან და წერასა შინა  
განუტევა სული, ხოლო იპონეს წერილი, რომელი დანერა ესრეთ:

„იოსებ, წყალობითა ღმრთისათა, მთავარეპისკოპოსი კოსტანტინეპოლისა,  
ახლისა რომისა და ყოვლისა სოფლისა პატრიარქი, ვინათგან მოინია აღსას-  
რული ცხოვრებისა ჩემისა და მივცე ვალი სიკუდილისა, დამინერია და აღვწერ  
და გამოვაჩინებ გონებასა ჩემსა, რაოდენიცა მქონდა განზრახვასა ჩემსა.

ირყეოდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია უფლისა ჩვენისა იესო  
ქრისტესი ძველისა რომისაგან და შევისმინეთ და დავრწმუნდით სანატ-  
რელისა პირველისა მამისა და ბრწყინვალისა არქიერისა მაგიერი უფლისა  
ჩვენისა იესო ქრისტესი, პაპა ძველისა რომისა. აჴა, აღვიარებ და პირველად  
აღვიარებ, ვითარმედ არს ადგილის მაგიერ სამღთოსა პეტრესა, ამისთვის  
აღვწერე ესე აღვიარება, ივნისის ცხრასა წელსა ქრისტეს აქეთ ათას ოთხას  
ოცდაცხრამეტსა წელსა, რაოდენიცა ითხოვეს ფრნაგთა ბერძენთა ეკლესი-  
საგან. ნება ვქენით და შევერთდით“ და ხუთშაბათსა დილას შეკრბენ მეფე  
და არქიეპისკოპოზები ყოველნი და ყოველნი კრებანი მისნი ჴელისა პატრი-  
არქისასა, რათა მოიღონ და მიუთხრან პაპასა, რათა მისცეს საფლავი ტა-  
ძარში უდიდებულად და მსწრაფლ მიიღონ მიწა მიწასა და გამოჴდა ცხრა ჟამი  
დღისა. მაშინ მივიდნენ და მოიღეს პატრიარქი და ყოველნი არქიერნი იყუნენ  
შემოსილ და მიინივნენ ტაძარსა წმიდისა მარიას ნოველისასა ეკლესიასა შიგ-  
ნით აღიგეს წესი და უამბორეს. მაშინ დამარხეს მუნ კერძოსა სალაროსა-

სა სამხრეთისაკენ. მრავალი დიდება მიუძღვანეს კარდინალთა პატრიარქსა მთავარეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა და ყოველთა სამღვდელთა ყოველთა ფლორენციისა თავადთა სიკუდილისათვის მუნ მისისა. თვესა ივნისსა ათსა ინდიქტიონსა მეორესა დაიმარხა ტაძარსა მას შინა და ვითარცა მიიღეს პატრიარქი, უბრძანა მეფემან და კრებამან პაპასა, რათა აღსრულდეს კრება, ვინათგან აქ დგომა ან შეუძლებელ არს ან ჩვენგან უფროს, ამისთვის რომე არღარაა პატრიარქი. ისმინა პაპამან სიტყვა ესე, მიუმცნო რუსსა და ნიკიასა და მიდილინელსა და წარვიდნენ დღესა მეორესა პატრიარქისა სამძიმარსა. ეტყოდა მათ პაპა ამისთვის უფრო, რამეთუ განუშობებელ იყო საქმე მათი და საცილებელი არღარა დაშთეს, ამისთვის მომჭირნედ ყოფასა აზრახებდა დანერილისათვის თუ უწერელისა და მოახსენეს ამა მიტრაპოლიტთა პაპასა, ვითარმედ: „ჩვენ ჩვენის თავი არ ძალგვიც თვინიერ კრებისა ჩვენისა სიტყვისა მოხსენება“ და წარმოვიდნენ თვისად კრებად და მოახსენეს ესე მეფესა და კრებასა და არა ქმნეს ესე სრულიად და შეკრბნენ კრებანი ორგზის და სამგზის, რომე ამისთვის პირობა შეკრბონ და არა ყვეს შემდგომად კუალად შეკრბნენ და პირველისა საქმისათვის შეკრბენ და მრავალი იუბნეს და პაპის უფროსობისათვის უფრორე ვერა სწორედ განარჩიეს და მაშინვე მეფემ მიუგო პაპასა: „ჩვენ არცა ერთსა სიტყვასა ვიტყვით, არამედ მოიწია დრო წარსლვად და წეს არს, რათა მომზადება ვყოთ და წარგუგზავნოთ“ და მიუგო პაპამან სიტყვა მეფესა, ვითარმედ: „ამისთვის ვილუწნი და ანცა ვილუწნი. წარგზავნეთ კაცი ვენედიკს, რათა კატარლანი (8v) მოამზადონ. წარგზავნეთ ან თქვენცა თავადნი თქვენნი და ჩვენცა მიუწერთ წიგნსა კაპუტანთა, რათა მზა ყონ კატარლა, არამედ ვევედრებით მეუფებასა თქვენსა, რათა დრო გვცეთ აქა, ვიდრემდის ღმერთი ამა საქმესა აღასრულებდეს და ხარჯს მოგიძღვნით ვიდრე ვენედიკამდის და შეწვენასაც, ვიდრემდის სტამბოლსა მიბრძანდეთ. ამისთვის ნუ იურვის მეფობა თქვენი“ და შემდგომად სიტყვისა ამის დაიწსნა კრება და წარვიდნენ თვისად ადგილად.

ხვალისათვის შეკრბნენ ბერძენთა კრებულნი პალატსა მეფისასა და შუა შემოვიდა სიტყვა, თუ რასა ითხოვენ ლათინნი ჩვენგან და რა სწადსთ და მრავალი საუბარი განაგრძვეს, არამედ ამა სარწმუნო იქმნენ თქმულსა ლათინთასა და თქვეს: „კეთილ არს ფრიად ნება მათი“ და გამოვიდნენ მეფისაგან და წარვიდნენ ივნისსა იზ (17), ოთხშაბათსა, საფლავსა პატრიარქისასა და გარდაიწადეს კუალად წესი სამკუდრო. შემდგომად აღდგომისა აწვია მეფემან ირაკლისასა თავისა თანა და ეფესოს და რუსსა და ნიკიისასა და მიიწინენ პალატსა მეფისასა და ენება მეფესა, რათა ესე ოთხნი არქიერნი სხვასა აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა თანა ერთ იყოს, რათა სანადი ფრანგთა ამათ თანა სარწმუნო იქმნენ და ირაკლისა ირწმუნებდა, ხოლო ეფესელი არა სადა ინებებდა მათსა განზრახვასა, ამისთვის არა ენება სმენა მათ თანა და გამოვიდნენ მეფისაგან და მოიწია დღესასწაული ნათლისმცემლის შობისა.

ვინა ფრიადცა დღესასწაულობდენ ბრწყინვალედ და დიდებულად და შემდგომად ამასა თვესა ივნისა ოცდახუთსა მიიწია მსწრაფლ რუსიელი, ნიკიელი და მიდილინელი და სხვაცა მრავალი და ეზრახნენ პაპასა, შეკრბნენ და ერთობდენ ორნივე მართოდ დაამკიცებდენ. ბრძანა პარასკევსა კვ (26) ივნისისასა, შეკრბნენ ორნი კერძონი კრებანი პალატსა პაპისასა და დაიწყეს მას წინ, ვინა განვლო მრავალმა ჟამმა და პაპას ჰქონდა პური შაქრისა და ტკბილნი სანოაგენი და ღვინო და ისერეს ყოველთა, ხოლო დაიხსნა კრება და მივიდნენ პალატსა მეფისასა ყოველნივე კრებანი ესე და ყოველთა ერთად დაამტკიცეს პირი თვინიერი ეფესელისა და სარწმუნო ქმნეს ყოველთა სათხოველი მათი. პირველად აღიარეს პაპა თავად პატრიარქად და მაგიერად დამცველად ქრისტეს მიერ და მწყემს და მასწავლებელ ყოველთა ქრისტიანეთა და მოურნე ეკლესიისა ღმრთისა, სიმტკიცე რჯულისა და მართლმადიდებელი, აღმოსავლეთისა პატრიარქი აქათ ეკელესიისა და პატრიარქი კოსტანტინეპოლისა, შემდგომად ამისა მეორე იქმნას, მესამედ ალექსანდრიისა, მეოთხედ – ანტიოქიისა და მეხუთედ – იერუსალიმისა და აღიარეს ესეცა კუალად სული წმინდა მამისაგან და ძისაგან გამოსვლით და უცომოსათვის და განსანმედელისათვის ცეცხლისა. ესენი ყოველნივე დაწერეს და აღიარეს, ხოლო მეფემან და პოტირიტთა პატრიარქებისათა და სხვათა მიტრაპოლიტთა და მღვდელთა და ყოველთა კრებათა თვინიერ ეფესელისა. მან არა აღიარა. ამისა შემდგომად შაბათსა დილასა წარვიდნენ ყოველნივე კოსტანტინეპოლისა მიტრაპოლიტნი ეკლესია ნოველსა, რომელიცა იყო საფლავი პატრიარქისა და კუალად წესი მოხსენებისა აღასრულეს და გამოვიდნენ რა რუსი და მიდილიელნი მივიდნენ პაპასა თანა და მოახსენეს ესე: „აჰა, მშვიდმან მეფემან და ყოველნი მისთა კრებანი და დაშვნა ამის სანადელისა, რაოდენიცა ნება თქვენი იქმნა, ყოვლად სანატრელო და ნება ბრძანებისა თქვენისა ვყავით და უკეთუ გუქონდეს ჩვენცა სათხოველი რამე, ვითხოვოთ თქვენისა ყოვლად სანატრელისაგან. ამას დაუტეობთ და წავალთ. კატარლანი მდგომნი ვენედიკს ისწრაფიან წარსვლად, არამედ მრავალ რიგი საუბარი გაგრძელდა და რა შეიქმნა ერთობა და მოიწია პირველ მოციქულისა პეტრესი და პავლეს დღესასწაული და თქვენ ვითა ხართ ადგილსა მათსა, რომელიცა მათ მიიღეს დაუჭნობელი გვირგვინი, თქვენ, ყოვლად სანატრელამან, დღესა ამას დღესასწაულსა სწირეთ გვირგვინი და ჩვენცა თქვენ თანა ერთობით შევსწიროთ მსხუერპლი საიდუმლოსა და აღმოვიკითხოთ წიგნი, დავთარი ერთობისა“, ხოლო ესმა რა ესე პაპასა, ფრიად სთნდა და აღივსო სიხარულითა და მრავალს მადლს მოახსენებდა მეფესა და კრებასა და მიტრაპოლიტთ. რა აღასრულეს სიტყვანი ესე, მოიწივნენ და აუწყეს მეფესა და კრებასა რაოდენიცა ბრძანა პაპამან და მწუხრად პაპიდამ მოვიდნენ მეფეს თანა კრიტელი, როდონელი და უთხრეს მეფესა. აღსარება, ერთობისა დაამტკიცეს და ხვალისა იყოს ერთობისა წიგნი ფრანგულად და ელენურად, რომე ყოველთავე ჴელი ჩავრთოთ და უკეთუ მიიწივნენ დღესას-

ნაულსა მოციქულთასა, წირვა და ერთობა განცხადდეს. (9r) მას დღესა კუალად შეკრბენ მეფე და პაპი კრებასა შორის ორთავეთასა და შუა შემოიღეს კუალად სხვა სიტყვა პაპისათვის და მეფისა, თუ ვითარ სიმაღლით დასწერონ. ამას ზედან ირყეოდენ დღითიდღე, თუ რომელი უფროსად დაწერონ და ბოლოს ერთობა ქმნეს და ივლისსა ოცდაოთხსა, დღესა შაბათსა, ბრძანა მეფემან, გამოარჩიონ ფრანგთა ექვსი ფილასოფოსი და ექვსი ბერძენთა, რომე დასწერონ რიგი და ერთობა. მარჯვენით დასხდენ ფრანგნი და დაწერონ ფრანგულად. პაპამან ჩართოს ჯელი და ყოველთა მისთა კრებათა, ხოლო მარცხენით კერძო დასხდენ ბერძენნი და დაწერონ ელენურად და ყოველთავე შთაინერდენ, რაოდენიცა აღმოსავლეთისა ეკლესიათა კრება ქნეს და ოდესცა აღწეროთ, ოქრო ბეჭდითა დავბეჭდოთ და დავიკიდოთ ოქროთა ჯაჭვისა და დასხდენ ამა შაბათსა დღესა, ოთხსა ივლისსა ეკლესიისა წმიდისა ფრანჩისკოსასა. ამა ეკლესიისა იყვნენ ფილასოფოსნი იგი და დაწერეს ერთობისა წიგნი ელენურად და ფრანგულად ბრძანებითა მეფისათა და კვირასა დღესა ჯელჩართულ ყვეს და დაბეჭდეს. ორშაბათსა, ივლისს ექუსსა დიდად აღსრულდა და დაიბეჭდა და დამტკიცდა ერთობა ეკლესიათა და მიიწია პაპა მეფესა თანა და ყოველნი სამღდელონი ჯვარშემოსილნი მთავარნი მღდელნი და მღდელ-მონაზონნი, დიაკონნი და მგალობელნი და სხვანი მრავალნი დიდებულნი და ყოველნი ერნი ეკლესიისა წმიდისა მარიასა და იყოს წირვა და შეიმოსნენ ყოველნივე ბერძენნი კრებანი დიდისა დიდებითა და ბრწყინვალებითა. ზ, ღვთისა განგებულება, ვინცა იყო შემძლებელ აღმოწერად ერისა მისისა, რომელიცა შეკრბენ საიდუმლოსა მას წირვასა, რათა ისმინონ ერთობა ორთავე ეკლესიათა და რა აღსრულდა წირვა, ბრძანა პაპამან, რათა აღმოკითხონ ერთობისა წიგნი ფრანგულად და ელენურად. ფრანგულად აღმოკითხა კარდინალმან წმიდის სვინის იულიანოსმან და ელენურად არქიეპისკოპოსმან ნიკიელმან ბესარიონ, რაოდენიცა დაწერეს ყოველისა სოფლისა კრებასა ფლორენცისასა. ეგგენიოს, ეპისკოპოსი, მონა მონისა ღვთისა მსგავსად საქმისა მხედველი, ერთად მქნელი წერილისა ამის საყვარელისა, შვილისა ჩვენისა იოანე პალეოლოლოსა, გამოჩინებულისა მეფისა ბერძენთა და პოტირიტთა ღირსთა ძმათა ჩვენთა პატრიარქთა და სხვათა აღმოსავლეთისა ეკლესიათა მუნით იხარებენ ცანი და განსცხრების ქვეყანა და იწსნა შუა კედელი მტერობისა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა გაერთებისა. მოიწია მშვიდობა და ერთობა ძვირსა ფასისა ივლისა. ქრისტესი შეიქმნა კეთილი სიყვარული და ერთობა საშინელისა, ღვთისაგან შეერთდება ორი კედელი. ერთად შეასწორა მტკიცედ შეკრული, რომე გვაქვდეს ერთობა უცვალებელი და გრძელსა მას სიბრძნესა და წელსა რომელ აღვასრულეთ მჭმუნვარენი. ან სიხარულსა მოვინიენით ყოველსა ქვეყანასა შარავანდნი ერთობისა ამის ბრწყინვალითა და იხარეს დედა ეკლესიათა და ძენი მისნი ან და ვიდრე უკუნისამდე ურთიერთას ერთობისა სიყვარული არა განეშორება ამა პირობისა და მშვიდობა აღდგა



ზეგარდამო და პირველ ჩვენსა გაყრილნი უწყალოდ ტიროდენ წინანდელთა სასწაულთა. იქმნა ერთობისა სიხარული ზეგარდამო. მადლობა ღმრთისა, ყოველნი იხარებდით ბრძანებასა ყოვლისა სოფლისა სარწმუნოებასა და ქრისტეს აქეთ გამორჩეული დედა კათოლიკე ეკლესიისა განიხარებს. მრავალი სხვა დაენერა იმა წიგნსა და დასასრულსა იტყოდა: „მოეცა ფლორენცას უეჭველი ერთობა და სარწმუნოება სრული წელსა ექუსსა განჯორციელებიდამ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, ათას ოთხას ოცდაცხრამეტსა, ივლისსა ექვსა, დღესა ორშაბათსა. აღწერილი მეფისა და აღმოსავლეთისა ეპისკოპოსთა და სხვათა სამღვდლოთა დასამტკიცებლად სინმიდისა ამის ერთობა ეკლესიისა. იოანე, ქრისტეს მიერ ღმრთის მორწმუნე მეფე და თვითმპყრობელი ბერძენთა პალეოლოღოს, მდაბალი მიტრაპოლიტი ირაკლისა, რიტორი, დიდი არქიერი ყოვლისა საფრანგეთისა და მაკედონისა და პოტირიტი სამოციქულოსა ზედან მჯდომარისა ყოვლად წმიდისა პატრიარქისა ალექსანდრისა უილოთეოსისა პარათსიგელოს, მოძღვარი გრიგოლიოს და მღვდელ-მონაზონი ყველას ვარ თავი, ისიდორე მიტრაპოლიტი კიევისა და ყოვლისა რუსეთისა და პოტირიტი სამოციქულოსა ზედა მჯდომარე უფლისა დოროთეოსი უცილებლად ყოვლისა ერთა მდაბალი მიტრაპოლიტი მონემავარისა და პოტირიტი სამოციქულოსა იერუსალიმის ზედან მჯდომარისა იოვაკიმისა დავენერ. დოსითეოს, მეცა უცილობლად ვნერ, მდაბალი მიტრაპოლიტი კვიზიკოსი მიტროფანე ჭემმარიტითა გონებითა აღვენერ, მდაბალი მიტრაპოლიტი (9V) ტრაპეზონტისა დამპყრობელი კესარიისა დოროთეოს, მართლიად აღვენერ, ბესარიონ წყალობითა ღვთისათა არქიეპისკოპოსი ნიკიისა და მპყრობელი სარდესოს მარღლიად აღვენერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მაკარიოს მართლიად აღვენერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მდურნოვისა და ადგილთ მპყრობელი ნიკოდიმოსი ეგნატი აღვენერ, მდაბალი მიტრაპოლიტი მიდილინისა დამპყრობელი ადგილისა სიდისო დოროთეოს სრულიად აღვენერ, მდაბალი მოლოვლახველისა და მპყრობელი სევასტისა დამიანოს სრულიად აღვენერ და ყოველნივე აღმოსავლეთისა ეპისკოპოსნი, კარდინალნი, მღვდელნი და დიაკონნი და ყოველნივე სამღვდლოთა კრებანი წარვსწერთ. ესენი და ამას ზედან წერილნი წარიკითხეს ფრანგულად წმიდისა საბინისი იულიანემა და ელენურად არქიეპისკოპოსმან ნიკიისამან ბესარიონ აღმოიკითხა და ჩვენ უამბორეთ ურთიერთას. მოიღეს სამღვდლოთმთავრო შესამოსელი და სამღვდლო და სადიაკონო და გალობდენ მგალობელნი ბერძენნი და იხარებდეთ ცანი და შემდგომი დიდებისა და აწ და მარადის დიდება მაღალთა შინასა. დღეს მდაბალმან უფლისა წმიდისამან შეგუკრიბნა. აღასრულეს წირვისა საიდუმლო, წარვიდენ თვისა სამეუფოსა, ვინათგან ესენი იქმნა და აღსრულდა, მშვიდობა იქმნა ორკერძოვე. გამოვიდეს დღენი თვესა ივლისსა იდ (14), დღესა სამშაბათსა პაპამ მოიწმო პალატსა თვისსა აღმოსავლეთისა არქიერნი და მივიდნენ უმრავლესნი და დარჩნენ ზოგნი, ვინცა მიინივნენ ერთსა ადგილსა და

დაადგინნა და საიდუმლოდ მიუთხრა: „ჩვენ, ძმანო, სჯული გავაერთეთ მადლ-ითა თმრთისათა, ხოლო უყნის ღმერთმან ყოველი გონება კაცთა, მე მხოლოდ დადევნე თავად გონებასა თქვენსა და ვილწვი, რათა წარგიძღვე და გასწავებდე, რომელიცა არს სარწმუნოებისა და ეკლესიისა, ვითა ძმათა ძველიცა და აწცა ჩვენ გვემცნობა, ეკლესიისა ყოვლად ნმიდა ძმა ჩვენი კოსტანტინეპოლისა პატრიარქი მიიცვალა კეთილსა შინა და ეკლესია პატრიარქსა ევედრა, ამისთვის განიგულა საქმე ესე, რათა აქათგან კურთხეული წარვიდეს პატრიარქი, რადგან მეცა აქ ვიმყოფები არათუ ჯორციელსა რასამე სანუკვარსა ველი, გინა ოქროსა და ვერცხლსა, ამისთვის არარას დაუურვებ, არამედ წყალობითა ღმრთისათა სავსე ვარ, არამედ მოვცე და განვდეს ჯმა ერთობისა და სიმტკიცისა ჩვენისა, რათა კურთხეულ არს პატივი მივინიჭო და ეკლესიასა საჭმარვყო. ვიტყვი, ვითარმედ პატრიარქი აქ განვანესოთ, რომელი არა რას დააბრკოლებს და არცა რას უნესურს შემოიღებს. აქ არის მეფე და ყოვლისა სოფლისა კრებანი და მეცა პაპა აქ ვიმყოფები და ყოველნი რჩეულნი არქიერნი აქ იმყოფებით. რა დააბრკოლებს აქა ამა საქმესა. არის წესი და ღირსი, რათა აქ ეკურთხოს პატრიარქი, რომე აქათგან უკურთხავი არ წახვიდეთ, ნუთუ“ და მიუგეს სიტყვა მიტრაპოლიტთა: „რომელიცა სიბრძნემან თქვენმა ბრძანა კეთილი, არამედ ამაღ ვერ შემძლებელ ვართ. ამისთვის იტყოდა, არამედ სხვანიცა არიან კრებანი და მღვდელთ-მთავარნი ჩვენნი და გვივის მეფე და მათ ვეტყვით ამა ბრძანებასა თქვენსა და რაოდენსაცა იტყვიან, მომწსენე ვიქმნებით წინაშე თქვენსა“ და გამოვიდნენ პაპითგან და წარვიდენ წინაშე მეფისა და მოახსენეს სიტყვა პაპისა, ვითარმედ პატრიარქსა დასმას ილწვის პაპა და მიუგო მეფემ სიტყვა და წარვიდენ წინაშე პაპისა, ვითარმედ არს ჩვეულება ჩვენი, რათა შევრკებთ ქალაქსა ჩვენსა კოსტანტინეპოლსა და მუნით განვარჩიოთ კაცი საპატრიარქო. ჯერ არს კურთხევა მისი, ვინა ამას შემძლებელ ვართ ჩვენ, რომელიცა იცოდა წესი ეკლესიისა კოსტანტინეპოლისა და ოცსა ივლისსა, დღესა სამშაბათსა ირაკლიას კვიზიკოსი ტრაპეზონტისა მონევმასიასა, ნიკომიდიასი და დრამასა და სხვანიცა კლირიკოსნი და ერისკაცნიცა მივიდნენ ორმოცდაათნი, რათა ჯელწერილნი წიგნი წარმოიღონ სამი და წარგზავნონ ერთი ალექსანდრიას, ერთი – ანტიოქს და ერთი – იერუსალიმს, ხოლო წიგნი ელენური მოილო მეფემან და ფრანგული პაპამან და წიგნი სხვათა პატრიარქთა წარეველინოს, ეგრეთვე სრულიად აღსრულდა მათი ერთობა, ხოლო მეფემან და ყოველთა კრებათა იწყეს წარსვლად ფლორენციით და მიინივნენ ვეციად და მოეგებნენ პრინციპა თვისითა საბატონოთი და ამბოროს ყოფით შეიყარნენ და პატივსცეს ფრიად და მიუძღვანეს ძღვენი და საჭმარ(10r)ნი ფრიად და ვენედიკითგან მიინივნეს კოსტანტინეპოლეს, ტახტსა ზედან იყვის და ნიკიელი ბესარიონ, რომელი საიდუმლოდ კრებაში იქცეოდა, ცხადად არ აღიარებდა, რამეთუ იყო ფრიად ფრანგთა შემწე, საჯაროდ აღიარებდა, ვითარმედ ვიდრე ბერძენთა ეკლესიისა არს და ოდესცა ინება, მაშინ გამოაჩინა

გონებისა თვისისა წადილი, რამეთუ იმტკიცებდა, როდესცა იტყოდენ, ფრანგი ამისთვის გაიძება გარნა მიტრაპოლიტნი და არ იცოდენ განზრახვა მისი და ოდეს წაბრძანდა მეფე თავისისა კრებითა, პაპისა თანა მდგომ იქმნა და უბრძანა კარდინალობა და კვალად საფასეცა დიდძალი და შემდგომად აკურთხა პატრიაქად კოსტანტინეპოლისა, არათუ წარვიდეს კოსტანტინეპოლის და მუნ დაჯდეს, არამედ იმყოფებოდეს ძველსა ჰრომს, რათა ჰქონდეს სახელოთ ადგილი კოსტანტინეპოლისა, ოდესცა იქმნებოდეს კრება და საქმე ეკლესიისა, დაჯდებოდეს ადგილსა მისსა, უკეთუმცა კოსტანტინეპოლის წასულიყო, ქვით დაიქოლებოდა მღვდელთა და ერთაგან. შეიყვარა დიდება კაცთა და განემოსა დიდებასა საუკუნოსა და ეფესელმან უფალმან მარკოზ არა სწადადა ერთობა ფრანგთა თანა და შეშინდა, ოდეს პაპა სწირვიდა, შეერთების წიგნი წარიკითხოდა, პირველადვე განვიდა იღუმალ ფლორენციით და მიიწია კოსტანტინეპოლის, ხოლო მეფე ვიდრე ორნი ჟამნი დაყო მინვენადმდე კოსტანტინეპოლისა და მიიწია თვინიერ პატრიარქისა, ვითა აღსრულებულ იყო და დედოფალი მარიაცა აღსრულებულ იყო, ფრიად მწუხარე იქმნა და სხვაცა დიდებულისა ცოლი აღსრულებულ იყო, რომელი იყო ასული ყანდალუგუისი და მთავარნი დიდისა ეკლესიისა კოსტანტინეპოლის წინამძღვარნი და მღვდელნი არ ინებებდენ ამათ თანა წირვად და მოხსენებად და ვითა მწვალებელი ეგრეთ შეერაცხათ და მავალთა განუტევენეს წირვანი, რათა მათ თანა ჟამისწირვად არ დადგნენ და არა შეერთდენ ეკლესიანი ამათ თანა, არამედ არა ენებათ ერთობა მათ თანა და შეიქნა განყოფილება ურთიერთას და რაოდენცა ერთობა ქნეს მეფემან, პატრიარქმან და კრებემან დიდმან ეკლესიისამან არსთა თანა იყო, რამეთუ პაპამან ევგენიოს, რომელმან ქმნა კრება იგი, აღსრულებულ იყო და დამჯდარ იყო პაპად ნიკოლაოზ და ვითარცა ცნეს ესე, ვითარმედ კოსტანტინეპოლის ეკლესია არა სარწმუნო არიან კრებისა ფლორენციისასა, შთაჯდა ხომალდთა და მიიქცია კოსტანტინეპოლის პირსა უკადრისსა და წარუგზავნა მეფეთა და მთავართა, რათა ნება სცეს შესვლად კოსტანტინეპოლედ დიდსა ეკლესიისა, ამისთვის, რათა ან იწყონ კრებად, თუცა ფლორენცას კრებასა აკლდა, ამათ არა ინებეს ესე და არცა ხილვა იწადეს, ვინათგან პაპმან ესე შეურაცხებით გაყრა იხილა, შეაჩვენა და აღდგა კატარლითა და წარვიდა და ცნეს ესე კოსტანტინეპოლისა მთავართა და მიტრაპოლიტთა, ვითარმედ პაპამან შეაჩვენა, ამათაც შეაჩვენეს პაპა და მიიწია პაპა მთანმიდას მონასტერსა ვათოპეტსა და წინამძღვრი არა ინებებდა ხილვასა და პატივსა მისსა და დაიპყრნეს წინამძღვარნი და მონაზონნი და სატანჯველნი მიუპყრო და ზოგნიცა აღსრულდენ და მონასტერსა შინა იავარყო ცხოვრება მათი და მუნით მიიწია წმიდად ლავრად და წირა, სადაცა არა პატივსცეს, მრავალი ბოროტი მოაწია, აღდგა მთანმიდით და მიიწია რომს, რაოდენიცა აღუთქვეს შეწვენა ჰრომისა ეკლესიამან მეფესა, არღარა ინებეს მოცემა, ამისთვის რომე პაპას ერთობა და შეწყნარება არა აჩვენეს თვინიერ პატრიარ-

ქისა. იყო მოძღვარი ერთი, სახელით გრიგოლი, წმიდა და ღირსი იყო სვინ-  
ადუკისა და აღიყვანეს უნებლიეთ და აკურთხეს პატრიარქად. ამაში გამრავლდა  
შფოთი დიდ-დიდნი. ამისთვის დადვა პატრიარქმან, უთხრა დიდს დუკას ამ-  
ბავი მრუდად. ამათ ჟამთა თათარნი აღილებდენ კოსტანტინეპოლის და ძეთა  
თქვენთა წინაშე თქვენსა ამოსწყვეტდენ და მერმე შენცა. მაშინ მეფე სნეულე-  
ბდა, რამეთუ ასნი ძვალნი სტკიოდეს ჴელთა და ფერჴთა. ამა სნეულეებისაგან  
მოკუდა და დაიჴსნა ყოველნი ასონი მისნი მის სნეულეებითა.

(10v) ქ. ესენი ესრეთ ეწერა დიდის კოსტანტინეს საფლავზე, რომელი-  
ცა თარგმნა ამა სასოებისა პატრიარქის კოსტანტინეპოლისა მასწავლელმან.  
პირველსა ინდიკტიონსა მეფობა ისმაელისი, რომელ არს მოჰმედ, უნდა რომე  
დათრგუნოს ნათესავი პალეოლოლოსი და დაიპყრას შვიდნი სამთავრონი და  
იმეფოს იმან გარეთ ნათესავნი დიდ ფრიად, დათრგუნოს და ჭალაკნი აღაო-  
წროს, ვიდრე ექსინო პონტომდე და რვას ინდიკტიონსა მრავალი საზღვარი  
იპყრას, პელოპონისი დაიპყრას და ცხრას ინდიკტიონსა სამხრეთის კერძო  
აღილაშქროს და ათას ინდიკტიონს დაიპყრას დაღმატელნი და ებრძოლნენ  
დიდად და რომელთამე ავნებს და მსგავსნი სიმრავლითა, ვითა ფურცელნი  
გამრავლდეს ზღვასა ზედან და ჴმელითაც იბრძოლონ და ისმაილნი დათრგუ-  
ნოს და ამათგანმა იმეფოს მცირედჟამ და ეგრეთვე წითელმან ნათესავმან  
ყოვლითა ძალითა მისითა ისმაილი დათრგუნოს და ისი შვიდნი სამთავრო-  
ნი ამათ დაიპყრან მისის შემკობილებითა, მაშინ შეიქმნას ბრძოლა ფრიად  
დიდ-დიდი, ვიდრე მეხუთედ ჟამადმდე და ჴმა ისმეს სამგზის: „დეგით, დეგით  
შიშით“ და მსწრაფლ მოხედეთ მარჯვნივ კერძო და პოოთ კაცი შვენეიერი, საკ-  
ვირველი, რომელი ესე მიიღეთ, ჩვენთაგანი არს, ეს იჩინეთ მეუფედ და ამას  
რა მიიღებთ, ნებასა ჩემსა იქმთ.

ქ. ჟამსა კოსტანტინეს მეფობისასა, რომელიცა ესე ზემორები აღიწერა  
საფლავსა მისსა მეფობადმდე იოანე პალეოლოლოსა, რომელნი თარგმნა ბერ-  
ძენმა გენადიოს, არს წელნი ქრისტეს აქეთ ათას ას ერთი. და ქრისტეს აქეთ  
მიცვალებადმე კოსტანტინესა წელნი სამას ოცდაცხრა.

#### 4. გენარომე აფხაზთა კათალიკოზი – აღსარება სარწმუნოებისა

##### (ხეც. მიხეილ თამარაშვილი №101)

„... კიცდა: რამეთუ ჯერ არს ჩვენდა, რათა გვექონდეს და შევინახოთ ხატნი ქრისტესი, და ქალწულისა ღუთისმშობლისა, და სხვათა წმიდათა, და ღირსეულ და მდიდრობას ვცემდეთ მათა:

ი: პატივსვცემ და შევიწყნარებ კოსტანტინეპოლის მეოთხე კრებასა, რომელ არს მერვე რიგითა, და აღვიარებ, რამეთუ სიმართლით დაისაჯა მას შინა ფოციე და ჴელახლაგ დამტკიცდა წმიდა ეგნატე სკამსა თვისსა:

ია: კუალად პატივს ვცემ და შევიწყნარებ ყოველი სხვა საყოვლიერო წმიდა კრებანიც, ჰრომის მამამთავრის ბრძანებით გათქმულნი და დამტკიცებულნი, და უფროსლა ფლორენციის წმიდა კრებასა და აღვიარებ ყოველსავე, რომელიც მას შინა გაიმართა: ესე არს:

იბ: მრწამს და აღვიარებ, რამეთუ სული წმიდა მამისაგან და ძისაგან არს საუკუნოდ და არსება თვისი. და ყოფნა თვისი აქუს ერთობლივ მამისაგან და ძისაგან, და ორთავესაგან გამოვალს ვითარმედ ერთი მხოლოდ დასაწყისიდალმე და ერთი მხოლოდ შებერვიდალამ:

იგ: კუალად აღვიარებ, რამეთუ თქმული იგი და ძისაგან ღირსეულად და მართებულად, დაშურების დაჭირებისათვის ზედდაბია, სარწმუნოების აღვიარებასა მასა. უმეტეს ცხადი შეტყობისათვის ჭეშმარიტებისა:

იდ: კუალად აღვიარებ რამეთუ ჴორცი ქრისტეს მრთლად და ჭეშმარიტად აღსრულდების თუ ჴმიადი, თუ ცომიანი პურითან ხორბლისათა, არამედ ღუდელთა ჯერ არს, რათა ერთითა, ან მეორეთით მითით აღასრულონ იგივე ჴორცი უფლისა ყოველთა თავიანთ ეკლესიის ჩვეულობისაებრ თუ დასავლეთისა და აღმოსავლეთისა:

იე: კუალად აღვიარებ, რამეთუ, უკეთუ ჭეშმარიტად შენანულნი სიყვარულსა და მადლსა შინა ღმრთისასა მიიცვალონ, უწინარეს მართებული საკანუნოს გარდახდისა ბოროტ ნაქნართათვის, ან მიტევებულ კეთილ მოქმედებათათვის, სულნი მათი შემდგომად სიკვდილისა, განსაწმედელის სასჯლით განიწმიდებიან, და რათა განსუბუქდნენ ესრეთი სატანჯველთაგან მარგებელ არიან მათთვის მორწმუნე ცხოველთ შეწევნანი, ესე არს, ჟამის წირვანი, მონყალებანი, და სხვაც წყალობის კეთილ მოქმედებანი, რომელთ ჩვეულნი არიან მორწმუნენი ქმნად სხვათათვის მორწმუნეთა, დარიგებისაებრ წმიდისა ეკლესიისა: ხოლო სულნი მათი, რომელნიც ნათლილების შეწყნარების შემდგომად არაოდეს არა შეიგინნენ რითიმე მანკითა ცოდვისა, და სულნიც მათი, რომელნი რითიმე ცოდვის მანკით გამძვინებულების უკან, განიწმინდნენ მისგან, ვიდრე ცოცხალ იყვნეს ჴორციითა, ან ჴორცთაგან გატიტვლებულნი, აღვიარებ რამეთუ მეყსეულად შევლენ სასუფეველსა შინა ზეცისასა,

და პირად პირადათ იხილვენ თავად ღმერთსა, ერთს არსებასა და სამებასა შინა ვითარცა არს. თუ გინლა ერთი მეორესაგან უმეტესად იხილოს მის ფერად ფერადი მადლისა და ღირსეულებისაებრ თვისისა: ხოლო სულნი მათი, რომელნიც მამაკვდინებელ საქმის ცოდვასა შინა, ან მხოლოდ სანათესავო ცოდვით მიიცვალეზიან, მეყსეულად შთავარდებიან ჯოჯოხეთსა შინა, რათა მუნ დაისაჯონ, რაგინდ უთანასწორო სატანჯველითა:

ივ: კუალად აღვიარებ, რამეთუ სამოციქულო წმიდა ტახტსა და ჰრომის პაპსა აქუს თაობა და შემძლეობა ყოველსა ქვეყანაზედ, და აღვიარებ, რამეთუ თვით ჰრომის პაპი ვექილი არს მოციქულთ მთავარი წმიდის პეტრესი, და ჭემმარიტი მაგიერი ქრისტესი, და ყოველი ეკლესიის თავი, და მოძღუარი ყოველთა ქრისტიანეთა, რომელსავეც ნეტარი პეტრეს მიერ მეცა უფალი ჩვენი იესო ქრისტესაგან სავსე სრული შეძლება ძუებისა, მწყემსობისა, და მოვლისა საყოვლიერო ეკლესიისა, ვითარცა დანესებათა შინა ჭემმარიტად მონმებულ არს, თქმისაებრ ფლორენციის წმიდისა კრებისასა:

იზ: კუალად აღვიარებ, რამეთუ მოსვლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განქარდნენ ძველი აღთქმისა მის, ან მოსეს სჯულისა დანესებულ დარიგებანი, სამღთონი, და საიდუმლონი. რომელთ ძალ არა გვიძსთ ქმნად უცოდავათ: წმიდის სახარების გაფინების შემდგომათ: კუალად აღვიარებ, რა მეთუ იგივე ძველი სჯულის წმიდა და არა წმიდა საჭმელთ სხვა და სხვაობა ეფერებოდა საწესო დარიგებათა მათ, რომელნიც წმიდის სახარების განცხადებისა შემდგომ გაიარეს და განფუჭდნენ.

იწ: კუალად აღვიარებ, რამეთუ იგი მოციქულთ ბრძანება განშორებად ნადებთაგან კერპთასა, და სისხლისაგან, და ნაზორევისაგან, დროსა მას ეფერებოდა, გასაძრიელებლად შფოთობის ნივთისასა ჰურიათასა და წარმართთა შორის, არამედ ვითარცა დასცხრა მიზეზი იგი სამოციქულო დაშლისა, დასცხრა საქმენულობაც მისი:

ით: კუალად პატივსცემ და შევიწყნარებ წმიდასა ტრენტის კრებასა, და აღვიარებ ყოველსავე რომელიც მას შინა დამტკიცდა და გამოიცხადა, უფროსად იგი, რამეთუ ჟამის წირვასა შინა ღმერთს შეინირვის ჭემმარიტი საკუთარი და ცოდვათა ამჯოცველი მსხვერპლი ცხოველთა და მკუდართათვის, და აღვიარებ, რამეთუ ყოველ წმიდის ზიარების საიდუმლოსა შინა (ვითარცა მარადის ირწმუნა ეკლესიამან ღმრთისა) იპოების მართლად, ჭემმარიტად, და არსეულად ჯორცი, სისხლი, სული და ღმრთაება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და თვით ქრისტე მართლად: და მრწამს, რამეთუ მრთელი არსება პურისა ჯორცად, და მრთელი არსება ღვინისა სისხლად გარდაიქცევის, რომლის გარდაქცევასა წმიდა კათოლიკე ეკლესია შევნიერად მრთელ არსების გარდაქცევას უწოდებს: და კუალად მრწამს, რამეთუ თითო თითოს ორთავესი ნაწილების სახის ქვეშ განყოფილების უკან იპოების გრგვლად ქრისტე:

კ: კუალად აღვიარებ, რამეთუ შვიდნი არიან ახალი რჯულის საიდუმლო-

ნი, რომელი უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაანესა კაცთა ცხოვრებისათვის, რაგინდ ყოველნი ყოველთა დასაჭირნი არ არიან, ესე არს, ნათლისღება, მირონისცხება, აღსარება, ზიარება, ბოლო ზეთის ცხება, ღუდელ კურთხევა, ცოლქმრობა, და მრწამს, რამეთუ ესენი მადლსა ღმრთისასა მოგვანიჭებენ: არამედ სამნი ამითგან, ესე იგი ნათლისღება, მირონისცხება და ღუდელკურთხევა, დაუბრუნებელნი არიან: და ჴელახლავ ვერ მიეცემიან:

კა: კუალად აღვიარებ, რამეთუ ნათლისღება დასაჭირებელ არს, კაცთა ცხოვრებისათვის, არამედ, უკეთუ წინაღმდეგს ჭირმან სიკვდილისამან, ჴამს მეყსეულად და დაუზარებლად მსახურება და მიცემა მისი: და მრწამს, რამეთუ კეთილი და ჭეშმარიტი არს ნათლისღება იგი, რომელი თავისი მართალი და მკვიდრი ნივით, ანდაზით და საღვათით მიეცემის რომელსამე ჟამსა იყოს, რომლისაგანვე, და რომელსამე ადგილსაც მიეცემოდეს:

კბ: კუალად აღვიარებ, რამეთუ ნასკვი ცოლქმრობისა საიდუმლოსი დაუხსნელ არს და შეუშლელი, და რაგინდ მეძაობის საქმისათვის, და ან ჰერეტიკობისა, ან სხვა მიზეზისათვის შეეძლოსთ ცოლქმართა ერთმანერთისაგან ლოგინით და დღრომით განშორება: გარნა არა უძსთ ძალი მათ მეორედ დაქორწინება, ვიდრე ერთავე ერთათ ცოცხალნი არიან:

კგ: კუალად აღვიარებ, რამეთუ ჯერ არს შეწყნარება, და პატივისცემა სამოციქულო და საეკლესიო დარიგებათა:

კდ: კუალად აღვიარებ, რამეთუ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მიანიჭა ეკლესიასა თვისსა მთავრობა, და ჴელმწიფება შენდობათა. და მრწამს რამეთუ შენდობათა ჴმარულობა ფრიად მარგებელ არს ქრისტიანეთა:

კე: ესრედვე აღვიარებ და შევიწყნარებ ყოველსავე, რომელიც ზემონერილ ტრენტის კრებასა შინა დარიგდა დასაწყისი ცოდვისათვის და გამართლებულობისათვის წმიდათა წიგნთა ძველი და ახალი აღთქმისათვის, ესე არს წიგნისა დაბადებისა, სახარებისასა და სამოციქულოსი:

კვ: კუალად აღვიარებ და შევიწყნარებ ყოველი იგიც, რომელს შეიწყნარებს და აღვიარებს ჰრომის წმიდა ეკლესია, და ერთობლივ ყოველი წინაღმდეგ მწვალებლობა და ჰერეტიკოსობა, რომელნიც იგივე ეკლესია სჯის, შორგანაგდებს, დაჰკრულამს, და მოჰკვეთს, მეც თვით ვსჯი, შორგანვაგდებ, დაეჰკრულამ, და მოჰკვეთ:

კზ: კუალად უფროსად ვპირდები და აღუთქვამ ჭეშმარიტს მორჩილობასა ჰრომის წმიდა პაპსა, ნეტარი პეტრეს მოციქულთ მთავრის ჯანიშინსა, და ნაცვალსა იესო ქრისტესასა:

კწ: მე თვით (ესე და ეს სახელოვანმან) ვპირდები, აღუთქვამ, და ვფიცამ, რამეთუ სარწმუნოება ესე საყოველიერო ეკლესიისა, რომლის გარე არავის ძალ უძს ცხოვნებად, რომელსავეს ნებითა და წადიერობითა ჩემითა ან აღვიარებ და ჭეშმარიტად ვიწყნარებ, იგივე შეწვევითა ღმრთისათა მართლად და შეუშლელად დავიმარხავ და დავამტკიცებ დალსასრულადმდე ცხოვრებისასა

ჩემისა, და ცდითაც ვეცდები, რათა რომელნიც ჩემს ჴელქვეითობის და მორჩილობის ქვეშ არიან, ან ჩემდა მიბარებულნი, აღვიარებდნენ, ასწავლიდნენ, და ქადაგებდნენ ამავე სარწმუნოებასა: ესრედ შემწე მეყოს მე ღმერთი და ესე ნმიდა სახარება ღმრთისა: ამინ: ...“

ქ. ჭეშმარიტა მრწუნებელი სარწმუნოებისა ამის. (ბეჭედი კათალიკოს ბესარიონისა) (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი):

ქ. მე ერისთავი როსტომ სარწმუნოებისა ამის დამრწმუნებელი (ბეჭედი როსტომისა).

ბატონმა ჩვენმა ერისთავმა როსტომ, წიგნი არ იცოდა, და მე სტეფანე კათოლიკე წინამძღვარს იმისის ბრძანებით, დამინერია“



## ხელნაწერთა აღწერილობები

A-119

### ბესარიონ ორბელიშვილი, გრდემლი. XVIII ს.

191 f.; 21,5×14,5; ხელნაწერს აქვს რვეულებრივი აღრიცხვა; ქაღალდი; ყავისფერი ტყავადაკრული, ტვიფრული ხის ყდა, ყდის ყუა დაზიანებულია, ზედა და ქვედა ნაწილში შეხეულია, ყდას უნდა ჰქონოდა ორი სამაგრი, ყდაზე შემორჩენილია ორი ნახვრეტი; ნუსხური; დასაწყისები და საზედაო ასოები სინგურით; ამოვარდნილია ფ. 6, 47-62, 1-5, 7-22; გადამწერი – ტიმოთე გაბაშვილი (1r).

inc. „მრავლით ჟამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზეზათათს და არა აღებად პირისა...“

des. „... და იხილვეთ და მოაქციეთ უფლისაი. და დაემორჩილეთ სჯულსა მისსა ამინ“ (1r-188v).

შენიშვნები:

„გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან:

1.თავი. სიტყვის-გება ლათინთა მიმართ ჩუზნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რა არს მათი ჩუზნგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს-მონაზონისა ბესარიონისა მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯელ მრავალმთისით, მონასტერსა წმიდასა ნათლისმცემლისასა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი (1r-15r); 2 თავი. სარწმუნოებისათს ერთარსისა სამებისა (15r-18r); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისა ცემლისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისა (18r-22r); 4 თავი. სიყვარულისათვის, თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უწმობენ (22r-24v); 5 თავი. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათს რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა (24v-29v); 6 თავი. სიტყვა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზად და მე ვარ ქეშმარიტება“ (29v); 7 თავი. სიტყვა მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს საყდრისაგან ღვთისა და კრავისა (30r-35r); 8 თავი. სიტყუდ მათდა მიმართ, რომელნი პაპასა ჰრომისასა უფროსად და უაღრესად ხადიან, სხუათა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიად იტყვან პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა სწორადვე მისა და ვიკადრო, ვითარმედ უაღრეს მისა აღიარებენ კეთილის მოქმედი იყოს კაცი იგი, ანუ თუ სხვსა წინა აღდგომისა საქმისა (35r-50v); 9 თავი. სიტყვა მისთვის უფლისა, რომელი თქუა „პეტრეს სიმონ. სიმონ აჰა ესე არა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფელი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი“ (ლუკა თავი 22, რიცხვი 31-32) (50v-54r); 10 თავი.

სიტყვა სამგზის კითხვისათვის უფლისაჲ მიერ პეტრეს და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო (54r-56v); 11. თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მონაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ ცხოველმყოფელისაჲ!“ (56v-63v); 12 თავი. სიტვსა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (63v-70r); 13 თავი. სიტყვსა მისთვის, რაჟამს ჰქუა პეტრეს: „მოგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განჴსნა ქუეყანასა ზედა ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (70r-73v); 14 თავი. განსანმედელისაჴს თქმული, რომლისა იტყვან მოსავნი პაპისანი (73v-84v); 15 თავი. სიტყვსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსანმედელსა ზედა იმონებენ, ვითარმედ სახელი იტრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწუჭლითაჲ. (84v-87r); 16 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, რომელსა იგინი განსანმედლისათჴს იტყვან“ (87r-88v); 17 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელი წერილ არს წმიდა სახარებაჲსა შინა, ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე მიერ ვიდრე არა გარდაიწადო ყოველი იგი“ და კუალად ვითარმედ: „ვერ გამოხვიდე, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი მწვალებელი“ (89r-92v); 18 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვან მოსავნი პაპისანი, ვითარმედ: „გან-რაჲ-ვიდენ სულნი ჴორცთაგან, აწვე მიწვეიან ადგილთა მათ მათთვის განჩინებულთა და პირველ-მეორედ მოსლვისა. მართალნი სასუფეველად დაენესებიან, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთსა შინა, პირველ ჴორცთ შემოსისა და არღარა ინმნების მათი გამოყვანებაჲო“ (92v-98r); 19 თავი. სიტყვსა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ: „ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შესრულ არსო“ (98r-106v); 20 თავი. ნათლის ღებისათჴს, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაჴსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდაჲ სამებისასა ნათელ ვილებთ ჴორციელითა მადლითათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა მხოლოდ მღდელთაგან, არამედ ვითარცა დახუდეს ერის კაცთა და დედათა მიერ ნათელ სცემენ (106v-112v); 21 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (112v-114v); 22 თავი. დედათა მიერ ნათლის-(ცემისათვის (114v-116r); 23 თავი. ზეცისათჴს სიტყუჲ, თუ რაჲსა მიზეზისათჴს იგინი არა ილოცვენ, არცალა საეკლესიოდ, არცა თჴსაგან და სხუათაჴსა ასწავებენ (116r-130v); 24 თავი. აღმოსლვით ლოცვისათვის (130v-136r); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათჴს, თუ რაჲსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისაებრ წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხუჭბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა (136r-138r); 26 თავი. სიტყუჲ მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწირავენ სახელთა შინა საეროთა (138r-140v);

27 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიღოვნებისასა აზიარებენ და თვთ მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინნენ, მას დღესა სინმიდეთა მიიხსლებიან. (140v-142r); 28 თავი. სიტყუე უცომოსათს, თუ ვითარ ყოველი მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა (142v-147v); 29 თავი. სიტყუე წმიდა ზიარებისათს, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღწნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვე პურსა ლიტონსა და არა ჯორცსა (147v-152r); 30 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათს ჩწვილთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ (152r-156r); 31 თავი. სიტყუა მისთს, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოჲსა საიდუმლოსა ზედა (156r-159v); 32 თავი. მარხვისათს, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესრეთ გაგვიწესეს (160v-165r); 33 თავი. სიტყუე ოთხშაბათისათვის, თუ რაჲსათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ და რაჲსათვის იმარხვენ (165r-167v); 34 თავი. მარხვისათვე, თუ რაჲსათს მოგუწცნეს წმიდანი ორმეოცნი, ანუ სხუენი იგი ყოველნი მარხვანი (167v-172v); 35 თავი. სიტყუე მათდა მიმართ, რომელნი ჟამსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადას სჭამენ, მათ თანა სისხლთასა და დამშთვარსა იწუმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაშენებლ არს (172v-181r); 36 თავი. დედათა წიღოვანთათს, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითსა წესსა შინა იყვნეს, საკურთხეველად აღიყვანებენ და აზიარებენ (181r-182v); 37 თავი. პირუტყვთა შეყვანისათვის ეკლესიათა, თუ ვითარ რაჲსათვის შეიყვანებენ სახლთა შინა ღმრთისათა არა წმიდათა პირუტყვთა (182v-184v); 38 თავი. აღმწერელი ამის წიგნისა სიტყუსა უგებს პაპის მოსავთა (184v-188v).

2. ტექსტს ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა გურდემლ ეწოდების, რომელსა შინა თითუწლად განგიმარტებს მიზეზსა და რომელსა ყოველსავე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რომლისა მიზეზისათს არს“ (189r-190v).

3. ხელნაწერის კიდებზე მითითებულია წიგნები, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.

ანდერძ-მინაწერები:

1. მინაწერი ნუსხურით: „გურდემლი თქმული მისივე კათათალიკოზის მიერ“ (ზ. ყ. ვ);

2. მინაწერი მხედრულით: „წიგნი გრდემლისა“ (ზ. ყ. v);

3. მინაწერი მხედრულით: „მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს“ (1r); „არა რა“. ნუსხურად (67r);

4. მინაწერი ტექსტის ხელით ნუსხურით: „ესე კლიმი ჰრომაელი, მე ვჰგონებ, კლემენტოს არს, პაპა ჰრომისა, შემდგომი წმიდა პეტრესი“ (159r-ს კიდებზე);

5. მინაწერი გვიანდელი მხედრულით: „ქ. ეს წიგნი რუსთლისა არის,

შეერგების...“ (181r).

6. მინანერი მხედრულით: „ნიგნი გრდემლისა“ (187v);

7. ჩართული დამწერლობით წერია: „უფალო მოიხსენე მამა ბესარიონ, მთქუმელი გრდემლისა ამის მწვალებელთა მიმართ. მშრომელი ტიმოთე“ (191r);

8. მინანერი ნუსხურით: „კათალიკოზი ბესარიონ“ (191v).

ხელნაწერის გადამწერი ტიმოთე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტიმოთე გაბაშვილია, რომელიც ბესარიონ ორბელიშვილის მონაფე იყო, „გრდემლი“ მას გადაუწერია გარეჯში, ნათლისმცემლის მონასტერში, სადაც ბერად იყო შემდგარი და ენეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას. მან დაწერა „მარწუხი“, სადაც დეტალურადაა მიმოხილული შვიდი საეკლესიო კრება. მასვე ეკუთვნის პოლემიკური შინაარსის თხზულება მწვალებელთა წინააღმდეგ „გარდამოცემლი ერთობისათჳს წმიდათა ეკლესიათა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა აღმომდინარისა მის ტკბილნაკადულისა წყაროჲსა, განმწმედელისა გულისხმისყოფასა წმიდათა წერილთაგან“. აქ საუბარია წარმართთა, აგარიანთა, მაჰმადიანთა წინააღმდეგ, მაგრამ არაფერია ნათქვამი კათოლიციზმის საფრთხეზე.

S-286.

### ორბელიანი ბესარიონ. ბრძეგლი. XVIII ს.

139 ფ.; 21x16; სქელი, სპილოსძვლისფერი ქალაღდი; არაკალიგრაფიული მხედრული; თავ-ბოლო ნაკლული: 10-ე, 43-ე და 56-ე ფურცლების შემდეგ აკლია ერთი ფურცელი; წითელი ფერის ტყავგადაკრული, ტვიფრული ხის ყდა; ხელნაწერი რესტავრირებულია XX ს-ის დასაწყისში ლურჯი და თეთრი ფერის ქალაღდით; ხელნაწერზე ზოგიერთ ადგილას შემორჩენილია რვეულებრივი პაგინაცია ტექსტის ხელით.

inc. „სახედ გარდაგულარძნიან და მსგავსად გონება ცთომილებისა მათისა, ვითარცა ენებოსთ...“

des. „...ვინმე განვიდეს და აღგრძნეს თქუენ სიტყუითა და აღაშფოთებდეს სულთა თქუენთ და გეტყოდეს“(1r-139v).

შენიშვნები:

1. ხელნაწერში არ არის მკვეთრად გამოყოფილი თხზულების თავები;

2. ხელნაწერის კიდებზე მითითებულია ნიგნები ნუსხური და მხედრული დამწერლობით, საიდანაც ამოღებულია ტექსტში გამოყენებული ციტატები.

3. ხელნაწერში ჩანამატი ადგილები და შენიშვნები შესრულებულია ნუსხური და მხედრული დამწერლობით;

4. თავების თანმიმდევრობა შედარებულია A-119-თან;

„გრდემლი“ შედგება შემდეგი თავებისგან და დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. თავი. სიტყვისგება ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაა არს მათი ჩუენგან განყოფილება. თქმული უნდოსა და გლახაკისა ბესარიონის მიერ ხუცეს-მონაზონისა, რომელი იყო მონასრტით ნათლისმცემლისათ უდაბნოთ გარესჯით მრავალმთისათ, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი. თავნაკული (1r-10v); 2 თავი. სარწმუნოებისათვის წმინდისა და ერთარსისა სამებისა (10v-13v); 3 თავი. წმიდისა და თაყვანისაცემლისა ცხოველსმყოფლისა სულისა წმიდისათვის (13v-15v); 4 თავი. სიყვარულისათვის თუ ვითარ მოსავნი პაპისანი სულსა წმიდასა სიყვარულად უწმობენ (15v-17r); 5 თავი. ქრისტეს მიერ შეჰბერვისათუს რაჟამს იგი შეჰბერა მოციქულთა (17r-21r); 6 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება“ (21r-v); 7 თავი. სიტყუსა მისთვის, ვითარმედ მდინარე ერთი გამოვალს დაყდრისაგან ღვთისა და კრავისა (22r-25v); 8 თავი ხელნაწერში აღნიშნულია როგორც მე-2 თავი: „მათდა მიმართ, რომელნი უფროსად და უაღრესად პაპასა ხადიან სხუათა პატრიაქთა ზედა და ქუეყანასა ზედა მეორედ ქრისტედ აღიარებენ და თავად ყოველთა ეკლესიათა და პატრიაქთა პეტრე მოციქულსა თანა მოსაყდრეობითა და ერთპატიობითა სწორადვე მისსა და უმეტესცა სწამთ კეთილისმოქმედი იყოს იგი, ანუ თუ სხუისა წინა აღდგომისა საქმისა“ (25v-37v); 9 თავი. სიტყუსა მისთვის უფლსა, რომელი ღქუა პეტრეს სიმონ. სიმონ აჰა ესე-რა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი, არამედ მე ვევედრე მამასა ჩემსა შენტუს, რაითა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი (37v-39v); 10 თავი. სიტყვაა სამგზის კითხვისათვის უფლისა მიმართ პეტრესა და მერმე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო (39v-40v); 11. თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ჰკითხა მონაფეთა: „თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ ხოლო პეტრე მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველმყოფელისა!“ (40v-42r); 12 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს უბრძანა პეტრეს: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (42r-44v); 13 თავი. სიტყუსა მისთვის, რაჟამს ღქუა პეტრეს მოგცენე შენ კლიტენი სასუფევლისანი და რომელი შევიკრა ქუეყანასა ზედა კრულ იყოს იგი ცათა შინა და რომელი განიწსნა ქუეყანასა ზედა წსნილ იყოს იგი ცათა შინა (44v-45v); 14 თავი. განსანმედელისთვის თქმული, რომელსა იტყვან მოსავნი პაპისანი (52v-64r); 15 თავი. სიტყუსა მისთვის ესაია წინასწარმეტყუელისა, რომელსა ლათინნი განსანმედელსა ზედა იმონებენ, ვითარმედ სახელი იწრუსალიმისა განწმიდოს შორის მისა სულითა სასჯელისათა და სულითა შემწველთა (64r-66v). A-119 მიხედვით 15-ე თავის ბოლო ნაწილში მოთავსებულია 16-ე თავი; 16 თავი. სიტყუსა მისთვის, რომელსა იტყვს: „მოციქული, ვითარმედ ცეცხლითა გამოიცდების კაცად-კაცადსა, იგი საქმე რომელსა იგინი განსანმედლისათუს იტყვან“ (66v-67r); 17

თავი. ცილებისათვის, რომელთა იცილებიან ბერძენნი და ლათინნი, რამეთუ ლათინნი იტყვან: “სულნი კაცნი რა-გან-ვიდენ ჳორცთაგან, მოვლენ მათთვის განჩინებულთა ადგილთა და არღარა ალოდინებენ მეორედ მოსლვისა, არცა ჳორცთა შემოსასა, არამედ მართალნი სასუფეველად მიინევიან, ხოლო სულნი ცოდვილთანი ჯოჯოხეთს აწვე დაემკვიდრებიან და იქმნების მათი გამოყვანაო (67r-71r). ხელნაწერში **ეს სათაური მითითებულია, ოლონდ არა როგორც თავის დასახელება, არამედ როგორც ტექსტის ნაწილი**; 19 თავი. სიტყვა მისთვის, რომელსა იტყვან ლათინნი, ვითარმედ ქრისტე საუკუნესა ჯოჯოხეთსა შინა არა შთასრულ არსო (71r-79v); 20 თავი. ნათლისღებისათვის თქმული, თუ ვითარ ჩუენ მართლმადიდებელნი მოძღურებისაებრ წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსილთა მამათასა სამგზის ემბაზსა შინა შთაფლვითა და წყალთაგან აღმოშობითა სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ნათელს ვილებთ ჳელითა მღდელთათა, ხოლო ლათინნი არა ესრეთ, არამედ ყოვლითურთ წინა აღდგომსა იქმენ, არცა ემბაზსა შინა სამგზის შთაყოფითა, არცა მხოლოდ მღდლისაგან, არამედ ერისკაცთა და დედათა მიერ, ვითარცა ვინ დახვდეს (45v-50v). **აღნიშნული სათაური ხელნაწერში არის ტექსტის ნაწილი და არა როგორც სათაური**; 21 თავი. სიტყვა მათდა მიმართ, თუ ვითარ ახალ ნათელღებულთა არა აღბეჭდვენ მირონითა (50v-51v); 22 თავი. დედათა მიერ ნათლისცემისათვის (51v-52v); 23 თავი. ზეცისათვის სიტყვა, თუ რაჲსა მიზეზისათვის იგინი არა ილოცვენ, არცაღა საეკლესიოდ, არცა თვსაგან და სხუდაცა ასწავებენ (79v-91r); 24 თავი. აღმოსალვით ლოცვისათვის (113r-117v); 25 თავი. წმიდისა ჟამისწირვისა საიდუმლოთათვის, თუ რაჲსათვის ჩუენ ესრეთ განწესებისათვის წმიდათასა აღვასრულებთ და იგინი სხეზბრ და არა განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და სხუათა მათ წმიდათასა – **ეს თავი გაყოფილია ორ ნაწილად, მათ შორის არის 27-ე თავი** (91r-v, 93r-94v); 26 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი უეკლესიოდ სწრავენ სახლთა შინა საეროთა (94v-97r); 27 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, რომელნი დედათა ჟამსა წიდოვნებისასა აზიარებენ და თვთ მღდელნიცა და ერნი, რომელთაცა ცოდვითა შეიგინენ, მას დლესა სინმიდეთა მიიახლებიან (92r-93r); 28 თავი. სიტყუა უცომოსათვის, თუ ვითარ მართლმადიდებელთა ეკლესია განწესებისაებრ წმიდათასა საფუვრითა შევწირავთ, ხოლო იგინი უცომოთა. (97r-99r); 29 თავი. სიტყუა წმიდისა ზიარებისათვის, ვითარ იგინი ერის კაცთა ლიტონსა ღვნოსა მისცემენ და არა სისხლსა, ეგრეთვეპურსა ლიტონსა და არა ჳორცსა (99r-103r); 30 თავი. სიტყუა მათდა მიმართ, თუ რაჲსა მიზეზისათვის ჩჩვილთა ყრმათა და უასაკოთა არა აზიარებენ (103r-107r); 31 თავი. სიტყვა მისთვის, თუ ვითარ ლათინნი და ბერძენნი იცილებიან საღთოჲსა საიდუმლოსა ზედა (107r-113r); 32 თავი. მარხვისათვის, თუ ვითარ იმარხვიდა მეუფე ჩუენი ქრისტე და წმიდანი მისნი მოციქულნი და ყოველნი წმიდანი და ჩუენცა ესრეთ გაგვინესეს (117v-121v); 33 თავი. სიტყუა ოთხშაბათისათვის, თუ რაჲსათვის არა იმარხვენ, ანუ შაბათსა ვითარ

და რაქსათვის იმარხვენ (121v-124r); 34 თავი. მარხისათვისვე, თუ რაქსათს მოგუწცნეს წმიდანი ორმეოცნი, ანუ სხუანი იგი ყოველნი მარხვანი (124r-129r); 35 თავი სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი ჟამსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ, მათ თანა სისხლსა და დამშთვარსა იწმევენ, რომელი ესე მტკიცედ დაყენებლ არს (129r-13r); 36 თავი. დედათა წიღოვანთათს, თუ ვითარ ჟამსა მას ოდეს იგი ბუნებითსა წესსა შინა იყვენ, საკურთხეველად აღიყვანებენ და აზიარებენ (138r-v).

ანდერძ-მინანერები:

1. „გრდემლი“ – „Наковальник“. Опроверждение римской веры, изложенное языком понятным, логично, спокойно, последовательно, основательно и дельно. Оригинальное произведение груз[инского] архиерея“ ზედა საცავი ფ. r-ზე;

2. „ფრიად შესანიშნავი, საყურადღებო და სასარგებლო წიგნია“ – მინანერი თ. ჟორდანიას ხელით ზედა საცავი ფ. r-ზე;

3. ქართული ანბანი მხედრულით ჟ-მდე (43v);

4. „აბა შენი ყოლა წმინდა ქალწულო, შენი დედოფალო ცისა [მასი თამასი] მარიამის უსმინე შეხვეწა [ის ძმისა]“ – მინანერი მხედრულით მინანერი მხედრულით (107r);

5. „ქ. მოიხსენე უფალო ბახუს შვილი თეონა სასუფეველსა შინა, ამინ!“ (112v);

6. „ქ. თედო ბატონს შენი გენაცივალა“ – მინანერი მხედრულით (126v);

7. „და სხუანი პირველ გამოჩინებულნი მნათობნი სოფლისანი“ – მინანერ ნუსხურით (128r).

## Q-52.

### რომის განდგომილებაისათჳს მართლმადიდებლობისაგან. XVIII ს.

42 ფ.; 19,8×16; სქელი, სპილოსძვლისფერი ქალაღი; სქელი მუყაოს ყდა; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; დაწერილია მჟავანარევი მელნით, ამიტომ ზოგიერთ ადგილას ხელნაწერი დაზიანებულია. ხელნაწერი რესტავირებულია, დაზიანებული ადგილები გამაგრებული; ხელნაწერზე შემორჩენილია რვეულებრივი პაგინაცია ტექსტის ხელით. მარტვილის წინგთსაცავიდა, აქვს ძველი საივენტარო ნომერი №19.

inc. „ვინათგან უკუწ დასაბამითგან არა დასცხრების მრავალთავი იგი ვეშაპი და გველი თვისისა მის ბუნებითისა განთხზულისა გესლისა წარმოთხევად...“

des. „...მხიარულ იქმნა მეფე და ყოველი ერი სიტვის გებასა მის ფილოსოფოსისასა. ამინ!“ A (1r-41v).

თხზულება შედგება შემდეგი თავებისგან:

1. რომის განდგომისათვის, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდისაგან ეკლესიისა. ამინ! (1r-12r); მეფობასა კოსტანტინესსა და დედის მისისა ირინესსა (12r-26v); კუალად მათთვისვე ლათინთა წუალებათათვის (26v-41v).

ანდერძ-მინაწერები:

1. „რომანოზისა ვარ“ (42r);
2. „არღარა ვარ რომანოზის, მის მიერ მიღებული ვარ ანტონი არხიმანდრიტისადმი 1830 წელს“ (42r).

## A-1443.

### ფლორენციის კრება. XVIII ს.

16 ფ.; 22,6×17; ქალღი; სახეებიანი თხელი მუყაოს ყდა; წვრილად ნაწერი მხედრული ორ სვეტად; დაზიანებულია 1f.; დაუნერელია 14v-16v; გადამწერი მესხიშვილი.

inc. „დაჯდა იოანე პალეოლოლო მეფე კოსტანტინეპოლისა. იოანე პალეოლოლო დაჯდა ტახტსა თვისსა კოსტანტინეპოლისა, ხოლო მეფობდა ესე რჯულითა ბერძენთათა...“

des. „...ხილვასა მხოლოდშობილისა ძისა მისისა, რომელი სუფევს თანა მამით და სულით წმიდითურთ. ამინ!“ (2r-14r).

ხელნაწერი შედგება შემდეგი თხზულებებისგან:

1. ფლორენციის კრება: inc. „იოანე პალეოლოლო დაჯდა ტახტსა თვისსა კოსტანტინეპოლისა, ხოლო მეფობდა ესე რჯულითა ბერძენთათა...“

des. „...ამა სწეულებისაგან მოკუდა და დაიწსნა ყოველნი ასონი მისნი მის სწეულებითა“ (2r-10r);

2. ჯორციელის შაბათს შესვენებულთა: inc. „უწინარეს მოწაფეთა წმიდისა ჯორციისა და პატიოსნისა სისხლისა თვისისა მოცემისა უფალი ჩვენი, იესო აღდგა...“

des. „...ხილვასა მხოლოდშობილისა ძისა მისისა, რომელი სუფევს თანა მამით და სულით წმიდითურთ. ამინ!“ (11r-14r);

შენიშვნები:

1. ტექსტს თანდართული აქვს: „ქ. ესენი ესრეთ ეწერა დიდის კოსტანტინეს საფლავზე, რომელიცა თარგმნა ამა სასოებისა პატრიარქის კოსტანტინეს“



ტინეპოლისა მასწავლელმან. პირველსა ინდიკტიონსა მეფობა ისმაელისი, რომელ არს მოჰმედ, უნდა რომე დათრგუნოს ნათესავი პალეოლოლოსი და დაიპყრას შვიდნი სამთავრონი და იმეფოს იმან გარეთ ნათეავნი დიდ ფრიად, დათრგუნოს და ჭალაკნი ალაოწროს, ვიდრე ექსინო პონტომდე და რვას ინდიკტიონსა მრავალი საზღვარი იპყრას, პელოპონისი დაიპყრას და ცხრას ინდიკტიონსა სამხრეთის კერძო აღილაშქროს და ათას ინდიკტიონს დაიპყრას დაღმატელნი და ებრძოლნენ დიდად და რომელთამე ავნებს და მსგავსნი სიმრავლითა, ვითა ფურცელნი გამრავლდეს ზღვასა ზედან და ჯმელითაც იბრძოლონ და ისმაილნი დათრგუნოს და ამათგანმა იმეფოს მცირედ ჟამ და ეგრეთვე წითელმან ნათესავმან ყოვლითა ძალითა მისითა ისმაილი დათრგუნოს და ისი შვიდნი სამთავრონი ამათ დაიპყრან მისის შემკობილებითა, მაშინ შეიქმნას ბრძოლა ფრიად დიდ დიდი, ვიდრე მეხუთედ ჟამადმდე და ჯმა ისმეს სამეზის: „დეგით, დეგით შიშით“ და მსწრაფლ მოხედეთ მარჯვნივ კერძო და პოოთ კაცი შვენიერი, საკვირველი, რომელი ესე მიიღეთ, ჩვენთაგანი არს, ეს იჩინეთ მეუფედ და ამას რა მიიღებთ ნებასა ჩემსა იქმთ“ (10v);

2. 1r-ზე მოცემულია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების სქემა, რომელში მოცემული თარიღები განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებული თარიღებისგან;

ანდერძ-მინაწერები:

1. „არხიმანდრიტ ტარასისა, პაპიჩემის ნაწერი მე მეკუთვნის“ (თავფურცელი);

2. №1443 (თავფურცელი);

3. წიგნი ესე ეკუთვნის კოლეუსკი სეკრეტარს იერონიმე ალექსიევს“ (1r);

4. კარიგრაფის ხელით, დიდი ზომის ჩართულად ნაწერი „კრება ფლორენციისა“ (1r);

1. „ქ. ჟამსა კოსტანტინეს მეფობისასა, რომელიცა ესე ზემორები აღიწერა საფლავსა მისსა მეფობადმდე იოანე პალეოლოლოსა, რომელნი თარგმნა ბერძენმა გენადიოს, არს წელნი ქრისტეს აქეთ ათას ას ერთი. და ქრისტეს აქეთ მიცვალებადმე კოსტანტინესა წელნი სამას ოცდაცხრა“ (10r).

## ილუსტრაციები



89

1. <sup>150</sup> ~~...~~ <sup>151</sup> ~~...~~ <sup>152</sup> ~~...~~ <sup>153</sup> ~~...~~ <sup>154</sup> ~~...~~ <sup>155</sup> ~~...~~ <sup>156</sup> ~~...~~ <sup>157</sup> ~~...~~ <sup>158</sup> ~~...~~ <sup>159</sup> ~~...~~ <sup>160</sup> ~~...~~ <sup>161</sup> ~~...~~ <sup>162</sup> ~~...~~ <sup>163</sup> ~~...~~ <sup>164</sup> ~~...~~ <sup>165</sup> ~~...~~ <sup>166</sup> ~~...~~ <sup>167</sup> ~~...~~ <sup>168</sup> ~~...~~ <sup>169</sup> ~~...~~ <sup>170</sup> ~~...~~ <sup>171</sup> ~~...~~ <sup>172</sup> ~~...~~ <sup>173</sup> ~~...~~ <sup>174</sup> ~~...~~ <sup>175</sup> ~~...~~ <sup>176</sup> ~~...~~ <sup>177</sup> ~~...~~ <sup>178</sup> ~~...~~ <sup>179</sup> ~~...~~ <sup>180</sup> ~~...~~ <sup>181</sup> ~~...~~ <sup>182</sup> ~~...~~ <sup>183</sup> ~~...~~ <sup>184</sup> ~~...~~ <sup>185</sup> ~~...~~ <sup>186</sup> ~~...~~ <sup>187</sup> ~~...~~ <sup>188</sup> ~~...~~ <sup>189</sup> ~~...~~ <sup>190</sup> ~~...~~ <sup>191</sup> ~~...~~ <sup>192</sup> ~~...~~ <sup>193</sup> ~~...~~ <sup>194</sup> ~~...~~ <sup>195</sup> ~~...~~ <sup>196</sup> ~~...~~ <sup>197</sup> ~~...~~ <sup>198</sup> ~~...~~ <sup>199</sup> ~~...~~ <sup>200</sup> ~~...~~

**¶** <sup>201</sup> ~~...~~ <sup>202</sup> ~~...~~ <sup>203</sup> ~~...~~ <sup>204</sup> ~~...~~ <sup>205</sup> ~~...~~ <sup>206</sup> ~~...~~ <sup>207</sup> ~~...~~ <sup>208</sup> ~~...~~ <sup>209</sup> ~~...~~ <sup>210</sup> ~~...~~ <sup>211</sup> ~~...~~ <sup>212</sup> ~~...~~ <sup>213</sup> ~~...~~ <sup>214</sup> ~~...~~ <sup>215</sup> ~~...~~ <sup>216</sup> ~~...~~ <sup>217</sup> ~~...~~ <sup>218</sup> ~~...~~ <sup>219</sup> ~~...~~ <sup>220</sup> ~~...~~ <sup>221</sup> ~~...~~ <sup>222</sup> ~~...~~ <sup>223</sup> ~~...~~ <sup>224</sup> ~~...~~ <sup>225</sup> ~~...~~ <sup>226</sup> ~~...~~ <sup>227</sup> ~~...~~ <sup>228</sup> ~~...~~ <sup>229</sup> ~~...~~ <sup>230</sup> ~~...~~ <sup>231</sup> ~~...~~ <sup>232</sup> ~~...~~ <sup>233</sup> ~~...~~ <sup>234</sup> ~~...~~ <sup>235</sup> ~~...~~ <sup>236</sup> ~~...~~ <sup>237</sup> ~~...~~ <sup>238</sup> ~~...~~ <sup>239</sup> ~~...~~ <sup>240</sup> ~~...~~ <sup>241</sup> ~~...~~ <sup>242</sup> ~~...~~ <sup>243</sup> ~~...~~ <sup>244</sup> ~~...~~ <sup>245</sup> ~~...~~ <sup>246</sup> ~~...~~ <sup>247</sup> ~~...~~ <sup>248</sup> ~~...~~ <sup>249</sup> ~~...~~ <sup>250</sup> ~~...~~

**¶** <sup>251</sup> ~~...~~ <sup>252</sup> ~~...~~ <sup>253</sup> ~~...~~ <sup>254</sup> ~~...~~ <sup>255</sup> ~~...~~ <sup>256</sup> ~~...~~ <sup>257</sup> ~~...~~ <sup>258</sup> ~~...~~ <sup>259</sup> ~~...~~ <sup>260</sup> ~~...~~ <sup>261</sup> ~~...~~ <sup>262</sup> ~~...~~ <sup>263</sup> ~~...~~ <sup>264</sup> ~~...~~ <sup>265</sup> ~~...~~ <sup>266</sup> ~~...~~ <sup>267</sup> ~~...~~ <sup>268</sup> ~~...~~ <sup>269</sup> ~~...~~ <sup>270</sup> ~~...~~ <sup>271</sup> ~~...~~ <sup>272</sup> ~~...~~ <sup>273</sup> ~~...~~ <sup>274</sup> ~~...~~ <sup>275</sup> ~~...~~ <sup>276</sup> ~~...~~ <sup>277</sup> ~~...~~ <sup>278</sup> ~~...~~ <sup>279</sup> ~~...~~ <sup>280</sup> ~~...~~ <sup>281</sup> ~~...~~ <sup>282</sup> ~~...~~ <sup>283</sup> ~~...~~ <sup>284</sup> ~~...~~ <sup>285</sup> ~~...~~ <sup>286</sup> ~~...~~ <sup>287</sup> ~~...~~ <sup>288</sup> ~~...~~ <sup>289</sup> ~~...~~ <sup>290</sup> ~~...~~ <sup>291</sup> ~~...~~ <sup>292</sup> ~~...~~ <sup>293</sup> ~~...~~ <sup>294</sup> ~~...~~ <sup>295</sup> ~~...~~ <sup>296</sup> ~~...~~ <sup>297</sup> ~~...~~ <sup>298</sup> ~~...~~ <sup>299</sup> ~~...~~ <sup>300</sup> ~~...~~

3 Vñ dicitur  
Th dicitur











**U** ...

**U** ...

**L** ...

**P** ...

**L** ...

**F** ...

**L** ...

**L** ...

**U** ...

**L** ...

... **L** ...

**L** ...

**L** ...

**L** ...

**L** ...



nlyr nsh. mlym mshs ly qumy lranly mshs  
 pmls. lsdlym mshs nsh dlym mshs dly  
 dy lrs msh. mly dlym msh nsh dly msh. msh  
 msh msh dly. Dly dly msh lrs dly msh dly  
 pmls msh. lrs dly lrs. lranly pmls dly  
 msh dly dly dly msh msh dly. msh msh  
 pmls. dly msh dly msh nsh msh dly msh  
 msh. dly msh msh dly msh dly. Dly nsh  
 msh nsh msh. lrs msh msh msh  
 pmls dly. Dly dly msh dly msh dly dly  
 msh dly lrs dly dly msh lrs dly  
 nsh. dly dly msh dly dly msh msh  
 msh lrs msh dly. Dly dly msh dly lrs  
 pmls msh msh dly. lrs msh lranly pmls  
 dly msh dly msh dly. lrs msh dly dly  
 msh msh dly. dly msh dly dly msh dly  
 dly msh msh dly. lrs msh dly msh dly  
 dly msh dly dly msh msh dly. lrs msh  
 dly dly dly dly msh dly msh dly.

Q-52, 5r



այցր Եւսուցողս արհիւ. քննուի որոցաւ  
 առ նա՝ արդար արքայս. Եւ Եւսպրաստ  
 արքայս արչեաներ ըն թողանոր. Եւ որք  
 պատիւ. արքանի արքանսին Եւսպրաստի  
 զմեմք արչարարս անդ ցոյնի քրտի Եւստմի.  
 Եւ արչարարս անձ. որդի արքայս Եւսպրաստ.  
 Կարմիրս Եւստմի Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
**Դ** Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
**Ե** Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.  
 Եւ Եւստմի արչարարս Եւ Եւսպրաստ արչարարս.

1044

nllm m...   
 m de m...   
 r. n...   
 v...   
 on i...   
 l...   
 u...   
 i...   
 l...   
 y...   
 s...   
 u...   
 u...   
 h...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...   
 u...

¶   
 6

(5th century)

1234567891011121314151617181920  
 2122232425262728293031323334353637383940  
 4142434445464748495051525354555657585960  
 6162636465666768697071727374757677787980  
 81828384858687888990919293949596979899100

Q-52, 41v







იყ. რი ცხელ წყლთჱ ქრის ტრის აჭეთ სამას ათაყსმეჭი: მას  
 ყუ არმსა ქმნილო იყ ვრქმ<sup>ბ</sup> იგი პირაყელი ნოჯას სამას  
 ათაყსმეჭთჱ მამათჱ ლთის მსახურისა მეტისა ჟსტანჭი  
 ნელს მიტრ ღიღისა: ამისთჱ მთ-ვი ყსაყნე აქმი იგი: <sup>სამეთოუ</sup>  
 ყუყთოუ მის არმისა წმიდსთჱ ეპისქპო-ზთჱ <sup>სამეთოუ</sup> და სანატრლომან <sup>მეტყულო</sup>  
 მან ნინ ყუას სს ყუმეჭელსი უბნყის რბულთის იყ დრის: აწინ  
 დელოთჱ ჟცთჱ მიტრ ვითარ ეგქმის მთ-ვლოქმად ანუ უფმ  
 ატრქმად მათ მიტრ<sup>ს</sup> და დრქულთისა სმსლურისა: <sup>სამეთოუ წმიდსთჱ მ-ტრქლოთჱ და მთ უმსლოთჱ</sup>  
 ჯდ: ყუჭმთჱ სუთოთჱ წინაჟ მათი სეღსუთჱ თუ ვითარ  
 აღსანოლო რბინ <sup>სამეთოუ</sup> ვანქმე არს. სანოთჱსა მამათჱ მიე  
 რ მთ-ტრქმსტან და სუცქ წყისთგან მართლო მსღიღიქლოთჱ  
 ასა: სამეთოუ ქრის ტრქმან ლმეს მას სერ-პის<sup>ს</sup> პურჩი ავურ  
 თისა და ასს ყუჭმთ-ნ ვითარცა წყრილარს წმიდასა სმსარ  
 რქმასა შინა სამეთოუ ~~რ-თხნიყუ~~ მახსარქმელ<sup>ონ</sup> ~~წმთა წმთა~~  
~~რ-თხნიყუ~~ ვითარცა ერთითჱნიოთჱ ყმთ-პერ ქა  
 ის ტრქმს სიტყუასა და იტყუას მთ-ილ<sup>ს</sup> პურჩი მადლო-ბლ<sup>ს</sup> აყუ  
 ლთას და ვანტრქმს და თქუ მიიღეთ და ჭმეთი რსეას წყრ  
 ცი რქმთ: <sup>სამეთოუ</sup> პურჩი და წყრქმის რ-თხსთყუ და ასს ყუჭ  
 მთ-ი: <sup>მასამეთოუ</sup> ვანმან ყუჭმთ-ნი ვანტრქმსა

ვ: მთლი მთ  
 4: წმთ  
 5: მთლი  
 6: მთლი  
 7: მთლი  
 8: მთლი  
 9: მთლი  
 10: მთლი  
 11: მთლი  
 12: მთლი

მამათჱ სულოთჱ წმიდთ  
 თჱ ვანს სელოთჱ და სს  
 სულოთჱ და მამათჱ  
 წმთა მამათჱ: მამათჱ  
 სს მელოთჱ-ს წმთ  
 სს მელოთჱ ვანათჱ  
 ვანმან ვანათჱ თქ  
 მამათჱ: წმთ სმს  
 უნქმას ტრქლოთჱ სს  
 ყუმთჱ ვანის და ყუმეჭ  
 მს წმთისა და მათჱ  
 რქმის სილოთჱ-ს შინ  
 მამათჱ ვანს მ-ტრქმ  
 სსლოთჱ და ყმსა ასს და  
 ვანქმე და სულოთჱ  
 სსწმ მუქმთჱ: ვანს  
 იტყუას ქმთჱ ჯმთ-მან  
 ვანს ქმთჱ მამათჱ  
 ასი და მწმ-ს რსეთჱ  
 თჱ: და ჯდ ქმთჱ ვან  
 ჯს ვით: სსლოთჱ  
 წმთ-თჱ ასს წმთ  
 აწინ მ-ტრქმ მამათჱ

მ-ტრქლოთჱ ანუ წმთ-თ: ანუ ვანტრქმთჱ წმთ-თჱ ვანს: ყუჭმთჱ მამათჱ თჱ ანუ იტყუას ვანს: ს-მლოთჱ  
 უმსლოთჱ მამათჱ მამათჱ ანუ და ყმსლოთჱ ანუ უმსლოთჱ: წმთ ჯმთჱ სსწმ მ-ტრქმთჱ ანუ სილოთჱ  
 ნი ანულოთჱ ქმთჱ და წმთ-თჱ მამათჱ მამათჱ მამათჱ: წმთ: ვანს მამათჱ: ვანს მამათჱ  
 ვანს: ანუ ვანს მამათჱ მამათჱ: მამათჱ მამათჱ და მამათჱ მამათჱ:

ამას უფდითო<sup>ს</sup> ზ-მელი ჩემვან იხილოთ და ვერმა: ანთუ  
იგი ზ-მელი ჩემვან ან იხილოთ ან<sup>ს</sup> ვერმა: ამისთვის ვანეწ  
რეს ევლოქსასა შინს მივრიტვან და ვდრე აღსახარებდნე  
სრულისა და უნვლოქო-სა პუარისა შეწირვასათუყურ  
იოს და შარილოთ შექმნილი და ან<sup>ს</sup> ყუქმით და უყმარი  
ღო: სხედ მყოდრისა უხულო და უგუებებო: და ზ-მელი  
ყუქმით<sup>ს</sup> აღსახარებენ მსხუარპლისა შეწირვასა შათ  
წიბოს<sup>ს</sup> ვანეწრიღელუბული ყუქლი იუსყო და ყუ  
ყენებო და ჩემს და ან სრულ<sup>ს</sup> რესთ პუენების მიმორ  
ღლო: სიტყუა რბა<sup>ს</sup> რთი შექმ-სილოთ შამათსა: ზ-მელით  
ამის პირისათს<sup>ს</sup> ზ-მელი ყუქმით<sup>ს</sup> შესწირვას<sup>ს</sup> მარდ  
სიტყუარი აღსწერის და დაგვეყუას: და ჩუენ ნამეცნაერ  
ვებო ნეთ უმადლოქისა აღწერს რთს ან სიმასვლო წერს  
ლოთ სწყან<sup>ს</sup> იქმნის: ზ-მელი აქა დაუაყუებთ: და აწსუ<sup>ს</sup>  
სა პირისა ვიწყო<sup>ს</sup> აღწერს: და სიტყუა ვერმად: შერ მიმით ზ-  
ენათვან წმიდის სიღუქმონათს ვწყოთ შეტყუარობა: დას  
ყულოთ მსხუარპლისა შეწირვას ცხად<sup>ს</sup> საცხანურ ვუყუთ  
ზ-მელი ქრისტიანს შეუთქმან<sup>ს</sup> ვანეწარქნისა: აწად წმიდისა  
შარქმისათს<sup>ს</sup> ვწყოთ: ზ-მელისა რე შარქლო მადიდებელ<sup>ს</sup> შეღ

დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა

1. წიქ ღოიოს ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია  
წყოთ<sup>ს</sup> ვანეწარქნისათუ<sup>ს</sup> მსია

დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა  
დასწავლისათუ შარქლოთ შამათ შამათსა

1 წინა და დასრულდა და დასრულდა სჯულდისა რამელი რწმ  
 2 ანა ვაჟმცენ: აწ უყუყუ ჯერ ვკინ და ვრქმუელს აწ  
 3 ღოსა ერთბმად ვამო-რჩეოდ ჯერ მათი და მივლო  
 4 ინებდა თქმნ და მავლოს თხა და პარნბას სსჟურე  
 5 ღოს რაჟბო წარმო-უყუ ვკლოინებთან იუდა და  
 6 შილს და მათცა სიტყუთ ვითხანს ესეჟუ: რამეთუ ჯერ  
 7 უჩნდა სულსა წმიდოსა და რწმცა სთს უმეცესი ტუ  
 8 რთი და ვადრთი თქმნს და ვანს რამელონი ესე სსწრთ  
 9 ანან ვან-მორქმად თქმნ და ხაჟრამპვისა ვან სისლო  
 10 ისა და რამ-შთვანისა და სიბვისა: რამელით ვან და რამ  
 11 ანანისთი თაგნი თქმნი ჟთიღოსა იქმო-ღეთ და ც  
 12 ცხლოებთი იჟურთით: ევრეთჟუ სხვისა აღვიღოსა წერ  
 13 იღოს: სწო-მორ-მუხეთ წარმართთთ თს რაჟბი  
 14 ვსწერეთ და უქრამანეთ: სთს ანანს ევვივითანსა  
 15 იმარსვიღეთ ივინი ანამელ სთს ევრამლონენ ვერბთ  
 16 ვლოლოისვან და სისლოისა და რამ-შთვანისა და სიბავს:  
 17 აწ რა სიტყუთ აქსთი ურ-ცხსთ მათ ანა ს მან  
 18 ესი მო-იღო-ნ: რამეთუ ვრქმუელს წმიდათ მორც  
 19 იქლოთს ხეცეს და მმანი ურ-ღონიჟუ შევანეს

სწო-  
 მორ-  
 მუხეთ:

135

1530  
ბ.ბ.ბ.ბ.



ბუღალტერი: სწავლა არის სწავლა, ხარ ვერაფერი გ'გვინახება სწავლა  
ქმედება, გ'ქმედება რაგონი მდებარე, გ'სწავლა გ'გვინახება,  
გ'სწავლა გ'გვინახება ვარაფერი მათ:

ა: სწავლა გ'გვინახება ვერაფერი მდებარე რას გ'გვინახება  
სწავლა არის სწავლა, გ'სწავლა, სწავლა სწავლა  
რას გ'გვინახება მისი მდებარე, გ'სწავლა რაგონი  
გ'გვინახება სწავლა სწავლა:

ბ: ვუბრუნებ სწავლა გ'გვინახება ვერაფერი სწავლა  
სწავლა გ'გვინახება, სწავლა მდებარე მდებარე  
სწავლა გ'გვინახება, გ'სწავლა ვერაფერი  
სწავლა სწავლა, გ'სწავლა ვერაფერი სწავლა მისი  
სწავლა: ის არის

ბ: მისი გ'სწავლა, სწავლა სწავლა გ'გვინახება გ'სწავლა  
გ'სწავლა სწავლა, გ'სწავლა სწავლა, გ'სწავლა  
სწავლა სწავლა, გ'სწავლა სწავლა  
სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა  
სწავლა სწავლა:

ბ: ვუბრუნებ სწავლა, სწავლა სწავლა სწავლა = გ'სწავლა =  
სწავლა გ'სწავლა, სწავლა სწავლა სწავლა  
სწავლა, სწავლა სწავლა სწავლა სწავლა მისი, სწავლა  
სწავლა სწავლა გ'სწავლა:

ბ: ვუბრუნებ სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა  
სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა  
სწავლა სწავლა, სწავლა სწავლა სწავლა სწავლა, სწავლა  
სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა  
სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა სწავლა:

ახლს ვერც უნდა მისცეს, ანუ, უფროსად ვთქვათ  
სადაც უნდა, ვინც უნდა, რომელიც უნდა  
მე უნდა მის: რომელიც უნდა, ვინც უნდა  
ახლს დასრულდება იგი, ხუროს სურათი დასრულდება  
მა ბავშვი, ანუ მისი რომელიც უნდა, ვინც უნდა  
მე უნდა მის: რომელიც უნდა, ვინც უნდა

32: ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
რათა რომელიც ახლს რომელიც, რომელიც უნდა, ვინც უნდა  
სურათი, რომელიც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
სურათი, რომელიც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
მის: ვინც ახლს უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა,  
ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა:

33: ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა:

34: ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
მისი დასრულდება, რომელიც უნდა, ვინც უნდა  
ვინც უნდა, რომელიც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
მისი, რომელიც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
მისი, რომელიც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა:

35: რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა  
მისი, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა  
რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა  
რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა  
რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა,  
რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა:

36: ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა, ვინც უნდა  
მისი, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა  
რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა  
რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა,  
რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა, რომელიც უნდა:


ყველნივეს სჯობს, მუხრანისკენ, რაჭისკენ, მდინარის, ვე  
აგრა ვლერი, მუხრანისკენ, რაჭისკენ, მდინარის:

38: ყველნივეს სჯობს, მუხრანისკენ, რაჭისკენ, მდინარის, ვე  
აგრა ვლერი, მუხრანისკენ, რაჭისკენ, მდინარის:

39: ვ აგრა (ქე რქე სეკუნდო) მუხრანისკენ, რაჭისკენ, მდინარის, ვე  
აგრა ვლერი, მუხრანისკენ, რაჭისკენ, მდინარის:

ქ. მდინარის მდინარისკენ, მდინარისკენ

(მდინარისკენ, მდინარისკენ):



ქ. მდინარის მდინარისკენ, მდინარისკენ  
მდინარისკენ, მდინარისკენ

მდინარისკენ

მდინარის მდინარისკენ, მდინარისკენ, მდინარისკენ, მდინარისკენ  
მდინარისკენ, მდინარისკენ, მდინარისკენ, მდინარისკენ

## გამოყენებული ლიტერატურა:

აბრევიატურები:

გიესმ – სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

სეა – საქართველოს ეროვნული არქივი.

ხეც – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სჯიემ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა.

ქუთ – ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

## სამეცნიერო ლიტერატურა:

1. აბულაძე 1973 – აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ, 1973.

2. ავალიანი 1987 – ავალიანი სერგი, ანტონ პირველი: ცხოვრება, მოღვაწეობა, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, თბ. 1987.

3. ალექსიძე 1975 – ალექსიძე ალექსანდრე, ქართულ ენაზე მოღწეული ანტილათინური პოლემიკური თხზულება (ევესტრატი ნიკიელის ტრაქტატი), თსუ შრომები, 162, თბ. 1975, გვ. 11-120.

4. ანტონ I 1892 – ანტონ I კათალიკოსი, მზა-მეტყველება, ქმნილი ანტონ I საქართველოს კათალიკოზისგან მღ. პ. კარბელოვის რედაქტორობით, [წინასიტყვ. ავტ. ალექსანდრე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარნი საქართველოსა]. ტფ. 1892.

5. ანტონ I 1980 – ანტონ ბაგრატიონი, ნყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ. 1980.

6. ბატონიშვილი იოანე 1948 – ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა და ც. კიკვიძემ, ტ. 2, თბ. 1991.

7. ორბელიშვილი 2013 – ბესარიონ კათალიკოსი (ბარათაშვილი-ორბელიშვილი), „გრდემლი“, ტექსტი ხელნაწერ S-3269-ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ზ. მამულაშვილმა, თბ. 2013.

8. გაბიძაშვილი 2004 – გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 4: ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, (ბიბლიოგრაფია), თბ. 2009.

9. გაბიძაშვილი 2011 – გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლო-



ბის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5: ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია (ბიბლიოგრაფია), თბ. 2011.

10. გაბიძაშვილი 2012 – გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა (ბიბლიოგრაფია), 6, თბ. 2012.

11. გაბიძაშვილი 2015 – გაბიძაშვილი ენრიკო, ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია, თბ. 2015.

12. თამარაშვილი 1902 – თამარაშვილი მიხეილ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902.

13. კარბელაშვილი 1900 – კარბელაშვილი პოლიევქტოს, იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, შედგენილი პ. კარბელაშვილის მიერ, ტფ. 1900.

14. კეკელიძე 1960 – კეკელიძე კორნელი, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ. 1960.

15. მამისთვალიშვილი 1981 – მამისთვალიშვილი ელდარ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ. 1981.

16. მამისთვალიშვილი 2001 – მამისთვალიშვილი ელდარ, საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების ცდები და ქართული დიპლომატია XVII-XVIII საუკუნეებში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 8, თბ. 2001, გვ. 33-64.

17. მამისთვალიშვილი 2016 – მამისთვალიშვილი ელდარ, ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, კადმოსი, 8, თბ. 2016, გვ. 250-268.

18. მამულაშვილი 2013 – მამულაშვილი ზაზა, „გრდემლი“, ტექსტი შ-3269-ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო ზაზა მამულაშვილმა, თბ. 2013.

19. მეგენიშვილი 2019 – მეგენიშვილი ნინო, წყაროებში დაცული ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის შესახებ, ელ. ჟურნალი „სპეკალი“, 12, 2019, ელ. ვერსია: <http://spekali.tsu.ge/index.php/ge/>.

20. მეგენიშვილი 2019 – გარეჯული ხელნაწერი მემკვიდრეობა, გულანი, 22, 2019, გვ. 94-123

21. მეგენიშვილი 2019 – ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა შუა საუკუნეების ქართულ მწერობაში, ქრისტიანულ-არქეოგრაფიული ძიებანი, XI, 2019, გვ. 427-476

22. მეგენიშვილი 2019-2020 – მეგენიშვილი ნინო, ქართულ ხელნაწერებში დაცული ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, 28(13), 2019, გვ. 151-177, ელ.ვერსია: <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/>.

23. მინიატი 2009 – მინიატი ილია, ლოდი საცდურისა, მთარგმნელ-შემდგენელი ნინო გულიაშვილი, თბ. 2009.

24. მჭედლიძე 2009 – მჭედლიძე მაგდა, ერთი ბერძნული წყაროს ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართველთა მონაწილეობის შესახებ, „დიდაჭარობა“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ხულო – დიდაჭარა, 2009 წლის მაისი, მასალები, 2009.

25. მჭედლიძე 2011 – მჭედლიძე მაგდა, ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, ბიზანტიოლოგია საქართველოში, 3, თბ. 2011, გვ. 433-488

26. ნათაძე 2007 – ნათაძე ნოდარ, ინდივიდის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ანთროპოლოგიური და ეთიკური საფუძვლები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3, თბ. 2007, გვ. 46-62.

27. ნათაძე 2007 – ნათაძე ნოდარ, ინდივიდის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ანთროპოლოგიური და ეთიკური საფუძვლები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 4, თბ. 2007, გვ. 25-36.

28. ნათაძე 2007 – ნათაძე ნოდარ, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა და თანამედროვე ფილოსოფია, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9, თბ. 2007, გვ. 17-50.

29. ოგიცკი 2000 – ოგიცკი დიმიტრი, კოზლოვი მაქსიმ, რომაული კათოლიციზმი, თარგმნეს გ. კოპლატაძემ და გრ. რუხაძემ, თბ. 2000.

30. ომიაძე 2007 – ომიაძე სალომე, ეროვნულ და კომუნიკაციურ ცნობიერებათა ურთიერთმიმარებისთვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 8, თბ. 2007, გვ. 46-51.

31. ომიაძე 2007 – ომიაძე სალომე, სტერეოტიპი და ეტალონი ეროვნულ კულტურაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 9, თბ. 2007, გვ. 55-61.

32. ორბელიანი 1966 – ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, I, თბ. 1966.

33. პაპავა 2012 – პაპავა ვლადიმერ, „ცენტრალური კავკასიის“ გეოპოლიტიკური როლის შესახებ, კრებული „კავკასია“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ. 2012, გვ. 557-568.

34. პაპაშვილი 1992 – პაპაშვილი მურმან, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, თბ. 1992.

35. პაპაშვილი 1995 – პაპაშვილი მურმან, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ. 1995.

36. პოგოდინი 2016 – პოგოდინი ამბროსი (პროტოპრესვიტერი), წმინდა მარკოზ ეფესელი და ფლორენციის უნია, თარგმნა ნ. ბელთაძემ, თბ. 2016.

37. რაფავა 2014 – რაფავა მაია, წმ. არსენ იყალთოელის თარგმანი ევსტრავტი ნიკიელის ანტიკათოლიკური ნაშრომისა: „მოსაჯსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“ (გამოკვლევა და ტექსტი), თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, V, თბ. 2014, გვ.

38. **ჟორდანია 1903** – ჟორდანია თედო, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი 1903.

39. **ჟორდანია 1893** – ჟორდანია თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ქრონოლოგიურად დალაგებული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. 1, თბ. 1893.

40. **ჟორდანია 1897** – ჟორდანია თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ქრონოლოგიურად დალაგებული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. 2, თბ. 1897.

41. **ჟორდანია 1967** – ჟორდანია თედო, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა ქრონოლოგიურად დალაგებული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. 3, 1967.

42. **სირაძე 1975** – სირაძე რევაზ, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ. 1975.

43. **სირაძე 1987** – სირაძე რევაზ, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ. 1987.

44. **სირაძე 1992** – სირაძე რევაზ, ქრისტიანული კულტურა და მწერლობა, თბ. 1992.

45. **სულავა 2012** – სულავა ნესტან, სოფელი და ზესთასოფელი ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კრებული „მუშაკი სულიერისა ვენახისა“, თბ. 2012, გვ. 94-114.

46. **სულავა 2014** – სულავა ნესტან, ქართული ისტორიული საბუთების სახისმეტყველება, აკადემიკოს მ. ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ. 2014, გვ. 238-246.

47. **სხირტლაძე 2008** – სხირტლაძე ზაზა, გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს. I, თბ. 2008.

48. **სხირტლაძე 2011** – სხირტლაძე ზაზა, გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს. II, თბ. 2011.

49. **ტაბაღუა 1982** – ტაბაღუა ილია, მასალები XVIII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ. 1982.

50. **უშიკიშვილი 2016** – უშიკიშვილი იაკობ, სადისერტაციო ნაშრომი, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება და საქართველო, თბ. 2016.

51. **ქავთარია 1959** – ქავთარია მიხეილ, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ. 1959, გვ. 78-113

52. **ქავთარია 1965** – ქავთარია მიხეილ, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ. 1965.

53. **ქავთარია 1977** – ქავთარია მიხეილ, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ. 1977.

54. ძონენიძე 1977 – ლ. ძონენიძე, კათოლიკური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, კრებული ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII სს), თბ. 1977, გვ. 70-87.

55. Гергей 1996 – Гергей Е. История папства: (Пер. с венгр.) – М. 1996.

56. Лозинский 1961 – Лозинский С. Г. История папства, М. 1961.

57.

58. Минятей 1999 – Минятей Еп. Илия, Камень преткновения или изложение начала и причин отпадения церкви западной от восточной и предметов несогласия между ними, М. 1999. Online: <http://pagez.ru/olb/014.php>.

59. Сиропул 2010 – Сиропул Сильвестр, Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (1438-1439). В 12 частях. – С-Пб. Издательство Олега Абышко, Университетская книга, 2010.

60. Хаханов 1901 – Очерки по истории грузинской словесности, литература XIII-XVIII вв., М. 1901

## ხელნაწერთა აღწერილობები:

1. გიესმ 2002 – სერგი მაკალათიას გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგვაძემ და ც. კახაბრიშვილმა თბ. 2002.

2. ქუთ 1964 – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებულია ე. ნიკოლაძის მიერ, II, თბ. 1964.

3. ხეც 1986 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, 14, თბ. 1986.

4. ხეც 1954 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), შეადგინა ქრ. შარაშიძემ, IV, თბ. 1954.

5. ხეც 1955 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, V, თბ. 1955.

6. ხეც 1946 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, I, თბ. 1946.

7. ხეც 1951 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებულია ლ. ქუთათელაძის მიერ, II, თბ. 1951.

8. ხეც 1948 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებულია ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, III, თბ. 1948.

9. ხეც 1950 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელ-

ნანერები (H კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებულია ელ. მეტრეველის მიერ, IV, თბ. 1950.

10. ხეც 1949 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებულია ლ. მეფარიშვილის მიერ, V, თბ. 1949.

11. ხეც 1953 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, VI, თბ. 1953.

12. ხეც 1959 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საოგადოების (S კოლექცია), შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია თ. ბრეგვაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, I, თბ. 1959.

13. ხეც 1961 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საოგადოების (S კოლექცია), შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია ა. ბაქრაძის, თ. ბრეგვაძის, ელ. მეტრეველისა და მ. შანიძის მიერ, II, თბ. 1961.

14. ხეც 1963 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საოგადოების (S კოლექცია), შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია თ. ენუქიძის, ელ. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, III, თბ. 1963.

15. ხეც 1965 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საოგადოების (S კოლექცია), შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია თ. ბრეგვაძის, ლ. კიკნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, მ. შანიძის, ქრ. შარაშიძისა და ც. ჭანკიევის მიერ, IV, თბ. 1965.

16. ხეც 1967 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საოგადოების (S კოლექცია), შეადგენეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგვაძემ, თ. ენუქიძემ,

ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, V, თბ. 1967.

17. ხეც 1969 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საოცადობის (შ კოლექცია), შეადგენეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგვაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, VI, თბ. 1969.

18. ხეც 1953 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი (Q) კოლექცია, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, I, თბ. 1953.

19. ხეც 1958 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი (Q) კოლექცია, შედგენილი და დასაბეჭდად მოამზადებულია თ. ბრეგვაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, II, თბ. 1958.

20. ხეც 2015 – საქართველოს რეგიონში დაცული ქართული ხელნაწერები, კატალოგი, შემდგენლები: გრ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე, თბ. 2015.

## გამოყენებული ხელნაწერები:

1. A-119 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (A კოლექცია).
2. A-156 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (A კოლექცია).
3. A-298 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (A კოლექცია).
4. A-1395 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (A კოლექცია).
5. A-1443 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (A კოლექცია).
6. A-1591 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (A კოლექცია).
7. A-1791 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (A კოლექცია).
8. H-1000 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (H კოლექცია).
9. S-286 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შ კოლექცია).
10. S-1596 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შ კოლექცია).
11. S-3269 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შ კოლექცია).
12. Q-52 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (Q კოლექცია).
13. Q-92 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (Q კოლექცია).
14. Q-1391 – კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (Q კოლექცია).
15. მიხეილ თამარაშვილის პირადი საარქივო კოლექცია №101-კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



## საკიებლები

### პირთა

აბელ მართალი 112, 267  
აბერკი იერაპოლელი 69, 237  
აბრაამი 113, 340  
ადამი 37, 112, 120, 125, 178, 213, 249, 268, 273, 312  
ათანასი დიდი 64, 65, 95, 233, 234, 256, 333, 366, 370  
აზიმატი 345, 346, 347, 349, 350, 351, 352, 353, 354  
ალექსეი პოგოდინი 7, 20  
ალექსანდრე ალექსანდრიელი 64, 233  
ალექსანდრე მჭედელი 214  
ამბროსი მედიოლანელი 237, 366  
ანასტასი სინელი 366  
ანდრია მოციქული 44, 67, 72, 73, 76, 77, 82, 136, 196, 197, 236, 240, 241, 243, 279, 326, 327, 363  
ანდრია ფორელი 362  
ანდრიანე 337, 339,  
ანნა დედა სამოელისი 138, 281  
მამა ანტონი 355, 369  
მამა ანტონი არქიმანდრიტი 392  
ანტონ კათალიკოსი 10, 23  
ანტონ ირაკლიელი 359, 369, 371  
აპოლინარი 39, 53, 162, 214, 295, 337, 339, 340, 364  
არიოზი 39, 40, 50, 214, 215, 222, 364  
არსენ ვაჩეს ძე 7, 21  
არჩილ მეფე 12  
ალვისტინე 370  
ბალთაზარი 135, 278  
ბასილი ამასიელი 62, 67, 231  
ბასილი დიდი, კესარიისა მთავარეფისკოპოსი 11, 24, 46, 67, 69, 93, 149, 160, 172, 174, 219, 289, 303, 304, 307, 332, 348, 349, 365, 369  
ბართლომე 134, 178, 194, 195, 238, 277, 324, 325  
ბარნაბა 195, 312, 324, 325  
ბეჟანი, ბესარიონ ორბელიშვილის მამა 10, 23  
ბესარიონ აფხაზთა აეპისკოპოსი 9, 18, 22, 29, 30, 381, 383  
ბესარიონ ორბელიშვილი 7, 9, 10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 384, 387, 388

ბესარიონ, ნიკეას ეპისკოპოსი 355, 358, 360, 361, 370, 376, 377, 378,  
ბიძინა ჩოლოყაშვილი 11  
გაბრიელ ანგელოზი 302  
ნმიდა გიორგი 65, 121, 253, 274  
გიორგი 355, 361  
გიორგი მლდელი 92  
გიორგი მთაწმიდელი 11, 17, 28, 64, 233, 234  
გიორგიოს ნიკიელი 369, 370, 371  
გიორგი სხლიაროსი 355  
გენადიოსი 380, 392  
გრიგოლ აკრაკანტელი 17, 64, 233  
გრიგოლ ანტიოქელი 358  
გრიგოლი ანძიანძორელი 67, 235  
გრიგოლ ნოსელი 67, 235, 237  
გრიგოლ პართელი 62, 69, 126, 231  
გრიგოლ დიალოლოსი, რომის პაპი 11, 17, 28, 69, 92, 98, 99, 182, 183, 237, 254,  
258, 259, 314, 338  
გრიგოლი ღვთისმეტყველი 17, 46, 57, 62, 69, 109, 156, 219, 222, 232, 237, 265,  
288, 332, 364, 365, 369  
დავით აღმაშენებელი 179  
დავიდ პრინციპა 356  
დავით მეფსალმუნე 56, 80, 82, 86, 104, 109, 117, 125, 134, 136, 147, 149, 160,  
177, 209, 226, 245, 248, 263, 272, 277, 278, 279, 306, 307, 308, 310, 331  
დამიანე სტავროპოლელი 358  
დანიელ წინასწარმეტყველი 86, 104, 135, 142, 149, 176, 245, 263, 278, 286, 308,  
310  
დიმიტრი, იოანე პალეოლოლოსის ძმა 355, 358  
დიოდოროს ტარსუსელი 38, 212  
დიონისე არეოპაგელი 93, 226, 331  
დიონოსიოსი, სარდიელი 358  
დიოსკორე 38, 39, 66, 213, 235  
დომენტი კათალიკოსი 10, 11, 23, 24  
დოსითეოს, ონომეასიის ეპისკოპოსი 358  
დოროთეოს ამასიელი 358, 377  
დოროთეოსი 377  
ეგნატი 377  
ეგნატი თარნელი 358  
ევგენი IV, რომის პაპი 8, 21  
ევგენიოს, გადამწერი 359, 367, 376

ევგენიოს ეპისკოპოსი 8, 21  
ევგენიოს, რომის პაპა 355, 379  
ევსტათი 62, 231  
ევსტათი ნიკიელი 6, 7, 18, 20, 29  
ევტუქი 38, 213  
ეზეკიელი 118, 147, 149, 271, 307, 308  
ელია 80, 110, 149, 176, 265, 308, 310, 331, 332  
ელიზბარ ერისთავი 11  
ენუქი 110, 265, 266  
ეპიფანე კვიპრელი 67, 69, 235, 237, 365, 370  
ესაია 14, 33, 84, 85, 86, 88, 101, 102, 103, 136, 141, 147, 149, 167, 187, 205, 207,  
209, 215, 243, 261, 263, 283, 296, 306, 308, 331, 385, 388  
ვალენტინე 338  
ვალესან, კრონელი მეფე 373  
ვალსამონ ხარტოფილაქსი 361  
ვასილი 340  
ვასილი მაკედონელი 338  
ვახტანგ VI 10, 11, 12, 23, 24  
ვენედიკტე პაპა 338, 340, 355  
ვონიფანტი 340  
თეკლე პირველმონამე 121  
თეკლე ფალიკონილა 92, 253, 274  
თეოფანე 337, 338  
თეოდორა 39, 214, 349  
თეოდორე 340, 344  
თეოდორე ანტიოქიელი 337  
თრდატ, სომეხთა მეფე 126  
თომა მოციქული 72, 74, 76, 79, 89, 90, 134, 195, 242, 246, 277, 325, 337  
თომა დიდასკანელი 373  
თომა იერუსალიმის პატრიარქი 337  
თომა, პრინციპა 356  
იაკობ მოციქული 58, 70, 74, 75, 78, 80, 82, 170, 172, 194, 195, 228, 229, 237, 238,  
241, 276, 277, 280, 301, 303, 324, 325  
იაკობ ალფესი 134, 277  
იაკობ, ძმა უფლისა 68, 69, 70, 89, 90, 134, 137, 172, 177, 194, 195, 237, 238,  
311, 325  
იაკობი 35, 111, 117, 131, 133, 170, 201, 203, 266, 271, 277, 301  
იასე ბაგრატიონი 11, 12, 24  
იერემია წინასწარმეტყველი 88, 99, 135, 142, 286, 331

იერენიმოს 369  
 ივლიანე 204  
 ივლიანე ანგელოზელი 359, 361  
 ილარიონ 365, 369  
 იოასაფ ორდოვლახელი 358  
 იობ 35, 73, 117, 159, 201, 211, 240, 271, 293, 337  
 იობი, გადამწერი 11, 23, 24  
 იობენალ ი რუსალიმისა 62, 231  
 იოანე 338, 340, 344  
 იოანე ანგილიანე 338, 377  
 იოანე ბატონიშვილი 10, 23  
 იოანე, გუთელი ეპისკოპოსი 65, 234  
 იოანე დამასკელი 46, 93, 117, 119, 121, 146, 219, 254, 270, 272, 274, 307  
 იოანე ზედაზნელი 11  
 იოანე, კარდინალი 362  
 იოანე, კოსტანტინეპოლის პატრიარქი 363, 370  
 იოანე მოციქული 16, 36, 47, 50, 65, 68, 70, 71, 72, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 82, 87, 89, 102, 108, 112, 124, 125, 134, 139, 158, 163, 172, 184, 194, 195, 200, 206, 212, 229, 234, 237, 238, 239, 241, 242, 243, 248, 265, 267, 277, 282, 292, 295, 311, 316, 325  
 იოანე ნათლისმცემელი 78, 123, 124, 125, 127, 130, 147, 247, 248, 249, 305, 307, 324, 332, 425, 386  
 იოანე ოქროპირი 46, 47, 50, 57, 81, 82, 93, 105, 110, 172, 174, 177, 204, 219, 222, 226, 227, 243, 246, 254, 261, 267, 303, 305, 332, 345, 359, 365  
 იოანე პალეოლოგოსი 8, 21, 354, 359, 376, 377, 380, 391, 392  
 იორდანე, სვენჩის ეპისკოპოსი 359  
 იოსებ, კოსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი 344, 355, 373  
 ირინე, კოსტანტინე V-ს დედა 8, 22, 336, 363, 391  
 ირონ ფილოსოფოსი 62, 232,  
 ისააკი 111  
 ისიდორე, კიევის ეპისკოპოსი 358, 361  
 იუდა იაკობისი 110, 115, 135, 147, 194, 195, 266, 269, 277, 306, 324, 325, 339  
 იუდა გამცემელი 68, 72, 73, 74, 168, 169, 235, 236, 240, 300, 314, 334, 335, 339, 352  
 კაიაფა 181, 314  
 კარბელაშვილი პოლიევქტოს 10, 12, 23, 24  
 კეკელიძე კორნელი 12, 15, 24, 26  
 კირილე ალექსანდრიელი 332, 362, 365, 369, 370  
 კლემენტოზ, რომთა პაპი 69, 126, 173, 181, 214, 237, 386  
 კვილისტინე 69

კვინოპი 36  
კლიმი 172, 173, 303, 304, 386  
კლიმენტი 126, 237, 249  
კორნილი მართალი 136, 178, 279, 312  
კოსტანტინე I 40, 61, 62, 126, 155, 214, 215, 231, 291, 342, 363, 380, 392  
კოსტანტინე V 8, 22, 336, 363, 391  
კოსტანტინე XI, ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი 341, 380, 392  
კოსტანტინე II, კახეთის მეფე 10  
ლამანკოვი, ბრეტანიას მთავარი 342  
ლეონი 369  
ლეონ პაპა 69, 238, 336, 337, 338, 340  
ლეონტი 69, 237  
ლუარსაბ II ქართლის მეფე 11  
ლუკა მოციქული 68, 71, 79, 82, 88, 102, 103, 108, 132, 137, 139, 141, 142, 147, 158, 237, 245, 246, 275, 276, 280, 282, 283, 285, 292, 312, 384  
ლუკიოზ კვირინელი 178, 312  
მათე მოციქული 17, 60, 67, 71, 75, 76, 77, 78, 79, 82, 86, 88, 97, 99, 100, 106, 108, 112, 114, 115, 127, 132, 133, 134, 136, 139, 140, 143, 148, 155, 158, 162, 163, 168, 176, 177, 200, 229, 230, 245, 248, 268, 269, 276, 277, 281, 282, 284, 292, 295, 299, 307, 310, 312  
მაკარი დიდი 92, 121, 253, 254, 274  
მაკარიოს ნიკომდიელი 358, 377  
მაკედონიოს 37, 66, 212, 235, 336, 338, 363  
მამია გურიელი 10, 23  
მამისთვალაშვილი ელდერ 6, 20  
მანაინ რომაელი 178, 312  
მარია, დედოფალი, იოანე VIII პალეოლოლოსის მეუღლე 379  
მარიამი, ბესარიონ ორბელიშვილის დედა 10, 23  
მარიამ მაგდალინელი 72, 134  
მარიამ ღმრთისმშობელი 134, 199, 302, 303, 333, 343, 347, 348, 390  
მარკოზ მოციქული 58, 68, 79, 82, 139, 158, 159, 162, 163, 168, 172, 173, 195, 205, 228, 237, 282, 292, 294, 295, 299, 303, 325, 356  
მარკოზი, ეფესოს ეპისკოპოსი 355, 356, 360, 361, 362, 370, 372, 379  
მარკოზ ფერარელი 357, 358, 368  
მარტიანე 338  
მაქსიმიანე 204  
მაქსიმე აღმსარებელი 17, 63, 96, 232, 256  
მიქია წინასწარმეტყველი 88, 187  
მიტროფანე 377

მიტროფანე, პატრიარქი კოსტანტინოპოლისა 62, 231  
მიხეილ თამარაშვილი 5, 9, 19, 22, 30, 380  
მელქისედეკ 158, 201, 292, 332  
მურად II, ოსმალეთის სულთანი 8, 21, 354, 355  
მოსე 35, 43, 44, 49, 67, 80, 84, 86, 102, 124, 125, 147, 149, 156, 176, 183, 184,  
189, 198, 199, 201, 211, 217, 221, 235, 243, 245, 248, 262, 288, 306, 308,  
310, 315, 316, 320, 327, 331, 342, 382  
ნაბუქოდონოსორი 135, 205  
ნავატ ფილოსოფოსი 37, 191, 212, 321  
ნემან ასური 125, 249  
ნერონ 36, 204  
ნიკოდომოს 123, 124, 125, 127, 247, 248, 249  
ნიკოლა პატრიარქი 338  
ნიკოლოზ საკვირველთმოქმედი 62, 67, 69, 150, 182, 231, 235, 237, 309, 313, 314,  
332  
ნიკოლოზ პაპა 379  
ნინო. ქართველთა განმანათლებელი 131, 154, 155, 252, 291  
ნისტორი 38, 39, 66, 212, 213, 235, 263  
ნოე 35, 116, 117, 118, 121, 189, 196, 211, 270, 271, 272, 274, 320, 326, 332, 357  
ონორე, რომის პაპი 66, 235  
ორიგენე 37, 91, 94, 212, 252, 253, 255, 336, 338  
პავლე მოციქული 32, 36, 47, 62, 63, 66, 68, 70, 74, 75, 79, 81, 82, 84, 85, 86, 88,  
89, 99, 100, 104, 109, 112, 124, 125, 126, 129, 130, 135, 136, 137, 138,  
141, 142, 152, 156, 169, 179, 184, 191, 192, 194, 195, 202, 203, 205, 212,  
229, 232, 237, 238, 243, 244, 245, 248, 252, 253, 256, 259, 260, 263, 265,  
279, 280, 281, 286, 289, 299, 300, 313, 321, 322, 324, 325, 331, 334, 359,  
361, 375  
პავლე სამოსატელი 348  
პანალიოს 344, 345, 346, 349, 350, 351, 352, 353,  
პანკრატ მოციქული 126  
პარათსიგელოს 377  
პარტენ ლამფსაკელი 67, 69, 237  
პახუმოსი, ალექსანდრიელი პოტირიტი 371  
პეტრე მოციქული 13, 17, 28, 36, 53, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 70, 71,  
72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 86, 87, 89, 90, 98, 100,  
116, 117, 118, 121, 126, 134, 136, 137, 144, 173, 174, 177, 178, 181, 184,  
194, 195, 203, 205, 207, 212, 224, 229, 230, 232, 233, 234, 235, 236, 237,  
238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 249, 258, 259, 260, 269, 271,  
272, 274, 275, 277, 279, 280, 284, 304, 311, 312, 314, 324, 325, 352, 359,

361, 373, 375, 381, 382, 383, 384, 385, 386, 388

პეტრე ლულნივი 341, 348

პიროს 66, 235

პლაკედია ჯვარწმიდელი 359

პლატონ კერპთმსახური 91, 253

რომანოზ 26, 340, 391

როსტომ ერისთავი 383

სამოელი 136, 176, 279, 310

სევერიოს 336

სერგე 66, 338, 340, 341, 344

სილიბისტრო 62, 69, 126, 127, 231, 237

სიმონ, ბესარიონ ორბელიშვილის ძმა 10, 23

სიმონ კანანელი 195, 325

სიმონ 36, 37, 71, 73, 76, 207, 212, 239, 240, 241, 262, 312 384, 388

სიმონ მოშურნე 134, 277

სოლომონ 134, 147, 160, 206, 278, 307, 353

სპირიდონ ტრიმფუნტელი საკვრველთმოქმედი 62, 67, 69, 237

სტაქოს მოციქული 68, 237

სტეფანე 89, 90, 149, 308, 338, 340

სტეფანე წინამძღვარი 383

სოფრონიოს ახსელოსამელი 370

სულხან-საბა ორბელიანი 7, 12, 14, 15, 20, 24, 25, 26, 27

ტარასი არქიმანდრიტი 21, 392

ტიხონ ამათუნატელი 69, 237

ტრაიანე 92, 121, 204, 254, 274

ფარნაოზ ანგელოზელი 361

ფილიპე 74, 79, 126, 134, 203, 249, 277

ფორმანოს პოლიმონელი 359

ფოტი პატრიარქი 338

ფორმოსი პაპა 338, 339, 340, 343

ქავთარია მიხეილ 12, 15

ქათთუპოლოს სკეოფილასელი 361

ქრისტეფორე 341

ყანდალუგუისი 380

ხარიტონი 11, 24

ხორიტოურე 374

შილა 139, 140, 196, 197, 282, 288, 326, 327

ჰეროდე 38, 80, 90, 180, 206, 214, 314

## ტოპონიმთა

ალამანი 343, 359, 360  
ალექსანდრია 197, 327, 379  
ანტიოქია 66, 196, 235, 326  
ასურეთი 196, 326  
ბეთლემი 90, 149, 205, 309  
ბელლარი 356  
ბიზანტია 7, 9, 21, 333, 336  
გალილია 77, 81, 243  
დავით-გარეჯი 10, 11, 16, 20, 23, 24, 25, 26, 27, 388  
ედესი 349  
ევროპა 6, 13, 336, 340  
ეფესო 126, 131, 250, 356, 364, 373, 375  
ვენედიკია 355, 356, 357, 358, 360, 373, 375, 376, 379  
თესალონიკი 355  
იენუა 373  
იერუსალიმი 56, 58, 62, 64, 65, 70, 72, 74, 81, 83, 90, 103, 104, 105, 137, 161,  
174, 179, 189, 207, 209, 226, 231, 233, 234, 236, 237, 239, 240, 263, 264,  
313, 321, 336, 338, 339, 350, 376, 378, 386, 389, 408  
იკონია 255, 408  
ილირეკი 81  
ინდოეთი 197, 327  
ირაკლია 373, 379  
ისრაელი 79, 82, 86, 90, 103, 104, 120, 121, 126, 127, 178, 207, 244, 245, 249, 250,  
251, 263, 264, 264, 273, 274, 280, 285, 294, 312, 332, 335, 343, 344  
იტალია 42, 189, 321, 342  
კიევი 359, 378  
კილიკია 196, 326  
კოსტანტინოპოლი 6, 8, 9, 20, 22, 23, 40, 42, 60, 63, 64, 65, 66, 68, 69, 70, 133,  
214, 216, 217, 230, 233, 234, 235, 237, 239, 254, 337, 338, 339, 341, 342,  
345, 355, 356, 358, 360, 367, 371, 372, 374, 376, 379, 380, 381, 392, 393  
ლაოდია 155, 159, 200, 290  
მალთა 102, 262  
მელიტონი 102, 262  
მიდეთი 137, 280  
მონეუმასია 358, 379  
მცხეთა 11, 67, 156, 236, 293  
ნაზარეთი 205  
ნიკია 60, 63, 64, 128, 157, 183, 197, 230, 233, 234, 275, 292, 293, 264, 316, 327,  
352, 356, 361, 363, 364, 371, 375, 378



რომი 9, 18, 19, 23, 32, 217, 233, 236, 244, 330, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342,  
343, 345, 374, 391, 392  
რუსეთი 6, 44, 356, 378  
საბერძნეთი 67, 133, 236, 254, 293, 341  
საქართველო 6, 8, 10, 11, 12, 13, 16, 17, 19; (ინგ. ჩეორგია) 20, 21, 22, 23, 24,  
25, 26, 27, 28, 29, 30  
სერბია 356  
სომხეთი 64, 128, 197, 233, 327  
სტავროპოლი 373  
სტამბოლი 9, 22, 375  
ტრაპიზონი 356, 359, 378, 379  
ტრენტი 383, 384  
ფარენძა 356  
ფერარა 6, 7, 18, 19, 21, 29, 30, 358, 360, 367  
ფლორენცია 6, 7, 9, 12, 13, 17, 18, 19, 20, 21, 22, 25, 26, 28, 29, 30, 32, 60, 217,  
355, 367, 368, 369, 370, 373, 375, 377, 379, 380, 382, 383, 392, 393  
ფრიგია 155, 292  
ქალკოდონი 40, 215  
ჰურიასტანი 81, 90

---

ყდაზე გამოყენებულია - S286, 84r

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამარ სტიფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
ვახუშტი ბაგრატიონის №84  
E – mail: meridiani777@gmail.com

**ნინო მეგენეიშვილი** არის ახალგაზრდა მეცნიერი, ფილოლოგიის დოქტორი მან 2001 წელს წითელ დიპლომზე დაასრულა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის, კლასიკური ფილოლოგიის განხრით. ამავე წელს ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრატურაზე, რომელიც დაამთავრა 2003 წელს. მან 2021 წ-ს 5 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი“, მას ამავე წლის 21 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მას აქვს დიდი სამუშაო გამოცდილება. 2002 წ-ს მუშაობა დაიწყო კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზში უფროსი ლაბორანტის პოზიციაზე, 2003 წ-ს გახდა სამკითხველოს დარბაზის გამგე. 2011-2014 წლებში იყო ამავე ცენტრის ქართულ ხელნაწერთა სა-

ცავის მცველი, 2014 წლიდან დღემდე არის ფოტო-მიკროფირების საცავის მცველი, კ. კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ნინო მეგენეიშვილი არის სტატიების ავტორი ხელნაწერთმცოდნეობასა და ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ საკითხთა შესახებ, ის აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, არის ძირითადი შემსრულებელი, მკვლევარი სხვადასხვა სამეცნიერო გრანტებში. მისი კვლევა მოიცავს ბიბლიოგრაფიულ და ტექსტოლოგიურ კვლევას, ტექსტების პუბლიკაციასა, ხელნაწერთა არქეოგრაფიულ აღწერილობებს, სტრუქტურულ ანალიზს, გვიანდელი დალური ხანის ქართული მწერლობის თავისებურებებს, საქართველოსა და დასავლეთის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებს, წყაროების მიმოხილვას ასევე ხელნაწერთა დაცვის თავისებურებებს.

ჰყავს მეუღლე ბადრი შერვაშიძე და სამი შვილი - დანიელ, ელისაბედ და ლაზარე შერვაშიძეები.

**Nino Megeneishvili** is a young scientist, Doctor of Philosophy. She graduated from TSU Faculty of Philology with honors in 2001 with a degree in Georgian Language and Literature, Classical Philology. In the same year she enrolled in the Master of Classical Philology of the same University, graduating in 2003. She successfully defended her dissertation on November 5, 2021 at Samtskhe-Javakheti State University on the topic: "Codicological-testological analysis of Besarion Orbelishvili's "Grdemli". She was awarded the scientific degree of Doctor of Philology by the decision of the Samtskhe-Javakheti Scientific Council on December 21 of the same year.

She has extensive work experience. In 2002 she started working as a senior laboratory assistant in the reading hall of the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, in 2003 she became the head of the reading hall. In 2011-2014 she was the guardian of the Georgian manuscript repository of the same center, Since 2014, he has been the custodian of the photo-microfiring repository, K. Kekelidze is a senior research associate of the National Center of Manuscripts of Georgia.

Nino Megeneishvili is the author of articles on manuscript studies and textological-codicological issues, she actively participates in local and international scientific forums, is the main performer, researcher in various scientific grants. Her research includes bibliographic and textological research, publication of texts, archeographic descriptions of manuscripts, structural analysis, features of late feudal Georgian writing, historical-cultural relations between Georgia and the West, review of sources, and features of manuscript preservation.

